გურამ ყორანაშვილი

საქართველოს ძველი ისტორიის პრობლემები

გამომცემლობა „საქართველო“
თბილისი, 2002

УДК 947.922
ყ 642

წიგნში განხილულია საქართველოს ძველი ისტორიის აქტუალური საკითხები. აღმოჩნდა, რომ ბევრი მათგანი გაურკვეველი ყოფილა. თაყას დროზე, როგორც ცნობილია, იყასე ჯავახიშვილმა, საისტორიო მეცნიერების თანადროულ დონეზე ღაყრდნობით, დაამუშავა საქართველოს ძველი ისტორიის საკითხებიც. მას შემდგომ არქეოლოგიამ, ეთნოგრაფიამ (ეთნოლოგიამ), წყაროთმცოდნეობამ და მისთ. ახალი წყაროების გამოვლენის, ახალი ფაქტების ღაღგენის მხრივ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. მაგრამ, ღიღად სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყოდით შესაბამისი განზოგადების თაობაზე.

ავტორი შეეცადა შეევსო აღნიშნული ხარვეზი. უამპირობოდ მიეჩნია, რომ საქართველოს ძველი ისტორია მეცნიერულ დონეზე ვერ დაიწერება. ასე რომ, წინამდებარე კრებული წარმოადგენს შესავალს საქართველოს ისტორიის პირველი ტომისა, რომელსაც მალე მოვამზადებთ დასაბეჭდად.

ეფიქრობთ, წიგნი დაინტერესებს მეცნიერ თანამშრომელთა და ჯუმანტარი სტუდენტობის ფართო წრეს.

რედაქტორი ლ. ცაგარეიშვილი

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით.

© გ. ყორანაშვილი
ISBN 99928-29-84-2

წინასიტყვა

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ძველი ისტორიის საკითხების ერთად თაემოყრა და ცალკე წიგნად გამოცემა მიზნად არ ჰქონია. მსგავსი იდეა გაჩენილა შემდეგი გარემოების გამო: ჩაფიქრებული მაქვს საქართველოს ისტორიის სამტომეულის დაწერა.

1997 წელს, როდესაც შევუდექი პირველ ტომზე მუშაობას და შევეცადე განმეზოგადებინა, გამემოლიანებინა შესაბამისი ცალკეული საკითხები, აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ გაურკვეველი ყოფილა. თავის დროზე, მოგეხსენებათ, ივანე ჯავახიშვილი შეეცადა გადმოეცა საქართველოს და მსოფლიო ისტორიის, იმდროინდელი ცოდნის კვალობაზე, კერძოდ ძველი ისტორიის, მთლიანი სურათი. მაგრამ შემდგომ მსგავსი ტრადიცია, ცალკე საკითხების წარმატებით შესწავლის მიუხედავად, ვერ გაღრმავდა.

პირველ ყოვლისა დასამუშავებელია ქართველთა ეთნიკური ისტორია უძველესი და ძველი ხანისა. ის, რაც ვიცით, მაგალითად, ჩვენი ეთნოგენეზისის თაობაზე, ფრიად არადამაკმაყოფილებელი და არადამაჯერებელია. თითქოს საკამათო აღარაა ჩვენი აბორიგენობა ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე, მაგრამ გასარკვევია, თუ სად, რომელ შეზღუდულ რეგიონში სახლობდა წინარე ქართველობა (მომავალი ქართების, ზანებისა და სვანების ერთობა), შესწავლას მოითხოვს მისი კულტურის (უფართოესი მნიშვნელობით) ისტორია. ე. წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდის გამოყენება ამ თვალსაზრისით უნაყოფო აღმოჩნდა. როგორც იქნა, გასული წლის იენისში ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხზე გაიმართა დისკუსია, რომელშიც სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მაგრამ სერიოზულ შედეგს ვერ მიაღწიეს, რადგან არ ყოფილა მცდელობა პრობლემა გააზრებულიყო ფართო თვალთახედვით, კომპლექსური მიდგომით, ე. ი. მეცნიერების სხვადასხვა დარგის მონაცემების საფუძველზე.

უნდა გააზრებულ იქნეს დიაოხის საკითხი, კერძოდ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: ეს გაერთიანება ხურიტული იყო თუ ქართული. უნდა გავარკვიოთ, თუ ვინ იყვნენ სასპერები — ეკუთვნოდნენ

ჩვენს მოდგმას თუ ესენიც ხურიტებს წარმოადგენდნენ. ერთი და იგივე თუ სხვადასხვა ხალხია ქართები და იბერები? აი, არასრული ჩამონათვალი საკითხებისა, რომლებიც უთუოდ აღიძერიან ჩვენი ეთნიკური ისტორიის კვლევა-ძიებისას.

გაღასაწყვეტია ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის პრობლემაც. წინამორბედ ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მიხედვით, ამ დიდ ისტორიულ მოვლენას ადგილი ჰქონდა ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისში, თუ უფრო ადრე არა. მაგრამ კრიტიკული თვალთახედვის პოზიციიდან აღმოჩნდება, რომ ასეთი თვალსაზრისი ვერ უძლებს ნამდვილი მეცნიერების მოთხოვნებს. როგორც ცნობილია, უკანასკნელი წლების განმავლობაში აღნიშნულ საკითხის გაგება-გააზრება ძალზე აქტუალური გახდა, რაღგან საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ჩვენი სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის იუბილეს აღნიშვნა. ნაცვლად იმისა, რომ ისტორიკოსები, არქეოლოგოსები და პუმანიტარულ მეცნიერებათა სხვა დარგების სპეციალისტები შეკრებილიყავით და ფართოდ, მთელი სერიოზულობით გვემსჯელა საკითხის თაობაზე, მავანთ მისი გადაწყვეტა კულუარული წესით მოინდომეს. იფიქრეს, რომ ძველი სტერეოტიპების გადამღერებით პრობლემა უეჭველად გადაიჭრებოდა.

მტკიცედ გვჯერა, რომ საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის შესწავლა დღესდღეობით ვერ დგას სათანადო მეცნიერულ სიმაღლეზე თუნდაც წყაროთმცოდნეობითი და ფაქტოლოგიური თვალთახედვით. ისე გამოდის, რომ ძველბერძნული არგონავტების მითი და ასურელ და ურარტელ მეფეთა შესაბამისი ტექსტებიც კი ვერ განუხილავთ კრიტიკულად (წყაროთმცოდნეობითი აზრით). იგივე ითქმის ე. წ. კოლხური თეთრის თაობაზე, რაც მავანთ დღესაც კი ძველი კოლხური სახელმწიფოს არსებობის უტყუარ ნიშან-თვისებად წარმოუდგენიათ. და თუ ასეა წყაროთმცოდნეობისა და ფაქტოგრაფიის ელემენტარულ დონეზე, მაშინ რაღა ითქმის საკითხის თეორიული, მეთოდოლოგიური გააზრების შესახებ. საბჭოთა პერიოდის მანძილზე, როგორც ვიცით, სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის თაობაზე სჯერდებოდნენ ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიულ ბაზას. მაგრამ უკანასკნელი

„მოძღვრება“ კერძოდ სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ რომ დიდი პრიმიტიულიზმია, ეს საკმაოდ გაცნობიერდა საბჭოური „ფორმაციის“ ბოლო ათწლეულებში, განსაკუთრებით რუს სწავლულთა მიერ.

კითხვა დავსვათ: როგორ უღგებიან აღნიშნულ საკითხს ქართველი ისტორიკოსები, არქეოლოგოსები და მისთანანი? მათ რადიკალურად უკუაგდეს ძველებური შესაბამისი თეორიული სტერეოტიპები, ისე რომ არ დაფიქრებულან იმაზე, თუ რა განსხვავებაა არსებობს სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხში ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმსა და საკუთრივ ავთენტიკურ მარქსიზმს შორის. სამწუხაროდ, ისინი არც სხვა დიდ მოაზროვნეთა სათანადო შეხედულებებს იცნობენ. ამდენად, კამათობენ საკითხზე ისე, რომ ვერ დაუდგენიათ სოციალური კლასის, სოციალური ფენის და სახელმწიფოს ცნებები. ხოლო თუ როგორი შეღებები მოჰყვება ამგვარ დისკუსიას, ამის განჭვრეტა იოლია.

წინამდებარე წიგნში ბევრი პოლემიკაა, საკითხთა შესწავლისას ისტორიოგრაფიული მხარეც ამკარად ჭარბობს, მაგრამ ამის გარეშე, ჩვენი მტკიცე შეხედულებით, საქართველოს ისტორიის პირველი წიგნი ვერ დაიწერება. აქედან გამომდინარე, „საქართველოს ძველი ისტორიის პრობლემები“ ჩაფიქრებული გვაქვს როგორც „საქართველოს ისტორიის“ პირველი ტომის შესავალი. ამ მომავალ ნაშრომში გათავისუფლებული ვიქნებით მრავალი პრობლემის ფართოდ გადმოცემისა და უფრო დაწვრილებითი დასაბუთების საჭიროებისაგან.

საერთოდ, ძველი ისტორიის დაწერა, მით უმეტეს საქართველოსი, ძნელია, ბევრად უფრო ძნელი, ვიდრე ფეოდალური, ახალი და უახლესი ხანების ისტორიისა. მიზეზი ცხადზე ცხადი გახლავთ – ნაკლებობა საისტორიო წყაროებისა, მაგრამ ისტორიკოსი როდი უნდა შეუშინდეს სიძნელეს. მოცემულ შემთხვევაში წყაროებისა და ფაქტების ნაკლებობა მან უნდა მეიღოს ფართო საისტორიო ერუდიციით, ღრმა აზროვნებითა და მდიდარი ინტუიციით. მოვიგონოთ, თუ როგორ შეეძლო გამოჩენილ ფრანგ ბუნებისმეტყველს ჟორჟ კიუვიეს ძვლის მცირე ნაშთით მთელი ორგანიზმის აღდგენა, ანდა როგორ ახერხებდა რუსი ანთრო-

პოლიგოსი გერასიმოვი უმცირესი ანთროპოლოგიური მასალის მიხედვით ადამიანთა შორეულ, თუ ნაკლებად შორეულ წინაპართა სახეების ხორცშესხმას. იგიეე უნდა ხელმძღვანელობდეს ისტორიკოსსაც. მხოლოდ ისტორიოგრაფიას რომ თავი დავანებოთ, ამის ბრწყინვალე დადასტურებაა ივანე ჯავახიშვილის საისტორიო აზროვნება.

აღნიშნული სახის სიძნელეა, ალბათ, მთავარი მიზეზი, რის გამოც თანამედროვე ახალგაზრდობა გაურბის ძველი ისტორიის საკითხების კვლევა-ძიებას. რაკი ასე გახლავთ, დიდი ხანი გაიელის, სანამ მათი თაობა შეუდგება საქართველოს ძველი ისტორიის ახლებურ გააზრებას, ხოლო რაც ამ მიმართებით ძველმა თაობამ შეძლო, – ესაა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომი (გამოქვეყნდა 1970 წელს, რუსული ვარიანტი დაიბეჭდა 1989 წელს). ამ შემთხვევაში ავტორები თავიანთი ადრინდელი ნამრომების კომპილაციით შეეცადნენ შესაბამისი პერიოდის მთლიანი ისტორიის დაწერას. მაგრამ, ცხადია, მსგავსი ცდა არ აღმოჩნდა წარმატებული. მგონი თუ რვა წლის წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით ერთად ტიტულოვან ისტორიკოსებს უნდა დაეწერათ საქართველოს ისტორიის ორ- თუ სამტომეული, სადაც ძველი ისტორიაც იქნებოდა გადმოცემული. სამწუხაროდ, აღნიშნული გამოცემა დღემდე არ ჩანს...

ძალიან შეეცდებით, რომ წინამდებარე კრებულს მალე მოჰყვეს „საქართველოს ისტორიის“ პირველი ტომი.

22 თებერვალი, 2002 წელი.

ნაწილი პირველი

ქართველთა ეთნიკური ისტორიის საკითხები

ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხი*

§1 შესავლის მაგიერ

მას შემდეგ, რაც (ჩვენი საუკუნის 1940-იან წლებში) ბორის კუფტინმა გადასინჯა ივანე ჯავახიშვილის კონცეფცია საქართველოში ქართველთა მოსვლის შესახებ, ჩვენს მეცნიერებაში ახალი თვალსაზრისი დამკვიდრდა, რასაც აქონდა მთელი რიგი მიზეზებისა. ჯერ ერთი, ობიექტურად განწყობილთათვის, რასაკვირველია, უფრო მისაღები იყო ქართველთა იმთავითვე აბორიგენობა. სხვათა შორის, არათუ ჩვენთან, არამედ სომხეთსა და რუსეთშიც კი, სადაც შესაბამისი ხალხების გვიანმოსულობა უეჭველია, საკმაოდ უგულებელყოფდნენ ელემენტარულ ისტორიულ ჭეშმარიტებას. მეორე, რაკი საქართველოში აღმოჩენილ იქნა თითქმის ყველა არქეოლოგიური სფეხური, ადვილად ირწმუნეს, რომ ჩვენი ეთნიკური ძირები უკვე აშელის ეპოქიდან მოდიოდა. მესამე, იმხანად და შემდეგაც, დიდი ხნის განმავლობაში, ე. წ. საბჭოურ მეცნიერებაში, კერძოდ ეთნოგრაფიაში, ევოლუციონიზმს ბევრად უფრო სწყალობდნენ, ვიდრე დიფუზიონიზმს. ამდენად მიგრაციების იდეა მიუღებლად ითვლებოდა, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ ნიკო მარისეულ „ახალ მოძღვრებას ენის შესახებ", რომელიც პირწმინდად უარყოფდა მიგრაციების ფაქტორს.

მაგრამ ახალი თვალსაზრისი ჩვენი ეთნოგენეზისის შესახებ ბევრ გაურკვეველობასთან იყო დაკავშირებული. ამის თაობაზე ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ქართული ხალხის გენეზისის საკითხი ყოველად შეუსწავლელია".[1] და ამას ცნობილი ისტორიკოსი წერდა არა 30-იან წლებში, არამედ სიცოცხლის

* მოხსენდა საზოგადოება „ცოდნის" ისტორიის სექციის სხდომაზე 1997 წლის 15 სექტემბერს.

1 იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII, თბილისი, 1975, გვ 225.

ბოლო პერიოდში. ასეთი კრიტიკული პათოსი, რასაკვირველია, უპირველესად ბორის კუფტინისაგან წამოსულ თვალსაზრისს ეხებოდა. ამასთანავე ნიკო ბერძენიშვილი ამასაც დასძენდა: „თუნდაც რომ მოსულობის თეორია გავიზიაროთ და ამ ეთნიკურ სახელებს (ქართი, იბერი, კოლხი, მესხი, ტაოხი, აფშილი, ქაშაგი, ტაბალი...) თვისტომში მოვუძებნოთ ხეთურ, ასურულ, ურარტულ წარწერებში (ეს თითქო საკმაო წიგნიერად ხერხდება), – ამ ტომების მოთავსება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, მათი თანმიმდევრობა, მათი მოსვლის ახე (წამოწევა თუ მოსვლა სახელმწიფოებად), რა დახვდა აქ, რას ამბობს არქეოლოგია, რა ნიშნებია ამ მოსვლისა გარდა სახელთა ხელოვნური დამსგავსებისა, და ერთადერთი ლეგენდისა მოსვლის შესახებ – და არც თუ განსაკუთრებით შორიდან...), – არაფერი არ არის გარკვეული...“[2]

თუმცა ნიკო ბერძენიშვილის ამგვარი განცხადების შემდგომ რამდენიმე ათეული წელი გავიდა, დიდად ვეჭვობთ, რომ ვითარება მნიშვნელოვნად შეცვლილიყოს. თუმცა ამ ხნის მანძილზე დაგროვდა ახალი მასალები, შესაბამისად დადგინდა რიგი ფაქტებისა, განსაკუთრებით არქეოლოგიაში, მაგრამ მთლიანობაში, ვიმეორებთ, პრობლემის კვლევა-ძიება თვისებრივად ახალ საფეხურზე არ ასულა. დიდად სამწუხაროდ, აქამდე არც ერთ მეცნიერს ამ თვალსაზრისით თავი არ გამოუჩენია. ისე, რა თქმა უნდა, გვაქვს იმის ილუზიაც, რომ აღნიშნული საკითხიც კარგად მუშავდება. შეგახსენებთ, რომ ერთი მკვლევრის გამოანგარიშებით, აღნიშნულ თემაზე სამი ათას ხუთასამდე ნაშრომი დაწერილა. მაგრამ საკმარისია ოდნავ მაინც მოვიხმოთ კრიტიკული აზროვნება, რომელიც უპირველესად საკითხის არსის გათვალისწინებიდან გამოდის, რომ ხელში (თუ თავში!) დიდი არაფერი შეგვრჩება. ასეთი შედეგი კი არც უნდა იყოს მოულოდნელი. ვკერ ერთი, პრობლემა რთულია, მრავალმხრივი და ამდენად მის გადაწყვეტას სხვაგვარი ყაიდის ისტორიკოსები ესაჭიროება; ვიწრო სპეციალიზაციის მქონეთ მსგავსი ამოცანის აღსრულება არ ხელეწიფებათ. მეორე, პრობლემა თავისი ხასიათით ეხება ისტორიოგრაფიას (ფართო აზრით), არქეოლოგიას, ეთნოლოგიას, ენათმეცნიერებას, კულტურის ისტორიას,

---

2 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII, თბილისი, 1975, გვ. 225-226. სხვათა შორის, არნოლდ ჩიქობავა, რაოგორც ჩანს, ბოლომდე იზიარებდა საქართველოში ჩვენი მოსულობის თვალსაზრისს.

ფოლკლორისტიკას, ხელოვნებათმცოდნეობას და ა. შ. ჩვენ კი ჯერ-ჯერობით მოწმენი ვართ იმისა, რომ, ბორის კუფტინიდან მოყოლებული, მას ძირითადად არქეოლოგოსები იკლევენ. თუმცა, ეიმპორებთ, საკითხის ღრმა დამუშავების აზროვნების სხვა მასშტაბები ესაჭიროება. მიუხედავად ამისა, სასურველი გახლავთ აღნიშნული სამეცნიერო დისციპლინების წარმომადგენელთა, თუნდაც ვიწრო სპეციალიზაციის მქონეთა, კოოპერაცია. მეტსაც ვიტყოდით, დღემდე ვერ მოგვიხერხებია ქართველთა ეთნოგენეზისის შესახებ ფართო ხასიათის დისკუსიის მოწყობა.

ერთ-ერთი მიზეზის სათქმელად მოვიხმობთ ივანე ჯავახიშვილის აზრს: „...უკვე ქართულისა და ქართველური, ისევე როგორც ე. წ. კავკასიის ენებზე დაწერილი გამოკვლევების გულდასმითმა შესწავლამ ბევრი რამის გათვალისწინების საშუალება მომცა: მათი ღირსება-ნაკლიც დამანახა და ისიც გამაგებინა, თუ რატომ გამოდგა უნაყოფო ყოველივე ცდა ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის გამოარკვევად. ცხადი შეიქმნა, რომ ამ უნაყოფოების ერთ მიზეზთაგანს იმ მეთოდოლოგიური პრინციპების გაუთვალისწინებლობაც შეადგენდა, რომელთა გამოყენებით ეს უაღრესად რთული ამებულების ენები უნდა გამოკვლეული ყოფილიყო".[3] იმავე ნაშრომში სხვა ადგილას ვკითხულობთ: „აკად. ნ. მარის მოღვაწეობის ზოგადი შეფასების დროს უნდა გულახდილად აღინიშნოს, რომ ქართულის, ქართველურისა და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, აგებულებისა და მონათესაობისა, იმგვარადვე, როგორც მათი წარმოშობილობისა და სადაურობის პრობლემა ისევე გადაუწყვეტელია, როგორც წინათ იყო... ამ სფეროში მისი დაუცხრომელი ცდის უნაყოფოება მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ სამეცნიერო მეთოდოლოგიის უგულებელყოფით დასახული მიზნის მიღწევა არ შეუძლიან ისეთი არაჩვეულებრივი ნიჭისა და დაუშრეტელი ენერგიის პატრონს და მრავალ ენათა მცოდნესაც კი, როგორიც უცილობლად აკად. ნ. მარია".[4] ჩვენი დიდი წინაპრის ამ შეგონებებიდან გამომდინარე, უპირველესად აუცილებელია საკითხის ნამდვილი (და

---

3 ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.X, თბილისი, 1992, გვ XII.

4 იქვე, გვ 76.

არა მოჩვენებითი!) ისტორიოგრაფიული მიმოხილვა, რაც ბევრად გაგვადვილებს კვლევა-ძიების შემდგომ პროცესს და მეორეც, სათანადო მეთოდოლოგიის გარეშე აღნიშნული დიდი საკითხი დამაკმაყოფილებლად ვერ გადაწყდება. დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მეთოდოლოგიური ნიჰილიზმის პირობებში კი ბევრ მავანთაგან ამის მოთხოვნა ზედმეტად გვეჩვენება.

§2 ქართველთა ეთნოგენეზისის მოკლე ისტორიოგრაფია

ჩვენი ხალხის წარმოშობა ძველთაგანვე დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. უცხოელთაგან ჯერ კიდევ ჰეროდოტე აღნიშნავდა კოლხების ძველეგვიპტურ წარმომავლობას (ვითომდაც ლეგენდარული, მითიური სესოსტრისის ლაშქრობის დროიდან). ანტიკურ ისტორიოგრაფიაშივე ასკვნიდნენ ესპანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებთა და ჩვენი, ე. ი. კავკასიის იბერების მონათესაობას (რასაკვირველია, უმთავრესად სახელწოდებათა ერთნაირი ჟღერადობის გამო) და, კერძოდ, პირველებისაგან მეორეთა წარმოშობილობას (თითქოსდა ნაბუქოდონოსორის ზეობისას). სხვათა შორის, ეს თვალსაზრისი ცნობილი იყო შემდგომი ხანის ქართველთათვის, მაგრამ მან ფართოდ ვერ მოიკიდა ფეხი.

ჩვენში შემორჩენილი საისტორიო გადმოცემით ქართველთა ერთი ნაწილი დღევანდელ ქართლში შორიდან, სამხრეთ-დასავლეთიდან („არიან-ქართლიდან") მოვიდა. XI საუკუნეში ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა შექმნა თავისი დროისათვის საკმაოდ მწყობრი „თეორია", ბიბლიური საისტორიო მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, რომელშიც ამტკიცებდა ქართველთა მოსულობას არარატის სანახებიდან. თითქმის თანამედროვე არსენ ბერი ეკამათებოდა ლეონტი მროველს და ამტკიცებდა, რომ მთლიანად ქართველები (აღმოსავლელები) არა სომხეთიდან, არამედ „არიან-ქართლიდან" მოვიდნენო. ჩვენს საისტორიო ცნობიერებაში დამკვიდრდა ლეონტისეული თვალსაზრისი, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო.

ახალ დროში, XIX საუკუნეში, ასირიოლოგიის მიღწევების კვალობაზე დადასტურდა ძველაღმოსავლურ პერიოდში მეშეხებისა

და თაბალების არსებობა. თუ უწინ (ახ. წ. I საუკუნეში) მხოლოდ ებრაელ-რომაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი აიგივებდა ერთმანეთთან მესხებსა და იბერებს, ახლერად ამგვარმა წარმოდგენამ ძალზე მოიკიდა ფეხი. ცხადია, ამას ვერ ასცდებოდა ქართული ისტორიოგრაფიაც. აქედან გამომდინარე, ჯერ ნიკო მარი ამტკიცებდა ჩვენი წინაპრების მიგრაციას შორეული სამხრეთიდან. იგივე გაიმეორა ივანე ჯავახიშვილმაც. მის მიხედვით მესხები, იბერები და ხეთურ წყაროებში დამოწმებული ქაშქები ანუ კასხები (ვითომდაც კოლხთა წინაპარნი) მიგრაციის გზით დასახლდნენ საქართველოში. „თაბალ-ტაბალებში" იგი ხედავდა სიტყვა „ტბას", რომელიც შემდეგში შემორჩა ეთნონიმ „ტიბარენში". უკვე ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ ტიბარენები მეგრულ-ჭანური შტოს ხალხი იყო. მაგრამ მსგავსი ძირი („ტბა" სიტყვისა) მოიპოვება არა მხოლოდ შესაბამის ენაში, არამედ ქართულსა და სვანურშიც.[5] ამდენად დიდად ძნელდებოდა საკითხი იმის თაობაზე, თუ ქართველური ეთნოსის რომელ შტოს მიეკუთვნებოდნენ „თაბალ-ტაბალ-ტიბარენები", რადგანაც თავის დროზე ეს კითხვა არ დასმულა. მიიჩნიეს, რომ რაკი ტიბარენების ლოკალიზაცია ადვილად ხერხდებოდა მოგვიანო (ასურულის შემდგომ) ჭერძნული წყაროების მიხედვით და შესაბამისად ადვილად მიიღებოდა დასკვნა მეგრულ-ჭანური შტოსადმი მათი კუთვნილების შესახებ, იბერებიც ამ ეთნოსს (ტიბარენებს) დაუკავშირეს. ამგვარი თვალსაზრისი გავრცელებული იყო ათეული წლების მანძილზე (მოგვიანებით, 1918 წელს იგი კვლავ გაიმეორა ექვთიმე თაყაიშვილმა). მაგრამ აღნიშნულ ეთნონიმებს გარდა ხომ გვაქვს „ქართებიც", „ქართლიც" და შესაბამისი ეთნოსი და ქვეყანა. იგი გამოაყვედათ ეთნონიმ „კარდუხიდან" და ქვეყანა „კარდუ-ქართუდან", რომელიც ტიგროსის ზემოთში მდებარეობდა (აძკერად

---

5 ქართულად ტაბ-ტბ, ზოგჯერ ტაბა (მაგალითად ტაბახმელა, ტაბაწყური). იმერულ დიალექტში ტაბაყური ნიშნავს დაჭაობებულ ადგილს. მეგრული ტობ, ტობ-ა ღრმა წყალს ნიშნავს. ლაზურად ტობ-ტობ, ტობა//ტიბა – ტბის, მორევის აღმნიშვნელია. სვანურად ტუბ/ტუიბ, ტუბ – ხევს, ტბას ნიშნავს. იხ. Г.А. Климов, Этимолопический словарь картвельских языков, Москва, 1964, გვ179, ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველური ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1990, გვ 290-291. გამოდის, რომ „ტბაღლები, თაბალები" უნდა გამომდინარეობდეს შესაბამისი ქართული სიტყვიდან, ხოლო „ტიბარენები" – ლაზურიდან.

ამ ეთნონიმსა და ქვეყნის სახელდებას ქართებს უკავშირებენ). ივანე ჯავახიშვილის აზრით კი სანამ ადგილი ექნებოდა მესხების, ტაბალების (იბერების) და კასკების (კოლხების) მიგრაციას, ძველაღმოსავლური წყაროების (ასურული, ხეთური და ძველებრაული) მიხედვით ცნობილ ადგილებში ჩვენი საერთო წინაპრები ცხოვრობდნენ (ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისამდე) მერმინდელი ურარტუს – „ქალდეას“ ტერიტორიაზე, სადაც თითქოს გვიანობამდე შემორჩნენ მხოლოდ ქართები, რომლებიც ვითომდაც მეგრულ-ჭანური შტოს წარმომადგენელი იბერების ადგილს ქართლში იკავებენ ახ. წ. II–III საუკუნეში.

რასაკვირველია, მეცნიერების დღევანდელი გადასახედიდან ივანე ჯავახიშვილის ეთნოგენეტიკურ თვალსაზრისს ბევრი ნაკლი გააჩნია. მაგრამ თავისი ჟროისათვის ეს ერთადერთი სწორი „თეორია“ იყო, რომელსაც სისტემაში მოჰყავდა იმ დროს ცნობილი ფაქტები. წერილობითი წყაროების თაობაზე უკვე მოგახსენებდით. რაც შეეხება არქეოლოგიურ ფაქტებს, ჩვენი დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის დროს ალმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ მცხეთაში, მხოლოდ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა იყო ცნობილი. ამდენად საკითხის სათანადო არქეოლოგიური თვალთახედვით გააზრება ერთობ გაძნელებული იყო.

30-იან წლებში დასავლურ ორიენტალისტიკაში გაცნობიერდა, რომ ტაბალები ინდოევროპული წარმოშობის ლუვიელებს წარმოადგენდნენ. ამდენად ტაბალებისა და ტიბარენ-იბერების იგივეობას საფუძველი გამოეცალა. საბედნიეროდ, ჩვენმა ისტორიოგრაფიამ დროულად გაითვალისწინა ახალი თვალსაზრისი. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს საქართველოში მოღვაწე რუსი ისტორიკოსის პეტრე უშაკოვის დამსახურება. ახალი თვალსაზრისი ცნობილი გახდა ივანე ჯავახიშვილისთვისაც. ამასთანავე ჩვენი დიდი წინაპრის ძალისხმევით 1938 წელს დაიწყო მცხეთის არქეოლოგიური შესწავლა, რამაც ახალი არქეოლოგიური ფაქტები შესძინა ჩვენს ისტორიოგრაფიას. საფიქრებელია, რომ ივანე ჯავახიშვილი ჩვენი ეთნოგენეზისის პრობლემის გააზრებას ახალი თვალსაზრისით შეუცდებოდა, რაც მას, სამწუხაროდ, არ დასცალდა...

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ივანე ჯავახიშვილი ჩვენთვის საინტერესო საკითხს სპეციალურად შეეხო ნაშრომში „უძველესი ეპოქის საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის

ისტორიის ძირითადი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები."[6] მიუხედავად დასავლეთევროპულ ორიენტალისტიკაში წარმოქმნილი ახალი შეხედულებებისა მუშქებისა და თაბალების შესახებ, ჩვენი დიდი ისტორიკოსი აღნიშნავდა მათს კუთვნილებას ქართველური ეთნიკური სამყაროსადმი. სათანადო არგუმენტაციით იგი გამორიცხავდა ქართველური და დანარჩენი კავკასიელი ხალხების გადმოსახლებას ჩრდილოეთიდან, სამაგიეროდ ამტკიცებდა მათს (ყველაზე ბოლოს ქართველებისას) მიგრაციებს სამხრეთიდან. ვინ იცის, ჩვენს დიდ მეცნიერს რომ კიდევ დიდხანს ეცოცხლა, ვიმეორებთ, არ არის გამორიცხული, რომ მცხეთისა და თრიალეთის გათხრების არქეოლოგიური მასალების გამომზეურების შემდეგ მას ბევრი რამ ახლებურად გაეაზრებინა.

ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში თრიალეთში დიდი არქეოლოგიური აღმოჩენა მოხდა (საქართველოში მოღვაწე რუსი არქეოლოგოსისა და ეთნოგრაფოსის ბორის კუფტინის მიერ). გაირკვა, რომ შესაბამისი არქეოლოგიური ძეგლები შუა ბრინჯაოს ხანას განეკუთვნებოდა. ამდენად თუ სამთავროს (მცხეთის უბნის) გათხრების შედეგად ჩვენში ფიქსირდებოდა ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო (არქეოლოგიური ნომენკლატურით გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა), ამჯერად საზოგადოების ისტორიამ კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში საუკუნეებით უკან გადაიწია. მალე, კვლავ ბორის კუფტინის წყალობით, აღმოჩენილ იქნა ადრეული ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის არქეოლოგიური კულტურა. ახალი არქეოლოგიური მონაცემებიც იმავე მეცნიერის მიერ იქნა განზოგადებული. მან გადასინჯა (1940-იან წლებში) ივანე ჯავახიშვილის აზრი ქართველთა (კერძოდ აღმოსავლელთა) მოსულობის თაობაზე და დაასკვნა, რომ უწყვეტი არქეოლოგიური ჯაჭვი: გვიანბრინჯაო-ადრერკინის, შუაბრინჯაოსა და ადრებრინჯაოს პერიოდები ადასტურებდა ქართველთა აბორიგენობას (აღმოსავლეთ საქართველოში). მაგრამ ძველი თვალსაზრისისგან ბორის კუფტინი საბოლოოდ მაინც ვერ გათავისუფლდა: კერძოდ, იბერები მასაც მეგრულ-ჭანური შტოს ხალხად მიაჩნდა, რომელთა ასიმილაციაც ვითომ გვიან აღმოსავლეთ საქართველოში მოსულმა ქართებმა

---

6 იხ. წიგნში „ქართველი ერის ისტორიის შესავალი", წიგნი პირველი, თბილისი, 1950.

მოახდინეს. ამასთანავე თავი იჩინა მეცნიერის გატაცებამ ნიკო მარის „ახალი მოძღვრებით“, რომელიც უარყოფდა მიგრაციებს და ყოველი ეთნოსისა და, კერძოდ, ყველა ენის განვითარებას ადგილობრივი ევოლუციის პროდუქტად თვლიდა. მაგრამ ამ თემაზე ცოტა მოგვიანებით შეეჩერდებით.

თავის დროზე აღნიშნულ საკითხზე შუალედური, კომპრომისული პოზიცია ეკავა სიმონ ჯანაშიას. იგი თვლიდა, რომ ქართველები (სამივე შტოთი) ეთნოგენეტიკურად მონათესავენი იყვნენ ძველი აღმოსავლეთის რიგი ხალხებისა, რომელთაგანაც ისტორიის მსვლელობაში ხან ერთი დაწინაურდებოდა, ხან მეორე. მათ შემდეგ ისტორიული ესტაფეტა გააგრძელეს ქართველებმა. მაგრამ დაისმის კითხვა: როგორ მოხდა ჩვენი მონათესავე ხალხების განფენა ფართო ისტორიულ არეალზე, სად უნდა ვეძებოთ მათი წინარესამშობლო? კერძოდ, რა იგულისხმება ამ შემთხვევაში ქართველთა იმთავითვე აბორიგენობაში? მსგავსი კითხვების დასმა ტრადიციული ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების პოზიციიდან საესებით ბუნებრივი იყო, მაგრამ სიმონ ჯანაშიასთან ამგვარ კითხვებზე პასუხებს ვერ ვპოულობთ. როგორც ჩანს, იგიც გარკვეულწილად ხარკს უხდიდა ნიკო მარის „ახალ თეორიას“.

შემდეგში ქართველ ისტორიკოსთა, არქეოლოგოსთა, ეთნოგრაფოსთა და ა. შ. შორის გაიმარჯვა თვალსაზრისმა, რომელიც უარყოფდა ქართველთა სხვა არეალებიდან მოსელას და, მაშასადამე, აბორიგენობას. ამიერიდან უკვე ძიებენ, როდ ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემა [illegible] იყო. მაგრამ ნ. მარის „ახალი თეორიის“ [illegible] თითქოს იმპულსი უნდა გაეხდარიყო ახალი პრინციპების კრიტიკული განსჯისთვის. კერძოდ, კრიტიკას ვერ უძლებს თვალსაზრისი, რომელიც მთელ დღევანდელ საქართველოს (გეოგრაფიული გაგებით) და მთლიანად ჩვენს ეთნიკურ ტერიტორიას, რომელიც დღევანდელს, პოლიტიკურს, სამჯერ მაინც აღემატებოდა, იმთავითვე ჩვენს წინარე სამშობლოდ და ამდენად წინარექართული (თუ წინარექართველური?) ენის გავრცელების არეალად წარმოადგენს. ეთნოლოგიაში ოდნავი განსწავლულობაც კი საკმარისია იმის დასანახად, რომ, ქვედა პალეოლითის ხანაში, როცა თანამედროვე homo sapiens-ი ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული, უფრო მეტიც: გვარი და ტომი ჯერჯერობით

არ არსებობდა, – როგორ შეიძლება ერთიან წინარე ხალხსა და ენაზე ლაპარაკი, რომლებიც თითქოსდა მთელს საქართველოს მოიცავდნენ. მსგავსი მტკიცება აბსურდია ზედა პალეოლითის მიმართაც კი, როცა წარმოიშვა homo sapiens-ი და გვარტომობა. ამდენად, როცა ჩვენს წინარე სამშობლოსა და წინარეენის ლოკალიზებას ვახდენთ, ბუნებრივია, გამოვდიოდეთ უფრო ვიწრო არეალიდან. ასე რომ, მოსაძებნია ის არეალური კუთხე (მხარე), საიდანაც მოხდა ჩვენი წინაპრების განფენა ფართო ტერიტორიებზე. ცხადია, გააზრებას მოითხოვს შესაბამისი ხანაც.

დიდ სიძნელეებს ვაწყდებით საკითხის შემეცნების თვალსაზრისითაც. თავის დროზე იყანე ჯავახიშვილი ცდილობდა პრობლემის გადაჭრას ისტორიოგრაფიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების (კერძოდ ტოპონიმიკის), ანთროპოლოგიის და სხვ. თვალთახედვიდან. აღნიშნულ საკითხს მრავალმხრივ განიხილავდა აგრეთვე ბორის კუფტინიც. მაგრამ, სამწუხაროდ, შემდგომი ხანის მკვლევრები, იქნებოდნენ ესენი ისტორიკოსები, არქეოლოგოსები, ეთნოგრაფოსები თუ ენათმეცნიერები, ძირითადად მხოლოდ ერთსა და იმავეს იმეორებდნენ ჩვენი აბორიგენობის თაობაზე; ამ მიმართებით ახალი არაფერი თქმულა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ეთნოგენეზისის კვლევა-ძიებით ყველაზე მეტად არქეოლოგოსები იყვნენ დაინტერესებული, და ეს მხოლოდ ბორის კუფტინის გამო როდი მოხდა. რასაკვირველია, ძალზე ადვილი იყო, ქვედა პალეოლითიდან მოყოლებული ერთიანი არქეოლოგიური თუ ისტორიული ჯაჭვის გამო, მტკიცება ჩვენი ეთნიკური ევოლუციის აღმავალი საფეხურების შესახებ. მაგრამ თუ მხოლოდ ამ თვალსაზრისით შევხედავთ, ვთქვათ, დასავლეთ ევროპის, – მაგალითად საფრანგეთის, – ეთნიკურ ისტორიას, თითქოს აქაც ცხადად ჩანს მსგავსი ეთნიკური ევოლუცია. მაგრამ, მეორე მხრივ, კარგადაა ცნობილი დღევანდელ დასავლეთევროპელ წინაპართა მოსვლა დასავლეთ ევროპაში. ასევე, თავის დროზე ე. წ. საბჭოურ მეცნიერებაში ევოლუციონიზმის ფართოდ გავრცელების გამო ქართულ მეცნიერებაშიც ადვილად დასკვნიდნენ თანამედროვეული არქეოლოგიური საფეხურების არსებობის მიზეზით ეთნოსის (კერძოდ ქართველების) აბორიგენობას. მაგრამ არც დიფუზიონიზმის (როგორც თეორიის) არსებობაა უსაფუძვლო, რასაც კერძოდ ქართულ მეცნიერებაშიც ნაკლებად ითვალისწინებდნენ. აქვე დავსძენთ, რომ არქეოლოგოსები (მათ შორის, რასაკვირველია,

ქართველებიც) მზად არიან არათუ მთლიანად საქართველოს ან მისი რომელიმე ისტორიული კუთხის მასშტაბით, არამედ ხშირად ცალკეული დასახლებული პუნქტის ისტორიის მაგალითზეც კი „მთელი მსოფლიო-ისტორიული ეპოქები" წარმოადგინონ.

ერთი სიტყვით, ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხისადმი ცალმხრივი, ამკერად არქეოლოგიური, მიდგომა ნაკლებპროდუქტიულია. ვიმეორებთ, თუ ამას დავუმატებთ მეთოდოლოგიურ (სამეცნიერო მეთოდების გამოყენების მხრივ) უმწეობასაც, მაშინ საკითხის მეცნიერული გააზრების დაბალი დონე ადვილად აიხსნება. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია ენათმეცნიერების გარეშე. ეს გარემოება თავის დროზე შეამჩნია აკად. გიორგი მელიქიშვილმა, რომელიც შეეცადა ე. წ. გლოტოქრონოლოგიურ მეთოდზე დაყრდნობას. ერთ დროს ეს მეტად პოპულარული მეთოდი (დანერგილი ამერიკელი ენათმეცნიერის მორის სუოდეშის მიერ) მანამდე ქართული ენის მიმართ გამოიყენა რუსმა ენათმეცნიერმა გიორგი კლიმოვმა. მისი დასკვნით საერთო წინარექართული (ქართველური) ენიდან გამოყოფა დაიწყო ჯერ სვანურმა ენამ (ძვ. წ. XVIII საუკუნიდან), ხოლო ძვ. წ. VIII საუკუნიდან ერთიმეორეს შორდებოდნენ მეგრულ-ჭანური (ზანური) და ქართული (ქართების) ენები. გიორგი მელიქიშვილი შეეცადა გ. კლიმოვისეული დასკვნის გამოყენებას. მაგრამ ამ უკანასკნელის მიხედვით შეიძლება ისიც დავასკვნათ, რომ ძვ. წ. XVIII საუკუნეში საერთო-ქართველურიდან სვანური ენის გამოყოფა ნიშნავს სვანთა განსახლებას ძველი საცხოვრებელი არეალიდან და ჯერჯერობით, საუკუნეების მანძილზე, წინარექართველური ენის დიალექტის შენარჩუნებას. ასევე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზანურ-ქართული ერთიანი ენის დაშლის დაწყების შემთხვევაში (ვთქვათ ძვ. წ. VIII საუკუნიდან) ზანები (მეგრელ-ჭანები) და ქართები უკვე აღარ ცხოვრობდნენ საერთო ტერიტორიაზე. გ. მელიქიშვილის მოსაზრებით კი ზანები და ქართები ერთად ცხოვრობდნენ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებშიც კი, და მათ ჰქონდათ ერთიანი სახელმწიფოც — კულხას (კოლხას) სამეფო (ურარტული საისტორიო წყაროებით დამოწმებული). ასე რომ, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ქართები ჯერჯერობით თითქოს კვლავ ჭიროხის აუზში ცხოვრობდნენ. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ აქედან გამომდინარე, მათი არსებობა დღევანდელი ქართლის ტერიტორიაზე წინარე არქეოლოგიურ ეპოქებში ძნელი გასაზრებელი

ხდება. ძნელია აგრეთვე მესხთა ეთნიკური ვინაობის დადგენაც[7] — ისინი ხომ ძვ. წ. XII საუკუნის ბოლოს ჩვენგან შორს, სამხრეთში ცხოვრობდნენ. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ამჟამად ე. წ. გლოტოქრონოლოგიურ მეთოდს უკვე ყველა გაუვიდა. კერძოდ, სკეპტიკურად უყურებენ გ. კლიმოვისეულ დასკვნებსაც და ერთიანი ქართული (ქართველური) ენიდან ჯერ სვანურის, შემდგომ კი შესაბამისად ზანური და ქართული ენების გამოყოფას ადრე მიღებულ თარიღთან შედარებით, სულ მცირე, ერთი ათასწლეულით მაინც უკან სწევენ.

მაინც დავსძენთ, რომ გ. მელიქიშვილის ცდა საკითხის კვლევა-ძიებისას არქეოლოგიურთან ერთად ენათმეცნიერული ფაქტებიც მოეხმო, თავის დროზე მისასალმებელი, წინ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ. მაგრამ, მეორე მხრივ, მკვლევარი ჩიხში მოექცა; მისი შეხედულებით, ქართველთა წინაპარნი ერთდროულად აბორიგენებიც ყოფილან და მოსულებიც. კერძოდ, 1965 წელს გამოცემულ ნაშრომში „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის" უწინ აღმოსავლეთ საქართველოში ქართველთა წინაპრებს არ უცხოვრიათ, მტკვარ-არაქსის არქეოლოგიური კულტურა კი ინდოევროპელებისა ყოფილა, დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი დაკავებული ჰქონიათ აფხაზ-ადიღეელებს, კლარჯები კი პროტოხეთები ყოფილან და ა. შ. სამწუხაროდ, ავტორმა ვერ შესძლო შემდგომი პერიოდის ნაშრომებში მაინც რაიმე სიცხადე შეეტანა საკითხის მისეულ გააზრებაში. ამდენად გ. მელიქიშვილის წვლილს ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხის გააზრებაში საყოველთაოდ მიღებული შეხედულების საწინააღმდეგოდ ჩვენ უმნიშვნელოდ ვთვლით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიკო ბერძენიშვილი უაღრესად კრიტიკულად იყო განწყობილი ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემის გაშუქებისადმი. იგი ცღილობდა თვითონაც ეკვლია იგი და ამდენად გარკვეულწილად ამოესო არსებული ხარვეზი. მაგრამ, სამწუხაროდ, საკითხის თაობაზე მხოლოდ მისეული შენიშვნები შემოგვრჩა, ასე

7 რასაკვირველია, ჩვენთვის პრობლემა არაა მესხების ინდოევროპული თუ ქართული (ქართველური) წარმოშობა. მაგრამ გადასაწყვეტია მათი კუთვნილობის საკითხი ზანური (მეგრულ-ჭანური) თუ ქართული (ქართების) მოდგმისადმი. ჩვენ პირადად ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვიზიარებთ, ცხადია, გარკვეულ არგუმენტებზე დაყრდნობით.

რომ, მწყობრი შეხედულებების ჩამოყალიბება ჩვენს ცნობილ ისტორიკოსს აღარ დასცალდა. ბუნებრივია, რომ მის ნააზრევში გვხვდება ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები. ასე მაგალითად. ერთ ადგილას იგი წერდა: „ყორანთა, აკაურთა, ჩხიკვთა, ლომთა და მისთანანი და აგრეთვე ყორნი(სი), ორბნი(სი), წერონი(სი) მოწმობენ, რომ ქართული (ნი, თა, სი – სუფიქსები, სი – უფრო გვიან) ენა იყო აქ იმ დროს, როცა ამ ენის მატარებელი ხალხი გორაკებზე ცხოვრობდა, როცა ისინი გვარებად „სახლებად“ ცხოვრობდნენ, როცა მათ, თითოეულ სახლს, საერთო სახელი ჰქონდა ფრინველის, მხეცის – ტოტემის“.[8] ამ სტრიქონებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ, ნიკო ბერძენიშვილის აზრით, ჩვენი უძველესი საცხოვრისი ქართლი, განსაკუთრებით მისი ქვემო ნაწილი ყოფილა. სხვაგან კი ვკითხულობთ: „ეს კარ-ები (ყარსი, ბაშკადიკლარები, კლდეკარნი, არზრუმი და სხვა კარები ტაოში) შეიძლება არა მარტო გასავალს, არამედ უფრო ძველად მოსახლეობას, სახლს, გვარს, კერას ნიშნავდნენ... რომ ეს ქვეყანა ამ „კარებით“ შეიძლება იყოს ნაკვალევი ქართის ტომის განსახლებისა უძველეს დროს, რომ ეს ზეგანი[9] უნდა ყოფილიყო ქართის ტომის სიძლიერის პირობა (მესაქონლეობა, მეხორბლეობა, მეტალურგია), რომ თრიალეთის კულტურა ამისი ნიშანია, რომ ეს კულტურა არ შეწყვეტილა, რომ ის გადაიზარდა მცხეთის ქართლის კულტურაში...“[10] ასე რომ, თუ, ნიკო ბერძენიშვილის აზრით, ჩვენი (ქართველთა) უძველესი ადგილსაცხოვრისი ქართლი გახლდათ, მეორე მხრივ, ასეთად გულისხმობდა ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიებსაც. ამასთანავე, საკითხავია, აღნიშნული ტოპონიმები გვაროვნული წყობილების ხანისაა თუ მერმინდელი?

---

8 ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 58.

9 ალბათ იგულისხმება ყარსის ზეგანი.

10 იქვე, გვ. 236-37. აქვე ვკითხულობთ: „კარი ამ რაიონში მოწმობაა იმისა, თუ რა ენაზე საუბრობდნენ ეს „კარელები“ შუაბრინჯაოს ხანაში და შემდეგ. რომ „არიან – ქართლი“ მხოლოდ ამას შეიძლება მოწმობდეს... რომ ამასვე მოწმობენ ურარტული წყაროები“. იქვე, გვ. 237. კერძოდ ჭოროხის აუზში არსებული ერთი ტოპონიმის თაობაზე კი აღნიშნულია: „თუხარისი შეიძლება გადმონაშთი იყოს იმ ვითარების, როცა კელელს, ზღუდეს თუხარ-ი, თიხარ ეწოდებოდა“. იქვე, გვ. 59.

ასევე ჩამოთვლილი ტოპონიმები აშკარად ქართული (ქართების) წარმომავლობისაა, ჩვენი წინარე ენის დონეზე ისინი სხვაგვარად იქნებოდნენ გაფორმებულნი. ჩვენს ცნობილ ისტორიკოსს, ზოგიერთი წინამორბედის მსგავსად, მიაჩნდა, რომ იბერები და ქართები სხვადასხვა წარმოშობის (ქართველური ეთნიკური სამყაროს შიგნით) იყვნენ — ხან ენებისა და ხან დიალექტების (ქართულის შიგნით) დონეზე.

საერთოდ, მიუხედავად წინაალმდეგობრიობისა და აზრის დაუსრულებლობისა, ნიკო ბერძენიშვილის თვალსაზრისი ქართველთა ეთნოგენეზისის შესახებ ანგარიშგასაწევია და გასათვალისწინებელი საკითხის შემდგომი კვლევა-ძიებისას.

საკითხის ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით მიზანშეწონილია შევჩერდეთ თამაზ გამყრელიძის და ვიაჩესლავ ივანოვის ერთობლივ ნაშრომზე „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ (1984). მათ მიერ გადასინჯულ იქნა გლოტოქრონოლოგიურ მეთოდზე დამყარებით გიორგი კლიმოვის მიერ მიღებული დასკვნები. ისინი მიიჩნევენ, რომ წინარექართული (ქართველური) ენა არსებობდა ძვ. წ. IV–III ათასწლეულებში; ჩვენს წინარე — ენას კი გამოეყო სვანური ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში (ჯერჯერობით დიალექტის დონეზე), ერთი ათასწლეულის გასვლის შემდგომ კი მოხდა ზანური და ქართული ენების დაშორიშორება. ავტორთა შეხედულებით, გეოგრაფიულად ჩვენი საერთო წინარე ენა არსებობდა, ფუნქციონირებდა მცირე კავკასიონის ფარგლებში (დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში). სჩვიგან თ. გამყრელიძე მიუთითებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონს.[11] სამწუხაროდ, თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ჩვენთვის ძალზე საინტერესო თემას გაკვრით და არა სისტემურად, ვაშლილი სახით, ეხებიან, ხოლო ინდოევროპელთა წინარე ენისა და პროტოკულტურის რეკონსტრუქციის საკითხს მეტად ვრცლად იხილავენ. ჩვენს მაგალითზე კი უაღრესად სიტყვაძუნწნი არიან. საინტერესო იქნებოდა, კერძოდ, მათ მიერ ჩვენი წინარე ენისა და პროტოკულტურის (მსოფლმხედველობის ჩათვლით) გააზრება არქეოლოგიური კულტურების (შულავერ-შომუთეფეს, მტკვარ-არაქსის, თრიალეთის) ამფუძველზე. ამის გარეშე საკითხის კვლევა-ძიება ფრიად ფრაგმენტული ხასიათისაა.

---

11 მაგრამ სამცხეში და ჯავახეთის დასავლეთ ნაწილში არსებული ზანური ტოპონიმები (ამის თაობაზე იხ. თეიმურაზ მიქელაძისა და გურამ თოფურიას შრომები) იმას მიგვანიშნებს, რომ ამ რეგიონში ზანებამდე ქართები ან მესხები არ სახლობდნენ.

დაბოლოს დაესძენთ, რომ ზოგიერთი არქეოლოგოსის (გიორგი ქაუთარაძის და შოთა ჩართოლანის) მოსაზრებით ქართველთა პირველსაცხოვრისი სადღაც შორს ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში უნდა ყოფილიყო. ყოველივე ეს კი დღესდღეობით საკითხის გააზრების არადამაკმაყოფილებელ დონეზე მიუთითებს.

§3 საკითხის პოზიტიური გააზრების ჩვენეული ცდა

როგორც დაგინახეთ, ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხში ბევრი რამ ახლებურ გააზრებას საჭიროებს. ამისათვის, ვიმეორებთ, აუცილებელია მოცემული თემისადმი სხვადასხვანაირი – ისტორიოგრაფიული (ისტორიკოსისეული), არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ენათმეცნიერული და სხვ. მიდგომანი, შემდეგ კი, მიღწეულის საფუძველზე, ერთიანი თვალთახედვის შემუშავება, როგორც ამას თავის დროზე აკეთებდა ივანე ჯავახიშვილი. ცხადია, საკითხით დაინტერესებული სამეცნიერო ძალებით ჩვენშიც ბევრი რამის მიღწევა შეიძლება. თუმცა, შესაბამისი ზოგადი მეცნიერული მეთოდების გამოყენების გარეშე ამ დიდ პრობლემას სათანადოდ თავს ვერ გავართმევთ.

მეცნიერების დღევანდელ დონეზე ცხადი ხდება, რომ ჩვენი ეთნიკური ტერიტორია იმთავითვე დასახლებული იყო ქართველებით. დასავლეთის მეცნიერებაში თაბალ-თუბალების პრობლემის სხვანაირად გადაწყვეტის შედეგად ჩვენი მოსვლა-არმოსულობის საკითხს პასუხი გაეცა, ნათელი მოეფინა და ამდენად გამოირიცხა დიდი გარეგანი მიგრაციაც. ამასთან დაკავშირებითვე მოიხსნა იბერების ტიბარენებთან – აშკარად ზანური (მეგრულ-ჭანური) მოდგმის ხალხთან იდენტიფიკაციის საჭიროებაც; ამდენად ზედმეტი ხდება იბერებისა და ქართების სხვადასხვა ხალხებად (თუმცა ერთი ეთნოსის ფარგლებში) წარმოდგენა. აქედან გამომდინარე, ქართების საიდანლაც შორიდან, სამხრეთიდან მოსვლის ვარაუდიც მოიხსნა.

დიდად საეჭვო ხდება საკითხის კვლევა-ძიებისას ე. წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდის გამოყენება, კერძოდ რუსი ენათმცენიერის გიორგი კლიმოვისეული დასკვნები. ამდენად საჭიროა ჩვენი ეთნიკური დიფერენციაციის (საერთო წინარეეთნოსიდან ჯერ სვანების, ხოლო

შემდეგ ზანებისა და ქართების დაშორიშორება) მიღებული თარიღების დაძველება (რაც უკვე გააკეთეს თ. გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა). კერძოდ, სვანური ენის გამოყოფის დაწყების საერთო წინარეენიდან უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისიდანვე კარგად ესადაგება არქეოლოგიური ფაქტებიც (იხ. არქეოლოგოს შ. ჩართოლანის შრომები).

ამ საკითხთან დაკავშირებით გადასინჯია ფართოდ გავრცელებული აზრი, რომელიც იუანე ჯავახიშვილისაგან მოდის, და რომელსაც მხარს უჭერენ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი: თითქოს მთელი დასავლეთი საქართველო ერთ დროს აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის ეთნოსს ჰქონდა დაკავებული. ვიმეორებთ, ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისიდანვე სვანთა დასახლება დასავლეთ საქართველოში საფუძვლიანად ეწინააღმდეგება აღნიშნულ შეხედულებას. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ხალხების წარმოშობის დაკავშირებას მაიკოპის კულტურასთან (ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი). მეორე მხრივ, თუ მათს დასახლებას დასავლეთ საქართველოში ქაშქებსა და აბეშლაელების მიგრაციებს დავუკავშირებთ, მაშინ, ცხადია, მათი მოსვლა უფრო გვიანდელ ხანაში უნდა მომხდარიყო. აქ დავუმატებდით, რომ კერძოდ აფხაზთა ეთნოგენეზისი დიდი სირთულის პრობლემაა და მის მეცნიერულ გადაჭრას ჩვენგან, ქართველებისაგან, მეტი ძალისხმევა ესაჭიროება.

დახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ზანებმა (მეგრელ-ჭანებმა) უკვე დაიწყეს ქართებისგან გამოყოფა (ჯერჯერობით წინარექართული ენის დიალექტის დონეზე). ენათმეცნიერების გარდა ამას ადასტურებს აგრეთვე სულ მოკლე ხანში კოლხური არქეოლოგიური კულტურის გაჩენაც (თავდაპირველად ალბათ ჭოროხის აუზში).

გასააზრებელია ჩვენი, ქართველობის, სამივე შტოს საერთო წინაპარი ეთნოსისა (ტომთა კავშირის) და მისი ენის ფუნქციონირების ადგილსამყოფელი. ფაქტია, რომ დღევანდელი კახეთის რეგიონში ამ ტერიტორიას ვერც ეგულისხმებთ, აქ ჩვენს მოდგმას წინ უსწრებდნენ ალვანური მოდგმის ტომები (პერები, ალვანები, ლბინები, ჭილბები და სხვ.). ქართული (ქართების) მოდგმის კახები და კუხები (თუ კოხები) აქ საკმაოდ გვიან გავრცელდნენ და ამ პროცესის შესახებ წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ საკუთრივ ქართული წერილობითი წყაროებით. იგივე ითქმის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მიმართაც, რომელსაც ჯერ კიდევ ინახური მოდგმის ხალხი ასახლებდა

სერიოზული პრობლემა გახლავთ საკითხი იმის თაობაზე, თუ სად უფროა საძიებელი (ჭოროხის აუზში თუ ქართლში?) ჩვენი საერთო წინაპარი ეთნოსის არეალი. პირადად ჩვენ უფრო იქითკენ ვიხრებით, რომ ასეთ ტერიტორიად წარმოვიდგინოთ ქართლი (ამ ვარაუდს გამოთქვამდა ნიკო ბერძენიშვილი და იზიარებს არქეოლოგოსი ოთარ ჯაფარიძე).[12] არქეოლოგიური ფაქტები რომ მოვიხმოთ, შიდა ქართლში ქართული (ქართების) მიდგმა აშკარად ჩანს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ იგივე უწყვეტი ჯაჭვის მიხედვით შუა – ადრებრინჯაო, ენეოლითის ჩათვლით ამავე რეგიონში. პრობლემად რჩება გარკვევა იმისა, თუ ამ ისტორიულ ჯაჭვს წინ, ნეოლითის ხანაში, რა ეთნიკური წარმოშობის მოსახლეობა უსწრებდა. ისინიც ჩვენი ახლო წინაპრები იყვნენ, თუ ჩვენი წინაპრები აქ მიგრაციის გზით გაჩნდნენ. ჭეშმარიტებას მომავალი ინტენსიური კვლევა-ძიება დაადასტურებს, რომელიც, თავის მხრივ, უნდა ხდებოდეს, ჯერ ერთი, კომპლექსურად, მრავალ მეცნიერებათა სინთეზის საფუძველზე, და მეორე, კვლევა-ძიება უნდა მიმდინარეობდეს მაღალ მეთოდოლოგიურ დონეზე. გამოსაყენებელ მეთოდთაგან განსაკუთრებით პერსპექტიულად მიგვაჩნია რეტროსპექციული მეთოდი.

საერთოდ, როგორც ვიცით, რაიმე მოვლენის ისტორია იწერება თავიდან, როცა მისი საწყისი ფაზა ცნობილია, მაგრამ როდესაც უცნობია, მაშინ განვითარების პროცესს თვალი უნდა გავადევნოთ ბოლო ფაზიდან, როცა მოვლენა უკვე თავჩენილი გახლავთ.[13] აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს ეთნიკურ ისტორიაზე თვალის

---

12 შეგახსენებთ, რომ გ. ქლიმოვის აზრით „ზაე"-ი (ქართული დიალექტური zow) (оползень снеговой) (სვანურად zaj-, zaj-, zah-) წარმოადგენს ერთ-ერთ საინტერესო იზოგლოსას, რომელიც ქართველს აერთიანებს სვანურთან, და რომელსაც შეუძლია გვაჩვენოს ძველი ქართველების გეოგრაფიული დასახლების (обитания) ხასიათის თაობაზე. (იხ. მისი „Этимологический словарь...", გვ 90). ასევე „მარწყვიც" (სვანურად basqi-, basq-) თითქოსდა იმას მიუთითებს, რომ ეს საერთო ტერიტორია კავკასიონის მაღალმთაში იყო (იქვე, გვ 127). (სხვათა შორის, ამ აზრს იზიარებს გ. მელიქიშვილიც). მაგრამ განა ამავე რეალიებს ადგილი არ მოეძებნებათ სხვაგან, ჩვენს მთიან ადგილებში?!

13 შევნიშნავთ, რომ აღნიშნული მეთოდის არსი მშვენიერად ჰქონდათ გაცნობიერებული ილია ჭავჭავაძესა და იოანე ჯავახიშვილს.

გადეცნება უნდა შეეძლოთ უფრო ცნობილი საფეხურიდან ნაკლებად ცნობილისაკენ ან უცნობისაკენ. როდესაც ამ მეთოდით ჩვენს წინარე ეთნიკურ ერთობას ჩავწვდებით, შემდგომ დღის წესრიგში უნდა დადგეს კავკასიელი ხალხების წინარე ეთნიკური ძირების გაცნობიერება – გაცხადება.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი დღევანდელი ღონისძიება დასაბამი იქნება დიდად აქტუალური საკითხის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.

1997 წ.

დიაუხ//ღიაოხის ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის

როგორც ცნობილია, ძვ. წ. XII-VIII საუკუნეებში ჭოროხის აუზსა (ზემო და შუაწელზე) და ევფრატის სათავეებში (ზემოთში) მდებარეობდა ქვეყანა, რომელსაც ასურელები Daiaeni//Diani-ს, ხოლო ურარტულნი Daiauhi//Diauehi-ს სახელით მოიხსენიებდნენ. რასაკვირველია, მთლიანად აღებული, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის მასშტაბით აღნიშნული გაერთიანება სერიოზული მნიშვნელობისა არ იყო, მაგრამ საქართველოს ისტორიის თვალთახედვით მას საკმაოდ დიდი აქტუალურობა ენიჭება. ჯერ ერთი, იგი მდებარეობდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და ამდენად ცივილიზაციის გზაზე შემდგარი დაიაენი//დიაუხი ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს (მით უმეტეს, როცა ვემზადებით უახლოეს წლებში ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობის მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნისათვის) და მეორე, დაისმის კითხვა ქვეყნის მცხოვრებთა ეთნიკური ხასიათის თაობაზე — ვინ იყვნენ ისინი: ქართველური ტომების (ხალხების) წარმომადგენელნი თუ სხვა ეთნოსი. შეიძლება ითქვას, რომ მისი მნიშვნელობა ჩვენს ისტორიაში ისეთივეა, როგორც ურარტუსი — სომხეთისა და მანას სახელმწიფოსი ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის ისტორიაში.

დაიაენ//დიაუხის არსებობის შესახებ მეცნიერებამ შეიტყო გასული საუკუნის ბოლო ხანს. საკუთრივ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად მას ყურადღება მიაქცია მოსე ჯანაშვილმა. მისეულ „საქართველოს ისტორიის“ პირველ ტომში (1906) ვკითხულობთ, რომ ნაირის ტომისანი იყო დაიუნი ანუ დიაუხინი, „მრავლობითი რიცხვის დაბოლოება -ენი რომ მოვაშოროთ ამ სიტყვებს, დაგვრჩება დაი, დიაუხი და ეს სახელი კი ერქვა ქართველთა თემს დაი-ს=ტაო-ხ=ტაოხ-ს“.[14] აქვე იყო მოხსენიებული „დაიენის“ მეფე „სენი“, რომელიც

14 იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

მოსე ჯანაშვილის განცხადებით მედგრად ებრძოდა ასურელებს. ცხადია, ავტორს აღნიშნული გავრთიანება ქართულად მიაჩნდა.[15]

თუმცა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ნიკო მარს პირდაპირ არ გამოუთქვამს აზრი, მაგრამ მაინც დიდად საყურადღებოა მისეული სათანადო შეხედულება. 1911 წელს „გიორგი მერჩულეს" გამოცემის[16] წინასიტყვაობასა და შესავალში ნ. მარი აღნიშნავდა, რომ ტაო-კლარჯეთის აბორიგენები იყვნენ თუბალ-კაინები ანუ მეგრელ-ჭანები, რომ „ჩვენთვის საინტერესო რაიონში ისინი გადაჯაჭვულნი იყვნენ ერთმანეთთან და ჯერ არ დამდგარა დრო გადაჭრილ იქნას კითხვა, თუ რომელი მათგანი, იბერები თუ ჭანები, ბინადრობდნენ თავდაპირველად აღნიშნულ საზღვრებში".[17]

1912 წელს ჟურნალ „განათლებაში" დაბეჭდილ სტატიაში „ქართველი ტომები"[18] ალექსანდრე სვანიძე მიმოიხილავდა დასავლეთ ევროპელ ორიენტალისტთა აზრებს ჩვენთვის საინტერესო პრობლემის თაობაზე, კერძოდ, მიუთითებდა ედუარდ მაიერისა და ვილჰელმ ბქლკის თვალსაზრისს ლურსმული წარწერების „დაიაენების" ტაოს მცხოვრებლებთან (ტაოელებთან) კავშირზე. ამავე წარწერების მიხედვით, როგორც ავტორი აღნიშნავდა, ეს ქვეყანა ნაირის მხარის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდინარე „არსანიას" (თანამედროვე მურად-სუ) ზემოთ მდებარეობდაო. სომეხ ისტორიკოსთაგან განსხვავებით, რომლებიც ტაოს (ტაოსკარს) სომხეთის უძველეს პროვინციად მიიჩნევდნენ, ალ. სვანიძე აღნიშნულ მხარეს ძირძველ ქართულად თვლიდა. სპეციალურ სტატიებში „საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები საქართველოში", „К походам урартийцев в Закавказье в IX и VIII вв. до н. э."

---

15 ისტორიკოსი უძველესი პერიოდის ტოპონიმად თვლიდა ტაოს-კარს -- ქვეყანაში სამხრეთიდან შემოსასვლელ კარებს, ხოლო ჩრდილოეთიდან ამავე ფუნქციას ასრულებდა ტაშისკარი (ცნობილ „ტაოხისკარი"). დასახ. ნაშრომი, იქვე.

16 იხ. Тексты и разыскания по армянско-грузинской филологии, VII, СПБ., 1911.

17 იქვე, გვ. II.

18 იხ. აღნიშნული ჟურნალის VII და IX ნომრები. დაიბ//ტაოს საკითხ., იხ. აგრეთვე № IX, გვ. 651-652.

და „Тао-Кларджетия в конце IX и в VIII веке до нашей эры"[19] საქართველოში მოღვაწე ისტორიკოსი პეტრე უშაკოვი ყურადღებას ამახვილებდა საკითხის მთელ რიგ ასპექტებზე. კერძოდ თვლიდა, რომ აღნიშნულ გაერთიანებას გარდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილისა ეკავა აგრეთვე ყარსის ოლქი და კაღიზმანის რაიონი. პ. უშაკოვის აზრით დიაენ/დიაუხი უკვე სახელმწიფოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა. იგი ასეთ ზოგად ხასიათის მოსაზრებას გამოთქვამდა: „ურარტულთა მუდმივი შემოსევები და ადგილობრივი მოსახლეობისათვის გამანადგურებელი თავდასხმები ამიერკავკასიაში, ბუნებრივია, აძლიერებდნენ მისწრაფებას გაერთიანებისაკენ, ფედერაციების შექმნისაკენ და ყველაზე იღბლიანი სატომო ბელადების წამოწევას მსხვილი კავშირების მეფეთა როლში, რომლებსაც თავისთან ისეთივე წესები შემოჰქონდათ, როგორ მაგალითებსაც იძლეოდნენ მათი თანადროული ასირია ან ბიაინა. ამასთან იყო დაკავშირებული გვაროვნული ყოფის საბოლოო დაშლა და წარმოქმნა ძლიერი სამხედრო ერთეულებისა, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, თავს უნდა დასტყდომოდნენ წინა აზიის სახელმწიფოებს".[20] პეტრე უშაკოვის შეხედულებით ეთნიკურად „დიაუხები" იგივე ტაოხები იყვნენ და მიეკუთვნებოდნენ ქართულ (ქართველურ) ეთნოსს. იგი ცდილობდა შესაბამისი ონომასტიკური ქართველური ენების მეშვეობით გაეაზრებინა. ასე მაგალითად, დიაუხის მეფის სახელის „უცუფურსის" ეტიმოლოგიას იძლეოდა მეგრულ-ჭანური ენის საფუძველზე – „უჩა" – შავი და „პურსი" – კრაზანა. ჰორობის ერთ-ერთი ძველი სახელწოდება Arpasos-ის ახსნას კი ცდილობდა ქართული სიტყვების – „ხარი" და „ფშა" (მდინარის წყარო) მეშვეობით. (აქედან გამომდინარე, თითქოს როდესაც ბერძნებმა შესაბამისი სახელწოდება თარგმნეს როგორც Bôus, ამით სიტყვის საფუძველში იგულისხმესო ხარი (Boûs) და არა Bôια (ვყვირი)). ქვეყანა „დიდის" ეტიმოლოგიის დადგენას იგი ცდილობდა შესაბამისი ქართული (ასევე არის მეგრულში და ჭანურში) სიტყვის მეშვეობით.

ჩაგრამ ამჯერად საკითხავია, დიაუხი კონკრეტულად რომელი

19 იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1940, X-B; ВДИ, 1946, № 2 (სტატია დაწერილია 40-იანი წლების დასაწყისში); ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, XX, 1941.

20 К походам урартийцев..., გვ. 44.

ქართველური ხალხით იყო დასახლებული, თუმცა ამის თაობაზე პ. უშაკოვთან პასუხს ვერ ეპოულობთ. მკლევარი აღნიშნავდა მხოლოდ, რომ ურარტულ ხანასთან შედარებით ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს, როცა აქ ბერძენთა ათიათასიანმა ლაშქარმა გაიარა, დიაუხი საგრძნობლად დაკნინდა. ყოველივე ამას კი იგი ხსნიდა გარეშე ხალხთა, განსაკუთრებით სკვითებისა და კიმერიელების შემოსევებით.

პ. უშაკოვის აზრით, ტაოხების ნაწილი შეიძლება გაედევნათ და მიემწყვდიათ კასპიის ზღვისაკენ და, საერთოდ, აღმოსავლეთისაკენ. გამომდინარე აქედან, მეცნიერი აყენებდა ასეთ კითხვას: ხომ არ ჰქონდათ დახებს, რომელთაც ჰეროდოტე მოიხსენიებდა (I-125) როგორც მომთაბარე ტომს, რაიმე საერთო დიაუხიელებთან, ე. ი. ხომ არ გადმოეცათ მათ მემკვიდრეობით, ირანიზაციის გამო, უფრო ძველი, „იაფეტური“ სახელწოდება?[21]

ივანე ჯავახიშვილი ურარტუოლოგიას იცნობდა. როგორც ჩანს, პ. უშაკოვის შრომების მეშვეობით. 1939 წელს დაწერილ ნაშრომში იგი მოიხსენიებდა „დიაუხის“.[22]

თ. მიქელაძე თავის მონოგრაფიაში „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან“ (1974) თვლიდა, რომ დაიაენი იგივე აია არის,[23] ხოლო „აია-კოლხეთის (დაია-კოლხას) სამეფო ქართველ ტომთა პირველი სახელმწიფოა.[24] ავტორის შეხედულებით, „როგორც ჩანს, კოლხა დიაუხის განუყოფელი ნაწილი იყო, მისი ერთ-ერთი პროვინცია და წყაროებში სამეფოს ძველი სახელის შეცვლა კოლხას სახელით სამეფოს ცენტრის გადანაცვლებით უნდა აიხსნას“.[25] მისივე აზრით,

---

21 შევნიშნავთ, რომ პ. უსლარის აზრით, ჰეროდოტესეული დაები ანუ დაპები, რომლებიც თითქოსდა უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ ტრაპიზონის შემოგარენსა და სომხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ტაოხები იყვნენ. მეორე მხრივ იგი მათ, ზოგიერთ გერმანელ ავტორთან ერთად, გერმანული (გერმანიკული) წარმოშობისად თვლიდა. იხ. მისი „Древнейшие сведения о Кавказе“, Тифлис, 1881, გვ. 330.

22 იხ. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1950, გვ. 249.

23 დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

24 იქვე, გვ. 177.

25 იქვე, გვ. 166.

„მართებულად მიგვაჩნია, რომ სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია, და არა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უძველესი სახელმწიფოებრიობისა, დავიწყოთ ძვ. წ. XI საუკუნიდან მაინც, ძველბერძნული წყაროების აია-კოლხეთის სამეფოდან, ასურულ-ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში რომ დაიაენი//დიაუხი, კოლხას სამეფოდაა დამოწმებული".[26] ავტორი ასკვნის, რომ დაიაენ//დიაუხის მოსახლეობა დასავლურ-ქართული წარმოშობისა იყო.[27]

რასაკვირველია, ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიასაგან უეჭველი იყო ტაოხების ქართველურობა, მაგრამ თვით დიაენ//დიაუხის თაობაზე ისინი არაფერს აღნიშნავდნენ.

ამიანე მარცელინესთან მოხსენიებული „დაჰების" თაობაზე სიმონ ყაუხჩიშვილი და ალექსანდრე გამყრელიძე ამგვარ მოსაზრებას გვთავაზობდნენ: „შავიზღვისპირეთში ხალიბებსა, ტიბარენებსა, სასპირებსა და სხვა ქართველ ტომებს შორის აქ მათი მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ავტორი ან უბრალოდ ვერ ერკვევა მათ ვინაობასა და სადაურობაში, ანდა სხვა ბერძნულ-ლათინური წყაროების ტაოხების სახელში აერია, რომელთანაც გამოთქმით, თუ გავითვალისწინებთ ურარტული წარწერების დაახლოებით ამავე ადგილებში მცხოვრებ „დიაუხებსაც" მართლაც გარკვეულ მსგავსებას იჩენს".[28]

თავის საკანდიდატო დისერტაციაში „ქართველური ტომები ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში" (1992) მკვლევარი შოთა ასათიანი ამტკიცებს, რომ უკვე ძვ. წ. XII საუკუნეში ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, სამხრეთიდან მიმდებარე მხარეებითურთ (მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი — ზემო ევფრატის — ყარა-სუს შემოგარენი) ქართველური ტომებით იყო დასახლებული.[29] კერძოდ, მისი აზრით, ქართველურ ტომთა დიდ გაერთიანებას წარმოადგენდა დაიაენი//დიაოხი.[30] თუმცა იგი არ გამორიცხავს ვარაუდსაც, რომ გარკვეული როლი დაიაენ//დიაოხის ისტორიაში, მის გაძლიერებაში

---

26 თ. მიქელაძე, „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან", გვ 167.

27 იქვე, გვ 128.

28 იხ. გეორგიკა, I, 1961, გვ 151.

29 იხ. დისერტაციის ხელნაწერი, გვ 64-65.

30 იქვე, გვ 71

კოლხებთან ერთად ხურიტული წარმომავლობის ტომებსაც შეიძლება მიუძღოდეთ და ამგვარი მტკიცებისას შ. ასათიანი ეყრდნობა გ. მელიქიშვილის „ნაირი-ურარტუს“ ერთ ადგილს[31] (ამ საკითხზე საგანგებოდ შევჩერდებით). ამასთანავე, ახალგაზრდა მკვლევრის ფიქრით, „ამ პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო აღმოსავლურ-ქართული ტომების როლიც, რომელთა არსებობას დიაენის მიწა-წყალზე ასურულ და ურარტულ წყაროებში შემონახული საკუთარი სახელები ადასტურებენ (მოაქვს „დიდის“, „შეშეთის“, „შეშეს მთის“, „ხალდირიულხის“ მაგალითები, რომელთაც მართლაც აღმოსავლურ-ქართული ეტიმოლოგია მოეძებნება ანდა შესაბამის რეგიონში არიან საგულვებელიო.[32]

ახლახან გამოქვეყნებულ საგაზეთო სტატიაში „დასაბამი ქართული სახელმწიფოებრიობისა“[33] პროფ. ნოდარ ლომოური ჯერ, დასწყისში, საუსებით კატეგორიულად ლაპარაკობს დიაუხიზე, როგორც ქართველურ ტომთა მსხვილ გაერთიანებაზე, მაგრამ სხვა ადგილას უკვე შერბილებული ტონით, დაეჭვებით, აღნიშნავს: „დიაუხის გაერთიანებას სავარაუდოა მართლაც ტაოელთა წინაპარი ტომი ედგა სათაეში, მაგრამ იყო კი ეს გაერთიანება ქართველურ ტომთა კავშირი?! შესაძლოა მასში სხვა, მაგალითად, ხურიტული ტომებიც შედიოდნენ“.

ჩვენში ფართოდ გავრცელებული შეხედულებით დიაენი//დიაუხი ქართული სამყაროს განუყრელ ნაწილად მიიჩნევა. მაგალითად, „საქართველოს ისტორიის“ მე-8–9 კლასების სახელმძღვანელოში (ნოდარ ასათიანის რედაქციით) აღნიშნულია, რომ „საქართველოს ისტორიული ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჩვ. წ.-მდე II ათასწლეულის ბოლოსათვის ძველაღმოსავლური წყაროები ასახელებენ ქართველ ტომთა დიდ გაერთიანებას, რომელსაც დიაოხი (დიაენი) ეწოდებოდა.“[34] „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეცხრე ტომში ტაოხები, ე. ი. დიაუხის ქვეყნის მცხოვრებნი „ქართველ ტომად“ არიან წარმოდგენილნი (სტატიის ავტორია მერი ინაძე). აქვე (იხ. სტატია „ტაო“) ტაოხები დასავლურ-ქართული შტოს

31 დისერტაციის ხელნაწერი, გვ. 72.

32 იქვე, გვ. 72.

33 იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1997 წლის 27 ივნისი – 4 ივლისი.

34 სხვათა შორის, აქ დიაუხის გაერთიანება ხან „ტომთა დიდ კავშირად“ მოიხსენიება (იქვე) და ხან „უკვე სახელმწიფოებრივ ერთეულად“ (გვ. 88).

ტომად (ხალხად) არიან წარმოდგენილნი. ამ მხრივ, დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქოს ყველაფერი გარკვეულია, გარდა იმ მოსაზრებისა, თუ ქართველური ტომების რომელ შტოს განეკუთვნებიან დიაოხის ძველი და შედარებით გვიანდელი მკვიდრები (ტაოხები).

თუ საკითხს უფრო ჩავულრმავდებით, აღმოჩნდება, რომ დიაუხის ეთნიკური კუთვნილების პრობლემა ბევრ გაურკვეველობასთან არის დაკავშირებული. ჯერ კიდევ რუსულად გამოცემულ „Всемирная история"-ს პირველ ტომში (1956) მართალია, დაიენ-დიაუხის შესახებ ვრცლად არის მოთხრობილი (იგორ დიაკონოვის მიერ), მაგრამ მისი ეთნიკურ კუთვნილებაზე არაფერია ნათქვამი. 1968 წელს ერევანში რუსულ ენაზე გამოსულ ნაშრომში „Предыстория армянского народа" ი. დიაკონოვი უფრო იმ აზრისაკენ იხრებოდა, რომ დიაუხი ხურიტულ ტომთა გაერთიანებას წარმოადგენდა.[35] ავტორის მიხედვით, თვით სუფიქსები -„ინი", -„ხი" ხურიტულ-ურარტული ფორმისაა, ხოლო ხურიტულ ენაში კი სიტყვის დასაწყისში ბგერა „დ" გადადიოდა „ტ"-ში. ამავე ავტორის ვარაუდით, დიაოხის (ტაოხების) ტომი დროთა მსვლელობაში გაქართველდა, კერძოდ ჭანებად იქცა.[36] მოგახსენებთ იმასაც, რომ აღნიშნული წიგნის 180-ე გვერდზე თანდართულ საისტორიო რუკაზე დიაოხი საერთოდ კოლხური კულტურის არეალის გარეთაა წარმოდგენილი.

ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ჰ. მანანდიანი დიაე///დიაუხის ლოკალიზაციას ახდენდა არზრუმის რეგიონში, პარიადრის მთისწინეთში,[37] მაგრამ ნაშრომში თანდართულ რუკაზე მას უფრო სამხრეთით, სუხმისა და მელიდის მოსაზღვრედ (ჩრდილოეთის მხრივ) მიიჩნევდა.[38] იგი, ი. დიაკონოვისაგან განსხვავებით, თავს იკავებდა რაიმე ეთქვა დიაუხის ეთნიკური კუთვნილების თაობაზე.

ი. დიაკონოვის, ვ. ნერონოვასა და ი. სვენციცკაიას რედაქციით მოსკოვში 1983 წელს რუსულ ენაზე გამოსულ „История древнего мира"-ს მეორე წიგნში პირდაპირაა აღნიშნული, რომ ტაოხების

---

35 იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 16; აგრეთვე გვ. 143, 211.

36 იქვე, გვ. 399, აგრეთვე გვ. 50.

37 იხ. ავტორის „О некоторых спорных проблемах истории и географии древней Армении", Ереван, 1956, გვ. 19.

38 იქვე, გვ. 28.

ქვეყანა ხურიტული სამეფო იყო, „რომელსაც, თავის მხრივ, ყოველ შემთხვევაში XIII–XII სს. მოკიდებული VIII ს. ჩათვლით (ძვ. წ.) ეკავა XV–XIV სს. წინასახელმწიფოებრივი გაერთიანება ხაიასას ყოფილი მიწა-წყალი (მდინარე ჭოროხის ველზე და ზემო ევფრატის ჩრდილოეთით)".

როგორც ვხედავთ, დაიაენ//დიაუხის საკითხის გადაწყვეტაში რიგმა ქართველმა და რუსმა ავტორებმა სიცხადეს ვერ მიაღწიეს. ახლა მივმართავთ ამ საკითხში ალიარებულ ავტორიტეტს — აკად. გ. მელიქიშვილს. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" მესამე ტომში დაბეჭდილი სპეციალური სტატია „დიაუხი, დიაოხი, დაიაენი", როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ მას ეკუთვნის. მაგრამ სტატიაში დიაუხის ეთნიკურ კუთვნილებაზე აბსოლუტურად არაფერია ნათქვამი. მეტიც, იგივე ითქმის დიაუხის მკვიდრთა შთამომავალი ტაოხების შესახებაც (ამავე სტატიაში). მაგრამ თუ ავტორის სხვა ნაშრომებსაც გავეცნობით, მაშინ საკითხის შესახებ ავტორის აზრი ასე წარმოგვიდგება.

1950 წელს გ. მელიქიშვილმა დაბეჭდა ვრცელი, სპეციალური სტატია „დიაუხი", რომელშიც ნათქვამია, რომ დიაუხის მოსახლეობა, ყოველ შემთხვევაში მისი წამყვანი ეთნიკური და პოლიტიკური ბირთვი, ხურიტები იყვნენ. ავტორი წერს: „...ამ ტერიტორიაზე მოსახლეობის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ ხური-ურარტული ტომები, ამასთანავე აღნიშნული ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში, ჩვენთვის საინტერესო ქვეყანა დაიაენი//დიაუხის ოლქში, როგორც დაეინახეთ, ჭარბობდნენ ხურიტული ელემენტები. დიაუხის სამეფოს მოსახლეობის ძირითადი ბირთვი, მთელი ალბათობით, იყო ხურიტული ან და ძლიერ ხურიტიზებული".[39] ამასთანავე ამ მხარის პოლიტიკურ გაერთიანებაში, ავტორის ვარაუდით, შედიოდნენ აგრეთვე ზოგიერთი მეზობელი ურარტული და აგრეთვე ქართველი(!) ტომები. აქვე ვკითხულობთ: „დიაუხის მოსახლეობის ხურიტული ხასიათის გამოკვლევა(!) სრულიადაც არ არის მოულოდნელი: ეთნიკური აზრით ხურიტული სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასია(!) წარმოადგენს მასთან სამხრეთიდან მომიჯნავე ხურიტული რაიონების (ხურიტული Suhmi, Kummuhi და ა. შ.) უშუალო გაგრძელებას".[40] ავტორისავე დაკვირვებით ძვ. წ.

---

39 იხ. „Вестник древней истории", 1950. გვ. 34.

40 იქვე გვ. 34.

II ათასწლეულის ბოლოს, ასირიელებისა და არამეელების მიერ სამხრეთის ხურიტული ცენტრების განადგურების შემდგომ, ხურიტული ტომების პოლიტიკური ცენტრი ინაცვლებს ჩრდილოეთით, ქვეყანა დაიაენის რაიონში".[41]

გ. მელიქიშვილი აღნიშნულ მოსაზრებას ასაბუთებდა სათანადო არგუმენტაციით. მისეული ზოგადი მოსაზრებით, სუფიქსები -ხი//ხა და (i//a, n) ni, რომლითაც მთავრდებოდა სამხრეთ ამიერკავკასიის სახელწოდებათა და სახელების უმეტესობა, ძირითადად იყო ადგილობრივი-ხურიტული და არა ურარტულთაგან შერქმეული.[42] ავტორის შეხედულებით, „ჩანს, ხურიტული იყო სატომო სახელწოდება Daia(e)ni//Diay(exu), რომელშიც, ჩვენ, მთელი ალბათობით, გვაქვს ხურიტულ ონომასტიკაში ფართოდ გავრცელებული tai-, რომელიც ხშირად გვხვდება ხოლმე, სხვათა შორის, ნუზის წარწერების ხურიტულ სახელში „*taiuku*"; შესაძლებელია, სწორედ ეს ხურიტული „*tai/uku*" წარმოადგენს სახელწოდება Daia(ϵ) ni//Diau(ϵ)hi-ს პროტოტიპს. ამგვარი დასკვნის შუქზე შესაძლებელი ხდება ვიგულისხმოთ, რომ ამ სახელწოდების ადგილობრივი ფორმა გახლდათ Daiuhi (Daiohi) ანდა Daiuki (Daioki)-ც კი".[43] დაბოლოს, გ. მელიქიშვილი დიაუხის მეფეთა (სიენი, ასია, უტუფურშინი) სახელების ეტიმოლოგიას ხურიტული ენის მეშვეობით ადგენდა.

ანალოგიურ აზრს გადმოსცემს ავტორი ნაშრომში „უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე"[44] და სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევში „ურარტუ", რომლებიც 1951 წელს დაიბეჭდა. ამ უკანასკნელშიც აღნიშნულია: „დაიაენის ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ხურიტული ტომები შეადგენდნენ";[45] „ეტყობა ეს გაერთიანება თავიდან ხურიტული ტომების ჰეგემონობით ჩამოყალიბდა";[46] „დაიაენის სამეფო ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე

41 იხ. „Вестник древней истории", 1950. გვ 34.
42 იქვე, გვ 30.
43 იქვე.
44 იხ. ისტორიის ინსტიტუტის „მიმომხილველი", ტ. II, 1951..
45 დასახ. ნაშრომი, გვ 33.
46 იქვე, გვ 34.

ხურიტული სამეფო იყო"; „ამ ხანებშია (მითანის დაცემის შემდეგ, გ. ყ) რომ ჩვენ ვხედებით არზრუმისა და ევფრატის სათაეების რაიონში ხურიტული დაიაენის (დიაუხის) ტომის ჰეგემონობით ჩამოყალიბებულ მსხვილ გაერთიანებას"[47] და ა. შ.

თუმცა გ. მელიქიშვილის 1953 წელს გამოსულ ბროშურაში „ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხი" ერთ ადგილას დიაუხის გაერთიანება (მუშკების, ხალიბებისა და კოლხასთან ერთად) ქართველი ტომების დიდ გაერთიანებად მოიხსენიება,[48] მაგრამ ამ მტკიცებისათვის ავტორს რაიმე არგუმენტი არ მოჰქონდა. არც ის ჩანს, რომ იგი უარყოფდა თავის ადრინდელ განსხვავებულ შეხედულებას საკითხზე.

1959 წელს გამოსულ ნაშრომში „К истории древней Грузии" გ. მელიქიშვილი ტაოხებს მიიჩნევდა აღმოსავლურ-ქართული შტოს ტომად (ხალხად)[49] და მათ აიგივებდა ქსენოფონტეს „ანაბასისში" მოხსენიებულ პესპერიტებთან.[50] თუ ამ წიგნის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტორი ტაოხებს თელიდა „სპარსთაგან თავისუფალი ქართების ელემენტად"[51] (ქსენოფონტეს დროს). მაგრამ გაურკვეველი რჩება გ. მელიქიშვილის აზრი დაიაენ//დიაუხის ეთნიკური კუთვნილების თაობაზე; შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორის აზრით უწინ ეს ქვეყანა ხურიტებით იყო დასახლებული და შემდეგ მოხდა მათი გაქართება.

ასევე ორჭოფული პოზიციაა გამყარებული „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" პირველ ტომში (1970). ერთი მხრივ, გ. მელიქიშვილის მიხედვით „დიაოხის (დაიაენის) ქვეყნის ტოპონიმიკა, მმართველთა სახელები (მაგალითად, სენი „ძმა" ხურიტულად) ხშირად ხურიტულ ელფერს ატარებს".[52] სუფიქსი -„ხი"-ც თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ხურიტული კუთვნილების სუფიქსია;[53] „უნდა ვიფიქროთ, რომ დიაოხის მოსახლეობა ადრე მითანის სამეფოს შემადგენლობაში

---

47 გ. მელიქიშვილი, ურარტუ, გვ 35.
48 იქვე. გვ 29.
49 დასახ. წიგნი, გვ 268.
50 იქვე.
51 იქვე.
52 დასახ. ნაშრომი, გვ 364.
53 იქვე.

უნდა ყოფილიყო მოქცეული“.[54] მაგრამ მეორე მხრივ წიგნში ვკითხულობთ: „გამორიცხული არ არის აგრეთვე ისიც, რომ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ან მის მეზობლად ეცხოვრათ ცალკეულ ხურიტულ ტომებს“.[55]

კოლხას პოლიტიკური გაერთიანების შესახებ გ. მელიქიშვილი პირდაპირ აღიარებს: „როგორც გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის მატარებელი, ისე ძველი კოლხური სამეფოს მოსახლეობა უმთავრესად ქართველური ტომებისაგან შედგებოდა“.[56] მაგრამ ამასვე არ ამბობს დიაოხის თაობაზე. აქვე ვკითხულობთ: „ამრიგად, ძველი კოლხეთის სამეფო, რომელიც XI–VIII სს. არსებობდა, ქართველი ტომების უძველეს სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა“.[57] მაგრამ დიაოხი ხომ უფრო ადრე დადგა სახელმწიფოებრიობის განვითარების გზაზე? ამ თვალსაზრისით იგი რატომ არ უნდა ჩაითვალოს უძველესად? და ბოლოს, წიგნის მეხუთე თავში, რომელიც ქართველთა ეთნიკურ წარმომავლობას ეხება, დიაოხი ერთხელაც კი არაა ნახსენები. დავსძენთ იმასაც, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხი ავტორთან ძალზე ბუნდოვანდება იმ აზრითაც, რომ თითქოს „ამ დროს ქართებსა და მეგრელ-ჭანებს შორის ენობრივი განსხვავება ჯერ თითქმის არ იყო“.[58]

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რუსულ გამოცემაში (ტ. I) აღნიშნულია „დიაუხის მოსახლეობის წამყვანი, გაბატონებული ნაწილი“. უწინდელ შრომებში, როგორც დაგინახეთ, გ. მელიქიშვილი ასეთად მიიჩნევდა ხურიტებს. მაგრამ ამჯერად არ ჩანს თუ რომელი ეთნიკური ელემენტი – ხურიტული თუ ქართველური – იგულისხმება დიაუხის „მოსახლეობის წამყვან, გაბატონებულ ნაწილში“.[59] საერთოდაც ავტორის ამ გვიანდელ ნაშრომში არ შეინიშნება გარკვეულობა ჩვენთვის საინტერესო საკითხში.

ამრიგად, თუ თვალს გავადევნებთ გ. მელიქიშვილის მოსაზრებას

---

54 სინ, ტ. I, გვ. 364.
55 იქვე.
56 იქვე, გვ. 389.
57 იქვე.
58 იქვე.
59 დასახ. წიგნი, გვ. 203.

დიაოხის შესახებ, დავინახავთ რომ ერთი მხრივ შესაბამისი ონომასტიკონის განხილვის საფუძველზე იგი დაასკვნის მოსახლეობის ძირითადად ხურიტულ შემადგენლობას,[60] მაგრამ ამასთანავე, მეორე მხრივ თითქოს თავს იკავებს ასეთი კატეგორიული მსჯელობისაგან. ასეთივე პოზიცია უკავია მას ტაოხების მიმართაც.

ყოველივე აღნიშნულის შემდგომ დავსძენთ, რომ დიაუხის ეთნიკური კუთვნილების საკითხის თაობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდად ბუნდოვანი ვითარებაა. როგორც დავინახეთ, ერთი მხრივ, ვხვდებით გულუბრყვილო რწმენას ქვეყნის ქართული (ქართველური) ეთნიკური სამყაროსადმი კუთვნილების შესახებ, მაგრამ მეორე მხრივ საკითხის კვლევა-ძიებაში აღიარებული აუტორიტეტის გ. მელიქიშვილის არგუმენტაციით დიაოხი ძირითადად ხურიტების პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. რასაკვირველია, შესაძლებელია მის მიერ მოხმობილ არგუმენტთა გაბათილების მცდელობაც.

სუფიქსი -„ხი“ ოდენ ხურიტული ანდა ურარტუული ენის კუთვნილება როდი გახლავთ ხალხთა სახელწოდებების გაფორმებისას (მოვიგონოთ „მესხი“, „ჯავახი“). ჩვენი წინაპრების მიერ მეზობელი ქაიების, არმენებისათვის „სომეხის“ შერქმევა, „ჰენიოხი“, კახი, შესაძლოა „მოსინიკიც“; მისი ვარიანტია -„ეთი“-ზე დაბოლოება ეთნონიმ „სანიგში“.[61] გ. მელიქიშვილის შეხედულებითვე „კულხას“ და „ზაბახას“ დაბოლოებანი (სუფიქსები) ხურიტულია. მაგრამ საკითხის არსს

---

60 სხვათა შორის, ი. დიაკონოვი ანალოგიური აზრის მტკიცებისას სწორედ გ. მელიქიშვილის შეხედულებას ეყრდნობა. იხ. მისი „Предыстория армянского народа“, გვ 120–121. გიეი ფორდანია წერს: „დიაოხის მოსახლეობა ეთნიკურად ახლოს უნდა მდგარიყო ხური-ურარტულ ტომებთან, და ამ ადგილების მოსახლეობის ძირითად ბირთვს ხური-ურარტული ტომები წარმოადგენდნენ, ასასთანავე სჭარბობდნენ ხურიტული ელემენტები“ (იხ. ავტორის ნაშრომი „შეხურულთა და არამ ხუტუს ეინაობის შესახებ“, თბილისი, 1956, გვ 61). ამის მტკიცებისას ავტორი გამოდის აგრეთვე გ. მელიქიშვილის თვალსაზრისიდან.

61 იხ. სიმონ ჯანაშიას „სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები“, შრომები, III, გვ 101. აქვე ვიტყვით, რომ ს. ჯანაშიას ჩაფიქრებული ჰქონია ამ საკითხზე შემდგომი კვლევა-ძიების წარმოება, იხ. აგრეთვე იე. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1950, გვ 249–250.

რომ თავი დავანებოთ, გამოდის, რომ ქართველების შემადგენელ ორ შესაბამის ტომს (ხალხს) თავიანთი სახელწოდებანი (ეთნონიმები) ხურიტებისაგან შეუთვისებიათ. მოვიგონოთ ისიც, რომ ჯერ კიდევ სიმონ ჯანაშია მიუთითებდა, რომ -„ხ“ მრავლობითობის ნიშანია ადილეურ ენაში. იგი წერდა: „მრავლობითობის ეს სუფიქსიეე უნდა გველინებოდეს კავკასიური ეთნიკის ერთი კატეგორიის მაწარმოებლის როლში (მესხი, ტაოხი, ჯავახი და სხვ.)“;[62] ს. ჯანაშიას აზრითვე, მსგავსი ფორმანტი -„ხა“ ადილეურის (ჩერქეზულის) ყველა ენაკილოში აწარმოებს გვარ-სახელებს კრებითი მნიშვნელობით (=ქართ. -“იანი“)[63] და იგივე სუფიქსი ამ ენაში აწარმოებს სატომო სახელებსაც (აბაძეხები = აბაზა[1]-ხა, აბძა-ხ).[64] ამგვარად მივუახლოვდით იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთობის ჰიპოთეზის საკითხს, რომელიც ერთობ მწვაეედ დგას თანამედროვე ქართულ ენათმეცნიერებაში.

თუ ჩვენთვის ცნობილი დიაოხის ანთროპონიმები (კერძოდ მეფეთა სახელები) შეიძლება ხურიტული ენის მეშვეობით აიხსნას (თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, პ. უშაკოვი ერთ-ერთი სახელის ახსნას სხვაგვარად შეეცადა), ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათს (მეფეთა) ხურიტულ წარმომავლობას. მაგალითად, როგორც ცნობილია, ქართველი მეფეების (როგორც წარმართობის, ისე ქრისტიანობის ხანისა) სახელწოდებებში საკუთრივ ქართული სახელები არა გვხვდება (მოვიგონოთ აგრეთვე მითანის ანთროპონიმიაც, სადაც საკმაოდ იყო წარმოდგენილი ინდოევროპული სახელები). ასე რომ, აღნიშნული არგუმენტით საკითხის გააზრებაში სიცხადეს ვერ შევიტანთ.

მაგრამ, რასაკვირველია, დიაუხის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხი ასე იოლად ვერ გადაიჭრება, რადგანაც არსებობს სხვა სიძნელეებიც, და მათ შორის შესაბამისი მხარის არქეოლოგიური შეუსწავლელობა.

შესაძლებელია ხურიტებმა ალმაყლობის ხანაში, მით უმეტეს საკმაოდ

---

62 იხ. სიმ. ჯანაშიას დასახ. ნაშრ., გვ 101.

63 იქვე, გვ 101–102.

64 იქვე, გვ 102. ქართულ გვარ-სახელებთან დაკავშირებით აღნიშნული. სუფიქსის თაობაზე იხ. გიორგი როგავა, ზოგი ქართული გვარის სუფიქსისათვის, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XIII, 1955, გვ 6–8; მანანა სანაძე, ზოგიერთი გვარის წარმოებისათვის „ტბეთის სულთა მატიანეში“, მაცნე, ისტორიის... სერია, 1985, N 3.

ძლიერი მითანის სახელმწიფოს საშუალებით, მართლაც შორს, ჩრდილოეთისაკენ წამოიწიეს. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს: „ე. წ. თრიალეთის კულტურაში სამხრეთ საქართველოს მიწა-წყალზე ძვ. წ. III–II ათასწლეულთა მიჯნაზე შეინიშნება სამხრეთიდან მომდინარე ნაკადი, რაც, შეიძლება, სწორედ ხურიტების (ასე ეძახდნენ მითანის ძირითად მოსახლეობას) ჩრდილოეთით ექსპანსიას უნდა უკავშირდებოდეს“.[65] ავტორი უფრო შორსაც მიდის და აცხადებს: „სამხრეთი ამიერკავკასიის, კერძოდ თრიალეთის, კულტურის გაერცელების არეში მცხოვრები მოსახლეობა, შეიძლება, არამცთუ შედიოდა მითანის შემადგენლობაში, არამედ აქტიურ როლს ასრულებდა ხური-მითანელების ძლევამოსილ ომებში მეზობლების წინააღმდეგ“.[66] მისივე ვარაუდით „დიაოხის მოსახლეობა ადრე მითანის სამეფოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო მოქცეული“.[67] დიდად საეჭვოა, რომ მითანს გაეკეთებინა ის, რისი აღსრულებაც ვერ შესძლო ურარტუმ – დაეკავებინა ისტორიული საქართველოს სამხრეთი ნაწილი – გვიანდელი ქვემო ქართლი, მაგრამ ძირითადად გ. მელიქიშვილი შეიძლება მართალიც იყოს. კერძოდ, შესაძლოა ხურიტების გაერცელება ჭოროხის ზემო და შუა წელში მათი აღზევების ჟამს. მით უმეტეს, რომ ამ დროისთვის ქართველური მოსახლეობა აქ საგულვებელი არაა. აქედან გამომდინარე, იქნებ ამით აიხსნებოდეს დასაელეთ საქართველოში გაერცელებულ სახელებსა და გვარ-სახელებში შემორჩენილი ხურიტიზმები (ამის თაობაზე იხ. გ. ჟორდანიას დასახელებული მონოგრაფია).[68]

ცნობილი ფაქტია ძვ. წ. 845 წელს, სალმანასარ III-ის ლაშქრობისას, დიაოხის მეფე ასიას მტრებზე იოლად დანებება. ამის შესახებ გ. მელიქიშვილი ასეთ კომენტარს აკეთებს: „ასურელებთან უბრძოლველად გამოცხადება და ცხენების მირთმევა დიაენის (დიაოხის) მეფის მხრივ ასურელების მიმართ მხოლოდ და მხოლოდ შიშით როდი იყო გამოწვეული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დიაოხის მეფეს შორსმიმავალი

65 სინ, ტ. I, გვ 358.

66 იქვე, გვ 358–359.

67 იქვე, გვ 364.

68 შოთა ასათიანის მტკიცებით დიაოხიში დასახლების ტიპი ხურიტული იყო, ე. ი. სოფლები გაშენებული იყო ხელოვნურ ბორცვებზე, რომელთაც გარშემო ერთი ან ორი არხი ჰქონდათ შემოვლებული (იხ. აეტორის დასახ. ნაშრომი, გვ 98).

იმედები ამოძრავებდა — იგი იმედოვნებდა ძლიერი ასურეთის მოკავშირედ გახდომას და მისი დახმარებით უფრო საშინელი მტრების — ურარტუსა და კოლხას (კოლხეთის) შემოტევის მოგერიებას".[69] როგორც ვხედავთ, ამ სტრიქონების ავტორი კოლხას დიაოხისათვის ასურეთზე უფრო საშიშ მტრად წარმოადგენს. ეს მაშინ, როდესაც დიაოხის ურარტუს წინააღმდეგ ბევრი ტომი (ხალხი) ამოუდგა მხარში, მათ შორის არა მხოლოდ საყარაუდებელი ქართველური წარმოშობისა (ქათარზა, უიტერუხი, ზაბახა, იგანიეხი), არამედ დღევანდელ სამხრეთში მცხოვრები ურარტულთა მონათესავე ხალხებიც. თუმცა საერთო მტრის — ასურეთის წინააღმდეგ ერთ დროს კოლხა, ყოველ შემთხვევაში შავი ზღვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მცხოვრებნი, თითქოს დიაოხისთან ერთად იბრძოდა. ახლა, თუ გ. მელიქიშვილს დავუჯერებთ, სულ სხვა ვითარებას ჰქონდა ადგილი. მისი აზრით „კოლხას მმართველები ახლა ალბათ თავისი საკუთარი ინტერესებით უდგებოდნენ დიაოხი-ურარტუს ბრძოლებს, არაფერს არ აკეთებდნენ დიაოხის დასახმარებლად და უცდიდნენ, რომ დასუსტებული დიაოხის მეშკვიდრეობა ხელში ჩაეგდოთ".[70]

ისმის კითხვა: რით იყო გამოწვეული ასეთი ძლიერი ანტაგონიზმი კოლხასა და დიაუხის შორის, რომლებიც ჩვენში ფართოდ გავრცელებული აზრით თითქოს ქართველური წარმომავლობისანი იყვნენ? და თუ ასე არ იყო, მაშინ როგორ მოხდა, რომ საერთო მტრის ურარტუს წინააღმდეგ კოლხა დიაოხისთან ერთად არ გამოვიდა? უნდა ვიფიქროთ, რომ ეთნიკური ნათესაობის შემთხვევაში მათ შორის ამგვარ დაპირისპირებას ნაკლებად ექნებოდა ადგილი. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ დიაოხის განადგურებაში კოლხას ურარტუზე არანაკლები წვლილი მიუძღვის.

აღნიშნული გარემოების გარდა ამგვარ ანტაგონიზმს შეიძლება სხვაგვარი საფუძველიც მოეუძებნოთ. შესაძლოა დიაოხის და კოლხას ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიებიც გააჩნდათ, კერძოდ ბიანისა და ხუშანის (ქვეყნებია) დაუფლების თაობაზე. ასევე საფიქრებელია, რომ ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ საძოვრებისათვის,

69 სხ, ტ. I, გვ 374.

70 იქვე, გვ 386.

რამაც მათს ეკონომიკაში, მესაქონლეობის წამყვანი მდგომარეობის გამო, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მალე კოლხამ დაუძლურებულ დიაუხის რიგი მხარეებისა წაართვა. ზოგიერთი რუსი ისტორიკოსი (მაგალითად ი. დიაკონოვი) აღნიშნავს იმასაც, რომ თითქოს ზემოევფრატის ველიდან ზეკარის გადაველით ჭოროხისა და მდინარე ლიკოსის ხეობებზე გადადიოდა ხმელთაშუა ზღვიდან და მესოპოტამიიდან მომაყალი საჯაჭრო გზა, რომელზეც კონტროლი ჭოროხის ქვემოთის ფარგლებში დიაოხის განადგურების შემდგომ ვითომდაც კოლხას დარჩა. მაგრამ ბერძნული კოლონიზაციის ფართოდ გაშლამდე (ძვ. წ. VIII-VI ს.) მსგავსი მტკიცება ყოველ შემთხვევაში ნაკლებად დამაჯერებელია.[71]

ახლა შეეჯამოთ ყოველივე ზემოთქმული. დიაოხის პრობლემა უთუოდ მეტ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე ამას ჩვენს ისტორიოგრაფიაში ვხვდებით. უპირველესად, საჭიროა გაირკვეს, თუ რა სახის გაერთიანებას წარმოადგენდა დიაოხი. საკითხის აღიარებული მკვლევრის გ. მელიქიშვილის მიხედვით, „ჩვენ არ მოგვეპოვება სათანადო მონაცემები, რათა ვიმსჯელოთ რა სახის გაერთიანება უნდა ყოფილიყო დიაოხი. იგი, შესაძლებელია, უკვე სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა ანდა სახელმწიფოდ გადაქცევის ზღურბლზე იმყოფებოდა".[72] მაგრამ ეს მტკიცებულება ძალზე ბუნდოვანია და თანაც იმეორებს ი. დიაკონოვის მიერ დიდი ხნის წინათ გამოთქმულ აზრს.[73] საკითხის გადაწყვეტისას უნდა გამოვიდეთ ე. წ. ადრეკლასობრივი საზოგადოებისა და ადრეული სახელმწიფოს შესახებ შექმნილი ახალი თვალსაზრისიდან. ვიმეორებთ, რომ აღნიშნული ამოცანა მით

---

71 სხვათა შორის, მარია მაქსიმოვას წიგნში „Античные города юго-восточного Причерноморья" (М.-Л., 1956) მხოლოდ ერთ ასეთ გზაზე – თარსისიდან ჩრდილოეთით ამისოსამდე – არის ლაპარაკი.

72 იხ. „მიმომხილველი", II, გვ. 380. გ. მელიქიშვილის მიხედვით დიაოხი იყო „ადრეკლასობრივი ტიპის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი", მეორე მხრივ კი „ჩანს(!), რომ დიაუხში განეითარება გასცდა „სამხედრო დემოკრატიის" საფეხურს". იხ. „Очерки истории Грузии" ტ.I, 1989, გვ. 202, აგრეთვე გვ. 202–203, 208.

73 Всемирная история, ტ.I, გვ. 515.

უფრო აქტუალურია ახლა, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად ვემზადებით. მეორე დიდ პრობლემას წარმოადგენს დიაოხის ეთნიკური კუთვნილების გარკვევა, რაც უმთავრესად შესაბამისი სპეციალისტის კომპეტენციას შეადგენს. ჩვენი ამოცანა კი ამჯერად უფრო მოკრძალებულია: გვინდა გავაცნობიეროთ დიაოხის პრობლემის შესწავლის ის ძალზე არადამაკმაყოფილებელი დონე და აქედან გამომდინარე, აღვძრათ სათანადო სტიმული საკითხის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.

1997 წ.

სასპერების ეთნიკური ვინაობის საკითხი

სასპერების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ძველი ისტორიის კვლევა-ძიებისას. განსაკუთრებით ითქმის ეს აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ, რამდენადაც საისტორიო ტრადიციით სწორედ აღნიშნული რეგიონის მოსახლეობას უკავშირებენ ხოლმე იბერებს. ხოლო თუ ეჭვის ქვეშ დავაყენებთ მათს კუთვნილებას ქართული (ქართველური) ისტორიული სამყაროსადმი და მით უმეტეს ჩავთვლით უცხო ეთნოსად, ამით განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს (ქართველობის) ისტორიას ხერხემალი გამოეცლება. მიუხედავად საკითხის ასეთი მნიშვნელობისა, ვერ ვიტყოდით, რომ იგი მთელი სიცხადით იყოს გააზრებული. ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უკანასკნელი ათწლეულების მიმართ.

ცნობილია, რომ სასპერებს რამდენიმეგზის მოიხსენიებდა ჰეროდოტე თავის საისტორიო თხზულებაში. „ისტორიის" პირველი წიგნის 104-ე თავში ვკითხულობთ: „მაიეტიდის ტბიდან მდინარე ფასისამდე და კოლხებამდე არის 30 დღის სავალი მსუბუქად შეიარაღებული კაცისათვის, ხოლო კოლხიდიდან მიდიაში გადასასვლელი დიდი არაა, მხოლოდ ერთი ტომია ამ ქვეყნებს შორის, ესაა სასპერების ტომი; ამათ რომ გაცილები, უკვე მიდიაში ხარ".[1] უფრო ქვემოთ იმავე წიგნში აღნიშნულია: „ამ მწყემსს აქ ჰქონდა ხარების საძოვრები აგბატანიდან ჩრდილოეთისაკენ და ევქსინის პონტოსკენ. აქ ხომ მიდიელთა ქვეყანა, სასპერების მეზობლად, ძალიან მთიანი არის".[2] ისტორიოგრაფიის მამა ასევე გვამცნობს, რომ სასპერები მატიენებსა და ალაროდიელებთან (ურარტუელებთან) ერთად შედიოდნენ აქემენიანთა სპარსეთის იმპერიის მეთვრამეტე სატრაპიაში, რომელიც მთლიანად იხდიდა 200 ტალანტს. „ისტორიის" მეოთხე წიგნში ჰეროდოტე თხრობას აწარმოებს საპირისპირო მიმართულებითაც: „სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც უწოდებენ მეწამულს. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელებს ზემოთ სასპერები, სასპერებს ზემოთ კოლხები,

1 იხ. ნაშრომის თ. ყაუხჩიშვილისეული ქართული თარგმანი, ტ. I, თბილისი, 1975, გვ. 75—76.

2 იქვე, გვ. 78.

რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფასისი. ეს ოთხი ტომი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე".[3] როგორც ცნობილია, სასპერები სხვა დაპყრობილ ხალხებთან ერთად ლაშქრობდნენ საბერძნეთის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ჰეროდოტე აღნიშნავდა მათს შუარაღებას, რომელიც კოლხთა საომარი აღჭურვილობის მსგავსი იყო. მათი და ალაროდიელების (ურარტუელების) (ალბათ მატიენებისაც) მხედართმთავარი ყოფილა — მასისტიოსი, სირომიტრესის ძე.[4]

XIX საუკუნის 40-იან წლებში პერსეპოლისის ერთ-ერთ წარწერაში ჩამოთვლილ ხალხებს (სულ 26) შორის კითხულობდნენ „სპრდ", რომელშიც ცნობილი გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე (ინდოლოგოსი და ირანისტი) კრისტიან ლასენი ჰეროდოტესეულ სასპერებს ხედავდა. ამავე აზრს იზიარებდა ცნობილი რუსი (წარმოშობით გერმანელი) მეცნიერი პეტრე უსლარიც.[5] მაგრამ ასეთი ვარაუდი არ გამართლდა. პეტრე უსლარმავე შენიშნა, რომ ბიბლიის, კერძოდ აბდიას[6] წინასწარმეტყველების ერთი ადგილი: „ისრაელიანთა განთესილი ერი ცარეფთამდე[7] დაიმკვიდრებს ქანაანს, სეფარადში განთესილი იერუსალიმი (იგულისხმება ებრაელობა, გ. ყ) სამხრეთის ქალაქებს დაიმკვიდრებს",[8] სახელდობრ „სეფარადი" სწორედ სასპერებს ეხება.[9] მართლაც გვაქვს საფუძველი ვიფარაუდოთ, რომ ებრაელობას წარმოდგენა ჰქონდა მათს შორეულ, ჩრდილოეთის დიასპორაზე ჩვენს ქვეყანაში და ამდენად „სეფარადი" სასპერებს გულისხმობს. მით უმეტეს, რომ იერემიას (ძვ წ. VII-VI სს.) წინასწარმეტყველებაში მოიხსენიება მიდიის

---

3 დასახ. წიგნი, გვ 262.

4 წიგნი VII. იხ. ქართული თარგმანის მეორე ტომი, გვ 435.

5 იხ. „Сборник сведений о кавказских народах", вып. X, Тифлис, 1881, გვ 536.

6 „ებრაული ენციკლოპედიის" მიხედვით, მკვლევართა უმრავლესობა აბდიას ცხოვრების წლებს იერემიას თანამედროვედ თვლის, ნაწილი კი ებრაელთა ისტორიის ბერძნულ პერიოდს უკავშირებს (იხ. ტ. XIV, გვ 177). ბიბლიის ინგლისელი კომენტატორის ჩარლზ ლეიმონის აზრით „აბდიას წიგნის" შექმნა საგულვებელია 586 წელსა და ძვ წ. IV საუკუნეს შორის.

7 ქალაქი, რომელიც მდებარეობდა ფინიკიაში, სიდონის სამხრეთით.

8 იხ. თავი I, გვ 20.

9 დასახ. წიგნი, გვ 537. იგივეა აღნიშნული წიგნში „Еврейский и Халдейский этимологический словарь к книгам Ветхого Завета", составитель О.Н. Штейнберг, Вильно, 1878, გვ 333.

მეფეები,[10] არარატის (ე. ი. ურარტუს), მინის (მანის) და აშქენაზის (სკვითების) სამეფოები.[11] მოვიგონოთ ისიც, რომ „შესაქმეთა წიგნის „ენოხში" ივ. ჯაჯანიშვილი ჰენიოხთა სახელწოდებას ხედავდა.[12]

ქვეყანა „სასპირიტისს", „ვისპირიტს" მოიხსენიებს ქსენოფონტე თავის „არაბასისში". მის მიხედვით იგი (ეს ქვეყანა) უნდა ეგულისხმოთ ტიგროსის სათავეების დასავლეთით. სამწუხაროდ, ქსენოფონტეს არ გაუელია სპერში, სადაც პირველ რიგში არის საგულებელი სასპერთა არსებობა.

აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III ს.) „არგონავტიკიდან" ჩანს, რომ ავტორს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა სასპერების („საპირების") შესახებ. მისი აზრით, ისინი შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ,[13] ბეხირებსა და ბიძერებს შორის, ამიტომაც მოუხდათ არგონავტებს მათ ტერიტორიაზე გაელა. მოგვაქვს თხზულების შესაბამისი ადგილები აკაკი გელოვანისეული თარგმანით:

„მერე მიჰყება იმავე რიგზე საპირთა ტომის საბრძანებელი, გვერდით ცხოვრობენ ბიძერები და ზემოთ – მეომარ კოლხთა ტომები" (II-395).

სხვაგან ვკითხულობთ:

„შემდეგ მაკრონთა მხარეც დატოვეს და ბექირების უსაზღვრო მიწაც, ამას შეფოთიან საპირთა მხარეც და ბიძერების ქვეყნის ნაპირიც".

რა თქმა უნდა, „საპირთა" ამგვარი დახასიათება (II-1240) პოეტის ისეთივე ფანტაზიის ნაყოფია, როგორიც მისეული აღწერა გეოგრაფიული. (სივრცის აზრით) ბექირების შესახებ. „არგონავტიკის" სქოლიასტის მიხედვით აღნიშნული ტომი (ხალხი) სკვითური მოდგმისა იყო.

ქვეყანა „სისპირიტისს" (Συσπιρῖτις, ხელნაწერებში გვხვდება *ὑσπιράτις*-ის ფორმაც) რამდენჯერმე მოიხსენიებს სტრაბონი. იგი ერთგან წერს: „ხოლო ისინი, ვინც მასთან (არმენოს თესლიელთან, გ. ყ) ერთად იყვნენ, ცხოვრობდნენ აკილისენეში და სასპირიტისში კალახანემდე და ადიაბენემდე".[14] მეორეგან აღნიშნულია შემდეგი: „სისპირიტისში მოიპოვება ოქროს სამადნეები კაბალასთან, სადაც ალექ-

10 იხ. თავი 51; 11,28.

11 იგივე, თავი, 27.

12 იხ. „ქართველი ერის ისტორია", I, 1913, გვ. 32.

13 სხვათა შორის, იმავეს იმეორებდა „არგონავტიკის" აღნიშნული გამოცემის კომენტირებისას აკაკი ურუშაძე. იხ. გვ. 236.

14 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1957, გვ. 135.

სანდრემ გაგზავნა მემნონი ჯარისკაცებითურთ, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთაგან უკუგდებულ იქნა",[15] დაბოლოს კი „ზოგიც დასახლდა სასპირიტისში კალაქენემდე და ადიაბენემდე არმენიის საზღვრებს გარეთ".[16]

შემდგომი ხანის ბერძნულ-რომაულ წყაროებში ამგვარი დასახელების ქვეყნისა და ხალხის მოხსენიება თანდათან ქრება. ევსები კესარიელთან შემონახულია ექსცერპტი აბიდენოსის ნაშრომიდან ასურელების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ნაბუქოდონოსორმა თითქოსდა ლიბიაზე და იბერიაზე (დასავლეთისა) ლაშქრობის შედეგად მათი მოსახლეობის ნაწილი გადმოასახლაო პონტოს (შავი ზღვის) მარჯვენა მხარეს.[17]

ამიანე მარცელინე (ახ. წ. IV ს.) „საპირებს" (ჩანს სასპერებს) მიიჩნევს სრულიად უცნობ ხალხად „ბიზარებსა", ტიბარენებსა, მოსინიკებსა, მაკრონებსა და სხვებთან ერთად. იგი წერდა: „Post quos terras patentes Byzares obtinent et Sapires et Tibareni et Mossynoeci et Macrones et Filyres, populi nulla nobis assuetudine cognati" („მათ შემდეგ (იგულისხმება დაპები და ხალიბები, გ. ყ) ვრცელი მიწები უჭირავთ ბიზარებს, საპირებს, ტიბარენებს, მოსინიკებს, მაკრონებს და ფილირებს – ხალხებს, რომლებიც ჩვენთვის სრულიად უცნობნი არიან").[18] თითქმის იგივეს ეხელათ სტეფანე ბიზანტიელის (ახ. წ. VI ს.) მაგალითზე. მის მიხედვით, *Σάπειρες ἔθνος ἐν τῇ μεσογείᾳ τῆς Ποντικῆς οἱ νῦν διὰ τοῦ Β λεγόμενοι* (საპირები, ტომი შუაგულ პონტოში; ამჟამად მათ ეწოდებათ საბირები, ბანით გამოთქმის (და არა პარით)".[19] ზაქარია რეტორი (V-VI სს.) ჰუნთა ტომების ჩაძოთელისას საბერებსაც

---

15 იხ. სტრაბონის გეოგრაფია, გვ 191-192. შევნიშნავთ, რომ სომხურ სასკოლო საისტორიო სახელმძღვანელოში ამ თხრობას უკავშირებენ სპერს, რომაც გულისხმობენ, რომ აღნიშნული მხარე უკვე სომხეთის კუთვნილება იყო. იხ. „История армянского народа", ნაწ. I, 1951, გვ 31; აგრეთვე გვ 38.

16 იხ. სტრაბონის დასახ. ნაშრომი, გვ 193.

17 იხ. ივანე ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორიის შესავალი, თბ., 1950, გვ 250.

18 იხ. „გეორგიკა", ალექსანდრე გამყრელიძის და სიმონ ყაუხჩიშვილისეული გამოცემა, I, თბ., 1961, გვ 111.

19 გეორგიკა, ტომი III, თბილისი 1936, გვ 284. სხვათა შორის, სერიის გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი მოტანილ ადგილს არ განმარტავდა.

ასახელებს, მაგრამ არ ჩანს, რომ ამ სახელწოდებით იგი სხვა ხალხსაც იცნობდა.[20] აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.) წერდა: „*Οἱ δὲ ἐκ των Οὔννων ων μισθοφόροι, ὧν δέ Ἰβηρίων ὀνομαζομένων*" (საბერებად წოდებულ პუნებში დაქირავებული ჯარისკაცები (მოქირავენი).[21]

როგორც მოსალოდნელი იყო, სასპერების საკითხმა უკვე კარგა ხნის წინ მიიპყრო დასავლელი ორიენტალისტების ყურადღება. ჰერრიხ კიპერტი შესაძლებლად მიიჩნევდა, რომ თითქოსდა ჯერ კიდევ მიდიელთა შემოსევებამდე ძველი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არსებობდა დიდი, ერცელი სახელმწიფო, რომლის ცენტრსაც გვიანდელი ისპირი წარმოადგენდა.[22] XIX საუკუნეში პეროდოტესეული თხზულების ინგლისურ ენაზე მთარგმნელი და გამომცემელი ჯორჯ როულინსონი აღნიშნავდა: „საპერები, ჩანს, უნდა ყოფილიყვნენ გვიანდელ მწერალთა იბერები. სახელწოდებას ეპოულობთ სხვადასხვა ფორმებით: „სასპერები", „საპერები", „საბერები" და „აბერები", საიდანაც „იბერებზე" გადასვლა ადვილია. ისინი ყოველთვის წარმოდგენილნი არიან როგორც კოლხების მოსაზღვრენი აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ასე რომ, მათ უნდა დაესახლებინათ დიდი ნაწილი თანამედროვე საქართველოს პროვინციისა";[23] „პეროდოტეს, როგორც ჩანს, უნდა განეკუთვნა საპერები მულანის რაიონამდე, სადაც ისინი კონტაქტში აღმოჩნდებოდნენ მიდიელებთან".[24] ჯორჯ როულინსონი სასპერების (იბერების) ისტორიას ათავსებდა ძვ. წ. 550 წელსა და ახ. წ. 600 წელს შორის და პყოფდა ხუთ პერიოდად: თითქოსდა კიროსის მიერ ქვეყნის დაპყრობიდან (550 წელს) დამოუკიდებლობის მოპოვებამდე (ძვ. წ. 331 წ.); ამ პერიოდიდან ძვ. წ. 112 წლამდე (მითრიდატე ევპატორის პოლიტიკურ აღზევებამდე), როდესაც ქვეყანა დამოუკიდებლობას ჯერ კიდევ ინარჩუნებდა; 112 წლიდან 64 წლამდე (ძვ. წ.), როცა იგი თითქოსდა

20 დასახ. წიგნი, გვ 18–19, 210.

21 იქვე, გვ 91.

22 იხ. ა. სვანიძე, შესავალი ალაროდიელ ტომთა ისტორიისა, ტფილისი, 1936, გვ 11.

23 History of Herodotus in four volumes, by George Rawlinson, ტ. IV, ლონდონი, 1862, გვ 186, იხ. აგრეთვე გვ 187.

24 იქვე, გვ 187.

მითრიდატეს ქვეშევრდომი იყო; ძვ. წ. 64 – ახ. წ. 364 წლები – პრაქტიკულად დამოუკიდებლობის პერიოდი, რომის ოდენ ნომინალური სიუზერენიტეტის ეგიდით; დაბოლოს, 364–600 წლები, როდესაც სხვადასხვა ჩრდილოელი ბარბაროსი ხალხების შემოსევათა შედეგად სასპერები (იბერები) ვითომდაც გაქრნენ.

სასპერების (იბერების) პრობლემით დაინტერესდა რუსული აღმოსავლეთმცოდნეობაც. აღმოსავლეთმცოდნისა და პუბლიცისტის ოსიპ სენკოვსკის მიხედვით,[25] იბერია მოიცავდა თანამედროვე იმერეთს, რაჭას, ოსეთსა და დაღესტნის უმეტეს ნაწილს (დარუბანდამდე), ხოლო ჩრდილოეთიდან (ელადიკავკაზიდან) სამხრეთით მცხეთამდე ვრცელდებოდა. ხოლო მტკვრის სამხრეთით მდებარე მხარე თითქოს სომხებით იყო დასახლებული და იმთავითვე სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ქვეყნის სახელწოდება თითქოს შემორჩენილია თანამედროვე იმერეთში. სენკოვსკი უარყოფდა იბერების ცალკე ხალხად არსებობას და თვლიდა, რომ შესაბამისი სახელწოდება კრებითი ხასიათისა იყო (მსგავსად „სკვითებისა“, „სარმატებისა“, „ალბანელებისა“, „ალანებისა“ და „გერმანელებისა“). თურმე საკუთრივ ქართველები („грузины”) საქართველოში გაჩენილან XI საუკუნიდან და ჩვენი შესაბამისი ეთნონიმი წარმომდგარა მეფე გიორგის (პირველის) სახელიდან.[26]

პეტრე უსლარისათვის უეჭველი იყო „იბერთან“ „ტიბარ“-ისა და „ტიბარენ“-ის კავშირი. მაგრამ ამასთანავე იგი აღნიშნავდა, რომ „სახელწოდებანი სისპირიტისი, სასპირი, სპერი, სპერი, იასპირი, ცხალია, ერთიმეორეს ენათესავებიან; ვინაჲთგან ამ სჳრაბონისეულ მოსაცემებს პეროდოტესეულთან, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს სახელწოდებანი ჭოროხის ველიდან (долина) ვრცელდებოდა მტკვრის დაბლობზე, მოიცავდა რა საკუთრივ სომხეთს ჩრდილო-დასავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიდიის საზღვრებამდე“.[27] როგორც პეტრე უსლარი წერდა: „სასპირიც და ტიბარიც საკვებით ჰქრებიან

---

25 იხ. მისი სტატია (დაწერილია 1838 წელს) „Некоторые сомнения касательно истории грузинов” დაბეჭდილია აგრეთვე აეტორისეულ თხზულებაში VI ტომში, სანქტ-პეტერბურგი, 1859.

26 იხ. დასახ. წიგნი, გვ. 175–178.

27 იხ. „Сборник сведений...“, გვ. 299.

კავკასიის ეთნოგრაფიიდან ახ. წ. მეორე საუკუნეში. იმ ხანის მოვლენები კარგადაა ცნობილი, რათა დავუშვათ რომ საბირის ხალხი (народ Сабир), რომელიც ცხოვრობდა კოლხიდიდან მიდიამდე, ანდა ტბარული ხალხები, რომლებიც რკალადნენ სომხეთს დასავლეთიდან, გაჰქრნენ რაიმე ადგილობრივი გადატრიალებების შედეგად, რაც შეუმჩნეველი დარჩა ისტორიისათვის".[28] შექმნილ ისტორიულ ვაკუუმს აევსებს, უსლარის აზრით, „იბერიის" გაჩენა. აქვე ეკითხულობთ: „მკვეთრად გამოხატული ბუსებრივი მიჯნების არარსებობისას იბერიის საზღვრები სამხრეთის მიმართულებით სხვადასხვა ავტორებთან საკმაოდ გაურკვეველია, მაგრამ თუ პეროდოტესეულ გადმოცემაში კოლხიდასა და მიდიას შორის მხოლოდ სასპერების მიწა-წყლის მღებარეობის შესახებ ჩავსვამთ: „მხოლოდ იბერების მიწა-წყალი", მაშინ ამგვარი ჩანაცვლება სულაც არ გამოიწვევდა რაიმე გაუგებრობას".[29]

შეუნიშნავთ, რომ სახელწოდება „სასპერმა" ჯერ კიდევ ძველ დროს გააცხოველა ფანტაზია და იგი დაუკავშირეს ძვირფას ქვას საფირონს. კერძოდ, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის" სქოლიასტს სპირების სახელწოდება (ეთნონიმი) სწორედ საფირონის ქვიდან გამოჰყავდა, რომელიც თითქოს მრავლად მოიპოვებოდა შესაბამის ქვეყანაში.[30] ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა (გეოგრაფოსმა) კარლ რიტერმა გაიზარა ასეთი მითი და დაამტკა, რომ პეროდოტესეული ამიერკავკასიელი „სასპერები" გამოსულნი იყვნენ ინდოეთიდან და მათ ხელთ იყო... საფირონით ვაჭრობა, რის გამოც ხალხმა მეზობელთაგან მიიღო შესაბამისი სახელწოდება.[31]

გამოჩენილი ავსტრიელი ორიენტალისტი კარლ ლემან-ჰაუპტი

---

28 დასახ. წიგნი, გვ 301. აქვე ეკითხულობთ: „ქართულ ენაზე გამოთქმა „იბერთა მიწა-წყალი" ითარგმნება სიბერის მეშვეობით, სადაც ჩვენ ვნახულობთ პეროდოტესეულ სპირებს ანუ სასპირებს. რა თქმა უნდა, პეროდოტესთან იგი აღნიშნავს ხალხს და არა ქვეყანას, მაგრამ ქართული ენის უკოლინარობის გამო მისი შეცდომა ძალიან ადვილად შეიძლება აიხსნას" (იქვე). ეს გაუგებარი მტკიცებაა, მით უმეტეს რომ რამდენიმე გვერდის შემდეგ (გვ 305) ავტორი წერდა: „ამდენად ყურადღებით ყველაზე უფრო დასაჯერებელია, რომ ქართველები თავიანთ თავს არასოდეს არ უწოდებდნენ იბერებს".

29 იქვე, გვ 301.

30 იხ. „არგონავტიკა", თბილისი, 1975, გვ 237.

31 იქვე, გვ 524–525.

თვლიდა, რომ ჰეროდოტეს მიერ არაერთხელ მოხსენიებული „სასპერები" უცილობლად უნდა იყვნენ დაკავშირებულნი იბერებთან და ასევე „ესპერიტებთან" (რომლებიც ქსენოფონტესა და სტრაბონთან გვხვდებიან).

როგორც ვიცით, გასული საუკუნის დასავლეთევროპულ ორიენტალისტიკაში დამკვიდრდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ბიბლიაში მოხსენიებული „თუბალი" დაკავშირებულ იქნა ასურული ლურსმული წარწერების „ტაბალთან" და შემდეგ – „ტიბარენთან", რომელიც (გარკვეული ფონეტიკური სახესხვაობებით) გვხვდება ჰეკატეოს მილეტელთან, ჰეროდოტესთან, ქსენოფონტესთან და სხვებთან. ორივე ფორმა კი დაუკავშირეს „იბერს".[32] ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართულ ისტორიოგრაფიაში ყურადღება ძირითადად გამახვილებულ იქნა თუბალ-ტაბალ-იბერ სიტყვების კავშირურთიერთობებზე. რასაკვირველია, „თუბალისა" და „ტაბალის" ურთიერთკავშირი ადეილი დასადგენია, იგივე ითქმის „ტაბალის" ეტიმოლოგიის გარკვევაზე ქართველური ენების მეშვეობით, მაგრამ ალბათ დიდად უნდა იყოს გაძნელებული „ტიბარიდან" და „ტიბარენიდან" „იბერის" წარმოშობის დადგენა. საკუთრივ ენათმეცნიერული ხასიათის სიძნელეს ემატება ისტორიული სირთულეც; როგორც ცნობილია, „ტიბარი", „ტიბარენი" მოიხსენიება ჯერ კიდევ VI-V საუკუნეების ძველბერძენ ავტორებთან და ნიშანდობლივად ვიცით მათი ადგილსამყოფელიც – ქართველური ტომების განსახლება უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში, ბერძნულ ახალშენ კოტიორას რაიონში. ტიბარენებს რომ აქედან მიგრაცია დაეწყოთ თუნდაც ქსენოფონტეს ხანის შემდგომ, ჯერ ერთი, არ ყოფილა ზეგავლენა დასავლეთის მხრიდან და მეორეც – მათ უნდა გადაელახათ სხვა დასავლურ-ქართველური ტომების (ხალხების) ადგილსამყოფელი, რაც თავის მხრივ ამ უკანასკნელთა გადაადგილებასაც გამოიწვევდა. ასე რომ, იბერების ადგილსამყოფლამდე მათი (ტიბარენების) მისვლა ძალზე ძნელი გასააზრებელი ხდება, მით უფრო რომ, როგორც ახლა საყოველთაოდაა ცნობილი, ძვ. წ. IV-III ს. მიჯნაზე იბერები საკმაოდ ვრცელ სახელმწიფოს ქმნიან.

ერთი სიტყვით, ენათმეცნიერული და ისტორიული (ისტორიო-

32 ახ. წ. I საუკუნის რომაელ-ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი წერდა: „თობელმა დააარსა თიბელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ". იხ. გეორგიკა I, 1961, გე 271.

გრაფიული) თვალსაზრისით „იბერები“ და „იბერია“ სხვადასხვანაირად გაიაზრება. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ქართულ სამეცნიერო აზროვნებაში ეს ფაქტი იმხანად ვერ იქნა სათანადოდ გაცნობიერებული. ყველაზე ნათლად ეს გარემოება გამოჩნდა ივ. ჯავახიშვილის მაგალითზე.

„ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის პირველ გამოცემაში (1908 წელს) ჩვენი დიდი ისტორიკოსი და ეროვნული მოღვაწე ჰეროდოტესეულ ცნობებთან დაკავშირებით რამდენჯერმე მოიხსენიებდა სასპერებს (სამჯერ „სასპირის“, ერთხელ კი „სასპეირის“ ფორმით).[33] მაგრამ ნათლად არ ჩანს, თუ როგორ წარმოედგინა ავტორს მათი ეთნიკური ვინაობა – სახელდობრ ქართული ანდა საერთოდ ქართველური ტომის ხალხი იყო იგი თუ არა. აღნიშნული წიგნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცნებაში „იბერელნი“ იგულისხმება „იმერელნი“ (შესაბამისად გასაგები ხდება თუ როგორ წარმოედგინა ავტორს პირველთა სახელწოდების წარმომავლობა), რომელთაც მიაკუთვნებენ მეგრულ-ლაზურ შტოს და, რომელთაც ქართული ენა მოგვიანებით აქ მოსული ქართებისაგან მიიღეს.[34] „ქართველი ერის ისტორიის“ 1913 წლის გამოცემაში ჰეროდოტესეულ ცნობებთან დაკავშირებით აღნიშნულია სპარსეთის იმპერიის XIX სატრაპიის შესახებ, სადაც ქართველი ტომები (ხალხები) ცხოვრობდნენ. მაგრამ წიგნში ლაპარაკი არაა XVIII სატრაპიის თაობაზე და აქედან გამომდინარე – არც სასპერებზე.[35] სამაგიეროდ „იბერი“ მხოლოდ „ტაბალთან“ არის დაკავშირებული. ამავე ნაშრომის მეხუთე გამოცემაში მხოლოდ ერთგან გვხვდება „სასპეირები“ ანუ „ისპირელნი“,[36] მაგრამ რაიმე კონკრეტული მინიშნების გარეშე. აქ ლაპარაკია უშუალოდ ქართებზე („იბერების“ გარეშე): „ქართები უნდა ჰეროდოტეს მიერ მოხსენებულ ალაროდებს შორის ყოფილიყვნენ, რომელნიც არარატის მიდამოებში ბინადრობდნენ“; „დაახლოებით მართლაც V–VI (თუ VI–V? – გ. ყ) ს.ქ.წ. უნდა შემოსულიყვნენ ქართები ამიერკავკასიაში და თანდათან აღმოსავლეთ საქართველო დაეპყროთ“.[37]

---

33 დასახ. წიგნი, გვ 31.
34 იქვე, გვ 49.
35 დასახ. წიგნი გვ 166.
36 დასახ. წიგნი, გვ 437.
37 იქვე.

„ქართველი ერის ისტორიის შესავლის“ პირველ წიგნში (დაიბეჭდა 1950 წელს) სასპერები („სასპეირების“ ფორმით) მხოლოდ ორჯერ მოიხსენიება: ერთგან ვკითხულობთ, რომ კოლხებს სამხრეთიდან სასპერები ესაზღვრებოდნენ (პეროდოტეს მიხედვით),[38] ხოლო მეორეგან მხოლოდ ამ ტომის (ხალხის) სახელია აღნიშნული (აქვე ვკითხულობთ: „მაშასადამე ისპირი კოლხთა მაშინდელი ბინადრობის სამხრეთით მომიჯნავე თემად უნდა ვიგულისხმოთ“).[39]

მანამდე, სასპერების საკითხს შეეხო ქართველი აღმოსავლეთმცოდნე ალ. სვანიძე,[40] რომელიც ივ. ჯავახიშვილს საყვედურობდა მათი მოუხსენიებლობის გამო. საკითხის გაანალიზებისას მკვლევარი უმთავრესად ჰეროდოტესეული ცნობებიდან ამოდიოდა. რიგ ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთაგან განსხვავებით, იგი წერდა, რომ სასპერებს არ შეიძლებოდა მხოლოდ სპერის ოლქი დაესახლებინათ, არამედ მისი უფრო ფართოდ, მიდიის მხარისაკენაც უნდა ყოფილიყვნენ განსახლებულნი. მეორე მხრივ, რაკი სასპერები კოლხეთს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდნენ, ამიტომაც, ალ. სვანიძის აზრით, მათ ძველი იბერიის ტერიტორიაც უნდა ჰქონოდათ დაკავებული ჯერ კიდევ მაშინდელ ხანაში.[41]

1936 წელს გამოსულ ნაშრომში „შესავალი ალაროდიელ ტომთა ისტორიისა“ (ამავე წელს დაიბეჭდა თსუ-ის „შრომებშიც“) იგივე ავტორი უეჭველად მიიჩნევდა „ტაბალებისა“ და „ტიბარენების“ ურთიერთკავშირს. ჩანს, აქედან ეთნონიმ „იბერის“ წარმოქმნის შესაძლებლობასაც უშვებდა. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ამ უკანასკნელ ეთნონიმს „სასპერს“ უკავშირებდა. ზემოხსენებული ინგლისელი მეცნიერის ჯორჯ როულინსონის მისამართით ალ. სვანიძე შენიშნავდა: „როულინსონი, სამწუხაროდ, ვერ მიმხვდარა ეკითხა თავის თავისათვის — საიდან გაჩნდა სასპირების (=იბერიის) ეს უზარმაზარი სახელმწიფო, რომელზედაც ლაპარაკობს ჰეროდოტე? ამ სახელმწიფოს ჯერ-ჯერობით ტერიტორია, უეჭველია, ფარავს ძველი ქალდების სამეფოსა და

38 დასახ. წიგნი, გვ 10.

39 იქვე, გვ 18.

40 იხ. სტატია „ქართველი ტომები“, დაიბეჭდა ჟურნალ „განათლების“ 1912 წლის VII, VIII და X ნომრებში.

41 ჟურნ. „განათლება“, 1912, VIII, გვ 581.

ნაწილობრივ გვიანდელი იბერიის ტერიტორიას".[42] ცოტა მოშორებით კი წიგნში ვკითხულობთ: „როგორც მოსალოდნელი იყო, სასპირეთი (სუსპირათისი) მაინც განაგრძობს არსებობას ქსენოფონტეს დროსაც, მაგრამ სხვა გეოგრაფიულ საზღვრებში".[43] ამასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა მკვლევრის მიერ „სასპირეთ-სუსპირათისში" - ეთ-ათ ქართული სუფიქსის გამოყოფა.

ცნობილი ფაქტი გახლავთ, რომ ნიკო მარის დაკვირვებით „სპილენძის" ეტიმოლოგია უნდა გაგებულიყო როგორც სპირ ლენჯი (სპერის ლითონი) და ამასვე იმეორებდა ივანე ჯავახიშვილიც. ასე რომ იყოს, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა ტოპონიმ (ხორონიმ) „სპერის" საუკუნეთა სიღრმეებში გადატანა, რაც თავის მხრივ ნათელყოფდა ეთნონიმ „სასპერების" სიძველესაც. მაგრამ, როგორც ჩანს, ნიკო მარისეული ვარაუდისათვის მყარი საფუძველი არ არსებობს.[44]

1930-იანი წლებიდან მოყოლებული დასავლურ ორიენტალისტიკაში გამოიკვეთა აზრი ტაბალების (თაბალების) ინდოევროპული წარმომავლობის შესახებ, რამაც საფუძვლიანად შეარყია ტრადიციული წარმოდგენა თუბალ-ტაბალ-ტიბარენ-იბერის ურთიერთკავშირის შესახებ. თუმცა ახალი მოსაზრება უყოყმანოდ იქნა გაზიარებული საქართველოში მოღვაწე რუსი პ. უშაკოვის მიერ, მაგრამ ძველი შეხედულება ჩვენს მეცნიერებაში კვლავ ძალაში რჩებოდა.

მიუხედავად აღნიშნული დაბრკოლებისა (რამაც თავი იჩინა ივ. ჯავახიშვილის ნააზრევში) სასპერების პრობლემას მაინც საკმარ

---

42 დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

43 იქვე, გვ. 15.

44 როგორც უახლეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, „სპილენძის" ქართველური ძირი, სომხურ plinz-თან ერთად, უნდა მიდიოდეს რომელიღაც „აზიანურ" წყაროძეზე და აქედან, კარლ ბოუერის აზრით, ქართველურმა ენებმა via armeniaca შეითვისეს. იხ. Г.А.Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 153. ა.შ. დიაკონოვის წიგნში „Предыстория армянского народа" ვკითხულობთ, რომ სომხებს ეს სიტყვა შუამიდიური (среднемидийский) დიალექტიდან შეუთვისებიათ. იხ. გვ. 199. თუმცა უნდა დავასკვნათ, რომ რაკი, სიტყვები „ჭედა", „ჭედელი" უკვე წინარექართველურის დონეზე გაჩნდა (იხ. გ. კლიმოვის დასახ. წიგნი, გვ. 254), სპილენძის აღსანიშნავად საერთო ქართველური ლექსიკური ეკვივალენტი უთუოდ იარსებებდა.

ადგილი უკავია ს. ჯანაშიას აზროვნებაში. ცნობილი ისტორიკოსი ეროვნული (პატრიოტული) სიამაყის გრძნობით წერდა: „დიდმნიშვნელოვანია ქართველი ერის ისტორიისათვის, რომ ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში წინა აზიის ძირეული ტერიტორიის (წინა აზია მცირე აზიისა და არაბეთის ნახევარკუნძულის გამოკლებით) ოთხი უდიდესი ხალხიდან (სპარსელები, მიდიელები, სასპერები, კოლხები) ორი — კოლხები და სასპერები — ქართული მოდგმისა იყო".[45] სიმონ ჯანაშია ნიშანდობლიეად მოხაზავდა ჩვენთვის საინტერესო ხალხის ტერიტორიას: „მეექვსე-მეხუთე საუკუნეების მიჯნაზე სასპერებს უჭირავთ ევფრატის სათავეები და არზრუმის მხარე, მიახლოებით — ერზინჯანამდე, ჭოროხის აუზის ზემოთა ნაწილი, არაქსის აუზის მთელი ზემოთა და შუა ნაწილი და, საფიქრებელია, რომ მერმინდელი იბერიის, საკუთრივ ქართლის, უმნიშვნელოვანესი ნაწილიც".[46] ისტორიკოსი ძალზე მახვილგონიერულად შენიშნავდა: „პეროდოტეს სასპერები მერმინდელი ბერძენი მწერლების იბერები არიან. არავითარი სხვა რაციონალური ახსნა არ შეიძლება მოეუძებნოთ არც იმ კითხვას, თუ ვინღა უნდა იყვნენ სასპერები და სად გაქრნენ ისინი შემდეგში ასე უკვალოდ, უკეთუ მათ მხოლოდ სახელი გამოიცვალეს „იბერებად", არც იმ კითხვას, თუ საიდან გაჩნდნენ ასე მოულოდნელად ეს იბერები".[47]

ნაშრომში „ურარტუ" ს. ჯანაშია წერდა: „სასპირი ალბათ სუბარის გადმოცემაა. ხომ არ გეაქვს აქ ისეთივე წარმოება, როგორიცაა: სასუბარო?"[48] მისივე აზრით „სახელწოდებას სასპირო, როგორც ჩანს, ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონდა და ხანდახან ალაროდისაც ჰფარავდა";[49] „მაგრამ სადღა გაჰქრნენ მატიენები და ალაროდები, რომელნიც სასპირებთან ერთად ერთს საგამგეო ოლქს შეადგენდნენ? თავისთავად ცხადია, რომ ისინიც სასპერების სახელწოდების ქვეშ იგულისხმებიან".[50]

ამდენად ს. ჯანაშიამ მოახერხა ძველი ტრადიციიდან (იხ. მისეული

45 შრომები, ტ. II, 1952, გვ 64.
46 იქვე, გვ 56—57.
47 იქვე, გვ 57.
48 იქვე, გვ 9. ეს აზრი ალბათ უნდა გამოირიცხოს.
49 იქვე.
50 იქვე.

ნაშრომი „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“) გადახვევა და ახალი პერსპექტივის დასახვა. 1942 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში“ იგი აღნიშნავდა, რომ სტრაბონისეულ აღწერილობაში „სასპირიტიდა“ ყოველთვის „მეტნაკლებად ემთხვევა ფეოდალური ხანის ქართულ სპერსა და თანამედროვე ისპირს“.[51] „საქართველოს ისტორიის“ 1943 წლის გამოცემის სიმონ ჯანაშიასეულ ნაწილში ვკითხულობთ: „ქართველ ტომთა აღმოსავლურ გაერთიანებას ბერძნები სასპერებს ეძახდნენ (რაც „სასუბარო“-დან უნდა იყოს წარმომდგარი), ხოლო შემდეგში, მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული, ძველი წელთაღრიცხვით, იბერებს“.[52]

პ. ინგოროყვა თავის „გიორგი მერჩულეში“ (წიგნი გამოვიდა 1954 წელს) უარყოფდა სტრაბონთან მოხსენიებული „სუსპირიტი“-ს, შესაბამისად – „სუსპირიტილების“ რაიმე კავშირს ქართული სამყაროს სპერის ოლქთან.[53] აღნიშნული სახელწოდების ქვეშ, ავტორის აზრით, იგულისხმება ტიგროსის ხეობის ზემო ნაწილი (ისტორიული შუპრია, სუპრია), რომ აქ დღემდე არსებობს ტერიტორია Ispert, Ispaert,

---

51 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 7, 1942, გვ 729, იხ. აგრეთვე გვ 730.

52 დასახ. წიგნი, გვ 37, იხ. აგრეთვე გვ 53, 54.

53 ამჟამად ცნობილი მკვლევარი უპირისპირდებოდა არა მარტო ს. ჯანაშიას, არამედ ი. მარკვარტსა და ნ. ადონცსაც, რომლებიც ყოველ შემთხვევაში სტრაბონისეულ მყორე ცნობას (ოქროს მოპოვებას რომ ეხება) ტერიტორიულად საქართველოს (სპერის ოლქს) უკავშირებდნენ. მაგალითად, უკანასკნელი *Eustratis*-ის ქვეშ განასხვავებდა ორ ტერიტორიას – ჭოროხზე (სპერს) და სამხრეთით, ტიგროსის ზემოთ (შუპრიას). იხ. მისი „Армения в эпоху Юстиниана“, Санкт-Петербург, 1908, გვ 398. სხვათა შორის პ. ინგოროყვასეული ერთ-ერთი არგუმენტი ის იყო, რომ გამოირიცხებოდა ოქროს მადნების არსებობა აღნიშნულ მხარეში. მაგრამ ამ მცდელობას აბათილებს საწინააღმდეგო შინაარსის ფაქტი ჯერ კიდევ ანტიკური ხანისა. „ძველი მსოფლიოს ისტორიაში“ (წიგნი II, მოსკოვი, 1983, ი. დიაკონოვის, ვ ნერონოვას და ი. სვენციცკაიას რედაქციით) აღნიშნულია, რომ ძვ წ. ბოლო საუკუნეებში ზემო ეფრატ-ჭოროხის საკმაო გზით პონტოში გაჰქონდათ სხვათა შორის სპერის (სასპერული) ოქროც, ჭოროხის ველზე (долина) რომ მოიპოვებოდა. იხ. გვ 405.

Isparut-ის სახელდებით.[54] მაგრამ ამასთანავე ერთად აღნიშნავდა „არაქსის სასპირეთს",[55] „არაქსის იბერებს (სასპერებს)",[56] რომ „არაქსის იბერების (სასპირების) ტომი შედიოდა აქემენიანთა იმპერიაში".[57] პ. ინგოროყვა წერდა: „როგორც ეს დადგენილია სპეციალურ ლიტერატურაში, თვით სახელწოდება ამ მხარისა – სპერი, იგივე სბერი, resp. ჰიბერი, დაკავშირებულია იბერიელების სატომო სახელთან".[58]

როგორც ჩანს, სასპერების პრობლემით დაინტერესებული იყო ნ. ბერძენიშვილიც. იგი აღნიშნავდა: „სპერის ზღვა" ქართულად, ქართველებისათვის... გამოდის სპერები (სასპერები...) იყო ხალხი (არაქართი) ზღვის პირას. რაღა დღეშია თეორია საბერ-იბერი?"[59] სხვაგან კი შენიშნავდა, რომ ჰეროდოტესეული და სხვა ცნობები სასპერ-კოლხების შესახებ კრიტიკულ შესწავლას მოითხოვს.[60] ერთ ადგილას დასძენდა: „თუ გამართლდებოდა ს. ჯანაშიას მოსაზრება, რომ ტერმინ სასპერებში სა- იგივე თაესართია რაც სა-მეგრელო, საქართველო და სხვ., ეს იქნებოდა უაღრესი დადასტურება ისტორიული გეოგრაფიის ცნების გაჩენისა ქართულ ენაზე, თუმცა საეჭვო ბევრია".[61]

თ. ყაუხჩიშვილი ნაშრომში „ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ" (გამოიცა 1960 წელს) დასაშვებად თვლიდა ს. ჯანაშიას მოსაზრებას ჰეროდოტესეული სასპერებისა და იბერების (იბერიელების) იგივეობის თაობაზე. მაგრამ ამასთანავე, მკვლევრის აზრით „თუ სასპეირები სხვა ტომია და იბერიელები სხვა, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ჰეროდოტე არ იცნობდა მერმინდელ იბერიას".[62] ნაშრომში ვკითხულობთ: „შესაძლოა ჰეროდოტემ კარგად იცოდა იბერიის არსებობა (სწორედ ამ სახელწოდებით), მაგრამ არ ახსენებს მას იმიტომ, რომ მისი თხრობის რკალში ეს არ შედიოდა".[63]

---

54 პ. ინგოროყვას დასახ. ნაშრომი, გვ. 507.
55 იქვე, გვ. 516.
56 იქვე, გვ. 520.
57 იქვე.
58 იქვე.
59 საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII, თბ., 1975, გვ. 238.
60 იქვე, გვ. 276.
61 იქვე, გვ. 539.
62 დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
63 იქვე.

სასპერების საკითხს, სავსებით ბუნებრივია, ვრცელი ადგილი უჭირავს აკად. გ. მელიქიშვილის შრომებში. დავიწყებთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. 1951 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ურარტუ, სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი ქართველი ხალხის წინაპრების ისტორიიდან“ აღნიშნულია: „ურარტუს სახელმწიფოს ნანგრევებზე ჩამოყალიბდა აღმოსავლურ-ქართული ელემენტის ჰეგემონობით დიდი პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ადრინდელი ხანის ბერძნული წყაროები „სასპერების“ გაერთიანებას უწოდებენ“.[64] აქვე დაკონკრეტებულია: „სამხრეთ-საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენ ვხვდებით შემდეგში სპერის სახელწოდების მქონე ოლქს, რის გამოც ხერხდება „სასპერ“-სახელში სა- ქართველო წინასართად მივიჩნიოთ, რაც ლაპარაკობს ამ მსხვილი გაერთიანების ქართული ხასიათის სასარგებლოდ“.[65] მომდევნო გვერდზე კი ვკითხულობთ, რომ უცხოელები ჩრდილოეთის აღმოსავლურ-ქართულ გაერთიანებას იბერიას ეძახდნენ. ავტორის ვარაუდით ამ გაერთიანებას, სკვითებთან ერთად, გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ურარტუს სახელმწიფოს განადგურებაში.

აღნიშნული დებულებანი კვლავ გამეორებულია სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომში „ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის“, რომელიც 1953 წელს გამოქვეყნდა. ბროშურაში ერთგან ვკითხულობთ: „VII საუკუნის ბოლოს, ყოველ შემთხვევაში, ეტყობა, იქმნება ქართველი ტომების ახალი დიდი გაერთიანება, რომლის ცენტრიც უკვე სპერის ოლქში იმყოფებოდა. მან თავისი გავლენა განავრცო ყოფილი ურარტუს იმპერიის ჩრდილოეთ რაიონებზე“.[66] ამავე ხანაში, ე. ი. ურარტუს დაცემის დროს, ავტორის აზრით, აღმოსავლურ-ქართულმა ტომებმა — სასპერებმა „შეძლეს თავისი ძალაუფლების განვრცობა დიდ ტერიტორიაზე. მათი ჰეგემონობის ქვეშ ექცევა, ერთი მხრივ, ძველი ურარტუს სამეფოს ჩრდილოეთი რაიონები, მეორე მხრივ კი, საფიქრებელია, აგრეთვე თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც შემდეგ დაუმკვიდრდა ეს სახელწოდება (სპერი-იბერი)“.[67]

---

64 დასახ. ნაშრომი, გვ 137.

65 იქვე, გვ 137.

66 დასახ. ნაშრომი, გვ 36.

67 იქვე, გვ 41-42.

საისტორიო მეცნიერებაში ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენი უახლოესი სამხრეთელი მეზობლის – სომხების სახელი დაკავშირებული იქნა ძველაღმოსავლურ წყაროებში ცნობილ ქვეყანა „სუხმი“ – „სოხმასთან“.[68] ამ ფაქტზე დაყრდნობით გ. მელიქიშვილი 1955 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის“ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს: „ქართველებს შორის ამ ქვეყნის სახელის გადაქცევა სომხების სახელწოდებად იმის შესახებ მიუთითებს, რომ ის ქართველი ტომები, რომელთაც შემდეგში აღმოსავლურ-ქართული ეროვნების ჩამოყალიბებისას შემაკავშირებელი ბირთვის როლი ითამაშეს, ამ დროს ცხოვრობდნენ სუხმის ქვეყნის უშუალო მეზობლად (ჩრდილო-აღმოსავლეთით)“.[69] ავტორი იქვე აკონკრეტებს, რომ იგულისხმება ჭოროხის სათავეები, ე. ი. ძველი სპერის ოლქი. გ. მელიქიშვილი განაგრძობს: „ამაზევე უნდა მიუთითებდეს ქართველთა სომხური სახელწოდება – „ვერ“, რომელიც მიჩნეულია, რომ „იბერ“-ის სახელის ვარიანტს წარმოადგენს.[70] სომეხ ტომებს, რომლებიც ქართველების უძველესი მეზობლები იყვნენ, საეჭვოა, ქართველების სახელი უცხოელთაგან მიეღოთ; სავარაუდოა სწორედ პირიქით, რომ უცხოელებს ქართველთა სახელი სომეხთაგან მიეღოთ. „იბერ-“ის სახელი კი, რომლის ვარიანტიცაა ქართველთა სომხური სახელი „ვერ“, უკავშირდება სწორედ სპერის ოლქის სახელს (სპერ>ჰბერ>იბერ>ვერ). ეტყობა, სომხებთანაც ქართველთა (ძველად: აღმოსავლურ-ქართის ელემენტის) სახელად „სპერ“-ის ოლქის სახელი გადაქცეულა. ეს კი იმაზე(?) მეტყველებს, რომ სომხები უძველეს ხანაში მეზობლობდნენ სწორედ იმ აღმოსავლურ-ქართულ ტომებს, რომლებიც სპერის ოლქში ცხოვრობდნენ. ამრიგად, ეს ორი ფაქტი (სომხების

---

68 ეს მოსაზრება პირველად გამოთქვა სომეხმა ისტორიკოსმა გრიგოლ ხალატიანცმა. იხ. მისი სტატია „О некоторых географических названиях древней Армении“, კრებულში „Древности Восточные“, ნაწ.II, გამ.II, მოსკოვი, 1901, გვ. 126.

69 დასახ. წიგნი, გვ. 62.

70 მარი ბროსეს მიხედვითაც „იბერია“ სომხური ენის მეშვეობით დამკვიდრდა. მაგრამ ეს ტერმინი მას გამოჰყავდა სომხური სიტყვიდან „ვერ“, რაც ნიშნავს ზემოთ – ქართლი, იბერია ხომ სომხეთის ჩრდილოეთით მდებარეობს.

ქართული სახელწოდება და ქართველების სომხური სახელწოდება) თითქოს ავსებს ერთმანეთს და ძველი სპერის ოლქზე მიგვითითებს, როგორც აღმოსავლურ-ქართული ელემენტის უძველეს და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ყველაზე უკიდურეს, პერიფერიულ რაიონზე".[71] ამჯერად არ შეეხებით ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხს, რომელიც ამგვარი ინტერპრეტაციით სულ სხვანაირად წარმოჩინდება.

1954 წელს რუსულად გამოქვეყნებულ ნაშრომში „ნაირი-ურარტუ" გ. მელიქიშვილი კვლავ იმეორებს თავის ძველ მოსაზრებას სასპერების თაობაზე. იგივე ითქმის ხუთი წლის შემდეგ რუსულ ენაზე გამოსულ მის ნაშრომზე „ძველი საქართველოს ისტორიისათვის". აქ აღნიშნულია, რომ „სასპერები" ანუ ქართები მოიცავდნენ ალბათ ხური-ურარტულ ტომებსაც, სკვით-კიმერიელებსაც და მისთ. (აღნიშნული ეთნონიმის ფართო გაგების თაობაზე ს. ჯანაშიასეულ მოსაზრებაზე უკვე მოგახსენებდით). ავტორის აზრით, „სავსებით შესაძლებელია, რომ „სასპერების" ცნება მოიცავდა თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოსაც. შესაძლოა, ამის საბუთს წარმოადგენდეს ამ დროისა აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალურ კულტურაში „სამხრეთული ელემენტების" თვალსაჩინო გაზრდა".[72] როგორც ჩანს, სასპერების მონათესავე ხალხად გ. მელიქიშვილი მიიჩნევდა ქსენოფონტესთან მოხსენიებულ პესპერიტებსაც.[73]

ნაშრომში „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის" (1965) გ. მელიქიშვილი

---

71 დასახ. წიგნი, გვ 62, იხ. აგრეთვე გვ 56.

72 დასახ წიგნი, გვ 233.

73 სხვათა შორის, ქსენოფონტეს „ანაბასისის" შესახებ დაწერილ სპეციალურ ნაშრომში (დაიბეჭდა 1967 წელს) თეიმურაზ მიქელაძე თავს იკავებდა მსგავსი დასკვნისაგან. შვიდი წლის შემდეგ გამოცემულ ნაშრომში „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან" ავტორი „სპერებს", სასპერებს ი[illegible]რებს უკავშირებს. მისი შეხედულებით, ტოპონიმი ნასპერი (ლეჩხუმში მდებარე სოფლისა) „სრულიად აშკარად უკავშირდება სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ქვეყნისა და ტოპის სახელს (იგულისხმება სპერი — გ. ყ). იხ. გვ 13. სამწუხაროდ, ავტორი არ შეეცადა აღნიშნული მოსაზრების დასაბუთებას.

ეთნონიმ „იბერის“ უკვე რამდენიმენაირ ახსნას გვთავაზობს (ზემოთ, როგორც დავინახეთ, მხოლოდ სომხურ წარმომავლობაზე ლაპარაკობდა). მაგალითად, თითქოს იგი აიხსნება ქართული სიტყვა „იმიერით“ (ლიხის, მესხეთისა და პონტოს ქედების აქეთ მცხოვრებთა თვალსაზრისით),[74] ანდა „იბერის“ ფორმის ჩამოყალიბებაში რომელიმე მსგავსი სახელიდან გარკვეული როლი შეასრულა პირენეის იბერთა სახელთან ასოციაციამ, და ეს თითქოს ბერძნულ ისტორიულ სამყაროში უნდა მომხდარიყო.[75] მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ბევრად უფრო საინტერესოა ავტორის შემდეგი აზრი: „მაგრამ ჩვენ ასევე შესაძლებლად გვეჩვენება მეორე (თუ მესამე? გ. ყ) თვალსაზრისი, რომელსაც ეს სახელი („იბერი“, გ. ყ) სუბარ-სასპერ-სპერ ტერმინიდან გამოჰყავს. ძველ ბერძნულ ტრადიციაში (კერძოდ ჰეროდოტესთან) დაცული წარმოდგენა სასპერების დიდი ხალხის შესახებ, მეტად ბუნებრივია, ნაკლებად იყოს ძველისძველი (ასურულ-ბაბილონურ და მიდიასპარსულ) წარმოდგენებისა სუბარის (სუბარტუ) დიდი ქვეყნის შესახებ.[76] ამ გვიან ხანაში მას შეიძლება მრავალგზისი გადასვლა განეცადა ერთი ხალხიდან მეორეზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მათგანი დაწინაურდებოდა ამ მიწა-წყალზე. ქართის ტომებზეც ამ სახელის გადასვლა ამავე საფუძველზე შეიძლება მომხდარიყო. რაც შეეხება სუბარ-სასპერ-ჰესპერ-სპერ ტერმინის „(ი)ბერ“-ად გადაქცევას, საამისო ვარაუდისათვის მნიშვნელოვანი ენობრივი დაბრკოლებები არ უნდა (?!) არსებობდეს: ს>ი>ჰ>ი გადასვლა კანონზომიერია ქართველურ ენებში; იგივე კანონზომიერება

---

74 იხ. გ. მელიქიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

75 იქვე, გვ. 84–85.

76 ცნობილია რომ „სუბარტული“ (შუბარტუ) ძველბაბილონურ ხანაში იწოდებოდა. ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები – ჩრდილოეთი მესოპოტამია, ტიგროსის შუა და ზემო წელები, ევფრატის ზემო წელი და, აქედან გამომდინარე, აქ მცხოვრებნი სუბარელებად იწოდებოდნენ. ძვ. წ. მეორე ათასწლეულში „სუბარელები“ ხურიტების სინონიმად იქცა. ბოლოს აღნიშნული სახელწოდება („სუბარტუ“, „შუბარტუ“) შემორჩა ტიგროსის ზემოთ მდებარე ქვეყანას შუპრიას. საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია გ. მელიქიშვილს ამ სახელწოდების გადასვლა „სასპერებზე“ (დიაენ-ლიაოხის შემდეგ). პრობლემა ისიც, თუ რომელ ენაში გახდა შესაძლებელი მსგავსი მეტამორფოზა „სუბარტუ“ – „სასპერი“.

დამახასიათებელია ძველი სპარსული ენობრივი სამყაროსთვისაც და, მაშასადამე, ეს გარდაქმნები სპარსული სამყაროს წიაღშიც შეიძლება ივარაუდოს ადამიანმა და შემდეგ სპარსელების გზით სომხურ და ბერძნულ სამყაროში გადასულად".[77] აშკარაა, რომ მოტანილ ვრცელ ციტატაში საქმე გვაქვს ავტორისეული აზროვნების ახალ მომენტებთან: „იბერი", „იბერია" მხოლოდ უშუალოდ „სპერიდან" კი არ მომდინარეობს, არამედ მისი მეშვეობით სხვა რგოლებიდან (ჰესპერ>სასპერ>სუბარ). რაკი სიტყვამ (თუ მსჯელობამ) მოიტანა, მაშინ, სავსებით ბუნებრივია, შესაბამის ადგილებში ძველი სუბარების, ე. ი. ხურრიტების, ცხოვრებაც ეიგულისხმოთ. ამრიგად, უარყოფილია ავტორის აზრი ეთნონიმ „იბერის" სომხური ენიდან მომდინარეობის თაობაზე.

გ. მელიქიშვილის აღნიშნული აზრების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს მცირე მოცულობის სტატია „სასპეირები" (*Ἑσπειρες*), გამოქვეყნებული 1969 წელს „საბჭოთა საისტორიო ენციკლოპედიის" XII ტომში. აქ ვკითხულობთ, რომ აღნიშნული ეთნონიმი გვხვდება ჰეროდოტესთან იმ მოსახლეობის აღსანიშნავად, რომელიც ცხოვრობდა მიდიასა და კოლხეთს შორის, რომ ფართო გაგებით „სასპეირების" სახელის ქვეშ, როგორც ჩანს, გულისხმობდნენ აგრეთვე ალაროდიელებსა და მატიენებს, რომლებიც საკუთრივ სასპეირებთან ერთად შედიოდნენ აქემენიანთა სახელმწიფოს (იმპერიის) მეთვრამეტე სატრაპიაში, რომ თუ ამ სახელწოდებების მიხედვით ვიმსჯელებთ, სასპეირების, ალაროდიელებისა და მატიენების ქვეშ იგულისხმებიან ურთიერთმონათესავე ხური-ურარტული ტომები (სასპეირები-სუბარები, ალაროდიები-ურარტუელები, მატიენები-მითანელები). სტატიის წყაროებად მითითებულია ს. ჯანაშიას „შრომების" მეორე ტომი (1952) და გ. მელიქიშვილისეული ჩვენ მიერ უკვე განხილული 1965 წელს გამოსული ნაშრომი. მაგრამ ს. ჯანაშია, როგორც უკვე დავინახეთ, შორს იყო იმ აზრისაგან, რომ „სასპერები" არა მარტო ფართო, არამედ ვიწრო მნიშვნელობითაც კი მხოლოდ ხური-ურარტულ ეთნიკურ სამყაროს მიეკუთვნებოდნენ; თუმცა ფართო გაგებით „სასპერებში" იგი გულისხმობდა ალაროდიებსა და მატიენებსაც, მაგრამ საკუთრივ სასპერების ქართული წარმომავლობა მას უეჭველად მიაჩნდა. ასეთი რადიკალური აზრი არ არის წარმოდგენილი არც ე. მელიქიშვილის აღნიშნულ ნაშრომში. თუმცა სტატიის ავტორი

77 გ. მელიქიშვილი, „საქართველოს, კავკასიისა..." გვ. 84.

მითითებული არაა, მაგრამ აქ უთუოდ იგულისხმება გ. მელიქიშვილი, რომელმაც, როგორც უკვე დავინახეთ, შეიცვალა აზრი სასპერების ქართული წარმომავლობის თაობაზე.

ერთი წლის შემდეგ გამოსულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ პირველ ტომში კვლავ გამეორებულია აზრი სასპერების „სუბარიდან“ გამომდინარე წარმომავლობის თაობაზე. მაგრამ ავტორი ამჯერად უფრო „ზომიერ“ თვალსაზრისზე დგას, მის წიგნში ვკითხულობთ: „დასავლურ-ქართული მოსახლეობის მსგავსად, აღმოსავლურ-ქართული (ქართის) ტომების სამხრეთი დაჯგუფება(!) უშუალოდ უნდა(?) შესულიყო აქემენიდების სპარსეთის შემადგენლობაში“;[78] „ფიქრობენ(!), რომ სამხრეთი ქართის ტომები ადრეანტიკურ ხანაში სასპერების (ვარიანტი: ჰესპერიტების) სახელით არიან ცნობილი. ისინი, პეროდოტეს ცნობით, ალაროდიებთან და მატიენებთან ერთად შედიოდნენ სპარსეთის მე-18 სატრაპიაში“;[79] „უფრო გვიან, ქსენოფონტეს დროს (ძვ. წ. 401 წ.) ეს სასპერები („ჰესპერიტები“, იბერები) დასავლურ ქართულ (კოლხურ, როგორც ქსენოფონტე უწოდებს „ფასიანების“) ტომებთან ერთად ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულში გაერთიანებულან(?), რომელსაც „დასავლეთი არმენია“ ეწოდებოდა“.[80] შევნიშნავთ, რომ წიგნის მეხუთე თავში, რომელიც ქართველების ეთნოგენეზისს ეხება, აბსოლუტურად არაფერია ნათქვამი სასპერების შესახებ.

ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილ სახელმძღვანელოში „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“ (1971) აღნიშნულია: „საინტერესოა, რომ სწორედ ძველი ურარტუს ტერიტორია იგულისხმება სპარსეთის XVIII სატრაპიაში (ოლქში), რომელშიც ძვ. წ. V ს. ბერძენი ავტორის პეროდოტეს ცნობით შედიოდნენ ალაროდიები, მატიენები და სასპერები“.[81] მაგრამ თვითონ პეროდოტესაც მიხედვითაც ხომ სასპერები ერთი მხრივ ჩრდილოეთით, ხოლო მეორე მხრივ კი მიდიის დასავლეთითაც ცხოვრობდნენ? ამდენად ყოველ შემთხვევაში მათი ადგილსამყოფელის ნაწილი აშკარად არ შედიოდა ძველი ურარტუს ფარგლებში. გარდა ამისა, აქ არაა აღნიშნული სასპერთა ეთნიკური ვინაობაც.

1985 წელს გამოქვეყნებული „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეცხრე ტომის სპეციალურ სტატიაში სასპერების შესახებ, რომელიც

78 დასახ. წიგნი, გვ. 434.

79 იქვე.

80 იქვე.

81 იხ. გვ. 437.

გ.მელიქიშვილს ეკუთვნის, ვკითხულობთ, რომ ეს ეთნონიმი გახლავთ „აქემენიდური ხანის სპარსეთის ერთ-ერთ სატრაპიაში შემავალი ტომების სახელწოდება“;[82] რომ „სასპერების სახელწოდებას უკავშირებენ(!) სპერის ოლქის, ძვ. აღმოსავლური ხანის სუბარელთა (ხური-მითანელთა), აგრეთვე(!) აღმოსავლურ-ქართული ტომების — იბერების სახელწოდებებს. ზოგიერთ მკვლევარს ისინი აქემენიდურ ხანაში ქართლის ტომების პეგემონობით ჩამოყალიბებულ იბერიის წინამორბედ გაერთიანებად მიაჩნდა(?!)“.[83] მაგრამ ხომ კარგად ვიცით, რომ დიდი ხნის მანძილზე თავად გ. მელიქიშვილს ეჭვი არ ეპარებოდა სასპერების ქართველობაში, მაგრამ ამჯერად კი საკითხის შესახებ უაღრესად ბუნდოვნად მსჯელობს და ცდილობს თავისი ნამდვილი (ან შეცვლილი) პოზიცია დამალოს.

მომდევნო წელს გამოსულ ქსე-ს მეათე ტომში (ურარტუს შესახებ დაწერილ სტატიაში) უკვე საკმაოდ აშკარად, მიკიბ-მოკიბვის გარეშე, გაცხადებულია: „მისი (ჰეროდოტეს — გ. ყ) ცნობით, ისინი (ალაროდიები — გ. ყ) მონათესავე ხურიტებთან ერთად (სასპერები და მატიენეები) შეადგენდნენ აქემენიდური ირანის XVIII სატრაპიას“.[84]

უფრო ადრე გამოსულ „საქართველოს ისტორიის საკითხავ წიგნში“ (1980 წ.) გ. მელიქიშვილი გაურკვეველად წერდა: „მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში სპარსეთის სამეფოს ორი ჩრდილოეთით მდებარე ოლქი ამ ქართულ(!) და სხვა თემებისაგან შედგებოდა. მე-18 ოლქში, რომელიც მდ. არაქსის ხეობასა, მდ. ევფრატისა და ტიგროსის სათავეებსა და ვანის ტბის გარშემო იდო, შედიოდნენ მატიენები, სასპერები და ალაროდიები, როგორც ამას ჰეროდოტე მოგვითხრობს“.[85] ამავე წიგნის მეხუთე პარაგრაფში, სადაც საუბარია აღმოსავლურ ქართული (იბერიის) სამეფოს წარმოქმნაზე, სასპერები არსად არ არიან მოხსენიებულნი, ასევე მეორდება წიგნის მე-2 და მე-3 გამოცემაშიც (1990 წ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაკვირი როდია, რომ 1988 წელს (პირველად) დასტამბულ საქართველოს ისტორიის ახალ სასკოლო სახელმძღვანელოში (ნ. ასათიანის რედაქციით) არც ერთი სიტყვით არ არიან ნახსენები სასპერები. შეგახსენებთ,

82 დასახ. წიგნი, გვ. 125.

83 იქვე.

84 ცხადია, თავად ჰეროდოტეს არაფერი წარმოდგენა არა ჰქონდა ხურიტებზე.

85 დასახ. წიგნი, გვ. 24.

რომ სახელმძღვანელოს თავები ძველი ისტორიის შესახებ სწორედ გ. მელიქიშვილის კონსულტაციით არის დაწერილი. მაგრამ სად იყო ამ დროს რედაქტორი, სხვა ავტორები (ცოცხლები) და მრავალრიცხოვანი რეცენზენტები?[86] ფაქტია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ვერაფერს გაიგებს სასპერთა შესახებ...

1989 წელს გამოქვეყნებულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რუსულ ვარიანტში ერთგან აღნიშნულია „ქართების ტომი („სასპერები-იბერები?)“,[87] ხოლო მეორეგან, მადლობა ღმერთს, „აღმოსავლურ-ქართულ(!) ტომთა — სასპერების სამხრეთი დაჯგუფება(!)“.[88]

გასულ წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის დამხმარე სასკოლო სახელმძღვანელოში (ილია ანთელავას რედაქციით) ვკითხულობთ, რომ „აქემენიანებმა თავისი სამფლობელოები ადმინისტრაციულ ერთეულებად — სატრაპიებად დაჰყვეს. მე-19 სატრაპია აერთიანებდა სამხრეთ კოლხეთში მცხოვრებ ქართველ(!) ტომებს“.[89] მაგრამ წიგნში არაფერია ნათქვამი მეთვრამეტე სატრაპიაზე და საერთოდ სასპერების შესახებ. შეგახსენებთ, რომ დამხმარე სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილი სწორედ გ. მელიქიშვილს ეკუთვნის.

ამჟამად, რამდენადაც ვიცით, ფრიად ტიტულოვან (სამეცნიერო) ავტორთა კოლექტივი ამზადებს საქართველოს ისტორიის ოთხტომეულს, რომელშიც ძველი ისტორიის უმეტესი ნაწილის დაწერა ალბათ გ. მელიქიშვილს დაეკისრება. დაველოდოთ, თუ რა სიურპრიზს შემოგვთავაზებს ეს უკანასკნელი სხვა საკითხთა შორის სასპერების თაობაზეც.

ფაქტია, რომ სასპერების საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში, კარგა ხანია, გ. მელიქიშვილის გარდა სხვა არავინ შეხებია. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ დ. მუსხელიშვილი და შ. ასათიანი,[90]

---

86 ამ საკითხს პრესაში რეპლიკით გამოეხმაურეთ.

87 იხ. გვ 217.

88 იხ. იქვე, გვ 245.

89 დასახ. წიგნი, გვ 21.

90 იხ. პირველის სტატია „ქართველთა თეთასხელწოდების ისტორიისათვის“, „მაცნე“ ისტორიის... სერია, 1992, № 2, გვ 17 და მეორის საკანდიდატო დისერტაცია „ქართველური ტომები ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში“, 1992, (ხელნაწერი), გვ 107–113.

რომლებიც კლავე იმეორებენ ტრადიციულ, ს. ჯანაშიასეულ შეხედულებას საკითხის თაობაზე. ისინი ეყრდნობიან აგრეთვე გ. მელიქიშვილის ნაშრომს „საქართველოს ძველი ისტორიისათვის“ (1959). მაგრამ, ჩანს, ვერ აცნობიერებენ მოცემული საკითხის თაობაზე უკანასკნელის შეხედულების თვალსაჩინო ცვლილებას.

სხვათა შორის, ქართული ისტორიული სამყაროსადმი სასპერების მიკუთვნებას ვერ უარყოფენ თანამედროვე რუსი ისტორიკოსებიც კი (ვ. სტრუვე, დ. რედერი, ბ. პიოტროვსკი, ი. დიაკონოვი), რომლებიც, განსაკუთრებით უკანასკნელი, სხვა შემთხვევებში მზად გახლავან „ჩამოგვაცილონ“ რიგი ხალხებისა (ვიწრო, ეთნოგრაფიული მნიშვნელობით – მუშქები, ტიბარენები, სანიგები და მისთ.). მაგალითად, „Всемирная история“-ს საბჭოთა გამოცემის მეორე ტომში (1956) სასპერები ქართველებად იყვნენ აღიარებული.[91] ბ. პიოტროვსკის წიგნში „ვანის სამეფო“ (მოსკოვი, 1959) ვკითხულობთ, რომ პეროდოტეს მიხედვით ადვილად დგინდება სასპერების ბინადრობის ადგილი – ისინი ცხოვრობდნენ არაქსსა და მტკვრის შუაწელში, ალაროდიელების (მათს ლოკალიზაციას ავტორი ახდენს ვანის ტბის რეგიონში) ჩრდილოეთით.[92] თუმცა აშკარად არ აღიარებს, მაგრამ ჩანს, რომ ბ. პიოტროვსკი სასპერებს ჩვენს წინაპრებად თვლიდა. ი. დიაკონოვი 1968 წელს ერევანში გამოცემულ ნაშრომში „Предыстория армянского народа“ წერდა, რომ პეროდოტესეული სასპერები, მცხოვრებნი კოლხეთსა და მიდიას შორის, გაიგივებულნი არიან აღმოსაველეთ ქართველებთან.[93] მისი და სხვა ავტორთა რედაქციით დაბეჭდილ „ძველი მსოფლიოს ისტორიის“ მეორე წიგნში აღნიშნულია, რომ პეროდოტესთან მითითებულ XVIII სატრაპიაში მცხოვრები სასპერები პროტოქართველი (протогрузинские) ტომები იყვნენ.[94] მომდევნო გვერდზე ვკითხულობთ: „ცხადია, არიან-ქართლი ქართველი (ქართველური) ტომების ტერიტორიის ის ნაწილია, რომელიც

---

91 დასახ. წიგნი, გვ. 156. იხ. აგრეთვე БСЭ-ს III გამ., ტ.22, 1975, გვ 607; ვ. სტრუვესა და დ. რედერის რედაქციით გამოცემული „ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ქრესტომათია“ (მოსკოვი, 1963), გვ 577.

92 იხ. გვ 117.

93 დასახ. წიგნი, გვ 240.

94 იხ. გვ 400.

შედიოდა აქემენიანთა ერთ-ერთ, შემდეგ კი სელევკიანთა მე-18 სატრაპიაში. რადგან ცნობილია, რომ ამ სატრაპიას მიეკუთვნებოდა აღმოსავლური პროტოქართული (протогрузинское) ტომი სასპერებისა", რომ აზოსთან ერთად მოსულ წარჩინებულებს (знать) ძველი ქართული საისტორიო გადმოცემა თვლიდა ძველი აქემენიანური (იმპერიის) ტერიტორიებიდან მოსულ ქართველებად.[95]

ახლა შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს. სასპერების შესახებ, როგორც დავინახეთ, საკმაო ლიტერატურა არსებობს და აზრი საკითხის გარშემო თითქოს თვალსაჩინოდ გამოკვეთილია. ამას დიდი ხნის მანძილზე იზიარებდა თავად გ. მელიქიშვილიც. ჯერ კიდევ ჰეროდოტეს თანახმად, სასპერები ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ საქართველოშიც (სხვა რეგიონებთან ერთად) და ამდენად ახლოს ემეზობლებოდნენ მიდიას. ასე რომ, იმთავითვე საკმაოდ ცხადი ხდება მათი ეთნიკური კუთვნილების გაგება. ჩამოვთვლით სასპერების თაობაზე ტრადიციული შეხედულების დამამტკიცებელ არგუმენტებს: 1. სასპერების სახელწოდება უცილობლად უკავშირდება სპერს, სადაც ქართული (და საერთოდ ქართველური) მოდგმა დიდი ხნის წინათ დამკვიდრებულა; 2. ისტორიის ელემენტარული ფაქტია, რომ სომხებს სპერთან ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არაფრისი ისტორიული შეხება არა ჰქონიათ; 3. უფრო სარწმუნოა, რომ აღმოსავლელ ქართველთა უცხოური

---

95 შევნიშნავთ, რომ რუსთაგან განსხვავებით სომეხი ისტორიკოსები ცდილობენ საკითხის გაბუნდოვანებას და ქართული ისტორიული სამყაროსაგან სასპერების ჩამოცილებას. ეს ტენდენცია შეინიშნება, ჯერ კიდევ ნ. ადონცის მოკიდებული (იხ. მისი „Армения в эпоху Юстиниана", Санкт-Петербург, 1911). ამიტომაც საკვირველი არაა, რომ „სომხური საბჭოთა ენციკლოპედიის" შესაბამის X ტომში, 1984, გვ. 199) თითქოსდა საკითხისადმი ნეიტრალური პოზიციის მიუხედავად აღნიშნულია, რომ სასპირები (პესპერიტები), იყვნენო ძველი სომხეთის მაღალმთიანი ჰაიქის (სომხეთის, არმენიის აზრით – გ. ყ) მხარის სპერის ოლქის მკვიდრნი. ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ ალექსანდრე მაკედონელმა უბრძანა მხედართმთავარ მენონს გაელაშქრა სპერში და დაუფლებოდა იქ მოპოვებულ ოქროს. მაგრამ სომხებმა(!) განდევნეს მაკედონელები, ხოლო თვითონ მენონი კი მოკლეს. იხ. „История армянского народа", ч.I, Ереван, 1951. გვ. 31. წიგნში მეორეგან წერია, რომ სომხები ოდითგანვე ამუშავებდნენ სპერის ოქროს. ასე რომ, სომეხი მასობრიეი ჩვეულებისათვის აშკარად მიუნიშნებულია სასპერთა ეთნიკური კუთვნილება.

სახელდება „იბერი“ სომეხთაგან მოდის და უკავშირდება სწორედ ეთნონიმ სასპერებს; 4. თუ სასპერებს გამოვთიშავთ შესაბამისი რეგიონისაგან და მათს ადგილსამყოფელს შორს სამხრეთში, ტიგროსის სათავეებში ვიგულვებთ და ხურიტებად ჩავთვლით, მაშინ გამოდის, რომ ჩვენი წინაპრები (ალმოსაველელი) არ ყოფილან სპარსეთის მეთვრამეტე სატრაპიაში და ამდენად, მათ უფრო ჩრდილოეთით უცხოვრიათ. მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ გაიაზრება არიან-ქართლის დამკვიდრებული შინაარსი; 5. ქართულ ისტორიოგრაფიაში აქა-იქ არის ცდები სასპერები დაუკავშირონ დასავლურ-ქართველურ (ზანურ შტოს),[96] რასაც არგუმენტები არ მოეძებნება; 6. როგორც საკითხის ისტორიოგრაფიული მიმოხილვიდან დავრწმუნდით, სასპერების კუთვნილება ჩვენი ისტორიული სამყაროსადმი უეჭველია არა მხოლოდ ქართველი, არამედ მრავალი უცხოელი ისტორიკოსისათვისაც, რასაც ცხადია, თავისი სერიოზული საფუძველი გააჩნია.

1997 წ.

96 იხ. არქეოლოგოს ელგუჯა გოგაძის სტატია ქსეის მე-5 ტომში, გვ 597.

კასკების (ქაშქების) ეთნიკური წარმომავლობის საკითხისათვის

ასირიოლოგიის განვითარებისა და ხეთური დამწერლობის ვაშინგტონის შედეგად მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, გვიანდელ პონტოში და შემდგომ სამხრეთში ცხოვრობდა ხალხი სახელწოდებით „კასკი//ქაშქი". იმდროინდელი დასავლელი მეცნიერები (ფრიდრიხ ჰომელი, ჰუგო ვინკლერი და სხვ.) თვლიდნენ, რომ აღნიშნული ტერმინი უკავშირდებოდა „კოლხს", ე. ი. ქართველურ ეთნიკურ სამყაროს. ეს აზრი გაიზიარა ივ. ჯავახიშვილმაც. ამდენად ჯერ კიდევ ძველ ხანაში ქაშქები ანუ კოლხები თითქოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში ცხოვრობდნენ, საიდანაც შემდგომ მოხდა მათი მიგრაცია. „ქართველი ერის ისტორიის" პირველი ტომის 1913 წლის გამოცემაში ვკითხულობთ, რომ „აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ნაწილში კახეთსა და კოხეთში და დასავლეთ საქართველოს უკიდურეს სამხრეთში დასახლებულან კასკები და კოლხები. ვგონებ ამ პირვანდელ კასხურ-კოლხურ მოსახლეობის ნაშთად უნდა ჩაითვალოს სახელები კახი და კუხი, რომელიც მერმინდელმა მოსახლეობამაც შეინარჩუნა"[1].

1953 წელს აღნიშნულ საკითხზე სპეციალური სტატია გამოაქვეყნა გ. მელიქიშვილმა „ქაშქა ხალხის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის".[2] ავტორის აზრით, „ქაშქა" ეთნონიმში შესაძლებელია იგულისხმებოდეს ეთნიკურად სხვადასხვა წარმოშობის ტომები, მაგრამ ყველა ისინი ძირითადად ჩრდილო-კავკასიური წარმომავლობისა იყვნენ. გ. მელიქიშვილი უშვებდა ორ ვარიანტს: 1. ქაშქები მომთაბარეთა ზეწოლის შედეგად კავკასიონის ქედის ჩრდილოეთი მხრიდან ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანს გადმოსახლებული ხალხია ანდა 2. შესაძლოა ისინი ჩრდილო-კავკასიურ სამყაროსთან ენობრივად ძალზე ახლო

---

1 დასახ. წიგნი, გვ 67.

2 ივ ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მოამბე, III, 1953.

მდგომი მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის – პროტოხეთების წარმომადგენლები იყვნენ. მისივე მოსაზრებით, ქაშქების მონათესავენი უნდა ყოფილიყვნენ ასურულ წყაროებში მოხსენიებული აბეშლაელები. სხვა დროს გ. მელიქიშვილი ქაშქების ფართო ეთნიკურ ერთობაში ქართველური წარმომავლობის ტომებსაც გულისხმობდა.

აღნიშნულ საკითხს ასევე სპეციალურად შეეხო იმხანად დამწყები ისტორიკოსი, ხეთოლოგოსი გრიგოლ გიორგაძე თავის საკანდიდატო დისერტაციაში „ხეთების სახელმწიფოს ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებ ტომთა (ქაშქები) ისტორიიდან“. ავტორი პირწმინდად უარყოფდა ქაშქებისა და კოლხების იდენტურობას, თვლიდა რა, რომ მოგვიანებით საბოლოოდ გამოაშკარავდა ამ ჰიპოთეზის უსაფუძვლობა[3]. ამის სანაცვლოდ გრ. გიორგაძე მიიჩნევდა, რომ ისინი იყვნენ ან ხეთები (პროტოხეთები) ანდა მათი მონათესავე ხალხი. გ. მელიქიშვილის მსგავსად, იგი დასაშვებად თვლიდა ქაშქების ზოგადი სახელწოდების ქვეშ აგრეთვე ინდოევროპელი, ხურიტი და დასავლურ-ქართველური ტომების (უფრო ნაკლები კატეგორიულობით) არსებობას. ავტორი ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა აგრეთვე 1961 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში[4].

უნდა აღინიშნოს, რომ ქაშქებს აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ხალხად მიიჩნევენ რუსი მეცნიერებიც: ი. დუნაევსკაია,. ი. დიაკონოვი, ვ. ივანოვი და სხვ.

უკანასკნელ წლებში დაბეჭდილ სტატიებში გრ. გიორგაძემ რადიკალურად გადასინჯა თავისი ძველი შეხედულებანი ქაშქების ეთნიკური წარმომავლობის თაობაზე[5]. ამჯერად იგი ემხრობა ქაშქების (კაშკები) კოლხური წარმომავლობის თვალსაზრისს. მაგრამ აღნიშნულ კრებულში მოცემული საკითხის გარშემო ლოგიკური წინააღმდეგობრიობა შეინიშნება. ასე მაგალითად, აქ ვკითხულობთ: „არ არის გამორიცხული

---

3 იხ. ავტორეფერატი, გვ. 5.

4. „К вопросу о локализации и языковой структуре каскских этнических и географических названий“, Переднеазиатский сборник, М., 1961.

5 იხ. მისი კრებული „ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაელების ეთნიკური წარმომავლობისათვის“, ახალციხე, 2000.

ვიცარაულოთ, რომ ქასქური წარმოშობის ტომებს გარდა, ხეთები ამ ტერმინით აღნიშნავდნენ პონტოში ან მის მეზობლად მცხოვრებ არაქასქურ, სავარაუდოა, დასავლურ-ქართველური წარმოშობის ტომებსაც"[6]. მის სტატიაში „ეგვიპტელებისა და ხეთების პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან (კადეშის ბრძოლა)" აღნიშნულია, რომ კადეშთან (ჩრდილოეთ სირიაში) გამართულ ცნობილ ბრძოლაში მონაწილეობდნენ ქაშქებიც და მათთან ერთად დასავლურ-ქართველური წარმოშობის მეომრებიც[7]. ეს აზრი კი, უდავოა, საფუძვლიანად არყევს გრ. გიორგაძისეულ ახალ „აღმოჩენას". სხვათა შორის, 1961 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში იგი წერდა: „შესაძლებელია ვიცარაულოთ, რომ მომავალი არქეოლოგიური გათხრების მასალები დაგვეხმარება გავაცხადოთ კასკების ეთნიკური კუთვნილების ჯერჯერობით დარჩენილი ბუნდოვანი მომენტები"[8]. დიდად სამწუხაროდ, სავარაუდო ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოები არ ჩატარებულა, და ამდენად არც თვალსაჩინო არქეოლოგიური ფაქტები გაგვაჩნია ჩვენთვის საინტერესო პრობლემის გასაშუქებლად.

ახლა თვალი გავადევნოთ, თუ როგორ ასაბუთებს გრ. გიორგაძე თავის ახალ თვალსაზრისს. დიდი ხანია ცნობილია (საქართველოში ეს შენიშნა პ. უშაკოვმა), რომ სადაურობის აღმნიშვნელი -ელ, -ილ სუფიქსები არსებობს ხეთურ (პროტოხეთურ) ენაშიც. ამ არგუმენტს იგი იყენებს თავისი ახალი შეხედულების დასამტკიცებლად. მაგრამ აღნიშნული სუფიქსი ხომ ქართულია, ხოლო მეგრულ-ჭანურში გვაქვს -არ. ჯერჯერობით არ ვიცით, თუ რა იყო ამ ფორმის არქეტიპი თუნდაც ზანურ-ქართული ენობრივი ერთობის საფეხურზე. როგორც არ უნდა იყოს, მოტანილი არგუმენტით კასკების კოლხობა ვერ დადასტურდება.

გრ. გიორგაძეს მოაქვს რიგი სიტყვებისა, რომელთა საფუძველზედაც გერმანელი ავტორი ქრ. გირბალი ხათურ ენას გენეტიკური თვალსაზრისით ქართველურ ენათა ჯგუფს უკავშირებს. მაგალითად ხათური

---

6 კრებული „ხეთური და ასურული ლურსმული..." გვ. 75-76.

7 იქვე, გვ. 100.

8 იხ. დასახ. კრებული, გვ. 210.

tete (დიდი) = ქართ. დიდი; tuhhukuru (ხედვა) = ქართ. ყურება; sama (šama) = ქართ. ვაშლი; tumaie = ქართ. წვიმა; sauat = ქართ. ვაშლი; karam = ქართ. ქვევრი; win = ქართ. ღვინო; uinkaram = ქართ. მელვინეთუხუცესი(?); ures = ქართ. მჭედელი (თითქოსდა სიტყვა „ურ-დან"); uarar = ქართ. ცხვარი. მაგრამ თუ აღნიშნულ მიმსგავსებებს რაიმე საფუძველი გააჩნიათ, ისინი ხომ უფრო ხათურ და ქართულ (ქართების) ენათა შორის კავშირს ამტკიცებენ. მაშ რა შუაშია ამ შემთხვევაში ხათებისა და კოლხების ენობრივი ნათესაობა?

როდესაც გრ. გიორგაძე ცდილობს ქაშქები დასავლურ-ქართულ ტომებს დაუკავშიროს, ამ ერთობაში იგი სვანებსაც გულისხმობს[9]. მაგრამ ამჯერად ხომ ზანურ-სვანური ენობრივი ერთობა უადგილოა (საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებით (საერთო ქართველურ ენობრივ (და ეთნიკურ) ერთობას ჯერ სვანური გამოეყო, ასე რომ, ამიერიდან ზანურ-ქართული ერთობა რჩებოდა). დავსძენთ იმასაც, რომ ოდენ დეკლარაციულ დონეზე რჩება სასპერების მოხსენიება დასავლურ-ქართული წარმოშობის ტომთა შორის[10]. ვიმეორებთ, ავტორი ამას მხოლოდ აღნიშნავს და ერთი არგუმენტითაც კი არ ცდილობს აზრის დასაბუთებას.

საბედნიეროდ, შემოგვრჩა მრავალი კასკური (ქაშქური) ანთროპონიმი: ასხაფალა (აშხაფალა), ხათეფა, ხაცინა, იციცი, ქასქამუვა, ქაციფირი (გაციფირი), ფაათა (პაატა), ფათალია. ფაცანა, ფიხუნია, ფია, ფიგაფაცუი, ფიფცუ, ფიციცი, რაფალი, სუისმელი (შუიშმელი), დადა (თათა, დათა?!), დადილუ, თემეთი, თითა (დითა), ქიფურურუვა, ქაშალუვა (ქასალუვა), ქასქამუვა, თუთუ და ა. შ.; ტოპონიმები: ხათენცუვა, ქარასუვა, ქათთალადუვა, ქათხაიდუვა, ქათითიმუვა, სადიდუვა, თაფასავა, თიქუქუვა, თაფაფანუვა, თადაფახსუვა, ციმუმუვა, ასდუხურა, ანქურუვა, ერხითა, თალმალია, თასთარისა, თაფალუფა, თადაფახხუვა, თახანა, თახფასარა, თემია, თეფიხინა, თაფურანიდი, იახრესა, იხხეფითა, ისთუმისთა, ისქამახასა, ლითა, მუთხალი, გახათუსა, სადუფა, სალა, სუნუფისი, უფასითა, უნდა [...], ფითალახსი, ქამამა, ქაქაფუ[...], ხალმათი, ხაისეხლა, ცასფია, ზიხარრია, კათხარრია, გაზხაპა. შემორ-

9 კრებული „ხეთური და ასურული ლურსმული..." გვ. 15, 24.

10 იქვე, გვ. 75.

ჩენილია კაშკი ტომების სახელწოდებანი: ხაცილა, დუდღუშკა, კათხაიდღუა, კამაშმა, ღურმიტტა, ტიბია, იახრეშშა, ისტალუპა, კაპუპუა, ხუტპა, ცაგაპურა, კასიპა; შესაბამისი ქვეყნების სახელწოდებანი: ტაკკუახინა, ტახანტატიპპა; მდინარეების (კუმმეშმახი) სახელები; პარპარრა, ალმინა, ტუხუპურპუნა, აცხელისა, ტიხარრია, კასულა; მთებისა – ტარიკარიმუ, ცუკკუკი, კუნტია, ტივარა.

ცნობილია აგრეთვე ისეთი ქასქური სიტყვები, რომელთა მნიშვნელობაც დღემდე დაუდგენელია: ფიგაფილუ, ფიქურიალი, ფიქულუშენას, ხანაშ ფიფალალა, ფითთაურია, ფითუნთუშ (ფითუნთუს) და სხვ.

ჩვენი მტკიცე აზრით, მეგრულისა და ლაზურის დიდი ცოდნა არაა საჭირო, რაითა დაერწმუნდეთ, რომ მოტანილი ლექსიკური მასალა ამ ენების მეშვეობით ვერ გაიაზრება (სხვათა შორის, უპრიანი იქნებოდა, რომელიმე ქართველ ენათმეცნიერს ეცადა აღნიშნული სიტყვების ახსნა აფხაზურ-ადიღეური ენების მეშვეობით).

გრ. გიორგაძე ცდილობს აღნიშნულ ქაშქურ ანთროპონიმებს დაუკავშიროს მეგრული საკუთარი სახელები: ბაღათურ-ა, ქანთარ, გახარ, გამახარ, პაჭკორ, ოდიშარი. მაგრამ აქ მთლად გაუგებრობასთან გვაქვს საქმე – „ბაღათურ“ მომდინარეობს მონღოლიზირებული სპარსული სიტყვიდან (ნიშნავს გოლიათს, მამაცს, რაინდს), ქანთარ – სპარსული „ქავთარიდან“, გახარ- და გამახარ- შესაბამისი ქართული სიტყვებიდან, ხოლო „პაჭკორ“ საკუთარი სახელიდან კი არ მოდის, არამედ ნიშნავს „მღვდლის ბიჭს“, „ოდიშარი“ – კი ოდიშელს (ოდიშის მცხოვრებს). ერთი სიტყვით, აშკარაა მოტანილი არგუმენტის სრული უსაფუძვლობა. დიდად სამწუხაროდ, არც მეგრული გვარსახელების დაბოლოება -ვა, -ია ამ მხრივ არაფერს გვეუბნება.

გრ.გიორგაძე ცდილობს სიტყვა „ქაშაგი“ (ჩერქეზის აღმნიშვნელი) დაანაწევროს ასე: ქაშა+გ., მაგრამ, როგორც ცნობილია, „გ“ ინდოირანული წარმომავლობის სუფიქსია. ამიტომაც კეთილინებოს და აგკიხსნას ამ შემთხვევაში „ქაშა“-ს მნიშვნელობა.

რაც შეეხება ტოპონიმებს, აფხაზურ-ადიღეური ენებით რომ აიხსნება („სინოპა“, „აფსირტე“, „აკამფსისი“, „აფსაროსი“ (მდინარე ჭოროხის ძველი სახელწოდებანი და სხვ.), და რომელზედაც დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია ცნობილ დასკვნებს აკეთებდნენ, გრ.

გიორგაძე მათ მიიჩნევს გვიანდელ ხანაში აფხაზ-ადიღეელთა (ჩერქეზთა) სამხრეთით ინფილტრაციის დამადასტურებელ ფაქტებად. მაგრამ მსგავსი ტოპონიმები დღესდღეობით უფრო და უფრო მეტი ჩნდება (განსაკუთრებით აჭარასა და გურიაში), და დიდად საეჭვოა, რომ ისინი ჩრდილოეთიდან სპორადულად გადმოსულთა ნაკვალევად მიეჩნიოთ (მსგავსად ჩერქეზული წარმოშობის გვარსახელებისა გურიაში).

სხვათა შორის, გრ. გიორგაძის ვარაუდით „კაშკ" — ძირი ხათური (პროტოხეთური) წარმოშობისაა და მთვარეს ნიშნავს. ამდენად საფიქრებელია, იგი ხათების შერქმეული უნდა იყოს. როგორც არ უნდა იყოს, კასკ//კაშკ-იდან მას უნდა ეწარმოებინა ფორმა „კოლხი". მაგრამ ამგვარი მცდელობა მისი მხრიდან არ ჩანს.

გრ. გიორგაძე საკმაოდ უგულებელყოფს არქეოლოგიურ არგუმენტს. თუ ქაშქები აბორიგენებს წარმოადგენდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, პონტოში, მაშინ ძნელია მათი დაკავშირება კოლხურ არქეოლოგიურ კულტურასთან (ძვ. წ. XV-VII საუკუნეები).[11] გარდა ამისა, გრ. გიორგაძე საკითხს უნდა შეხებოდა ქართველური ენების დიფერენციაციის თვალსაზრისითაც. კერძოდ, უნდა დაედგინა წინარე ქართველური ერთობის თავდაპირველი საცხოვრისი არეალი და დაშლა-დიფერენციაციის პერიოდი. მაგრამ ყოველივე ამის თაობაზე ოი დუმს.

ავტორი აღნიშნავს ფონემათა (განსაკუთრებით აფიქსთა) იდენტურობას ქასქურსა და მეგრულ-ჭანურში. მოტანილ სახელწოდებებში (ტოპონიმებში, ანთროპონიმებში) თითქოს ბევრია მეგრული (საერთოდ, დასავლურ-ქართველური) ენობრივი სტრუქტურისათვის დამახასიათებელი მოვლენები. ასე რომ, მისი დასკვნით, „ზემომოტანილი მასალა მიუთითებს უფრო მეტად ქასქების კოლხურ წარმოშობაზე, ვიდრე აფხაზურ-ადიღეურ წარმომავლობაზე"[12].

გრ. გიორგაძის აზრით, ქასქები იმყოფებოდნენ გვაროვნულ-

---

11 არქეოლოგოს ოთარ ჯაფარიძის შეხედულებით, ხათურ-აფხაზურ-ადიღეურ ტომებს ქვის ხანის ბოლოს (ნეოლითამდე!) ეკავათ კავკასიის დასავლეთი ნაწილი დღევანდელი დასავლეთ საქართველოს დასავლეთი მხარის ჩათვლით. ამ პერიოდიდან ხდება ხათების გამოყოფა წინარე ეთნიკური ერთობიდან და ისინი სახლდებიან ძირითადად ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში. იხ. მისი „На заре этнокультурной истории Кавказа", თბილისი, 1989, გვ. 393.

12. იხ. დასახ. კრებული, გვ. 17.

ტომობრივი განვითარების საფეხურზე, ამდენად მათ არ გააჩნდათ სახელმწიფოებრიობა. მაგრამ ავტორი მოიხსენიებს ამასთანავე მათ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რაც აშკარად ალოგიკურია. დიდად პარადოქსულია, რომ გრ. გიორგაძეს გამორჩა ერთი ფრიად საინტერესო გარემოება: ხეთური წყაროს ცნობით „...ფიხუნია (ტიპიადან) მართავდა კასკურად – კასკებში არ იყო მიღებული ერთის (პირის) მმართველობა. მაგრამ მალე ფიხუნიამ მართვა დაიწყო მეფურად". შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ცნობა ეხება ძვ. წ. XIV საუკუნეს და აშკარად ადასტურებს ამ დროისთვის ქაშქებში სახელმწიფოს წარმოშობის ფაქტს. ხოლო ფუ ეს უკანასკნელნი მართლაც კოლხები იყვნენ, მაშინ ქართული სახელმწიფოებრიობაც 3400 წლით უნდა დთარიღდეს. მაგრამ, ვიმეორებთ, გრ. გიორგაძეს ასეთი დასკვნა არ გაუკეთებია (მსგავსი ცდა ეკუთვნის ისტორიკოს კარლო თოფურიას). საერთოდ, კასკების//ქაშქების ეთნიკური კუთვნილების გარკვევით ბევრი რამ გაცხადდებოდა. კერძოდ, ცნობილია, რომ კასკები შედიოდნენ ხეთური ცივილიზაციის ორბიტაში; მათი ნაწილი ხეთების ვასალები იყო; ისინი მონაწილეობდნენ ხეთების ლაშქრობებში, მათ შორის, ცნობილ კადეშთან ბრძოლის დროს; იდებოდა ხელშეკრულებანი ქაშქებსა და ხეთებს შორის; მათს საზოგადოებაში შეინიშნებოდა სოციალური დიფერენციაცია თავისუფალთა და მონათა სახით, გაჩნდა მოხელეობაც (ბიუროკრატია); ჩანს უთანაბრობა ქასქების ტომობრივ გაერთიანებათა შორისაც, მათი ერთი ქვეყანა (ტიპია), როგორც უკვე ითქვა, სახელმწიფოებრიობის დონეზეც კი ავიდა; განვითარებული ჩანს სამხედრო საქმეც (არსებობდნენ ეტლოსნები); მათ შესახებ იცოდნენ ძველ ეგვიპტეში; ქაშქებმა მონაწილეობა მიიღეს ძვ. წ. XIII საუკუნეში ხეთების სამეფოს განადგურების საქმეში, კერძოდ, აიღეს მათი დედაქალაქი ხატუსასი და ა. შ. ცხადია, თუკი დადასტურდებოდა ქაშქების ქართველური, კერძოდ ხეთური წარმომავლობა, ყოველივე ზემოაღნიშნული საკმაოდ გაამდიდრებდა საქართველოს ძველ ისტორიას.

დაბოლოს დავასკვნით, რომ გრ. გიორგაძის ახალი „თეორია" ქაშქების ეთნიკური კუთვნილების თაობაზე ფრიად არადამაჯერებელია. იგივე ითქმის აბეშლაელთა შესახებაც. რაკი საყარაულოა, რომ ქაშქები კოლხური მოდგმისა არიან, თითქოს ასეთივე დასკვნა შეიძლება გაკეთდეს აფსილების მიმართაც· (ქაშქები აბეშლაელების სინონიმია).

რასაკვირველია, წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ ლურსმული დამწერლობის ცოდნის მეშვეობით როდი მოხდება; ამას უფრო ფართო ცოდნა სჭირდება. ფრიად დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ადრე გრ. გიორგაძე ერთი და იმავე მასალის საფუძველზე სულ სხვა დასკვნებს იძლეოდა, უკანასკნელ წლებში კი პოზიცია ამ საკითხის თაობაზე რადიკალურად შეიცვალა. დიდად ვეჭვობთ, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ აზროვნების, შემეცნების იმანენტურ განვითარებასთან გვქონდეს საქმე. უფრო კი საფიქრებელია, რომ მოცემულ შემთხვევაში პოპულიზმის გამოვლინებას ვაწყდებით. თანაც, რაკი ქართულ მეცნიერებაში საკითხის მცოდნე არავინაა (დიდად საგანგაშო ფაქტია, რომ ხათების პრობლემაზე პროფესიულ დონეზე დღემდე არც ერთ ქართველ მეცნიერს არ უმუშავია) და მსგავსი საქციელის გამოაშკარავებისათვის ჩვენში თავს არავინ გამოიდებს, გრ. გიორგაძის ფანტაზია მართლაც რომ მდიდარი აღმოჩნდა.

2001 წ.

ქართველთა ეთნიკური ისტორიის ერთი საკითხის შესახებ

(„იბერებისა" და „ქართების" ურთიერთმიმართების პრობლემა)

ქართულ ისტორიოგრაფიაში, და საერთოდ პუმანიტარულ მეცნიერებაში, ერთხანს დიდ პრობლემას წარმოადგენდა „იბერებისა" და „ქართების" ურთიერთმიმართების საკითხი. ამოსავალ მომენტად იქცა „ბიბლიაში", მოხსენიებული თუბალი, რომელიც ჯერ კიდევ ებრაელ-რომაელმა ისტორიკოსმა იოსებ ფლავიუსმა ჩვენს წინაპარ იბერებს დაუკავშირა. ახ. წ. IV ს. ეს აზრი გაიმეორეს ეპისკოპოსებმა ესტატე ანტიოქელმა და თეოდორე კვიპროსელმა. ფაქტია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მსგავსი აზრი უწინ თავში არავის მოსვლია. მიზეზი გასაგებია: ჩვენი ძველი ისტორიკოსები აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთ მხოლოდ ქართლის მცხოვრებლებად, „ქართველებად" მოიხსენიებდნენ და ამ ეთნონიმის ანალოგს „ბიბლიაში", ცხადია, არც მოძებნიდნენ; ხოლო ჩვენი ალოეთნონიმის – „იბერის" დაკავშირება თუბალთან მათ აზრად არ მოსვლიათ. ცნობილია, რომ ჩვენი ეთნოგენეტიკური ისტორიის წარმოდგენისას ლეონტი მროველმა სულ სხვაგვარი საისტორიო ტრადიცია დაამკვიდრა. მხოლოდ XIX ს. პირველ ნახევარში თეიმურაზ ბატონიშვილმა მიაქცია ყურადღება იოსებ ფლავიუსის აღნიშნულ მოსაზრებას, მაგრამ აზრი შემდგომ აღარ განუვითარებია.

გასულ საუკუნეში პეროდოტესეული თხზულების ინგლისურ ენაზე მთარგმნელი და გამომცემელი ჯორჯ როულინსონი ტექსტის ჩვენთვის ცნობილი ადგილების კომენტირებისას შენიშნავდა: „საპეირები, ჩანს, უნდა ყოფილიყვნენ გეიანდელ მწერალთა იბერები. სახელწოდებას ეპოულობთ სხვადასხვა ფორმებით: „სასპეირები", „საპეირები", „საბეირები" და „აბეირები", საიდანაც „იბერებზე" გადასვლა ადვილია. ისინი ყოველთვის არიან წარმოდგენილნი როგორც მოსაზღვრენი კოლხებისა აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ასე რომ, მათ უნდა დაესახლებინათ თანამედროვე საქართველოს პროვინციის

დიდი ნაწილი";[1] „ჰეროდოტეს, როგორც ჩანს, უნდა განეკრცო საპერები მულანის რაიონამდე, სადაც ისინი კონტაქტში აღმოჩნდებოდნენ მიდიელებთან".[2] ჯ.რ. როულინსონი სასპერების (იბერების) ისტორიას ათავსებდა ძვ. წ. 550 წელსა და ახ. წ. 600 წელს შორის და ყოფდა ხუთ პერიოდად: კიროსის მიერ ქვეყნის დაპყრობიდან (550 წ.) მოკიდებული დამოუკიდებლობის მოპოვებამდე (ძვ. წ. 331 წ.); ამ ხანიდან ძვ. წ. 112 წლამდე (მითრიდატე ევპატორის პოლიტიკურ აღზევებამდე), რიდესაც ქვეყანა დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა; 112 წლიდან ძვ. წ. 64 წლამდე, როდესაც იგი მითრიდატე ევპატორის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა; ძვ. წ. 64 – ახ. წ. 364 წლები – პრაქტიკულად დამოუკიდებლობის პერიოდი, რომის მხოლოდ ნომინალური სიუზერენიტეტის ქვეშ; დაბოლოს 364–600 წლები, რიდესაც სხვადასხვა ჩრდილოელი ბარბაროსი ხალხების შემოსევების შედეგად სასპერები (იბერები) თითქოსდა გაქრნენ ისტორიის არენიდან. შემდგომ დაეინახათ, რომ აღნიშნულმა თვალსაზრისმა თავის დროზე გაელენა მოახდინა ქართულ ისტორიოგრაფიაზე. ამჯერად კი იმას შეგახსენებთ, რომ, თუმცა ჯ. როულინსონმა უკვე დააყენა „იბერებისა" და „ქართების" ურთიერთმიმართების, კერძოდ კი, მათი სხვადასხვაობის საკითხი, მაგრამ აღარ განუვითარებია აზრი ამ მიმართულებით.

მოგვიანებით, როგორც ცნობილია, ასირიოლოგიის განვითარების შედეგად დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიაში დაისვა საკითხი თაბალების ეთნიკური ვინაობის შესახებ. ზოგიერთმა გამოჩენილმა ორიენტალისტმა ისინი დააკავშირა თუბალებთან, შემდეგ კი იბერებთან (ცხადია, აღმოსავლელებთან). რასაკვირველია, ახალი აზრი აიტაცეს ქართველმა მეცნიერებმაც (თავდაპირველად დიმიტრი ბაქრაძემ). ნიკო მარის მოსაზრებით, თაბალ-თუბალები შემდეგში ცნობილ ტიბარენებს უკავშირდებოდნენ, ხოლო ეს უკანასკნელნი – ქართველური ხალხების მევრულ-ჭანურ შტოს. მან „თუბალ-კაინში" აღმოაჩინა „თუბალ-ჭანი, ჭუნი", ამათგან თუბალები, იბერები მეგრელთა წინაპრებად მიიჩნია, ხოლო ჭან-ჭუნები – ჭანებისად.[3] ნიკო მარის მოსაზრებამ, ცხადია,

---

1 History of Herodotus in four volumes, by George Rawlinson, IV, London, 1862, გვ. 186; იხ. აგრეთვე გვ. 187.

2 იქვე, გვ. 187.

3 Тубал-каинский вклад в сванском, ИАН, 1913.

გავლენა მოახდინა იქ ჯავახიშვილის ნააზრევზე. იგივე აზრი გაიმეორა ენათმეცნიერმა იოსებ ყიფშიძემაც თავის 1914 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოსულ წიგნში „Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем". ამ ავტორის მიხედვით ძველად ივერია ეწოდებოდა კოლხეთს (ბერძნების „კოლხიდას"), მაგრამ როდესაც ჩვენი ქვეყნის დასავლეთი ნაწილის მოსახლეობამ დაიპყრო აღმოსავლეთში მცხოვრები ქართები, მას შემდეგ საქართველოს შესაბამის ნაწილსა და საერთოდ მთელ ქვეყანას ივერია ეწოდა, ხოლო შემდგომში ქართებმა ორივე ნაწილს „საქართველო" დაარქვეს.

სარგის კაკაბაძე 1912 წელს გამოსულ ნაშრომში „წმიდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში" ამტკიცებდა, რომ ივერიელები ანუ ჰერები ცხოვრობდნენ შიდა ქართლსა და კახეთში, და სწორედ მათ შექმნეს ძლიერი სახელმწიფო. ეთნიკურად ისინი ენათესაებოდნენ ალბანელებს. მკვლევრის მტკიცებით, ივერიელები ანუ ჰერები შიდა ქართლიდან გამოუდევნიათ (IV ს. ბოლოსა თუ V ს. დასწყისში) ქართველებს (ქართებს), რომლებიც მანამდე მტკვრის სამხრეთით ცხოვრობდნენ. მაგრამ თორმეტი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები"[4] ს. კაკაბაძემ უარყო ამგვარი თვალსაზრისი და ამიერიდან იბერები (იბერიელები) და ქართები ერთ ხალხად წარმოიდგინა.

ქართული ენის განვითარების ისტორიაში ხანმეტი და ჰაემეტი პერიოდების აღმოჩენამ ახალი ბიძგი მისცა ჩვენთვის საინტერესო პრობლემის გააზრებას. ჯერ იყო და, აქედან გამომდინარე, აკაკი შანიძემ დაუშვა შესაძლებლობა იმისა, რომ იბერებსა და ქართებს ჰქონდათ სხვადასხვა დიალექტები. კორნელი კეკელიძის აზრით, ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედო ჯერ ხანმეტი დიალექტი, რომელიც გავრცელებული იყო ქვემო ქართლში, კერძოდ კი, დღევანდელი ბოლნისისა და ასევე მცხეთის რაიონებში. მაგრამ VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე ქართულ კულტურულ ასპარეზზე გამოვიდნენ ამ დროისათვის უკვე საბოლოოდ გაქართებული იბერები (ისინი თავდაპირველად ვითომ მეგრელ-ჭანები იყვნენ), რომლებიც ამიერიდან ჰაემეტ კილოს ამკვიდრებენ.

---

4 იხ. „საისტორიო მოამბე", 1924, № 1.

1936 წელს თბილისში გამოსულ წიგნში „შესავალი ალაროდიელ ტომთა ისტორიისათვის“ ალ. სვანიძეც აცხადებდა, რომ თაბალები უეჭველად ქართველთა წინაპრები იყვნენ და უკავშირდებოდნენ მერმინდელ ტიბარენებს. ავტორი შეეხო ჯ. როულინსონის ზემოხსენებულ თვალსაზრისს იბერების თაობაზე, ბევრი რამ უყოყმანოდ მიიღო, მაგრამ არ გაიზიარა შეხედულება ახ. წ. VII საუკუნიდან მათი გაქრობის შესახებ. თუმცა ალ. სვანიძის აღიარებით, IV–VII საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში მართლაც ხშირი იყო ავარების, ჰუნებისა და სხვ. „ჩრდილოეთის ბარბაროსების“ შემოსევები, მაგრამ ხალხის (იბერების) გაქრობაზე ლაპარაკი ზედმეტად მიაჩნდა.

იბერების პარალელურად ალ. სვანიძე ცალკე ეხებოდა ქართების საკითხსაც. იგი წერდა: „ფიქრობდნენ, რომ კარდების შთამომავალი არიან ქურთები, მაგრამ ქურთებისათვის კლასიკოსებს აქვთ სპეციალური სახელწოდება „კირტიოი“, რომელიც ნელდეკეს თანახმად, იხმარება „კარდუხების“ გეერდით და ცალკე..., რაზედაც სამართლიანად მიუთითებდნენ თავის დროზე ედ. მაიერი და ნელდეკე“.[5] „კარდების“ წინაპრებს კი ავტორი ქალდებში ეძებდა. წიგნში ეკითხულობთ: „ქართველმა ისტორიკოსებმა ჯანაშვილმა და ჯავახიშვილმა უკვე დიდი ხანია დაადგინეს კავშირი კარდუსა და ქართველებს შორის ერთი მხრით და ქართველებსა და ქალდებს შორის მეორე მხრით. ამ შესაძლებლობას აღნიშნავს აგრეთვე ტურაევიც“.[6]

როგორც ცნობილია, 1930-იან წლებში დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიაში (ორიენტალისტიკაში) თაბალების საკითხი გადაისინჯა, რის შედეგადაც ისინი ინდოევროპული წარმოშობის ლუვიელებს დაუკავშირეს. ახალი თვალსაზრისი ცნობილი იყო ივ. ჯავახიშვილისათვის, რომელიც 1939 წელს წერდა: „მაგრამ, მას შემდეგ რაც ბედრიხ პროზნიმ 1917 წელს შესძლო დაემტკიცებინა, რომ ხეთური სოლისებრი დოკუმენტების ენა ინდოევროპული გახლავთ და მისმა ამ აღმოჩენამ მალე მხარდაჭერა პოვა სხვა კუნეოლოგოსთა მხრივაც, როცა ხეთების მიყოლებით მუშკები ტაბალებთან ერთად დასავლური ბურჟუაზიული მეცნიერების მიერ ასევე მიკუთვნებულ იქნენ ინდოევროპული ტომებისადმი, გაჩნა ყველაფერი, რაზედაც

---

5 შესავალი ალაროდიელ ტომთა ისტორიისა, ტფილისი, 1936, გვ. 14.

6 იქვე.

ეფუძნებოდა ძველი ეპოქის საქართველოს ისტორიის აგება".[7] მაგრამ მიუხედავად ამისა, ივ. ჯავახიშვილი მაინც თვლიდა, რომ თუბალ-თაბალები მოსოხ-მუშკებთან ერთად არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ინდოევროპელები, და ამას სათანადო არგუმენტაციით ასაბუთებდა. დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის აზრით, ჩვენი წინაპარი ხალხები სხვა კავკასიელ ხალხებთან ერთად სამხრეთიდან მოვიდნენ.

მიუხედავად ივ. ჯავახიშვილის დიდი მეცნიერული ავტორიტეტისა საქართველოში მცხოვრები და. მოღვაწე ცნობილი პოლიგლოტი პ. უშაკოვი მაინც აღნიშნავდა: „თუმცა თავის წიგნში „ქართველი ერის ისტორია" (ნაწ. I) პროფ. ი. ა. ჯავახიშვილი საქართველოს ხალხთა რიცხვს აკუთვნებს ტაბალებს (ტუბალები), რომელთაც ქსენოფონტეს ტიბარენებს უკავშირებს, მაგრამ ამჟამად ეს დაახლოვება გვერდზე დავტოვოთ, რადგანაც დასტურდება, რომ ტაბალები ეკუთვნიან ხეთის ტომთა რიცხვს და ენის მიხედვით უახლოვდებიან ინდოევროპიულს, ან პროტოინდოევროპიულ ჯგუფს".[8] მაგრამ მიუხედავად ამისა, სათანადო დასკვნები ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერჯერობით, კარგა ხნის მანძილზე, ვერ იქნა გამოტანილი.

კერძოდ, ს. ჯანაშია კვლავ ცდილობდა თუბალ-თაბალ-ტიბარენის გზით დაედგინა ეთნონიმი „იბერი". მაგრამ ამის პარალელურად ეს უკანასკნელი ტოპონიმ (ხორონიმ) „სპერიდანაც" გამოჰყავდა. ს. ჯანაშიამ (მანამდე, როგორც აღინიშნა, ეს გააკეთა ს. კაკაბაძემ) უკუაგდო „იბერებისა" და „ქართების" მკვეთრი დაპირისპირება (ეთნიკური წარმომავლობის მხრივ); ამრიგად მიიჩნიეს, რომ ორივე ეთნონიმი ერთსა და იმავე ხალხს აღნიშნავდა. მაგრამ ეს საკითხი გადაწყდა მხოლოდ ე. წ. სალი აზრის დონეზე, სათანადო არგუმენტაციის გარეშე.

აღნიშნული გარემოება, რასაკვირველია, სულაც არ გამორიცხავდა ძველი შეხედულების რეციდივის შესაძლებლობას, და მას ვხვდებით ექვთიმე თაყაიშვილის მიერ „მნათობში" (1948 წ. № 8.) გამოქვეყნებულ წერილში „როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ?" დიდ. ერუდიტსა და პატრიოტს გარდა ჯ. როუ-

---

7 ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, თბილისი, 1950, გვ 227.

8 „საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში", საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, 1940, X-B, გვ 258.

ლინსოსის მოხსენიებული თვალსაზრისისა მოჰქონდა სხვა არგუმენტიც. მისი შეხედულებით, იბერები და ქართები თუმცა ერთ ენაზე, მაგრამ განსხვავებულ დიალექტებზე ლაპარაკობდნენ. ამ თვალსაზრისით ისინი ერთმანეთისაგან უფრო მეტად იყვნენ დაშორებულნი, ვიდრე მეგრელები და ჭანები. კერძოდ, ავტორის აზრით, იბერთა კილოკავი უმთავრესად ხანმეტი იყო (მაგალითად, „ხარს" გამოთქვამდნენ ხორხისმიერად, რაც ფხოველმა ტომებმა გვიანობამდე შეინარჩუნეს), ქართები კი აღნიშნულ ბგერას გამოთქვამდნენ „ხანით". უძველესი ქართული მწერლობა ხანმეტ კილოზე წარმოიშვა და ჩამოყალიბდა, ქართების გაბატონების შემდგომ კი მოხდა ჰაემეტ კილოზე გადასვლა. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, წოდება „იბერიის მეფე" და იბერთა სახელმწიფოც მოისპო 523 წელს, რის შემდეგაც აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყო ქართების ბატონობის ხანა. ამდენად „აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის იბერული პერიოდი არის იმავე დროს მცხეთის პერიოდი, ხოლო ქართლის პერიოდი იწყება თბილისში და ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქად ხდება თბილისი".[9]

როგორც ჩანს, ექვთიმე თაყაიშვილის თვალსაზრისი სტიმულად იქცა კ. კეკელიძისათვის, რათა თავისი ძველი შეხედულება გადაესხვაფერებინა. „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის" პირველი ტომის 1951 და 1980 წლების გამოცემებში ვკითხულობთ, რომ არაბობის ხანამდე ქართველური ტომები გაერთიანებულნი იყვნენ იბერთა სამეფოში, ხოლო ქართულ სალიტერატურო ენას კი საფუძვლად ედო იბერიული კილო თუ უწინ კ. კეკელიძე იბერების სალაპარაკო ენად მეგრულ-ჭანურს მიიჩნევდა, ახლა, როგორც ეხედათ, მან იბერიული და ქართული (ქართებისა) კილოები ერთი – ქართული ენის დიალექტებად წარმოიდგინა, რომელთა შორის განსხვავება მხოლოდ ხანმეტობა-ჰაემეტობაში მდგომარეობდა.

კ. კეკელიძის შეხედულებით, თითქოს VII–VIII სს. დაწინაურდა ქართის ტომი (ხალხი), რომელთანაც დაკავშირებულია ენაში ჰაემეტობის გავრცელება.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ფიქრობდა ნ. ბერძენიშვილიც, რომელიც არ იზიარებდა „იბერებისა" და „ქართების" იდენტურობას.[10]

---

9 დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

10 საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII, 1975, გვ. 250, 336, 423, 539.

მაგრამ, როგორც ცნობილია, მას არ დასცალდა თავისი თვალსაზრისის ჩამოყალიბება, რის გამოც მის ნააზრევში დიდი გაურკვეველობა შეიმჩნევა; მეცნიერის აზრით „იბერები" და „ქართები" ხან ერთ ენაზე მეტყველებდნენ, ხან – მხოლოდ ერთი (ქართული) ენის სხვადასხვა დიალექტზე, ხან კი სხვადასხვა ენის (ქართველური ჯგუფის შიგნით) მატარებელნი იყვნენ. ამასთანავე ნ. ბერძენიშვილი არ განმარტავდა, გვიანდელი ქართლის რა ნაწილში ცხოვრობდნენ იბერები და ქართები, ანდა სტრაბონისეული იბერიის აღწერილობაში რატომ არ მოიხსენიებიან ქართები და ა. შ.

თ. მიქელაძის წიგნში „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან" (1974 წ.) აღნიშნულია: „მესხებს, ჩვეულებრივ, იბერულ ტომებად, ე. ი. ქართებად მიიჩნევდნენ, თუმც ამის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს. კიდევ მეტი, არც იბერების ქართებად მიჩნევისათვის გვაქვს მაინცდამაინც მტკიცე საყრდენი, მიუხედავად იმისა, რომ გვიან წყაროებში მოხსენიებული იბერია აშკარად ქართლს გულისხმობს, ხოლო იბერები – ქართლის მცხოვრებთ".[11]

თავისი უწინდელი შეხედულებიდან გამომდინარე, შესაძლოა შემთხვევითი არ იყოს აკ. შანიძის მიერ ჟურნალ „Вопросы языковедения"-ს 1978 წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნებული სტატია „К этимологии слов Kartli („Грузия") и kartveli („Грузин")",[12] სადაც ავტორი ცდილობდა შესაბამისი ტერმინები პართელებისა და პართავასათვის (ქვეყანა) დაეკავშირებინა. უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორის აზრით, ქართველთა წინაპრებს აღმოსავლეთ საქართველოში აქამდეც უნდა ეცხოვრათ, მაგრამ ესენი ქართებისაგან განსხვავებული (რა დონეზე?) იბერები იქნებოდნენ.

დავით მუსხელიშვილის შეხედულებით, აღმოსავლეთ საქართველოში ქართების გარდა ცხოვრობდნენ „ივერნი" („იბერ-ივერიელნი", „სპერ-

---

11 იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

12 მანამდე, 1977 წლის 17 ნოემბერს, იგივე სტატია ავტორს მოხსენების სახით წაუკითხავს თსუ-ში. იგი დაბეჭდილია აგრეთვე თსუ-ის ძველი ქართული ენის კათედრის შრომებში, 1980, ტ. 23.

იბერები") და გუგარები.[13] მაგრამ, სამწუხაროდ, მკვლევარი მხოლოდ ლიტონ განცხადებას სჯერდება და არ ცდილობს პასუხი გასცეს მრავალ კითხვას, რომლებიც ამასთან დაკავშირებით ჩნდება.

ერთი სიტყვით, აღნიშნული მაგალითითაც კარგად ჩანს, რომ მეცნიერების დაფუძნება ოდენ „საღ აზრზე" სულაც არ გახლავთ აზრის (აზროვნების) განვითარების სწორი გზა. ნამდვილი მეცნიერება სათანადო არგუმენტაციას უნდა ემყარებოდეს. შევეცდებით მივმართოთ ამ გზას.

უნდა ვიფიქროთ, რომ თუბალ-თაბალ-ტიბარენ-იბერის ფონეტიკური ევოლუცია, ამგვარად რომც შეიძლებოდეს, საიმედო დასაყრდენი არაა. ჯერ ერთი, ასეთი ფონეტიკური ჯაჭვი თუბალ(ტუბალ)-ტაბალ-ტიბარენი შესაძლებელია ერთდროულად დავუკავშიროთ ჭანებსაც, ქართებსაც და მეგრელებსაც (ტბის აღმნიშნველი შესაბამისი სიტყვებიდან ვაბომდინარე). მეორე, ტიბარენები გარდა აღნიშნულისა, რამდენადაც ათერძრუნი წყაროებიდან ვიგებთ, ქართველური ტომების (ხალხების) მეგრულ-ჭანური შტოს წარმომადგენლები არიან და მათთან ქართულად მოლაპარაკე იბერების დაკავშირება შეუძლებელია. ხოლო თუ ამ უკანასკნელთ მეგრულ-ჭანურ მოდგმისად მივიჩნევთ, აღმოვჩნდებით ისეთივე ჩიხში, როგორც ერთ დროს — რიგი ქართველი მეცნიერებისა. პ. უშაკოვმა, როგორც უკვე აღინიშნა, თავის დროზე, თანადროულ დასავლეთევროპულ საისტორიო მეცნიერებაზე დაყრდნობით, ნათლად გაიცნობიერა თაბალების ქართული ისტორიული სამყაროსადმი მიკუთვნების უპერსპექტივობა. ასე რომ, ეთნონიმ „იბერის" წარმოშობა სულ სხვაგან უნდა ეძებოთ.

რაც შეეხება ისტორიულ არგუმენტს, აღმოსავლეთ საქართველოში, ყოველ შემთხვევაში ე. წ. გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში, როცა გვიანდელი ქართლის ტერიტორიის დიდ ნაწილში ჩვენი აღმოსავლელი წინაპრების დასახლებულობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს,

---

13 იხ. მისი „ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის", „მაცნე", ისტორიის... სერია, 1992, № 2, გვ 13; იგივე სტატია კრებულში „ქართველების აღმნიშვნელი ეთნიკური და ქართული ტერმინოლოგია", თბილისი, 1993, გვ 348; საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი, 1977, გვ 75; მისი მონაწილეობით დაწერილი სტატია „ქართველები", ქსე, ტ. 10, 1986, გვ 459. სხვათა შორის, მსგავსი აზრი ჰქონდათ გამოთქმული მ. ჯანაშვილს, ს. კაკაბაძესა და ნ. მარს.

მნიშვნელოვას ეთნიკურ ძვრებს ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებო გახლავთ მესხთა გამოჩენა VII თუ VI საუკუნეში, რასაც მთელი ქართლის მასშტაბით გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა. მით უმეტეს, ამის შემდგომ ქართლის მოსახლეობაში თვალსაჩინო ეთნიკური ცვლილებანი აღარ შეინიშნებოდა. იგივე ითქმის არქეოლოგიური თვალთახედვითაც. ასე რომ, ისტორიული თვალსაზრისით იბერებისა და ქართების ცალ-ცალკე წარმოდგენა უსაფუძვლოა. აქედან გამომდინარე, გასაგებია ის გარემოებაც, რომ მსგავსი „ეთნიკური რევოლუცია" შეუმჩნეველი დარჩა ჩვენთან ისტორიულ კონტაქტებში მყოფ ბერძნებს, რომაელებს, სომხებს, ბიზანტიელებსა და სპარსელებს: ისინი ძველ პერიოდშიც და ე. წ. შუა საუკუნეებშიც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას მხოლოდ „იბერების" და „გურჯების" სახელით მოიხსენიებდნენ, რაშიც უეჭველად ქართებს გულისხმობდნენ (შემდეგში მთლიანად ქართველობას).

ახლა ენობრივი მონაცემების თაობაზე შევჩერდებით. ეთნონიმების: „იბერია" და „ქართების" ეტიმოლოგიის საბოლოო დადგენა კვლავ ვერ ხერხდება. ზოგი ცდილობს, რომ „იბერის" სპერიდან წარმოშობა (უფრო სავარაუდებელია სომხური ენის მეშვეობით) გადასინჯოს და შესაბამისი ეთნონიმი სპარსული ენით გაიაზროს (გიორგი წერეთლისა და სხვათა ცდები). მეორე მხრივ, ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით სწორად იქნა მიტოვებული „ქართის" დაკავშირება „კარდუხებთან" და მათ ადგილსამყოფელთან. როგორც ცნობილია ჯერ ს. კაკაბაძემ და შემდგომ გ. მელიქიშვილმა აღნიშნული სიტყვა ტერმინ „ქართას" დაუკავშირეს, რაც მეგრულ ენაზე პირუტყვის საზაფხულო შემორაგულ სათავსს, ბაკს აღნიშნავს; იგივე მნიშვნელობა შემონახულია ქართული ენის იმერულ და გურულ დიალექტებშიც.[14] მაგრამ სიძნელეს წარმოადგენს „ქართიდან" „ქართლის" წარმოქმნა, ასევე „ქართებთან" ერთად „ქართველების" დამკვიდრების აბსნა. უმთავრესი საკითხავი კი ის არის, თუ როგორ მოხდა აღნიშნული ტომისათვის (ხალხისათვის) ასეთი პრიმიტიული შინაარსის მქონე სიტყვის (ქართა-ბაკი)

14 რამდენადაც შეგვეძლოთ დაგვედგინა, მეგრულში „ქართას" შესატყვისად იხმარება „ოქართუც". სხვათა შორის, სახელწოდება „ქართას" ატარებს თრიალეთის ქედის ერთი მთა — ძამისა და ნეძურის წყალგამყოფი.

დამკიდრება. ისიც ვიცით, რომ გ. მელიქიშვილისავე მტკიცებით, „ქართა“ ინდოევროპიზმს წარმოადგენს და ტექნიკური აზრით უკვე ამ დონეზე საკმაოდ რთული შინაარსის მქონეა. მეორე მხრივ, რუსი ენათმეცნიერის გ. კლიმოვის მტკიცებით, სიტყვები „ქართლი“, „ქართუ“ ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დროინდელია,[15] ხოლო ამხანად კი უკვე გვაქვს „ჯიხა“ (როგორც ჩანს, „დიხა“ („მიწიდან“) ნაწარმოებია, რაც უფრო მეტ ტექნიკურ სირთულეს მოიცავს, ვიდრე „ქართა“ (ბაკი). ე. წ. გლოტოქრონოლოგიურ მეთოდზე დაყრდნობით ზემოხსენებული რუსი ენათმეცნიერი ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშლის დასაწყისს ხედავდა ძვ. წ. VIII საუკუნეში ე. ი. უსადაგებდა ნიეთიერი კულტურის საკმაოდ მაღალ დონეს. ამგვარ თვალსაზრისს, როგორც ვიცით, იზიარებს გ. მელიქიშვილიც, რომელიც კულხას (კოლხას) სამეფოს კოლხებისა და ქართების საერთო პოლიტიკურ წარმონაქმნად მიიჩნევს. ყოველივე აღნიშნულის შემდგომ საკითხავია, თუ რატომ არ დაედო საფუძვლად შესაბამისი ტომის (ხალხის) სახელწოდებას „ქართის“ ნაცვლად „ჯიხა“ ან „ციხე“? მოვიგონოთ, რომ, როცა ქართლისა და ეგრისის პოლიტიკურ ცენტრებში დიდი საფორტიფიკაციო მშენებლობები მიმდინარეობდა, გაჩნდა ტოპონიმები: „არმაზციხე“ და „ციხეგოჯი“ და არა „ქართასაგან“ ნაწარმოები სიტყვები.

როგორც უნდა იყოს, საფიქრებელია, რომ შესაბამისი ტომის (ხალხის) თვითსახელდება – აუტოეთნონიმი გახლდათ „ქართები“ (მომდინარე ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის ხანიდან), ხოლო „იბერები“ ალოეთნონიმს წარმოადგენს და გაცილებით გვიან გაჩნდა.

რაც შეეხება ანთროპონიმებს, თუმცა ისინი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით საკმაოდაა ცნობილი, მაგრამ თითქმის ყველა ირანული ჯგუფის ენებიდან მოდის. საბედნიეროდ, ერთ-ერთი მათგანის (ფარსმან მეორის) შესახებ ვგებულობთ, რომ ეპითეტად უხმობდნენ „ქველს“, რაც, ცხადია, ქართული და არა „იბერიული“ (თითქოსდა მეგრულ-ჭანური) წარმოშობის სიტყვაა. ასევე ქართლის ერთ-ერთი მეფე ატარებდა არმაზელის სახელს, რაც სადაურობას გამოხატავს და ქართულ წარმომავლობაზეც მეტყველებს

---

15 Этимологический словарь картвельских языков, Т., 1964, გვ. 196.

(შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეფე დაჩი უჯარმელის (VI ს.) მსგავსად ძველ ხელნაწერებში იგი საკუთარ სახელსაც ატარებდა, რომელიც შემდგომ დაიკარგა).[16]

ახლა ტოპონიმებს მივიხმოთ, რა თქმა უნდა დავეყრდნობით ისეთებს, რომელთა დათარიღებაც ასე თუ ისე შესაძლებელია. თვით ტოპონიმი „მცხეთა" თავის მხრივ აშკარად ქართული (ქართების ენის) წარმოშობისა გახლავთ. შესაბამისად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში მოხსენიებული „ძველი მცხეთაც", „არმაზციხეც", რომელიც ჯერ ციხესიმაგრეს და შემდეგ „დიდი მცხეთის" ერთ ნაწილს აღნიშნავდა, ასევე ქართული წარმოშობის სიტყვაა.[17] იგივე სიტყვა იჩენს თავს „ციხეკოჯაშიც", რაც თავის მხრივ, ქართლის (იბერიისა) და ეგრისის იმდროინდელი მჭიდრო პოლიტიკური (და სამხედრო) კონტაქტების მიმანიშნებელი უნდა იყოს. ტოპონიმი „წიწამური", როგორც ცნობილია, დადასტურებულია სტრაბონის „გეოგრაფიაში" („სევსამორას" ფორმით). მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა „ციცაბო ადგილი", კერძოდ „ციცაბო კლდე" გვხვდება ქართული ენის რაჭულ და იმერულ დიალექტებში. ენათმეცნიერ გურამ ბედოშვილის აზრით კი იგი ნიშნავს ხვატიან, სიცხის ბუღიან ადგილს (სხვათა შორის, ცნობილია სოფლის სახელი „წიწამურის" ფორმით (დუშეთის რაიონის მჭადიჯვრის თემში). არსებობს საფუძველი იმისა, რომ „ზადენციხე" და „ზედაზენი" ანუ „ზედაზადენი" ე. წ. ანტიკური ხანის დროინდელ ტოპონიმებად ჩავთვალოთ, რომლებიც თავის მხრივ აშკარად ქართული წარმოშობისა არიან. „ბაგინეთი", თავისი სუფიქსით ქართულად არის გაფორმებული. აგრეთვე ძველი წარმოშობისაა ტოპონიმები (ხორონიმები): „კახეთი", „კუხეთი", „ბაზალეთი", „ჰერეთი", „მარგვეთი", „სამცხე", „ჯავახეთი", „კლარჯეთი", აგრეთვე „ტყეტბა" (გვიანდელი „გულგულა"). როგორც ვიცით, სტრაბონისეულ „გეოგრაფიაში" ფიგურირებს „კამბისენე" (მოიცავდა დღევანდელ ქიზიყსაც). ეს ტოპონიმიც, ცხადია, ქართულადაა გაფორმებული

16 მეფე რევისათვის „მართლის" (სპარსული სიტყვაა, თავდაპირველად ღვთისმოსავს, რუსულ „праведный"-ს აღნიშნავდა) შერქმევაც სიტყვის ქართულ (ქართების) გარემოში გაჩენას მიგვანიშნებს.

17 კლავდიოს პტოლემაიოსთან (ახ. წ. II ს.) ეს სიტყვა მოიხსენიება „არმაკტიკა"-ს (ასევე „არმასიკას") ფორმით. მის მეორე ნაწილში ს. კაკაბაძე და გ. მელიქიშვილი ხედავდნენ ქართული „ციხის" მეგრულ-ჭანურ შესატყვის „ჯიხას", რაც ყოვლად გაუმართლებელია.

(სიტყვა „კამბეჩოვან-კამბეჩიანიდან“. შეგახსენებთ, რომ მეგრულად კამეჩს, კამბეჩს ეწოდება „გამიშ“).

რამდენადაც ამჟამად ძველ ქართულ სასტორიო წყაროებს მეტისმეტი კრიტიკულობით აღარ უდგებიან, ამდენად მეტი საფუძველი გაგვაჩნია მათში მოხსენიებული ტოპონიმების დათარიღებისათვის. განვაგრძობთ მსგავს მცდელობებს. კერძოდ, „ურბნისი“ მოდის „ორბნისიდან“ (ბოლოსართ – „ისი“-ს წარმოშობილობა უეჭველია).[18] მეგრული ენის მიხედვით ამ შემთხვევაში გვექნებოდა „ობრიში“. ძველი ტოპონიმი „უფლისციხეც“ აშკარად ქართული წარმოშობისაა (სამწუხაროდ, დღემდე ვერ ხერხდება ასევე ძველი ტოპონიმის „კასპის“ ეტიმოლოგიის დადგენა ქართული ენის საფუძველზე). უეჭველია, ძველი ტოპონიმების: „სამშვილდის“ (თავდაპირველად იწოდებოდა „ციხე ორბისად“), „ნელქარისის“ (გვიანდელი ნეკრესის) ქართული წარმომავლობაც. ფარსმან ქველის დროისათვის „ქართლის ცხოვრებაში“ მოიხსენიება ტოპონიმი „ჯაჭუ“ (ჯაჭვი) (მომავალი ჯვრის მონასტრის სიახლოვეს).

ისტორიკოს მ. ინაძის დაკვირვებით ანტიკურ (ბერძნულ) წყაროებში არგვეთის ტერიტორიაზე მოხსენიებული „იდეესა“ ანუ „ჟრიქსეპოლისი“ (ქალაქის სახელწოდებანი) უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივ სახელწოდება „სარიხის“ (საირხის) ბერძნულად გაფორმებას. ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. IV ს. მოკიდებული, როგორც ამას ახალი არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებენ, აღნიშნულ მხარეში ხდება მიგრაცია ქართლიდან და შესაბამისი სახელწოდებაც ქართული (ქართების) ენის მეშვეობით გაფორმდა. ცხადია, მეგრული ენით მსგავსი სახელდება სხვანაირი იქნებოდა (სახელდობრ „მასარიჯა“). კლავდიოს პტოლემაიოსი თავის ცნობილ გეოგრაფიულ თხზულებაში შავი ზღვის სანაპიროზე, ჭოროხის სამხრეთ-დასავლეთით, ასახელებს მთა „მორთულას“. ამგვარი სახელწოდება, უნდა ვიგულისხმოთ, ამ ტერიტორიაზე ქართლის პოლიტიკური გავრცელების მაჩვენებელი უნდა იყოს (სხვათა შორის, „ტბეთის სულთა მატიანეში“ ნახსენებია ანთროპონიმი „მორთულა“ და შესაბამისი გვარსახელი. აჭარაში ამჟამადაც არის გავრცელებული გვარსახელი მორთულაძე).[19] იგივე ავტორი, მოიხსენიებს ტოპონიმ „თელებახ“ (თელავს).

ცნობილია, რომ ძველი არგვეთის ტერიტორიაზე დღესაც გვხვდება

---

18 ენათმეცნიერ ალექსი ჭინჭარაულის აზრით „ურბნისი“ მოდ ს „ორუბნისიდან“.

19 მოვიგონოთ ისიც, რომ მითრიდატე ევპატორის ერთერთ ვაჟს ქართული სახელი მახარე ერქვა.

ტოპონიმი „საზანო“ (სოფლის სახელი), რომლის მიხედვითაც აქ ქართების ძველი დასახლებაცაა სავარაუდებელი; სწორედ მათ უნდა დაეშვიდრებინათ მსგავსი ტოპონიმი.[20]

შეიძლება მოვიხმოთ ცივილიზაციის ხანის სოციალური ტერმინოლოგიაც, უკვე ძველ პერიოდში რომ იხმარებოდა: „მამასახლისი“ (ამჯერად ახალი მნიშვნელობით, რაშიც ადრეული სახელმწიფოს არსებობაა საგულვებელი), „მეფე“ („მეუფედან“), „ეზოსმოძღვარი“, „ერისთავი“ — სიტყვები, რომლებიც აშკარად ქართულენოვანი წარმოშობისაა. მათგან განსხვავებით, სიტყვაში „აზნაური“ მხოლოდ ბოლოსართია ქართული ენისათვის დამახასიათებელი.

ყოველივე ზემოთქმულისათვის დასკვნა ასეთი გახლავთ: „ქართისა“ და „იბერის“ სხვადასხვა შინაარსით მოაზრება გაუმართლებელია და მომდინარეობს მცდარი წანამძღვრიდან (თაბალისა და თუბალის ქართული ეთნიკური სამყაროს მიკუთვნებიდან). შესაბამისი ონომასტიკონისა და სოციალური ტერმინოლოგიის მოხმობა, ვფიქრობთ, ნათელყოფს აღნიშნული მოსაზრების უსაფუძვლობას და ე. წ. საღი აზრიდან მეცნიერულ აზრზე გვიყენებს.

1997 წ.

---

20 ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, გვ. 206.

საიდან მოდის „გეორგია“?

ჩვენში მტკიცედ მოიკიდა ფეხი აზრმა, თითქოს ძველი ბერძნების თვალში საქართველო დიდად განვითარებულ სამიწათმოქმედო ქვეყანას წარმოადგენდა, რის გამოც მისი სახელის აღსანიშნავად დამკვიდრდა სიტყვა „გეორგია“ (რაც ბერძნულად მიწათმოქმედების ქვეყანას ნიშნავს). ამ შეხედულებას სათავე დაუდო ვახუშტი ბატონიშვილმა. მის თხზულებაში ეკითხულობთ: „კუალად გიორგიაცა მხნედ მომჭირნეობისა მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა [რამეთუ „გიორგი“ მუშაკად ითარგმნის“].[1] არსებობს მეორე თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც ჩვენი ქვეყნის სახელდება წმინდა გიორგის კულტის ფართოდ გავრცელებას უკავშირდება. ამ აზრის ავტორიც ვახუშტი ბატონიშვილი გახლავთ. რამდენადაც ნინოს მამა ზაბილონი წმინდა გიორგის ნათესავი იყო, ვახუშტის თქმით, „ამისთვის მიერ ჟამითგან ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარ-მოწამისა გიორგისანი ყოველსა ივერიასა შინა, რამეთუ არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი“.[2] ჩვენი დიდი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი არ აღნიშნავდა, ამ ორი განმარტებიდან რომელს მიიჩნევდა უფრო სწორად. დღესაც თვლიან, რომ ორივე მათგანი თანაბრად სწორია, მხოლოდ პირადი შეხედულებისამებრ, ხან ერთს ამჯობინებენ, ხან მეორეს. უკანასკნელ ხანს კი უპირატესობას უფრო პირველ ახსნას აძლევენ, რითაც, ალბათ, სურთ ჩვენი სოფლის მეურნეობის სავალალო მდგომარეობის გამოსწორებისაკენ მიუთითონ.

ჩვენი აზრით, ორივე ახსნა მოკლებულია საფუძველს. ჯერ დავიწყოთ იქიდან, რომ ძველი ბერძნები ჩვენს ქვეყანას „გეორგიას“ თუ „გიორგიას“ როდი უწოდებდნენ. კიდევ მეტი, მათს ცნობიერებაში საქართველო ერთ ქვეყნად არ აღიქმებოდა და, შესაბამისად, მის აღსანიშნავად ერთ სიტყვას არ ხმარობდნენ. დასავლეთ საქართველოს უწოდებდნენ

---

1 ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, „ქართლის ცხოვრება“, IV, სიმ. ყაუხჩიშვილისეული გამ., თბ., 1973, გვ. 39.

2 იქვე, გვ. 40.

„კოლხიდას“, შემდეგ – „ლაზიკას“, ხოლო ბიზანტიურ ხანაში დამკვიდრდა სიტყვა „აბაზგიაც“. აღმოსავლეთ საქართველოს კი ეძახდნენ „იბერიას“ (ასევე ბიზანტიურ ხანაშიც). ასე რომ, ძველ ბერძნულ ენაზე საქართველოს ერთიანი სახელწოდება, თანაც „გეორგიის“ ან „გიორგიის“ ფორმით, სავსებით გამოირიცხება. სხვათა შორის, ამ შემთხვევაში საკითხავია საქართველოს რომელი ნაწილი – დასავლეთი თუ აღმოსავლეთი იყო მაღალგანვითარებული სამიწათმოქმედო ქვეყანა (ძველ ბერძენთა თვალში). დავსძენთ იმასაც, რომ ძველ საბერძნეთში მიწათმოქმედება სოფლის მეურნეობის საკმაოდ განვითარებული დარგი იყო, რასაც ხელს უწყობდა რთგორც კლიმატი, ისე სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობები (მეურნეობის სასაქონლო ხასიათი, რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი). აქედან გამომდინარე, მაშინდელ საქართველოს მიწათმოქმედებას არაფერი ჰქონდა ისეთი, რაც მას ბერძენთა თვალში მიწათმოქმედების კლასიკურ ქვეყნად წარმოაჩენდა.

სიტყვა „გეორგია“ საქართველოს აღსანიშნავად გვიანბიზანტიურ ხანაში გაჩნდა შემდეგი მიზეზით: სპარსულ ენაში ჩვენს ქვეყანას (აღმოსავლეთ საქართველოს) აღნიშნავდნენ სიტყვებით „გორგ“, „გურგ“. აქედან გავრცელდა სირიულ ენაში სიტყვები „გურზ“, „გურზან“, „ჯურზან“, ხოლო არაბულში – „ჯურჯ“, „გურჯ“, „გურზან“, „ჯურზან“ და ა. შ. აქედანვე შეითვისეს თურქ-სელჩუკებმა „გიურჯ“. ჯვაროსნული ომების დროს, როცა, როგორც ცნობილია, საქართველო ფართოდ შევიდა დასავლეთევროპელთა აზროვნების თვალსაწიერში, გაჩნდა საქართველოს აღმნიშვნელი ახალი სიტყვები: „გეორგია“ ახალ ლათინურში, „ჟორჟი“ ფრანგულ ენაში, „გეორგიენ“ გერმანულში, „ხორხია“ ესპანურში, „ჯორჯია“ ინგლისურში, „გრუზინ“, „გრუზია“ რუსულში. ყველა ესენი მოდიან სპარსულ-არაბული ძირიდან, ხოლო შემდეგ თურქულიდან. სწორედ აქედანვე შეიძლება ახალბერძნულ ენაში სიტყვა „გეორგია“. ასე რომ, ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი თავისი წარმოშობით სრულიადაც არ უკავშირდება მიწათმოქმედების ან წმინდა გიორგის კულტის გავრცელების ქვეყანას.

1990 წ.

ერთი „თეორიის“ კრახი

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დასაელურ ორიენტალისტიკაში გავრცელდა შეხედულება, რომ ძველი ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ენები, რომლებიც არ ეკუთვნოდა სემიტურ და ინდოევროპულ ენათა ოჯახებს (შუმერული, ელამური, ხეთური (პროტოხეთური), ხურიტული, ურარტუული და მისთ.) ცალკე ოჯახს წარმოადგენდა. ამ უკანასკნელს კი უკავშირებდნენ ე. წ. კავკასიურ ენებს, განსაკუთრებით კი ქართველურ ენებს. მათ მოიხსენიებდნენ ალარდიული, აზიანიკური და ა. შ. სახელწოდებებით. ნიკო მარი თვლიდა მათ მსგავს ენებად, რომელთაც იაფეტურს უწოდებდა. ბუნებრივია, ზემოაღნიშნულმა თვალსაზრისმა ცხოველი გამოხმაურება პოვა ქართველობაში და მას, ცხადია, ჩვენი ძველი ისტორიის ახლებურ გაგებასაც (განსაკუთრებით ეთნოგენეზისის საკითხის) უკავშირებდნენ. შემდეგ, 1915 წელს, აღმოჩნდა, რომ ხეთური ენა, რომელიც მანამდე ასევე ალაროდიულად და ა. შ. მიაჩნდათ, ინდოევროპული ყოფილა. ამის შემდგომ გაიცნობიერეს, რომ მცირე აზიის რიგი ხალხებისა ინდოევროპულ ენებზე ლაპარაკობდა. მაგრამ, რასაკვირველია, მაინც რჩებოდა ხალხთა მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელთაც თითქოს საერთო წარმოშობა ჰქონდათ და კავკასიურ სამყაროს ენათესავებოდნენ.

მას შემდეგ, რაც ნიკო მარმა ენის განვითარების სტადიების შესახებ ახალი „რევოლუციური“ თვალსაზრისი წამოაყენა (1920 წელს), მისმა მომხრეებმა (ძირითადად, საბჭოთა კავშირში) პრობლემას ახლებურად შეხედეს და დაუკავშირეს აღნიშნული ენები ეკონომიკური და სოციალური განვითარების გარკვეულ ფაზას, რომლის შემდგომაც თითქოს წარმოიშვა სემიტური და ინდოევროპული ენები. მაგრამ ქართველ მეცნიერთა (ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ გაუზიარებიათ ნ. მარისეული შეხედულება; ივ. ჯავახიშვილის თავკაცობით ისინი კვლავ სწორ, ტრადიციულ (ვითომდა ბურჟუაზიულ) თვალსაზრისზე იდგნენ. მაგრამ, ცხადია, დიდი პრობლემის მაღალმეცნიერულ დონეზე კვლევა-ძიებას, კერძოდ სათანადო კადრების მომზადებას, საკმაოდ დიდი თანხები სჭირდებოდა, რის გაღებაც თბილისის უნივერსიტეტს მაშინ არ შეეძლო.

შეგახსენებთ, რომ ამ დროის ქართველთა შორის ძველაღმოსავლური ენებით დაინტერესებული იყვნენ ნიკო მარი (რომელიც სხვა უამრავ სამეცნიერო და საორგანიზაციო პრობლემასაც იყო შეჭიდებული) და მიხაკო წერეთელი, რომელიც მალე ემიგრაციაში წავიდა. სამწუხაროდ, არც ნ. მარის მიერ 1917 წელს დაარსებულ კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტს შეეძლო რაიმე არსებითის შექმნა (ვერც ფინანსურად და ვერც სამეცნიერო პოტენციალით).

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა სცადა ალ. სვანიძემ (ი. სტალინის ცოლისძმამ), რომელსაც გერმანიაში ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება (ფილოსოფიური და ისტორიული) და, ამასთანავე, იმხანად საბჭოთა სახელმწიფოში მაღალი თანამდებობანი ეკავა. როდესაც (1935 წ.) მან შეიტყო, რომ ივ. ჯავახიშვილს სდევნიდნენ

იგი ფაქტობრივად დიდ მეცნიერებას ჩამოშორებული იყო, ალ. სვანიძემ გულთან ახლოს მიიტანა დიდი მეცნიერის გასაჭირი, თანაც მორალურად და მატერიალურადაც (უცხოეთში გამოცემული საჭირო წიგნების შეძენით) ეხმარებოდა. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, მკითხველებს გავაცნოთ 1935 წლის 29 ოქტომბერს მოსკოვიდან თბილისში გამოგზავნილი წერილი, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს სტატიაში აღძრულ საკითხთან. წერილში ვკითხულობთ: „ფრიად პატივცემულო ბატონო იოანე! ვისწრაფვი გაუწყოთ, რომ თქვენი წერილი მივიღე. თქვენი წიგნები უკვე დაგუკვეთე(!) „Международная книга"-ს და საჭირო ვალიუტა სავსებით(!) გადავურიცხე. დაკვეთა ასეთი ფორმით მოვახდინე „для музея Грузии в лице Джавахишвили" მივიღე აგრეთვე, ამჯ. დონდუასაგან (იგულისხმება ბატონი ვარლამი – გ. ყ) „Грамматика мингр. языка" Кипшидзе, რისთვისაც უაღრეს მადლს გიძღვნით. ეხლა ნება მიბოძეთ ვრცლათ(!) შევეხო ერთ საგანს, რომელიც მე ძალიან მაინტერესებს. იმედი მაქვს ჩვენი მიწერ-მოწერა ამ საგნის შესახებ ამ წერილით დაიწყება მხოლოდ (!) იმედი მაქვს იგი ხანგრძლივი იქნება. საქმე შემდეგშია.

ძველი ისტორიის შესწავლამ უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა წინ. ეს ნაბიჯი იმდენათ(!) დიდი მნიშვნელობისაა, რომ ჩვენი ძველი წარმოდგენა წინა აზიის ისტორიის შესახებ სრულებით აღარ შეეფერება სინამდვილეს. დღეს ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ნაწარმოებს ჩვენს მიერ წაკითხულს, რომელიც დაახლოებით სურათს იძლეოდეს წინა აზიის ისტორიის შესახებ. შეიძლება ითქვას, ყოველ ახალ

სერიოზულ გამოკვლევას ახალი განძი შეაქვს ძველი ისტორიის სალაროში. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს ბუმბერაზი ცვლილებები ხეტური, ქალდური და სხვა წარწერების წაკითხვასა და გამოქვეყნებასთანაა დაკავშირებული. ამ მოკლე წერილში ყერ ვიკისრებ ყველა ამ ცვლილებების აღწერას. გაუწყებთ მხოლოდ ჩემს მოკლე დასკვნებს.

თქვენმა მეტად აზრიანმა ჰიპოთეზამ, რომ ქართველი ტომების ძველი საბინადრო მცირე აზიაში და საერთოდ სამხრეთში უნდა ვეძიოთ, სრულიად მოულოდნელი ფორმები შეისხა. გამოვიდა ურარტული გრამატიკა პროფ. ფრიდრიხისა. როგორც კი გადააათვალიერებთ ამ გრამატიკას, დარწმუნდებით, რომ ქალდური ენა პროტო-ქართული ენაა არათუ გრამატიკული ფორმებით, არამედ ლექსიკონითაც (ე. ი. ლექსიკით – გ. ყ) კი. გულახდილად უნდა ვითხრათ, არც ერთ წიგნს არ მოუხდენია ადამიანზე ისეთი ზეგავლენა, როგორც ამ წიგნმა მოახდინა. ჩემთვის ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ქალდები პროტო-ქართველებია. საკვირველი ისაა, რომ ქალდურმა გრამატიკამ სრულიად შეცვალა ჩვენი თუ ჩემი წარმოდგენა ქართული ენის წარმოშობის შესახებ. მე მეგონა სვანური და მეგრული როგორც უფრო პრიმიტიული ენები უფრო უახლოვდებიან პირველ-ქართულს (ე. ი. წინარექართველურს – გ. ყ) ვიდრე ქართული. ქალდური გრამატიკა კი გვიჩვენებს, რომ ქალდაურში დაცულია ზოგიერთი ფორმები, რომელთაც მხოლოდ მეგრულში ჰპოებთ, მაგრამ სხვა ფორმები წმინდა ქართულია. მაგ. ходить ქალდურათ ula, მეგრულათ ula, ქართულად ვლა imperativ „ule" ვლე. სამაგიეროდ მხოლოდ ქართულში მოიპოვება ისეთი ქალდური ფორმა, როგორიც არის rusahin, რუზაანი. რუზაანი აღნიშნავს როგორც ადგილს, რომელიც რუზას ეკუთვნის, ისე პირს, რომელიც რუზას ჩამომაყალიბებია. ქართული ანალოგები იქნება 1) მირზაანი, ოზაანი, ვაჩნაძიანი და 2) ვანო შაყულაანი, ჯავახაანი და სხვ.

ქალდურში ისევე როგორც ქართულში ყველა არსებითი სახელები ი-ზე დაბოლოვდება და ძნელათ სხვა ხმოვან ასოებზე. მაგრამ ყველაზე ყურადსაღებნი მე სინთაქის (ე. ი. სინტაქსის – გ. ყ) მსგავსება მიმაჩნია. არიული ენების ფრაზის წყობა ჩვეულებრივ სუბიექტზე და მის მოქმედებაზეა აგებული. Колумб открыл Америку ასეთია ყველა არიული ენების წყობა. ქალდურ ენაში კი სუბიექტის მაგიერ პროცესსა აქვს მიქცეული ყურადღება. ამერიკა კოლუმბმა აღმოაჩინა.

სახელობითი ბრუნვა ქალდურში ისევე როგორც ქართულში არავითარ როლს არ თამაშობს. მისი ადგილი ქალდურში უჭირავს ფორმას, რომელსაც ფრიდრიხი Stammkasus-ს უწოდებს. ქალდები, ქართები, კარდუხ-ები (Karduxoi-Kardoi) როგორც სჩანს, ერთი და იგივე ხალხია. ამასთანავე გამოირკვა, რომ ქალდური და ე. წ. სუბარეული ანუ churitisch ანუ მიტანური ძალიან ახლო ენათესავებიან ერთმანეთს. ხურიტული ანუ სუბარეული ანუ მიტანური მეცამეტე საუკუნეში (იგულისხმება, ცხადია, ჩვ. წ-მდე – გ. ყ) ჩრდილოეთ მესოპოტამიაში გაბატონებული ენა იყო. ქალდებს მიუმატეთ მესხები და ტიბარენები. მათ მიუმატეთ მიტანი•და ძველი წინა აზიის ისტორია სულ სხვა ელფერს მიიღებს. როგორც სჩანს ქართულმა(!) ტომებმა ისევე დაკარგეს ძველს წარსულზე წარმოდგენა როგორც ფელლახებმა ეგვიპტის წარსულზე. მას შემდეგ, რაც ფრიდრიხის ნაწერებს გავეცანი, ზოგიერთი ჩემი მოსაზრება მიეწერე მას და აღუთქვი საჭირო მასალების მიწოდებას, რისთვისაც მან დიდი მადლობა გადამიხადა. თავისთავად ცხადია, ჩემი აღქმა საქართველოში მყოფი ისტორიკოსების და ლინგვისტების იმედით იქნა მიღებული. ჩემის აზრით, აუცილებლივ საჭიროა: ივანე ჯავახიშვილმა იკისროს თავი მოუყაროს ქართულ(!) ისტორიკოსთა და ლინგვისტთა სერიოზულ ჯგუფს. ჯგუფის წევრებს თქვენ უკეთ გამოარჩევთ. მე სახეში მქონდა სარგის კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, ვ. ბერიძე, მეშჩანინოვი და სხვ. პირველი ნაბიჯი ამ ჯგუფისა უნდა იქნეს ქალდური გრამატიკის გადათარგმნა ქართულად და მისი შედარება ქართულ გრამატიკასთან. ქალდურ გრამატიკას ამ მოკლე ხანში გამოგიგზავნით. საჭიროა ამ ჯგუფმა კავშირი იქონიოს ლეიპციგის პროფ. ფრიდრიხთან და საჭირო მასალები მიაწოდოს მას. მასალების მიწოდება ჩემის საშუალებით შეიძლება. თუ საზოგადოებას დაარსებთ(!) და მის ხელმძღვანელობას იკისრებთ მის მუდმივ წევრათ მიგულისხმეთ.

საჭიროა ჯგუფის წევრებს (ზოგიერთს) დაეუალოს ლურსმული წერის(!) და მისი საშუალებით ქალდური წარწერების შესწავლა. ძალიან საჭირო იქნებოდა აგრეთვე ლურსმულის საშუალებით ხეტური ენის შესწავლა: ლურსმული წარწერების კითხვის შესწავლა W.Belk-მა ქეგრაშეის (sic! – გ. ყ) ქარხნის ინჟინერმა ჩვენში იმდენად შესძლო, რომ ქალდური წარწერების დაგროვებაში დიდი მონაწილეობა მიიღო. სახელმძღვანელოებს ლურსმული წერის შესწავლით, ხეტური

და ქალდური ტექსტების კრებულებს, თუმცა ეს ლიტერატურა ძალიან ძვირი ღირს, მგონია მე შევძლებ მოგაწოდოთ იმ თანხებიდან, რომელთაც ერთა ლიგა მიგზავნის წელიწადში სამჯერ ჟენევაში მისაელინებლად. მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს ამ წერილზე. დასასრულ უნდა გაცნობოთ, რომ როდესაც მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ცნობილ ქართველს (იგულისხმება ი. სტალინი – გ. ყ) ვაუწყე, რომ შესაძლოა ქალდები ჩვენი წინაპრები იყოს, მან ჩვეულის სიბრძნით შენიშნა: „Чтобы народ, сидящий на стыке Азии и Европы в течении тысячелетий мог удержать плодородные долины Куры и Риони, он должен обладать колоссальной силой сопротивляемости.

Эта сила сопротивляемости была очевидно и в отношении численности населения и занимаемой территории несравненно большей, чем мы можем себе представить на основании существующего положения. Теперешние груз. племена объемом занимаемой территории, численности населения и относительной высокой культуры очевидно так же похожи на своих предков, как кошка похожа на тигра. Имейте ввиду, что современная научная мысль все больше склоняется к предположению, что знаменитые гиксы, разрушившие среднее царство в Египте, были наши возможные родственники. Как видно наших предков в течении тысячелетий уничтожали и ассимилировали ассиро-вавилоняне, скифы, киммерийцы, индоевропейские племена из Фракии, персы, кельты, арабы, турки, монголы, пока их не довели до сегодняшнего состояния. Если бы царская власть продержалась еще несколько лет, грузинский язык сохранился бы возможно только у хевсуров и мохевцев. Еще раз шлю Вам сердечный привет и с нетерпением жду от Вас ответа на мое письмо.

Ваш А. Сванидзе".

ამავე წლის 1 დეკემბერს ალექსანდრე სვანიძე მოსკოვიდან ივანე ჯავახიშვილს სწერდა: „... შევხვედრივარ რაც შემეძლო გერმანელ მგალობლიშვილს,* რომ ყურადღება მოგაქციონ თქვენ და გ[illegible]

* საქართველოს სსრ იმჟამინდელი სახკომსაბჭოს თავმჯდომარე.

მუშაობა. რაც შეეხება ქალდების საკითხს, მგალობლიშვილი ფიქრობს სპეციალური კათედრა გახსნას უნივერსიტეტში. ძალიან კარგი იქნება თუ სპეციალისტები ხელს შეუწყობთ მთავრობის ამ დაწყებულობას. მგალობლიშვილი ფიქრობს აგრეთვე დაიაალოს უნივერსიტეტს შედარებითი გრამატიკის გამოშვება „ქართური" (ე. ი. ქართველური — გ. ყ) ენებისა და აგრეთვე პარალელური ლექსიკონისა. გთხოვთ შეამზადოთ ჩვენი სპეციალისტების აზროვნება საამისოდ და თქვენი რჩევებით ხელი შეუწყოთ ამ საქმეს".

შეგახსენებთ, რომ მალე, 1936—37 წლებში, ალ. სვანიძემ ქართულ და რუსულ ენებზე გამოაქვეყნა ნაშრომი „მასალები ალაროდიელ ტომთა ისტორიისათვის". უნდა ვიფიქროთ, რომ შესაბამის თემატიკას იგი ფართო ადგილს დაუთმობდა მისი ინიციატივითა და რედაქციით გამომავალ ჟურნალში „Вестник древней истории"

დიდად სამწუხაროდ, ალ. სვანიძის ამგვარ წამოწყებას განხორციელება არ ეწერა, უახლოეს წლებში ტრაგიკულად დასრულდა მისი და გ. მგალობლიშვილის სიცოცხლე. მაგრამ გამოსაალი თითქოს გამოჩნდა. სულ მალე ნიკო მარის მიერ 1917 წელს დაარსებული ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (ენიმკი), რომელშიც მიიწვიეს ივ. ჯავახიშვილი, და სადაც უნდა გაშლილიყო ფართო კვლევა-ძიება წინა აზიის არასემიტური და არაინდოევროპული ენების შესასწავლად. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ასე როდი მოხდა; ამ თვალსაზრისით აღნიშნულ ინსტიტუტში შეისწავლებოდა მხოლოდ ურარტუული ენა (ა. უშაკოვისა და გ. წერეთლის მიერ, რამდენიმე წლის შემდგომ ამ ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილ ინსტიტუტში ურარტუულ ენასა და ისტორიაში დახელოვნდა გ. მელიქიშვილი). მიზეზი ენიმკში სხვა ახლოაღმოსავლური ენების (ე. წ. ალაროდიული თუ აზიანიკურის (აზიანურის) შეუსწავლელობისა, უნდა ვიფიქროთ, უფრო მდგომარეობდა სათანადო კადრების უქონლობაში, რომელთა მომზადებაც მაშინდელ „საბჭოთა" საქართველოში შეუძლებელი იყო.

მიუხედავად ამისა, სიმონ ჯანაშია საკმაოდ კატეგორიული ტონით ამტკიცებდა წინა აზიის ძველი არაინდოევროპული და არასემიტური ენების, აგრეთვე პელასგურის, ეტრუსკულისა და ბასკურის, ერთიანი ოჯახის არსებობას ჯერ კიდევ 1930-იან წლებში. საფიქრებელია, რომ მსგავსი შეხედულება გაუძლიერა ალ. სვანიძის ნაშრომებმა,

კანსაკუთრებით კი ი. სტალინისეულმა ზემოხსენებულმა აზრმა, რაც ს. ჯანაშიასათვის უთუოდ გაწდებოდა ცნობილი.[1] აღნიშნული თვალსაზრისი 1943 წელს გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში იქნა შეტანილი. მაგრამ ეს ვარემოება, ცხადია, არცლიადაც არ ნიშნავდა ამ თვალსაზრისის დასაბუთებულობას. შემთხვევითი როდია, რომ ივ. ჯავახიშვილი საკითხს ძალზე სკეპტიკურად უდგებოდა, თუმცა მისი შემდგომი კვლევა-ძიების საქმეს ადაუდებლად თელიდა.

ს. ჯანაშიასეულ შეხედულებას უყოყმანოდ იზიარებდა არნოლდ რიქობაია. მისი აზრით, „როგორც მორფოლოგიური წყობა, ისე კულტურულ-ისტორიული კონტექსტი წინა აზიის ძველი ენებისა და იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიული ერთიანობის შესახებ ლაპარაკობს".[2] ერთი წლის შემდეგ კი აღნიშნავდა: „Основная задача, стоящая перед сравнительно-историческим языкознанием у нас, состоит в том, чтобы вскрыть и с научной убедительностью показать историческую общность хеттско-иберийского языкового мира, воссоздать с научной убедительностью пути развития этих языков, показать генетическую связь грузинского и других иберийско-кавказских языков с древними языками Передней Азии"[3]. დაბოლოს, თავის ადრეულ შრომებში მსგავს შეხედულებას იზიარებდა გ. მელიქიშვილიც.

უნდა ვიფიქროთ, რომ რუს ენათმეცნიერთა და ისტორიკოსთა შორის იმთავითვე ბოგინობდა აღნიშნული „თეორიის" საწინააღმდეგო

---

1 მოსკოვში გამოსულ ერთერთ კრებულში „სტალინი" მოთავსებულია ფრანგი კომუნისტების თვალსაჩინო მოღვაწის ჟაკ დუკლოს მოგონება: „საუბრისას სტალინმა გაიხსენა ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდი ქართველებისა და ბასკების ეთნიკური ნათესაობის შესახებ და დასძინა, რომ ეს ჰიპოთეზა მოითხოვს შემდგომ დამუშავებას, რათა გარკვეს, რამდენად ახლოს დგანან ჯუშმარიტებასთან". შეგახსენებთ, რომ საუბარი შედგა ომის დამთავრებიდან მოკლე ხანში.

2 ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 378.

3 იხ. მისეული სტატია „Сталинское учение о языке и наши задачи в области сравнительно-исторического языкознания", „Заря Востока", 1953, 20 января.

განწყობილებანი, ისევე, როგორც შემდეგში და ახლაც, მათივე მხრიდან — „ერთიანი იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის“ საწინააღმდეგოდ. მაგრამ ი. სტალინისა და ლ. ბერიას ზეობის პერიოდში რუსი ენათმეცნიერები და ისტორიკოსები დუმდნენ. სათანადო რეაქციამ არ დააყოვნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი პოლიტიკური ასპარეზიდან ამ ორი აღზევებული ქართველის გადაგების შემდეგ. 1954 წელს „Вестник древней истории“-იმ (N 3) გამოაქვეყნა ი. დიაკონოვის რეცენზია გ. მელიქიშვილის ორ ნაშრომზე: „ურარტუ. სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი ქართველი ხალხის წინაპრების ისტორიიდან“ (1951) და „ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის“ (1953), სადაც მკაცრადაა გაკრიტიკებული ავტორისა და სიმონ ჯანაშიას თვალსაზრისი ქართველთა და ახლო აღმოსავლეთის რიგი ძველი ხალხების ნათესაობის თაობაზე. 1954-55 წ. ჟურნალმა „Вопросы языкознания“-მ წამოიწყო ფართო დისკუსია ე. წ. ალაროდიული და ა. შ. ენების თაობაზე. აბკარად ჩანს, რომ საამისოდ მზადება რამდენიმე წლის წინათ დაიწყეს.

რუსი ენათმეცნიერები (აგრეთვე ლენინგრადში მოღვაწე ისტორიკოსი საურმაგ კაკაბაძე) სასტიკი მოწინააღმდეგენი აღმოჩნდნენ მსგავსი ენათა ოჯახის არსებობისა. კერძოდ, ი. დიაკონოვი ამტკიცებდა, რომ შუმერული, ელამური, ურარტუული და ხურიტული არ არიან ერთმანეთის მონათესავენი, რომ მით უფრო არ ენათესავებიან ისინი „კავკასიურ“ ენებს. მისივე მოსაზრებით, შესაძლოა თვით ე. წ. ალაროდიულ ენათა ოჯახში რამდენიმე ენობრივი ოჯახი არსებობდა. ცნობილი ბულგარელი ენათმეცნიერი ვ. გიორგიევიც უარყოფდა ე. წ. ალაროდიულ ენათა ოჯახის არსებობას, მაგრამ ქართველური ენების მონათესავედ თვლიდა პროტოხეთურს, ხურიტულს და ურარტულს. რუსი ი. დუნაევსკაიას აზრითაც, მსგავსი ფართო ოჯახის არსებობის მტკიცება უსაფუძვლო იყო, ხოლო ქართველური ენების მონათესავედ მიიჩნევდა პროტოხეთურს (მისი მტკიცებით, მცირე აზიაში პროტოხეთურის (ხათურის) მონათესავე სხვა ენებიც არსებობდა). ჩვენი ენების ბასკურთან ნათესაობის მოსაზრებას იცავდნენ ი. ზიცარი და ე. ბოკარევი.

ახლა შევეხოთ საკითხს იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეიტანეს ქართველმა ენათმეცნიერებმა აღნიშნულ დისკუსიაში. მოსალოდნელი იყო, რომ დისკუსიაში თავის ავტორიტეტულ სიტყვას იტყოდა

შესაბამისი დარგის თვალსაჩინო ქართველი სპეციალისტი გ. წერეთელი. მაგრამ ფაქტია, რომ მას დისკუსიაში მონაწილეობა არ მიუღია. თავისი თვალსაზრისი ურარტუული და იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახის ურთიერთობების შესახებ მან გამოაქვეყნა მოხსენიებული ჟურნალის 1953 წლის მეხუთე ნომერში, სადაც საკითხის იმდროინდელი შესწავლილობის დონეზე ნაადრევად თვლიდა ამ ენათა გენეტიკური ნათესაობის მტკიცებას.

დისკუსიაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს არნ. ჩიქობავამ და ქ. ლომთათიძემ. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ცნობილია, ისინი თავიანთი სპეციალობით შორს დგანან აღძრული დიდი პრობლემისაგან. ფაქტია, რომ ისინი მხოლოდ იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახზე შემოტევებისაგან იცავდნენ თავს.

ასე რომ, როგორც „Вопросы языкознания"-ს მიერ 1954—55 წლებში მოწყობილმა დისკუსიამ აჩვენა, ქართული ენათმეცნიერება ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, როგორც თავის დროზე ამისათვის იღვწოდა ალ. სვანიძე. რაგინდ მწარეც არ უნდა იყოს ამის აღიარება, უდავოა, რომ რუსი ენათმეცნიერები ბევრად უფრო მომზადებულნი აღმოჩნდნენ ჩვენთვის დიდად საინტერესო პრობლემის განხილვისათვის. ამის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ქართველ ენათმეცნიერებს აღნიშნული დისკუსიიდან სათანადო დასკვნები გაეკეთებინოთ. მართალია, აქა-იქ კვლავ ლაპარაკობენ ქართველური ენების ნათესაობაზე შუმერულთან, ურარტულთან, ხურიტულთან და პროტოხეთურთან, მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ოღონ ზოგადი ფრაზების დონეზე. არადა, საკითხი დიდად აქტუალურია და მის გადაუწყვეტლად ჩვენი ისტორიის გაგებაში მნიშვნელოვანი ხარვეზი გვექნება.

იქნებ ამჯერად მაინც დაფიქრდეთ ამაზე?!

1998 წ.

საიდან მოვდივართ ქართველები?

(დისკუსია ჩვენი ისტორიის ურთულეს პრობლემაზე)

გადაუჭარბებლად ვიტყვით, რომ ქართველთა ეთნოგენეზისი ჩვენი ისტორიის ყველაზე რთული საკითხია. მხოლოდ ვიწრო სპეციალობის ისტორიკოსებით ის ვერ დაიძლევა, საჭიროა, აგრეთვე, ენათმეცნიერთა, არქეოლოგოსთა, ეთნოლოგოსთა, ანთროპოლოგოსთა და სხვათა ძალისხმევაც. მაგრამ ოდენ ვიწრო სპეციალისტთა ერთობლივი მუშაობაც არა კმარა. საჭიროა გამოჩნდეს პიროვნება, რომელიც აღნიშნულ მეცნიერებათა კვლევა-ძიების შედეგების შეჯამებას, სინთეზს მოახდენს, განაზოგადებს. ასეთი კომპლექსური მეთოდის გამოყენება ძალზე რთულია, თუმცა მხოლოდ ლიტონი სიტყვების, დეკლარაციის დონეზე — ფრიად ადვილი... და დასანანია, რომ ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მსგავსი მრავალმხრივი ჰუმანიტარები დღეს აღარ გვყვანან... ეს მწვავედ იგრძნობა კერძოდ, ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხის კვლევა-ძიებისას.

ჯერჯერობით, ბევრს აქვს ილუზია, თითქოს აღნიშნული საკითხი გარკვეულია. მაგრამ საკითხისადმი ოდნავ კრიტიკული მიდგომაც კი საკმარისია, რათა გავაცნობიეროთ ჩვენი დღევანდელი ცოდნის ილუზიურობა. აქ არ შეუძლებით შესაბამისი პრობლემის ისტორიოგრაფიის გაძღოლას ლეონტი მროველიდან და არსენ ბერიდან მოყოლებული ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას ჩათვლით. რაც დღესდღეობით ვიცით საკითხის თაობაზე, საქართველოში მოღვაწე არქეოლოგოსისა და ეთნოლოგოსის ბორის კუფტინის შეხედულებებიდან მომდინარეობს. ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი ნიკო მარის მიმდევარი იყო და, აქედან გამომდინარე, უცილობლად თვლიდა ქართველთა იმთავითვე აუტოქთონობა-აბორიგენობას მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც დღევანდელთან შედარებით სამჯერ მეტი იყო. ამდენად, იგი საესებით გამორიცხავდა მიგრაციების ფაქტორს თუნდ მიცემული ტერიტორიის მასშტაბითაც კი.

გ. მელიქიშვილი საკითხის კვლევა-ძიებისას გამოდიოდა ე. წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდის შედეგიდან (გ. კლიმოვის მიხედვით) და, შესაბამისად, დაასკვნიდა, რომ წინარე ქართველურმა ერთობამ დაშლა დაიწყო ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასაწყისში, როდესაც ერთიან ეთნიკურ მასივს გამოეყვნენ სვანები. ამის შემდგომ, ზარურ-ქართული ერთიანობა კვლავ გრძელდებოდა ძვ. წ. VIII საუკუნემდე, როცა დაიწყო ზანებისა (კოლხების, მეგრელებისა და ჭანების (ლაზების) და ქართების (ქართლელთა, მესხთა, ჯავახთა და სხვათა) წინაპრების ეთნიკური დიფერენციაცია. ასე რომ, მკვლევრის დასკვნით, თითქოსდა ძველი „კოლხას სამეფო“ საკუთრივ კოლხებისა და ქართების ერთობლივი „პოლიტიკური“ შემონაქმედი იყო. მაგრამ ეს თუ ასე იყო, ის უნდა ჩამოყალიბებულიყო ჭოროხის აუზში (შუა და ქვემო წელში). მაშინ როგორღა უნდა გავიაზროთ დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებთა ეთნიკური ვინაობა? ცხადია, უნდა დავუშვათ ქართების აქ მიგრირება ძვ. წ. მერვე საუკუნის შემდგომ. სხვა რთული საკითხებიც არის გადასაჭრელი, რაზედაც ქვემოთ შევჩერდები.

კარგია, რომ ქართველ ჰუმანიტართა ერთმა ნაწილმა, როგორც ჩანს, ასე თუ ისე გაიცნობიერა ჩვენი ეთნოგენეზისის პრობლემის გადაწყვეტის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და შესაბამისად, საკითხზე დისკუსიის აუცილებლობა მიიჩნია. შეგახსენებთ, რომ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ათ წელზე მეტია, რაც არსებობს მკვირიცხოვანი საპრობლემო ჯგუფი პროფესორ ნანა ხაზარაძის ხელმძღვანელობით, რომელიც ცდილობს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას. ამ ჯგუფის, უწინარესად ქ-ნი ნანა ხაზარაძის ინიციატივით, 2001 წლის 29–31 მაისს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ვაიმართა დისკუსია ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემაზე. მოსაწვეულებმა მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები. იქვე აღინიშნა, რომ ინსტიტუტის დირექციას განზრახული აქვს დისკუსიის მასალების გამოქვეყნება, რაც ჩვენს ფრიად შეჭირვებულ (მატერიალური თვალსაზრისით) დროში ძალზე მისასალმებელია.

ვიმეორებთ, მოწვენი გავხდით საინტერესო ფაქტისა, რაც აგრეთვე ხსენებული ინსტიტუტის დირექციის დამსახურებაცაა. დაისვა რიგი აქტუალური საკითხებისა, რომელთა გათვალისწინებაც, უთუოდ, ბიძგის მიმცემი იქნება პრობლემის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.

რასაკვირველია, დისკუსიის შედეგების მიხედვით ვერ ვიტყვით, რომ ის შთამბეჭდავი გამოვიდა. სულ სხვაა სურვილი და სხვაა რეალობა — დღევანდელი ქართული, კერძოდ, ჰუმანიტარული მეცნიერების პოტენციალი. ველოდით, რომ მოვისმენდით მოხსენებას, რომელშიც ისტორიოგრაფიასთან ერთად საკმაოდ საფუძვლიანად იქნებოდა გაშუქებული საკითხის ახლებური გადმოცემა. დიდად სამწუხაროდ, ისიც კი ვერ მოხერხდა, რომ პრობლემის ისტორიოგრაფია მაინც გადმოცემულიყო. ეს მხოლოდ ვინმეს ერუდიციის დემონსტრირებისათვის კი არ იყო საჭირო, არამედ ამით ბევრი მომენტი წარმოჩინდებოდა სამომავლო კვლევა-ძიებისათვის. თავი იჩინა, განსაკუთრებით, ჩვენი საისტორიო მეცნიერებისათვის დამახასიათებელმა „აქილევსის ქუსლმა“ — თეორიული, მეთოდოლოგიური აზროვნების დაბალმა დონემ. ამის გამოა, რომ მკვლევრებს შეუძლიათ ცალკეული მცირე საკითხების პროფესიულ დონეზე კვლევა-ძიება, მაგრამ დიდი, რთული პრობლემის დაყენება და გადაწყვეტა ნაკლებად ხერხდება.

დისკუსიაზე, კერძოდ, დაისვა საკითხი უშორეს, პირველყოფილ (თუ პრიმიტიულ) სოციალურ მდგომარეობაში, ე. წ. პირველყოფილ ჯოგში ეთნოსის არარსებობის შესახებ; ითქვა, რომ იგი ჩნდება კულტურის (ფართო მნიშვნელობით) განსაზღვრულ დონეზე, კერძოდ, სპეციფიკური თვითშეგნებისას. მაგრამ საჭიროა ამ დებულების დაკონკრეტება ჩვენი ისტორიული პროცესის მიმართ. აქედან გამომდინარე, დგება ეთნოსის განსაზღვრის თეორიული საკითხი. ჩვენი მოსაზრებით, ეს ალბათ უკავშირდება საზოგადოების ფენომენის გაჩენას.

დისკუსიაზე გაცნობიერდა ერთი გარემოებაც: მეცნიერების ერთი დარგის შიგნით, თითქოს, ადვილია მეცნიერული თვალსაზრისით საკმაოდ ლოგიკურად გამართული შედეგის მიღწევა. მაგრამ საკმარისია პრობლემას მეორე დარგის თვალთახედვით მივუდგეთ, რომ ჭეშმარიტების წყდომის ილუზია ქრება. კერძოდ, ენათმეცნიერების საფუძველზე, თითქოსდა, მათემატიკური სიზუსტით მიღებული შედეგი ხშირ შემთხვევაში ადვილად ქარწყლდება ისტორიოგრაფიის (საისტორიო მეცნიერების) პოზიციიდან. მაგალითად: ვ. ივანოვისა და თ. გამყრელიძის ერთობლივ ვრცელ (ორტომიან) ნაშრომში წინარეინდოევროპელებისა და მათი ენის შესახებ ენათმეცნიერების პოზიციიდან თითქოს ნათლად მტკიცდება, რომ მათი წინარეაშშობლო სომხეთის ზეგანსა და ევფრატის

ზემოთში იყო. მაგრამ თუ პრობლემას ისტორიკოსის, გნებავთ არქეოლოგოსის, თვალთახედვით მივუდგებით და თვალს გავადევნებთ ინდოევროპელთა შემდგომი განსახლების ისტორიას აღნიშნული ისტორიული რეგიონიდან, შესაბამისად – იტალიკების, ძველი ბერძნების, კელტების, გერმანელების (ფართო აზრით), სლაველების, ირდოირანელების და სხვათა ეთნოგენეზისს, ხელში (უფრო სწორად თავში) არაფერი დაგვრჩება.

დასანანია, რომ ვერ მოვისმინეთ დისკუსიის პროგრამით გათვალისწინებული თამაზ გამყრელიძის მოხსენება „ქართველები, ინდოევროპელები, სემიტები" (მაგრამ უნდა ვიეარაუდოთ, რომ მომხსენებელი ვ. ივანოვისა და თავის ძველ შეხედულებებს შემოგვთავაზებდა, თანაც მსგავსი სათაურის სტატია დიდი ხნის წინათ დაიბეჭდა). თუ აქამდე ქართული სამეცნიერო საზოგადოებრიობა ამ შეხედულებებს ეიფორიულად, დიდი აღტაცებით ხვდებოდა ხოლმე, ამჯერად, კრიტიკული თვალთახედვით მიდგომისას, ალბათ, სხვაგვარი ფსიქოლოგიური სიტუაციის მოწმენი გავხდებოდით. ისე, უნდა ითქვას, რომ, თუ ბატონ თამაზ გამყრელიძეს აქვს პრეტენზია, აღადგინოს წინარეინდოევროპული ენა და დაადგინოს მათეული სამშობლო, საქართველოში, უწინარესად, სწორედ ის უნდა იყოს პიროვნება, ვისაც ყველაზე მეტად უნდა ხელეწიფებოდეს ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხის გარკვევაც.

დისკუსიის მონაწილეთა ერთი ნაწილის სწორი შეხედულებით, მთელი ისტორიული საქართველოს წარმოდგენა ერთიანი წინარექართველური ეთნოსის სამშობლოდ, უსაფუძვლოა. ისტორიის სილრმეებში უთუოდ მრავალი მონათესავე ეთნიკური ჯგუფი და მათი ენები არსებობდნენ, ხოლო წინარექართველური ერთობა (ცხადია სვანების, ზანებისა და ქართების დიფერენციაციამდე) ბევრად უფრო შეზღუდულ არეალში ცხოვრობდა. ვ. ივანოვისა და თ. გამყრელიძის წარმოდგენით, ეს იყო სამხრეთ კავკასიის მთიანეთი. ვ. ივანოვმა, ორიოდე წლის წინ, ერთ-ერთ სამეცნიერო კრებულში უფრო დააკონკრეტა აღნიშნული საძიებო არეალი და იგი ისტორიული სამცხის ტერიტორიაზე (ახალციხის ქვაბულში) მოათავსა. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი ამ მოსაზრებათაგანი არ არის დასაბუთებული. თუ ძველი ტოპონიმიის მიხედვით ვიმსჯელებთ, სამცხე ზანებით უნდა ყოფილიყო დასახლებული. პირადად ჩვენ უფრო საფუძვლიანად

მიგვაჩნია შიდა ქართლის მოხმობა (შეგახსენებთ, რომ ნ. ბერძენიშვილი გულისხმობდა ქვემო ქართლს). ვნახოთ, რას გვაჩვენებს აზროვნების შემდგომი განვითარება ამ მიმართულებით.

დასასრულს კიდევ ერთხელ დავსძენთ: აღნიშნული დისკუსია უთუოდ დარჩება გარკვეულ ნიშანსვეტად ჩვენი ისტორიის ურთულესი პრობლემის გადაწყვეტის საქმეში. მთავარია, რომ საკითხი მთელი სიცხადით და საფუძვლიანობით დაისვა. თუ დისკუსიის მონაწილეებმა ჯერჯერობით უფრო მეტის გაკეთება ვერ შეძლეს, დაე, წამოწყება განაგრძონ სხვებმა, „ვისაც თავი აქვს ცდისაო“.

2001 წ.

ნაწილი მეორე

ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის პრობლემები

საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის ისტორიოგრაფიიდან

(ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ნაშრომების განხილვა)

ყოველი კულტურული ხალხის ისტორიაში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა მნიშვნელოვან ტეხილს წარმოადგენს. შესაბამისად, ამ მოვლენების გენეზისი და განვითარება ხალხის ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს საკითხს შეადგენს. ასეცაა, რასაკვირველია, ქართველი ხალხისა და ქართული ისტორიოგრაფიის ვითარებაშიც. ნაშრომში ჩვენ შეეხებით საკითხს, თუ როგორ გაშუქდა აღნიშნული მოვლენები ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას სამეცნიერო ნაშრომებში. ამასთანავე ყურადღებას გავამახვილებთ უფრო მეტად ამ პრობლემების კვლევა-ძიების მეთოდოლოგიურ ასპექტზე. საინტერესოა, რა თქმა უნდა, აღნიშნულ საკითხთა ირგვლივ ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას მთელი ნააზრევის განხილვა, ეს საგულისხმო დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემდა მეცნიერების ლოგიკის, მეთოდოლოგიის ასპექტში. მაგრამ ამის ჩვენებას ფართო ხასიათის მონოგრაფიული გამოკვლევა დასჭირდებოდა. ვიმეორებთ, ჩვენი ამოცანა უფრო ვიწროა, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას მემკვიდრეობაში ავტორთა მეთოდოლოგიური პოზიციების ჩვენება, მათი ღირსება-ნაკლოვანებების წარმოჩენა.

* * *

დავიწყებთ ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობიდან.

როგორც ცნობილია, საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი ივ. ჯავახიშვილის მიერ პირველად გაშუქდა ნაშრომში „Государственный строй древней Грузии и древней

Армении", რომელიც დაიბეჭდა სანქტ-პეტერბურგში, 1905 წელს სერიაში „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии" (წიგნი VIII).

ნაშრომში ივანე ჯავახიშვილი მკვეთრად დაუპირისპირდა „ქართლის ცხოერების" ტრადიციას საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. ეს ტრადიცია მან გამოაცხადა ლეონტი მროველის წიგნიერი მეცნიერული წარმოდგენის პროდუქტად. ავტორი აღნიშნავდა, რომ თუმცა სოციოლოგიით და შედარებითი ეთნოგრაფიით გატაცება ქართულ მეცნიერებაში აშკარად იგრძნობოდა, გაჩნდა შრომები, რომლებიც ეძღვნებოდა ქართველი ხალხის ჩვეულებათა შესწავლას, ხოლო მ. კოვალევსკი თავის წიგნში „Закон и обычай на Кавказе" სოციალური მოვლენების შედარებითი კვლევა-ძიებისას საინტერესო დასკვნებამდე მივიდა, მაგრამ ეს მიმდინარეობა, ავტორის აზრით, უშედეგოდ დარჩა ძველი საქართველოს სახელმწიფო წყობილების გასაცხადებლად. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, ქართულ მეცნიერებაში ასეთი სიტუაცია წარმოიშვა: ისტორიკოსთათვის უცნობი დარჩა ზემოაღნიშნული მიმდინარეობა და ისინი არ ცდილან შეესწავლათ ძველქართული საისტორიო წყაროები სოციოლოგიური კუთხით, ხოლო სოციოლოგოსები და ეთნოგრაფოსები კი, თავის მხრივ, შორს იდგნენ ამ წყაროების რამდენადმე ჩაღრმავებული შესწავლისაგან. ამის კონსტატაციის შემდეგ დასკვნა ნათელი უნდა იყოს: საჭიროა მოცემული საკითხის კვლევაში შეივსოს ამ მიდგომათა ნაკლოვანებანი და საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი გაშუქდეს, როგორც ჩვენი საისტორიო წყაროების, ისე სოციოლოგიისა და ეთნოგრაფიის მიღწევების საფუძველზე. მაგრამ ამისაგან განსხვავებით ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში უფრო ვიწრო, შეზღუდულ ამოცანასაც ისახავდა — ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების გასაცხადებლად შეესწავლა საისტორიო ძეგლები თავისთავად, თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალების მოზიდვის გარეშე.

რაც შეეხება საკითხის შესწავლის წყაროთმცოდნეობით ბაზას, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, როგორც აღნიშნავდით, ქართული საისტორიო ტრადიცია თითქმის არაფერს იძლეოდა, შესაბამისად, ძირითად საფუძველს შეადგენდა უცხოური, კერძოდ, ბერძნულ-რომაული წყაროები. ამასთან ერთად ავტორი დიდ ყურადღებას უთმობდა შედარებით ლინგვისტურ მონაცემებს; დიდ მნიშვნელობას ანიჭებ-

და აგრეთვე არქეოლოგიის მონაცემებსაც, რომლებიც ნაშრომის დაწერის დროს და, შემდეგშიც, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მომაელის საქმედ რჩებოდა.

ამდენად, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ძველ საქართველოში (უფრო ზუსტად იბერიაში (ქართლში) სოციალური წყობილებისა და მეფის ხელისუფლების წარმოშობის გასაცხადებლად ძირითად საისტორიო წყაროს წარმოადგენდა ცნობილი ადგილი სტრაბონის „გეოგრაფიიდან". რამდენადაც ეს წყარო უდიდესი მნიშვნელობის მქონეა თვით დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფიის შუქზეც კი და თანაც ნაშრომში ჩვენ ხშირად გვექნება მის შესახებ საუბარი, მოვიტანთ ამ ადგილს:

Τέτταρα δὲ καὶ γένη τῶν ἀνθρώπων εἶναι τὴν χώραν· ἓν μὲν καὶ πρῶτον, ἐξ οὗ τοὺς βασιλέας ἱστᾶσι κατ' ἀγχιστείαν τε καὶ ἡλικίαν τὸν πρεσβύτατον, ὁ δὲ δεύτερος διαιοδοτεῖ καὶ στρατηλατεῖ. δεύτερον δὲ τὸ τῶν ἱερέων οἳ ἐπιμελοῦνται καὶ τῶν πρὸς τοὺς ἐμόρους δικαίων· τρίτον δὲ τὸ τῶν στρατευομένων καὶ γεωργούντων· τέταρτον δὲ τὸ τῶν λαῶν, οἳ βασιλικοὶ δοῦλοί εἰσι καὶ πάντα διακονοῦνται τὰ πρὸς τὸν βίον. κοινοὶ δ' εἰσὶν αὐτοῖς αἱ κτήσεις κατὰ συγγένειαν, ἄρχει δὲ καὶ ταμιεύει ἑκάστην ὁ πρεσβύτατος. τοιοῦτοι μὲν οἱ Ἴβηρες καὶ ἡ χώρα αὐτῶν.

სტრაბონის ნაშრომის ამ ადგილის გაგებაში იქანე ჯავახიშვილისათვის ძირითადი ამოსავალი იყო γένος-ის გაგება როგორც გვარისა სოციალური, ეთნოგრაფიული მნიშვნელობით. ავტორი გამოდიოდა იმ გარემოებიდან, რომ გვაროვნულ წყობილება საკმაოდ თვალსაჩინოდ იყო გავრცელებული XVIII-XIX საუკუნებშიც კი ქართველ მთიელებში, რომ მისი ნაშთები ორჯერ „ქართლის ცხოვრებაშიც" გვხვდება, სადაც ეს სოციალური ერთეული მოიხსენება „სახლის" ფორმით. ავტორის შეხედულებით, გვაროვნული წყობილება მით უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული სტრაბონის მიერ აღწერილ ეპოქაში – ა. წ.-ის პირველი საუკუნის დასაწყისში. გამოდიოდა რა გეიანდელი ეთნოგრაფიული სინამდვილიდან, რა პირობებშიც ხდებოდა გვარების ხან გაყოფა, ხან შეერთება, ივ. ჯავახიშვილი ამ სიტუაციის ექსტრაპოლირებას ახდენდა ხალხის ძველი საფეხურების მიმართაც, როდესაც გვაროვნული წყობილების, თითქოსდა, მრავალგზის აღდგენას შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი. საკუთრივ გვარს ავტორი განმარტავდა, როგორც ცალკეული დიდი პატრიარქალური (მამამთავრული) ან მცირე ოჯახების ერთობლიობას, ე.ი. ამ სოციალური ინსტიტუტის ისტორიის გეიანდელ ფაზაში.

სტრაბონისეული „გეოგრაფიის“ ზემოხსენებული ადგილისა და, საერთოდ, ძველ საქართველოში გვაროვნული წყობილებიდან სახელმწიფოებრივი წყობილების წარმოშობის გაგებაში ივანე ჯავახიშვილი ამოდიოდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილი გვაროვნული თეორიიდან, რომლის თანახმადაც სახელმწიფო წარმოადგენდა გვაროვნული ორგანიზაციის უშუალო გაგრძელებას. ამ თვალთახედვით გ. ზიბელმა და ს. სოლოვიოვმა გაიაზრეს სახელმწიფოს წარმოშობა გვაროვნული წყობილებიდან შესაბამისად გერმანიასა და რუსეთში, მაგრამ ამ შეხედულების წარმოქმნის შემდეგ, XIX საუკუნის 60–70-იან წლებში, როგორც ცნობილია, რევოლუცია მოხდა გვაროვნული წყობილების ისტორიის გაგებაში. აღმოჩნდა, რომ პატრიარქალური ფორმის გვარი გვიანდელი მოვლენაა, რომ ამ ფორმას წინ უძღოდა დედისეული გვარი (ი.ბახოფენის აღმოჩენა). რომ ოჯახი კი არ უსწრებდა გვარს ან თანაარსებობდა ამთავითვე გვართან, არამედ გვარი უსწრებდა ოჯახს (ჯ. მაკ-ლენანის აღმოჩენა), რომ ყველაფერი ეს დაგვირგვინდა ლ. ჰ. მორგანის აღმოჩენებითა და საერთო კონცეფციით პირველყოფილი საზოგადოების შესახებ (1877 წ.). მაგრამ ახრის ეს მდინარება შეუმჩნეველი დარჩა მეცნიერთა დიდი ნაწილისათვის, მათ შორის გეორგ ელინეკისათვის (1851–1911), რომლის ნაშრომებსაც სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ეყრდნობოდა ივანე ჯავახიშვილი.

მაგრამ დავუბრუნდეთ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას ძველ საქართველოში გვაროვნული წყობილებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. მის მიხედვით, სტრაბონის მიერ იბერიის საზოგადოების აღწერილობაში სახეზე გვაქვს გვაროვნული წყობილების გაფურჩქვნის პერიოდი. Γένος-ს იგი თარგმნიდა მხოლოდ და მხოლოდ ეთნოგრაფიული გვარის მნიშვნელობით. თუ ე. ლატიშევი მას თარგმნიდა როგორც კლასს, ჯავახიშვილის აზრით ეს მიუღებელია იმიტომ, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ „კლასს“ საკმაოდ განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს და მიუთითებს საზოგადოების დაყოფაზე ეკონომიკური მნიშვნელობით, მაშინ როდესაც სტრაბონს თითქოსდა მხედველობაში ჰქონდა მოსახლეობის დაყოფა სოციალური მდგომარეობის მიხედვით. მაგრამ ასეთი მსჯელობა არ მიგვაჩნია დამაჯერებლად. ჯერ ერთი, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „კლასი“ იხმარება არა მხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობით, არამედ — სოციალურითაც, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „კლასი“ გამოხატავს პიროვნების, ინდივიდის, ოჯახის არა მხოლოდ

ეკონომიკურ, არამედ სოციალურ სტატუსსაც; მეორეც, სოციალური კლასი იხმარება უფრო ვიწრო მნიშვნელობითაც: მაგალითად, სოლონისეული და სერვიუს ტულიუსისეული კლასები; მესამეც, სტრაბონთან არა ჩანს, რომ იგი იბერიის მოსახლეობას მხოლოდ და მხოლოდ გვაროვნული წყობილების აზრით ყოფდა, არანაკლები საფუძველი გაქვს ვიფიქროთ, რომ ამ დაყოფის პარალელურად იგი გულისხმობდა სოციალურ ფენებსაც, რის მიხედვითაც, ყოველ შემთხვევაში პირველი, მეორე და დანარჩენი Γένος-ების ეკონომიკური და სოციალური სტატუსებიც იგულისხმებოდა.[1] მაგრამ ასევე საფუძვლესაა მოკლებული ვიფიქროთ, რომ ივანე ჯავახიშვილის მიხედვით სტრაბონის ეპოქის იბერიაში მხოლოდ და მხოლოდ ოთხი გვარი ცხოვრობდა, ან რომ თითოეული გვარი ოთხნაირი სოციალური და ა. შ. სტატუსების ადამიანებს აერთიანებდა. ტერმინს συγγένεια ივ. ჯავახიშვილი თარგმნიდა ასევე როგორც გვარს ეთნოგრაფიული მნიშვნელობით.

ამრიგად, γένος-ს და συγγένεια-ს როდესაც ეთნოგრაფიული გვარის მნიშვნელობით თარგმნიდა, ივანე ჯავახიშვილი დაასკვნიდა ძველ საქართველოში (ქართლში) გვაროვნული წყობილების უდავო არსებობას, სახელდობრ, გვარი წარმოადგენდა მაშინდელი საზოგადოების საფუძველს; ახ. წ. დასაწყისში მიწაზე კერძო საკუთრება ჯერ კიდევ არ არსებობდა და მის მაგიერ იყო საერთო საგვარეულო საკუთრება, ხოლო გვარში მმართველობა და ხელისუფლება ეკუთვნოდა გვარის უხუცესს.

ყოველივე აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ივ. ჯავახიშვილის მიერ სტრაბონისდროინდელი იბერიის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა გაიგება აყვავების ხანის პირველყოფილი კომუ-

---

1 თინათინ ყაუხჩიშვილი სტრაბონის „გეოგრაფიის" საქართველოს შესახებ ადგილების ქართულ თარგმანში Γένος-ის შესახებ წერს: „სტრაბონისდროინდელი იბერიის მიმართ, სტრაბონის თარგმნის დროს, სიტყვა „კლასის" ხმარება (მაშინაც კი, როდესაც დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ტერმინი – Γένος-ით „კლასის" ცნებაა გადმოცემული) ისტორიის მოდერნიზაცია მეჩვენება. ტერმინი „კლასი" ამ შემთხვევისათვის უნდა ვიხმაროთ კომენტარში, ინტერპრეტაციის დროს, და არა თარგმნისას" (იხ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის „გეოგრაფია", 1957, გვ. 265). მაგრამ ავტორის ეს მოსაზრება, როგორც ვხედავთ, მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა. ვ. ლატიშევსა და თ. მიშჩენკოს რომ თავი დავანებოთ, ინგლისურ თარგმანში Γένος ალნიშნულ შემთხვევაში გადმოიცემა „caste"-თი.

ნიზმის შუქზე. იბერიის მოსახლეობის სათავეში, მისი აზრით, დგას მეფის გვარი, რომლიდანაც ირჩევდნენ მეფეს (ეს ტერმინი, ავტორის მიხედვით, წარმოიშვა „მეუფედან“, რაც ბატონს, ძალაუფლების მქონეს აღნიშნავს. მანამდე კი „მეფის“ აღსანიშნავად იხმარებოდა „მამასახლისი“, „მეუფე მამასახლისი“). ძველი ქართლის მეფე, რომლის „ხელი“ წარმოიშვა მცხეთის მამასახლისის „ხელიდან“, იდგა დანარჩენი მამასახლისების იერარქიის სათავეში. გარდა აღნიშნულისა უთანასწორობა უფრო ღრმად იყო წასული იბერიის (ქართლის) საზოგადოებაში, შეიმჩნეოდა უფრო მეტად გვარებს შორის: უმეტესი ნაწილი უფრო მრავალრიცხოვანი იყო და ამდენად უფრო ძლიერი, გავლენიანი, რომელიც ჩაგრავდა დანარჩენებს. კიდევ მეტი: ძლიერი გვარები (მათი წევრმომადგენლები იწოდებოდნენ დიდგვაროვნებად) ფლობდნენ თავისუფლებას, უფლებას, პატივს; მათგან განსხვავებით, უგვაროანი, უაზრონი სოციალურად რაიმე მნიშვნელობას მოკლებულნი იყვნენ, მათ არ გააჩნდათ თავისუფლების დაცვის გარანტიები (ასეთი გარანტი იყო ძლიერი, დიდი გვარი) და ამიტომაც ითვლებოდნენ არათავისუფლებად. შესაბამისად, ადამიანის ღირსებაც ეფუძნებოდა საგვარეულო ღირსებას, გვარიშვილობას და არა ინდივიდუალურს.

იმ ხანის იბერიის საზოგადოებაში არსებობდა მონობის ინსტიტუტიც. მაგრამ თავდაპირველად ის არ ყოფილა ფართოდ გავრცელებული მოვლენა. შემდგომ საუკუნეებში იგი მეტ აღმავლობას განიცდის, ხოლო პატრონყმობის განვითარების პირობებში ქვეითდება. ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, აღწერილი გვაროვნული წყობილების ეკონომიკური საფუძველი საკმაოდ განვითარებული იყო. ამის მტკიცებისას ავტორი გამოდიოდა სტრაბონის ცნობილი ტექსტიდან. ნაშრომში ვკითხულობთ, რომ სტრაბონის ხანაში ქალაქები უკვე ეკონომიკურ ცენტრებს წარმოადგენდნენ, ასევე ხდებოდა დასავლეთის ქართველურ ტომებშიც. თვით სირიული ტერმინის „ქალაქის“ შემოღწევა ქართულ ენაში მიუთითებს, ავტორის აღნიშვნით, ძველ საქართველოში საქალაქო, ანუ უფრო სწორად, სავაჭრო-სამრეწველო კულტურის წარმოშობაზე, რაც საგრძნობლად დააჩქარა ჯერ კიდევ უძველეს ხანაში მესოპოტამიიდან, მიდიიდან და ბაქტრიიდან სომხეთსა და საქართველოში მომავალმა გზებმა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, უკვე ამ ხანაში არსებობდა ქალაქის მამასახლისის სახელოც, ასევე ქალაქებში – ციხისთავებისა.

ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, ამ ეპოქის იბერიის მოსახლე-

ობის ძირითადი ნაწილი შედგებოდა სტრაბონისეულ აღწერილობაში მოხსენიებული მესამე გენოსისაგან, რომელიც პირადად თავისუფალი იყო.[2] მისგან განსხვავებით მეოთხე *γένος*-ი *λαός*-ისა, რომელიც არაა ნამდვილი მონობა და უფრო კოლონატს ჰგავს, წარმოადგენდა სოციალური უსამართლობის თავდაპირველ სტადიას. რაკი ტერმინი „მონა" (სპ. maniiah) შეთვისებული იყო სპარსული ლექსიკიდან, ამის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი ასკვნიდა შესაბამისი ინსტიტუტის უცხოურ წარმომავლობასაც, კერძოდ, სპარსულიდან.

რაც შეეხება ერისთავების არსებობას სტრაბონის ეპოქის იბერიაში, ავტორს ეს საეჭვოდ მიაჩნდა, რადგან სტრაბონთან ისინი არ მოიხსენიება. ნაშრომის მეორე ადგილას[3] იგი უფრო კატეგორიულია ამ საკითხში და აღნიშნავს, რომ ერისთავები გაჩნდნენ VIII–IX საუკუნეებში, კერძოდ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების მმართველობის პირველ პერიოდში.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, ახ. წ.-ის I საუკუნის ქართლში (იბერიაში) სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძველს, ძირითად უჯრედს წარმოადგენდა გვარი. სხვანაირად რომ ვთქვათ, გვარი, საგვარეულო, იყო ის საფუძველი, რომელზედაც ალმართული იყო იმდროინდელი ქართლის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა, შესაბამისად — სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. მაგრამ, როგორც შევეცადეთ გვეჩვენებინა, ივ. ჯავახიშვილისათვის გვაროვნული ორგანიზაცია, მისი ეკონომიკური საფუძველი სულაც არ ყოფილა პრიმიტიული, მარტივი სტრუქტურისა. იგივე ითქმის სახელმწიფოს შესახებაც.

---

2 ივანე ჯავახიშვილი ამ ადგილს თარგმნიდა ასე: „Третий род состоит из тех, которые занимаются военным делом и земледелием", განსხვავებით ვ. ლატიშევისაგან: „К третьему классу принадлежали воины и земледельцы". ამ თარგმანებში არსებითი სახის განსხვავებაა. სტრაბონის ტექსტი და ქართლის იმდროინდელი სიტუაცია ზუსტადაა გაღმოცემული ივ. ჯავახიშვილისეულ თარგმანში, სადაც ირკვევა, რომ მესამე გენოსი ჯერ-ჯერობით არ ყოფილა დიფერენცირებული, განსხვავებით სტრაბონის მიერ აღწერილი არაბეთის, ეგვიპტისა და ინდოეთის საზოგადოებებისაგან. ამ ადგილს ლატიშევის მსგავსად თარგმნის თ. ყაუხჩიშვილი (იხ. მისი სტრაბონის „გეოგრაფია", გვ. 130), თანაც „მეომართა" ნაცვლად თარგმნის „მხედართა".

3 იქვე, გვ. 13.

ახ. წ. I საუკუნის ქართლში მოსახლეობის გვარებად დაყოფის პარალელურად იყანე ჯავახიშვილი უშვებდა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფასაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორს დასაშვებად მიაჩნდა მოსახლეობის კუთვნილება განსაზღვრული სისხლით-ნათესაობითი ჯგუფებისადმი – გვარებისადმი, აგრეთვე – ტერიტორიული ერთეულებისადმი. სახელმწიფოს უძველეს ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფაში, როგორც ამას აღნიშნავდა ი. ჯავახიშვილი, აისახა გვაროვნული წყობილების ნაკვალევი; კერძოდ ცნებამ „სახლი“, რომელიც ძველად გვარს აღნიშნავდა, ახლა ტერიტორიული მნიშვნელობაც მიიღო – განსაზღვრული ადგილისა (სოფლის, რამდენიმე სოფლისა), მთელი ქვეყნისა. ეს აისახა აგრეთვე ტერმინში „მამასახლისი“; ამ კომპოზიტში „სახლი“ ქვეყნის მნიშვნელობით გვხვდება – მაგალითად, ქართლის მამასახლისი, შემდეგში ქალაქის მამასახლისი.

ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფაში ვნიშვნელოვანი ერთეული იყო „ხევი“ – ხეობა, რაც განაპირობა ქვეყნის ტოპოგრაფიულმა პირობებმა. ამ ერთეულის სათავეში იყო სპეციალური მოხელე-ხეისთავი. შემდეგში ამავე ტერმინით აღინიშნებოდა ოლქი, ქვეყანაც. ყველაზე დიდი ერთეული იყო „ჭუეყანა“, რომელიც შესაძლოა, ავტორის აზრით, მოიცავდა განსაზღვრული ეთნიკური ერთეულით დასახლებულ ქვეყანას (ჯავახეთი, შავშეთი, სომხითი, კახეთი და სხვ.). ზოგჯერ ეს ტერმინი გამოხატავდა უფრო მცირე ერთეულებს, რაც დამოკიდებული იყო შესაბამის პოლიტიკურ თუ სხვა პირობებზე. დასახლებული პუნქტი აღინიშნებოდა „დაბით“, „ქალაქით“, შემდეგ „დაბა“ შეცვალა „სოფელმა“, რომელიც თავდაპირველად ოლქს, მთელს ქვეყანას აღნიშნავდა. აღნიშნულ გარემოებას, ე. ი. თუ რამდენად აისახა გვაროვნულ-თემური ორგანიზაცია აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების სახელმწიფო წყობილებაზე, ივ. ჯავახიშვილი ნათელყოფდა სომხური, სპარსული, სირიული და არაბული ლექსიკის მაგალითებითაც და დაასკვნიდა, რომ გვაროვნული ორგანიზაცია ძალზე ნათლად აისახებოდა შესაბამისი ქვეყნების ადმინისტრაციულ ტერმინოლოგიაში.

ამის საფუძველზე ავტორი უფრო ფართო განზოგადებასაც ახდენდა, ეხებოდა რა თვით საკითხის მეთოდოლოგიასაც. თუ გ. ელინეკი აცხადებდა, რომ „Все попытки подробно определить превращение орд, племен и семей в государства, должны

оказаться тщетными уже потому одному, что один и тот же результат мог быть достигнут весьма разнообразными путями и представляется весьма маловероятным, чтобы процесс образования государств повсюду был один и тот же. Здесь могут быть установлены только самые общие типы",[4] ივანე ჯავახიშვილი ამ საკითხის გაგებაში უფრო კატეგორიული იყო. მისი მტკიცებით, გვაროვნული წყობილების დროს, იქნება ეს მომთაბარე ტომები თუ ურდოები ანდა იგივენი ბინადარი ცხოვრებისას, უკვე არსებობს სახელმწიფოებრივი წყობილებაც, რომლის ტერმინოლოგიაც ნასესხებია გვაროვნული წყობილებიდან. ყოველ შემთხვევაში, – აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, – მის მიერ თვალგადევნებულ მაგალითებზე ნათელი ხდება გვაროვნული წყობილებისა და სახელმწიფოებრივი წყობილების თანხვედრია.

ასე წარმოადგინა, მოკლედ, ივ. ჯავახიშვილმა სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობილების წარმოშობის სურათი ძველ საქართველოში (ძირითადად ქართლში) თავის ადრინდელ ნაშრომში „Государственный строй Древней Грузии и Древней Армении" თუმცა ეს ნაშრომი გამოქვეყნდა 1905 წელს, ავტორისეული კონცეფცია ძირითადად უცვლელი დარჩა ავტორის სიცოცხლის მთელ მანძილზე.

ამავე წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია" ივ. ჯავახიშვილი მოკლედ იმეორებდა იმ დებულებებს, რაც ზემოთ განხილულ ნაშრომში ჰქონდა გამოთქმული და აღნიშნავდა, რომ საგვარეულო წესწყობილებაზე დამყარებული მეფის უფლება სპარსელებმა გააუქმეს და ამის გამო მერმინდელ მეფობის უფლებათა და პირვანდელი დროის მეფობას შორის კავშირი არ არსებობდა.

„ქართული სამართლის ისტორიის" II წიგნში (ნაკვეთი I) წინანდელი დებულებების გარდა ლაპარაკია ტერმინ „ერის" ორგვარ მნიშვნელობაზე საკუთრივ ხალხისა და ჯარის აღსანიშნავად. და ეს მოხდა იმიტომ, – აღნიშნავდა ავტორი, – რომ ხალხი და ჯარი უძველეს ხანაში ერთი და იგივე იყო. შემდეგ „ერი" თანდათან ჯარის მნიშვნელობას ჰკარგავს და აღნიშნავს მხოლოდ ხალხს, ჯარი-

4 იხ. Г. Еллинек, Право современного государства, 1903, გვ. 172.

სათვის კი სამწერლო ენაში ჯერ სპარსული „სპა“ შემოდის, შემდეგ კი „ლაშქარიც“. აღნიშნული გარემოება იმ მხრივ არის საგულისხმო, რომ აქედან ირკვევა ივანე ჯავახიშვილის პოზიცია საჯარო ხელისუფლების არსებობაზე როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთ ატრიბუტზე. ავტორი სახელმწიფოს არსებობას სულაც არ უკავშირებდა საზოგადოებისაგან გამოყოფილ საჯარო ხელისუფლებას თუნდაც რაიმე უმნიშვნელო სახით.

„ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნშიც ძველი საქართველოს სოციალურ და სახელმწიფოებრივ წყობილებაზე ავტორის ძველი პოზიციაა გადმოცემული. იგივე ითქმის გრანატის ენციკლოპედიის მე-17 ტომში შესრულ სტატიაზე საქართველოს შესახებ.

როგორც ჩანს, მცხეთის არქეოლოგიურ გათხრებს თვალსაჩინო კორექტივები უნდა შეეტანა ივ. ჯავახიშვილის ნააზრევში ძველი საქართველოს ისტორიაზე. 1938 წლის 23 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილი წერდა: „უკვე ზემოაღნიშნულიდანაც ჩანს, თუ რაოდენად დიდია მცხეთა-სამთავრის მკვდრეთის (ე. ი. ნეკროპოლისის – გ.ყ) არქეოლოგიური კვლევა-ძიებით უკვე მოპოვებული შედეგიც მეცნიერებისათვის საზოგადოდ, მეტადრე კი საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“.[5] მისი აზრით, „ამ მოსალოდნელი უამრავი არქეოლოგიური მასალით მეცნიერება საქართველოს და მსოფლიოს ამ ერთი უძველესი ქალაქთაგანის მთელი მატერიალური კულტურის ისტორიის აღდგენას შესძლებს. დიდი და ფართო სამეცნიერო პერსპექტივები იშლება“.[6] სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილს აღარ დასცალდა ამ ახალი მასალის ინტერპრეტაცია. ამდენად ჩვენც მოკლებული ვართ შესაძლებლობას თვალი გავადევნოთ საქართველოს უძველესი და ძველი პერიოდების სოციალური წყობილებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ მისი ნააზრევის შემდგომ ევოლუციას.

ასეთია მოკლედ ივანე ჯავახიშვილის პოზიცია საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის თაობაზე. წყაროთმცოდნეობითი ბაზის მხრივ ეს პოზიცია ეყრდნობოდა უმთავრესად ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობებს საქართველოს შესახებ. ავტორი ჰიპერკრიტიციზმით იყო განწყობილი საკუთრივ ჩვენი ძველი საისტორიო

5 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. I, გვ 449.
6 იქვე.

ტრადიციის მიმართ. რაც შეეხება ავტორის მეთოდოლოგიურ პოზიციას, იგი გამოდიოდა XIX საუკუნის I ნახევარში შექმნილი გვაროვნული „თეორიიდან", რომელიც შემდეგში შეჯამებულ იყო გ. ელინეკის შრომებში. ივ. ჯავახიშვილის აზრით, გვაროვნული ორგანიზაცია გულისხმობდა სახელმწიფოს არსებობასაც და ამდენად უკანასკნელის წარმოშობა თითქმის არავითარ ტეხილს არ წარმოადგენდა ჩვენს ისტორიულ პროცესში. მართალია, ამ პერიოდში არქეოლოგიის, ნუმიზმატიკისა და ეპიგრაფიკის განუვითარებლობის გამო ძნელი იყო „ქართლის ცხოვრებაში" უძველესი ხანის ამსახველი ცნობების შემოწმება და მათში რაციონალური მარცვლის დანახვა, მაგრამ ეთნოგრაფიის ახალი მიღწევების (1860–70-ან წლებში) გამოყენებით შესაძლებელი გახდა აღნიშნული საკითხის უფრო ღრმად დამუშავება. ნაშრომის „Государственный строй Древней Грузии и Древней Армении"-ს გამოსვლიდან ორი წლის შემდეგ ცნობილი ქართველი მოაზროვნე და პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე ივანე ჯავახიშვილის პოზიციის მისამართით აღნიშნავდა: „მაგრამ, ჩვენის აზრით, ტერმინოლოგიის მსგავსება სრულიადაც არ მოასწავებს წესწყობილებათა მსგავსებას. მართალია, საგვარეულო ტერმინოლოგია გადმოიტანეს სახელმწიფოს ნიადაგზედ, მაგრამ აქედან სრულიად არ წარმოსდგა გვარის და პოლიტიკურ საზოგადოების მსგავსება. ტერმინოლოგიის მსგავსება მხოლოდ იმ ფაქტზე გვითითებს, რომ გვარი იყო პირველყოფილი ფორმა საზოგადოებისა. სახელმწიფო გვარის შემდეგ დაარსდა. გვარმა დროის მსვლელობაში სახელმწიფოს აჯგილი დაუთმო – ძველმა სახელმწიფომ ბევრი რამ შეითვისა გვარისაგან (ტერმინოლოგია). მათ შორის მსგავსება იყო, ხოლო უფრო მეტი განსხვავება და არასდროს არ შეიძლება იმის თქმა, რომ საგვარეულო წყობილებამ სახელმწიფოებრივ ელემენტებს შეიცავს და ეს იმიტომ, რომ სახელმწიფო სრულიად ახალ ნიადაგზე დამყარდა".[7] არჩილ ჯორ-

7 იხ. თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი I, ტფილისი, 1911, გვ. 21. ავტორის სტატია „მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად. სოციოლოგიური საუბარი", დაბეჭდილი „ისარში" 1907 წ. N 34 – 36, 38. სხვათა შორის, ნ. მარმა 1908 წელს „ЖМНП"-ში დაბეჭდილ რეცენზიაში ივ. ჯავახიშვილის ნაშრომზე, მაგრამ არ შეხებია განხილული საკითხების არსს. იმავდროულად, საკუთარ უსაფუძვლოდ, ივანე ჯავახიშვილს უკიჟინებდა საკითხისადმი აბსტრაქტულ მიდგომას.

ჯაძე მიუთითებდა იმ გარემოებას, რომ პირველყოფილი საზოგადოება ეფუძნებოდა გვარს, ხოლო სახელმწიფო – ტერიტორიასა და კერძო საკუთრებას. როგორც დავინახეთ, ივანე ჯავახიშვილის ნააზრევში აღნიშნული საკითხების შესახებ არაერთარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა; იგი დარჩა ბირითადად ისეთად, როგორც ეს ავტორს გასული საუკუნის დასწყისში შეუმუშავდა.

* * *

ახლა შევჩერდებით ს. ჯანაშიას მეცნიერულ მემკვიდრეობაზე სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ძველ საქართველოში.

ჯერ ავტორის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესახებ შევჩერდეთ. საკითხზე მსჯელობისას სიმონ ჯანაშიასათვის საისტორიო წყაროები, ფაქტოლოგიური მასალა იგივე რჩებოდა, რაც ივანე ჯავახიშვილისათვის. 1932–37 წლებში, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც შემუშავდა ავტორის კონცეფცია აღნიშნულ პრობლემებზე. საკითხის წყაროთმცოდნეობით ბაზაში არ ყოფილა რაიმე ძვრები; სახელდობრ, ადგილი არ ჰქონია ახალ არქეოლოგიურ, ეპიგრაფიკულ და ნუმიზმატიკურ აღმოჩენებს, ამ მხრივ მნიშვნელოვანი მასალა ჯერჯერობით არც ქართულ ეთნოგრაფიას მოეპოვებინა. ყოველივე ამის გამო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არქეოლოგიური გათხრების არარსებობის მიზეზით, შეუმოწმებელი რჩებოდა „ქართლის ცხოვრების“ ტრადიცია ძველ საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. ამ გარემოების გათვალისწინება აუცილებელია, რათა გავიგოთ ისტორიკოსის, ამ შემთხვევაში ს. ჯანაშიას, შეზღუდულობა აღნიშნული საკითხების კვლევა-ძიებაში.

ახლა ს. ჯანაშიას მეთოდოლოგიური პოზიციის შესახებ აღვნიშნავთ. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ნათელია; მას საკითხის გააზრება უნდა დაეფუძნებინა მარქსისტულ მეთოდოლოგიაზე. მაგრამ თუ როგორია მარქსისტული მეთოდოლოგიური საფუძველი სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს შესახებ, ეს არა თუ მაშინ, არამედ დღესდღეობითაც კი გაურკვეველია. ჩვეულებრივ, ამ საკითხებზე მსჯელობისას ამოდიან ფრიდრიხ ენგელსის წიგნიდან „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, რომელ-

შიც ნახულობენ უნივერსალურ გზას გვაროვნული წყობილების დაშლიდან კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობისაკენ. ამ შემთხვევაში გვიანდელი გვაროვნული საზოგადოება წარმოუდგენიათ როგორც ეკონომიკურად მაღალგანვითარებული საზოგადოება შრომის ინტენსიური საზოგადოებრივი დანაწილებით, ქალაქების განვითარებით, შესაბამისად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების მაღალი განვითარებით, მიწაზე კერძო საკუთრების გამარჯვებით და ა. შ.; ზემოაღნიშნულმა ეკონომიკურმა წანამძღვრებმა განაპირობა მონობის ინსტიტუტის მაღალი განვითარება, შესაბამისად – მონათმფლობელური სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბება. მაგრამ აღნიშნული სიტუაცია შეინიშნება მხოლოდ ანტიკური, ბერძნულ-რომაული სამყაროს სინამდვილეში. ენგელსის იმავე ნაშრომში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა გერმანელ ხალხებში სულ სხვაგვარადაა წარმოდგენილი. უკვე a priori ნათელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ აღნიშნული ინსტიტუტების – მცირე ოჯახის, კერძო საკუთრების, სახელმწიფოს, კლასობრივი სტრუქტურის განვითარება ამა თუ იმ ხალხში ხასიათდება თავისებური განვითარების გზით, დიდი სპეციფიკურობებით. მართლაც, ყველა შემთხვევისათვის ბერძნულ-რომაული სამყაროს ევოლუციის მაგალითი გამოუსადეგარია. უმეტეს შემთხვევებში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ხდებოდა ნატურალური მეურნეობის პირობებში, მიწაზე თემური (სასოფლო) საკუთრებისას, თანაც ბევრ შემთხვევაში სახელმწიფოს განვითარება დაჩქარებული ტემპით ხდებოდა საზოგადოებისათვის აუცილებელი მოთხოვნილებების – ირიგაცია, თავდაცვა მომთაბარეთაგან – შესრულების საჭიროების გამო. ზოგან ეს პროცესები ჩქარდებოდა დაპყრობის გზით, ანდა მეზობელ ქვეყნებში სახელმწიფოს ჩამოყალიბების ზეგავლენით. ამდენად, საერთო მოვლენები, რომლებიც აუცილებლად საჭირო პირობებს წარმოადგენენ კლასებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, ძლიერ მრავალფეროვნად შეიძლება: ეკონომიკის განსაზღვრულ დონეზე განვითარება, რა პირობებშიც ხდებოდა ჭარბი პროდუქტის სისტემატური სახით წარმოებას, ხალხთმოსახლეობის ზრდას, რამაც დააჩქარა გვაროვნული ორგანიზაციის დაშლა, მოსახლეობის განსაზღვრული მასისათვის საერთო ინტერესების გაჩენა. ამა თუ იმ ხალხში, ამ

საერთო მომენტების გარდა, არსებობდა სპეციფიკური პირობებიც, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია თითოეულ მათგანში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის სურათის ჩვენებისათვის.

უაღრესად აბსტრაქტული აზროვნების დონეზე მარქსისტული მეთოდოლოგიური პოზიცია ამა თუ იმ ისტორიულ რეგიონში კლასებისა და სახელმწიფოს ფორმირების საკითხში გახლავთ, როგორც ცნობილია, ეკონომიკური მდგომარეობის ჩვენება, რაც თავის მხრივ გასალებს წარმოადგენს სოციალური პროცესებისა (კლასების ფორმირება) და პოლიტიკური განვითარების (სახელმწიფოს გაჩენა) გასაგებად. მაგრამ აღნიშნული საკითხების გააზრებაში არსებობს მარქსიზმის კლასიკოსების უფრო კონკრეტული პოზიცია, რაც გამოხატულია მათ შრომებში. აქედან აღსანიშნავია მარქსისა და ენგელსის კონცეფცია წარმოების აზიური წესის შესახებ, რომლის თანახმადაც აღმოსავლეთში კლასებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება სულ სხვანაირად მიმდინარეობდა. სახელდობრ, ეკონომიკური ევოლუციის განსაზღვრულ საფეხურზე მოხდა შრომის დანაწილება უშუალო ფიზიკურ შრომაში დასაქმებულთა და მმართველობაში დასაქმებულთა შორის. ამ დროს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მიწაზე საერთო (სათემო ფორმით) საკუთრებას, სახელმწიფო განვითარდა ძირითადად საზოგადოებისათვის საჭირო მოთხოვნილებათა შესრულების საფუძველზე. წარმოქმნილი კლასობრივი სტრუქტურის გაცხადებისათვის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ვ. ლენინის მიერ კლასების განსაზღვრება: „კლასები ეწოდება ადამიანთა დიდ ჯგუფებს, რომლებიც განსხვავდებიან მათი ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მათი (მეტწილად კანონებში განმტკიცებული და გაფორმებული) დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი, მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, და, მაშასადამე, საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ წილის მიღების წესით და სიდიდით, რომელიც მათ ხელთ აქვთ. კლასები, ეს ადამიანთა ისეთი ჯგუფებია, რომელთაგან ერთს შეუძლია მითვისოს მეორის შრომა, საზოგადოებრივი მეურნეობის განსაზღვრულ წყობაში მათი ადგილის განსხვავების მეხებით“.[8]

რაგორც ვხედავთ, ვ. ლენინი იძლეოდა კლასების (როგორც გაბა-

---

8 ვ. ლენინი, თხზულებანი, მეოთხე გამოცემა, ტ. 29, გვ. 491.

ტოხებული, ისე ექსპლოატირებული ძველ რიგ ხიძხებს, ბოლო განსაზღვრებას იწყებდა „ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში“ და აჯამებდა ერთი კლასის მიერ მეორე კლასის შრომის მითვისების ნიშნით. ძველი საქართველოს პირობებში სათანადო მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სწორედ აზიური წარმოების წესის კონცეფცია და არა ის, რომელიც მოცემულია ენგელსის ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“.

აი, ასეთი იყო ის მეთოდოლოგიური ხასიათის სიძნელეები, რომლებიც ს. ჯანაშიას წინაშე დადგა საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხების განხილვისას.[9]

ს. ჯანაშიას კონცეფციის შემუშავება დაიწყო, როგორც აღვნიშნავდით, 1932 წლიდან, როდესაც მან გამოაქვეყნა ნაშრომი „გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში“. ამ ნაშრომში გვაროვნული წყობილების გაგება დაფუძნებულია ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობაზე“. ნაშრომის დახასიათებისას ჩვენ აქ მხოლოდ გვიანი პირველყოფილობის გააზრებაზე შევჩერდებით. ეკონომიკური შინაარსით ეს ხანა ისეევა წარმოდგენილი, როგორც ენგელსის ნაშრომში, რომელიც გადმოსცემს ბერძნულ-რომაული სამყაროს შესაბამისი ეპოქის სიტუაციას. გვეჩვენება, რომ ავტორს გაზვიადებულად წარმოედგინა მონობის როლი ამ პერიოდისათვის. მაგრამ საგულისხმოა ავტორის დასკვნა: „ეს პროცესი აქ მხოლოდ ძალიან ზოგადად და სქემატურადაა მოხაზული უადგილობის გამო. ჩვენთვის ეს აუცილებელი იყო იმისათვის, რათა ცოტათი თუ ბევრად გავრკვეულიყავით ქართველ ტომთა განვითარების სათანადო ხანაში. როგორ ხდება ქართველ ტომების გადასვლა გვარონულ წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაში, ამის შესახებ არავითარი წერილობითი ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება. ამიტომ ამ გადასვლის ფორმის შესახებ მთლიანი წარმოდგენის შექმნა ჯერჯერობით შეუძლებელია. მაგრამ სხვადასხვა ხასიათის ისტორიულ წყაროების ფრაგმენტულ ჩვენებებზე დაყრდნობით ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ, რამდენადაც ეს

9 ს. ჯანაშიას აღნიშნულ შეხედულებათა განსილვა იხ. ნაშრომებში: ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, მიმომხილველი, ტ. III, 1953; გ. მელიქიშვილი, ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი, „მაცნე“, 1966, N 1.

შესაძლებელია ამჟამად, უფრო ზედმიწევნით დავათარიღოთ ქართველ ტომების წინაკლასობრივ საზოგადოებიდან კლასობრივში გადასვლის ხანა და ამ გადასვლის შესაძლებელ გზებზედაც მივუთითოთ ზოგადად".[10]

აქ მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ ამ პერიოდში ს. ჯანაშია ფრთხილად ეკიდებოდა ენგელსის შრომაში მოცემული გვაროვნული ორგანიზაციის დაშლის სურათის უნივერსალიზაციის საკითხს და გრძნობდა ამ პრობლემის კონკრეტულ ვითარებაში წარმოდგენის საჭიროებას. აღსანიშნავია აგრეთვე ავტორის მიერ ხაზგასმა იმისა, რომ გასათვალისწინებელია ერთი ფორმაციიდან მეორეში გარდამავალი პერიოდებიც,[11] რაც ავტორის მიერ გამოყენებულ იქნა კონკრეტული შემთხვევისათვის, კერძოდ ჩვენში გვაროვნული ორგანიზაციიდან კლასობრივ წყობილებაზე გადასვლისათვის.

ამავე 1932 წელსაა დაწერილი ს. ჯანაშიას ნაშრომი „ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში" დასაწყისში მოტანილია ლენინის ციტატა, რომ ადამიანთა მიერ ადამიანების ექსპლოატაციის პირველი ფორმა, სოციალურ კლასებად დაყოფის პირველი ფორმა მონობაა, იქვე აღნიშნულია: „მაგრამ განჯითარების ადგილობრივი, სპეციფიკური პირობების წყალობით მონობა ზოგან სამონათმფლობელო საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციის სახეს იღებს, როგორც, მაგ., რომსა და საბერძნეთში, „რომელნიც მთლიანად მონობაზე იყვნენ დამყარებულნი" (ლენინი), სხვაგან კი იგი ადრევე ფეოდალიზმში გადადის. რამდენადაც დღეს-დღეობით ამის თქმის უფლება გვაქვს, საქართველოში მეორე მოვლენას ჰქონდა ადგილი. მიუხედავად მონობის განსაკუთრებული მნიშვნელობისა ქართველ ტომთა უძველეს ისტორიაში, არ ჩანს, რომ იგი აქ მთლიანად ფორმაციად ჩამოყალიბებულიყოს. გვაროვნულ წყობილებას აქ ფეოდალიზმი სცვლის".[12] მეცნიერების დღევანდელი დონის თვალსაზრისით ეს ციტატა დაზუსტებას საჭიროებს: ფეოდალიზმი სხვაგანაც და ჩვენთანაც ვითარდება არა პირველყოფილი, გვაროვნული საზოგადოებიდან, არამედ

10 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 115

11 იქვე, გვ. 107.

12 იქვე, გვ. 131.

— ე. წ. ადრეკლასობრივი საზოგადოების წიაღში. მაგრამ ძირითადში ს. ჯანაშიას ეს აზრი, რა თქმა უნდა, სწორია.

ძალზე საგულისხმოა აგრეთვე ნაშრომის „ადრეული ფეოდალიზმი (ქართველ ტომებში)“ დასკვნა: „ყოველივე თქმულის ნიადაგზე გასაგები უნდა გახდეს სტრაბონისეული იბერიის საზოგადოების ხასიათი. ეს არის ყარდამაული ტიპის საზოგადოება იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ გარკვეული და ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის სახე არ მიუღია. აქ წარმოების სხვადასხვა წესები (იგულისხმება წყობები — გ. ყ) ებრძვიან ერთმანეთს. თავდაპირველმა დიფერენციაციამ მოგვცა გაბატონებული ჯგუფი ქურუმებისა, რომელსაც მონათმფლობელთა კლასს ეკუთვნიან და რომელთა პოლიტიკური ბატონობის ფორმაც თეოკრატიის ხასიათს ატარებს. მაგრამ წარმოების მონათმფლობელურ წესს,[13] რომელიც წარმოადგენდა ქურუმთა ბატონობის საფუძველს, არასოდეს არ მიუღია, როგორც ჩანს, ქართველ ტომებში ისეთი ფართო ხასიათი, რომ ის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკველი გამხდარიყო“.[14] უფრო კონკრეტულად კი, ავტორის მიხედვით, ეს წყობებია: მონათმფლობელური, ფეოდალური, თავისუფალი სასოფლო თემებისა და გვაროვნული თემებისა, რომლებშიც წამყვანი იყო ფეოდალური (აქედან პერიოდის ავტორისეული სახელწოდება „ადრეული ფეოდალიზმი“).

როგორც ვხედავთ, ს. ჯანაშიასათვისაც ძველ საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის გააზრებაში ძირითადი ამოსავალი იყო სტრაბონის მიერ აღწერილი იბერიის სოციალური სტრუქტურა. ავტორის აზრით, ეს საზოგადოება იდგა არა თუნდაც გვაროვნული წყობილების გვიანდელ ფაზაზე, არამედ კლასობრივი განვითარების საფეხურზე. თუ *γένος*-ს ივანე ჯავახიშვილი ეთ-

---

13 „მონათმფლობელურ წესშიც,“ რასაკვირველია, შესაბამისი წყობა იგულისხმება.

14 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ 17-ე. მიუხედავად ამ პერიოდის ქართული საზოგადოების პეტეროგენული ხასიათის აღიარების სისწორისა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ეს საზოგადოება მთლად ამორფული არ ყოფილა, რომ მას სახეს აძლევდა გარკვეული წყობა, სახელდობრ სასოფლო თემების ამდენად, კიდევ უფრო მეტ დაკონკრეტებას საჭიროებს ამ ტიპის „გარდამაული“ საზოგადოების სახის ჩვენება.

ნოგრაფიული მნიშვნელობის ცნებად იგებდა, ს. ჯანაშიას მიერ იგი გაიაზრებოდა ფართო მნიშვნელობით, ლოგიკური გვარის აზრით (ოთხნაირი, ოთხგვარი). მაგრამ სიძნელეები ამით საბოლოოდ მაინც არ მოიხსნებოდა. ჯერ ერთი, პირველი *γένος*-ი აშკარაა ეთნოგრაფიულ გვართან უფრო ახლოს დგას, ვიდრე სოციალურ ფენასთან. მეორეც, სტრაბონისეულ ცნობაში ხომ ნახსენებია „*συγγένεια*“, რომლის თარგმნა ქართული „ნათესაობით“ საქმეს მაინც ვერ შველის. ისმის კითხვა: რა იგულისხმება ამ ნათესაობაში? იქნებ უფრო უპრიანი იყოს „გვარად“ თარგმნა, როგორც ამას ივანე ჯავახიშვილი აკეთებდა?[15] ს. ჯანაშია სტრაბონის ცნობის ამ ადგილს უკავშირებდა მხოლოდ მეოთხე გენოსს. მაგრამ კონტექსტიდან ჩანს, რომ სიტყვები „*κοιναὶ δ' εἰσὶν αὐτοῖς αἱ κτησεις κατὰ συγγένειαν*“ ეხება მთელს საზოგადოებას და არა მხოლოდ მეოთხე „გენოსს“. თანაც, თუ ს. ჯანაშიასთან ერთად დავუშვებთ, რომ ეს ფენა შედგებოდა დაპყრობილ-გადმოსახლებული მოსახლეობისაგან, რომელმაც შეინარჩუნა გვაროვნული წყობილება, მაშინ საკითხავია, რატომ არ უნდა ვიგულისხმოთ იგივე ქვეყნის დანარჩენი საზოგადოების მიმართ?

მაგრამ აღნიშნული არაა ყველაზე დიდი სიძნელე, რასაც ს. ჯანაშია წააწყდა. უფრო დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ის, რომ სტრაბონისეულ აღწერილობაში არა გვაქვს საფუძველი დავინახოთ სოციალური კლასები ჩვენში საყოველთაოდ გავრცელებული მნიშვნელობით, ე. ი. როგორც ისეთი დიდი სოციალური ჯგუფები, რომელთაგან ერთი ფლობს წარმოების საშუალებებს, იმ პირობებში ძირითადად მიწას, ხოლო მეორე კი მოკლებულია მათ. ამ სიძნელეს მიუთითებდა ივ. ჯავახიშვილიც, რომლის თანახმადაც ძვ. წ. I საუკუნის იბერიაში (ქართლში) მიწაზე კერძო საკუთრება ჯერჯერობით არ არსებობდა. თუ აღნიშნული პოზიციიდან გამოვალთ, გაბატონებულ კლასად უნდა ჩავთვალოთ პირველი გენოსი, სამეფო საგვარეულო, რომლის მიწებზედაც ისხდა მეოთხე გენოსი. ასეთ ექსპლოატატორულ ურთიერთობაზე მიუთითებდა ივ. ჯავახიშვილიც. მაგრამ როგორ გავიაზროთ

15 ჩვენი აზრით, *συγγένεια*-ში იგულისხმება დიდი ოჯახი. იხ. ჩვენი სტატია „კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ძველ საქართველოში“, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1974, N 3.

იმდროინდელი იბერიის საზოგადოების რამდენადმე დასრულებული კლასობრივი სტრუქტურა? ამ მხრივ მესამე „გენოსი“ ხომ უკეთეს შემთხვევაში წერილ მეთემე გლეხთაგან შედგებოდა,[16] რის გამოც ამ წრეშიც საკუთრების კონცენტრაცია, მონობის ფართოდ გავრცელება გამოირიცხებოდა. ასევე ძალიან მერყევი საფუძველი გვაქვს მეორე „გენოსი“ (ქურუმებისა) მონათმფლობელთა კლასად გამოვაცხადოთ, რომელნიც თავიანთ სატაძრო მეურნეობებში მონურ შრომას (?) იყენებდნენ. მაშ სად უნდა ვეძებოთ მონათმფლობელთა კლასის არსებობა? ს. ჯანაშია სავსებით სწორი იყო, რომ მეოთხე „გენოსი“ მის მიერ განიხილებოდა, ყოველ შემთხვევაში, როგორც არამონები – ადამიანები, რომელნიც ფლობენ გარკვეულ წარმოებისა და საარსებო საშუალებებს (შრომის იარაღები, საქონელი, სამეურნეო ნაგებობანი, საცხოვრებელი და ა. შ.), აქვთ ოჯახი, სარგებლობენ გარკვეული სოციალური უფლებებით და სხვ. ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ჩავთვლით მონებად იმათ, რომელთა ეკონომიკური, სოციალური და ურიდიული სტატუსები საყოველთაოდ ცნობილია.[17]

ს. ჯანაშიას მიხედვით, ამ პერიოდში ჩვენს წინაპრებში მონები მნიშვნელოვან ფენას შეადგენდნენ, რომელთა მოუხსენიებლობა სტრაბონის მიერ თითქოს ნაკლია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეკონომიკის განსაზღვრული დონე, შესაბამისად, საკუთრების მაღალი განვითარება, მისი კონცენტრაცია საფუძველს წარმოადგენდნენ მონობის სოციალური ინსტიტუტის შედარებით ფართოდ გავრცელებისათვის. ამის საფუძველს კი იმდროინდელ იბერიაში ჩვენ ვერ ვხედავთ. ეს აღნიშნული ჰქონდა ჯერ კიდევ ნ. ბერძენიშვილს, რომელიც ს. ჯანაშიას მისამართით შენიშნავდა: „განა სერიოზულად შეიძლება მსჯელობა წერილი ერის, როგორც „იმდროინდელ მონურ შრომის ექსპლოატატორთა უმრავლესობის“ შესახებ? მონები, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ჰყოლოდათ წერილებსაც და მსხვილებსაც (და ჰყავდათ კიდევაც), მაგრამ აქ საკითხი არა თითო-ოროლა მონის ყოლაშია (ასეთი

---

16 თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული შეხედულების თანახმად ეს ფენა ცხოვრობდა სასოფლო თემებად.

17 მიუხედავად ამისა, საბჭოთა მეცნიერებაში რიგი მკვლევარებისა (მ. კოროსტოვცევი, ი. დიაკონოვი, ვ. ნიკიფოროვი და სხვ.) ექსპლოატაციის აღნიშნულ ფორმას – „ჰილოტიას“ მონობად განიხილავს.

რამ შემდეგაც, ფეოდალური ურთიერთობის მთელს სიგრძეზე გვხვდება ჩვენ), არამედ იმაში, იყო თუ არა ამ დროს იბერიაში მონათმფლობელური წარმოების წესის გამამართლებელი პირობები და არსებობდა თუ არა ისეთი სოციალური კლასი, რომელიც ამ წარმოების წესს ემყარებოდა. არა გვგონია ვინმემ უკანასკნელი კითხვის საპასუხოდ წერილი ერი დაასახელოს... ვინღა დარჩა?".[18]

რამდენადაც შესაბამისი მეთოდოლოგიური პოზიციიდან მიღგომისას ძველ ქართლში, მით უმეტეს კოლხეთში, საისტორიო წყაროებით არ ჩანდა კლასობრივი საზოგადოება, ს. ჯანაშია იძულებული იყო ეს ვაკუუმი ლოგიკური კონსტრუქციებით შეევსო, რომელთაც საისტორიო წყაროები, ფაქტები არ ადასტურებენ. ავტორის ასეთი ცდის საპასუხოდ კვლავ ნ. ბერძენიშვილს მოვიხმობთ: „კიდევ ერთი ნაკლის შესახებ. ავტორს მეცნიერული შემოქმედების ძალა (ანალიზი, სინთეზი) ჭარბად მოსდევს. ამავე დროს გამართული ისტორიული სურათის აღდგენის ჭარბი სურვილი აქვს. დაჟინებით ცდილობს ყველაფერი ნათელყოს და აუცილებელ ცნობათა მეტისმეტ სიმცირის პირობებშიაც კი (რასაც არაერთხელ უჩივის) მსჯელობათა რიგით სასურველ ისტორიულ სურათს დაწვრილებით აღადგენს. ვფიქრობთ, შრომას ნაკლად არ ჩაეთვლებოდა, თუ შედარებით „უნიათო" პასუხების მაგივრად ზოგიერთი კითხვა ჯერჯერობით უპასუხოდ დარჩებოდა. მკვლევარისათვის ის თუა საძრახისი, რომ ცნობა სისრულით ვერ შეაფასოს (ამაში ჩვენი ავტორი უნაკლოა), არც ისაა სანაქებო, რომ ცნობაში მეტი დაინახოს, ვიდრე მასშია საგულისხმებელი".[19]

აქ არ შევუდგებით ავტორის აპრიორული ლოგიკური კონსტრუქციების კრიტიკას — ბევრი მათგანი გაკრიტიკებულ იქნა ნ. ბერძენიშვილისა და გ. მელიქიშვილის მიერ. კიდევ ერთხელ მივუთითებთ ს. ჯანაშიას ასეთი ცდების „საზრისს" — შეევსო საისტორიო წყაროების სიმცირე და სიჩუმე ძველ ქართლსა და კოლხეთში კერძო საკუთრებაზე დამყარებული კლასობრივი საზოგადოების დასანახავად. ვიმეორებთ, თუ სტრაბონის ამ ცნობას შეეხედათ ე. წ. წარმოების აზი-

---

18 ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, „მნათობი", ტ. III, გვ 303.

19 იქვე, გვ 292.

ური წესის კონცეფციით, მაშინ ბევრი რამ ცხადი შეიქმნება. ჩვენს წინაპრებში მიწაზე კერძო საკუთრების განუვითარებლობის მიუხედავად, ამ პერიოდში მაინც ადგილი ჰქონდა კლასობრივი საზოგადოების არსებობას; საზოგადოებაში არსებობდნენ ზედა ფენები, რომელნიც მართვის (პოლიტიკა, სამხედრო საქმე, მართლმსაჯულება, რელიგიური კულტი) ფუნქციებს ასრულებდნენ, ეს ფუნქციონერები იღებდნენ მეტ შემოსავალს, სარგებლობდნენ მეტი პრივილეგიებითა და ა. შ., ვიდრე დაჩაგრული, ექსპლოატირებული ფენები – მეთემე გლეხობა, ხელოსნები.

ახლა ძველ ქართლსა და კოლხეთში სახელმწიფოს არსებობის შესახებ.

სახელმწიფოს გაგების საკითხში ს. ჯანაშია გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ ეს ინსტიტუტი ყოველგვარ ისტორიულ სიტუაციაში გაბატონებული მესაკუთრე კლასის ორგანოა დაჩაგრული კლასის წინააღმდეგ, რომ იგი შედეგია კლასობრივი ბრძოლისა. ამ წარმოდგენის თანახმად, სახელმწიფო წარმოიშვა საზოგადოების კლასებად დაყოფის შედეგად; ამის საფუძველზე, როცა გამოდიოდა ასეთი თეორიული მოსაზრებიდან, ს. ჯანაშია დაასკვნიდა, რომ ძველი ქართული სახელმწიფოები (პოლიტიკური ხელისუფლება) წარმოადგენდა გაბატონებულ ქურუმთა კლასის ორგანოს. შევნიშნავთ, რომ ძველ ქართლში სახელმწიფოს არსებობა-არარსებობის საკითხში სტრაბონის ცნობა კიდევ უფრო ღარიბია, ვინემ – ამ ქვეყანაში არსებული სოციალური სტრუქტურის შესახებ. ამიტომაც ს. ჯანაშია იძულებული იყო არსებული ხარვეზები საკუთარი მოსაზრებებით შეევსო, რის გამოც მას, როგორც უკვე მივუთითებდით, სამართლიანად უსაყვედურებდა ნ. ბერძენიშვილი. ერთ-ერთი ასეთი აპრიორული მოსაზრებათაგანი იყო მტკიცება ძველ ქართლში თეოკრატიული მმართველობის ფორმის არსებობის შესახებ. საისტორიო წყაროები ამ დასკვნის საშუალებას არ იძლევიან, პირიქით, ისინი უფრო საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. ამიტომაც, თუ ნ. ბერძენიშვილი ასეთ მტკიცებას დასაშვებად თვლიდა ჰიპოთეზის სახით, ჩვენი აზრით, ამისათვის საფუძველი არ არსებობს. ს. ჯანაშიას მოსაზრება მხოლოდ იმას ეფუძნებოდა, რომ, რაკი ძველ ქართლში გაბატონებულ კლასს ქურუმები შეადგენდნენ აქედან სახელმწიფოებრივი უფრო თეოკრატია უნდა ყოფილიყო.

მაგრამ, ვიმეორებთ, ფაქტები სულაც არ ადასტურებენ ამას. ასევე აპრიორულად მოჩანს ავტორის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც თეოკრატია ქართლში შეიცვალა სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმით, ხოლო ეს უკანასკნელი — მმართველობის დესპოტური ფორმით („ადრეული ფეოდალიზმის" ბოლო საუკუნეებში).

მხოლოდ სტრაბონის ცნობებზე დაყრდნობით ქართლში სახელმწიფოს არსებობის დასაბუთება შეუძლებელია. მართლაცდა, როგორი ნიშან-თვისებებით ხასიათდება სახელმწიფო (პოლიტიკური ხელისუფლების აზრით). როგორც ცნობილია, ეს ნიშან-თვისებები გახლავთ: 1. მოსახლეობის დაყოფა ტერიტორიის მიხედვით, ნაცვლად გვაროვნული წყობილების ეპოქაში სისხლით-ნათესაობითი ჯგუფების — გვარების მიხედვით დაყოფისა; 2. საჯარო ხელისუფლების არსებობა — მემკვიდრეობითი თანამდებობა, ბიუროკრატია, საზოგადოებისაგან გამოყოფილი ჯარი, პოლიცია და ა. შ., ნივთიერი დანამატებით და 3. საჯარო ხელისუფლების ფუნქციონირებისათვის გადასახადების აკრეფა. სტრაბონთან ჩანს მხოლოდ მემკვიდრეობითი ხელისუფლება მეფისა და „მეორე პირის" — მხედართმთავრისა და მსაჯულის სახელო, ისიც პირველი არსებობდა მხოლოდ საწყისი ფორმით, ერთი გვარის შიგნით და არა ერთი საგვარეულოს ფარგლებში. ამ მხრივ „ქართლის ცხოვრების" ძველი საისტორიო ტრადიცია მნიშვნელოვნად ავსებს სტრაბონისეულ ცნობებს, იგივე ითქმის შემდგომი ხანის არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული აღმოჩენების შესახებაც. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ ძველ საქართველოში 30-იანი წლების პირველ ნახევარში სახელმწიფოს არსებობის თაობაზე რაიმე გარკვეულის თქმა არ შეიძლებოდა.

ს. ჯანაშიას აზრებმა ძველი საქართველოს სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ საკმაოდ თვალსაჩინო ცვლილებები განიცადეს. ამაში თავი იჩინა საბჭოთა კავშირში წინაკაპიტალისტურ ფორმაციებზე დისკუსიების შეწყვეტამ, მონათმფლობელობის უნივერსალურ, მსოფლიო ფორმაციად გამოცხადებამ. ს. ჯანაშია ამიერიდან უკვე აღიარებდა ძველ საქართველოში მონათმფლობელური წარმოების წესის, შესაბამისად ფორმაციის არსებობას. უკვე 1937 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე" ჩვენ არაერთგზის გვხვდება ავტორის აზრი ჩვენში მონათმფლობელობის გაბატონებული მდგომარეობის

შესახებ. მაგალითად, „როცა ჩნდება მონათმფლობელური სახელმწიფო, ეს უკანასკნელი, საფიქრებელია, ცდილობს მეფის კორპორაციული საკუთრებით (სეფე-სახლის საკუთრებით) დაჰფაროს ცალკე თემთა საკუთრება“;[20] „...რაკი, მეორე მხრივ, განვითარების კლასობრივი პერიოდის დამდეგს ქართველ ტომებში გაბატონებულად ჩვენ მონათმფლობელური ურთიერთობა მიგიჩნიეთ“;[21] „სოციალური დიფერენციაციის მონათმფლობელურ ხასიათთან დაკავშირებით საადგილმამულო კერძო საკუთრებაც სპეციფიკურ სახეს იღებს – სასეფო და სატაძრო „თანაზიარი“ კერძო საკუთრების სახით. მონათმფლობელური საზოგადოებრივი ურთიერთობების გაბატონება სასეფო და სატაძრო, – აღნიშნული ხასიათის, – მემამულეობის გაბატონებულ, წამყვან ფორმად გადაქცევას მოასწავებდა“;[22] ავტორი საკმაოდ ვრცლად ლაპარაკობდა კ. მარქსის შეხედულებაზე საკუთრების ანტიკურ ფორმაზე („გერმანული იდეოლოგიიდან“), საიდანაც შემდგომში საკუთრივ ანტიკურ, ბერძნულ-რომაულ სამყაროში განვითარდა მონათმფლობელური საადგილმამულო საკუთრება როგორც გაბატონებული ტიპი. ეს შეხედულება ს. ჯანაშიას გადმოჰქონდა ძველ ქართლში. ძველი კოლხეთის შესახებ კი ავტორი (მართალია მოგვიანებით, 1943 წელს) ასე მსჯელობდა: „ძველი კოლხეთის სამეფო, რამდენადაც არსებული მწირი ცნობები მსჯელობის საშუალებას იძლევა, მონათმფლობელური სახელმწიფოა, თოკრატიის ელფერგადაკრული, იბერიის მსგავსად“.[23]

1939–40 წლებში პირველად გამოქვეყნდა კ. მარქსის ნაშრომი „კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები“ (მოსკოვში, ჯერ გერმანულად, შემდეგ რუსულად). ობიექტურად განწყობილი მკვლევარისათვის ყველაფერი ნათელია იმის თაობაზე, თუ რა ადგილი მიაკუთვნა მარქსმა წარმოების აზიურ წესს საზოგადოების (კაცობრიობის) ისტორიის მსვლელობაში. მაგრამ ეს ნაშრომი მკვლევართა დიდი უმრავლესობის ყურადღების გარეშე დარჩა. ეს ითქმის

---

20 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ 280.
21 იქვე, გვ 281.
22 იქვე, გვ282.
23 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ 20.

ს. ჯანაშიას მისამართითაც. მცხეთის არქეოლოგიური გათხრების დაწყებამ დიდი სტიმული მისცა ავტორს ძველ საქართველოში მონათმფლობელური ფორმაციის არსებობის მტკიცებისათვის.[24]

„საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოში, რომლის შესაბამისი ნაწილის ავტორი ს. ჯანაშია იყო, უკვე ადგილი აღარ დარჩა რაიმე მრავალწყობიანი ან გარდამავალი ტიპის საზოგადოებისათვის. აქ მონობის ინსტიტუტის ჩასახვა-განვითარება ისეაა გადმოცემული, როგორც საკუთრივ ანტიკურ სამყაროში, ე. ი. მონათმფლობელობა გამოცხადებულია ჩვენი წინაპრების შესაბამისი ეპოქის წარმოების საფუძვლად. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მცხეთაში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს, ადვილად დავასკვნით, რომ ძველ ქართლში მონათმფლობელური წარმოების წესის მტკიცებისათვის ამ მასალებს რაიმე სერიოზული არგუმენტი არ მოუტანია.[25]

---

24 1938 წელს ს. ჯანაშიამ გამოაქვეყნა პასუხი ს. კაკაბაძისადმი „По поводу одного „похода" С.Н. Какабадзе", იხ. ენიმკის მოამბე, 1938, IV. ავტორი კლავ აღიარებდა მონობის ეკონომიკური წყობის სახით არსებობას ძველ საქართველოში. „Наш взгляд заключается в том, что мы, для определенного периода истории Грузии, устанавливаем рабовладельческий уклад, не имевший тут возможности развиться до вполне законченной (в смысле греко-римской) формы и сосуществовавший, в различных видах взаимоотношений, с другими укладами" (გვ. 168), რომ ეს საზოგადოება გარდამავალი ტიპისა იყო (გვ. 169). მაგრამ ამ მტკიცებებთან ერთად აქვე მოტანილია ისეთი აღგილებიც: „Господствующая каста (сословие) жрецов в классовом смысле принадлежала к рабовладельческому классу" (გვ. 173); „...класс рабов, несомненно существовавший в Иберии данной эпохи" (გვ. 178). ვფიქრობთ, რომ მონათმფლობელთა და მონათა კლასების არსებობის მტკიცება მონათმფლობელური წყობის პირობებში არ უნდა იყოს სწორი. სხვათა შორის, საინტერესო იქნებოდა ავტორის ს. კაკაბაძესთან პოლემიკის გულდასმით თვალის გაცნობა შესაბამისი ფაქტების გათვალისწინებით.

25 გ. მელიქიშვილი სამართლიანად წერს: „ჩვეულებრივ, განსჯნებული მკვლევარის თვალსაზრისს ჩვენ ერთი მთლიანის სახით წარმოვიდგენთ და ნაკლებ ვაქცევთ ყურადღებას იმას, თუ როგორ ვითარდებოდა და მუშავდებოდა იგი თანდათან, ან რა ცვლილებები განიცადა მან დროთა განმავლობაში". იხ. ავტორის „ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი", „მაცნე", 1966, N 1, გვ. 54. ამის გამოა, რომ ს. ჯანაშია წარმოუდგენიათ

ასეთი იყო მოკლედ ს. ჯანაშიას პოზიცია ძველ საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში.[26]

* * *

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას მეცნიერული შემოქმედების ის ასპექტი, რომელიც საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობას ეხება. ჯერ გავაანალიზეთ აღნიშნულ ავტორთა წყაროთმცოდნეობითი ბაზა მოცემული საკითხების კვლევა-ძიებაში. ისინი იფარგლებოდნენ ბერძენ-რომაელი ავტორების ცნობებით ძველი საქართველოს სოციალური და პოლიტიკური წყობილების შესახებ, ჰიპერკრიტიკულად უდგებოდნენ რა „ქართლის ცხოვრების" ძველ საისტორიო ტრადიციას. ამან თვალსაჩინო უარყოფითი დაღი დაასვა მათს ნააზრევს ამ საკითხების შესახებ. მაგრამ ასეთი პოზიცია „ქართლის ცხოვრების" ტრადიციისადმი (მოცემული პრობლემების გაგებაში) აიხსნება ჩვენი ისტორიის არქეოლოგიური შეუსწავლელობით, სხვა დამხმარე საისტორიო დისციპლინების განუვითარებლობით.

რაც შეეხება მეთოდოლოგიურ საფუძველს, ივ. ჯავახიშვილი გამოდიოდა XIX საუკუნის I ნახევარში შექმნილი გვაროვნული „თეორიიდან", რომელმაც დასრულებული სახე მიიღო გერმანელი სახელმ

ძველი საქართველოს სოციალური წყობილების შესახებ ორი სხვადასხვანაირი კონცეფციის ავტორად. მაგალითად, შ. მესხია, ნ. ლომოური, ო. ლორთქიფანიძე ერთობლივ სტატიაში „К вопросу о происхождении государства и существовании рабовладельческой формации в Грузии", („Вопросы истории", 1957, N 7) ს. ჯანაშიას მიაწერდნენ ჩვენში მონათმფლობელური წყობილების არსებობის კონცეფციის ავტორობას, ხოლო ნ. ლომოური აშკარად ს. ჯანაშიას მიიჩნევს მხოლოდ მრავალწყობიანობის თეზისთვის მიმხრობად. იხ. მისი „წიგნი პრინციპული ხასიათის შეცდომებით", ჟურნ. „მნათობი", 1970, №10.

26 სტატიაში „უმეცრება თუ შეგნებული მავნებლობა?" გაზ. „კომუნისტი", 1936 წ., 15 აპრილი, გ. სოსელია ს. ჯანაშიას (სასკოლო შორის, ივ. ჯავახიშვილსაც) მიაწერდა დაყრობის გზით სახელმწიფოს წარმოშობის მტკიცებას. ალბათ ამის საფუძველს გ. სოსელია ხედავდა იმაში, რომ ს. ჯანაშია ამტკიცებდა IV „ეგნოსის" წარმოშობას მოსახლეობის დაყრობა-ყრის გზით

ყოფილ-ბაბილონელთა ე. წ. ქალდეველების სელექციელებათა შესახებ. ივ. ჯავახიშვილისათვის გვაროვნული წყობილება ამავე დროს სახელმწიფოებრიობის შემცველიც იყო. მის მიერ სტრაბონის ხანის იბერიაში (ქართლში) გვაროვნული წყობილების მტკიცება სულაც არ ნიშნავდა ქვეყნის პრიმიტიული სოციალური წყობილების აღიარებას — ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ეს საზოგადოება რამდენადმე დიფერენცირებული იყო სოციალური თვალსაზრისით, სწორედ ისევე, როგორც ამას ეგულისხმობთ ე. წ. ადრეკლასობრივი საზოგადოების არსებობის პირობებში. ამავე დროს ამ პერიოდის სახელმწიფო სისხლით-ნათესაობაზე დამყარებული გვაროვნული ჯგუფების გარდა ეფუძნებოდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დანაწილებასაც. ამდენად, ძველ ქართლში სახელმწიფოს არსებობის პრობლემა დასმულ და ასე თუ ისე გადაწყვეტილ იქნა ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილის მიერ. მეორეს მხრივ, გვაროვნული და პოლიტიკური წყობილების თანხედენის მტკიცება ივ. ჯავახიშვილის სუსტი პოზიცია იყო, რაზედაც ჯერ კიდევ არჩ. ჯორჯაძე მიუთითებდა.

სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში 1904 წელს შექმნილი კონცეფცია ივ. ჯავახიშვილს აღარ შეუცვლია.

მეთოდოლოგიური ხასიათის სიძნელეებმა თავი იჩინა აგრეთვე ს. ჯანაშიას შემოქმედებაში. სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს ძველ საქართველოში იგი მიუდგა საკუთრივ ანტიკური, ბერძნულ-რომაული სამყაროს ისტორიის პოზიციებიდან, სახელდობრ, ფრ. ენგელსის ნაშრომიდან „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ 1932—33 წლებში, მიუხედავად გარკვეული სახის წინაალმდეგობებისა, იგი ქართლისა და კოლხეთის საზოგადოებებს განიხილავდა მრავალწყობიანობის პოზიციიდან (ცხადია, გამოდიოდა ვ. ლენინის შეხედულებიდან XX საუკუნის რუსეთის შესახებ), როგორც გარდამავალთ პირველყოფილი საზოგადოებიდან ფეოდალურისაკენ. ამდენად, ამ პერიოდში ს. ჯანაშია შორს იდგა ძველ საქართველოში მონათმფლობელური ფორმაციის მტკიცების თვალსაზრისისაგან. მაგრამ ამ დადებითი მომენტების პარალელურად, ს. ჯანაშიასთან უკვე ამ პერიოდში შეინიშნებოდა გაურკვევლობანი. კერძოდ, იბერიისა და კოლხეთის საზოგადოებების კლასობრივი სტრუქტურის მქონედ აღიარებისას მას გაუძნელდა მათში კლასების ჩვენება კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარების

საფუძველზე. მისთვის ასევე ძნელი გახდა ამ პერიოდში ჩვენი წინაპრების საზოგადოებებში სახელმწიფოს არსებობის დამაჯერებლად დასაბუთება. ავტორს რომ გაეზიარებინა წარმოების აზიური წესის კონცეფცია, ამ შემთხვევაში მისთვის ბევრი რამ ადვილად ასახსნელი იქნებოდა – ძველი საქართველოს კლასობრივი სოციალური სტრუქტურა გასაგები გახდებოდა შრომის სოციალური დანაწილების ბაზაზე.[27] ხოლო სახელმწიფო გაგებულ იქნებოდა უპირველესად როგორც საზოგადოების საერთო ინტერესების შემსრულებელი ორგანო.

მაგრამ შემდეგში ვ. სტრუვეს თვალსაზრისის გაბატონების გამო მთელ საბჭოთა კავშირში ს. ჯანაშიას მიდგომა ძველ საქართველოში არსებული სოციალური სტრუქტურის გაგებაში თვალსაჩინოდ შეიცვალა მონათმფლობელური ფორმაციის ალიარებით. საამისო საფუძველს ს. ჯანაშია ხედავდა მცხეთის არქეოლოგიურ გათხრებში. მაგრამ მიგვაჩნია, რომ თუმცა არქეოლოგიურმა გათხრებმა საკმაო ძერები წარმოშვა წყაროთმცოდნეობით ბაზაში, შესაბამისად – ახალი ფაქტების გამომზეურებაში (კერძოდ, დაისვა საკითხი „ქართლის ცხოვრების“ ძველი საისტორიო ტრადიციის საკმაოდ რაციონალურ მარცვალზე), მაგრამ მათ რაიმე მნიშვნელოვანი არგუმენტები არ მოუტანიათ ძველ საქართველოში მონათმფლობელური სოციალ-ეკონომიკური ფორმაციის არსებობის დასასაბუთებლად.

1980 წ.

27 სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ს. ჯანაშია შეეცადა საკითხის ამგვარი მიდგომით გაშუქებას, რაც ოპონენტების მხრივ რეაქციონიზმად იქნა გამოცხადებული.

საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი

„ისტორიას, რომელიც ზუსტი მეცნიერება არ გახლავთ, თითოეული საკუთარი ინტერესების შესაბამისად განმარტავს. ვფიქრობთ, რომ ახალი აზროვნება ამ საკითხშიც უნდა გამოვლინდეს“.

ედუარდ შევარდნაძის სიტყვიდან გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე 1999 წლის 20 სექტემბერს.

(გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 21IX.1999).

§1 საკითხის ისტორიოგრაფიიდან

საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხით ჯერ კიდევ ჩვენი ძველი წინაპრები დაინტერესდნენ. კერძოდ, ლეონტი მროველის (XI ს. ახ. წ.) მიხედვით, ძველ ქართლში ჯერ იყო მამასახლისობის ხანა, რომელიც IV საუკუნეში (ძვ. წ.) მეფობამ შეცვალა: ჯერ გამეფდა აზონი, ხოლო შემდეგ, აჯანყების გზით, – ფარნავაზი. ამდენად, აღნიშნული საკითხის გაშუქებისას, ჩვენი ძველი ისტორიკოსი ისტორიზმის იშვიათ ალღოს იჩენდა. ვფიქრობთ, იგი ოღონ თავისი სუბიექტური მოსაზრებიდან კი არ გამოდიოდა, არამედ ეყრდნობოდა ძველ საათანადო საისტორიო წარმოდგენას. აქ არ შეიჩერდებით იმაზე, თუ როგორ წარმოედგინა ლეონტი მროველს მამასახლისის „სახელო“ [illegible] ვიდრე ამ საკითხის ისტორიოგრაფიულ ანალიზს შეეხებით. მთავარია, რომ ავტორს მამასახლისობის ტერმინით შეეძლო უდგებოდა, როგორც მარტივიდან რთულზე, ბაალიდან სამეფოზე გადასვლას. მსგავსი წარმოდგენა, დათქმისრულია, „ისტორიის ცნობიერების“ კრებულში, ტრადიციული ვაზდა და ძმა ჩრდილოეთ ხალხების განმავლობაში იმეორებდნენ.

ჩვენი უდიდესი ისტორიკოსი და მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნულ პრობლემას თავისებურად მიუდგა. მისი შეხედულებით, სახელმწიფოს ინსტიტუტი ჩვენში „უხსოვარი“ დროიდანვე არსებობდა და იგი თანაარსებობდა გვაროვნულ წესწყობილებასთან. როგორც ცნობილია, ეს აზრი ქართველი მარქსისტების მხრიდან

დიდ წინააღმდეგობას წააწყდა; მას მიიჩნევდნენ არათუ ოდენ დიდად შეუსაბამოდ ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმთან, არამედ საკმაოდ ალოგიკურადაც. ფაქტია, რომ ივანე ჯავახიშვილი არ იცნობდა ეთნოლოგოს ლუის მორგანის გვაროვნული წყობილების თეორიას და არც მისგან გამომდინარე მარქსისტულ (ლენინიზმის გარეშე) შეხედულებებს საკითხზე.[1] სამაგიეროდ, ჩვენი უდიდესი ისტორიკოსი გამოდიოდა ცნობილი გერმანელი სახელმწიფოთმცოდნის გეორგ ელინეკის (1851–1911) შეხედულებიდან, რომლის მიხედვით გვაროვნული წყობილება და სახელმწიფო ერთმანეთთან თანაარსებობდა. მართლაც, ყოველ შემთხვევაში მომთაბარე (ნომადურ) ხალხებში, აღნიშნულ „პარადოქსს" სინამდვილეში ადგილი აქვს. მაგრამ ამის თაობაზე ფრიდრიხ ენგელსის შრომაში – „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა" – არაფერია ნათქვამი. მეტიც, ივანე ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ გვაროვნული წესწყობილება ისტორიაში რამდენიმეგზის შეიძლება განმეორებულიყო.

ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილი პიპერკრიტიკულად უდგებოდა საქართველოს ისტორიის უძველეს წერილობით წყაროებს (ამ თვალსაზრისით იგი პოზიციას იცვლიდა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, მცხეთაში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების წყალობით). მიუხედავად ამისა, ისტორიკოსი ალექსანდრე სვანიძე უტყუარად თვლიდა ძვ. წ. IV—III საუკუნეთა მიჯნაზე სახელმწიფოს არსებობის ფაქტს. სარგის კაკაბაძეც თვლიდა, რომ ფარნავაზი (პირველი) რეალური ისტორიული პიროვნება გახლდათ, ოლონდ ცხოვრობდა II საუკუნის (ძვ. წ.) შუახანს.

პრობლემა ახლებურად, ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის შუქზე, გაიაზრა სიმონ ჯანაშიამ 1930-იან წლებში. ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, იგი დაასკვნიდა, რომ გვაროვნული წყობილება და სახელმწიფო ურთიერთგამომრიცხავი მოვლენები იყო, რომ ჯერ წარმოიქმნა კლასობრივი საზოგადოება (მონათმფლობელთა და მონათა კლასების სახით), ხოლო შემდეგ – სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ორგანო ჩაგრული კლასის მორჩილებაში საყოლიებლად. დიდად საშუალოდ, სიმონ ჯანაშია ჩვენთვის საინტერესო საკითხის გაანალიზებისას ისეთი თეორიული წარმოდგენებიდან გამოდიოდა, რომ ნაძღვილი მეცნიერული დონე გამოირიცხებოდა. ხოლო როცა იგი შეეცადა

1 სხვათა შორის, მას ლ. მორგანის ნაშრომის გამოუყენებლობის გამო უკიფინებდა არჩილ ჯორჯაძე.

სახელმწიფოს წარმოშობა შრომის სოციალურ დანაწილებასთან დაეკავშირებინა (სხვათა შორის, ასევეა ფრ. ენგელსის „ანტი-დიურინგში"), ეს აზრი კომუნისტმა „თეორეტიკოსებმა" მიულებლად, „ერეტიკულად" ჩათვალეს. კონკრეტულად, სიმონ ჯანაშია თვლიდა, რომ კერძოდ სტრაბონის ხანაში (ძვ წ. I საუკუნეში) ქართლში სახელმწიფო უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული ფორმით არსებობდა. შემდგომში იგი იმ აზრამდეც კი მივიდა, რომ კოლხეთსა და იბერიაში (ქართლში) სახელმწიფოები არსებობდა უწინაც – VI–V საუკუნეებში. მანამდე კი, მისი აზრით, სახელმწიფოებრიობის ცენტრებს განასახიერებდნენ თითქოსდა ჩვენი ახლო მონათესავე ხეთები (პროტოხეთები), მითანელები, ურარტუელები და მანაელები (მანას სამეფოდან). სიმონ ჯანაშიას შეხედულებებს გამოუჩნდნენ ოპონენტები (გიორგი სოსელია და ილარიონ ტალახაძე), რომლებსაც ქართლის სახელმწიფოს არსებობა სტრაბონის ხანაში დაუჯერებლად ეჩვენებოდათ. მათ მიაჩნდათ, რომ ამ მოვლენას აღგილი ჰქონდა ბევრად უფრო გვიან (თითქმის კიევის რუსეთის გაჩენის პარალელურად).

1954 წელს ისტორიის ინსტიტუტში მოეწყო სპეციალური დისკუსია საქართველოში სახელმწიფოს წარმოქმნის თაობაზე. მთავარი მომხსენებელი გახლდათ გიორგი მელიქიშვილი. სამწუხაროდ, ამ დისკუსიას მეცნიერული თვალსაზრისით დიდი არაფერი მოუტანია. მთავარი მიღწევა იყო კვლავ დაფიქსირება იმისა, რაც მცხეთაში არქეოლოგიური აღმოჩენების კვალობაზე გააცნობიერეს გიორგი წერეთელმა, პაქლე ინგოროყვამ და სხვებმა – ფარნავაზისა და ფარნავაზიანთა დინასტიის ისტორიულობა და მაშინ სახელმწიფოს წარმოშობა (ქართლში). ამდენად, ქართლში სახელმწიფოებრიობის ისტორია თითქმის (იმ პერიოდის თვალსაზრისით) ოცდაათ საუკუნეს ითვლიდა. შემდგომში, გ. მელიქიშვილის შრომებიდან გამომდინარე, წარმოიდგინეს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეები ბევრად უფრო შორს მიდიოდა – კერძოდ, ძვ. წ. XII (დიაოხის სახით) და VIII საუკუნეებში (კოლხას[2] სახით). მაგრამ, ფაქტია, რომ სპეციალურად არავინ დაინტერესებულა, მეცნიერული (ნამდვილად!) აზრით, თუ როგორი იყო ვითარება ამ შემთხვევაში.

2 ურარტუული წარწერების მიხედვით კითხულობენ კულხა//კოლხას. მაგრამ რამდენადაც ჩვენ გვაქვს ესპობრივი ტრადიცია „კოლხეთის", „კოლხას" და ა. შ. ხმარების; ამდენად მხოლოდ „კოლხას" ხმარებას დავუჯერდებით.

§2 დღევანდელი ვარმოდგენები საკითხის შესახებ

მოგეხსენებათ, საკითხი ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის თაობაზე ბოლო წლების მანძილზე ფრიად აქტუალური გახდა და იგი დაკავშირებულია დღევანდელი ხელისუფლების ცდასთან – აღინიშნოს შესაბამისი დღესასწაული. როგორც ხშირად ხდება ხოლმე საქართველოში, რაკი ოფიციალური ხელისუფლება დაინტერესდა პრობლემით, ბევრმა მოინდომა „თავი გამოეჩინა“ ამ ასპარეზზე – მათ შორის ისეთებმაც წამოაყენეს თავი, რომლებსაც, თავიანთი ვიწრო სპეციალობიდან გამომდინარე, მასთან არაფერი არ აკავშირებს. მაშინ რაღა უნდა ვთქვათ იმ „აქტიურ“ ისტორიკოსებზე, რომელთაც ქართულ სახელმწიფოებრიობისა და მისი წარმოქმნის საკითხზე აქამდე ერთი სტრიქონიც კი არ დაუწერიათ. ერთი სიტყვით, ჩათვალეს, რომ საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი ძალზე იოლი გადასაწყვეტი ყოფილა. მაგრამ სიძნელემ თავი იჩინა სახელმწიფოებრიობის გაჩენის დროის განსაზღვრისას.

ლევან სანაიძის მიხედვით, საქართველოში (კოლხეთში) სახელმწიფოს წარმოქმნა სულ მცირე 3500 წლის წინათ მაინც მოხდა.[3] ავტორისათვის უეჭველი გახლავთ არგონავტების მითში გადმოცემული „რეალიები“ – მეფე აიეტი (მაშასადამე, სამეფოს-სახელმწიფოს არსებობა), მისი გრანდიოზული სასახლე (არქეოლოგოსებს დღემდე რომ ვერ მიუგნიათ), დედაქალაქი აია, სამეფოს ვრცელი ტერიტორიები და მისთანანი. რაკი ასე „იყო“ ტროას ომის წინარე ახლო ხანაში (ე. ი. ძვ. წ. დაახლოებით 1280–70-იან წლებში), მაშინ რატომ არ შეიძლება შესაბამისი თარიღი გადავწიოთ ორი, სამი, ოთხი და ა. შ. საუკუნის წინ!

თამაზ გამყრელიძე, ერთი მხრივ, იზიარებს სამიათასწლოვან თარიღს, მაგრამ, ამასთანავე, დასძენს: „უახლესი გათხრების მიხედვით, კოლხური სახელმწიფოებრიობის არსებობა ჩვენ უკვე ძვ. წელთაღრიცხვის მე-15 საუკუნისათვის უნდა ვიგულისხმოთ, რამდენადაც მიკენური ეპოქის ბერძნული წარწერებში (ძვ. წ. XV/XIV სს.) დო-

---

3 იხ. მისი სტატია „არგონავტიკა“ 35-ე ნომერში გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 16.11.1997. იგივე სტატია გადაბეჭდილია გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ 21-28 II 1997

კომპლექსურად დასტურდება მრავალი სახელი, რომლებიც არგონავტების მოსახდას იყო ჩვენთვის ცნობილი, მათ შორის ისეთი სახელები, როგორიცაა „(ქვეყანა) აია“, „კოლხიდა“, „იასონი“ და სხვ.“[4] სამწუხაროდ, მსგავსი არგუმენტი არაფრის მთქმელია. მაგრამ თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ არგონავტების მითი, როგორც საისტორიო წყარო, ამაზე შემდგომ ცალკე შევჩერდებით.

მაკარას მიხედვით, ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის სამი ათასი წელი უეჭველია. თითქოს ამ მხრივ მათ არგონავტების მითისა არა სჯერათ. მაგრამ ჩვეულებრივად სჯერათ დიაოხის (ურარტუ-. ლად), დაიაენის (ასურულად) ქართული ისტორიული სამყაროსადმი კუთვნილებისა. აწ გაანსვენებული ისტორიკოს-არქეოლოგოსის თეიმურაზ მიქელაძის თანახმად,[5] შუაბამის ქვეყანას ძველად ეწოდებოდა აია, ანუ აიაია, შემდეგ – კოლხეთი, აია იგივე დიაუხია, ხოლო ეს სახელწოდება და „კოლხა“ სხვადასხვა დროს აღნიშნავდნენ ერთსა და იმავე ხალხსა და ქვეყანას. მისივე მტკიცებით, არსებობდა ძველი, საშუალო და ახალი კოლხური სამეფოები (ძველი ეგვიპტის ისტორიის დარად).[6] ამდენად გამოდის, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობის გაჩენის თარიღი 3200 წელს მაინც მოითვლის.

მარიამ ლორთქიფანიძის მიხედვით,[7] თუმცა დიაუხი ქართველთა (ფართო აზრით) სახელმწიფო იყო, მაგრამ ქართული სახელმწიფოს არსებობის ისტორია 2800 წლით მაინც უნდა განისაზღვროს. იმავეს

---

4 იხ. მისი სტატია „საქართველო ცრურწმენა თუ აზრი?“ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1999, 12–25 ივნისი.

5 იხ. მისი სტატია „ქართული სახელმწიფოებრიობის ათასწლეული“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998, 17–18 აპრილი.

6 იხ. მისი სტატია „К вопросу о периодизации истории древней Колхиды“ კრებულში „ძველი ისტორიის საკითხები“, IV, თბილისი. სხვათა შორის, აეტორი იქამდეც კი მიდიოდა, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მიხედვით „აღადგინდა“ „აიეტის ხანის“ კოლხეთის სოციალურ სტრუქტურას. იხ. „ძიებანი კოლხეთისა და საერთოდ ადრეკლასობრივი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის“, თბილისი, 1974, გვ. 160-163.

7 იხ. სტატია „როდიდან, საიდან მოვდივართ? ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხისათვის“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997, 26 თებერვალი.

იმპორებს იგი შემდგომ პერიოდში გამოქვეყნებულ სტატიაშიც, ოღონდ დიაოხის არ თვლის ქართველური მოდგმის სახელმწიფოდ.[8] მერი ინაძის მტკიცებით,[9] დიაოხი, დიაელი საშრეთ-ქართული პოლიტიკური გაერთიანება გახლდათ, „კოლხა“ კი — დასავლურ-ქართული (იგი თითქოს გაანადგურეს ურარტუელებმა).

ნოდარ ლომოურის პრინციპული და საკმაოდ სწორი მოსაზრებით: „იმისათვის, რომ მსოფლიოს წინაშე უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავვარდეთ, ბრალი არ დაგვდონ პროვინციულ პატრიოტიზმში, თარიღი უნდა იყოს მაქსიმალურად მეცნიერულად არგუმენტირებული, რეალური, არ უნდა ეფუძნებოდეს საეჭვო, საკამათო საბუთიანობას, ცალკეული პიროვნებების სხვათაგან გაუზიარებელ მოსაზრებებს“.[10] აქედან გამომდინარე, იგი აცხადებს: „ასეთი პოზიციის გამო მე თავიდანვე უნდა უარვყო 3000 წელი, რამდენადაც ვერ ეხლავე ვერაფითარ, თუნდაც ოდნავ ანგარიშგასაწევ არგუმენტს ამ თარიღის სასარგებლოდ“. იგი ეჭვქვეშ აყენებს დიაოხის ქართველური სამყაროსადმი კუთვნილებას. ავტორის მოსაზრებით, კერძოდ, ურარტუელი მეფეები ძალზე აზვიადებდნენ, განდიდების მიზნით, ეითარებას: ტომთა გაერთიანებებს სამეფოებად ნათლავდნენ, მათს ბელადებს — მეფეებად, ჩვეულებრივ გამაგრებულ დასახლებებს — ქალაქებად და ა. შ.; დიაოხისა და კოლხას „გაერთიანებებში შემავალ ტომთა სახელმწიფოებრივი წყობილების ჩანასახებმა თუ საწყისმა ფორმებმა ვერ ჰპოვეს შემდგომი უწყვეტი განვითარება“, ამდენად არსებობდა მხოლოდ „სახელმწიფოებრიობის საწყისი ელემენტები“. ნოდარ ლომოური თვლის, რომ ნამდვილი სახელმწიფო ჩამოყალიბდა კოლხეთში (რიონის აუზში) ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარში.

ფილოლოგის რევაზ ბარამიძის შეხედულებით, საიუბილეო თარიღად უნდა ჩათვალოს 2300 წელი; ე. ი. უნდა ამოვდიოდეთ ქართლ-

---

8 იხ. „სახელმწიფოებრიობის საკითხისათვის საქართველოში“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999, 26—27 დეკემბერი; იგივე სტატია გადაბეჭდილია გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“, 2000, 31 იანვარი.

9 იხ. „სახელმწიფოებრიობის ისტორია საქართველოში 3000 წლის ისტორიის“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2000, 20—21 თებერვალი.

10 იხ. სტატია „დასაბამი ქართული სახელმწიფოებრიობისა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1997, 27 ივნისი — 4 ივლისი.

ში ფარნავაზის გამეფების ფაქტიდან.[11] ჩანს, რომ ამ უკანასკნელის აზრით, ქართული სახელმწიფოებრიობა უწინაც არსებობდა (კოლხეთში), მაგრამ რაკი ამ შემთხვევაში აღმოსაველეთ საქართველო განზე რჩება, ამიტომ თითქოს უპრიანია სწორედ 2300 წელი, როცა ქართლის (იბერიის) სამეფო გარკვეულწილად დასავლეთ საქართველოსაც მოიცავდა (ასე სხვებიც ფიქრობენ). მაგრამ, ჩვენი მოსაზრებით, თუკი კოლხეთში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნას მართლაც მანამდე ჰქონდა ადგილი, მაშინ საიუბილეოდ ჩვენ აქედან უნდა გამოვდიოდეთ. ასე რომ, ამ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოს გათვალისწინება არაფერ შუაშია. განსჯენებული რომან მიმინოშვილის აზრითაც, უნდა ვიზეიმოთ ჯვრითანი სახელმწიფოს შექმნის 2300 წლისთავი.[12]

1997 წელს გამოვაქვეყნეთ სტატია „რა ხნისაა ქართული სახელმწიფოებრიობა"?[13], სადაც უყოყმანოდ ვუჭერდით მხარს 2300 წელს.[14]

გასულ წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „ფარნავაზი" იმავეს იმეორებს ისტორიკოსი გრანი ქავთარია. იგი წერს: „ქართული სახელმწიფოს შექმნა და მისი არსებობის ისტორია ფარნავაზიდან უნდა დაიწყოთ".[15] რამდენადაც ვიცით, თავის უკანასკნელ ზეპირ გამოსვლებში ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის 2300-წლიან იდეას უჭერს მხარს გიორგი მელიქიშვილიც.

---

11 იხ. მისი „23 საუკუნე და მხოლოდ 23 საუკუნე!" გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1997, 26 მარტი; „საქართველოს სახელმწიფოებრიობის 2300 წელი", ჟურნ. „რანი ვართ ქართველნი?", 1997, N 1.

12 „რომელი სახელმწიფოს აღდგენის 80 წლისთავს ვზეიმობთ", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1997, 9 მარტი.

13 იხ. გაზ. „თბილისი", 1 ივნისი, აგრეთვე ჩვენი გამოხმაურება დაით მჭედლურის წერილზე, გაზ. „ლომისი", N 2, 1999, აგვისტო.

14 საერთოდ აღნიშნული საკითხი რომ ჩვენთვის უცხო არ არის, დავასახელებთ ჩვენეულ ნაშრომებს: „ძველ საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა", ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1974, N 3; „Early states in Ancient Georgia", კრებ. „The Early State" ჰენრი კლესენისა და პეტერ სკალნიკის რედაქციით, ჰააგა–პარიზი–ნიუ-იორკი, 1978; იხ. აგრეთვე ჩვენი სტატიები ზოგადთეორიულ საკითხებზე, სადაც ვცდილობდი საბჭოური სტერეოტიპებიდან გამოსვლას, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", 1969, N 6, 1981, N 6, ჟურნ. „მნათობი" 1969, N 12.

15 იხ. დასახ. ნაშრომი, გვ 82; აგრეთვე, გვ 102, 105.

ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის ხანის შორს გადატანის წინააღმდეგ გასულ წელს გამოვიდა პოეტი და პუბლიცისტი დავით მჭედლური.[16] იგი სვამს ელემენტარულ კითხვას: „მაინც რა ისტორიულ ფაქტებს, წერილობით წყაროებს ან სხვა უდავო არგუმენტებს ეფარება ხალხის სახელმწიფოებრიობის ასე დაკონკრეტებული [illegible] ან დრო-ცვლილების დადებითება, ცხადია, სათანადო არგუმენტებსა და არგუმენტაციას მოითხოვს.

მართლაც, ფილოსოფიისა (შემეცნების თეორიის) და მეცნიერების ლოგიკის თვალთახედვით, დიდად საინტერესო უნდა იყოს, თუ რატომ ხდება, რომ საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი აზრთა ამგვარ სხვადასხვაობას ჰბადებს, ნუთუ ისტორიოგრაფია (საისტორიო მეცნიერება) მთლად ასეთი არაზუსტი მეცნიერებაა (მაშინ რატომ აქვს მას პრეტენზია ამგვარი სტატუსისა?), რომ ვისაც რა მოეპრიანება, ის ამტკიცოს. სანამ კონკრეტულად საკითხის გამოკლევას შეუდგებოდნენ, ჯერ ხომ უნდა გაცნობიერებულ იქნეს რას წარმოადგენს გვაროვნული წყობილება, განსაკუთრებით მისი ბოლო ეტაპი, რა საფუძველზეც წარმოიქმნა სახელმწიფო. ამის შემდეგ ადგილი უნდა ჰქონდეს ელემენტარულ წყაროთმცოდნეობით ძიებებს. კრიტიკული, ისტორიულ-ფილოლოგიური მეთოდის გამოყენების შემდგომ უნდა დადგინდეს მყარი, ეჭვმიუტანელი ფაქტები, მათზე დაყრდნობით კი უნდა წარიმართოს სათანადო მსჯელობა და მიღებულ იქნეს დასკვნები. ძალიან ვეჭვობთ, რომ ამგვარი აზროვნებითი პროცედურების შემდეგ აღნიშნულ საკითხში აზრთა ასეთი დიდი სხვადასხვაობანი გაჩნდეს.

როგორც ვხედავთ, აზრთა დიაპაზონი ასეთია: ხულ მცირე 3500 წელი (მტკიცებულება რომ უფრო დამარწმუნებელი იყოს, მავანი ხშირად ხმარობს ნაწილაკ „მეთქის"!), 3200 (დიაოხის გააზრებით), 3000 (ვითომდა ურარტუული ხანის კოლხას გულისხმობენ), 2600-2500 (ასე ვთქვათ, საშუალო კოლხეთის სამეფოდან მოყოლებული), 2300 (ფარნავაზის ზეობის დაწყებიდან). ზემოთ ვუჩვენებდით, რომ იყო ცდები ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის პერიოდის გათანაბრებისა კიევის რუსეთის შესაბამის პარამეტრთან, ე. ი. სულ რაღაც 1100-ოდე წლით წარმოდგენისა. საინტერესოა, რატომ მიეცა

---

16 იხ. სტატია „ტერმინის დაზუსტებისათვის", გაზ. „ლომისი", N 1, 1999, იელისი.

პრეზიდენტი ამ ნუსხაში 3000 წელს? ამის თაობაზე თამაზ გამყრელიძე წერს: „შემთხვევითი არაა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ჩასახვის თარიღად სხვადასხვა მეცნიერულ თვალსაზრისებს შორის საქართველოს პრეზიდენტი სწორედ „კოლხურ ვარიანტზე“[17] შეჩერდა“. მაგრამ ამ განცხადებით ჩვენს ქვეყანაში, საზოგადოების ფართო ფენებში ფრიად ალიარებული აკადემიკოსი საქართველოს პრეზიდენტის სახელს ცუდ სამსახურს უწევს – ამ შემთხვევაში მისი ავტორიტეტის მოხმობა აბსოლუტურად არაფრისმთქმელია. უნდა ვიფიქროთ, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე მოცემულ შემთხვევაში შეჩერდა დროის მიხედვით საშუალო ვარიანტზე. მაგრამ თუ პოლიტიკაში ასე თუ ისე გამართლება აქვს (თანაც ყოველთვის არა!) კომპრომისული ვარიანტის ძიებას, მეცნიერებაში, საკითხის არსის ცოდნის გარეშე, ამგვარი მიდგომა უმართებულო გახლავთ. საკითხის გადაწყვეტისას ნორმალური გამოსავალი იყო ის, რომ შეკრებილიყავით სათანადო დარგის სპეციალისტები (ისტორიკოსები, ეთნოლოგოსები, იურისტ-სახელმწიფოთმცოდნეები, პოლიტოლოგოსები, სოციოლოგოსები) და გეემსჯელა მასზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდი მოხდა, რამდენადაც ვიცით, შეიკრიბნენ ისეთი ადამიანები, რომელთა სამეცნიერო კომპეტენციაში, ვიმეორებთ, აღნიშნული საკითხი სრულიადაც არ შედის, ანდა შედის, მაგრამ საკითხზე დღემდე ერთი სტრიქონიც კი არა ჰქონიათ დაწერილი. შედეგიც შესაფერისი მიიღეთ – დადგინდა ვიზეიმოთ ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნის სამიათასწლოვანი იუბილე მაშინ, როდესაც არაფის არ უცდია სათანადო დონეზე, მეცნიერულად დაესაბუთებინა საკითხი.

§3 ძართული სახელმწიფოებრიობის გენეზისისადმი თეორიული მიდგომის თაობაზე

როცა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემას იაზრებდნენ, ჩვეულებრივად გამოდიოდნენ ფრ. ენგელსის ნაშრომიდან „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. რაგინდ კრიტიკულადაც არ უნდა განვეწყოთ

17 იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1999, 18–25 იუნისი. მაგრამ ხომ „კოლხური ვარიანტია“ აიეტისა და ე. წ. ანტიკური ხანის კოლხეთიც. ამდენად, ავტორს უნდა დაეზუსტებინა – „ურარტული ეპოქის კოლხეთი“.

მისადმი, ეს ნაშრომი მაინც მაღალი სამეცნიერო ფასეულობისა რჩება. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ისტორიკოსები და სხვა დარგების სპეციალისტები სათანადოდ ვერ გებულობდნენ აღნიშნულ წიგნს. აქ გაღმოცემულია გვაროვნული წყობილების დეზინტეგრაცია – დაშლისა და სახელმწიფოს წარმოშობის სურათი, რომელსაც ცივილიზაციის ხანაში ჰქონდა ადგილი. „ცივილიზაციაში“ კი მარქსიზმის კლასიკოსები გულისხმობდნენ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების თვალსაჩინო განვითარებას და მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენას, ე. ი. დაახლოებით 2600 წლის წინანდელი საბერძნეთისა და რომის ისტორიულ ვითარებას. კ. მარქსსა და ფრ. ენგელსს, საისტორიო მეცნიერების იმდროინდელი დონიდან გამომდინარე, ცხადია, არ შეეძლოთ მოეცათ აღნიშნული პროცესების უნივერსალური სურათი. და ამის პრეტენზია მათ არც ჰქონიათ. მეტიც, როცა ფრ. ენგელსი ეხებოდა აღმოსავლეთში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოქმნას (განსაკუთრებით „ანტი-დიურინგში“), ეს პროცესები მან სულ სხვანაირად გაიაზრა.[18] რაც გაუგებარი აღმოჩნდა საბჭოური მენტალიტეტის მატარებელთათვის. თვით „ოჯახის... წარმოშობაში“ სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოქმნა ერთნაირად როდია გააზრებული – გერმანელებში, დასავლეთ რომის იმპერიის დასახლებისას, მისი აზრით, ადგილი ჰქონდა შესაბამისი პროცესების დაპყრობის გზით წარმოქმნას. სხვაგან იგი ასევე გაიაზრებდა ანტიკური ხანის სპარტის ისტორიასაც. მაგრამ ეს მოსენტები ვ. ლენინისა და ი. სტალინისათვის გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა. კერძოდ კლასებისა და სახელმწიფოს დაპყრობის გზით წარმოშობა ჩათვალეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლენად, ასევე ამ თეორიის ჩამომყალიბებელი ლ. გუმპლოვიჩი „მონათლულ იქნა“ რეაქციონერად. ვიმეორებთ, მსგავსი წარმოდგენების შეთვისება საჭიროებულო იყო ისტორიკოსთა და სხვებისათვის.

სამწუხაროდ, ასე გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, რამეთუ

---

18 კერძოდ, მის მიხედვით აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა ორკლასიანი სოციალური სტრუქტურა (მმართველებისა და მმართველების), რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს წარმოქმნასთან იყო დაკავშირებული. სხვათა შორის, იმასაც აღნიშნავდა ვ. ლენინიც (იხ. თხზულებანი, IV გამ., ტ.29, გვ 562), მაგრამ აშკარაა, რომ იგი ვერ ერკვეოდა საკითხის არსში.

შესაბამისი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების წარმოქმნის ძველი, ტრადიციული გაგება ითვლებოდა უმაღლესი ინსტანციის ჭეშმარიტებად, აძლევნად, საბჭოური იდეოლოგიის ერთ-ერთ ქვაკუთხედად. რასაკვირველია, საბჭოური წყობილებისა და იდეოლოგიის მოშლა-გაფაშენების კვალობაზე გაჩნდა შესაძლებლობა საკითხის სხვაგვარი გააზრებისა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ქართულმა მეცნიერებამ და საზოგადოებრივმა აზროვნებამ იგი სათანადოდ გამოიყენა. მეტიც, ამ მხრივ უკანასკნელი ათი წლის მანძილზეც დიდი არაფერი გაგვიკეთებია, რამაც თავი იჩინა ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის თარიღის დადგენის საკითხშიც.

ამჟღავნად, სახელმწიფო წარმოიშობა სულ სხვადასხვანაირი გზით. კერძოდ აღმოსავლეთში ამას ადგილი ჰქონდა კერძო საკუთრების (მიწაზე) დაბალი განვითარებისას, სასოფლო თემის გაბატონებულობის პირობებში, მომთაბარეებში (ნომადებში) კი ეს მოხდა, ცხადია, მესაქონლეობის ფართოდ გავრცელებისას. ზოგან სახელმწიფო წარმოიქმნა მართლაც დაპყრობის გზით (მაგალითად, კიევის რუსეთში). ასე რომ, ყველგან მონათმფლობელთა და მონათა კლასების ჩამოყალიბების ძიება და პოვნა, მათთან სახელმწიფოს წარმოქმნის დაკავშირება საფუძველს არის მოკლებული. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს გაჩენის საზრისიც განსხვავებული იყო. კერძოდ აღმოსავლეთში მთავარი იყო ირიგაციისა და თავდაცვის (მომთაბარეთაგან) საჭიროებანი. ეს იდეაც, რა თქმა უნდა, საბჭოური აზროვნებისათვის ღრმად მიუღებელი აღმოჩნდა.

დგება საკითხი სახელმწიფოს სტრუქტურის შესახებ. მით უმეტეს, თუ მას გაეიაზრებთ გვაროვნულ წყობილებასთან შეპირისპირებით („კერძოდ ასეა ფრ. ენგელსის „ოჯახის... წარმოშობაში"), მაშინ ბევრი რამ ნათელი შეიქმნება. სახელდობრ, თავისებური მმართველობა ჰქონდა ტომს (რომელიც თავდაპირველად მინიმუმ ორ გვარს მაინც მოიცავდა), მით უფრო ტომთა (ტომობრივ) კავშირს. მაგრამ ამ შემთხვევებში სახელმწიფოს ჩანასახებზეც კი ლაპარაკი გამორიცხულია. ამას ადგილი ჰქონდა ე. წ. სამხედრო დემოკრატიის პირობებში. ამიტომაც ისლად წარმოიშობა ცდუნება ამ პერიოდში სახელმწიფოს არსებობის მტკიცებისა. ამგვარ ცდუნებას, ჩანს, ვერ ასცდა თანამედროვე ქართული სამეცნიერო აზროვნებაც. მაგრამ სამხედრო

დემოკრატიიდან მოყოლებული ნამდვილი სახელმწიფოებრიობის წარმოქმნამდე, საკმაოდ დიდი გზა, და თანაც ხშირ შემთხვევაში ზიგზაგისებური, იყო. ჩამოყალიბებული სახელმწიფოს სტრუქტურა ასე წარმოიდგინება: მობინადრე მიწათმოქმედი ხალხების ცხოვრებაში გვარები და ტომები მნიშვნელოვანწილად (შესაბამისი ქვეყნების მთიანეთის გამოკლებით) გამქრალია და მათს ადგილას ჩნდება სასოფლო თემები[19] – უმცირესი ტერიტორიული გაერთიანებანი. მათ ზემოთ კი ჩნდება (სახელმწიფოს წარმოშობისთანავე) უფრო ფართო ხასიათის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გაერთიანებანი. თუ უწინ ხალხისაგან გამოყოფილი ხელისუფლება გამორიცხული იყო, ამიერიდან ეს ხელისუფლება ბიუროკრატიისა და არმიის (ზოგან აგრეთვე სამხედრო ფლოტის) სახით უკვე ფუნქციონირებს. ამისათვის კი აუცილებელია გადასახადების არსებობა. ვიმეორებთ, სახელმწიფოს აღნიშნული ნიშანთვისებანი (სტრუქტურის ელემენტები) აქა-იქ ჩანას ხოვანი ფორმით გვხვდება, ამა თუ იმ ქვეყანაში მანამდეც იჩენს თავს, მაგრამ ჩამოყალიბებული სისტემის სახით მხოლოდ სახელმწიფოში არსებობს. აქედან გამომდინარე, როდესაც საქართველოში სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხს ვიაზრებთ, უპირველესად აღნიშნული გარემოებიდან უნდა გამოვიდოდეთ.[20]

რაც შეეხება სახელმწიფოს ფუნქციებს, იგი ოდენ დაჩაგრული კლასის ჩახშობაზე არ დაიყვანება. ეს ინსტიტუტი იცავს აგრეთვე შინაგან წესრიგს, ქვეყანას – საგარეო საფრთხისაგან და, ამდენად, საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებში შედის. რიგ შემთხვევებში იგი მიმართულია სხვა ხალხების წინააღმდეგაც.

დაბოლოს, აზრი იმის თაობაზე, რომ სოციალური კლასები და სახელმწიფო წარმოიშობა დაპყრობის გზით, ქართული აზროვნებისათვის უცხო არ არის. კერძოდ, მისი თავგამოდებული მომხრე იყო

---

19 სხვათა შორის, იდეა სასოფლო თემების შესახებ სულაც არ არის სპეციფიკურად მარქსისტული და საქართველოში მას იზიარებდა ილია ჭავჭავაძე (ძირითადად პენრი მეინის ნაშრომთა გაცნობით).

20 ქრისტეფორე რაჭველიშვილი აღნიშნავდა „ძველი" სახელმწიფოს სამ უმთავრეს დამახასიათებელ ნიშანს: 1. ხელისუფლება, 2. განსაზღვრული ტერიტორია და 3. ამ ტერიტორიის მოსახლეობა. იხ. მისი „საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია", ტფილისი, 1927, გვ. 25.

ცნობილი ისტორიკოსი და სოციოლოგოსი მიხაკო წერეთელი. მართლაც ეს აზრი ფრიად აქტუალურია საქართველოს ისტორიისათვისაც, რაზედაც სპეციალურად შემდგომ შევჩერდებით.[21]

ახლა განვიხილავთ ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის სხვადასხვა ქრონოლოგიურ ვარიანტებს.

§4 სახელმწიფოებრიობის საკითხი თრიალეთურ კულტურაში

ცნობილია, რომ თრიალეთში ბორის კუფტინისა და სხვათა მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად საკმაოდ მდიდრული ნიეთიერი კულტურა წარმოჩნდა. იგი მიეკუთვნება შუა ბრინჯაოს ხანას – II ათასწლეულის პირველ ნახევარს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ამ თვალსაზრისით ყორღანები და მათი სამარხეული ინვენტარი. მოვიტანთ ამონარიდს „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" I ტომიდან: „ერთ-ერთ ასეთ ყორღანს თრიალეთში, ზურტაკეტის პლატოზე ერთი ჰექტარი ფართობი ეკავა. ქვაყრილის სიმაღლე 8 მეტრამდე აღწევდა. ყორღანის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა „დასაკრძალავი დარბაზი", რომლის ფართობი 160 კვ მეტრს უდრიდა; დარბაზის კედლების სიმაღლე 6 მ-ს აღწევდა. ყორღანს ხის გადახურვა უნდა ჰქონოდა. „დასაკრძალავი დარბაზი" სიგრძივ ხის სვეტებით სამად იყოფოდა, რომლებზედაც ალბათ ხის ძელები თუ იყო გადებული. აღმოსავლეთის მხრიდან, თითქმის ყორღანის კიდიდან, იწყებოდა შესასვლელი, დრომოსი, რომლის სიგრძე 40 მ-ს უდრიდა. დრომოსის ორივე კედელი ფილაქვებით ამოუშენებიათ. ეს იყო საგანგებო გზა, საიდანაც „დასაკრძალავ დარბაზში" შეჰქონდათ მიცვალებული და სამარხეული ინვენტარი".[22] აღვილი წარმოსადგენია, თუ შრომითი კოოპერაციის რა მასშტაბებს ეკუთვნოდა ადგილი ამ შემთხვევაში.

21 სახელმწიფოს შესახებ უახლესი დასავლური ლიტერატურიდან აღვნიშნავთ უკვე დასახელებულ კრებულს „The Early State" და ელმან სერვისის „The Origin of the state and civilization", New York, 1975, რომლებიც ქართული მეცნიერებისათვის პრაქტიკულად უცნობია.

22 სან, I, გვ 207.

მიცვალებულს დაასვენებდნენ ხის ოთხთავლა ურემზე და ისე მარხავდნენ. თრიალეთისაკე კულტურის შემადგენელი ლეჭაშენის (სომხეთში) არქეოლოგიური ძეგლის მიხედვით ჩანს, რომ ტომის ბელადის საფლავში აღნიშნულ მოსაზრებას (ცხრაძვალ აქ დაუმარხავთ 13 მორა).[23] საკუთველთაგან ცნობილია თრიალეთის რიგ ყორღანთა სიმდიდრე: აქ აღმოჩენილი ნივთები წარმოადგენენ საოქრომჭედლო ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებს.

ისე ჩანს, თითქოს შესაბამის საზოგადოებაში[24] ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია ძალზე შორს იყო წასული, რასაც თავის მხრივ, უნდა გამოეწვია სახელმწიფოს გაჩენა.[25] ყველა შემთხვევაში, ამგვარი „არქეოლოგიური" არგუმენტი უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს „არგონავტიკის" „მითოსურ" არგუმენტთან შედარებით. მაგრამ ქართველი არქეოლოგოსები და ისტორიკოსები ამას როდი ამტკიცებენ. მართალია, აღნიშნულ არქეოლოგიურ კულტურაში ტომთა ფარული გაერთიანებასთან გვაქვს საქმე, შესაბამისი სოციალური პროცესი კი უნდა ვიგულისხმოთ სათანადო სოციალური ფუნქციის გაჩენით

თრიალეთის სახაფსულო და ქვემო ქართლის საზამთრო საძოვრებს შორის საქონლის გადარეკვის რეგულირება, სამხედრო საქმის ორგანიზაცია (ქონებული საძოვრების დასაცავად) ანდა ახალი მსგავსი რესურსების ხელში ჩასაგდებად გამოიწვევდა საზოგადოების მმართველი ზედაფენის (ჩანასახოვანი ფორმით) წარმოშობას. ჩვენი მტკიცე შეხედულებით, ანალოგიური ვითარება იყო უფრო გვიანაც, ურარტუული ხანის კოლხას პირობებში.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად თრიალეთის კულტურის ხანაში უკვე ადგილი ექნებოდა რანჟირებული, სტრატიფიცირებული საზოგადოების (ძველი ეგალიტარულის ნაცვლად) არსებობას (ელმან სერვისი), რაც ჯერ კიდევ არ იყო კლასობრივი საზოგადოება. შესაბამისად სახელმწიფოს ნაცვლად არსებობდა სამხედრო დემოკრა-

---

23 История армянского народа, ერევანი, 1951, გვ. 15.

24 ამჯერად, ჩვენი მიზნიდან გამომდინარე, აუცილებელი არაა შევჩერდეთ თრიალეთური კულტურის ეთნიკურ კუთვნილებაზე.

25 საინტერესოა ქართული სახელმწიფოებრიობის იუბილესთან დაკავშირებით ვინმემ რატომ არ მოიაზრა სახელმწიფო დაწყება თრიალეთის კულტურის ხანაში და, აქედან, შესაბამისი თარიღი თუ შემჩნევია ან ძველი ეგვიპტის არა, ხეთებისა და მითანელების სახელმწიფოების წარმოშობის მაჩვენებელთან მაინც გაეტოლებინა.

ტია, ანუ ელმან სერვისის მიხედვით (chiefdom) (რუსები ალნიშნავენ „вождество“-თი). ასე რომ, სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს – ამრიგად ცივილიზაციის წარმოქმნამდე აქ (ქვემო ქართლში) დიდი მანძილი იყო გასაელელი.

§5 არგონავტების მითი და ძართული (კოლხური) სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის საკითხი

ძველ კოლხეთში (კერძოდ, რიონის დაბლობზე) არგონავტების ლაშქრობას, როგორც ცნობილია, უკავშირებენ ტროას ომის წინარე ხანას. თუ გავითვალისწინებთ ამ უკანასკნელის ხანგრძლივობასა და მის წინ, სულ მცირე, ერთი თაობის არსებობას მაინც, როცა დასავლეთ საქართველოში არგონავტები მოვიდნენ, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მითი უკავშირდება ჩვენი ისტორიის XIII საუკუნის (ძვ. წ.) პირველი მესამედის ბოლოს. ამდენად, დაახლოებით 3300 წლის წინათ კოლხეთში თითქოს მეფობდა აიეტი, ანუ არსებობდა სახელმწიფო (სამეფო). მაგრამ ნუ ვიჩქარებთ და ჯერჯერობით ნუ დავასკვნით მხოლოდ 3300 წელს. ეიმორებთ, ლოგიკურია, მავანმა ისტორიკოსებმა და ფილოლოგოსებმა იფიქრონ, რომ უძველესი კოლხეთის სამეფო დინასტია მხოლოდ აიეტის „მეფობით“ არ დაიწყებოდა და ამას წინ უსწრებდა 200–300 წელი მაინც. ასე რომ, აქ სახელმწიფოებრიობა უკვე არსებობდა, ყოველ შემთხვევაში, 1500 წლიდან (ძვ. წ.) მოკიდებული. ამდენად, ჩვენი სახელმწიფოებრიობის ძირები (ფესვები) თუ შუმერის ან ეგვიპტისას არ ეთანადება, კრეტა-მიკენის ხანას ხომ უტოლდება! (რა ადვილია „პატრიოტიზმი“ წარსულის ხარჯზე!)

დიდად სამწუხაროდ, არგონავტების მითის მსგავსი გაგებისას მავანნი კვლავ მითოლოგიის ტყვეობაში იმყოფებიან. სხვანაირად, თუ მათ მეცნიერულ აზროვნებაზე პრეტენზია გააჩნიათ, კეთილსინდისიერად და ელემენტარული წყარომცოდნეობითი კვლევა-ძიება ჩაატარონ. დასავლურ კლასიკურ ფილოლოგიურ მეცნიერებაში, დიდი ხანია, რაც ალნიშნული მითის გენეზისითა და სტრუქტურით დაინტერესდნენ.[26] ცნობილია, რომ ლეგენდის (მითის) ის ნაწილი, რომელიც ეხება

26 ამ და მომდევნო საკითხების თაობაზე იხ. А.И.Болтунова, Аргонавты и Колхида, „მაცნის“ ისტორიის... სერია, 1976, №3.

მეფე პელიასსა და მისი ძმა ესონის მტრულ ურთიერთობას, ამ უკანასკნელის ძის – იასონის არსებობას, თესალიაში შეიქმნა. ფრიქსე რომ მსხვერპლად უნდა შეეწირათ და რომ, საბედნიეროდ, მან მოასწრო ოქროსსაწმისიან ვერძზე გაფრენა – ეს ლეგენდა კი ბეოტიაში იქნა შეთხზული. ძველბერძნული მითის მიხედვით თებეს დამაარსებელმა მეფე კადმოსმა მოკლა არესისა (და დემეტრეს?) ნაშიერი დრაკონი, რომელიც წყაროს იცავდა. ათენას რჩევით მან დათესა მოკლული ურჩხულის კბილები. ხნულში მათგან ამოვიდნენ საზარელი მეომრები, რომელთაც ხელჩართულ ბრძოლაში ერთმანეთი დახოცეს. მედეას კულტი ბერძნებს შეუთვისებიათ თრაკიიდან, კერძოდ, კორინთოში და იგი ანსახიერებდა ბუნების ნაყოფიერების ძალების, დედამიწის დიდი ქალღთაების კულტს. მითის თანახმად, მომაკვდავი და აღდგენადი ბუნების ქალღთაება მედეა თავის შვილებს ცოცხლად მარხავდა ხოლმე, რითაც სიცოცხლე ხანგრძლივდებოდა. აია (*Αια*) ბერძნების იმჟამინდელ მითოსურ წარმოდგენებში ქვეყანა იყო, მაგრამ აბსტრაქტული, ისე რომ, კონკრეტულად ჯერჯერობით არც ერთ ქვეყანასთან არ აკავშირებდნენ. მხოლოდ მოგვიანებით, VII-VI საუკუნეებში (ძვ წ.) მოხდა, რომ პირველად საგუნდო ლირიკის გამოჩენილმა წარმომადგენელმა მიმნერმემ იგი კოლხეთს (*Αἶα Κολχις*) დაუკავშირა. რუსი ისტორიკოსის ა. ბოლტუნოვას მოსაზრებით, ბერძნები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებს გაეცნენ მხოლოდ ძვ. წ. VIII საუკუნის ბოლოს და სწორედ ამ დროისათვის იქნა მისადაგებული არგონავტების მითი კოლხეთისადმი.

ამდენად, ჯერ არსებობდა აბსტრაქტული, განუსაზღვრელი ქვეყანა აია, რომელიც შემდეგში კოლხეთს დაუკავშირეს. კარგა ხანია შემჩნეულია, რომ სწორედ „აია“-დან წარმოიშვა სახელი (*Αἰητης*) (და არა პირიქით). ასე რომ, ეს სახელი მთლად ლეგენდური ხასიათისაა. და მაჟანთ სწორედ ამ საფუძველზე დაყრდნობით სურთ შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება!

საინტერესო დაკვირვებებს გუთავაზობს ცნობილი მკვლევარი მერი ინოუ. იგი იზიარებს იმ მკვლევართა თვალსაზრისს, რომლებიც ოქროსაწმისიან ქვეყანას ცენტრალური ანატოლიის ჩრდილოეთ რეგიონში ვარაუდობენ. თავის მხრივ, ცხვრის ან თხის ტყავის კულტი წარ-

მოადგენდა წინახეთურ) ტრადიციას, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო ხათურ (წინახეთურ) ეტეტაციურ ღვთაება ირარასთან[27] ხეობების სამეფოდან ეს იდეა გავრცელდა მიკენურ სამყაროშიც: გარასახიერებდა რა ძლიერებასა და ნაყოფიერებას.[28] მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეგეოსელმა ზღვაოსნებმა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებს მიაღწიეს ე. წ სუბმიკენური ხანაში – ძვ. წ. 1160-1050 წლებში. სწორედ ამ პერიოდს დაუკავშირეს არგონავტების მითის ორქრომისაწმისიანი ქვეყანა სამხრეთ-დასავლეთ და კოლხურ სამყაროს, ე. ი. ჭოროხის აუზსა და მის დასავლეთით მიმდებარე ნაწილს.[29] შევნიშნავთ, რომ ძირითადად ამ რეგიონს უკავშირებდა არგონავტების მითს ნიკო მარი (ამასვე იმეორებს გიორგი მელიქიშვილიც). თუმცა ინგლისელმა მეცნიერმა და ზღვაოსანმა ტიმ სევერინმა 1984 წლს დაამტკიცა, რომ ტექნიკური თვალსაზრისით მიკენის ხანის ბერძნებს ზღვის მეშვეობით შეეძლოთ კოლხეთში (რიონისპირა) მისვლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არგუმენტი არა ჰყოფნის საისტორიო მეცნიერებისათვის.

საუსებით მართებულია ქალბატონ მერი ინაძის დასკვნა. „ეჭვიანობა, არ შეიძლება ჩვენამდე მოღწეულ მხატვრულად ვადაამუშავებულ გვიანდელ ვერსიებში (პინდარე, ევრიპიდე და სხვ.) წარმოდგენილი კოლხეთის კულტურულ-ისტორიული გარემო მთლიანად გადაიტანოთ იმ ეპოქაში (ჰომეროსის წინარე ხანაში), რომელსაც იქმნებოდა არგონავტების თქმულების უძველესი ციკლი, თავდაპირველი მითი და

---

27 როგორც ხეთოლოგოსი გრიგოლ გორგაძე აღნიშნავს, თულეფინუს მითის მიხედვით „თულეფინუს წინ აღმართულია (მარადმწვანე) ხე ეია, რომელზედაც პკიდია ცხვრის ტყავი (საწმისი). მასში მოთავსებულია ქონი, ქერი, ხორცი და ღვინო". შესაბამისი მაგიურ-რელიგიური წარმოდგენებით, ვერძის ტყავი წარმოადგენს ფეტიშს, რომელზედაც დამოკიდებულია ქვეყნის კეთილდღეობა. იხ. მისი „ათასი ღვთაების ქვეყანა", თბილისი, 1988, გვ 165-168. აღნიშნული ხის (ურთხმელის) სახელწოდება მოდის წინარეინდოევროპული ერიდან. ქერძოდ ხეთებთან იგი განასახიერებდა ულეველ სასიცოცხლო ძალას, მარადიულ სიჭაბუკეს და ა. შ. იხ. Т.В. Гамкрелидзе и В. В. Иванов. Индоевропейский язык и индоевропейцы, II, თბილისი, 1984, გვ 628, 630 და შემდ.

28 იხ. მისი „არგონავტთა თქმულება სტრაბონის გეოგრაფიაში", ჟურნ. „მნათობი", 1999, N 1-2. გვ 87.

29 იქვე, გვ 92.

გვიახდელ ეპოსებში ჩაობოდგებილი სურათი გაეიაზროთ როგორც ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის ცენტრალურ კოლხეთში შექმნილი ვითარება".[30] მით უფრო ითქმის ეს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის" თაობაზე. მკვლევრის დელიკატური შენიშვნით: „ზემოთქმულიდან გამომდინარე, რამდენადმე საკამათოა აპოლონიოს როდოსელთან შემონახული რეალიების ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღება, როგორც ამას ვარაუდობს ზოგიერთი მკვლევარი. ძნელი წარმოსადგენია, რომ წყაროებში, რომლებითაც სარგებლობდა აპოლონიოსი, შემონახული ყოფილიყო ძვ. წ. II ათასწლეულის ვითარება, რადგან ჰომეროსთანაც კი აღწერილია მისი თანადროული თუ მასთან ახლო ხანის საბერძნეთის რეალური გარემო".[31]

არგონავტების მითის კოლხეთთან (რიონისპირეთის) დაკავშირების თაობაზე გამყრელიძისეული არგუმენტაცია ერთობ არადამაჯერებელია, რამეთუ „(ქვეყანა) აია"-ს, „იასონის" სახელები ამ თვალსაზრისით არაფერს არ გვიმტკიცებს. რაც შეეხება „კოლხიდის" მოხსენიებას მიკენურ წყაროებში, ეს არამყარია. ხანური სიტყვა „კოვ-"ით კი ტყავის აღნიშვნა და ამ სიტყვის შეთვისება ბერძნების მიერ არაფერს არ გვეუბნება ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეების კოლხეთზე (რიონისპირისაზე). თუ ამას მართლაც ჰქონდა ადგილი, ეს მოხდებოდა ჭოროხის აუზის კოლხეთიდან და თანაც მოგვიანებით.

ასე რომ, არგონავტების მითით ძვ. წ. XV-XIII საუკუნეების კოლხეთის ისტორიული სინამდვილის გააზრება არარეალურია. მეფე აიეტი, მზის ღმერთ ჰელიოსისა და პერსას (ოკეანის ასულის) ძე (ბერძნული მითოლოგიით), მისი სამეფო, ქალიშვილები: მედეა და ქალკიოპე, და კირკე და მისთ. ბერძნული მითოსური წარმოდგენების სფეროა. ამასაც რომ თავი დავანებოთ და შესაბამის ვითარებას არქეოლოგიური აღმოჩენების თვალთახედვით შევხედოთ, მაღალგანვითარებული მიწათმოქმედების, არქიტექტურისა და ა. შ. არსებობის მტკიცება კრიტიკას ვერ უძლებს. სინამდვილეში კოლხეთში ამ დროს და შემდეგაც ძალზე მიწათმოქმედება იყო კაბატონებული. არქიტექტურის კვალება-გაფურჩქვნაზე, დედაქალაქზე (თანაც დიდ ქალაქზე)

30 მერი ისაძე, „არგონავტთა თქმულება სტრაბონის გეოგრაფიაში", ჟურნ. „მნათობი", 1999, №1-2, გვ. 95.

31 იქვე.

ებიც: ტოპონიმი „აფსირტე“ ანთროპონიმში, ოქროს მოპოვების წესი (სვანეთში), „კუტაია“ (როგორც ჩანს, ქუთაისის აღსანიშნავად), მაგრამ ეს უკვე მითის გვიანდელი შრეა და თანაც არ ეხება ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხს.

კიდევ ერთხელ დავსძენთ, რომ დროა, კარგა ხანია დროა, რომ არგონავტების მითთან დაკავშირებით შევეშვათ დიდი „ისტორიული მარცვლის“ ძიებას, კერძოდ ქართული (კოლხური) სახელმწიფოებრიობის მონახვის თვალსაზრისით. თუ ეს გასული საუკუნის 40-იან წლებში კიდევ ეპატიებოდა თეიმურაზ ბატონიშვილს, აღარ ეპატიებოდა მოსე ჯანაშვილს ჩვენი საუკუნის დასაწყისში. მით უფრო ამჟამად ეს საუსებით მიუტევებელი გახლავთ.

§6 დიაოხი (დაიაენი) და ქართული. სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის პრობლემა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუ დიაოხის მიერ ებით მხედველობაში, მაშინ ჩვენი სახელმწიფოებრიობა 3200 წლოვანებისად მაინც უნდა ჩაითვალოს. მართლაც, ძვ. წ. XII—VIII საუკუნეებში ჭოროხის შუა და ზემო წელზე და ევფრატის ზემოთში მდებარე ქვეყანა დიაოხი საკმაოდ ერცელი იყო და მას სახელმწიფოებრიობის მიჯნა, ალბათ, გადალახული ჰქონდა. მაგრამ ამ შემთხვევაში რიგ გაუგებრობებთან გვაქვს საქმე.

ამოდის რა ე. წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდიდან, გიორგი მელიქიშვილი იმ დასკვნამდე მიდის, რომ წინარექართულიდან (თუ წინარექართველურიდან, რომელიც წინ უსწრებდა ქართულ, ზანურ და სვანურ ენებს) ჯერ სვანურმა დაიწყო გამოყოფა (ჯერ დიალექტის სახით ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში), ხოლო ძვ. წ. VIII საუკუნიდან — ზანურმა (საიდანაც შემდგომში განვითარდა მეგრულ-ჭანური). არავის მოსვლია თავში აზრად, დაინტერესებულიყო მესხების სალაპარაკო ენით, რომლებიც უკვე ძვ. წ. XII საუკუნეში საქართველოდან შორს, სამხრეთით ცხოვრობდნენ. მეტსაც ვიტყვოდით, არავის უფიქრია იმაზე, თუ რა ენაზე ლაპარაკობდნენ დიაოხიელები ძვ. წ. XII—XI საუკუნეებში და შემდგომ. იქნებ ისინი

ჯერჯერობით შენარჩუნებულ (კლაე არსებულ) ქართულ-ზანურ შტოს მიეკუთვნებოდნენ? ფაქტია, რომ დიაოხი და კოლხა ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებულნი და მოხდა ისე, რომ ერთიც და მეორეც ხშირად უფრო მეტ საერთოს ხედავდა ურარტუში. ნუთუ ამას ერთნაირ, საერთო წარმომაელობის ეთნოსებში ჰქონდა ადგილი?

თავის დროზე საქართველოში მოღვაწე პეტრე უშაკოვი (1883–1943), რომელმაც ჩვენს მეცნიერებაში (ისტორიოგრაფიაში) პირველად შემოიტანა დიაოხისა და კოლხას შესახები ურარტული მასალები, შეეცადა რიგი სახელების ეტიმოლოგია ქართველური ენების მეშვეობით გაეაზრებინა (მაგალითად, მეფე უტუფურსისა „შავ კრაზანად" (მეგრულად), ჭოროხის ძველი სახელწოდება ჭარპასოსი – ხარის მდინარედ (ქართულად), მაგრამ ასეთი ცდები არადამაჯერებელი აღმოჩნდა.

პეტრე უშაკოვისაგან განსხვავებით, გიორგი მელიქიშვილს მსგავსი მცდელობა არ გამოუჩენია. მისი აზრით, დიაოხის ხალხი ხურიტული მოდგმისა იყო და სახელმწიფოც, ცხადია, ხურიტული გახლდათ. მაგრამ ამას პირდაპირ, explicite აღიარებს რუსულად გამოქვეყნებულ შრომებში, ქართულ ვარიანტში კი შეფარვით აკეთებს და ქართველ მკითხველებს ილუზიას უქმნის, თითქოს დიაოხის ხალხი ქართული ეთნიკური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა. რუსი მეცნიერების (იგორ დიაკონოვისა და სხვათა) აზრითაც დიაოხის მოსახლეობა ხურიტები იყვნენ.

მართლაც, ვიმეორებთ, თუ შევეშვებით წარსულის ხარჯზე იაფფასიან პატრიოტობას და საკითხს კრიტიკულად შევხედავთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ გიორგი მელიქიშვილი, იგორ დიაკონოვი და სხვანი მართალნი არიან. შესაბამისი ონომასტიკონი (მეფეთა სახელები, ტოპონიმები) მთლად ხურიტული წარმომაელობისაა. დიაოხისა და კოლხას უმეტესწილად სასტიკი მტრობაც უფრო იმას გვაფიქრებინებს, რომ ისინი სხვადასხვა წარმოშობის ეთნოსები იყვნენ. და ბოლოს, მეგრულ ანთროპონიმიაში გვხვდება მრავალი აშკარად ხურიტული სახელი, რომლებიც, ნათელია, კოლხას ხურიტულ დიაოხისთან მეზობლობით უნდა აიხსნას (თავის დროზე ეს შეამჩნიეს პეტრე უშაკოვმა და გივი ჟორდანიამ).

ამჟღავნად, რაგინდ გულსატკენიც არ უნდა იყოს მავანთათვის, დი-

აოხის ქართველური ისტორიული სამყაროსადმი კუთვნილება უნდა გამოირიცხოს. იგივე ითქმის ქართული სახელმწიფოებრიობის 3200-წლიანი ხანგრძლივობის თაობაზეც.

§7 ძველი მესხები (მუშქები) და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხი

ე. წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდი ქართველთა ეთნიკურ ისტორიასთან მიმართებაში მთლად უმწეო აღმოჩნდა ძველი მესხების პრობლემის გარკვევისას. მის (მეთოდის) თანახმად, ძვ. წ. XII—XI საუკუნეების ასურულ წყაროებში მოხსენიებული მუშქები (მესხები) (ამდენად უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისინი 2—3 საუკუნის წინ მაინც გამოეყვნენ ქართველთა ეთნიკურ (კომპაქტურად დასახლებულ სამყაროს) ქართულ-ზანური ერთობის განმასხვავებელი ხალხი უნდა ყოფილიყო. მაგრამ აშკარად ჩანს, რომ მესხები უკვე ქართების ეთნიკურ შტოს წარმოადგენდნენ, და, ამდენად, ქართულ-ზანური ერთობა უკვე დაშლილი იყო. ტიგლათფალასარ I-ის (1115—1077) ანალებში მოთხრობილია მათი გამოჩენის შესახებ ევფრატის შენაკადის, არაცანის (დღევანდელი მურად-სუს) ქვემოთსა და ტიგროსის ზემოთში. რამდენადაც ჩვენი ისტორიისათვის შესაბამისი ტექსტი ფრიად მნიშვნელოვანია, მას მთლიანად მოვიტანთ: „... ჩემი მეფობის დასაწყისში 20000 მუშქი ადამიანი და მათი 5 მეფე, — რომლებმაც აი უკვე 50 წელიწადია რაც ალზის და ფურულუმზის ქვეყნები დაიკავეს და რომლებსაც ადრე ღვთაება აშურის, ჩემი მეუფის, ხარკი და გამოსაღები მოჰქონდათ, — რომელთა გულებიც ვერც ერთმა მეფემ ვერ შეძლო ბრძოლაში დაემორჩილებინა და რომლებიც დაიმედებულნი იყვნენ თავიანთ ძლიერებაზე, დაეშვნენ მთებიდან და დაიპყრეს ქვეყანა ქათმუხი. აშურის, ჩემი მეუფის იმედით, ჩემი ეტლები და ჯარი მე ჭეშმარიტად (!) შევკრიბე, ჩამორჩენილებს არ დაველოდე, კაშიარის მთები, ძნელად მისადგომი ადგილები, გადავლახე, მათს 20000 მეომარსა და 5 მეფეს ქვეყანა ქათმუხში მე შევეჯიდე ძალებით, დავამარცხე ისინი, მათი მებრძოლთა სხეულები ბრძოლის ხოცვა-ჟლეტისას მე დავჭმუჭნე, როგორც წვიმის ნიაღვარი, მათი სისხლი მე ვადინე ხეობებსა და მთების მწვერვალებზე;

მათ თაეები დაეჭური და მათს დასახლებებთან დაეყარე ვითარცა მარცელეულის გროვები: მათი ტყეები, ქონება, უთვალავი სიმდიდრე ხელთ ეიგდე. 6000 ადამიანი, მათი ჯარის ნაშთები, რომლებიც გაერიდნენ ჩემს იარაღს, ჩემს ფერხთ ქვეშ დაემხო, მე ისინი შეეწყალე და ჩავრიცხე ჩემი ქვეყნის ხალხში".[32] ასურეთის მბრძანებელს მეორედაც დაულაშქრავს ისინი.

როგორც ვხედავთ, აქ მოსახლე ჩვენი წინაპრები (მესხები), მიუხედავად სხვათა ტერიტორიების დაპყრობისა, ჯერჯერობით არ იყვნენ გაცილებული გვაროენულ-ტომობრივ წყობილებას. მათ 5 „მეფე" ჰყოლიათ, რომლებიც ამავე რაოდენობის ტომსა თუ ტომთა კავშირს ეძგნენ სათავეში. აღმოსავლეთისაკენ გაჭრილი მესხების ერთი ნაწილი მალე შეერწყა ადგილობრივ ან მოსულ მოსახლეობას, ნაწილი კი კლავაც ინარჩუნებდა ეთნიკურ იერსახეს. ძველი ებრაელი წინასწარმეტყველი იეზეკიელი (ცხოვრობდა ძვ. წ. VI საუკუნეში) „ტვიროსის გოდებაში" აღნიშნავს, რომ მესხები (იავანთან (ე. ი. ბერძნებთან) და თაბალთან (თაბალებთან) ერთად ვაჭრობდნენ ფინიკიელთა ამ ქალაქში „შენ შორის სულებსა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მისცნეს სავაჭროდ შენდა".

მესხთა ერთი ნაწილი კი დასავლეთის მხარეს, ფრიგიის სამეფოში ცხოვრობდა. როცა კიმერიელებმა VII საუკუნის 70-იან წლებში ფრიგიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრეს, მესხები ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ. როგორც ვიცით, მათი ერთი ნაწილი შემდეგ ქართლში (კერძოდ მცხეთაში) დასახლდა და გარკვეული როლი შეასრულა აქ სახელმწიფოებრიობისა და კულტურის განვითარებაში.

ასურული წყაროები მოგვითხრობს აგრეთვე თაბალების (ტაბალების) შესახებ, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ გვაროენული წყობილების პირობებში (ჰყოლიათ 24 „მეფე") და რომლებმაც გვიან, VIII საუკუნეში, შეიქმნეს სახელმწიფო. ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასავლეთევროპული ორიენტალისტიკა მათ ქართველთა (იბერთა) წინაპრებად მიიჩნევდა. ეს აზრი ბუნებრივია, ქართულ ისტორიოგრაფიაშიც გავრცელდა (კერძოდ მას იზიარებდა იავნე ჯავახიშვილი). მაგრამ 1930-იანი წლების დასწყისში ცნობილმა შვეიცა-

32 D.D. Luckenbill, Ancient Records of Assyria and Babylonia, Chicago, vol.I, 1926, გვ 221.

რიელმა აღმოსავლეთმცოდნემ ემილ ფორერმა დაამტკიცა, რომ თაბალები ინდოევროპული წარმოშობისა (ლუვიელები) იყვნენ. ეს შეხედულება მალე გაიზიარა საქართველოში მცხოვრებმა რუსმა აღმოსავლეთმცოდნემ პეტრე უშაკოვმა, რაც შემდგომ, ათეული წლების განმავლობაში იგნორირებული იყო და დამკვიდრდა ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე (ისტორიკოს ნანა ხაზარაძის საშრომო წყაროებით). ამდენად, შესაბამისი თემა ჩვენი თხრობისათვის ზედმეტი გახლავთ.

აქვე დავსძენთ იმასაც, რომ VII საუკუნეში (ძვ. წ.) იქმნება დასავლეთქართველური, ჭანური მოდგმის ხალდების (არ უნდა აგვერიოთ ურარტუელებში, „ხალდებში!“) მსხვილ ტომთა (ტომობრივი) გაერთიანება, რაც დასტურდება შესაბამისი ხანის ურარტუულ საისტორიო წყაროში. ისინი ფრიგიასა და მელიტენასთან (მელიდუ) კავშირში ებრძოდნენ, სამწუხაროდ წარუმატებლად, ურარტუს (ამ უკანასკნელის მოკავშირენი იყვნენ კიმერიელები). ორასზე მეტი წლის შემდგომ მათს ტერიტორიაზე გაიარა ბერძენთა 10 ათასიანმა ლაშქარმა, რაც აღწერა მათმა მხედართმთავარმა ქსენოფონტემ თავის „ანაბასისში“. მაგრამ ხალდები ამჯერადაც ვერ ავიდნენ სახელმწიფოებრიობის საფეხურზე.

§8 კოლხა და ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხი

სწორედ ამ ხანაში გულისხმობენ მავანი ისტორიკოსები და ფილოლოგოსები ქართული სახელმწიფოებრიობის გაჩენას და შესაბამისად აქედან იწყებენ 3000 წლის იუბილეს აღნიშვნის საჭიროებას. განვიხილოთ, თუ რამდენად–საფუძვლიანია ეს მოსაზრება.

ძველ კოლხაში, ე. ი. 3000 წლის წინ, სახელმწიფოს არსებობის მტკიცება მოდის გიორგი მელიქიშვილისაგან. იგი ამ პერიოდის მიმართ ხან უბრალოდ „გაერთიანებას“ ხმარობს და ხანაც „პოლიტიკურ გაერთიანებას“, სახელმწიფოს. თუ მოგვიანო პერიოდის კოლხასთან მიმართებაში იგი ორჭოფობს, ასურეთის მეფე თუქულთი-ნინურტა I-ის (1245–1209) ხანის „კოლხეთში“ იგი გულისხმობს ოდენ ტომთა გაერთიანებას. თავის ერთ-ერთ წარწერაში ეს უკანასკნელი მოგვითხრობს (აქ და შემდგომაც მოგვაქვს გიორგი მელიქიშვილისეული თარგმანი): „როდესაც ღვთაება ასურმა ნაირის ქვეყნებზე და ზემო ზღვის ნაპირას

(მდებარე) ქვეყნებზე გამგზავნა... ნაირის ყველა ქვეყანა ჩემმა ხალხმა დაიპყრო. მათი 40 მეფე დავიმორჩილე, ჩემს ფერხთ წინაშე დავამხე და ხარკი დაუდე“.[33]

როგორც ვხედავთ, ტექსტში ლაპარაკია ძირითადად ნაირის ქვეყნებზე, მაგრამ გაურკვეველია, თუ რა გეოგრაფიული შინაარსი იგულისხმება „ზემო ზღვაში“: შავი ზღვა თუ ვანის ტბა? დასავლელი და რუსი ისტორიკოსები[34] ამ შემთხვევაში ვანის ტბას გულისხმობენ. გიორგი მელიქიშვილის მოსაზრებით კი აქ შავი ზღვა და შესაბამისად კოლხეთის სანაპირო იგულისხმება. იგი წერს: „აქ, მაშასადამე, ლაპარაკი უნდა იყოს ზღვისპირას მცხოვრები ტომების კავშირზე“.[35] მაგრამ საკითხავია 40 მეფეში როგორ მოხერხდა ერთი ტომთა (ტომობრივი) კავშირის გამოყოფა. ანდა რატომ არ ამტკიცებენ, რომ ამ შემთხვევაში კოლხი ტომებიც იხდიდნენ ხარკს ასურეთის სასარგებლოდ?

ალბათ ადვილად დაგვთანხმებით, რომ ამნაირი ფაქტის არგუმენტად მოხმობა ძალზე არასაიმედოა. ახლა ამავე ქვეყნის მეფის ტიგლათ ფალასარ I-ის 1112 წლის (ძვ. წ.) ლაშქრობაზე შევჩერდეთ. იგი მოგვითხრობს: ნაირის ქვეყნების 60 მეფეს, მათთან ერთად, რომელნიც მათ დასახმარებლად მოვიდნენ. ჩემი შუბით ზემო ზღვამდე მივსდიე. მათი დიდი ქალაქები დავიპყარი, მათი ნადავლი, მათი ქონება, მათი სარჩო-საბადებელი წამოვიღე. მათი ქალაქები ცეცხლში დავწვი, დავარბიე, დავანგრიე, ნანგრევთა გორაკებად და ნამსხვრევებად ვაქციე (ისინი). ცხენების, ჯორების, ჯორ-ცხენების მრავალრიცხოვანი ჯოგები და მათი მინდვრების პირუტყვი ურიცხვი წამოვიყვანე. ნაირის ყველა მეფე ჩემმა ხელმა ცოცხლად დაატყვევა. ეს მეფეები შევიწყალე. მე მათ სიცოცხლე შევუნარჩუნე. ისინი, დატყვევებულნი და

---

33 საქართველოს ისტორიის ნარკვევები I, 1970, გვ 367.

34 კერძოდ, ასურეთის ისტორიის რუსი სპეციალისტი ვ. ა. იაკობსონი ამ შემთხვევაში მხოლოდ ნაირის — სომხეთის ზეგანის ტომთა (სატომო) ბელადებს გულისხმობს. იხ. ი. დიაკონოვის, ვ. ნერაბოვასა და ი. სვენციცკაიას რედაქციით გამოცემული „История древнего мира“, III изд.; книга 1, М., 1989, გვ 208; აგრეთვე И.М. Дьяконов, Предыстория армянского народа, Ереван, 1968, გვ 99.

35 სინ. I, გვ 367. სხვათა შორის, ამასვე იმეორებენ ოთარ და მარიამ ლორთქიფანიძეებიც.

შებორკილნი, შამაშ ღვთაების, ჩემი მეუფის, წინაშე გავათავისუფლე და ფიცი მსახურებისა ჩემს დიდ ღვთაებათადმი დავადებინე მომავლის დღეთათვის და სამარადისოდ. (მათი) ძენი, მათი სამეფო ნაშიერნი, მძევლებად გამოუართვით. 1200 ცხენი, 2000. სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ხარკად დავადე და თაჯიანთ ქვეყნებში გავუშვი მე ისინი".[36]

გიორგი მელიქიშვილი აღნიშნავს: „ტიგლათფალასარ I-ის ზემომოყვანილ წარწერაში ყურადღებას იქცევს ის, რომ ნაირის იმ ქვეყნების კოალიციის საშველად, რომელსაც სათავეში დაიანი ედგა, მოდის სხვა „60 მეფის" ლაშქარი, რომელთაც ტიგლათფალასარი ამარცხებს და მიერეკება „ზემო ზღვამდე", ე. ი. ალბათ გამოსავალ პუნქტამდე. ამრიგად, აქ საქმე უნდა ეხებოდეს „ზემო ზღვის" ნაპირას მცხოვრებ მრავალრიცხოვან ტომებს, რომლებიც ალბათ სწორედ დაიანის მეფის მოწოდებით წამოსულან მისი და ნაირის სხვა ქვეყნების ლაშქრის მისაშველებლად".[37] სხვაგან იგი წერს: „ჩვენს ყურადღებას იქცევს ტიგლათფალასარის ერთ-ერთი წარწერა, ნაპოვნი სოფ. იუნჯალუსთან (მალაზგირთის მახლობლად), რომელშიც ასურეთის მეფე თავის თავს ეძახის „ნაირის ქვეყნების დამპყრობელს თუმედან ვიდრე დაიანამდე, (აგრეთვე) კილხის ქვეყნის დამპყრობელს ვიდრე დიდ ზღვამდე".[38]

მოცემულ შემთხვევებშიც დასაელელი მეცნიერები „ზემო ზღვაში" კელაე ვანის ტბას გულისხმობენ. ამ წარწერების შინაარსს სხვაგვარად იაზრებს ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნე იგორ დიაკონოვი. მისი აღიარებით ტიგლათფალასარ (კითხულობს ტიგლათ-

---

36 სინ, I გვ. 365-66.

37 იქვე, გვ. 366-67. იხ. აგრეთვე გიორგი მელიქიშვილის მიერ დაწერილი თაჯ ურარტუს შესახებ „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში", თბილისი, 1971, გვ. 415. მაგრამ იმავე სახელმძღვანელოში ასურეთის შესახებ (ნოდარ ლომოურის მიერ) დაწერილ თაჯში ვკითხულობთ: „ტიგლათფალასარ I ამარცხებს ნაირის ტომთა დიდ გაერთიანებას და ბოლოს აღწევს ვანის ტბასაც, რომლის ნაპირამდე მანამდე არც ერთი ასურელი მეფე არ მისულა". იქვე, გვ. 384. დავსძენთ იმასაც, რომ აქედან გამომდინარე გიორგი მელიქიშვილი ამტკიცებს ლაოხის გაელენის გავრცელებას მის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებზეც.

38 სინ, I გვ. 369.

პილასარად) I-ის ეს ლაშქრობა დიდ დავას იწვევს, რომ მისთვის უეჭველია „კილხის ქვეყნის“ ასურულ წყაროებში არარსებობა.[39] მივყვეთ მის აზრს უფრო ჩალრმავებით: „Предположение Г.А. Меликишвили (Наири-Урарту, стр. 127 и сл.; Ассирия и „страны Наири", стр. 124) основано на той же надписи Тиглатпаласара из Юнджалу, где сказано: „... Покоривший страны Наири от Тумми до Дайани, покоривший (страну) Habhi до Большого моря" Г.А. Меликишвили, несмотря на то, что страна Хабхи именно в этом написании десятки раз встречается в ассирийских текстах, в данном случае предлагает вместо hab применить другое известное чтение этого же клинописного знака, а именно kil, и при этом ссылается на то, что страна Хабхи обычно означает горы Армянского Тавра и не могла доходить до Черного моря. Однако совершенно невероятно, чтобы ассирийский писец произвольно сделал бы чтение надписи двусмысленным, и написание, привычное для общеизвестной страны Хабхи, употребил бы в другом, необычном смысле, имея в виду, что в его распоряжении были другие способы передать звукосочетание kil. Нам кажется, что здесь говорится об описанном выше походе 1112 г., а во второй – о следующем походе на Армянском нагорье, затронувшем только его южную часть (Хабхи) до Ванского озера, которое здесь и имеется в виду под „Большим морем". Ср. в позднейшем титуле Тиглатпаласара I „Покоривший (страны) от Великого моря Запада и моря Наири", то есть от Средиземного и Черного морей и до Ванского озера (АВИИУ I, N 16)“[40]

მტკიცედ გვჯერა, რომ მეცნიერებას აქვს თავისი მკაცრი ლოგიკა და, აქედან გამომდინარე, ალბათ უფრო სწორ პოზიციაზე დგანან დასავლელი და რუსი ისტორიკოსები, ვიდრე ვიორგი მელიქიშვილი. მართლაც, თუ ამ დროისათვის საკმაოდ კანონზომიერად ვეგულისხმებთ ცალკეული ტომებისა და ტომთა კავშირების არსებობას, მაშინ 60

39 იხ. ავტორის Предыстория армянского народа, გვ. 126.

40 იქვე, გვ. 127.

ასეთი ერთეულის ცხოვრება შავი ზღვის კოლხურ სანაპიროზე, თუნდაც გვიანდელი გავრცელების ფარგლებში ფანტასტიკის სფეროა და ამდენად ფრიად არადამაჯერებელი.[41] ამიტომაც აღარ შევჩერდებით იმ დასკვნებზე, რომლებიც ამ შემთხვევაში თითქოსდა კოლხეთის (თუ კოლხას) მიმართ იგულისხმება.[42]

ვიმეორებთ, რომ გიორგი მელიქიშვილი და მისი ბრმად მიმდევარნი ვითომდა აქ მოტანილი წარწერებიდან გამომდინარე ხედავენ ლოგიკურ (ისტორიული აზრით) რგოლებს ძველ კოლხაში ძლიერი სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური წარმონაქმნის დასამტკიცებლად.

ამრიგად უშუალოდ მივადექით კოლხას სახელმწიფოებრიობის საკითხს, რის შესახებაც, ჩვენდა საბედნიეროდ, ურარტუულ წყაროებში ორგზის გვხვდება საკმაოდ გაბმული თხრობა. ურარტუელთა პირველი ლაშქრობა ამ ქვეყანაში მოწყობილია ძვ. წ. 750-48 წლებში (თითქოსდა ორი წლის მანძილზე!). მის შესახებ მეფე სარდური II მოგვითხრობს: „გავემართე სალაშქროდ კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ. ღუთაება ხალდის სიდიადით ხახა, ხუსა(ლხი)ს ქვეყნის მეფე, მისი ხალხითურთ იქიდან წამოვიყვანე ტყვედ, გამოურეკე და დავასახლე ჩემს ქვეყანაში".[43] ვიმეორებთ, ძალზე უცნაურია ის ფაქტი, რომ ურარტუელებმა თითქოს ასე ხანგრძლივად, მთელი ორი წლის განმავლობაში, ილაშქრეს კოლხაში და ამ პერიოდში მხოლოდ მისი ერთი, დაპყრობილი ნაწილი—ხუსა(ლხი) დაულაშქრავთ და ა. შ. კიდევ

---

41 სომხეთის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში აღნიშნულია: „Ассирийские цари в XII-XI вв. до н. э. не раз вторгались в пределы Армянского нагорья, доходя до южного побережья Ванского озера". იხ. „История армянского народа", часть I, Ереван, 1951, გვ. 16. ე. იაკობსონი თუმცა კი აღიარებს ტიგლათფალასარ I-ის გასვლას შავი ზღვის სანაპიროზე, მაგრამ ნაირის, — და არა კოლხეთის, — 60 მეფის დადევნებისას. იხ. История древнего мира, III изд. кн. I, ი.მ. დიაკონოვისა და სხვათა რედაქციით, გვ. 208.

42 მაინც თურმე როგორი ყოფილა კოლხი ტომების მორჩილება-ურთიერთულება ურარტუსადმი! ამ კურიოზსაც დაუმატებდით, რომ გიორგი მელიქიშვილმა „კოლხეთის ეკლესიის" დაარსება და დასაწყისი უძველეს პრიმიტიულ ფორმებში [illegible]

43 სიმ. ა., გვ. 387.

უფრო მეტად უცნაურია, რომ არ ჩანს კოლხას მეფე, მისი სამხედრო ძალები, რომელთაც უნდა ეცადათ ქვეყნის დაცვა მომხდურთაგან. ამდენად აღნიშნული საისტორიო წყარო დიდი არაფრის მთქმელია. სარდური II-ის მეორეჯერაც დაულაშქრავს კოლხა 744-42/41 წლებში (ე. ი. სამი თუ ოთხი წლის მანძილზე!). იგი აღნიშნავს: „სარდური ამბობს: გავემართე სალაშქროდ კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ. ეს ქვეყანა (მე დავიპყარი). ქალაქი ილდამუსა, სამეფო ქალაქი კოლხას ქვეყნის მეფე.(...) სა-სი, ბრძოლით დავიპყარი, მისი მოსახლეობა გადაებუგე. კოლხას ქვეყნის (მეფის) ნაცვლები, რომელნიც კი იქ (ე. ი. ილდამუსაში – გ. ყ) იყვნენ, გავყლიტე. რკინის ბეჭედი გავაკეთებინე, წარწერა დავდგი(!) ქალაქ ილდამუსაში. ციხესიმაგრეები, ქალაქები დავწვი და დავანგრიე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები და ქალები გავრეკე“.[44]

ამ შემთხვევაშიც კვლავ დიდ უცნაურობას ვაწყდებით. კოლხაში აგრესორი ურარტუელი მეფე ლაშქრობს თითქოს სამი თუ ოთხი წლის განმავლობაში და არსად არ აღნიშნავს ქვეყნის მთავარ სამხედრო ძალებთან ასე ვთქვათ გენერალურ შეტაკებას. თვითონ „მეფე“, რომლის სახელიც, სამწუხაროდ, დაზიანებული აღმოჩნდა, არ ჩანს „სატახტო ქალაქში“. გიორგი მელიქიშვილის მიხედვით „ილდამუსა სამეფო რეზიდენცია არ უნდა იყოს, რაც იქიდან ჩანს, რომ თვით კოლხეთის(?!) მეფე საომარ მოქმედებაში არ მონაწილეობს – ეტყობა, ვერ მოასწრო ილდამუსას საშველად მისვლა“.[45]

მაგრამ ნუთუ ეს ვერ მოხერხდა მთელი 3 თუ 4 წლის განმავლობაში? ანდა ძლიერმა მტერმა განა ვერ მოახერხა ამავე დროის მანძილზე ქვეყნის ნამდვილი დედაქალაქის მონახვა-მოძებნა? გიორგი მელიქიშვილის აზრით, კოლხაში იყვნენ „მეფისნაცვლები“, ამდენად თითქოს ქვეყნის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ დაყოფას ჰქონია ადგილი, მაგრამ ასეთი დასკვნა ფრიად საეჭვოა.[46]

გარდა ამისა დიდად საკვირველია ყველა „მეფისნაცვლის“

---

44 სარ I, გვ 387.

45 იქვე, გვ 388.

46 პეტრე უშაკოვი მათ მაგიერ კითხულობდა „старшины“, „люд присяги“ სხვათა შორის, გ. მელიქიშვილი შესაბამის სიტყვას „irdi“-ს ან არ ანდა მეფისნაცვლად კითხვის ნიშნის ქვეშ აყრგმნის.

„დედაქალაქში“ ყოფნა. ამ და რიგ სხვა უხერხულობებს აშკარად გრძნობს გიორგი მელიქიშვილი და ამიტომ წერს: „რა თქმა უნდა, კლასობრივი საზოგადოების დონეზე, დიაოხის მსგავსად აქ გაერთიანების(!) წამყვანი მოსახლეობაა სავარაუდებელი. ამ სამეფოს გავლენის სფეროში ალბათ შედიოდა ბევრი ისეთი რაიონიც, რომლის მოსახლეობა ჯერ კიდევ პირველყოფილ თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდა“.[47]

თუ დიაოხისა და ვიტერუხის (ქვეყანა) მაგალითებით ვიმსჯელებთ, ურარტუელებმა ალბათ კოლხადანაც ნადაელის სახით, ტყეებს გარდა, უმთავრესად საქონელი (პირუტყვი) წაასხეს. ამდენად ჩანს, რომ ქვეყნის ეკონომიკაში ძირითადი, წამყვანი ყოფილა მესაქონლეობა. ისიც ცხადია, რომ რკინის მეტალურგია ჯერჯერობით არ ყოფილა ფართოდ გავრცელებული (სხვათა შორის, ამაში, უნდა ვიფიქროთ, თავი იჩინა ქვეყნის სიმდიდრემ სპილენძის მადნეულობით).

აი ასეთი გახლავთ ის წყაროთმცოდნეობითი და ფაქტობრივი ბაზა, რაზე დაყრდნობითაც ამტკიცებენ კოლხაში განვითარებული სახელმწიფოებრიობის არსებობას. მაგრამ თუ კრიტიკულ, მეცნიერულ (და არა მითოსურ!) აზროვნებას მივმართავთ, ბევრი რამ სხვაგვარად წარმოჩნდება. უფრო საგულისხმოა, რომ კოლხა ტომთა ფართო გაერთიანებას (კავშირს) წარმოადგენდა და ამდენად სამხედრო დემოკრატიას განასახიერებდა. „სამეფო“ ხელისუფლების მთავარ ეკონომიკურ ფუნქციას ალბათ ნახევარდმომთაბრული მესაქონლეობის რეგულირება შეადგენდა (ბარიდან მთის საზაფხულო საძოვრებზე და პირიქით). ომიანობაც მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია უნდა ყოფილიყო. ცხადია, ურარტუელთა მიერ ამ შემთხვევაში „მეფის“ მოხსენიება ვითარებას სრულიადაც ვერ სცვლის. თუ როგორ ორჭოფულია ამ თვალსაზრისით გიორგი მელიქიშვილის პოზიცია, ამის დასადასტურებლად მოვიტანთ მის აზრს: „დიაოხისა და კოლხას დიდი და შედარებით მყარი, საუკუნეთა მანძილზე არსებული პოლიტიკური (?) წარმონაქმნები თუ არა სახელმწიფოებრივ, ყოველ შემთხვევაში გასახელმწიფოებრიობის მიჯნაზე მდგარ, გაერთიანებებს უნდა (!) წარმოადგენდნენ. ეს, რა თქმა უნდა... სრულიადაც არ გულისხმობს

47 სინ., I, გვ 388.

იმას, რომ მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ვრცელდებოდა ამ გაერთიანებათა ჰეგემონობა, ჩვენ უკვე კლასობრივი საზოგადოება გვაქვს".[48]

ერთი სიტყვით, მიგვაჩნია, რომ კოლხას გაერთიანება არ უნდა ყოფილიყო წინ თრიალეთის ტომთა (ტომობრივ) გაერთიანებაზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ კოლხას ეთნიკური ხასიათის შესახებაც. აღნიშნული საკითხების მთავარი სპეციალისტი გიორგი მელიქიშვილი წერს: „როგორც გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის მატარებელი, ისე ძველი კოლხური სამეფოს მოსახლეობა უმთავრესად ქართული ტომებისაგან შედგებოდა. ამ დროს ქართებსა და მეგრელ-ჭანებს შორის ეთნობრივი განსხვავება(!) ჯერ თითქმის არ იყო".[49] მაგრამ ამგვარი წარმოდგენა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ჯერ ერთი მცდარია ე. წ. გლოტოქრონოლოგიურ მეთოდზე დამყარებული ასეთი დასკვნის გაკეთება და, მეორე, წარმოდგენა თითქოს მხოლოდ ამის შემდგომ საუკუნეებში მოხდა ქართების მიგრაცია აღმოსავლეთით, ქართლში (მაშინ როგორ გაეიგოთ მესხების ეთნიკური ვინაობა?). ასევე დიდი გაუგებრობაა კოლხას „სახელმწიფოს" ტერიტორიული გაერცელება ჩრდილო-აღმოსავლეთით, მათ შორის სვანთა ადგილსაცხოვრისის ჩათვლით.[50]

დაბოლოს, კოლხას შემთხვევაში გაურკვეველი რჩება 3000 წლოვანების საკითხიც. თუ სარდური II-ის უკვე მოტანილი პირველი წარწერიდან გამოვალთ, მაშინ კოლხას „სახელმწიფო" დოკუმენტურად დასტურდება 2750 წლის წინათ. დანარჩენ 250 წელიწადს რა მოვუბერხოთ? მაგრამ ძირითადი აზრობრივის სიჭარბისას, ცხადია, ეს დაბრკოლება არაა. ბოლო თუ რას ეფუძნება ძველი კოლხური „სახელმწიფოებრიობის" წინაისტორია (თითქოსდა ასურული წყაროების მიხედვით) ამის თაობაზე უკვე მოგახსენებდით.

---

48 გ. მელიქიშვილი, „საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის", თბილისი, 1955, გვ 92; აგრეთვე გვ 87, 90, 91; იხ. ასევე სინ. I, გვ 380, 388.

49 სინ. I, გვ 389.

50 იქვე.

§9 სასპერები და სახელმწიფოებრიობის საკითხი

სასპერების ეთნიკური კუთვნილების პრობლემა ერთ დროს (განსაკუთრებით ალექსანდრე სვანიძისა და სიმონ ჯანაშიას შრომების წყალობით) თითქოს საკმაოდ გარკვეული იყო; ამ სახელწოდებას უკავშირებდნენ „იბერს“ და შესაბამისად სასპერები იგივე იბერებად მიაჩნდათ. მაგრამ მოხდა ისე, რომ გიორგი მელიქიშვილმა სასპერები ხურიტული მოდგმის ხალხად წარმოადგინა, თუმცა საამისო არგუმენტები, რაგინდ პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს, მას არ მოუტანია. მისი ავტორიტეტის გამო სხვა ქართველი ისტორიკოსებიც სასპერებს ალარ მოიხსენიებენ. მიგვაჩნია, რომ უფრო სწორი უნდა იყოს ტრადიციული წარმოდგენა დასავლეთევროპელი და რუსი აღმოსავლეთმცოდნეებისა (პ. კპერტი, ჰ. როულინსონი, ბ. პიოტროვსკი, ი. დიაკონოვი და სხვანი), რომელთა თანახმადაც სასპერები ქართულ ეთნიკურ სამყაროს მიეკუთვნებიან. მათ შესახებ გვაქვს წერილობითი წყარო ჰეროდოტეს „ისტორიის“ სახით, სადაც ვკითხულობთ: „სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც უწოდებენ მეწამულს. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელებს ზემოთ სასპერები, სასპერებს ზემოთ კოლხები... ეს ოთხი ტომი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე“.[51] ამავე ნაშრომში ასეთი ტერიტორიული თანამიმდევრობა მეორეგანაც გვხვდება. რაკი ჰეროდოტე ცხოვრობდა ძვ. წ. V საუკუნეში (480–421 წლებში), ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ მისეული ინფორმაცია ასახავს წინანდელი პერიოდის ვითარებასაც, კერძოდ მიდიის ძლიერების ხანას („ისტორიის მამა“ ხომ მიდიელებს სპარსელებისაგან ცალკე გამოჰყოფს, რაც V საუკუნისათვის (ძვ წ.) ნაკლებ მოსალოდნელია).

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩანს, რომ სასპერებს ფართო გაერთიანება ჰქონიათ, მოიცავდნენ რა ყოფილი ურარტუს მნიშვნელოვან ნაწილს და აღმოსავლეთ საქართველოს (ალ. სვანიძე). მაგრამ დაისმის საკითხი აღნიშნული გაერთიანების თაობაზე – იყო იგი ფართო ტომობრივი თუ პოლიტიკური (სახელმწიფოებრივი) ხასიათისა. ჰ. კი-

---

51 ესარგებლობ თინათინ ყაუხჩიშვილისეული თარგმანით.

პერტის აზრით იგი წარმოადგენდა ფართო სახელმწიფოებრივ გაერთიანებას, რომლის ცენტრი იყო სპერში (დღევანდელი თურქული გეოგრაფიული ნომენკლატურით ისპირში). მაგრამ მსგავსი მტკიცებისათვის სერიოზული საფუძველი არ არსებობს. შემდეგში სასპერები ალაროდებთან (ურარტულებთან) და მატიენებთან (მითანელებთან) ერთად შედიოდნენ სპარსეთის იმპერიის XVIII სატრაპიაში. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამათთან იყო დაკავშირებული არიან-ქართლი, რომელიც გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა და რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ძველი ქართული (აღმოსავლურ-ქართული) სახელმწიფოებრიობის განვითარებაში.

§10 ანტიკური[52] ხანის კოლხური გაერთიანების ისტორიიდან

ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, რომ დიდად საეჭვოა თითქოს ურარტული ხანის კოლხას გაერთიანების (წარმონაქმნის) დროს აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი და საერთოდ დღევანდელი დასავლეთ საქართველოს დაბლობი ნაწილი შედიოდა მის შემადგენლობაში. ვწერდით იმაზეც, რომ თუ კიმერიელები ჩვენს ტერიტორიაზე შავი ზღვის სანაპიროთი შემოიჭრნენ, რასაც მოჰყვა კოლხას „სახელმწიფოს" განადგურება, მათს შემოსევას არანაკლები დამანგრეველი შედეგები უნდა ჰქონოდა დასავლეთ საქართველოსათვისაც. მაგრამ, რაგინდ პარადოქსულად უნდა გამოჩნდეს, ამ მომენტებს ქართულ მეცნიერებაში ყურადღება არ ექცევა. ისტორიკოსები და არქეოლოგოსები (სიმონ ჯანაშიას კვალდაკვალ) მსჯელობენ პოლიტიკური ცენტრის გადანაცვლებაზე სამხრეთიდან (კოლხეთიდან) ჩრდილოეთისაკენ (კოლხეთის დაბლობზე). აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ხანის ისტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციისას ჩვენ ოდენ არქეოლოგიური მასალები არ გაგვაჩნია. მას შუქი ეფინება ძველბერძნული წერილობითი წყაროე-

52 ტერმინ „ანტიკურს" ვხმარობთ პირობითად, ანტიკური საშყარის ისტორიულ პროცესში კოლხეთის ჩართულობის და არა შესაბამისი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გამო.

ბითაც. ისინი მით უფრო მრავლდება VII საუკუნიდან (ძვ. წ.) მოკიდებული, როდესაც იწყება ძველბერძნული კოლონიზაცია (ჩვენს სანაპიროზე), რამაც, ქართველობის საბედნიეროდ, თითქმის მთელი ჩვენი ზღვისპირეთი მოიცვა. ბერძნული პოლისებიდან (ქალაქ-სახელმწიფოებიდან) ამ მხრივ აქტიურობით გამოირჩეოდა მილეტი, რომელმაც თავისი კოლონია (ახალშენი) ჩვენს ზღვისპირეთში პირველად VII საუკუნეში (ძვ. წ.) დააარსა სინოპეში, ხოლო კიმერიელთა მიერ ამ უკანასკნელის განადგურების შემდგომ კოლონია კლავე იქნა აღდგენილი (ძვ. წ. 631 წელს). მათვე დააარსეს ტრაპეზუნტი (757–56 წლებში), ამისოსი – VII საუკუნეში, ხოლო ძვ. წ. 530-იან წლებამდე – კოტიორა და კერასუნტი. მომდევნო V საუკუნეში იქნა დაარსებული გიეროსი (ოჩამჩირის ადგილას) და დიოსკურია (სოხუმის ტერიტორიაზე). სავაჭრო ფაქტორიის (ემპორიონის) არსებობას ვარაუდობენ ქობულეთ-ფიჭვნარის შემოგარენში.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბერძენი მოახალშენეები კოლონიებს (აპოიკიებს) აარსებდნენ ან უკვე დაარსებულ პუნქტებში, არდა დასახლებულ ადგილებში. მაგრამ ორივე შემთხვევაში, ცხადია, უცხოელთა, ანუ ჩვენი დასაველელი წინაპრების მიწა-წყალზე. სხვათა შორის ქსენოფონტეს „ანაბასისში“ ვხვდებით ასეთ ადგილს: კოტიორაში შესულ ბერძენ მოქირავნეებს სინოპის ელჩები აფრთხილებენ, რომ არ დაარბიონ კოტიორელები, რადგან ისინი სინოპის კოლონისტები არიან და სწორედ მათ მისცეს შესაბამისი მიწა-წყალი კოტიორელებს, როცა იგი „ბარბაროსებს“ წაართვეს. რასაკვირველია, მსგავს მოვლენებს ადგილი არ ექნებოდა, ჩვენს წინაპრებს რომ აქ ძლიერი სახელმწიფოებრიობა ჰქონოდათ. მაინც, მიუხედავად ამისა, ვიტყვით, რომ ბერძნულმა კოლონიზაციამ გარკვეული დადებითი როლი ითამაშა სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის მოსახლეობის განვითარებაში. უპირველესად ეს ითქმის ეკონომიკურ პროგრესზე – ჩვენი ტომები (ხალხები) ჩაებნენ აღებმიცემობაში არა მხოლოდ ადგილობრივ კოლონიებთან, არამედ საბერძნეთთანაც. ცხადია, აღნიშნულმა მოვლენამ ზეგავლენა იქონია აგრეთვე კულტურის განვითარებაზე. დაბოლოს, ამის წყალობით დიდად მოეფინა შუქი ჩვენი ძველი ისტორიის შესაბამის მონაკვეთს.

ქართულ მეცნიერებაში გავრცელებულია შეხედულება (ოთარ ლორთქიფანიძისაგან მომდინარე) თითქოს ბერძნული ახალშენები აღმოსავ-

ლეთ მაუზღვისპირეთში არ წარმოადგენდნენ პოლისებს, არამედ ემპორიონებს (სავაჭრო ფაქტორიებს), რომლებსაც კოლხეთის სახელმწიფო აკონტროლებდა. ეს კი თითქოს მოხდა კოლხური სახელმწიფოებრიობის ძლიერების წყალობით. მაგრამ თავი რომ დავანებოთ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს, ბერძნული კოლონიები პოლისების სახით არსებობდნენ თრაკიის სანაპიროზე და სკვითიაში, სადაც სახელმწიფოებრიობა საკმაოდ თვალსაჩინო ფორმით იყო გამოხატული (შემდეგში, როგორც ვიცით, ადგილობრივი პოლისების საფუძველზე ყირიმში ფართო პოლიტიკური გაერთიანება – ბოსფორის სამეფო ჩამოყალიბდა). „პატრიოტულად“ კი ჟღერს, მაგრამ მეცნიერულად, ლოგიკის აზრით ოთარ ლორთქიფანიძისეული ახსნა ძალზე მოიკოჭლებს. ჩვენი ფიქრით კი მიზეზი შემდეგშია საძებნი. ფაზისი, გიენოსი და მისთანანი ყოველ შემთხვევაში მძლავრ პოლისებად (ქალაქ-სახელმწიფოებად) ვერ გახდებოდნენ და ვერ შეძლებდნენ ფართო ექსპანსიას სათანადო მიმართულებით იმიტომ, რომ ისინი ძირითადად საშაბაშლო ვაჭრობით იფარგლებოდნენ. შესატყვისი სამიწათმოქმედო (აგრარული) ბაზა კი მათ არ გააჩნდათ საკმარისი გასაგები მიზეზის გამო: ადგილობრივი ჭაობიანი და მწირი მიწები (ფაზისში, გიენოსში) და მათი მცირე ფართობები (დიოსკურიაში, პიტიუნტში), ცხადია, მეურნეობის შესაბამის დარგს ვერ განაყოთარებდა. ამდენად, ამ კოლონიებში მიწათმფლობელთა მნიშვნელოვანი ფენა ვერ გაჩნდებოდა. მით უმეტეს ჭაობების გაერცელების მიზეზით აქ მოსახლეობას ცხოვრება უჭირდა. დიდად საოცარია, რომ აღნიშნულ გარემოებას ქართველი ისტორიკოსები და არქეოლოგოსები ჩვეულებრივ უგულებელყოფენ ხოლმე.

მაგრამ დიდი წარმოსახვის უნარი არ არის საჭირო იმისათვის, რათა გავიცნობიეროთ სათანადო სინამდვილე. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ხომ ვიცით, რომ მედიცინის მამამთავარი ჰიპოკრატე (460-377/356) აშკარად ნამყოფია კოლხეთში და მას ეკუთვნის ცნობილი ტრაქტატი „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“, სადაც ცხოვლად, შთამბეჭდავად გადმოცემულია „ფასისელთა“ (*Φασιηνοι*) ყოფა-ცხოვრება. ტრაქტატში ვკითხულობთ: „ვინც ფაზისში ცხოვრობს, მათ შესახებ (შემდეგი მაქვს სათქმელი): ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყველა დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ,

და (მათი) ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნაეთსადგურებში, არამედ დაცურავენ ალმა-დალმა ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია. ისინი სვამენ თბილსა და დამდგარ წყალს, მზისგან დამპალს და წვიმებისაგან ადიდებულს. თვითონ ფასისი კი ყველა მდინარეთა შორის ყველაზე უფრო დინჯია და მდორედ მიედინება. ნაყოფი, რომელიც იქ წარმოიშვება, ყველა ზრდადაუსრულებელია, სუსტი და უვარგისი წყლის სიუხვის გამო. ამიტომ (აქ ნაყოფი) არ მწიფდება, წყლებისაგან ამ ქვეყანას დიდი ნისლი ადგას"[53].

მედიცინის მამამთავარსა და ისტორიის, საზოგადოების გაგებაში გეოგრაფიული დეტერმინიზმის ერთ-ერთ დამწყებს არ გამოჰპარვია ამგვარ გეოგრაფიულ პირობებში მცხოვრები ადამიანები: „ამ მიზეზების გამოა, რომ ფასისელებს სხვა ადამიანებთან შედარებით დიდად განსხვავებული შესახედაობა აქვთ: ტანად დიდები არიან, სისქით — მეტისმეტად სქელები; არც ერთს არ ემჩნევა არც სახსარი და არც ძარღვი: კანი კი ყვითელი აქვთ, თითქოს სიყვითლე სჭირდეთ. ლაპარაკობენ ადამიანთა შორის ყველაზე ბოხი ხმით, (რადგან) სუფთა ჰაერით კი არ სუნთქავენ, არამედ ნოტიოთი და ნესტიანით; ხოლო იმისათვის, რომ სხეულს ჯაფა არ მიაყენონ, ძალიან ზარმაცები არიან"[54].

რაც შეეხება ჰიპოკრატეს მიერ აღწერილ კოლხეთის (ზღვისპირა) ბუნებრივ პირობებს, იგი (აღწერა) ძალიან ზუსტია. არქეოლოგიური მასალებიდანაც ხომ ჩანს, რომ აქ ტიპურ სამოსახლოს წარმოადგენდა განცალკებულად ან ჯგუფ-ჯგუფად აღმართული ერთი ან რამდენიმე არხშემოვლებული და ამასთანავე მდინარესთან დაკავშირებული ბორცვი, რომლებზედაც ხის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი იდგა.[55] უნდა ვიფიქროთ, რომ ჭაობიანობის გამო სახლები ხიმინჯებზე იყო შემდგარი. მთლად ასეთივე ზუსტი არაა ჰიპოკრატესეული თხრობის მეორე ნაწილი; აქ აშკარად გადაჭარბებასთან

---

53 იხ. თ. ყაუჩიშვილი, „ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ", თბილისი, 1965, გვ. 45-46.

54 იქვე, გვ. 47.

55 რა თქმა უნდა, თავის მხრივ, არხების გაყვანა ჭაობების დაწრეტას იწვევდა და ალბათ მსგავს ღონისძიებას დრენაჟის მიზანიც ჰქონდა.

გაქვს საქმე. მაგრამ რომც დაეუშვათ, რომ ჰიპოკრატეს, როგორც ექიმს, ამ შემთხვევაში მხოლოდ ავადმყოფები აინტერესებდა, მაინც, ცხადია, ამგვარ ავადმყოფთა რაოდენობა მოსახლეობაში საკმაოდ ხშირი იქნებოდა. ერთი სიტყვით, ქვეყანაში ამ დროსაც და შემდგომშიც მძვინვარებდა მალარია (ქართულად „ციებ-ცხელება"), რომლის წინააღმდეგ არათუ ქინაქინა, არამედ მასთან ბრძოლის ისეთი უბრალო საშუალებაც კი, როგორიცაა თევზი გამბუზია (შესაბამისი ავადმყოფობის გამაურცელებელი კოლოს – ანოფელესის ბიოლოგიური მტერი), არ იცოდნენ.[56]

დავასკვნით, რომ ჰიპოკრატესეული ეს ცნობები დიდად ფასეულია და მათ გაუთვალისწინებლად შესაბამისი სინამდვილის გაგება ძალიან გაჭირდებოდა. თუ ჰიპოკრატეს აღნიშნული ცნობებიდან იმავე კოლხეთის შესახებ სტრაბონისეულ ცნობებზე გადავალთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელიც ასე თუ ისე აცნობიერებდა კოლხეთის ბუნებრივი პირობების სიმწირეს თავისთავად და ივერიასთან (ქართლთან) შედარებით. ფაქტია, ქვეყნის იმ ნაწილშიც, სადაც ჭაობები და მალარია არ მძვინვარებდა, ნიადაგი ნაკლებ ნაყოფიერი იყო და სახნავ-სათესების ვრცელი მასივებიც არ არსებობდა. ასეთ პირობებში ფართოდ გავრცელდა ღომის კულტურა, რომელიც ძალზე შრომატევადია და საკვებადაც ნაკლებ მაწიერი (კალორიული). ხორბლეული შემორჩა ლეჩხუმში, რაჭაში, ზემო იმერეთში, სამეგრელოს ერთ ნაწილში. შევნიშნავთ, რომ ქართულ მეცნიერებაში აღნიშნული გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენილა – მის შესახებ, ასევე კოლხეთის სამეურნეო (სამიწათმოქმედო) ბაზის შეზღუდულობაზე ივერიასთან

---

56 სხვათა შორის, ტრაგიკულად აღსრულებული ჩვენი პოეტი ტიციან ტაბიძე ჰიპოკრატესეული აღწერილობის შესახებ წერდა (პოემაში „რიონი-პორტი"): „სჯობდა, რომ სულაც არ დაეწერა"-ო. მისგან განსხვავებით, შვაცისეე ბედლიბლის მჭონე ალექსანდრე სვანიძე აღნიშნავდა: „მაგრამ კოლხეთის ჰაეის მიმართ ეს შემთხვეეითი მოსაცემებიც უჩვენებენ ჩვენი აეტორის ბრწყინვალე ცოდნას ამ ქვეყანასთან (!)". იგი საგანგებოდ სწორად დასძენდა: „ცხადია, ლაპარაკია არა კოლხეთზე მთლიანად, არამედ კოლხეთზე, რომელიც მდებარეობდა მდინარე ფასისის ქვემო დინებაში". იხ. ავტორის „Материалы по истории алародийских племен", Тбилиси, 1937, გვ. 125.

(ქართლთან, ფართო მნიშვნელობით) შედარებით წერდა ნიკო ბერძენიშვილი.[57]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, კოლხეთი მოსახლეობის თვალსაჩინო სიმჭიდროვით არ იქნებოდა გამორჩეული, რაც, თავის მხრივ, შესაძლებლად შესაბამისი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს.

ამდენად, კოლხეთის დიდი უპირატესობა ქართლთან (იბერიასთან) შედარებით ისტორიული გარემოს (საბერძნეთთან ინტენსიური კონტაქტები) თვალსაზრისით, დიდად ქარწყლდებოდა ბუნებრივი პირობებისა და მოსახლეობის ნაკლები სიმჭიდროვისა და საერთო რაოდენობის სიმცირის გამო.[58]

როცა, კერძოდ ამ შემთხვევაში, კოლხეთის ეკონომიკაზე (წარმოების წესზე) ვსაუბრობთ, საკუთრებისა და ექსპლოატაციის ფორმების გარდა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შრომის ეკონომიკური დანაწილება მასსა და სხვა ქვეყნებს შორის. კოლხეთიდან ბერძნებს გაპქონდათ: სელი, როგორც საფეიქრო წარმოების ნედლეული და მისგან დამზადებული პროდუქცია, გემთაშენი ხე-ტყე, ცვილი, ფისი, თაფლი. რაკი კოლხი მონების არსებობის ფაქტები დადასტურებულია საბერძნეთის ისტორიაში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ექსპორტის საგანს შეადგენდნენ მონებიც. ისტორიკოსები და არქეოლოგოსები ლაპარაკობენ აგრეთვე ბზაზე (ძვირფას ხე-ტყის მასალაზე), ბეწვეულზე, ოქროსა და რკინაზე. საბერძნეთის გარდა კოლხეთს თავისი ნაწარმი გაპქონდა ყირიმში (ყოფილ ტაურიდაში). აქ (კერძოდ ნიმფეონში, პანტიკაპეონში) აღმოჩენილი კოლხური პითოსების (ქვევრების) და დერგების ფრაგმენტები (ე. ი. გაპქონდათ კერამიკული ნაწარმი და ღვინო), კოლხური მონეტები ამას ნათლად ადასტურებს. უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხეთს გარკვეული სავაჭრო ურთიერთობანი ექნებოდა ქართლთან (იბერიასთან) მით უმეტეს ამიერკავკასიაში გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზის ფუნქციონირების დროს. მა-

---

57 იხ. „საქართველოს ისტორიის საკითხები", ტ. VIII, თბილისი, 1976, გვ. 248–252; აგრეთვე ჩვენი სტატია „ბუნება და ისტორია. საქართველოს ისტორიის მაგალითზე", ჟურნ. „ცისკარი", 1981, N 6, გვ. 156–157. სხვათა შორის, იგი მოხსენდა ისტორიის... ინსტიტუტის საისტორიო გეოგრაფიის განყოფილების სხდომას 1973 წლის მაისში.

გრამ, დიდად სამწუხაროდ, ამ საკითხზე რაიმე კონკრეტულის თქმა ჯერჯერობით შეუძლებელია.

საბერძნეთიდან კოლხეთში შემოჰქონდათ კერამიკული ნაწარმი, ბრინჯაოსაგან დამზადებული საგნები, ნელსაცხებლები, სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან: ღვინო და ზეთუნის ზეთი. ასე რომ, იმპორტირებული საქონელი ფუფუნების საგნებს წარმოადგენდა და, ცხადია, მხოლოდ საზოგადოების ზედაფენის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა.[58]

მსგავსი მოთხოვნილებანი მაშინდელ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" რომ საკმაოდ მოჭარბებულად ჰქონდათ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მათ ხელი მიჰყვეს ადამიანთა მონებად გადაქცევას და მათ ექსპორტს საბერძნეთში. ამდენად დაწყებულა „ტყვის სყიდვა" და როგორც ამას გვიანი ხანის საქართველოში (საერთოდ) ჰქონდა ადგილი, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობის საზიანოდ. ამდენად, ძველ დასავლეთ საქართველოში არათუ მტკიცედ მოიკიდა ფეხი მონობამ უცხოელთა ხარჯზე, არამედ თვითონ ადგილობრივი, აბორიგენი მოსახლეობის ერთი ნაწილი მონათმფლობელობის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის, განვითარების „თანაშემოქმედი" გახდა საბერძნეთში.

უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხეთში საკმაოდ ამოქმედებულა სავაჭრო კაპიტალი, მაგრამ ძირითადად უცხოელთა – ბერძნების ხელში. თუ ადგილი ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობის ჩაბმას ამ საქმიანობაში, ეს იქნებოდა ძალიან მცირე მასშტაბით. სამწუხაროდ, არ შეგვიძლია რაიმე კონკრეტულის თქმა იმდროინდელ კოლხეთში სავაჭრო კაპიტალის განვითარებაზე და ამ ეკონომიკურ საფუძველზე სავალო კაბალის, სავალო მონობის გაჩენაზე. სასაქონლო წარმოების გარკვეულ განვითარებას გამოუწვევია ფულის წარმოქმნა; ბერძნების მიერ მოჭრილი ფულის (მონეტების სახით) გარდა, ადგილობრივ მიმოქცევაში ყოფილა ე.წ. კოლხური ფულიც (პირობითად „კოლხური თეთრის" სახელწოდებით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეცრულ-

---

58 როგორც ვიცით, ბიზანტიურ ხანაში ლაზიკას იმპერიიდან შემოჰქონდა პური (ხორბალი) და მარილი, ე. ი. მასობრივი მოხმარების საგნები. არსებობს მოსაზრება, რომ ბერძნულ კოლონიებს მარილი შემოჰქონდათ კოლხეთსა და ამიერკავკასიის შიდა რაიონებში. იხ. „История древнего мира", წ.2, ი. დიაკონოვისა და სხვათა რედაქციით, გვ 384.

ჭანურ ენაზე ამ პერიოდში არ გაჩნდა თუ ვერ იქნა შემონახული ფულის აღმნიშვნელი სიტყვა). მაგრამ პარადოქსია, რომ იგი იჭრებოდა მხოლოდ VI–IV საუკუნეების განმავლობაში. ჭრიდნენ ტეტრადრაქმებს, დიდრაქმებსა და დრაქმებს (უკანასკნელი იყო ვერცხლისა და მისი წონა იყო 2,6 გრამი). მაგრამ სასაქონლო-ფულადი მეურნეობის ფუნქციონირებას ხომ უყრია წერილი ფულადი ერთეულებიც (ვერცხლის ტრიობოლებზე ნაკლები) ესაჭიროებოდა, და თანაც უყრია დაბალი ღირებულებისა (სპილენძისა და რკინისა). ამას კი, ასევე იმპორტში მასობრივი მოხმარების საქონლის არარსებობას, საკმაო კორექტივი შეაქვს იმდროინდელ კოლხეთში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ვითომდა მაღალი განვითარების თაობაზე მტკიცებაში.

ეკონომიკური განვითარების აღწერილი სურათი გვიხსნის იმჟამინდელი კოლხური საზოგადოების სოციალურ სტრატიფიკაციას. საზოგადოებაში გაჩნდა სოციალური ზედაფენა (საერო და ქურუმებისა), რომელმაც მართვის ფუნქციები შეიძინა. ისინი ცხოვრობდნენ ნაწილობრივ მონებისა და ალბათ გარკვეულწილად თავისუფალთა (გლეხობის) ხარჯზე. გიორგი მელიქიშვილის წყალობით ფართოდ გავრცელდა შეხედულება, თითქოს მაშინდელ კოლხეთში არსებობდნენ ნახევრადთავისუფალნიც (ასე ვთქვათ კოლონატის ტიპისა),[59] როგორც ამას ჰქონდა ადგილი მოგვიანო (სტრაბონის) ხანის ქართლში. მაგრამ ფრიად გაურკვეველია, თუ რა საისტორიო წყაროებს, კონკრეტულ ფაქტებს ეყრდნობა მსგავსი მტკიცება. რამდენადაც ესენი არ არსებობს, ამდენად ჩვენს ასეთ მტკიცებულებას არავითარი საფუძველი არ გააჩნია. იგივე მკვლევარი, მსგავსად კოლხადროინდელი ვითარებისა, დასძენს: „რა თქმა უნდა, ასე დაწინაურდა ძირითადად ცენტრალური კოლხეთის, კოლხეთის ბარის მოსახლეობა. კოლხეთის ჩრდილოეთ და სამხრეთ მთიანეთში მცხოვრებნი კი უმთავრესად კვლავ გვაროვნული წყობილების პირობებში განაგრძობდნენ ცხოვრებას არა მარტო ამ დროს, არამედ დიდხანს ამის შემდეგაც“.[60]

ამდენად, დასაფლეთ საქართველოთი რომ შემოვიფარგლოთ, ცივი-

---

59 სინ, I გვ. 414. სხვათა შორის, აქ აღნიშნულია „ნახევრად თავისუფალ მიწათმოქმედთა ფართო (!) მასები“.

60 იქვე.

ლიზაციიდან გამორიცხულია ლეჩხუმი, რაჭა, მთიანი გურია, ზემო იმერეთი, ქვემო სვანეთი და ა. შ. რაკი ასეა, ჩანს გიორგი მელიქიშვილი დიდი ალბათობით არ არის VI-I საუკუნეების კოლხური საზოგადოების განვითარებაზე.

ახლა შესაბამის პოლიტიკურ წყობილებაზე (სახელმწიფოზე) გადავალთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიმონ ჯანაშიას მიხედვით, ამ დროს კოლხეთის სახელმწიფო უთუოდ არსებობდა. მისი მთავარი არგუმენტი გახლდათ „კოლხური თეთრის" არსებობის ფაქტი. მაგრამ თავი რომ დავანებოთ საკითხს, რომ მისი მოჭრა მართლაც იმდროინდელი კოლხური შესაბამისი წარმონაქმნის პრეროგატივას შეადგენდა, თავისთავად მხოლოდ ეს ფაქტი არა კმარა სახელმწიფოს არსებობის დასამტკიცებლად — ფული შეეძლო მოეჭრა ე. წ. სამხედრო დემოკრატიის ძალაუფლებასაც. ცხადია ისიც, რომ შესაძლოა სახელმწიფო ფუნქციონირებდეს, მაგრამ ფულის მოჭრის გარეშე (კერძოდ ასე იყო ქართლში საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე). თანაც, ვიცით, რომ ალბათობა გაჩნდა VI-IV საუკუნეებში. ამის შესახებ მეტყველებს ის ფაქტი, რომ III საუკუნეში (ძვ. წ.) „მეფე" აკემ თავისი სახელით მოჭრა ლისიმაქეს სტატერების მინაბაძი მონეტა (ე. წ. აკეს სტატერი). ესაც და ეს, ასე რომ, ამ თვალსაზრისით ბუნებრივ არგუმენტად არ გამოდგება.

მოვიყვანოთ ალბათობის რიგი, რომლის მიხედვითაც ბერძენთა ათიათასიანმა ლაშქარმა ძვ. წ. 401 წელს დაასრულა თავისი დაბრუნების მარშრუტი და შავი ზღვის სანაპიროზე (კოტიორაში) მოვიდა, მისმა ნაწილმა მოისურვა „ფასისში", „ფასიანთა ქვეყანაში" გალაშქრება, სადაც, ქსენოფონტეს თქმით, აიეტის შთამომავალი მეფობდა (Αἰήτου δὲ υἱοῦς ἐτύγχανε βασιλεύων αὐτῶν).[61] მაგრამ არა გვგონია, რომ ქსენოფონტე დიდად გარკვეული ყოფილიყო იმ ხანის ფასისის სიტუაციაში (იგივეს ვიტყვით პლინიუს უფროსის მსგავსი წარმოდგენის შესახებაც (იხ. Naturalis historiae, XXXII, 52). კერძოდ, ქალაქ ფასისში კოლხი მეფის არსებობა საეჭვოდ გამორიცხულია და თუ ამ შემთხვევაში შესაბამის ქვეყანას ვიგულისხმებთ,

61 სხვათა შორის, „ანაბასისში" აღნიშნულ შესაბამის სიტყვას იანვარ თუმურაზ მიქელაძე სავსებით სწორად „შვილიშვილად" თარგმნიდა.

ამით დაამტკიცებთ ზემომოტანილი ცნობის დიდ ბუნდოვანებას. გარდა ამისა, ფრიად გასაოცარია, როგორ არსებობდა „აიეტიდთა (თუ აიეტიანთა?) დინასტია“ სულ მცირე ძვ. წ. XIII საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული V საუკუნის (ძვ. წ.) ბოლომდე მაინც. ამ შემთხვევაში ხომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ სახელმწიფო კოლხეთში გაჩნდა არა ძვ. წ. VI საუკუნეში, არამედ უკვე არსებობდა, minimum შვიდი საუკუნით უფრო ადრე.

ოთარ ლორთქიფანიძის მოსაზრების თანახმად, „კოლხეთის სამეფოს ჰეროდოტე ახლო აღმოსავლეთის დიდი მონარქიების მიღმისა და აქემენიდური ირანის გვერდით იხსენიებს“.[62] მსგავსი მტკიცება არა თუ გაზვიადებაა, არამედ ტექსტის აშკარა („ღრიალით-მზისით“!) გაყალბებაა. ცნობილია, რომ ჰეროდოტე თავისი თხზულების შესაბამის ადგილებში ლაპარაკობდა არა სახელმწიფოებზე, „მონარქიებზე“, არამედ ხალხებზე. ასე რომ, ამავე საფუძველზე ავტორს შეუძლია სასპერების დიდი მონარქიის არსებობაც გვიმტკიცოს. ამდენად, ოთარ ლორთქიფანიძისეული აღნიშნული არგუმენტიც ფრიად უსუსური გახლავთ.

აი ასეთია ის არგუმენტები, რომლებითაც ამტკიცებენ ძვ. წ. VI საუკუნიდან მოკიდებული, კოლხეთის სახელმწიფოს არსებობას. თუ მეცნიერებას, მის ლოგიკას დავეყრდნობით, ძნელია მოცემული დებულების (ძვ. წ. VI-V საუკუნეების კოლხეთში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის შესახებ) სისწორე, ჭეშმარიტება ვირწმუნოთ. სამაგიეროდ, შეიძლება საწინააღმდეგო არგუმენტების მოტანა. ჩვენ არ ვიცით, ნამდვილად სამეფო ხელისუფლება არსებობდა აქ თუ სამხედრო დემოკრატიის ტიპის გაერთიანება. მეტიც, არც მეფეების სახელი ვიცით (ვითომდა აიეტიდან მოყოლებული!). თუ სად მდებარეობდა ქვეყნის დედაქალაქი — ესეც უცნობია. ასეთად ბერძნები ასახელებდნენ „აიას“, რომლის ადგილსამყოფელი დღემდე გაურკვეველია (სხვათა შორის, „აიაში“ გულისხმობდნენ ქვეყანასაც). ხოლო როცა ტოპონიმ „ქუთაისის“ (მეგრულად „ქუთეშ“) არსებობა შეიტყვეს, შექმნეს აშკარად ხელოვნური სახელწოდება „კუტაია“. თუმცა მისი ადგილმდებარეობის საკითხში ჩვენ სავსებით გარკვეული ვართ, მაგრამ, სინამდვილეში, დღევანდელი ქუთაისის ადგილას ძველად, ანტიკურ ხანაში, დიდი ქალაქური ტიპის დასახლება და მისი კოლხეთის დედაქალაქობა უსაფუძვლოა.

62 იხ. სტატია „კოლხეთის სამეფო“, ქსე, ტ. 5, 1980, გვ. 596.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, თუ რამდენად სუსტი იყო კოლხეთის საზოგადოების ეკონომიკა, რასაც, საეჭვოა, განვითარებული სახელმწიფო წარმოექმნა. ამ მხრივ არც სხვა შინაგანი ფაქტორები არსებობდა. მაინც როგორ მოხდა, რომ VI-IV საუკუნეების შემდეგ კოლხური (გეიანი!) სახელმწიფო ძალზე დაძაბუნდა. სტრაბონის მიხედვით, ამის შემდგომ კოლხეთის მეფეებმა ქვეყანა დაყვეს სკეპტუხიებად და მას ზომიერად მართავდნენ (μετρίως ἐπραττον). ცხადია, აქ არ იგულისხმება მმართველობის შესაბამისი ფორმა (არა — ტირანია და დესპოტია), არამედ უბრალოდ სუსტი ხელისუფლება. მეტიც, აშკარაა, რომ ქვეყანაში თავი იჩინა პოლიტიკურმა დაშლილობამ. ამის ასახსნელად კი საგარეო ფაქტორის არგუმენტად მოხმობა უაზრობა გახლავთ, რადგან ამ მხრივ კოლხეთს მაშინ საფრთხე არ შეექმნია. საერთოდაც კოლხეთის (ეგრისი) „სახელმწიფოს" აქტიურობა სულაც ვერ შეედრებოდა ქართლისას (ივერიისას). მთელი ოთხი საუკუნის მანძილზე პირველს ყავი არ გამოუჩენია პოლიტიკაში (საგარეო), ადვილად მოხვდა პონტოს სამეფოს შემადგენლობაში (ძვ. წ. II საუკუნის ბოლოს) და მას შემდეგაც კი, რაც ეს უკანასკნელი დაემხო, კლავინდებურად უცხოელ გამგებელთა მიერ იმართებოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ იგი რომაელთა პირდაპირი, უშუალო ბატონობის ქვეშ არ აღმოჩნდა. ცნობილია, რომელსაც ქართლზე (ივერიაზე) გამარჯვების შემდგომ პომპეუსი კოლხეთში გადავიდა, ქვეყანა კლავ დაშლილი იყო და მტრის წინააღმდეგ ერთიან ბრძოლას აქ ადგილი არ ჰქონია.

სკეპტუხიები აშკარად არ ყოფილან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები (ქართლის საერისთავოებისა და სასპასპეტოს მსგავსად), არამედ უფრო ტომობრივი გაერთიანებანი (სიმონ ჯანაშია, მერი ინაძე). ი. დიაკონოვისა და სხვათა მტკიცებით, ძველად დასავლეთ საქართველო თითქმის ისეთივე მრავალენოვანი იყო, როგორც ალვანეთი. ამის მტკიცებისას კი ისინი ამოდიან ერთი ანტიკური ეპოქის წყაროდან, რომლის თანახმადაც რომაელები ქალაქ ფაზისში სარგებლობდნენ თითქოს ასზე (სინამდვილეში 60-ზე) მეტი თარჯიმნით. აქ, რასაკვირველია, უპირველესად იგულისხმება ენები მრავალი ხალხისა, რომელთა წარმომადგენლები ინდოეთიდან დასავლეთისაკენ მომავალ სატრანზიტო ვაჭრობაში იყვნენ ჩართულნი. მაგრამ, ჩანს, რუსი აეტორები მრავალენიანობას უფრო მეტად კოლხეთს (დასავ-

ლეთ საქართველოს) უკავშირებენ. მოვიგონოთ ისიც, რომ ტაციტუსის მიხედვით, რომელსაც ადასტურებს ფლავიუს ჯოზეფუსიც, ამიერკი დაარცხვა (ახ. წ. 69 წელს), მან მალე ხობის ბრძოლებში სულხეხების მეფესთან შეიფარა თავი. სამეცნიეროდ, არაეინ უცდილა ამ „მეფეში" ნამდვილი მეფის ხელისუფლების დანახვას, აქ ასეთი ტომის არსებობას კი აღიარებენ.

ყველივე აღნიშნული ახსნას საჭიროებს და არა მიფუჩეჩებას. დასასრულს, იმასაც დავუმატებდით, რომ მეგრულ-ჭანურ ენაში არ არსებობს სიტყვები „მეფის", „სამეფოს", „სახელმწიფოს", ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის და მისთ. გამოსახატავად, რომ შესაბამისი სიტყვები ამ ენამ ქართულიდან შეითვისა. ძალზე დაუჯერებელია კოლხური დამწერლობის არსებობაც. შეგახსენებთ, რომ სახელმწიფოს წარმოქმნა, როგორც წესი, დაკავშირებულია დამწერლობასთან. პროფ. ოთარ ლორთქიფანიძის მიხედვით კი იორუბას ქალაქსახელმწიფოები, ბენინი, ძონომოტაპას „იმპერია" და სხვ. არ იცნობდნენ მას, რაც არასწორია.

ამდენად, ძვ. წ. VI საუკუნიდან მოყოლებული, კოლხეთში (ეგრისში) სახელმწიფოს კატეგორიული მტკიცება საეჭვოდ გვეჩვენება.[63] ჩვენ უფრო იქითკენ ვიხრებით, რომ აქ ადგილი ჰქონდა სამხედრო დემოკრატიას, რომლის პირობებშიც ტომები და ტომთა (ტომობრივი) კავშირები იყვნენ გაერთიანებულნი.

§11 ძართველური ტომების ნაწილში სახელმწიფოებრიობის საკითხი ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს
(ქსენოფონტეს „ანაბასისის" მიხედვით)

ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთის ნამდვილი აღდგენა-რეკონსტრუქცია, ცხადია, მხოლოდ წერილობითი წყაროების საფუძველზეა შესა-

63 ფაქტია, რომ რუსი და აფხაზი ისტორიკოსებიც არ იზიარებენ აღნიშნულ თვალსაზრისს. რასაკვირველია, მათი ტენდენციურობა საქართველოს ისტორიის რიგი პრობლემებისადმი უეჭველია, მაგრამ ხომ აუცილებელია მათი მთლიანი არგუმენტაციის გათვალისწინება და მათთან დიალოგის გამართვა ამ საკითხზე. ამას კი ჩვეულებრივ ვერ ვახერხებით.

ძლებელი. თავის მხრივ, ამგვარი წყაროების გაჩენა და შემონახულობა ზოგჯერ წმინდა შემთხვევითობებით არის გამოწვეული. ამჯერად ამის ერთ-ერთ მაგალითზე შევჩერდებით.

ძვ. წ. 401 წელს სპარსეთის მეფე არტაქსერქსე II-ს აუჯანყდა მისი ძმა – ლიდიის, დიდი ფრიგიისა და კაპადოკიის მმართველი (სატრაპი) კიროსი (უმცროსი). თავისი ჯარითა და ბერძენი მოქირავნეებით (ამათი რიცხოვნობა 13.000-ს აღწევდა) იგი ლიდიის მთავარ ქალაქ სარდედან ბაბილონისაკენ დაიძრა. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ამ ქალაქის სიახლოვეს (ჩრდილო-დასავლეთით) სოფელ კუნაქსასთან. მოხდა ისე, რომ კიროსი ბრძოლის ველზე დაიღუპა და მისი ჯარიც დამარცხდა. ბერძენი მოქირავნენი მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ: ან უნდა უკან, საბერძნეთში დაბრუნებულიყვნენ სამეფო გზით, რომელიც ეკბატანიდან სარდემდე მიდიოდა, რაც სპარსეთის იმპერიაში მგზავრობის გამო ჯარის განადგურებას ნიშნავდა, ან უნდა გაჭრილიყვნენ ჩრდილოეთის მიმართულებით, შავი ზღვისაკენ, რაც თუმცა სარისკო იყო, მაგრამ ნაკლებად სახიფათო. არჩევანი მეორე შესაძლებლობაზე გაკეთდა, რაც ფრიად სასიკეთოდ წაადგა ქართულ ისტორიოგრაფიას. ჩვენდა საბედნიეროდ, ელინთა ათიათასიანი ლაშქრის ერთ-ერთი მხედართმთავარი აღმოჩნდა ისტორიკოსი ქსენოფონტე, რომელმაც აღნიშნული ლაშქრობის პერიპეტიებზე დაგვიტოვა წიგნი „ანაბასისი“ (დაწერილია ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისში). ჩვენი შემდგომი თხრობა სწორედ ამ წიგნს ემყარება.

ბერძენთა ჯარმა თავისი მძიმე ოდისეა კარდუხების ქვეყნიდან დაიწყო. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო არაა დეტალურად აღვწეროთ ეს ქვეყანა და ხალხი ისე, როგორც „ანაბასისშია“ გადმოცემული. თუმცა იყო დრო, როცა თავად ივანე ჯავახიშვილიც კი კარდუხებს, ქვეყანა კარდუს (სუფიქს-ხის ჩამოცილებით) ქართებად და მათს წინარე სამშობლოდ თვლიდა, საიდანაც თითქოს მოხდა მათი მიგრაცია აღმოსავლეთ საქართველოში. მაგრამ დღესდღეობით ცნობილი ფაქტებით მსგავსი აზრის მტკიცებას საფუძველი გამოეცალა. ამჯერად ითვლება, რომ კარდუხები ქურთების ერთ-ერთი წინაპარი ხალხი იყო და ამდენად მათი და ქართველების სახელწოდება მხოლოდ ფონეტიკურად ემსგავსება ერთმანეთს. ამის შემდეგ ბერძენმა მოქირავნეებმა გაიარეს არმენიის (სომხეთის) მიწა-წყალზე, რომელიც ყოფილ ურარტუს ერთ (სამხრეთ) ნაწილს შეადგენდა, სადაც არმენები

(სომხები) ესახლნენ. ამ ქვეყანაში ჩვენთვის, ქართველებისათვის, ის აღმოჩნდა ყველაზე საინტერესო, რომ ქვეყნის მმართველი ორონტის ჯარის შემადგენლობაში იყვნენ ხალდები (χαλδαιοι) (ერთ-ერთი ჭანური ტოჩი (ხალხი) და ტაოხები.

როდესაც პერძნმა მოქირავნეებმა გაიარეს სომხეთის უდიდესი ნაწილი და მდინარე არაქსს (უწინ მასაც ჭოროხისა და რიონის მსგავსად „ფასისი" ეწოდებოდა) მიადგნენ, აქ დახვდნენ შეიარაღებული ხალიბები, ტაოხები და ფასიანები (ყოველ შემთხვევაში ქართველური მოდგმის ხალხი). ერთიან ჯარზე და სახელმწიფოებრიობის არსებობაზე ამ შემთხვევაში ლაპარაკი ზედმეტია.

ამის შემდეგ ბერძნებმა გაიარეს ტაოხების ქვეყანაში. სახელმწიფოებრიობა არც აქ ჩანს. იგივე ითქმის, ვიმეორებთ, ხალიბების (ხალდების) შესახებაც. აღნიშნული თვალსაზრისით უფრო მაღლა მდგარან სკვითინები, რომელთაც ჰქონიათ ერთიანი (ასე თუ ისე) ცენტრი – „დიდი, მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქი გვიმნიასი (πόλις μεγάλη καὶ εὐδαίμον καὶ οἰκουμένη). რაც ამ შემთხვევაში უფრო მთავარია, სკვითინების საზოგადოებას ჰყოლია ერთი მმართველი (ὁ τῆς χώρας ἄρχων). მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ხალხში არსებული პოლიტიკური მმართველობის შესახებ „ანაბასისიდან" მეტს ვერაფერს ვიგებთ. შემდგომ ბერძნებმა გაიარეს კოლხების (ტრაპეზუნტის შემოგარენში მცხოვრებთა) და დრილების ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოებრიობა აგრეთვე არ ჩანს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსინიკებიც (ბერძენი მოქირავნენი მათ ქვეყანაშიც იყვნენ) გვაროვნულ-ტომობრივი წყობილების დონეზე იმყოფებოდნენ. თუმცა მათთან დაკავშირებით მოხსენიებულია ორი „მეფე", მაგრამ, ჩანს, ისინი უმალლესი ჭურუმები იყვნენ. მოსინიკებს დამორჩილებული ჰყავდათ ხალიბები (მათი უმეტესი ნაწილი ამ პერიოდში, როგორც დავინახეთ, აქედან შორს, სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდა), რომლებიც თავს ძირითადად რკინის დამუშავებით ირჩენდნენ. ასე რომ, მოსინიკებსა და მათ შორის თავისებურ შრომის დანაწილებას ჰქონდა ადგილი.

აი, ასეთი გახლდათ მდგომარეობა სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ მცხოვრებ ქართველურ ტომებში (ხალხებში) (მათგან ბერძნები მხოლოდ ტიბარენების ქვეყანაში არა ყოფილან). რასაკვირველია, ქსენოფონტეს „ანაბასისი" რომ არ დაეწერა და ამ ხალხების შესახებ ოდენ ნივთიერი,

არქეოლოგიური მასალები გვაქვს და, მაგრამ არქეოლოგიები და ისტორიკოსები უცილობლად შეეცდებიან მათთან კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობის მტკიცებას.

§12 ძველ ქართლში ფიცარ-ერთიანსახელმწიფოებრივამდელი გაერთიანებების" შესახებ

გვაროვნული წყობილების დროს გვარის (სახლის) სათავეში მდგომ პირს, ჩანს, მამასახლისი ეწოდებოდა. შესაძლოა უფრო უწინ, ადრეული მიწათმოქმედების პირობებში, ამ „ხელს" განასახიერებდა დიასახლისი. მაგრამ არ ვიცით, თუ რა ერქვა ქართულად ან სხვა ქართველურ ენებზე პირს, რომლებიც ტომს და შემდეგ ტომთა კავშირს ედგა სათავეში. საინტერესოა, რა უნდა რქმეოდა იმ პირს, რომელიც გვაროვნული წყობილების დაშლის შემდეგ წარმოქმნილ ადგილობრივ გაერთიანებებს ედგა სათავეში. შეგახსენებთ, რომ რკინის მეტალურგიის ფართოდ გავრცელებისას, მოსახლეობის ზრდის კვალობაზე გვარები და ტომები დაიშლებოდა და მათ ადგილს სასოფლო თემები დაიკავებდა, რომლებიც სისხლით ნათესაობითის ნაცვლად ტერიტორიულ პრინციპზე იყო დამყარებული. ცხადია, ამგვარი ვითარება, საზოგადოების დაშლა სასოფლო თემებად და ამ უკანასკნელთა იზოლირებულად არსებობა დიდხანს ვერ გასტანდა. მალე დაიწყებოდა მათი გაერთიანებანი. შესაძლოა ამგვარი გაერთიანების სათავეში იდგა უფალი, რაც ჩანს ტოპონიმ „უფლისციხის" მაგალითზე. ნაკლებად სავარაუდოა შესაძლებლობა, რომ ამ შემთხვევაში „უფალში" ღმერთი, ღვთაება იგულისხმება და ამდენად, უფლისციხე რომელიღაც ღვთაებისადმი მიძღვნილი საკულტო ცენტრი იყო. უფრო ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ უფალი ერქვა ახალ, სასოფლო თემების ბაზაზე წარმოქმნილი გაერთიანების მეთაურს, რომელიც შესაძლოა ერთდროულად საერო ხელისუფლებასაც განასახიერებდა და

---

64 რამდენადაც ვიცით, ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხს პირველად ბოდარ ლომთათი შეეხო.

სასულიერისაც (თუ ასე იყო, მაშინ ადგილი ექნებოდა მმართველობის თოკრატიულ ფორმას). ამავე სიტყვიდან დროთა განმავლობაში უნდა განვითარებულიყო ტერმინი „მეფე“ (← მეუფე ← მეუფალე).

მაგრამ არაა გამორიცხული შესაძლებლობა იმისა, რომ ახალ ეთიმარებში „მამასახლისმა“ სემანტიკური ცვლილება განიცადა. კერძოდ ამიერიდან იგი გულისხმობდა ახალი გაერთიანების უფროსს, მეთაურს. ეს გარემოება უფრო ცხადი უნდა იყოს მცხეთის მამასახლისის მაგალითზე; მისი „სახელო“ უთუოდ ერთი სასოფლო დასახლების ფარგლებს გარეთ გამოდიოდა.[65] „ცხოვრება მეფეთაში“ ვკითხულობთ, რომ როცა სპარსთაგან ოტებული „თურქნი“ მცხეთაში მოვიდნენ: „და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა. ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისათჳს დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი, და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა“.[66]

როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია მხოლოდ მცხეთაზე კი არა, არამედ აგრეთვე „ყოველთა ქალაქთა“ შესახებ. ამდენად, მცხეთის მამასახლისის „სახელო“ და სამამასახლისოს საზღვრები მცხეთიდან თითქოს შორს აღწევდა. მოტანილი ტექსტიდან საინტერესოა ისიც, რომ მცხეთის მამასახლისი გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად როდი იღებს — ამისათვის იგი მიმართავს „ყოველთა ქართველთა“. ასე რომ, „თურქთა“ (თუ „ბუნ-თურქთა“). დასახლება „ყოველთა ქალაქთა“ შინა ფართო განსჯის შედეგად მოხდა. ხოლო კერძოდ როცა მათ ნიშანდობლივ სარკინეში დასახლება მოითხოვეს, ამის თაობაზე გადაწყვეტილება მხოლოდ მცხეთის მამასახლისმა მისცა. მაგრამ მან ეს გააკეთა მას შემდეგ, რაც მოსახლეობის ფართო წრემ (სახალხო კრებამ) საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

მაგრამ იერუსალიმიდან ოტებულ ებრაელთა მცხეთაში მოსვლის შესახებ თხრობისას იმავე საისტორიო თხზულებაში აღნიშნულია: „მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ჭეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არ-

---

65 მოგვიანო პერიოდის ქართლის ისტორიიდან ვიცით, რომ მამასახლისის „სახელო“ არსებობდა მთელი ქვეყნის (ქართლის) მასშტაბითაც.

66 „ქართლის ცხოვრება“, სიმონ ყაუხჩიშვილისეული გამ., I, 1955, გვ. 15.

აგუსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰქუან ზანავი".[67] ასე რომ, მოცემულ შემთხვევაში სუეტრენად ჩანს მცხეთის მამასახლისი. თავის ვხრივ, ჩვენთვის საინტერესო აზრით, ეს ფაქტი ეწინააღმდეგება ზემოთ მოტანილს. შესაძლოა მსგავსი რამ აეხსნათ ისტორიკოს ლეონტის შეცდომით (წყაროთა გამოყენებისას) ანდა ისე ვიფიქროთ, რომ მეორე მოვლენა პირველისაგან დიდი დაშორებით (დროითი) მოხდა.

ბუნებრივია დავასკვნათ, რომ შემდეგში დაიწყებოდა ბრძოლა უფრო ფართო გაერთიანებების შესაქმნელად. შესაბამისი სიტუაცია ასახულია „ცხოვრება მეფეთა ში": „იწყეს ბრძოლად და ჴდომად ურთიერთას; და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა, რომელ ჟამსამე აღდგიან ამათგანნი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა, და სხუანი შეეწეოდიან რომელნიმე მას; და რომელნიმე კუალად სხუანი აღდგეს ერთჰანეთსა ზედა და სხუანი შეეწეოდიან. რომელსამე ჟამსა იქმნის მშუიდობა მათ შორის, და კუალად შეიშალნიან და ებრძოდიან".[68] ასეთი ტენდენცია სულაც არ იქნებოდა ეკონომიკის (ირიგაცია, ხელოსნობა და ვაჭრობა) ზრდის უშუალო გამოხატულება. თუმცა, ემყარებოდნენ რა ძალადობას და არა ეკონომიკურ აუცილებლობას, შედარებით ფართო გაერთიანებანი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საზოგადოების შემდგომი წინსვლის საქმეში. მათი მეშვეობით უფრო ადვილდებოდა გარეშე მტერთაგან თავდაცვა, მოსახლეობა უფრო ეჩვეოდა საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებას. კერძოდ, მსგავსი გაერთიანებების ცენტრები იქნებოდა, მცხეთის გარდა, უფლისციხე, ურბნისი, ოძრხე, წუნდა და სხვა.

§13 სახელმწიფოს წარმოშობა ქართლში

შესაძლებელია ადგილობრივი გაერთიანებების (პოლიტიკური) ურთიერთქმით ისარგებლა სამხრეთ-დასავლეთის ქართულმა გაერთიანებამ (არიან-ქართლმა), რომელმაც დაიმორჩილა ისინი და ცენტრალიზებული ხელისუფლების ცენტრად აქცია ბუნებრივად, პოლიტიკურად (სტრატეგიულად) და ეკონომიკურად ერთ-ერთი მოხერხებული პუნ-

67 „ქართლის ცხოვრება", სიმონ ყაუხჩიშვილისეული გამ., I, 1955, გვ 15–16.
68 იქვე, გვ 10.

ქტი – მცხეთა.[69] როგორც სტრაბონის „გეოგრაფიიდან" ვიცით, ძვ წ. I საუკუნეში მცხეთაში მოდიოდა გზები სომხეთიდან და ალუანეთიდან. აქედანვე გადიოდა გზა ჩრდილოეთ კავკასიაში (არაგვის ხეობისა და დარიალის გავლით), დასავლეთით–კოლხეთისაკენ. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მსგავსი გეოგრაფიული მდებარეობის ცენტრს დიდი სოციალური მიზიდულობა ექნებოდა დანარჩენი მხარეებისათვის. ამის თაობაზე „ცხოვრება მეფეთაში" ვკითხულობთ: „ხოლო ვირცა იყვის მცხეთას, რუკა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხუათა ზედა... და იგი იყვის მაზავებელ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა. რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდდეს დედა-ქალაქად"[70] მოვიგონოთ აგრეთვე ჭუჭის მიმართვა ფარნავაზისადმი: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი"[71] მაგრამ გაურკვეველია ამგვარი „მაზავებლობა" და „ბჭეობა" იყო თუ არა დაკავშირებული გარკვეული იძულების აპარატის ფლობასთან.

ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ზემოალნიშნული ფაქტი (არიან-ქართლიდან მოსული აზონის ქართლში გამეფება) ძვ წ. IV საუკუნის ბოლო მესამედში, უფრო კონკრეტულად ალექსანდრე მაკედონელის სიცოცხლის ბოლო წლებში უნდა მომხდარიყო.[72] თუ ასე

---

69 ნოდარ ლომოურის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს ქართლის (ოკრიბის) ცენტრალიზებული სამეფოს წარმოშობასა და შედარებით მტკიცედ არსებობაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა ირიგაციის საჭიროებანი. მაგრამ ასეთი თვალსაზრისი მთლად სწორი არ არის თუნდ ძველი შუმერისა და ეგვიპტის მიმართაც კი. მით უფრო ძველ ქართლში სახელმწიფოს არ ახრულებდა თვალსაჩინოდ ირიგაციის ორგანიზატორის როლს. შეიძლება კონკრეტულად დასახელდეს დიდი სარიგაციო სისტემები, რომლებმაც თითქოს გამოიწვიეს აღნიშნული პოლიტიკური პროცესი

70 „ქართლის ცხოვრება", I, გვ 11.

71 იქვე, გვ 22.

72 ვიმიტრი ბაქრაძე, ცხადია, კრიტიკულად უდგებოდა საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის საკითხს, მაგრამ მაინც დასძენდა: „ალექსანდრემ გაგზავნა თავისი მხედართმთავრობით მეშვიდე ოქროს მადნის დასაკვრად [illegible] რომელსაც შიდაკ ჩვენის ქართველის ხეობის ისპირად, და სადაც [illegible] საქართველოსა", [illegible] ალექსანდრე [illegible]

გახლდათ, მაშინ ქართლის სახელმწიფოს წარმოშობა დაპყრობის გზით მომხდარა, რის მაგალითებიც ისტორიამ მრავალი იცის. მაგრამ ამის თაობაზე მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზე თუ შეიძლება ვიმსჯელოთ. ასევე ძნელია ვილაპარაკოთ ძველ ქართველთა (ივერთა) განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ მოსული (მესხური) მოსახლეობის წინააღმდეგ.

ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს ქართლში სახელმწიფოებრივმა წყობილებამ უკვე დასრულებული იერსახე მიიღო. ლეონტი მროველთან შემონახული საისტორიო ტრადიციით, ფარნავაზი იყო ქართლის (ივერიის) პირველი მეფე და სამეფო დინასტიის ფუძემდებელი. მან თავისი სამეფო (სახელმწიფო) დაყო შემდეგ საერისთაოებად: 1. კახეთი, 2. გარდაბანი (ცენტრი ხუნანში), 3. ტაშირი, აბოცი (სამშვილდე), 4. ჯავახეთი, კოლა, არტაანი (წუნდა), 5. სამცხე, აჭარა (ოძრხე), 6. კლარჯეთი. 7. არგვეთი. ლეონტი მროველის ცნობითვე, ფარნავაზმა თითქოს ეგრისიც საერისთაოდ აქცია, სადაც მისი მორჩილი („მონა") ქუჯი ერისთავობდა (ამ საერისთაოს ცენტრი იყო ციხე-გოჯი).[73] შიდა ქართლი კი სპასპეტის განკარგულებაში იმყოფებოდა, შეადგენდა რა ამრიგად სასპასპეტოს, მაშინ როდესაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ რეგიონში უწინ რამდენიმე გაერთიანება (არა გვაროვნულ-ტომობრივი) არსებობდა. საერთოდაც, სალი პოლიტიკური აზრი მოითხოვდა, რომ საერისთაოები არ დამთხვეოდა ძველ პოლიტიკურ გაერთიანებებს. ჩანს, უპირველესად აღნიშნული ხასიათის დაყოფაა ნაგულისხმევი „ცხოვრება მეფეთაში": „ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა".[74]

სპარსთა „კონსტიტუციის" ზეგავლენა შეიძლება დავინახოთ არმაზის ბილინგვაში მოხსენიებული ეზოსმოძღვრის (ბერძნულ ვარიანტში ეპიტროპოსი) სახელოშიც. ამ თანამდებობის მქონე პირი განაგებდა სამეფო კარს. რაკი ეზოსმოძღვარი იოლმანქანი იწოდებოდა „ძლე-

---

73 საყურადღებოა „ციხე-გოჯის" პირველი ნაწილის ქართული ფორმა „ჯიხას" ნაცვლად. შესაძლოა ესეც მიუთითებდეს შესაბამისი ცნობის ნაშრომლობას.

74 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 25.

ვამოსილად და მრავალი გამარჯვების მომპოვებლად", ბუნებრივია დავასკვნათ, რომ მას თავის განკარგულებაში ჰყავდა სამეფო გვარდია (ცხენოსნები) მაინც. მსგავსი თანამდებობა, ოღონდ „ბაზარაპეტის" სახელწოდებით იყო ერანში (ასევე სომხეთსა და ალვანეთში).

აქ შევჩერდებით საკითხზე, თუ როგორ საერთაშორისო მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართლი ფარნავაზის გამეფებისას. ცხადია, იგი გარეშე მტრებთან ბრძოლაში მარტოდ ვერ იქნებოდა და არჩევანი „ასურასტანზე" (ქვეყნის სახელწოდების ძველსპარსულენოვანი ფორმა გახლავთ) შეუჩერებია. ამ მხრივ, „ცხოვრება მეფეთაში" უთუოდ ისტორიული რეალიაა ასახული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ლეონტი მროველი თავისი საისტორიო თხზულების წერისას რაღაც ძველ წყაროს ეყრდნობოდა (აღნიშნული თვალსაზრისით, ცხადია, „მოქცევაჲ ქართლისაჲ" გამორიცხულია). მაგრამ საინტერესოა, თუ ვინ იყვნენ აზო (აზონის) მხარდამჭერი „ჰრომნი". საისტორიო აზროვნების დღევანდელ დონეზე ალექსანდრე მაკედონელის ჯარის ნაწილი, რა თქმა უნდა, გამორიცხულია. გიორგი მელიქიშვილის მიხედვით, „ჰრომებში" საგულისხმებელია პონტოს სამეფო და ამ თვალსაზრისმა ფართო მხარდაჭერა პოვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი ეჭვი აღიძვრის ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ. საქმე იმაშია, რომ, როგორც ვიცით, ალექსანდრე მაკედონელმა აღმოსავლეთში ლაშქრობა დაიწყო 334 წელს, ხოლო იგი გარდაიცვალა 323 წელს. პონტოს სახელმწიფო კი წარმოიქმნა 302/301 წელს. მაშ როგორ გავიგოთ ქართლის (ივერიის) მდგომარეობა დროის აღნიშნულ მონაკვეთში? გამოითქვა ვარაუდი, რომ, შესაძლოა, მაკედონელთა ქართლში ლაშქრობას სწორედ ამ დროს ჰქონდა ადგილი, ე. ი. ლიზიმაქეს დროს (ცხოვრობდა 361-281 წლებში).[75] ერთი სიტყვით, ამ დროს და შემდგომშიც ფარნავაზი თავისი მეფობისას საგარეო მოკავშირეებს ეყრდნობოდა. ამის გარეშე, ცხადია, სახელმწიფო ვერ ჩამოყალიბდებოდა. კვლავ მივყვებით ქართლის (ივერიის) სახელმწიფოს სტრუქტურის შესახებ თხრობას.

---

75 გრანი ქაუთარია, ფარნავაზი, თბილისი, 1999, გვ. 58–63; მისივე სტატია „ფარნავაზის საგარეო პოლიტიკა", ქართული დიპლომატია, წელიწდეული 1, თბილისი, 1994, გვ. 66.

აშკარად ჩანს, რომ ქართლის საერისთაოებად დაყოფა ისახავდა საბრძოლო მიზანს, კერძოდ მოსახლეობის ორგანიზაციას თავდაცვისათვის. უფრო ნაკლებად გამოჩნდა იგი, როგორც სხვა ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული ორგანიზაცია. თუ ეთგულისხმებთ, რომ ძველი ქართლის იმდროინდელი ტერიტორია მოიცავდა minimum 30.000 კმ²-ს, ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვე ათ-თხუთმეტ სულს ძაინც აღწევდა, – ეს საკმაოდ დაშვებია წარმოების განვითარების მიღწეული დონისა და შესაბამის გეოგრაფიულ პირობებში, – მაშინ ქვეყნის მოსახლეობის მთელი ოდენობა უცხო დაყმევებული („გლეხები") და მთის დახარკული მოსახლეობითურთ, ალბათ 600–900 ათას სულს შეადგენდა. ამ რაოდენობიდან მოსახლეობის აღნიშნული ფენებიც რომ გამოერიცხოთ, საკმაო სიდიდის ჯარის გამოყვანა შეიძლებოდა (არანაკლებ 100–150 ათასისა). მაგრამ ეს შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალი მოსახლეობის შედარებით მაღალი ცხოვრების დონის, კომუნიკაციების დიდად განვითარებისა და ჯარის სწრაფი მობილიზაციის პირობებში. სტრაბონის ცნობიდან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველი ქართლის (ივერიის) ლაშქრის ოდენობა 80 ათასამდე აღწევდა.[76] ამდენად შესაძლოა, რომ თითოეულ საერისთაოს ათი ათასამდე მოლაშქრე გამოჰყავდა. აღნიშნული ცნობის შესაკერებლად გვაქვს „ქართლის ცხოვრებაში" შემონახული სხვა ცნობაც.

მეთერამეტე მეფე ამაზასპის დროს ქართლს ოსები დასხმიან თავს. მომხდურთა წინააღმდეგ საბრძოლველად მცხეთაში ყველაზე სწრაფად მოსულან სპასპეტის მხედარნი და სამი ერისთავი (კახეთის, ხუნანის და სამშვილდისა), სულ ოცდაათი ათასი ქვეითი და ათი ათასი მხედარი.[77] შემდეგში შეკრებილა სხვა საერისთაოების ლაშქარიც. ეს მონაცემებიც გარკვეული აზრით ემთხვევა სტრაბონისეულ ცნობას.[78]

---

76 სტრაბონის მიხედვით, ალვანელებს გამოჰყავდათ 60 ათასი ქვეითი და 22 ათასი ცხენოსანი. როგორც ჩანს, ძველი ქართლის ლაშქარი ამაზე ოდნავ ნაკლები იყოფილა.

77 „ქართლის ცხოვრება" I, გვ. 55.

78 ჩვენ არ შეგვჩერდებით ჯუანშერის მიერ მოტანილ ციფრებზე ძველი ქართლის (ივერიის) ჯარის რაოდენობის შესახებ, რომლებიც, როგორც წესი, დაუჯერებელია.

ვიმეორებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საერისთაოს ათი ათასამდე მოლაშქრე გამოჰყავდა.

საერისთაოს პოლიტიკური ორგანიზაცია ასეთი გახლდათ: მას სათავეში ედგა მეფის მიერ დანიშნული ერისთავი, რომელიც განასახიერებდა უმაღლეს საერო და სამხედრო ხელისუფლებას ადგილზე. შემდეგ მოდიოდნენ სპასალარი (მისი ფუნქციები გაურკვეველია) და ათასისთავი, შესაძლებელია ასისთავიც. სამხედრო ციხესიმაგრეებს უძღვებოდნენ ციხისთავები, რომლებადაც, შესაძლოა, ათასისთავები ან ასისთავები იყვნენ. ცხადია, ერისთავი დაეყრდნობოდა მცირერიცხოვან რეპრესიულ აპარატს და მოხელეობას. აღნიშნული ხელისუფლების შესანახად მოსახლეობისაგან გამოიღებოდა „ხარკი საერისთაო". სხვა ადგილობრივი თანამდებობების პირნი საისტორიო წყაროებში არ ჩანან.

მაგრამ სავარაუდებელია მამასახლისის ინსტიტუტის არსებობა სოფლებში (ვიმეორებთ, ესენი, ცხადია, უკვე აღარ იყვნენ დაფუძნებულნი ძირითადად სისხლისმიერ ნათესაობაზე). სოფლებშივე იქნებოდნენ სხვა თანამდებობის პირნიც ირიგაციის ხელმძღვანელობის, რელიგიური კულტის აღსასრულებლად, საზღვრების (სოფლების) დასაცავად და სხვ. უფრო მეტი თანამდებობის პირნი იქნებოდნენ ქალაქებში, განსაკუთრებით მცხეთაში, სადაც გართულებული (სტრუქტურის აზრით) ეკონომიკური, სოციალური და ეთნიკური სიტუაციები საჭიროს გახდიდა ახალ ორგანოებს[79]. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შესახებ კონკრეტულად არაფერი ვიცით. ყველა შემთხვევაში, ქალაქები ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში დიდ როლს არ თამაშობდა. დასასრულ, სახელმწიფოს ადმინისტრაციულ სისტემაში, უეჭველია, გარკვეულ ფუნქციებს ასრულებდნენ მთიელთა ზევისბერებიც (ხარკის აკრეფა, ლაშქრის შეგროვება).

ცენტრალურ ხელისუფლებას სათავეში ედგა მეფე, რომელიც ზოგჯერ „დიდი მეფის" ტიტულითაც მოიხსენიება. მთელი რიგი ფაქტებითა და ეპიგრაფიკული ძეგლებით თუ ვიმსჯელებთ, მეფეს ეკუთვნოდა სახელმწიფოს უმაღლესი ძალაუფლება (ხელისუფლება). შესა-

---

79 უეჭველი ფაქტია, რომ IV–V სს. მცხეთაში არსებობდა მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის სახელო.

ძლია, მეფე იყო ქვეყნის უმაღლესი ჟურუმიც[80] (ამ დროს უკვე არსებობდა ცენტრალიზებული კულტები). სამხედრო საქმის უფროსად ითვლებოდა სპასპეტი, რომელიც მეფის არყოფნისას ლაშქარს სარდლობდა. სამეფო კარს, როგორც უკვე აღვნიშნავდით, განაგებდა ეზოსმოძღვარი, რომლის „ხელი“ უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე ფეოდალური ხანის მსახურთუხუცესისა (იქნებ იგი იყო სტრაბონთან მოხსენიებული „მეფის შემდგომ მეორე პირი“?). მეფის საგვარეულო („სეფე-სახლი“) მეფის უშუალო დასაყრდენი იყო, საიდანაც, ალბათ, იქმნებოდა სამეფო გვარდია, ინიშნებოდნენ დიდმოხელენი, რაც კიდევ უფრო განამტკიცებდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ეს სოციალური ჯგუფი მეფესთან ერთად ცხოვრობდა „სამეფო მონების“ (სტრაბონთან: οἱ βασιλικοὶ δοῦλοι, λαοί) შრომის ხარჯზე, აგრეთვე თავისუფალი მოსახლეობიდან შემოსული გადასახადებითა („ხარკი სამეუფო“) და მთიელთა (ჩვენი და კავკასიანთა) ხარკით.

სამეფოს დედაქალაქად („სამეუფო ქალაქად“), ცხადია, დიდი ხნის განმავლობაში მცხეთა რჩებოდა. ახალი ორგანიზაციის — სახელმწიფოს პირობებში ინტენსიურად ფუნქციონირებდა ქართული ენა, ტრადიციისამებრ, შექმნილა ქართული მწიგნობრობაც, რასაკვირველია, შესაბამისი დამწერლობითურთ (დღესდღეობით ვიცით, რომ მაშინ არამეული და ბერძნული დამწერლობები გამოიყენებოდა). რაც

---

80 სტრაბონის მიერ გადმოცემული მეფის ხელისუფლება ჩვეულებრივ გაუგებრობად მიაჩნიათ; მას არ ეკუთვნის მართლმსაჯულება და სამხედრო საქმის ხელმძღვანელობა, არც დიპლომატიური ურთიერთობანი მეზობელ სახელმწიფოებთან. ამდენად, ამგვარი მეფე თითქოს ფიქციაა, სწორედ ისეთი, როგორიც ქსენოფონტეს მიერ „ანაბასისში“ აღწერილი მოსინიკების „მეფეები“. ჩვენი აზრით, სტრაბონისეული ეს ცნობა მთლად უკუსაგდები არ უნდა იყოს. საქმე იმაშია, რომ ძველად რამდენადმე რთული სახელმწიფოს სტრუქტურაში მეფის ფუნქციები არ იყო ზუსტად დადგენილი. ფორმალურად მისი ძალაუფლების (ხელისუფლების) კომპეტენციის დაუდგენლობა და სისუსტე სრულებითაც არ გამორიცხავდა მეფის უზენაეს ძალაუფლებას (ხელისუფლებას) სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველა სფეროში. შეიძლება ისეც ვიფიქროთ, რომ რაკი, ყოველ შემთხვევაში წინა ხანებში (III–II საუკუნეებში), მეფეს ირჩევდნენ უფროსობისდა მიხედვით (სამეფო საგვარეულოში), ამდენად ძველ ქართლში თითქოს თავისებურ გერონტოკრატიას ჰქონდა ადგილი, რის გამოც, როგორც წესი, ხანშიშესული მეფე ვერ შეძლებდა ყველა მთავარი ფუნქციის აღსრულებას.

შეეხება სახელმწიფო იდეოლოგიას, ასეთად იქცა მთაური ღვთაების არმაზის კულტი (შესაბამისი დღესასწაულით, „სატფურებით“). ფარნავაზი თითქოს ცდილობდა თავისი სახელის დაკავშირებას მასთან, რაც ელინისტურ ხანაში ჩვეულებრივ გახლდათ. არმაზის კულტის პარალელურად იყო სხვ ცენტრალიზებული კულტებიც.

საინტერესოა, მმართველობის ფარნავაზისეული წესი, რომ შესაზებაც „ცხოვრება მეფეთა“ ასე მოგვითხრობს: „ხოლო თუენი გაზაფხულისა და სთულისა არისანი დაყენის მცხეთას, სამეუფოსა ქალაქსა; და თუენი ზამთრისანი დაყენის გაჩიანთა; ხოლო თუენი ზაფხულისანი — წუნდას. და ყამთი-ყამად მოვიდის ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი, და განაგის ყოველი საქმე დაშლილი“.[81] ასეთი ტრადიცია შემდეგში ჩვენმა სხვა მეფეებმაც განაგრძეს (სხვათა შორის, ასევე იქცეოდა კარლოს დიდიც).

ასეთი იყო ძველი ქართლის (იბერიის) სახელმწიფო, რომელმაც უკვე ძვ. წ. მესამე საუკუნის დასაწყისში დასრულებული ფორმა მიიღო, ე. ი. ხასიათდებოდა სამი ძირითადი ნიშან-თვისებით: მოსახლეობის დაყოფა ტერიტორიის მიხედვით (რაც ადვილად ახსნერხდა სისხლისმიერი ნათესაობის საფუძველზე მოსახლეობის დაყოფის მნიშვნელოვანწილად გაქრობის გამო), ხალხის დასაცავად გამოყოფილი საჯარო ხელისუფლება და გადასახადები. ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნა გამოიწვევდა აგრეთვე სამართლის შემდგომ განვითარებას (სტრაბონის თანახმად, ქურუმები ზრუნავდნენ აგრეთვე მეზობლებთან სამართლის წარმოებაზე). ახალწარმოქმნილი პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითადი ფუნქცია, ვიმეორებთ, იქნებოდა ქვეყნის თავდაცვაში, რაც გამოიხატებოდა ამ მიზნით მოსახლეობის ორგანიზებასა და ციხესიმაგრეთა მშენებლობაში. რასაკვირველია, იგი წარმოადგენდა რეპრესიულ აპარატს და იმავდროულად ჩაგვრის ფუნქციასაც ასრულებდა. ჩაგვრის ობიექტს ეკერეკერობით წარმოადგენდნენ უცხოური წარმოშობის „საძენო მონები“ (სიმონ ჯანაშია) და მთის დახარკული მოსახლეობა (კავკასიანები).[82] თავისუფალი მოსახლეო-

81 „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 25.

82 ჩვენს მთიელებსა და მათ ხელქვით წონაზე იბერიის მოსახლეობაში სტრაბონს ძალზე გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა.

ბის ჩაგვრა (გადასახადები, სახელმწიფო შრომითი ვალდებულებანი) სოციალური ზედაფენების მიერ უკავშირდებოდა სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირებას. ყოველ შემთხვევაში ამ დროს თავისუფალთა მნიშვნელოვანი გაღარიბებული ფენა არ არსებობდა.[83] მცირერიცხოვანი იყო მოსახლეობაც.

მოსახლეობის ექსპლოატირებული ფენების ჩასახშობად მმართველ აპარატს ძირითადად წარმოადგენდა სამეფო საგვარეულოსაგან შედგენილი, რაზმებით აღჭურვილი რეპრესიული აპარატი იქმნებოდა თითოეულ ტერიტორიაზე. თავისუფალი მოსახლეობისაგან (სტრაბონისეული „მესამე გვარისაგან") შემდგარი ლაშქარი უმთავრესად თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა. სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები იმავდროულად შეადგენდნენ გაბატონებულ კლასსაც საერთოდ. ასეთად წარმოდგებიან: სამეფო საგვარეულო, უმაღლესი მოხელეობა და ქურუმობა.[84] საკუთრივ მონათმფლობელური, რომლისთვისაც ცხოვრების ძირითადი წყარო ბარბაროსთა შრომა იყო, უმნიშვნელო ნაწილი თუ იქნებოდა.

ქართლში (მაშინდელი გაგებით) კოლხეთთან შედარებით გეოგრაფიული გარემო უფრო ოპტიმალური გახლდათ (ნაყოფიერი ნიადაგი, უკეთესი კლიმატი). აქ ბუნებრივი დაბრკოლება (ჰაერის სიმშრალე) უფრო ადვილად დასაძლევი იყო ირიგაციით, ვიდრე კოლხეთში (ტერიტორიის ერთი ნაწილის დაჭაობებულობა). ამიტომაც შენიშნავდა სტრაბონი, რომ იბერებს მდიდარი ქვეყანა აქვთ და ძალიან ეარგისი დასახლებულადო *(εὐδαίμονα δε χωραν ἔχει και σφοδρα καλως οικεῖσθαι δυναμενην)*. ეს ბუნებრივი, გეოგრაფიული საფუძველი, — ცხადია, საზოგადოების მიერ ბუნებრივი რესურსების (მაშინდელი ტექნიკის პირობებში) ათვისების შემდეგ, — აისახა სოციალურ,

---

83 პლუტარქოსის „ლუკულუსის ბიოგრაფიაში" მოხსენიებულია სომეხთა მეფის (ტიგრან მეორის) მხარეზე მებრძოლი ივერთა რაზმები. მაგრამ ეს, ალბათ უფრო სხვა მიზეზით იყო გამოწვეული (არა წარმრების საშუალებათაგან მოწყვეტით). მოვიგონოთ აგრეთვე ხალდებისა და ტაოხების რაზმები ქსენოფონტეს „ანაბასისში".

84 როგორც გიორგი მელიქიშვილი აღნიშნავს, ქართლის დიდ სატაძრო მამულებში ძირითადად თავისუფალი გლეხების შრომა გამოიყენებოდა. არსებული ვითარების გასაგებად ეთნოგრაფიას, ვერა ბარდაველიძე საფუძვლიანად მიუთითებდა ხევსურთა თემს.

პოლიტიკურ და კულტურულ გახვითარებაშიც, დემოგრაფიულ სიტუაციაში (მოსახლეობის უფრო მალალ სიმჭიდროვესა და მეტ რაოდენობაში), იმაში, რომ ქართლმა უფრო დიდი როლი შეასრულა ქართული ცივილიზაციის უწინდელ განვითარებაში.[85]

ქართლისა და ეგრისის ძველი საზოგადოებები მიაჩნიათ (კერძოდ სიმონ ჯანაშიას და გიორგი მელიქიშვილს) გარდამავალი ტიპის საზოგადოებად. სხვანაირად მათ ადრეკლასობრიულად თვლიან. მაგრამ ამგვარი ტერმინების ხმარებას ძველაღმოსაელური და ძველი ქართული საზოგადოებების მიმართ მთლად გამართლებულად არ ვთვლით. პირველ რიგში ეჭვს ბადებს შესაბამის საზოგადოებათა ხანგრძლივობა (ძველ აღმოსაელეთში ათასი წლების, ხოლო საქართველოში – რვა საუკუნის მანძილზე). მეორეც, აღნიშნული საზოგადოებები წარმოადგენდა გარკვეულ ისტორიულ ტიპს, თავიანთი სტრუქტურითა და, ცხადია, სტრუქტურის წარმომქმნელი ელემენტებით. ამდენად, ისინი ანსახიერებენ გარკვეულ ფორმაციას (სოციალურ-ეკონომიკურს). ამ საზოგადოებებში მონობა ვერ განვითარდა კლასიკური ფორმით, ე. ი. ვერ იქცა წარმოების წესის საფუძვლად. შემდგომი განვითარება კი წარიმართა ფეოდალიზმის მიმართულებით.

მაგრამ, რაც შეეხება შესაბამის სახელმწიფოს, იგი უკვე სავსებით ჩამოყალიბებული სტრუქტურისა იყო. უცილობლად, ეს ითქმის ძველი ქართლის (ივერიის) თაობაზე, სადაც ამას ადგილი ჰქონდა ძვ. წ. IV—III საუკუნეთა მიჯნაზე, ე. ი. 23 საუკუნის წინათ.

---

85 რა თქმა უნდა, ცივილიზაციის განვითარების სხვა სტადიაზე დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი პირობები არანაკლებ მდიდარი აღმოჩნდა აღმოსავლეთ ნაწილთან შედარებით (ქვანახშირის, მარგანეცის მადნები, უფრო წყალუხვი მდინარეები, ამდენად ჰიდროენერგორესურსების მეტი მარაგი, სუბტროპიკული ჰავა ჩაისა და ციტრუსოვანებისათვის, შავი ზღვის ნაპირას მდებარეობა).

ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის იუბილეს აღნიშვნა ახალმა სიტუაციამ მოიტანა; საბჭოთა წყობილების პირობებში, კერძოდ, ფაქტობრივად უნიტარულ სახელმწიფოში ცხოვრებისას, რასაკვირველია, მსგავსი რამ გამორიცხული იყო.[86] მაგრამ, ცხადია, ეს უნდა მოხდეს მეცნიერებაზე დაფუძნებით. რაკი საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე დიდი ხანია დისკუსია არ გამართულა, ამიტომ შესაბამისი დარგების (ისტორიოგრაფია, არქეოლოგია, სახელმწიფოთმცოდნეობა, პოლიტოლოგია და ეთნოლოგია) წარმომადგენლები უნდა შეკრებულიყვნენ და გეემსჯელა შესაბამისი პრობლემის ირგვლივ. ეს თავისთავადაც საინტერესო იქნებოდა და ფრიად საჭიროც იუბილეს გასამართად. ვიმედოვნებთ, რომ ამისათვის დღევანდელ საქართველოში სათანადო ინტელექტუალური ძალები არსებობს. ასე რომ, ამ შემთხვევაში უცხოელ სპეციალისტთა მოხმობა არ დაგვჭირდებოდა.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ხელისუფლების მავანი წარმომადგენლები ფორმალურ, ბიუროკრატულ გზას დაადგნენ (რუსები რომ „казёнщина"-ს იტყვიან), რასაც ნამდვილ მეცნიერებასთან არაფერი აქვს საერთო. ისე, კაცმა რომ თქვას, მსგავსი ღონისძიება (დისკუსია) ისტორიკოსებს მაინც უნდა ჩაგვეტარებინა. და თუ დღემდე ეს ვერ მოვახერხეთ, იმიტომ რომ დღევანდელი ქართული საისტორიო აზროვნება ვერ დგას დროის მოწოდების სიმაღლეზე. ზემოთქმულიდან ის დასკვნაც უნდა გაკეთდეს, რომ ჩვენთან საზოგადოებრიობაც ასეთივე დონეზეა.

რასაკვირველია, ერთი შეხედვით 3000 წელი უფრო მიმზიდველია და უფრო „პატრიოტულად" ჩანს, ვიდრე 2300 წელი. მაგრამ ძთავარი ხომ ობივატელის გრძნობა-შეგნება არ გა: ლავთ, არამედ მეცნიერების (ნამდვილი!) მონაცემები, ჭეშმარიტება. თუ როგორ უნდა მოვიქცეთ მსგავს შემთხვევაში, ამის თაობაზე ბრწყინვალე გაკეთილი

---

86 მხოლოდ საბჭოური წყობილების დაშლისას დაისვა საკითხი აღგვენიშნა გაერთიანებული ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის (მაგრატ III-ის ხანაში) თარიღი.

ჩაგვიტარა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა „მამულიშვილობა და მეცნიერებაში“ (დაიბეჭდა 1904 წელს). და ჩვენ, მის შთამომავლობას, არ გვმართებს სხვანაირად მოვიქცეთ.

სხვათა შორის, როდესაც ერანის უკანასკნელმა შაჰმა გადაწყვიტა ეზეიმა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის იუბილე, მისი არჩეკანი (დამოუკიდებლად თუ მრჩეველთა ზეგავლენით) შეჩერდა 2500 წელზე. მართლაც, ერანში ეს თარიღი აღინიშნა. რა თქმა უნდა, შეეძლოთ იგი უფრო უწინ გადაეწიათ და მიესადაგებინათ მიდიისა და, მეტიც, ელამის ისტორიის უძველეს პერიოდთან, მაგრამ ასე არ გაუკეთებიათ. შეჩერდნენ თარიღზე, რომელშიც ყველაზე უფრო გამოკვეთილად აისახა განვითარებული სახელმწიფოებრიობა და ქვეყნის ერთიანობა.

საბედნიეროდ, გვაქვს სრული ისტორიული საფუძველი ვიზეიმოთ ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობის 2300 წელი. ეს კი ცოტას რადი ნიშნავს; ევროპელ ხალხებში (ერებში) მსგავსი ფუფუნება წილად ხვდათ მხოლოდ ბერძნებსა და იტალიელებს. მაშ, რა ჭრან რუსებმა, რომლებიც თავიანთი სახელმწიფოებრიობის წარმოქმნას (კიევის რუსეთში) 862 წლით (ახ. წ.) იწყებენ და ამაშიც, საკვირველია, სამართლიანად, უკრაინელები ეცილებიან (თუმცა მავანი ქართველი ისტორიკოსებისა და არქეოლოგოსების დარად ამ შემთხვევაში შეიძლება შესაბამისი თარიღის ბევრად უფრო წინ გადაწევა). ალარას ვამბობთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა, კანადასა, ავსტრალიასა და მისთანებზე.

საიუბილეო თარიღის დადგენის ამგვარი ნაჩქარევ-ზერელობა ძალზე ცუდ სამსახურს გვიწევს და მით უფრო გაგვიწევს მომავალში. მავან ჩვენ ბიუროკრატთაგან განსხვავებით, საკითხის მეცნიერული მხარით დაინტერესდებიან რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვ. ისტორიკოსები, ალბათ სხვა დარგების წარმომადგენლებიც. გვჯერდეს, რომ მათ არ გაუჭირდებათ შესაბამისი ჭეშმარიტების დადგენა. შეგახსენებთ, რომ როდესაც 50-იანი წლების დასაწყისში, მოსკოვში გადაწყდა „Всемирная история“-ს ათტომეულის გამოცემა და დაიბეჭდა I–II ტომების პროსპექტი, სადაც კოლხეთში სახელმწიფოს წარმოშობა VI—V საუკუნეებისათვის იყო მისადაგებული, ფართო, საკმაოდ დემოკრატიული განხილვის შედეგად მსგავსი მოსაზრება გამოქვეყნებულ II ტომში (1956 წელს) უარყვეს, მაშინ როდესაც არავინ დაეჭვებულა ქართლში (ივერიაში), ძვ. წ.

IV—III საუკუნეთა მიჯნაზე სახელმწიფოებრიობის წარმოშობის საკითხის გამო. ფაქტია, რომ მოსკოვში მიწვეულმა ქართველმა ისტორიკოსებმა ვერ შეძლეს „სასურველი“ თარიღის დაცვა (იგივე განმეორდა ე. წ. ხეთურ-სუბარული გვარტომობის ხალხების „თეორიის“ შემთხვევაშიც). ადვილი წარმოსადგენია, თუ რა რეზონანს გამოიწვევს ჩვენი კოლექტიური თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართული (კოლხური) სახელმწიფოებრიობა ჩამოყალიბდა ძვ. წ. X საუკუნეში!

ასეთ შემთხვევაში არსებობს მეორე პერსპექტივაც. მსგავსი განწყობილების აზერბაიჯანელებსაც შეუძლიათ ამტკიცონ თავიანთი სახელმწიფოებრიობის შექმნის 3000 წლისთავი (მანას სამეფოს მაგალითზე). მით უმეტეს ეს ითქმის სომხებზე, რომელთაც, სავსებით შესაძლებელია, რომ 3500 წლიანი თარიღი იზეიმონ (ჰაიასა — აცის გაჩენიდან მოყოლებული). იქნებ ამან გვაიძულოს, რომ საიუბილეოდ კვლავ ახალი თარიღი გამოვძებნოთ და დავუკავშიროთ ან ლეგენდარულ, მითოსურ აიეტს ანდა თრიალეთის ყორღანების პერიოდს. მაგრამ ვის სჭირდება უაზრობათა ასეთი ბაკქანალია?!

იუბილემდე საკმაო დრო დარჩა. იქნებ დავფიქრდეთ და ვიმოქმედოთ ისე, როგორც ამას მეცნიერება (ისტორიოგრაფია) გვიკარნახებს. ხოლო თუ დიდად გავეკიუტდებით, მოვიგონოთ, რომ სიკიუტე არასდროს არაა შესაშური თვისება, მათ შორის პოლიტიკოსთათვისაც.

P.S.

DIXI ET SALVAVI ANIMAM MEAM

ვაყენებ ერთ პრაქტიკულ წინადადებას. კარგია, რომ გააზსენდათ მეფე ფარნავაზი და მაისის საიუბილეო დღეებში მცხეთაში გაიხსნება მისი ეკლესი. მაგრამ „ქართლის ცხოვრება“ ხომ მოგვითხრობს თავმდაბლობის, ერთგულების, გამტანობისა და, რაც უფრო მთავარია, სახელმწიფოებრივი (ერთიანი ქართული) აზროვნების იშვიათ განმასახიერებელ ქუჯიზე. ფაქტია, რომ ლეონტი მროველი დიდი

პატრიოტული გრძნობითა და შეგნებით არ გამოირჩეოდა (მაგალითად ეთნარქოსთა სიაში ეგროსი ბოლო ადგილზე მოათავსა), ასე რომ, ქუჯის შესახებ ეპიზოდს იგი არ (და ვერ) შეთხზავდა. გარდა ამისა, ზოგიერთი ისტორიული რეალიების გათვალისწინებითაც ეს პიროვნება ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარის გამგებელი („სკეპტუხოსი") უნდა ყოფილიყო. ამიტომ ჯერ არს რომ მალე, ამჯერად თბილისში, ფარნავაზისა და ქუჯის ძეგლიც ვიხილოთ.

2000 წ.

ძველ კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არსებობის საკითხი*

საკითხი საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ საზოგადოებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია. გარდა თავისთავადი მნიშვნელობისა, იგი ჩვენს ქვეყანაში ცივილიზაციის წარმოქმნა-განვითარებასაც უკავშირდება. საერთოდ კი ამ მოვლენას დიდ სოციალურ ტეხილს უკავშირებენ – ხან კერძო საკუთრების, სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობას (ადამ ფერგიუსონი), ხან მიწაზე კერძო საკუთრების განვითარებას (კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი), ხან დამწერლობის გაჩენას (ლუის მორგანი, გორდონ ჩაილდი), ხან სახელმწიფოს წარმოშობას (არნოლდ ტოინბი, ასევე გორდონ ჩაილდი). პირადად მე მიმაჩნია, რომ ამ თვალსაზრისთა შორის უპირატესობა უკანასკნელს უნდა მიეცეს. ასე რომ, კერძოდ საქართველოში, სახელმწიფოსა და ცივილიზაციის წარმოქმნა ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული. მოგეხსენებათ, პრობლემა დიდად აქტუალიზებულია იმითაც, რომ საქართველოს ხელისუფალთა გადაწყვეტილებით მალე უნდა აღინიშნოს ჩვენი სახელმწიფოებრიობის დასაბამი. შესაბამისად, მრავალი დარგის ჰუმანიტართა წინაშე დგება მოვლენის გენეზისის, გაჩენის დროის საკითხი.

მიუხედავად საკითხის დიდი მნიშვნელობისა, ვერ ვიტყვით, რომ მის თაობაზე მდიდარი ისტორიოგრაფია გაგვაჩნდეს. ჩვენი საუკუნის დასაწყისში, როგორც ცნობილია, პრობლემა სპეციალური მსჯელობის საგნად აქცია ივანე ჯავახიშვილმა. შემდგომ მის ახლებურ გააზრებას შეეცადა სიმონ ჯანაშია. მაგრამ ეფიქრობ ამ უკანასკნელის მცდელობა დიდად წარმატებული არ ყოფილა. ჯერ ერთი, მის აზროვნებას ხელს უშლიდა ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის შესაბამისი პრიმიტიული წარმოდგენები, და მეორე, სათანადო არქეოლოგიური მასალების სიმწირე. საბედნიეროდ, მცხეთის არქეოლოგიური შეს-

---

* წაკითხულია დისკუსიის დროს, რომელიც 2000 წლის 8–11 ივნისს გაიმართა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩემეული ბროშურის „საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი“ ირგვლივ

წავლის შედეგად ბევრი რამ გაირკვა, კერძოდ, გაცნობიერდა, რომ ქართულ წერილობით საისტორიო ტრადიციას საკითხის შესახებ საკმაოდ მყარი არქეოლოგიური საფუძველი ჰქონია. თუ არა არქეოლოგიური აღმოჩენები, ისე ამ თვალსაზრისის მტკიცე, ნაღდ ვილად მეცნიერულ დასკვნას ვერ მივიღებდით. ამ მხრივ გარკვეულ ნაბიჯებს დგამდნენ ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია, აღსანიშნავია გიორგი წერეთლისა და პაველ ინგოროყვას დამსახურება.

1954 წლის დეკემბერში, საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს მომზადებასთან დაკავშირებით, ისტორიის ინსტიტუტში ადგილობრივი ძალებისა და თბილისის უნივერსიტეტის რიგ თანამშრომელთა მონაწილეობით გაიმართა დისკუსია, მიძღვნილი საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისადმი. მთავარი მომხსენებელი იყო გიორგი მელიქიშვილი, ხოლო დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ოცამდე პირმა. დისკუსიის მთავარი შედეგი იმის მტკიცედ დადასტურება იყო, რომ ჩვენში სახელმწიფო არსებობდა უკვე ძვ. წ. ბოლო საუკუნეებში. ასე რომ, ცნობილი (პეროსტრატესებურად!) ი. ტალახაძის მცდელობა – მოვლენა დაეკავშირებინა IX საუკუნისათვის (ცხადია, ახ. წ.-ის) და, შესაბამისად, ძველი ქართლი გაეაზრებინა სამხედრო დემოკრატიის თვალთახედვით, კურიოზად იქცა აღქმული. მომხსენებლის ერთ-ერთ მთავარ თეზისს წარმოადგენდა აზრი იმაზე, რომ დიაუხი და კოლხა//კოლხა თუ სახელმწიფოებრივი არა, ყოველ შემთხვევაში, გასახელმწიფოებრიობის მიჯნაზე მდგომი პოლიტიკური ერთეულები უნდა ყოფილიყო. თავი რომ დავანებოთ მოცემული დებულების აშკარად ლოგიკურ გაუმართაობას, დავსძენ, რომ დისკუსიის არც ერთ მონაწილეს მისთვის ამ საკითხში მხარი არ დაუჭერია. ამდენად, დახლოებით სამი ათასი წლის წინათ ჩვენი სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის საკითხი იმხანად არ წამოჭრილა. დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობა თვლიდა, რომ ამას ადგილი ჰქონდა ძველ ქართლში (იბერიაში) ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში. იყო ორიოდე მონაწილეც, რომლებიც, მომხსენებელთან ერთად ამას უკავშირებდნენ ძვ. წ. VI–V საუკუნეების კოლხეთს.

დისკუსია შესაბამის საკითხზე საკავშირო დონეზეც გაიმართა. ჟურნალ „Вопросы истории“-ში 1956 წელს დაიბეჭდა გიორგი მელიქიშვილის სტატია „К вопросу о возникновении классового

общества и первых государственных образований в Грузии" (N4), რომელსაც იმავე წელს მოჰყვა გიორგი სოსელიას სტატია „Существовала ли рабовладельческая формация в Грузии" (N 10). ავტორი ამტკიცებდა, რომ სტრაბონის ხანის ჩათვლითაც კი ქართლში (იბერია) კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო არ არსებობდა, ისინი რომის მძლავრი ზეგავლენით წარმოიშვნენ II-IV საუკუნეებში (ძველ კოლხეთში კი ამ მოვლენებს გამორიცხავდა). მომდევნო წლის მე-7 ნომერში შოთა მესხიამ, ნოდარ ლომოურმა და ოთარ ლორთქიფანიძემ დაბეჭდეს სტატია „К вопросу о происхождении государства и существовании рабовладельческой формации в Грузии", სადაც ისინი ძველებურ პოზიციას იცავდნენ.

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. დიდად საბედნიეროდ, გადაეგო-გადაშენდა საბჭოური სოციალურ-ეკონომიკური სისტემა და მისი შესაბამისი იდეოლოგია. აქედან გამომდინარე, სათანადო დარგების წარმომადგენლებს შესაძლებლობა მოგვცა შეკრებილიყვით და თავისუფალი აზროვნების პირობებში გვემსჯელა ამ ფრიად საინტერესო პრობლემაზე. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს შანსი სათანადოდ გამოვიყენეთ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც უმაღლესი ხელისუფლება დაინტერესდა ზემოხსენებული საკითხით, მეცნიერებათა აკადემიაში შედგა ორი შეხვედრა, სადაც იგი განიხილეს. ვიმეორებ, ამის თაობაზე არ გამართულა სპეციალური დისკუსია, შესაბამისად – არც სერიოზული განხილვა. დაასკვნეს, რომ უპრიანი იქნებოდა საქართველოში სახელმწიფოს წარმოქმნის თარიღად ჩათვლილიყო სამი ათასი წლის წინანდელი ხანა. მაგრამ ხომ უნდა გვქონდეს კონკრეტული, ცხადი წარმოდგენა იმაზე, თუ რა მოხდა ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში, ან რომელ გაერთიანებას (ამჟერად ვეცდებით ამ ტერმინს) – დიაოხისა თუ კოლხა//კოლხას დაეუკავშიროთ იგი. რაკი რატომღაც ასე დაასკვნეს, ამის შემდეგ გაჩნდა რიგი პუბლიცისტური სტატიებისა, სადაც ასაბუთებდნენ სამიათასწლოვან თარიღს. მაგრამ იყო სხვაგვარი მოსაზრებანიც, რომელთაც ყურადღება არ მიაქციეს. რასაკვირველია, ჩვეულებრივ პირობებში ნორმალური იქნებოდა შესაბამის სპეციალისტთა შეხვედრა და მათი მოსაზრებების ურთიერთშეჯერება, მაგრამ მსგავსი პერსპექტივა არა და არ ჩანდა.

ბროშურაში „საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი“ შეუცადე შეძლებისდაგვარად შემეკლო აღნიშნული ეკუთვნი. თუ უფრო ვრცელი ნაშრომი და თანაც გაცილებით ადრე ვერ გამოვაქვეყნე, ამისი მიზეზი ობიექტურ პირობებშია მოსაძებნი. ჩემი ბროშურა ასეულობით დაეარიგე სხვადასხვა ოფიციალურ ინსტანციაში თხოვნით, ყურადღება მიექციათ აღნიშნული საკითხისათვის. დიდად კმაყოფილი ვარ, რომ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ჩემი ნაშრომის ირგვლივ განხილვა-დისკუსია მოეწყო. მადლიერების გრძნობით მივმართავ აგრეთვე მის აქტიურ მონაწილეებსაც, და საერთოდ, დამსწრე საზოგადოებას.

ამჯერად შევეცდები პასუხი გავცე ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის შესიტყვებებს.

მოველოდი, რომ ოპონენტი, რამდენადაც იგი არქეოლოგიის გარდა საქართველოს ძველი ისტორიის სპეციალისტიც გახლავთ, ჩემი ნაშრომის ზოგად გააზრებასა და შეფასებას შეეცდებოდა. მაგრამ რატომღაც მან ამას თავი აარიდა და ძირითადად იმით შემოიფარგლა, თუ როგორ კიყენებ შესაბამის არქეოლოგიურ და წერილობით წყაროებს ძვ. წ. VI საუკუნის კოლხეთში სახელმწიფოს არსებობა-არარსებობის საკითხის დასასაბუთებლად. მაგრამ ჩემი ნაშრომის არსის მიჩუმათება-მიფუჩეჩებას რომ თავი დავანებოთ, საინტერესოა, თუ რას ფიქრობს ამჯერად ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე ჩვენი სახელმწიფოებრიობის არსებობის სამიათასწლოვან ხანასთან დაკავშირებით. სხვა დროს იგი ამ საკითხს არაერთხელ და თანაც დადებითი აზრით შეხებია. ჩემდა გასაოცრად, მან განაცხადა, რომ ერთ დროს მხარს უჭერდა აზრს ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნის თაობაზე ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისის ქართლში, და მიმითითა კიდეც 1993 წელს დაბეჭდილი თავისი ბროშურა „ქართული ცივილიზაცია. საიდან იწყება მისი ისტორია?“ მაგრამ აღნიშნული თვალსაზრისი შეუცვლია სხვა მოსაზრებით, რომელსაც მე არ ვუკავშირებ მეცნიერებას, ჭუშმარიტების ძიებას. ასე რომ, მისეული პოზიცია ამ მხრივაც ჩემთვის მიუღებელია. გარდა ამისა ბროშურაში იგი ხომ წერს: „უკვე ძვ. წ. VIII–VII ს.ს.-დან ყალიბდება ჯერ ურარტულ, ხოლო შემდეგ ძველ ბერძნულ წყაროებში ფართოდ ცნობილი კოლხთა სახელმწიფო“ (იხ. გვ. 3)?

ოპონენტმა მიკიჟინა, რომ ჩემი წიგნაკის თეორიულ ნაწილში ახ-

ალს არაფერს ვამბობ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით და ვიფარგლები ფრ. ენგელსის ნაშრომით „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა". ჯერ ერთი, აღნიშნული ინსტიტუტის (ასევე მიწაზე კერძო საკუთრების) წარმოქმნის საკითხში მოცემული მაქვს ნაშრომის სულ სხვანაირი ინტერპრეტაცია, რაც მიუღებელი იყო საბჭოური მენტალიტეტისათვის. თუ ჩემეული გაგება ბატონ ოთარ ლორთქიფანიძისთვის რაიმე სიახლეს არ წარმოადგენს, მაშინ სათანადო შეხედულებანი აქამდე ერთხელ მაინც ხომ უნდა გამოექვეყნებინა. მეორე, სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის გააზრებისას შევეხე სულ სხვაგვარ გზას, რომელიც ფრ. ენგელსის აღნიშნულ ნაშრომში აბსოლუტურად არ გეხედება. იგი ფიგურირებს მის „ანტი-დიურინგში" და ასახავს აზიური წარმოების წესისათვის დამახასიათებელ სიტუაციას. რა ვიფიქრო? ვერ დაეუშვებ, რომ ოპონენტს არ წაუკითხავს აღნიშნული ენგელსისეული ნაშრომი და ამიტომაც ვერ შეამჩნია „ოჯახის... წარმოშობაში" აზიური, აღმოსავლური წარმოების წესის ვითარების მოუხსენებლობა. თუ მან მსგავს შემთხვევაში აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის" წაუკითხაობა დამაბრალა, მე, რასაკვირველია, ასევე ვერ მოვიქცევი. რაც შეეხება სახელმწიფოებრიობაზე გადასვლის კონკრეტულ მექანიზმს, ამ საკითხს სპეციალურ პარაგრაფში ვეხები (გვ. 49-52), უძველეს ქართლთან დაკავშირებით. მაგრამ ეს გარემოება ოპონენტმა მიჩქმალა.

ცნობისათვის: 1978 წელს პაგასა და პარიზში გამოიცა ვრცელი კრებული „The Early State", რომელშიც მრავალ უცხოელ ავტორთა გარდა იმჟამინდელი საბჭოთა მეცნიერებიც მონაწილეობდნენ. მოგახსენებთ, რომ კრებულში ბევრი რამ იქნა გათვალისწინებული სწორედ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის შესაბამისი ნაშრომებიდანაც. დიდად სამწუხაროდ, ამერიკელი ეთნოლოგოსის ელმან სერვისის ნაშრომს „The Origin of the state and civilization" მხოლოდ რუსი ავტორების მეშვეობით ვიცნობ, რამეთუ საქართველოში არსებული მისი ერთადერთი ეგზემპლარი, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკაში ინახებოდა, დაკარგულია.

იქნებ ბატონმა ოთარ ლორთქიფანიძემ შეაცნო აღნიშნული ხარვეზი? მან ჩამოგვითვალა რიგი ახალი უცხოელი ავტორებისა, რომლებიც სახელმწიფოს წარმოშობის ახლებურ გააზრებას გვთავაზობენ, მა-

გრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ გკარები დაგვისახელა. ოპონენტმა ახსენა აგრეთვე პალეოეკონომიკა და პალეოსოციოლოგია (დიდი ხნის წინათ იგი პოპულარიზაციას უწევდა პალეოურბანისტიკასაც), შესაბამისი რეკონსტრუქციის მეთოდები, მაგრამ მათ შესახებ და მათ საფუძველზე მიღებულ კონკრეტულ შედეგებზე იგი არც ამჯერად არაფერს გვეუბნება და არც სხვა დროს უთქვამს (დაუწერია) რაიმე. სხვა დროს იგი ეხმან სურვისის ნააზრევიდან მხოლოდ „chiefdom"-ს ახსენებს, ისე რომ არ ეხება ცნების არსს და მის მიმართებას სახელმწიფოსთან. რამდენადაც ვიცი, ცივილიზაციის თაობაზე მსჯელობისას ოპონენტი მხოლოდ გორდონ ჩაილდს იმოწმებს, რაც ჩემთვის საკმაებით გასაგებია. არ გავკადნიერდები და არ ჩავუთველი ნაკლად საკითხზე სხვადასხვა თვალსაზრისთა უკოდინარობას, არც შესაბამის ლიტერატურას შემოგთავაზებთ. აქ არც იმის დროა, რომ საისტორიო აზროვნების თაობაზე სპეციალურად ვილაპარაკო.

ოპონენტი მსაყვედურობს, რომ ბევრი რამ უნდა წამეკითხა არგონავტიკული ძიებების, ბერძნული კოლონიზაციისა და სხვა საკითხების შესახებ. მაგრამ ესენი თუმცა თავისთავად ძალზე საინტერესოა, მაგრამ ჩემი უშუალო სამეცნიერო ინტერესების სფეროში არ შემოდის. კერძოდ, ბერძნული კოლონიზაციის შესახებ მე ამჯერად მჭირდება ზოგადი ცოდნა და მისი ორი-სამი წინადადებით გადმოცემა. ბროშურაში ხომ ჩემი ძირითადი თემა სახელმწიფოს წარმოშობაა. მე რომ ჩვენი ძველი ისტორიის ძირითადი საკითხები გამოწვლილვით შევისწავლო და ისიც საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ნათელსაყოფად, ჩემი ბროშურა დღის სინათლეს მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ თუ იხილავდა. შეგახსენებთ, რომ საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის გასარკვევად ჯერჯერობით მხოლოდ საგაზეთო პუბლიკაციებს სჯერდებიან. მე კი ამის შესახებ მოზრდილი ბროშურა გამოვაქვეყნე და, როგორც ჩანს, მსაყვედურობენ, რომ ვრცელი მონოგრაფია არ დავბეჭდე. თუ ბ-ნ ოთარ ლორთქიფანიძესა და ჩემს სხვა ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ კერძოდ აღნიშნული პრობლემის გასაშუქებლადაც ვიწრო სპეციალისტების კოოპერაციაა საჭირო, მაშინ კარგი იქნებოდა ეჩვენებინათ ამ გზის სისწორე და სათანადო ნაშრომი წარმოედგინათ.

რაკი სიტყვამ არგონავტების თემა მოიტანა, კვლავ გავიმეორებ, რომ შესაბამისი მითი თანდათანობით იქმნებოდა საბერძნეთში და მას

შეერწყა უძველესი ინდოევროპული წარმოდგენები აიაზე. მიკენურ ხანაში (კერძოდ ძვ. წ. XIII საუკუნეში) ბერძნებს კოლხეთის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდათ, მათ კოლხეთი გაიცნეს მხოლოდ კოლონიზაციის გარიჟრაჟზე, ძვ. წ. VIII საუკუნეში (პირველად მოიხსენიება პოეტ ევმელე კორინთოელთან ამ საუკუნის მეორე ნახევარში) და მითიც აღნიშნულ ქვეყანას ამ პერიოდში დაუკავშირეს. მოვიტან ანტიკური, კერძოდ ბერძნული, გეოგრაფიის საუკეთესო მცოდნეთა სათანადო აზრებს. რიჰარდ ჰენინგი წერს: „თუ როგორი იყო ჰომეროსისათვის და ჰესიოდესათვის ცნობილი თავდაპირველი მითი მანამდე, სანამ მას მიეცემოდა დამახასიათებელი და ჩვენთვის მთავარი თავისებურებანი, შეუძლებელია დადგენილ იქნეს. ჩანს, კოლხიდა და იქიდან საწმისი ჩართულ იქნენ ძველ თქმულებებში მხოლოდ მაშინ, როცა ბერძნების ლაშქრობა მდინარე ფაზისისაკენ დასაზვერად და ნადავლის ხელში ჩასაგდებად უკვე შედგა. ეს, როგორც ჩანს, მოხდა ძვ. წ. VIII საუკუნეში"; „ჰესიოდეს ჰქონდა მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა მდინარე ფაზისზე; აგრეთვე ცნობილია, რომ სინოპე, როგორც მილეტის კოლონია, წარმოიქმნა ძვ. წ. 750 წლის ახლოს. ორივე ეს ფაქტი საკმაოდ კარგად თანხვდება და ალბათ იძლევა უფლებას ვიგულისხმოთ, რომ დაახლოებით VIII ს. შუახანში მითს მიეცა საბოლოო თავისებურებანი"; „არა უადრეს VIII ს. შეიძლებოდა ჩართულიყო არგონავტების მითში ყველა მისთვის ცნობილი დამახასიათებელი თავისებურებანი — ლაშქრობა კოლხეთში, ოქროს საწმისის მოტაცება და მთელი პოეტური გამონაგონი, რომლითაც გასხივოსნებულია მედეას სახე"[1].

კოლხეთი რომ თითქოს არგონავტების მოქმედების მთავარი ადგილი იყო — ამას უსაფუძვლო გვიანდელ პოეტურ ერსად მიიჩნევდა ჯორჯ ტომსონი.

ლევ ელნიცკი წერს: „უეჭველია, რომ აიასა და კოლხიდის ლოკალი-

---

1 იხ. Рихард Хеннинг, „Неведомые земли", I, მოსკოვი, 1961, გვ. 38-39). შევნიშნავ, რომ ავტორის აზრით, ბერძნებს ტროას ალებამდე პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისითაც არ შეეძლოთ დარდანელის გავლა. სხვათა შორის, არ აქცევენ ყურადღებას შემდეგ შეუსაბამობას: თითქოსდა კოლხეთში ილაშქრა ორმოცდათმა არგონავტმა, ე. ი. გამოდის, რომ ხომალდი ორმოცდათინიჩიანი იყო. მაგრამ მსგავსი რამის შექმნა ბერძნებმა მხოლოდ VIII საუკუნეში (ძვ. წ.) მოახერხეს, მანამდე კი ოცნიჩიანი გემები ჰქონდათ.

იზაციას შავი ზღვის კავკასიურ სანაპიროზე არ ჰქონია ადგილი არგონავტიკის თავდაპირველ ვარიანტში"[2]; „იონიელებს იმ დროს ჯერ კიდევ არ მიულწევიათ კავკასიის ნაპირებამდე და მითები აიეტისა და მედეას შესახებ მზის ამოსვლის ქვეყანაში ასახავენ მხოლოდ მათი საკოლონიზაციო მოძრაობის მიმართულებას. ამრიგად ამ კოლონიების წარმოშობა, რასაც ადგილი ჰქონდა არა უადრეს ძვ. წ. VII საუკუნისა, წარმოადგენს ტერმინს ad quem კავკასიაში აიეტისა და მედეას ლოკალიზაციისათვის".[3]

აღნიშნულთან დაკავშირებით შევჩერდები ერთ საკითხზე, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ავტორისეულ აზროვნებას. თავის წიგნში „ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი" (გამოცემულია 1966 წელს) იგი აღნიშნავს, რომ გვიანბრინჯაოს ხანა, ე. ი. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე პირველყოფილი თემური წყობილების განვითარების უმაღლესი სტადიაა ერთი მხრივ, ამასთანავე ხანა ტოჰთა მსხვილი გაერთიანებებისა, „ამ კულტურის შემქმნელი და მატარებელი კოლხურ ტოჰთა გაერთიანებების ძლიერების ხანა უნდა არეკლილიყო ბერძნულ თქმულებებში აიეტის ქვეყნის შესახებ".[4] ამგვარი ჰიპოთეტური ბასიათის მსჯელობიდან კი ავტორი დაასკვნის: „ამრიგად, ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მითში არგონავტების ლაშქრობის შესახებ აისახა ბერძენ აქაველთა პირველი მოგზაურობანი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ და ურთიერთობა ძველ კოლხეთთან";[5] „ამასთან ერთად, სრულდება ბერძნული სამყაროსა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს შორის ურთიერთობის პირველი, ე. წ. აქეური პერიოდი".[6] შეგახსენებთ, რომ აქაველთა და ძველ კოლხთა კონტაქტებიც წმინდა ჰიპოთეტური

2 იხ. მისი „Знания древних о северных странах", М., 1961, გვ. 12.

3 იქვე, გვ. 13. მაინც საინტერესოა თუ საიდან, როგორ იცოდნენ ძველმა ბერძნებმა კოლხეთის „ოქრომრავლობა" ძვ. წ. XIII საუკუნეში. III-II ათასწლეულების მანძილზე ხომ ქვეყანა არ გამოირჩეოდა ამ თვალსაზრისით. ოპონენტი თვითონვე აღნიშნავს: „ოქროს სამკაულები კოლხეთში დადასტურებულია უკვე ძვ. წ. III ათასწლეულში... მაგრამ ამჟამად შეუძლებელია დაისვას საკითხი ოქრომჭედლობის შეუწყვეტელ ტრადიციებზე ძვ. წ. III ათასწლეულიდან ანტიკურობამდე". იხ. „Наследие древней Грузии", თბილისი, 1989, გვ. 251.

4 იქვე, გვ. 20–21.

5 იქვე, გვ. 21.

6 იქვე, გვ. 21.

სახისაა. თუ რა ფასეულობა აქვს ამგვარ ალბათობებზე დაფუძნებულ მყარ, კატეგორიულ დასკვნას, ამის თაობაზე დაე მკითხველებმა იმსჯელონ.

ოპონენტის დიდი გულისწყრომა გამოიწვია ჩემმა მკვახე გამონათქვამებმა შუძლეგ გარემოებასთან დაკავშირებით. რამდენადაც ვიცი, იგი ერთადერთია, ვინც ჰეროდოტესეული თხზულების-შესაბამის ადგილებს, კოლხეთს რომ ეხება, ძალზე ორიგინალურად ხსნის. მოვიტანთ შესაბამის ციტატებს: „ხოლო მეოტიდის ტბიდან მდინარე ფაზისამდე და კოლხებამდე არის 30 დღის სავალი მსუბუქად შეიარაღებული (კაცისათვის), ხოლო კოლხეთიდან მიდიაში დიდი არაა გადასავალი, არამედ მხოლოდ ერთი ტომია ამ (ქვეყნებს) შორის. ეს არის სასპეირების (ტომი), ამათ რომ ჩაუვლი, ხარ მიდიაში" (ისტორია, I, 104); „სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც უწოდებენ მეწამულს. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები. მიდიელებს ზემოთ სასპეირები, სასპეირებს ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი. ეს ოთხი ტომი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე" (4,37) (მომაქვს ქ-ნ თინათინ ყაუხჩიშვილისეული თარგმანი და სულაც არა იმიტომ, რომ შესაბამისი ბერძნული ტექსტი ჩემთვის გაუგებარია). როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია ტომზე, ხალხზე (τό ἔθνος), კერძოდ ოთხ ხალხზე (τέσσαρα ἔθνεα) და არა სახელმწიფოზე ან მმართველობის ფორმაზე (მონარქიაზე), როგორც ეს ბ-ნ ოთარ ლორთქიფანიძეს ესმის. იგი მსაყვედურობს, რომ ვჯერდები მითითებას ქსე-ს შესაბამისი ტომის მიხედვით. ნუთუ ამ შემთხვევაში არა მაქვს უფლება მსგავს საფუძველზე დაყრდნობით მემსჯელა? რაკი ასე საჭიროდ თვლის, მოვიხმობ სხვა გამოცემასაც: „Хорошо известно, что Мидия и Персия представляли собой могущественные в то время государства и упоминание наряду с ними колхов, вероятно, может таким образом указывать на наличие крупного колхского государственного политического объединения"[7] შეიცვალა რამე ამით აღნიშნული მიმართულებით? მსგავსი მტკიცებისას იგი ეყრდნობა სიმონ ჯანაშიას ავტორიტეტს

7 იხ. ავტორის „Древняя Колхида", თბილისი, 1979, გვ. 52.

(იქვე, გვ. 53). მაგრამ უკანასკნელის ციტირებულ ნაშრომში „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე" ასეთ აზრს ვერ ვხედებით.

კვლავ გავიმეორებ, რომ მსგავსი დასკვნის გაკეთება მოტანილი ჰეროდოტესეული ტექსტიდან შეუძლებელია. თავის გამოსვლაში ოპონენტმა აზრთა ისეთი ხვეულები და კასკადი გვაჩვენა, რომ სიმართლე გითხრათ, გამიჭირდა მათთვის თვალის, უფრო ზუსტად, აზრის გადევნება. იქნებ ეს მას შემდეგ შეეძლო, როცა იგი თავის გამოსვლას წერილობით გამოაქვეყნებს. თურმე ამჯერად მხოლოდ მოტანილი ტექსტებით კი არ უნდა შემოვიფარგლო, არამედ უნდა მივმართო ფართო, ღრმა წყაროთმცოდნეობით და ტექსტოლოგიურ კვლევა-ძიებებს. შეგახსენებთ, რომ ამგვარი ძიებანი აქვს სერიოზულ ფილოლოგოსს, ჰეროდოტესეული ტექსტის ქართულად გამომცემელს – ქალბატონ თინათინ ყაუხჩიშვილს, რომელმაც, ცხადია, ვერ შეამჩნია, რომ ჰეროდოტე აქ კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არსებობას გულისხმობდა. თურმე τό ἔθνος-ს პოლიტიკური, სახელმწიფოს შინაარსიც ჰქონია და სწორედ ეს უნდა გაეითვალისწინოთო ოპონენტისეული მოსაზრების გასაგებად. ამ დღეებში ყოველი შემთხვევისათვის მაინც ჩავიხედე ი. ხ. დეორეცკის ცნობილ „ძველბერძნულ-რუსულ ლექსიკონში". (სხვათა შორის, τό ἔθνος-ს რომ მხოლოდ ტომის, ხალხის მნიშვნელობა არა აქვს, ცხადია, ეს აქამდეც ვიცოდი). წიგნში წარმოდგენილია შესაბამისი სიტყვის უამრავი მნიშვნელობანი: საზოგადოება, ჯგუფი, ბრბო, კლასი, წოდება, სქესი, ტომი, ხალხი (народность), წარმართები, გვარი, სახეობა, ჯიში, გრო (ფრინველთა), ჯოგი (ცხოველთა), ნაყარი (ფუტკართა). მაგრამ სახელმწიფოს ან მმართველობის ფორმას ამ ჩამონათვალში, რა თქმა უნდა, ვერ ვხედავთ. ოპონენტი სარგებლობს ლიდდელისა და სკოტის „ძველბერძნულ-ინგლისური ლექსიკონით", სადაც τό ἔθνος-ს აქვს „ნაციის" მნიშვნელობა. აქ და სხვაგან ამოიკითხა, რომ ეს უკანასკნელი ჰომეროსის შემდგომი ხანის საბერძნეთში გულისხმობდა სახელმწიფოებრივ ერთობასაც. ცხადია, იგულისხმა, რომ მსგავსი ისტორიული პერიოდი კოლხეთში უკვე იდგა. ამდენად, ოპონენტმა ელემენტარული სილოგისტიკის საფუძველზე დაასკვნა ჰეროდოტეს მიერ აღწერილი ძველ კოლხეთში სახელმწიფოს არსებობა. თუმცა დეორეცკის ლექსიკონშიც რაკი მოიხსენიება „народ"-ის

მნიშვნელობა („народность"-ის შემდგომ) სახელმწიფოს მოძებნაც შეიძლება. ერთი სიტყვით, ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის ფილოლოგიური მისვლა-მოსვლისა ჩვენ არაფერი შეგვიწუხებია. იქნებ სხვებმა დაიკარგონ!

ვიმეორებ, ბერძნულ ჰეროდოტესეულ ტექსტებს ოპონენტი იმის დასამტკიცებლად მოიხმობს, რომ ფალი კოლხეთის (განსვენებული თეიმურაზ ბიწენაშვილის მიხედვით, „საბუალო კოლხეთის") სამეფო ძვ. წ. VI საუკუნეში ნამდვილად არსებობდა.

იგი წერს: „Поскольку Мидия после поражения Фравартиша (в 521 г. до н. э.) окончательно потеряла свою политическую независимость и стала рядовой сатрапией Ахеменидов, следует полагать, что сведения „Отца истории" отражают политическую ситуацию в Передней Азии до 20-х годов VI в. до. н. э."[9]. ასე რომ, ამ პერიოდში კოლხეთის სახელმწიფოს არსებობის ზემოაღნიშნულ არგუმენტთან ერთად ოპონენტმა მისი გაჩენის თარიღიც „დაადგინა": სულ მცირე ძვ. წ. 530-იანი წლები. მაგრამ აღნიშნული თვალსაზრისით უფრო „ბრწყინვალე პერსპექტივა" იშლება. ოპონენტი მიდიის ისტორიის შესაბამისი ფაქტის ხელმძღვანელობას თითქოსდა ი. მ. დიაკონოვის მიხედვით[9] იაზრებს, ე. ი. საყრდენად მიაჩნია ძვ. წ. 521 წელი. მაგრამ, ამავე ავტორისა და სხვათა ნაშრომების მიხედვით, მიდია სპარსეთმა დაიპყრო ძვ. წ. 550 თუ 549 წელს და, ბუნებრივია, ამავე წელს იქნა შეყვანილი აქემენიანთა სახელმწიფოს (იმპერიის) შემადგენლობაში რიგით სატრაპიად (ცხადია, ხარკის გადახდის პირობით). ამდენად, ჩვენთვის დიდად საინტერესო თარიღს თუ უფრო წინ გადაეწევთ (სხვათა შორის, ამასვე აკეთებს გიორგი მელიქიშვილიც), გამოდის, რომ კოლხეთის სამეფო გაჩენილა ძვ. წ. VI საუკუნის 70-60-იან წლებში. ვიმეორებ, „მშვენიერი პერსპექტივაა" შემდგომი „ფალრმაეებული" კვლევა-ძიებისათვის, და ჩვენ ისღა დაგვრჩენია ვუსურვოთ ჩვენს ოპონენტს წარმატებები ამ მიმართულებით.[10]

---

8 დასახ. ნაშრომი, გვ. 52–53.

9 იხ. „История Мидии", მოსკოვი – ლენინგრადი, 1956. გვ. 435–441.

10 თუმცა ოპონენტი გარკვეულ სკეპსისსაც შეუპყრია, როცა ახლახან გამოსულ კრებულში „სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში" წერს: „პერიოდული კოლხებს მოიხსენიებს წინა აზიის ძლიერი ხალხების – მიდიელებისა და სპარსელების გვერდით. მაგრამ „ისტორიის მამა" არაფერს იუწყება კოლხთა პოლიტიკური კონსოლიდაციის დონის შესახებ" (იხ. გვ. 65).

ისე, თუკი კოლხეთის სახელმწიფოს არსებობის (ძვ. წ. VI–V სს.) დასტურად „დიდად საიმედო“ ქრონოლოგიური საყრდენი გაჩნდება, ეს იმის პირობაც იქნება, რომ სასაერებთანაც ვამტკიცოთ სახელმწიფოს (კერძოდ მონარქიის) არსებობა, კოლხეთის სამეფოს პარალელურად. და ამრიგად უნდა ვემზადოთ ქართული სახელმწიფოებრიობის (კოლხეთისა და სასაერების) 2600 წლისთავის აღსანიშნავად.

შეგახსენებთ, რომ ბ-ნი ოთარ ლორთქიფანიძე კოლხეთში სახელმწიფოს არსებობის დასაბუთებლად სხვა დროს ფსევდოსკილაქსსაც (ძვ. წ. IV ს.) მოიხმობდა, ამჯერად კი ამას თავს არიდებს. რა თქმა უნდა, „შეიძლებოდა“ სხვა მსგავსი არგუმენტების მოტანაც. ბერძენი ავტორები ხომ ნიშანდობლივ მიუთითებენ კოლხეთის დედაქალაქ აიას მდებარეობაზე, ხოლო V ს. (ახ. წ.) ავტორი ზოსიმე ქ. ფაზისის მახლობლად აიეტის სასახლესაც გულისხმობდა. დიდად საეჭვოა, რომ პომპეუს ტროგუსთან კოლხეთის რეალური ისტორია ყოფილიყო გადმოცემული.

სავარაუდოა, რომ რაკი გვიანდელი ხანის კოლხებში სახელი „აიეტი“ გაერცელებული იყო, ამდენად „არგონავტიკის“ აიეტიც შესაძლებელია რეალური ისტორიული პიროვნება ყოფილიყო. მაგრამ სინამდვილეში პირიქით იყო: „აიადან“ წარმოიქმნა სახელი „აიეტი“, რომელიც შემდეგ გაერცელდა კოლხეთში, როგორც გვაუწყებს VI ს. (ახ. წ.) ავტორი სტეფანე ბიზანტიელი.

სანამ ოპონენტი აღნიშნულ სარბიელზე „უდიდეს წარმატებებს“ მიაღწევდეს, მანამდე დავსძენთ, რომ 2600–2500 წლის წინათ კოლხეთში (ძირითადად კოლხეთის დაბლობზე) სახელმწიფოს არსებობა საქართველოს გარეთ არ სჯეროდათ. თავს დავანებებ ი. ჯორჯოლიანისა და ს. შამბას მსგავსთ. გნებავთ, არც ა. ბოლტუნოვას შესახებ ვიტყვი რაიმეს. მაგრამ ქართველების მიმართ შეჯარებით კეთილმოსურნედ და ობიექტურად განწყობილ რუს ისტორიკოსს ილეგ კუდრიავცევს არ სჯეროდა ამისა, როცა „Всемирная история“-ს I ტომის შესაბამის პარაგრაფებს წერდა. ასევე არ სჯეროდათ ი. ს. ლურიესა და ს. ი. კოვალიოვს. ი. მ. დიაკონოვის, ი. ს. სვენციცკაიასა და ვ. დ. ნერონოვას რედაქციით გამოქვეყნებულ „История древнего мира“-ს მეორე და მესამე ტომებში „ძველ“ და „საშუალო“ კოლხურ სამეფოებზე არაფერია ნათქვამი (შესაბამისი პარაგრაფების ავტორები თვითონ რედაქტორები ბრძანდებიან). ამ ავტორებს ემხრობოდნენ

აგრეთვე ჯ. მ. მასონი, მ. ა. დანდამაევი და შედარებით ახალგაზრდა ისტორიკოსი ჯ. პ. იაილენკო. მაგრამ თავი დავანებოთ უცხოეთს და ამჯერად ჩვენი ქვეყნით შემოვიფარგლოთ. შემოგთავაზებთ ციტატებს: „კოლხეთი რომ სახელმწიფო ყოფილიყო, ისე როგორც ეგრისი (იგულისხმება ლაზიკა – გ. ყ) იყო გეიან, ის არც აგრე ადვილად გაქრებოდა და ტომები, რომელნიც ასე თავშემონახული აღმოჩნდნენ კოლხეთის დაშლის შემდეგ, გაითქვიფებოდნენ კოლხთა სახელმწიფოში. ეს იყო ტომთა დიდი გაერთიანება კოლხთა მეთაურობით“; „საძიებელია, თუ რა მიზეზებს ემყარება ის მოვლენა, რომ ოდესმე აგრე დაწინაურებული კოლხეთი, რომლის სიძლიერე-განთქმულობით თავი მოაქვთ III-IV საუკუნის(!) ლაზებს, აგრე დაკნინდა (იყო კი ძლიერი? სად იყო ის კოლხეთი, როგორი გაერთიანება იყო? აიას (ვითომდა კოლხეთის დედაქალაქი – გ. ყ) რიონის ხეობაში გულისხმობენ დაბლაგომს, ეანს, ფიჭვნარს...). ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სტრაბონის დროისა და მისი მომდევნო ხანის დასაწყისში საქართველოს განვითარება სიძლიერის მხრივ იბერიასთან ახლოს ვერ მიდის. საფიქრებელი ხდება, რომ იბერიამ უკეთ და უფრო ადრე დასძლია. გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობა და სახელმწიფოს ცხოვრებიხ ასპარეზზე ადრე გამოვიდა (ხაზგასმა ჩემია – გ.ყ). მაშინ, როცა კოლხეთმა ვერ გადალახა საბოლოოდ ტომობრივი განსხვავებულობანი და ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეული ვერ შექმნა“. მოტანილი სტრიქონების ავტორი გახლავთ ჩვენი ცნობილი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი[11] , რომელსაც, მოგეხსენებათ, არც პატრიოტიზმში ეშლებოდა რაიმე და არც არქეოლოგიური მასალის გააზრება-შეფასებაში. ნუთუ ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა არ უნდა დაგვაფიქროს და გვაიძულოს, ყოველ შემთხვევაში სკეპტიკურად მაინც შევხედოთ ძვ. წ. I ათასწლეულის შუახნის კოლხეთის პოლიტიკურ სიტუაციას?

ვერ კიდევ საბჭოური წყობილების არსებობის ჟამს, როგორც იქნა მოხერხდა, თეორიულ დონეზე მაინც, აღიარება იმისა, რომ წარმოდგენა საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე გეოგრაფიული გარემოს გარეშე ძალზე ნაკლულოვანია. ნუთუ ალარ დადგა დრო, კერძოდ, კოლხეთის ისტორიის თხრობისას სათანადოდ იქნეს გათვალისწინე-

---

11 იხ. „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წ. VIII, გვ. 365, 245–246.

ბული აღნიშნული მომენტი? ჩვეულებრივ, როცა არქეოლოგოსთა და ისტორიკოსთა შესაბამის ნაშრომებს ვეცნობით, ამას ვერ ვხედავთ. მაშინ, როდესაც ამ გარემოებას დაბეჯითებით ხაზს უსვამდა ნიკო ბერძენიშვილი[12]. ამჯერად ციტატების მოტანისაგან თავს შევიკავებ. ახლახან სამეგრელოს შესახებ გამოქვეყნებულ კრებულში შესაბამისი თავის ავტორი გელა გამყრელიძე სწორად შენიშნავს: „ძველი კოლხეთის ისტორიულ განვითარებაში ანგარიშგასაწევია ბიოგეოგარემოს ზოგიერთი ფაქტორ-კომპონენტის უარყოფითი მხარე. კერძოდ, კოლხეთში აგროკლიმატური პირობები კარგია, მაგრამ დასამუშავებელი ფართობები ცოტაა, რაც მიწათმოქმედების ინტენსიური განვითარებისათვის არახელსაყრელი იქნებოდა და, შესაბამისად, დემოგრაფიულ სიტუაციაზე იმოქმედებდა. დასაველეთ კოლხეთის ჭაობიანობა იწვევდა სხვადასხვა დაავადებას, რაც აგრეთვე უარყოფითად იმოქმედებდა მოსახლეობის გამრავლებაზე. კოლხეთის მთავორიანი და ჭაობიანი ლანდშაფტი სახმელეთო კომუნიკაციების გასამართავად მოუხერხებელი იყო, რაც გამოიწვევდა ვაჭრობის შეფერხებას. კოლხეთის სასარგებლო მადნეული საფუძვლად დაედო გადამამუშავებელ. სამეურნეო-საწარმოო საქმიანობას, მაგრამ ეს უკანასკნელიც, გარკვეული ტექნიკური მიზეზების გამო, ეტყობა სრულიად არ იქნა გამოყენებული. უარყოფითი როლი შეასრულა აგრეთვე ზღვის ტრანსგრესიამ, რამაც სანაპიროზე მდებარე სავაჭრო-სამეურნეო საქმიანობის სტაგნაცია გამოიწვია. კოლხეთის ზღვის სანაპიროზე ბუნებრივი ყურეები ცოტაა, რაც ნავსაყუდლების მოწყობის სიმცირეს იწვევდა და აგრეთვე უარყოფითად ზემოქმედებდა ზღვაოსნობის ინტენსიურ განვითარებაზე“[13]. მსგავსი შეხედულება ქართულ აზროვნებაში დიდი ხნის წინათ გაჩნდა. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავდა: „მრავალგზის გუხილავს იგი (დავითი – გ. ყ) დამალტობელად ღაწუთა თუსთა ცრემლითა ხილვასა ზედა თუთოსახეთა სენთა მიერ განცდილთასა და ხილვად საძნაურთა, რომელნი შემთხუეან მიუნდობელთა ამათ და უბადრუკთა ჴორცთა, რომელთა ზრდის სხუათა

12 იხ. მისი „Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI в.)“, თბილისი, 1938, გვ. 23; სის, წიგნი VIII, გვ. 248–252.

13 კრებული „სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში“, თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ. 20.

უმეტეს ქუეყანა ქუთათისისა".[14] აკაკი წერეთელი დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა შესახებ აღნიშნავდა: „ადგილიც სიერცით მეტი უჭირავსთ, მაგრამ სრულიად განსხვავებულის თვისებისა: ზემოთ სულ მთებია და ქვემოთ უფრო ხშირად ჭაობები. ამის გამო სახნავ-სათესი მიწები ძალიან ცოტაა!"; „დარარჩენი ზღვის პირად ადგილები კი — ნოტიო და ჭაობიანი, თითქმის გამოსადეგიც არ არიან"[15]. მან, აქედან გამომდინარე, სხვა გარემოებაც შენიშნა: „მიწის სიძუნწე იმდენზე მიაწევს, რომ თითო ქცევაში ლეჩხუმის, რაჭისა და შორაპნის მაზრებში მყოფელები ძლევენ 300-500 მანეთამდე. თვით ქუთაისის მაზრაშიაც, რიონის პირად ჭალებში, ძლევენ ქცევაში 100-200 მანეთამდე".[16]

გურიიდან გამოგზავნილი კორესპონდენციის ავტორი გვამცნობს, რომ ვაკე გურიაში ხმარებაშია ცალულელა კაკი, „რომელიც უსწორ-მასწოროდ სჩიჩქნის ხოლმე ნიადაგის ზემო თხელ-პირსა"; „მთიან გურიაში კი ამ უხეირო კაკის ხსენებაც არ ჰრის, რადგანაც ამ მთუდგომელ ადგილებში ხარები ფეხს ვერ იკიდებენ; ამიტომაც შეუდგებიან ხოლმე გლეხები ამ მთებს თოხებით ხელში და თანაც ფეხის შესამაგრებელ ალაგს იკეთებენ და თან დათესილ მიწას სთხრიან"; „რასაკვირველია, ამ ნაირის წესით შემუშავებულს მიწას დიდის მოსავლის მოყვანაც არ შეუძლიან"[17]. ზემოთ უკვე ვახსენეთ ნიკო ბერძენიშვილისეული აზრი. დიდად საოცარია, რომ მსგავს აზრს ვერ აცნობიერებენ დღევანდელი ჩვენი ე. წ. ისტორიკოს-გეოგრაფოსები! ასე რომ, ამ მხრივ ქართულ საისტორიო აზროვნებას (ფართო გაგებით) მეტი გონებრივი ძალისხმევის გამოჩენა მართებს. ოპონენტი მიმითითებს, რომ მსგავსი აზრი მას გამოთქმული ჰქონდა 1979 წელს ერთ-ერთ სტატიაში, სადაც აღნიშნულია ფაზისის მიდამოების დაჭაობებულობა. ძალიან კარგი! მაგრამ, სამწუხაროდ, კოლხეთის ისტორიისადმი მიძღვნილ მის წიგნებში ეს იდეა არც კი ფიგურირებს.

---

14 „ქართლის ცხოვრება", ტ. I, სიმონ ყაუხჩიშვილისეული გამ., გვ 354.

15 „ივერია", 1889 წლის 15 მარიამობისთვე, N 173. იხ. აგრეთვე აკაკის თხზულებათა XII ტომი, 1960, გვ 365.

16 „ივერია", 1889 წლის მარტი.

17 გურულების ყოფა-ცხოვრება, „ივერია", N 114, 1886.

ქართულ მეცნიერებაში (ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიაში) აღნიშნულია, რომ გვიანბრინჯაოს ხანაშიც კი კოლხეთში მიწის დამუშავებისას წამყვანი იარაღი იყო თოხი.[18] მეტიც, რკინის შრომითი იარაღების ფართოდ გავრცელების პირობებში და შემდგომაც თოხი მნიშვნელოვან საშუალებად რჩებოდა მიწის დამუშავებაში (თუ რამდენად ეფექტიანი იყო იგი, ამის ჩვენება ექსპერიმენტული არქეოლოგიის მიხედვით ადვილია). ცნობილი არქეოლოგიური ფაქტია, რომ ადრებრინჯაოს ხანით (ძვ წ. III ათასწლეულის პირველი ნახევარი) თარიღდება ფიჩორის ნამოსახლარის მერვე ფენა, რომელშიც აღმოჩენილია ხის ჯაკი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯაკის და გუთნის ფართოდ გავრცელება კოლხეთში შეყოვნდა (დიდად სამწუხაროდ, აიეტის გუთნის „არსებობის" ფაქტი არაფრის მთქმელია). თვითონ ბნი ოთარ ლორთქიფანიძე განვითარებული რკინის ხანის მიმართ შენიშნავს: „სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღიარებულია, რომ მიწათმოქმედება კოლხეთში გუთნურ-თოხნითი (თუ თოხური? — გ. ყ) იყო".[19] ასევე ცნობილი ფაქტია, რომ ერგეტის სამაროვანზე ძვ წ. VII საუკუნის მხოლოდ ერთ კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილია რკინის 142 თოხი და 28 სახნისი. მხოლოდ რკინის თოხები გვხვდება ძვ წ. VI-IV საუკუნეების კულტურულ ფენებში და განსაკუთრებით სამარხებში (იქვე).

აღნიშნულს დავუმატოთ ისიც, რომ მიუხედავად კოლხეთის (მაშინდელი დასავლეთ საქართველოს) ხორბლეული ჯიშებით სიმდიდრისა, წამყვანი კულტურა გახდა ჯერ ფეტვი, შემდეგ — ღომი, რომლებიც ხორბალთან შედარებით დიდად შრომატევადნი არიან და მწიერებითაც (კალორიულობით) ჩამორჩებიან. შეგნიშნავთ, რომ ძველ ცივილიზაციებში მსგავს მოვლენას სხვაგან ვერ ვხვდებით.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ძვ წ. VIII-VII საუკუნეები საქართველოში, კერძოდ ძველ კოლხეთში — ესაა რკინის ფართო გავრცელების ხანის დასწყისი. რასაკვირველია, ამაში არ ედავობთ. მაგრამ ძალზე საეჭვოა, რომ მთელ დასავლეთ

---

18 იხ. გიორგი ჩიტაიას და ოთარ ჯაფარიძის შრომები. ამის თაობაზე აღნიშნულ ავტორთა ნაშრომთა გარდა იხ. ჯულიეტა რუხაძის წიგნი „ხალხური აგროკულტურა დასავლეთ საქართველოში", თბილისი, 1976.

19 იხ. დასახ. ნაშრ. გვ 72.

საქართველოში ახალი ლითოხისაგან დამზადებული იარაღების საყოველთაო გავრცელებას მხოლოდ ორ საუკუნეზე ნაკლები დრო დასჭირდა, ხოლო ამის შემდგომ მყისვე, VI საუკუნეში წარმოიქმნა სახელმწიფოც. ბატონ ოთარ ჯაფარიძის მიხედვით კი რკინის ფართო, საყოველთაო გავრცელებას მეტი დრო დასჭირდა.[20] თითქმის იმავეს იმეორებს ჩემი ოპონენტიც: „ბუნებრივია, რომ VI–IV ს.ს.-ად (!) უნდა მივიჩნიოთ რკინის ინდუსტრიის კიდევ უფრო ფართოდ განვითარებისა და აყვავების ხანად, რადგან ამ დროს როგორც სამარი, ასევე სამეურნეო იარაღებიც უკვე მთლიანად რკინისგანაა დამზადებული".[21]

ამდენად, ტექნოლოგიური დეტერმინიზმით გატაცებისას შესაბამისი ბუნებრივი გარემოს გარდა, აღნიშნული გარემოებაც უნდა იქნეს გათვალისწინებული. ასევე, როდესაც ამ რეგიონში რამდენიმეგზის დემოგრაფიულ ბუმსა თუ აფეთქებაზე ლაპარაკობენ, მხედველობაში უნდა იქონიონ ბუნებრივი პირობების შემაფერხებელი ზეგავლენაც. როცა ძვ. წ. VI–V საუკუნეების კოლხეთის ეკონომიკას აღწერენ, ვითარებას ისე წარმოადგენენ, თითქოს აქ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი მალალ დონეზე იყო ასული, ასე რომ, თითქოს უნდა დაწყებულიყო მიწის საქონლად და კერძო საკუთრებად ქცევა, მისი კონცენტრაცია, მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღატაკება, მონობის ფართოდ გავრცელება და ა. შ. ერთი სიტყვით, ძველი კოლხეთი უნდა დასდგომოდა განვითარების ანტიკურ, ე. ი. ბერძნულ-რომაულ გზას. მაგრამ ამგვარ მოვლენებს მხოლოდ ფაზისსა, დიოსკურიაში და სხვაგან, ე. ი. ბერძნულ ახალშენებში თუ ექნებოდა ადგილი.[22] სინამდვილეში, ახალი ურთიერთობანი ზედაპირული ხასიათისა იყო, რაც გამოიწვია უმთავრესად მოწინავე ისტორიული გარემოს ზემოქმედებამ; ამაში ადვილად დავრწმუნდებით თუ მოვიხმობთ პარალელებს შესაბამისი ეპოქების გალიის, გერმანელთა, კიევის რუსეთის სახით. როგორც კი შეიცვალა ისტორიული გარემო, ძველი კოლხეთის ეკონომი-

---

20 იხ. მისი სტატია „დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში", „მაცნეს" ისტორიის... სერია, 1982, N 2.

21 დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

22 მერი ინაძე, „Причерноморские города древней Колхиды", თბილისი, 1968.

კაში ძირითადად კვლავ ძველებური, ნატურალური ეკონომიკური წყობა გახდა დომინანტური. თვითონ ჩემი ოპონენტიც ხომ წერს: „მიუხედავად ფულადი მიმოქცევისა, უნდა ვიფიქროთ, გაცვლის ძირითად ფორმას, როგორც ამას ეთნოგრაფიული მასალები(!) გვიდასტურებენ, წარმოადგენდა ვაჭრობა ნივთებითა და პროდუქტებით".[23] შეგახსენებთ, რომ ამ სტრიქონების ავტორი VI–IV საუკუნეების კოლხეთის ვითარებას გულისხმობს (გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხანგრძლივ მშვიდობიანობას შემდეგში ხელი უნდა შეეწყო ეკონომიკის მძლავრი აღმავლობისათვის).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალზე საეჭვოა, რომ ძვ. წ. VI–IV საუკუნეებში მოჭრილი ე. წ. კოლხური თეთრი თითქოსდა კოლხეთის სამეფო ხელისუფლებას ეკუთვნოდა; ამას ამჟამად ქართველი ავტორებიც (გიორგი დუნდუა, გურამ ლორთქიფანიძე და ამირან კახიძე) აღიარებენ,[24] რის გამოც კოლხური სახელმწიფოს არსებობის „თეორიას" ერთ-ერთი მყარი არგუმენტი ეკლება.

ახლა რაც შეეხება შესაბამისი პერიოდის კოლხეთის სოციალურ სტრუქტურას. თავის დროზე განსვენებული პროფ. თამარაზ მიქელაძე შეეცადა იგი აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის" მიხედვით აღედგინა, ე. ი. ძვ. წ. XIII საუკუნის ვითარების მიმართ, რაც პირადად მე ერთობ არადამაჯერებლად მეჩვენება. ბ-ნი ოთარ ლორთქიფანიძე მსგავს სოციალურ სტრუქტურას ოგიეე თხზულების მიხედვით აღადგენს VII–V საუკუნეების კოლხეთისათვის. იმდროინდელი მოსახლეობის ძირითად ნაწილს თურმე წარმოადგენდნენ „ძენი კოლხებისანი" – მიწათმოქმედნი, ხელოსნები, რომელნიც მონაწილეობდნენ სახალხო კრებაში და შეადგენდნენ მეფის ლაშქარს.[25] მაგრამ თუ კვლავ ფუნქციონირებდა სახალხო ლაშქარი (ცხადია, იმჟამინდელ

---

23 იხ. დასახ. კრებული, გვ 83.

24 ჩანს, ოპონენტი უკან იხევს თავისი ძველი, შეუვალი პოზიციიდან. იგი წერს: „გამოთქმულია მოსაზრება... და საკმაოდ დამაჯერებლადაც არგუმენტირებული, რომ I ტიპის „კოლხური დიდრაქმა" იჭრებოდა ქალაქ ფაზისში, რომელიც მიქელტელთა დაარსებულ პოლისს წარმოადგენდა". მოჭრის თარიღად კი იგი გულისხმობს ძვ. წ. VI ს., უფრო ზუსტად – ამ უკანასკნელის ბოლო მეოთხედს ან ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისს. იხ. მისი სტატია „მდინარე – ღვთება ფაზისი", „ძიებანი", 1998, N 1, გვ 69, 72.

25 დასახ. კრებული, გვ 70.

კოლხეთში საბერძნეთისა და რომის სიტუაცია აბსოლუტურად გამორიცხულია), იგი (არმია) შედგებოდა მხოლოდ თავისუფალი მოსახლეობისაგან. მაშინ როგორ წარმოვიდგინოთ ძველი კოლხური სახელმწიფო? ან როგორ განვასხვაოთ იგი ე. წ. სამხედრო დემოკრატიისაგან?

გიორგი მელიქიშვილის კვალდაკვალ, კერძოდ, ჩემი ოპონენტიც გულისხმობს, რომ ამ დროს კოლხეთში არსებობდა დამოკიდებულ მიწათმოქმედთა ფენაც – *λαοί βασιλικοί* (ძველი ქართლის, იბერიის მსგავსად). ამდენად, თითქოს აშკარაა კლასობრივი ურთიერთობანი, რომელთაც იძულების აპარატის გაჩენაც უნდა გამოეწვია. მაგრამ საიდან, რა საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით გვიმტკიცებენ ამ დებულებას?

ოპონენტი აღნიშნავს, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანს და შემდგომაც კოლხეთში არსებობდა „უთუოდ რთული საგადასახადო სისტემა, რომლის თვალსაჩინო ილუსტრაციაა ადგილობრივ დიდგვაროვანთა სამარხებში ჩატანებული აურაცხელი სიმდიდრე, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონის ნაკეთობებით რომაა წარმოდგენილი".[26] მაგრამ საიდან ჩანს, რომ ეს სიმდიდრე სწორედ გადასახადებიდან იქნა აკრებილი? განა უფრო უპრიანი არ იქნება ვიფიქროთ, რომ მოსახლეობისაგან ამოღებული სიმდიდრე (თუნდაც საჩუქრების სახით) განაპირობებდა ხელოსანთა ფენის გაჩენას, რომელიც აწარმოებდა ფუფუნების საგნებს სოციალურად დაწინაურებული ფენისათვის?

კოლხეთის მეფეებს – აიეტიდებს თურმე საკუთარი იდეოლოგიაც ჰქონიათ. თუ ასეა, მაშინ ამ „სამეფო დინასტიის" ძირები ძვ. წ. XIII–XIV საუკუნეებში მაინც მიდის. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მსგავსი იდეოლოგიის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი უნდა ყოფილიყო აიეტის (ცხადია, მისი დის – კირკესიც) გამოცხადება მზის ღუთება ჰელიოსის შვილად და მრავალი მისთ. ამით, საფიქრებელია,

---

26 დასახ. კრ., გვ 88. ეფიქრობ, ოპონენტი ამის მტკიცებისას ამოდის სტრაბონის ცნობიდან: „მეგასთენე ამბობს უფრო დაშაჯერებლად, რომ მღვდარეებს ჩამოაქცეს ოქროს ქვიშა და ამით უხდიან მეფეს ხარკს". აღვილია აქ კოლხური სახელმწიფოს ფუნქციონირების ერთ-ერთი საფუძველი იქნას „მონახული".

ბერძნეთზე აუღიათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივე ეს ძალზე არადამაჯერებელია; უპირველეს ყოვლისა, არ ჩანს, რომ ეს „იდეოლოგია“ თავად კოლხი მეფეებისაგან მოდის.

ერთი სიტყვით მტკიცება კოლხეთში ძვ. წ. VI საუკუნიდან მოკიდებული, ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობის შესახებ მიუხედავად ქართული არქეოლოგიის წარმატებებისა, კვლავაც ისევე ნაკლებად სარწმუნოა, როგორც სიმონ ჯანაშიას დროს. მაგრამ ამ თემაზე აღარ ვილაპარაკებ. ამჯერად მოვიხმობ თავისებურ ისტორიზმს, რომელსაც ჩემი ოპონენტი გვთავაზობს ხშირად ციტირებულ კრებულში: „ამრიგად, არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ჩნდება გარკვეული საფუძველი ვიფარაუდოთ, რომ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის დასაწყისში აგრე გავრცელებული ერთგვაროვანი ბრინჯაოს კულტურის ანუ კოლხური ბრინჯაოს კულტურის შექმნა შედეგი იყო გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაციისა – დიდი პოლიტიკური გაერთიანებისა. მის სათავეში შესაძლოა უკვე იდგა თავისებური პოლიტიკური ლიდერი, მეტნაკლებად(!) ერთპიროვნული უფლებებით აღჭურვილი, რომელსაც ემორჩილებოდნენ ცალკეულ თემებში დაწინაურებული მეთაურები, ბელადები (ლოკალური ლიდერები). ასეთი პოლიტიკური სტრუქტურა თავისი შინაარსით ძალზე უახლოვდება პოლიტიკური ინტეგრაციის წინასახელმწიფოებრივი წყობიდან სახელმწიფოზე გარდამავალ (უფრო სწორად – შუალედურ) ეტაპს. ასეთ პოლიტიკურ სისტემას უწოდებენ „ჩიფდომს“)“.[27] ამ სტრიქონების კითხვისას თვალწინ წარმოგვიდგება შესაბამისი ხანის აზიის დიდ მდინარეთა ცივილიზაციების წარმოქმნის სურათები, თუმცა უფრო მცირე მასშტაბით – რიონის ველზე, დაახლოებით ქუთაისიდან მოყოლებული შავ ზღვამდე. მაგრამ წარმოდგენები, შთაბეჭდილებები ხომ უნდა გაკონტროლდეს აზროვნებით, რაციონალისტური შემეცნებით! დიდად სამწუხაროდ,

---

27 იხ. გვ. 51. მსგავსი მოსაზრება ავტორმა მანამდეც წამოაყენა წიგნში „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“, თბილისი, 1986, გვ. 64–69, რომელიც დაწერილია დიდი რწმენით, რომ არგონავტებმა უდავოდ გაილაშქრეს კოლხეთში ჯერ კიდევ მიკენურ ხანაში.

ამ შემთხვევაში ხელში (უფრო სწორად თავში) არაფერი არ გვრჩება. ასე რომ, მსგავსი ისტორიული წანამძღვარი ბევრს ვერაფერს გვეუბნება კოლხეთში სახელმწიფოს არსებობის დასამტკიცებლად.

ახლა ჩემს მიერ თითქოსდა არქეოლოგიის მიღწევათა იგნორირების თაობაზე მოგახსენებთ. ღმერთმა დამიფაროს, რომ არქეოლოგიურ მასალას, მონაცემებს არ ვთვლიდე ისტორიული რეკონსტრუქციის ერთ-ერთ აუცილებელ საყრდენად. მაგრამ არის საკითხი, ვთქვათ ეთნოგენეზისის, სახელმწიფოს წარმოშობისა და ა. შ., როცა მხოლოდ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობა დამაჯერებელ დასკვნებს ვერ გვაძლევს. ძალიან საინტერესო და, ამავე დროს, რთული გახლავთ საკითხი გვიანდელი პირველყოფილობის შესახებ. ამ დროს შეინიშნება გარდამავალი (ლუის მორგანისეული ტერმინოლოგიით, ბარბაროსობიდან ცივილიზაციაზე) სტრუქტურა: საზოგადოებაში ჩნდება სოციალური უთანასწორობა, მათ შორის მონობის სახით, იწყება წარჩინებულთა ფენის გამოყოფა. მით უფრო თუ მოცემულ საზოგადოებაზე ზემოქმედებს მოწინავე ისტორიული გარემო, ადგილი აქვს საგარეო ვაჭრობის განვითარებას, ფულის ტრიალს, ფუფუნების საგნების ადგილობრივ წარმოებასა და უცხოეთიდან შემოტანას. მაგალითისათვის მოგახსენებთ იულიუს კეისრის წინადროულ და თანადროულ გალიას, ტაციტუსის ხანის გერმანელებს. რაც ამჟამად ვიცით მათ შესახებ არქეოლოგიური თვალსაზრისით, ამან შეიძლება წარმოშვას ცდუნება ამ შემთხვევაში უკვე დასრულებული კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობის, ე. ი. ცივილიზაციის წარმოქმნისა. მაგრამ საკმარისია მივმართოთ იულიუს კეისრის ცნობილ თხზულებას გალებთან ომის შესახებ, ხოლო ტაციტუსისას – გერმანელებზე, რომ ბევრი რამ სხვანაირად წარმოჩნდება. ანდა ძვ. წ. V–IV საუკუნეებში უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთში მცხოვრები ქართველური ტომების (ხალხების) ცხოვრება რომ მხოლოდ არქეოლოგიური თვალსაზრისით წარმოვიდგინოთ, მაშინ ადვილი შესაძლებელია მათთან სახელმწიფოების არსებობა დავინახოთ. მაგრამ, დიდად საბედნიეროდ, გვაქვს ქსენოფონტეს „ანაბასისი“, რომლის მიხედვითაც ყველაფერი გარკვეული ხდება. ერთი სიტყვით, განვლილი ისტორიული პროცესის ჭეშმარიტი რეკონსტრუქცია არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების შეჯერებით, ურთიერთშევსებით ხდება. ამ სახის სინთეზმა, როგორც ვიცით, მშვენივრად

„იმუშავა“ ძველ ქართლში სახელმწიფოს წარმოქმნა-არსებობის დასამტკიცებლად: მხოლოდ დღემდე მოღწეული ქართული, თუნდაც უცხოური, წერილობითი წყაროებით ძნელი იყო შესაბამისი დებულების დამტკიცება. რასაკვირველია, ამას ვერც ოდენ არქეოლოგიის მიღწევებით დავამტკიცებდით, მაგრამ ორივე საფუძვლის სინთეზით აღნიშნული საკითხი კარგა ხანია გადაჭრილია. ამდენად, ჩემთვის უეჭველია არქეოლოგიის დიდი მნიშვნელობა საქართველოს ძველი ისტორიის კვლევა-ძიებისას. დიდი ინტერესით ველოდები ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებს თრიალეთსა და კახეთში (უდაბნოში), რაც უთუოდ სათანადო კორექტივს შეიტანს ჩვენი ისტორიის ძველი პერიოდის რიგი საკითხების გააზრების საქმეში.

შეიძლება შეგვესიტყვონ, რომ ძველ კოლხეთში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს საკითხის გააზრებისას შესაბამისი უცხოური ცნობებიც გვაქვს. მაგრამ ისინი ხომ ძალზე მწირია და საკითხს დადებითად ვერ წყვეტს. უნდა გაეითვალისწინოთ ისიც, რომ ძველ ბერძენთა და რომაელთა აზროვნებაში (მათ შორის საისტორიო მეცნიერებაშიც) ჭარბად იყო წარმოდგენილი მითოლოგიური ცნობიერება. ამან კი უთუოდ იქონია გავლენა ბერძენ-რომაელთა მიერ ჩვენი ისტორიული სინამდვილის გააზრებაზე.

დიდად პარადოქსულია, რომ ქართველი ისტორიკოსები და არქეოლოგოსები, ცხადია ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის ჩათვლით, ჩვეულებრივ, უგულებელყოფენ ხოლმე ძვ. წ. I საუკუნის ისტორიკოსის, „ჰერაკლეის ისტორიის“ ავტორის – მემნონის ცნობას იმის თაობაზე, რომ მითრიდატემ ომით დაიმორჩილა ფაზისის მიდამოების მეფეები.

ოპონენტი მსაყვედურობს ჩემს მიერ ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი მდგომარეობის კრიტიკულად განხილვის გამო. თითქოს უნდა დავანებო თავი „ქართველი ისტორიკოსების შეურაცხყოფას და საერთოდ ქართული ისტორიოგრაფიის აგრე უსაფუძვლოდ ლანძღვა-გინებას, რადგან უკეთური გზაა ეს! ძალზე უკეთური!“ სხვაგანაც იგი მომაწერს „ქართული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ ლაშქრობას და ქართველი ისტორიკოსების შეურაცხყოფას“ და ა. შ. მაგრამ დიდად ვეჭვობ, რომ ბ-ნ ოთარ ლორთქიფანიძეს ჩემი პოზიციის სწორი გაგების სურვილი ჰქონდეს. საერთოდ ქართულ ისტორიოგრაფიასა და ქართველ ისტორიკოსებზე მე კრიტიკული აზრი არ გამომითქვამს. თვით ქართულ საბჭოურ, ამჟამინდელის ჩათვლით, ისტო-

რიოგრაფიასაც მე ტოტალურად არასოდეს არ უარვყოფდი. ამდენად, ჩემეული პოზიცია არ ჰგავს ფილოსოფოს ბატონი შარვაძის თვალსაზრისს ქართველი ფილოსოფოსების მიმართ. მართლაც, შეუძლებელია უარვყოთ დღეანდელ ქართველ ისტორიკოსთა პროფესიონალიზმი წყაროთმცოდნეობის, ფაქტოგრაფიისა და ცალკეული საკითხების გააზრების დონეზე. იმავეს ვიტყოდი ქართველ არქეოლოგოსთა მიმართაც. მაგრამ პრობლემები ამის შემდგომ იწყება: მოგეხსენებათ, მეცნიერების არც ერთი დარგი არ არსებობს თეორიის გარეშე. კერძოდ, ქართული ისტორიოგრაფიის სრულფასოვანი ფუნქციონირება თეორიის (ისტორიის ფილოსოფიის, მეთოდოლოგიის) გარეშე წარმოუდგენელია. აქამდე, როგორც ცნობილია, თავს გვახვევდნენ ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმს და ჩვენი ჰუმანიტარული მეცნიერების პარადიგმაც მნიშვნელოვანწილად ამით იყო განპირობებული. აწყამად ქართული ისტორიოგრაფია თეორიის გარეშე დარჩა.

ნუთუ ყოველივე ამის გაგება შეუძლებელია მით უფრო ისეთი განათლებული კაცისათვის, როგორიც უთუოდ გახლავთ ჩემი ოპონენტი? და, რასაკვირველია, იგივე პრობლემები არსებობს არქეოლოგოსთა წინაშეც. კერძოდ. პირველყოფილ საზოგადოებას მისი გვიანდელი ფაზითურთ, სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობას დღემდე ვიაზრებდით ძირითადად კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ნააზრევის საფუძველზე (აღარას ვამბობ ვ. ლენინისა და ი. სტალინის ნაცოდვილარის შესახებ, რომელსაც სერიოზულ მეცნიერებასთან არაფერი აკავშირებს),[28] რაც, თავის მხრივ, ეფუძნებოდა ლუის მორგანის, ჰენრი მეინის, გეორგ მაურერის, ჯორჯ ლებ-

28 ოპონენტის მტკიცებით, ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის დოგმებს თითქოს ზეგავლენა არ მოუხდენია ქართული ისტორიის კვლევა-ძიებაზე საქართველოში. მაგრამ ეს აშკარად მცდარი მოსაზრებაა. სხვათა შორის, იგი 1957 წელს რომ ორ სხვა ქართველ ისტორიკოსთან ერთად აკრიტიკებდა გ. სოსელიას ძველ საქართველოში მოსათმფლობელური ფორმაციის უარყოფის გამო (იხ. სტატია „К вопросу о происхождении государства и существовании рабовладельческой формации в Грузии"), კეკუტა, რომ ამ შემთხვევაში ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე სწორედ ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის შესაბამის დოგმას უხდიდა ხარკს. თუმცა პარადოქსია, რომ საერთოდ დოგმატიკოსი მარქსისტ-ლენინელი გ. სოსელია საკითხში ძირითადად სწორი იყო.

ოკის, მაქსიმ კოვალევსკისა და სხვათა ნაშრომებს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბევრმა ქართველმა ისტორიკოსმა, არქეოლოგოსმა და ა. შ. ადვილად მიატოვა ეს მემკვიდრეობა, რომელიც ფრიად ზერელედ ჰქონიათ შეთვისებული. მაგრამ კიდევ უფრო უმწეო წარმოდგენები აქვთ უცხოეთში თავჩენილი ახალი შეხედულებების თაობაზე. ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა ჩემი ოპონენტის მაგალითზეც. ვთქვათ, მისეულ წიგნში „Наследие древней Грузии" მითითებულია 1300-ზე მეტი ნაშრომი, მაგრამ ჩამონათვალში ვერ ვხედავთ ვერც ერთ ზოგადი, თეორიული ხასიათის წიგნსა თუ სტატიას. მაშ, როგორც იაზრებს ბ-ნი ოთარ ლორთქიფანიძე შესაბამის დიდ საკითხებს? ეს ხომ ოდენ საკუთარი თეორიული აზროვნებით ვერ ხდება? შეგახსენებთ, რომ ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი არქეოლოგოსი გორდონ ჩაილდი ეყრდნობოდა ჩარლზ დარვინის, კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსის, ლუის მორგანისა და სხვათა ზოგად შეხედულებებს. სხვა ამბავია, რომ იგი, მავანთა მსგავსად, მხოლოდ ემპირიული კვლევა-ძიებით იყოს დაკავებული. და თუ მას ჰგონია, რომ საზოგადოების ისტორიული პროცესის მიმართ სისტემური მიდგომით სარგებლობს, ეს დიდი ილუზიაა. მაგრამ მსგავს საკითხებზე იმედია სხვა დროს სპეციალურად ვისაუბრებთ.

აქვე დავუმატებდი, დიდად მოხარული ვიქნებოდი, რომ კერძოდ საქართველოში გვიანდელი პირველყოფილობის თაობაზე თავისი სიტყვა ეთნოლოგოსებსაც ეთქვათ. სხვათა შორის, საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე 1954 წელს გამართული დისკუსიის დროს ბატონმა გიორგი ჩიტაიამ მიუთითა შესაბამისი საკითხების კვლევა-ძიებისას ისტორიული ეთნოგრაფიის მონაცემების უფრო ღრმად გამოყენების აუცილებლობაზე[29]. ახლა დროა შემდგომი თაობების ეთნოლოგოსებმაც თქვან თავიანთი სიტყვა ამ საკითხზე.

ბ-ნი ოთარ ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „მაგრამ გ. ყორანაშვილი, როდესაც საქმე კოლხეთს ეხება, ყოველივე ზემოთქმულს (მისეულ

---

29 იხ. მ. ლორთქიფანიძისა და ზ. ანჩაბაძის მიერ დაწერილი დისკუსიის ანგარიში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955, გვ. 419.

არგუმენტებს — გ. ყ) მნიშვნელობას არ ანიჭებს". მართლაც, ძვ. წ. VI-V საუკუნეების კოლხეთში სახელმწიფოს არსებობის საკითხისადმი ჩემი ნეგატიური დამოკიდებულება კვლავაც ურყევია. ამდენად ოპონენტის მსჯელობა ამ მხრივ ჩემთვის ფრიად არადამაჯერებელია. ისე, შეგახსენებთ, რომ ათული წლების მანძილზე ვიზიარებდი ჩვენი ისტორიოგრაფიის ტრადიციულ შეხედულებებს (სიმონ ჯანაშიასაგან მომდინარე) მოცემულ საკითხზე. ეს რამდენიმეგზის წერილობითაც მაქვს დაფიქსირებული. მაგრამ საკითხის არსზე ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა, ვენდობოდი სამეცნიერო ავტორიტეტებს. როცა კი საკითხს სპეციალურად ჩაუღრმავდი, მიველი ტრადიციული აზრის უარყოფამდე. ასე რომ, აღნიშნული პრობლემის კვლევა-ძიებისას სხვა რამ, თუ არა ჭეშმარიტების წვდომის სურვილი, არ მამოძრავებს და მაკანთა ეჭვები სავსებით უსაფუძვლო გახლავთ.

ოპონენტი ჩემეული პოზიციის არსს ნაკლებად შეეხო. ვიმეორებ, ძირითადად ყურადღება გაამახვილა შედარებით მეორეხარისხოვან დეტალებზე და ვერ „მოახერხა" ჩემს ნაშრომში თუნდაც ერთი დადებითი მომენტის შემჩნევაც კი, სამაგიეროდ, შენიშნა აშკარა შეცდომები და უზუსტობანი. ვაცხადებ, თუ შესაძლებლობა მომეცა ბროშურის მეორედ გამოცემისა, მათ უცილობლად გავითვალისწინებ. შეეცდები აგრეთვე უფრო ფართოდ მოვიხმო არქეოლოგიური მასალაც.

ახლა შევჩერდები ზოგიერთი დეტალური ხასიათის შენიშვნაზე. როდესაც მივუთითებ, რომ არგონავტიკის მითის პერსონაჟის აფსირტეს სახელი აისახა შესაბამის ტოპონიმში, ოპონენტი ამას გაუგებრად თელის, როდესაც გულისხმობს ქალაქ აფსაროსს (გონიოს). მაგრამ მე ვეყრდნობოდი ივანე ჯავახიშვილის მცდელობას პროკოპი კესარიელის ნაშრომის საფუძველზე ჭანეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, არსებულ ტოპონიმ „აფსურტოს"-ში „აფსურტ"-ის გამოყოფის თაობაზე.[30]

ოპონენტმა დიდად შეიცხადა ის ამბავი, რომ მე პოეტი მიმნერმე საგუნდო ლირიკის წარმომადგენლად დავასახე და მიმითითა, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ სატრფიალო ლირიკის ჟანრს განასახიერებდა.

---

30 იხ. „ქართველი ერის ისტორიის" I ტომის მეხუთე გამოცემა, გვ. 421.

მაგრამ თვითონაც ხომ აშკარად ალიარებს: „ძვ. წ. VII–VI ს.ს.-დან არგონავტიკის თემა ფართოდ იკავებს ადგილს ბერძნულ საგუნდო ლირიკაში, კერძოდ, მიმნერმეს („ნანო", ფრ. 11) და სხვათა თხზულებებში".[31] თუმცა ეს კორექტურულ შეცდომად გამოაცხადა. (სხვათა შორის, როცა მან ჩემი მხრივ დრაქმის წონის უცოდინარობა დაასკვნა, ჩემეული ხელნაწერის შესაბამის ადგილას ფულადი ერთეულების ჩამონათვალის ბოლოს მეწერა: „...დრაქმა, ნახევარდრაქმა (2,6 გრ)". დაბეჭდვისას კი დაშვებული იქნა შეცდომა, რაც სამწუხაროდ ვერ შევამჩნიე). რაც შეეხება ზემოაღნიშნულს, მიმნერმე მოღვაწეობდა საბრძოლო-პოლიტიკური ელეგიის ჟანრშიც.[32] მანვე დასაბამი მისცა სახოტბო ჟანრს, ἐγκώμιον.[33] ამ ჟანრის სიმღერებს კი ასრულებდა სწორედ გუნდი საზეიმო პროცესიის მსვლელობისას.[34]

ალბათ უფრო სწორი იქნება κατακρυπτεῖν ვთარგმნოთ ჩაფუსლად. ყოველ შემთხვევაში ნათელია, რომ მედეას საქციელი (შვილების მიმართ) ისტორიულად მომხდარი ფაქტი კი არაა, არამედ მოდის ძველბერძნული მითოსური წარმოდგენიდან. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" მოხსენიებულ ოქროს მოპოვების წესთან დაკავშირებით თითქოს ვერ ვანსხვავებდე მითის შინაარსსა და მის ინტერპრეტაციას. მაგრამ ინტერპრეტატორის შესაბამისი მიხვედრა ხომ იმასაც ნიშნავს, რომ სათანადო რეალია აისახა თვით მითშიც.

ოპონენტი მიმტკიცებს, რომ სარწმუნოა ძველ კოლხეთში, აიეტის „მეფობის" ახლო ხანში, მეფე საველაკის ზეობა. მოგეხსენებათ, ცნობა ამის თაობაზე ეკუთვნის პლინიუს უფროსს. მის მიხედვით, რაკი ამ უკანასკნელის ბევრი ცნობა კოლხეთის შესახებ დასტურდება, უნდა ვენდოთ მოცემულ შემთხვევაშიც. მაგრამ ამგვარი ლოგიკისა მე არ მესმის. შეგახსენებთ, რომ ამ ცნობის თაობაზე ცნობილი რუსი არქეოლოგოსი და ისტორიკოსი ვ. გაიდუკევიჩი ხაზს უსვამდა მის

31 დასახ. კრებული, გვ. 56-57.

32 იხ. სიმონ ყაუხჩიშვილი, „ბერძნული ლიტერატურის ისტორია", ტ. I, II გამ., თბილისი, 1950, გვ. 149-150.

33 იქვე, გვ. 151.

34 იქვე გვ. 201, ბატონი სიმონ ყაუხჩიშვილი აქვე წერს, რომ მიმნერმეს მიხედვით „იაზონმა შესძლო ოქროს საწმისის მოპოვება აიეტის სამეფოში, კოლხეთში" (გვ. 150), რაც არაზუსტია.

„ღრმად ლეგენდარულ ხასიათს", „პლინიუსის ცნობის ფანტასტიკურ ხასიათს", ხოლო სალაკს მიიჩნევდა „კოლხიდის საარაკო, საზღაპრო მმართველად".[35] სხვათა შორის, კარგა ხანია შემჩნეულია, რომ პლინიუს უფროსის ცნობილი ნაწარმოების ხელნაწერებში ყველგან ფიგურირებს „Salauces, სალავკი". ასე რომ, „Saulaces, სალაკი" მხოლოდ ერთგან გვხვდება. ამდენად კოლხეთის უძველეს ხანაში სალაკის მეფობა და ამ სახელის ტრადიციულობა „კოლხ მეფეთა" შორის უსაფუძვლო მოსაზრებას წარმოადგენს (სხვათა შორის, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებისათვის გამორიცხულია აღნიშნული სახელის სკვითური ფორმაც).[36]

თითქოს ფაქტი პომპეუს ტროგუსის მცდელობისა დაეწერა კოლხი მეფეების ისტორიაც, ქართულ მეცნიერებაში პირველად ჩემმა ოპონენტმა შენიშნა. მაგრამ ამაზე ხომ ჯერ კიდევ 1940 წელს დაწერილ წიგნში აღნიშნავდა მაქსიმე ბერძნიშვილი.[37] შეგახსენებთ, რომ წიგნის რედაქტორი და ბოლოსიტყვაობის ავტორი გახლავთ თვითონ ბ-ნი ოთარ ლორთქიფანიძე!

ღომი რომ კოლხეთის უძველესი კულტურაა, ამის შესახებ წერენ ცნობილი ბოტანიკოსები და აგრონომოსები. შესაბამისი სახელდება გაჩნდა ჯერ კიდევ ქართულ-ზანური ერთობის დონეზე.[38] ამდენად ძალზე საეჭვოა, რომ აქ მისი გაჩენა მხოლოდ ძვ. წ. I საუკუნიდან ვიგულისხმოთ. დაველოდოთ მომავალ არქეოლოგიურ აღმოჩენებს, მხოლოდ ისინი გასცემენ პასუხს კითხვაზეც, თუ ძველად რომელი კულტურა იყო წამყვანი კოლხეთში: ფეტვი თუ ღომი. ბიჭვინთა (პიტიუნტი) თითქოს არ ყოფილა ბერძნული კოლონია, ქალაქი. მაგრამ ამის თაობაზე მე ვეყრდნობი შესაბამის ნაშრომებს.[39]

---

35 იხ. მისი სტატია „Еще раз о восстании Савлака", „ВДИ", 1962, N 1, გვ. 11.

36 უეჭველია რომ ცნობილ მონეტაზე ზედწერილია „საემაკი" და ამდენად იგი ბოსფორის სამეფოს ცნობილ ისტორიულ პიროვნებას ეკუთვნის.

37 იხ. მისი „ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის", თბილისი, 1969, გვ. 60.

38 იხ. სინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1990, გვ. 350-351.

39 საქართველოს ისტორია, სიმ. ჯანაშიას რედ. 1946, გვ. 44; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 404; „История древнего мира", ი. დიაკონოვისა და სხვათა რედ. მოსკოვი, 1989, წიგნი 1, გვ. 365.

ბ-ნი ოთარ ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „სხვა არც ერთი ტომი (კოლხებს გარდა – გ. ყ) ამ ტერიტორიებზე (ე. ი. კოლხეთში – გ. ყ) არიანემდე არ იხსენიება“. მაშ რა ვუყოთ ტაციტუსთან მოხსენიებულ სედოხეზებს (ახ. წ. I ს. 70-იანი წლები), ანდა ცნობას ფაზისში რამდენიმე ათეული თარჯიმნის ყოფნის თაობაზე? შეგახსენებთ, რომ ამ საკითხზე მსჯელობისას სიმონ ჯანაშია და მერი ინაძე ბევრად უფრო ფრთხილნი იყვნენ და, აქედან გამომდინარე, ერიდებიან სკეპტუხიების პირწმინდად ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ხასიათის მტკიცებას.

შავი ზღვის სანაპიროზე ბერძნებმა თითქოს მხოლოდ სამი კოლონია დააარსეს, მაგრამ საერთოდ ჩვენს ისტორიულ ტერიტორიაზე მათ მიერ ხომ ბევრად მეტი იქნა დაფუძნებული. სინოპე მართლაც პაფლაგონიის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მაგრამ მანამდე ხომ ამ მიდამოებში ჩვენი მონათესავე სხვა ხალხი ცხოვრობდა, რის შესახებაც წერდა ივანე ჯავახიშვილი. ოპონენტი მსაყვედურობს, რომ უზუსტობანი მაქვს დაშვებული ქალაქების დაარსების თარიღების ჩვენებისას, მაგრამ მე ისინი მოტანილი მაქვს „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომის მიხედვით.[40]

ოპონენტი აზუსტებს ჩემს აზრს და აღნიშნავს, რომ ბოსფორის სამეფო „ყირიმში კი არ შეიქმნა, არამედ ქერჩის და ტამანის ნახევარკუნძულებზე“. რა, განა ქერჩის ნახევარკუნძული ყირიმში არ მდებარეობს? ისე, რაკი დაზუსტებაზე მიდგა საქმე, აღნიშნული სამეფოს ტერიტორია ვრცელდებოდა უფრო სამხრეთითაც და ჩრდილოეთითაც (აზოვის ზღვის ნაპირებზე). ხოლო ტამანის ნახევარკუნძული კი ამ დროს არ არსებობდა: იყო კუნძულები, რომლებიც შემდეგ ხმელეთთან გაერთიანდა და ნახევარკუნძულად იქცა.

ოპონენტმა ხელი ჩასჭიდა ჩემი ბროშურის მესამე გვერდზე დაშვებულ უზუსტობას და დაასკვნა, რომ თურმე არ მცოდნია, რომ ლეონტი მროველი აზონს მეფედ არ თვლიდა. მაგრამ რატომ გამორჩა მხედველობიდან ის ამბავი, რომ 53-ე გვერდზე ვწერ: „ლეონტი მროველთან შემონახული საისტორიო ტრადიციით, ფარნავაზი იყო ქართლის (ივერიის) პირველი მეფე და სამეფო დინასტიის ფუძემდებელი“? ბ-ნმა ოთარ ლორქიფანიძემ მისაყვედურა სათანადო დარგებ-

40 დასახ. წიგნი, გვ. 403.

ის სპეციალისტთაგან არქეოლოგოსების იგნორირება. მაგრამ 61-ე გვერდზე ხომ ვწერ: „შესაბამისი დარგების (ისტორიოგრაფია, არქეოლოგია, სახელმწიფოთმცოდნეობა, პოლიტოლოგია და ეთნოლოგია) წარმომადგენლები უნდა შეეკრებილიყავით და გვემსჯელა შესაბამისი პრობლემის ირგვლივ". თითქოს ვანში აღმოჩენილ კერამიკაზე წარწერა βασιλ̓κή მიუთითებდეს კოლხეთის მეფეზე. თავი რომც დავანებოთ იმას, რომ არაა ცხადი, თუ რა შინაარსი იგულისხმება ამ შემთხვევაში βασιλεύς-ში, არაა გამორიცხული, რომ ეს ნივთი ქართლის სამეფოდან ყოფილიყო შემოტანილი (თვითონ ბ-ნმა ოთარ ლორთქიფანიძემ მიაქცია ყურადღება მსგავსებას ვანისა და მცხეთის კრამიტებზე აღნიშნულ მონაცემებს შორის).[41]

თითქოსდა არა მხოლოდ უტაქტო, არამედ არაეთიკურიც კია ჩემი მზრიდან ბატონ თამაზ გამყრელიძისადმი მიმართული საყვედური იმის თაობაზე, რომ, რაკი რესპუბლიკის პრეზიდენტმა საიუბილეოდ 3000 წელი შეარჩია, ეს გადამწყვეტ არგუმენტად წარმოადგინოს. პირადად ჩემთვის, ვიმეორებ, ეს არაფრის, აბსოლუტურად არაფრის მთქმელია. კარგად მოგეხსენებათ, რომ ბ-ნი თამაზ გამყრელიძე იმდენად ერთგულია პრეზიდენტისა და ყოველგვარი კრიტიკის გარეშე ღებულობს მისეულ პოლიტიკურ კურსს, რომ გვჯეროდეთ და მასაც უნდა სჯეროდეს, რომ ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს მის ერთგულებაში იოტისოდენა ეჭვიც კი არ შეეპარება.

თითქოს იმაშიც შევცდი, როდესაც უკმაყოფილებას გამოვთქვამდი ქართული სახელმწიფოებრიობის თარიღის დადგენის საკითხისადმი ფარული, კულუარული მიდგომის გამო. მართლაც შეიკრიბნენ აკადემიის ხელმძღვანელობა, მისთვის სასურველი სამეცნიერო „რჩეული საზოგადოება" და გადაწყვიტეს მხოლოდ ამ შემადგენლობით ემსჯელათ. ასევე, როცა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა აზრის გაგება სცადეს, სპეციალური კითხვარით მიმართეს მხოლოდ სამეცნიერო საბჭოს წევრებს (სხვათა შორის, რამდენადაც ვიცი, უმეტესობამ მხარი დაუჭირა 2300 წლოვან თარიღს). რამდენად სასურველია სამეცნიერო საქმიანობის მსგავსი ფორმა? განა არ ეწინააღმდეგება იგი მეცნიერებას, რომელიც თავისი არსით, ხასიათით დემოკრატიულია?

---

41 იხ. „ძველი კოლხეთის კულტურა", გვ. 74.

რაც შეეხება ჩემი ნაშრომის მოსალოდნელ პრაქტიკულ შედეგებს, იგი იმაში მდგომარეობს, რომ საიუბილეო თარილის გარშემო სერიოზულად ვიმსჯელოთ და დავადგინოთ შესაბამისი ჭეშმარიტება. აქედან გამომდინარე, უარი ვთქვათ სამი ათას წელზე. და, ბოლოს, რაკი ძირითადად შეცდომების გამოვლენაზე მიდგა საქმე, მოგახსენებთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე, რომლებიც ბ-ნ ოთარ ლორთქიფანიძის თუნდაც რამდენიმე წიგნში გვხვდება. იგი გვაუწყებს, რომ პერგამონის მმართველმა მითრიდატე VII-მ გაძარცვა თითქოსდა ვანში მდებარე ლევკოთეას ტაძარი.[42] სხვაგან ეს პიროვნება პერგამონის მეფედ არის წარმოდგენილი.[43] მეტიც, ლაპარაკია „პერგამონის მეფეთა (!) მძარცველურ შემოსევებზე(!)".[44] ასე რომ, მსგავს აქციებს მათ მხრივ თითქოს რამდენჯერმე ჰქონია ადგილი. მაგრამ პერგამონის სამეფოს ხომ ძველად ატალიდების დინასტია მართავდა და მის მეფეთა შორის არც ერთს არ ერქვა მითრიდატე (მით უფრო ამ სახელის მქონე შვიდ მეფეს არ უმეფია). რაც უფრო მთავარია, არისტონიკეს აჯანყების (133 წელს, ძვ. წ.) შემდგომ ხომ აღნიშნული სამეფო გაუქმდა და რომმა იგი პროვინცია „აზიად" აქცია. სინამდვილეში საქმე ეხება პიროვნებას, რომელიც წარმოშობით იყო პერგამონელი და რომელსაც იულიუს კეისარმა საგამგებლოდ ბოსფორის სამეფო ჩააბარა, თუმცა ეს არ დასცალდა, დაიღუპა რა ტახტის მიმტაცებელთან ბრძოლაში. ქართველ ისტორიკოსთა და არქეოლოგოსთა შორის გავრცელებულ აღნიშნულ მცდარ შეხედულებას, როგორც დავინახეთ, იზიარებს ჩემი ოპონენტიც: პომპეუს ტროგუსმა თავისი ნაშრომი ახ. წ. 9 წელს კი არ დაასრულა, არამედ ითვლება, რომ 7 წელს. სოფელი მექვენა რაჭაში კი არ მდებარეობს[45], არამედ ლეჩხუმში. უხერხულია გიორგი წერეთელზე (ცნობილ მწერალზე) დაწერო როგორც ადგილობრივ (ე. ი. ვანელ!) მხარეთმცოდნეზე[46]. ცნობილი ქალაქის სახელწოდება მდინარე პან-

42 იხ. „Древняя Колхида", გვ. 214.

43 იხ. „ძველი კოლხეთის კულტურა, თბილისი, 1972, გვ. 75.

44 იქვე, გვ. 109.

45 იხ. „ძველი კოლხეთის კულტურა", თბილისი, 1972, გვ. 20.

46 იხ. „Древняя Колхида. Миф и археология", თბილისი, 1979, გვ. 198.

ტი-კაპადან კი არ მოდიოდა,[47] არამედ ქერჩის სრუტის შესაბამისი მონაკვეთიდან, რომელიც თეზით იყო მდიდარი („პანტიკაპეიონის“ ეტიმოლოგია ბერძნული ენით ვერ აიხსნება, იგი სკვითურად ნიშნავს „თეზის გზას“). ცხადია, აშკარა შეცდომაა პაპოკრატეზე დაწერო „მცენარე და ბუნებისმეტყველი“[48], ანდა სერეკაზე – „სახელგანთქმული პოეტი“[49], ხოლო ბერძნულ ახალშენთა მოხსენიებისას – „ტირო-სი“[50].

ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ტარნის სახელი ვილიამსი კი არ იყო, არამედ უილიამი[51]. ოპონენტს უნდა აღენიშნა, რომ აზრი არგონავტიკაზე როგორც ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობის იდეოლოგიაზე ეკუთვნის ლ. ელნიცკის[52]. პურეულის სახეობა „სპელ-ტა“ არ არსებობს[53], არამედ ცნობილია „სპელტა“. ზოლიცას (რუსუ-ლადაა დაწერილი)[54] ნაცვლად უნდა იყოს ეოლიდა. რა თქმა უნდა, მჯერა, რომ ეს კორექტურული ხასიათის შეცდომებია. ასევე „*Ἀργω πασια Μέλιοσσά* “-ს ნაცვლად უნდა იყოს „*Αργώ πασι μέλοι τα*“. მაგრამ ამაშიც მე ოპონენტის მიერ ძველბერძნული ენის ელემენტა-რულ უცოდინრობას ვერ ვხედავ მხოლოდ მსგავსი შემწყნარებლო-ბა, გაგება მოეთხოვება ოპონენტსაც.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ვიტყვი თუნდაც სამეგრელოს შესახებ დაწერილი ბ-ნ ოთარ ლორთქიფანიძისეული ნაწილის მიმართ, რომ ამ მცირე მოცულობის ნარკვევში უამრავი შეცდომა, მათ შორის ლოგიკური გაუმართაობაა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მიკვირს, როგორ გამოეპარა ეს შეცდომები კრებულის რედაქტორს ილია ანთელავას: მათ შესახებ, თუ სათანადო ინტერესი იქნება, საზოგადოებას სპე-ციალურად მოვახსენებდი უახლოეს ხანში.

---

47 იხ. „ძველი კოლხეთის კულტურა“, გვ 46.
48 იქვე. გვ 105.
49 იხ. „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი გვ 37.
50 იხ. ავტორის „ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი“, 1966, გვ 25.
51 „ძველი კოლხეთის კულტურა“, გვ 68.
52 იხ. დასახ. ნაშრ. გვ 11.
53 იხ. კრებული სამეგრელოს შესახებ, გვ 73.
54 იხ. „Наследие...“, გვ 220.

მე ოპონენტისაგან განსხვავებით თავს შეიკავებ მოპირისპირე მხარის პოზიციის შეფასებისაგან. დაინტერესებული საზოგადოებრიობა ამას თვითონ გაარკვევს.

ბოლოს მოგახსენებთ, რომ, მიუხედავად ჩემი კრიტიკული მიდგომისა ბატონ ოთარ ლორთქიფანიძისეული საისტორიო აზროვნების მიმართ, მე მაინც ვაღიარებ ჩემს ოპონენტს, როგორც ფართო პლანის მეცნიერს – არქეოლოგოს-ისტორიკოსს, მის დიდ ერუდიციას, პრაქტიკულ დამსახურებას ვანის არქეოლოგიური გათხრების საქმეში, სამეცნიერო ორგანიზატორის ნიჭსა და გამოცდილებას, დიდ დამსახურებას ქართული არქეოლოგიის პოპულარიზაციაში საქართველოსა და უცხოეთში. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მისი არყოფნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრთა შორის დიდი უსამართლობა იყო და ამას დარბაზში მსხდომნიც დამიდასტურებენ.

• • •

ახლა შევჩერდები ქალბატონ მერი ინაძის შენიშვნებზე, რამდენადაც მისეული ტექსტი ძალიან მოკლე იყო და რიგ საკითხებზედაც უკვე ვილაპარაკე, ამდენად ჩემი პასუხებიც ძალზე მოკლე იქნება.

თურმე მე საკითხის გააზრებას წინასწარი განწყობით ვუდგები. რასაკვირველია, მსგავსი რამის თქმა მეცნიერის მიმართ მომაკვდინებელია, და უპირველესად მის უნიჭობაზე მიუთითებს. მაგრამ საკითხის თაობაზე სულაც არ მქონია აკვიატებული აზრი, რის შესახებაც უკვე ვილაპარაკე.

თითქოს კოლხეთი მთლად ჭაობებით დაფარული ქვეყანა მგონია. მაგრამ ამგვარი უმეცრებისაგან შორსა ვდგავარ და ეს ბროშურის 39-ე გვერდიდანაც კარგად ჩანს.

ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებ ქალბატონ მერის აზრს, თითქოს ქუჯი კოლხეთის (ეგრისის) მეფე ყოფილიყო, და დიდი სივრცეები, რიონიდან შავ ზღვამდე და მესხეთის ქედიდან მოკიდებული კავკასიონამდე (სვანეთის ჩათვლით), ქუჯის სამეფო დომენად უნდა ვიგულისხმოთ. გამოდის, რომ საქმე გვაქვს ისტორიის უნი-

კალურ შემთხვევასთან, როცა მეფის დომენი ემთხვევა სამეფოს ტერიტორიას. ამ შემთხვევაში შეუძლებლად მეჩვენება ქუჯის სიტყვების გააზრება ფარნავაზის მიმართ: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“. ამ თვალსაზრისით ვერც ქუჯის მოკრძალებულ როლს დავიჯერებ გაერთიანებულ საქართველოში (არა მხოლოდ მეფის, არამედ სპასპეტის ხელქვეითადაც ყოფნა). ამდენად, მე უფრო იმათ ვემხრობი, რომლებიც ქუჯის თელიან დასავლეთ საქართველოს (ეგრისის) ერთ-ერთ სკეპტუქოსად.

როდესაც ერთ-ერთ ძველ უცხოურ წყაროში ლაპარაკია ფაზისში 60 თარჯიმნის ყოფნაზე, ეს მხოლოდ უცხოელებს (ინდოელებს, ბაქტრიელებს, სოლდებსა და მისთ.) როდი ეხება, როგორც ამას ოპონენტი ფიქრობს. აქ, ჩემი აზრით, ქვეყნის შიგნით არსებული მრავალტომიანობაც უნდა იქნეს ნაგულისხმევი.

დაბოლოს, თურმე კვლევა-ძიებისას „ზერელე მეთოდებით აღჭურვილი“ ვყოფილვარ. გამოგიტყდებით, არ მესმის, რას ნიშნავს ზერელე მეთოდები. თუ უკანასკნელნი არსით, ხასიათით ზერელენი არიან და ამდენად უსარგებლონი, მაშინ რატომ ითვლება ისინი მეთოდებად? ხოლო თუ ოპონენტს მხედველობაში აქვს ჩემ მიერ მეთოდების ზერელედ ათვისება და გამოყენება, მაშინ თავისი აზრი ხომ ასე უნდა გამოეთქვა? ძალზე მაინტერესებს, ოპონენტის შეხედულებით მაინც რა მეთოდებს ვიყენებ ჩემს საისტორიო აზროვნებაში და, კერძოდ, მოცემული საკითხის გააზრებისას, ხოლო ამის სანაცვლოდ მეთოდოლოგიის რა არსენალს იყენებს ქ-ნი მერი ინაძე. აქამდე, თუმცა მისეულ ნაშრომთა უმეტესობას ვიცნობ, ამის თაობაზე რამდენადმე ნათელი წარმოდგენა (ჩვეულებრივი, კრიტიკული და ისტორიულ-შედარებითი მეთოდების გამოყენების გარდა) არ გამაჩნია.

რაც შეეხება ქალბატონ ნანა ხაზარაძის გამოსვლას, ვეთანხმები, რომ დიაუხ//დიაოხის გაერთიანებაში საგულვებელია ზოგიერთი ქართველური ტოძის არსებობაც, რაც ჩანს ტოპონიმიიდან. მესხებში სახელმწიფოს არსებობის საკითხი კი თუმცა ძალზე საინტერესოა, მაგრამ, სამწუხაროდ, კონკრეტული ცოდნა ამის თაობაზე დღესდღეობით არ გაგვაჩნია.

და სულ ბოლოს, ეიტყვი ბ-ნ გრიგოლ გიორგაძის მიერ გამოთქმული თვალსაზრისის თაობაზე. დიაუხის საკითხზე მე გიორგი მელიქიშვილისა და იგორ დიაკონოვის შეხედულებებს ვემყარები. მათგან განსხვავებით, იგი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ დაიაენი და დიაუხი ორი სხვადასხვა გაერთიანება იყო და თანაც ქართველურ სამყაროს ეკუთვნოდნენ. მაგრამ მსგავსი აზრი პირადად ჩემთვის ნაკლებდამაჯერებელია. შევეცდები სხვა დროს იგი უფრო საფუძვლიანად გაეაცნობიერო და უფრო სრულყოფილად საკითხის თაობაზე სხვა დროს მოგახსენებთ.

2000 წ.

სიმონ ჯანაშიას შეხედულებანი საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ*

(საკითხის კიდევ ერთხელ გააზრების ცდა)

ჩვენს ქვეყანაში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხს, ცხადია, თავისი ისტორიოგრაფია გააჩნია. ჯერ კიდევ ლეონტი მროველის თანახმად, ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო პერიოდის ქართლში ადგილი ჰქონდა მამასახლისობიდან მეფობაზე გადასვლას. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისტორიკოსი ამის მტკიცებისას გარკვეულ საისტორიო (ისტორიოგრაფიულ) ტრადიციას ეყრდნობოდა, თუმცა მამასახლისობისა და მეფობის (სახელმწიფოს) არსზე მას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. ახალ დროში პრობლემის ახლებურ გადაწყვეტას შეეცადა ივანე ჯავახიშვილი. მის მიხედვით, გვაროვნული წესწყობილება და სახელმწიფო სრულიადაც არ გამორიცხავდნენ ერთმანეთს, არამედ დიდი ხნის მანძილზე თანაარსებობდნენ. ასე რომ, ძვ. წ. XII საუკუნეში სახელმწიფოებრიობა უკვე არსებობდა ქართველურ ტომებში (ხალხებში); აქ გულისხმობდა ჯერ მესხებს და ალბათ ასევე კასკასაც (კოლხები).

ჩვენი დიდი ისტორიკოსი, შესაძლებლად თვლიდა, რომ სახელმწიფოებრიობა გამქრალიყო და გვაროვნული წესწყობილება კვლავ პირწმინდად აღდგენილიყო და ამრიგად მსგავსი პროცესი რამდენიმეგზის განმეორებულიყო. აღსანიშნავია, რომ ასეთი წარმოდგენისას იგი გამოდიოდა ცნობილი გერმანელი სახელმწიფოთმცოდნის გეორგ ელინეკის (1851–1911) მოძღვრებიდან. ეს უკანასკნელი კი მსგავს შეხედულებას აფუძნებდა მეკოგე, ნომადურ ხალხებში გვაროვნული წყობილების თვალსაჩინო გაურცელებისა და სახელმწიფოს თანაარსებობის უეჭველი ფაქტებიდან გამომდინარე. მაგრამ უმეტეს შემთხვევებში, კერძოდ ბინადარ მიწათმოქმედ ხალხებში, მსგავსი ვითარება გამოირიცხებოდა. საერთოდ ეს „თეორია" ნაკლებდამაჯერებელი გახლდათ, და ამიტომაც ივანე ჯავახიშვილის

---

* მოხსენება სიმონ ჯანაშიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სესიას 2000 წლის 17 ნოემბერს

აღნიშნულ მოსაზრებას მკვეთრად აკრიტიკებდა ცნობილი ქართველი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე არჩილ ჯორჯაძე.

რასაკვირველია, სიმონ ჯანაშია პრობლემის გაცნობიერებისას გვერდს ვერ აუვლიდა აღნიშნულ საისტორიო ტრადიციას და მას ახლებურ, ნოვატორულ გააზრებას დაუპირისპირებდა. მაგრამ, მეორე მხრივ, საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რა მდგომარეობა სუფევდა მოცემული თვალსაზრისით 1930-იანი წლების საბჭოთა კავშირში, როცა მთელ ქვეყანაში, და კერძოდ, საქართველოში, მძლავრად გაიდგა ფეხი ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმმა. ამ მოძღვრებიდან გამომდინარე კი, თითქოს ყველაფერი ნათელი იყო: ფართოდ გავრცელდა ვ. ლენინისა და ი. სტალინის მიერ "აღმოჩენილი „დიდი ჭეშმარიტება", თითქოს პირველყოფილი საზოგადოების დაშლიდან მოყოლებული მრავალი ძველი ისტორიის (ახ. წ. წინა პერიოდების) მქონე საზოგადოება გადიოდა შსგავს, ერთსა და იმავე სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებს. ამის შესაბამისად სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ძალზე იოლად გაიაზრებოდა. მოგეხსენებათ, მაშინ მთავარ სახელმძღვანელოდ ითვლებოდა ფრიდრიხ ენგელსის ცნობილი ნაშრომი „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა". მაგრამ ამ წიგნში ხომ კერძო საკუთრების (მიწაზე) და სახელმწიფოს წარმოქმნა ცივილიზაციას უკავშირდებოდა, რაც თვითონ მარქსიზმის კლასიკოსების შეხედულებით 2500 წელს მოითვლიდა. როგორ შეიძლებოდა ანტიკური საბერძნეთისა და რომის შესაბამისი პერიოდებით გააზრებულიყო კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემა ძველ შუამდინარეთსა, ეგვიპტესა, ინდოეთსა, ჩინეთსა და სხვაგან? აქ ხომ ცივილიზაციის (საერთო გაგებით) სულ სხვანაირი დონე იყო, განსხვავებული გახლდათ ბუნებრივი პირობები (გეოგრაფიული გარემო). ეს ქვეყნები, არნოლდ ტოინბის აზრით, წარმოადგენდნენ ჩაკეტილ, ლოკალურ ცივილიზაციებს და ა. შ.

მეტიც, თვითონ მარქსიზმის კლასიკოსების (ცხადია, ამათში მხოლოდ კ. მარქსსა და ფრ. ენგელსს ვგულისხმობთ) თანახმად აღმოსავლეთში პირველყოფილი საზოგადოების დაშლა-დეზინტენგრაციის შემდგომ სულ სხვაგვარ სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებას ჰქონდა ადგილი. ცნობილია, რომ ისინი მას იაზრებდნენ აზიური წარმოების წესის კონცეფციით. მაგრამ 1930-იანი წლების საბჭოთა კავშირში აღნიშნულ შეხედულებას მიუღებლად, ანტიმარქსისტულად მიიჩნევდნენ და

თვლიდნენ, რომ ძველი აღმოსავლეთიც იმავე სოციალურ-ეკონომიკური ფაზებით ვითარდებოდა, როგორც დასავლეთ ევროპა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, „გაიმარჯვა" ვასილი სტრუვეს თვალსაზრისმა პირველყოფილობის შემდგომ ამ ისტორიული რეგიონის მონათმფლობელური ხასიათის თაობაზე, ეს აზრი ესადაგებოდა საერთო განწყობილებას და ამიტომაც ფართოდ ვრცელდებოდა. შეგახსენებთ, რომ 1933 წლის 20 სექტემბერს გაიმართა კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის (კიაი) ისტორიისა და მატერიალური კულტურის სექტორის სხდომა, რომელსაც ნიკო მარი და ივანე მეშჩანინოვიც ესწრებოდნენ. ამ უკანასკნელმა აღნიშნა: „В тематике упор правильнее было бы сделать на феодализм, но нужно поставить и разработку проблемы становления феодализма. Группы по изучению рабовладельческой формации на Кавказе создавать сейчас было бы актуально".[1] მით უმეტეს მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა (1938 წ.ლს) ი. სტალინის „ფილოსოფიური" ნარკვევი „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ", მონათმფლობელობა უკლებლივ ყველა ძველი ისტორიის მქონე ხალხში იქნა დაკანონებული (კანონიზებული), მსგავსი დებულება საბჭოური ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიის უცილობელ შემადგენელ ნაწილად იქცა.

საბჭოთა ისტორიკოსებსა, პოლიტეკონომისტებსა, ფილოსოფოსებსა და მისთ. შორის გაბატონდა სხვა გულუბრყვილო წარმოდგენაც: თითქოსდა კლასობრივი ფორმაციები, კერძოდ, მონათმფლობელური, მთლად მონოგენურნი იყვნენ. ამდენად, მონათმფლობელური ეკონომიკის ვითომდა აბსოლუტური გაერცელების შესაბამისად სოციალური სტრუქტურაც მხოლოდ ორი კლასისაგან შედგებოდა — მონათმფლობელებისა და მონებისაგან. ეს წარმოდგენაც, რა თქმა უნდა, დიდ დაბრკოლებად იქცა საისტორიო და სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარების გზაზე.

ასეთია მოკლედ ის თეორიული, იდეურ-მეთოდოლოგიური წანამძღვრები, რომელთაც სიმონ ჯანაშია აწყდებოდა საკითხის ახლებური გააზრებისას.

---

1 ციტირებულია ოთარ ფორდანიას წიგნიდან „Институт истории, археологии и этнографии", თბილისი, 1988, გვ. 37.

1932 წელს სიმონ ჯანაშიამ დაწერა ნაშრომი „ეკარიონული წყობილება ქართველ ტომებში“. თუმცა მის შესავალ ნაწილში ლაპარაკია ზოგადად კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ იმ სახით, როგორც ეს მოხდა ანტიკურ საბერძნეთსა და რომში, მაგრამ აეტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს შესაბამისი ხანის მიმართ იგი აშკარად მოერიდა მსგავსი სქემის მიყენებას. იგი ლაპარაკობდა პირველყოფილი საზოგადოების არსზე, კერძოდ, მისთვის დამახასიათებელ ისეთ ნიშან-თვისებაზე, როგორიცაა გვაროვნულ-ტომობრივი წყობილება. ამის თაობაზე იგი დაასკვნიდა არა ოდენ ზოგადად მსოფლიო ისტორიის, ფაქტებიდან გამომდინარე, არამედ საქართველოს ისტორიის შესაბამის მასალაზე დაყრდნობითაც. მართლაც, ჩვენი ძველი ისტორიის რიგი საისტორიო წყაროებისა, კერძოდ სტრაბონისეული ცნობა სვანების შესახებ და გვიანდელი შესაბამისი გადმონაშთები აქ და საქართველოს დანარჩენ მთიანეთში სრული უეჭველობით ადასტურებენ საქართველოში გვაროვნული წყობილების არსებობას.

რა თქმა უნდა, სიმონ ჯანაშია რადიკალურად გაემიჯნა იმანე ჯავახიშვილისეულ შეხედულებას გვაროვნული წესწყობილებისა და სახელმწიფოებრიობის თანაარსებობაზე. მის მიხედვით, აღნიშნული ორი მოვლენა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. მაგრამ მეცნიერი აქვე გამოთქვამდა უაღრესად საყურადღებო აზრს: „შეცდომა იქნება, რომ ახალი სვანური თემი გაქვავებულ პირველყოფილ გვარად წარმოგვედგინა. მას უკვე დიდი ცვლილებები ჰქონდა განცდილი. საკმარისია იმისი აღნიშვნაც, რომ უკვე მისი საძირკველი იყო გარღვეული: მოცემულ პერიოდში უძრავი ქონება აქ უკვე კერძო საკუთრების საგნად ითვლებოდა, სახნავ-სათესი, სათიბი, ტყე და საძოვარი ცალკე ოჯახებს ეკუთვნოდათ. მესაკუთრეს თავისი მამულის განკვეთების (მაგ., გაყიდვის მის მიერვე დანიშნულ ფასებში) უფლება ჰქონდა“.[2] ასე რომ, სიმონ ჯანაშიას სწორი შეხედულებით, ჩვენი მთიელების საზოგადოების ხასიათზე მხოლოდ გვაროვნული წყობილების მიხედვით არ უნდა გვემსჯელა ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, საქართველოს გვიანი ხანის მთიანეთი შორს იყო წასული პირველყოფილობის ფაზიდან. დიდად სამწუხაროდ, ქართველ

2 იხ. „შრომები“, ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 123.

ისტორიკოსთა და ეთნოგრაფოსთა შორის ეს აზრი დიდხანს დარჩა გაუგებარი (სათანადო აზრი გამოაცოცხლა ნიკო ბერძენიშვილმა 1960-იან წლებში).

აღნიშნულ განაკვეთში აღძრულია გვაროვნული წყობილებიდან გამოსვლის თემა. აქ ეკითხულობთ: „უკვე საკმაოდ ადრე და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ კი მეოთხე საუკუნიდან ქ. წ. ბარის ქართველი ტომების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა მოშხდარიყო. მატერიალური წარმოების წესი იმდენად განვითარებული ჩანს, რომ შეუძლებელია იგი ძველი გვაროვნული წყობილების საწარმოო ურთიერთობის ჩარჩოში დატეულიყო“.[3] ნათქვამის საილუსტრაციოდ მოხმობილია ქართლში ქალაქების (სარკინე, კასპი, ურბნისი, ოძრახე, შემდეგ – არმაზისა და მცხეთის) არსებობის ფაქტები. აქედან ჩანს, რომ სიმონ ჯანაშიამ უკვე გადალახა იუანე ჯავახიშვილისათვის დამახასიათებელი (მცხეთის ცნობილ არქეოლოგიურ აღმოჩენებამდე) პიპერკრიტიციზმი ძველი ქართული საისტორიო წერილობითი წყაროებისადმი.

მეორე განაკვეთიც სიმონ ჯანაშიამ 1932 წელსვე გამოაქვეყნა. მისი პირობითი სახელწოდება გახლავთ „ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში“ (თვით ავტორისეული დასათაურება კი ასეთია: „საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ქართველ ტომებში“). ავტორმა ფრიად მახვილგონიერულად მოძებნა გამოსავალი იმ პერიოდის საბჭოთა კავშირში გაბატონებული დოგმიდან. ვ. ლენინის ბროშურაში „ლექცია სახელმწიფოს შესახებ“ ლაპარაკია, ერთი მხრივ, მოსახლეობელური ფორმაციის უნივერსალურ გავრცელებაზე და, მეორე მხრივ, მის განუვითარებლობაზე ზოგიერთ ქვეყანაში. სიმონ ჯანაშია წერდა: „მაგრამ განვითარების ადგილობრივ, სპეციფიკურ პირობების წყალობით მოხობა ზოგან სამოსახლოებელო საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის სახეს იღებს, როგორც, მაგ.: რომსა და საბერძნეთში, „რომელნიც მთლიანად მონობაზე იყვნენ დამყარებულნი“ (ლენინი). სხვაგან კი იგი ადრევე ფეოდალიზმში გადადის“.[4] ეს ზოგადი დებულება გახლავთ, კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებაში კი „რამდენადაც დღესდღეობით ამის თქმის

3 დასახ. წიგნი, გვ 128.

4 იქვე, გვ 131.

უფლება გაქვს, საქართველოში მეორე პოველესას ჰქონდა ადგილი. მიუხედავად მონობის განსაკუთრებული მნიშვნელობისა ქართული ტომთა უძველეს ისტორიაში, არ ჩანს, რომ იგი აქ მთლიან ფორმაციად ჩამოყალიბებულიყოს. გაუროვნულ წყობილებას აქ ფეოდალიზმი სცვლის".[5]

ნაშრომში სიმონ ჯანაშია ოპერირებს გარდამავალი საზოგადოების (პირველყოფილობიდან ფეოდალიზმზე) კატეგორიით. თავისთავად იგულისხმება, რომ შესაბამისი საზოგადოება ბევრად უფრო რთული სტრუქტურის მქონე იყო, ვიდრე წინამავალი საფეხური. აქ „წარმოდგენილია არა გაუროვნული საზოგადოება თუნდაც რღვევის გზაზე შემდგარი„ არამედ გარკვეული კლასობრივი საზოგადოება, ერთგვარ გაუროვნულ გარდმონაშთების მქონე".[6] როგორც ეხედავთ, ავტორი სტრაბონის ხანის იერიაში (ქართლში) ძველი, გაუროვნული საზოგადოების ნაშთებსაც ხედავდა, კერძოდ სტრაბონისეულ მეოთხე გენოსში. „გენოსს" (გვარს) კი იგი, მოგეხსენებათ, სულ სხვაგვარი, (ფორმალურ ლოგიკაში არსებული მნიშვნელობით) იაზრებდა. ამის დასაზუსტებლად ძალზე საინტერესოა სიმონ ჯანაშიასეული შემდეგი მსჯელობა: „საყურადღებოა, რომ იერიის აღწერილობაში, რომელიც დაცულია სტრაბონის ტექსტში, არსად არაფერია ნათქვამი იერიის მოსახლეობის ტომებად დაყოფის შესახებ. ეს იმას არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ ამ დროს უკვე წაშლილია ცალკე ტომების არსებობის კვალი; განსხვაებული ეთნიკური ჯგუფები ამ დროს იერიაში უეჭველად არსებობდნენ. ეს იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ უკვე საკმაოდ გაჩქარალი ყოფილა ტომური ორგანიზაციები".[7] ამდენად, ძვ. წ. I საუკუნის იერიაში საზოგადოებრივი ორგანიზაციის ძირითადი ფორმა პოლიტიკური ხასიათისა იყო, ე. ი. არსებობდა სახელმწიფო, რომელიც ყოველ შემთხვევაში გამორიცხავდა გვარებისა და ტომების თვალსაჩინოდ გავრცელებულობას.

განსხვაებულად არის წარმოდგენილი სტრაბონის პერიოდის კოლხეთის ვითარება: „... თითქოს ისე გამოდის, რომ კოლხეთში ცალკე ტომთა ორგანიზაცია მთლად გაჩქარალი არ იყო, მაგრამ ეს ტომები უკვე ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ".[8] თუმცა

5 „შრომები", II, გვ 131.

6 იქვე, გვ 137-138.

7 იქვე, გვ 147-148.

8 იქვე, გვ 156.

დაშვებულია მეორე ვარიანტიც: „ან შესაძლოა აქ პირდაპირ ადმინისტრაციული დაყოფა იგულისხმებოდეს“.[9] ე. ი. თითქოს „სკეპტუხიები“ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენენ. სიმონ ჯანაშიასეული განზოგადებით, „საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ კურძოდ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ფაქტების მიხედვით კოლხეთს ამ დროს საშუალო ადგილი უნდა ეჭიროდა ალბანიასა და იბერიას შორის“.[10]

გარდამავალი ხანის იერიის (ქართლის) საზოგადოების გაბატონებულ კლასს შეადგენდნენ ქურუმები, რომელთა წარმოშობაც დაკავშირებული იყო „პირველყოფილ თემში“ შრომის საზოგადოებრივ განაწილებასთან: „განეითარების სპეციფიკური პირობებისაგან დამოკიდებულებით, მაგ.: იქ, სადაც მორწყვა და საერთოდ წყლის მეურნეობა მიწისმოქმედებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს, ასტროლოგი და კალენდრის სპეციალისტი ქურუმი კლასობრივ საზოგადოებაში შესაძლებელია უკვე გაბატონებულ ქურუმთა წოდებად ან კლასად ჩამოყალიბდეს“.[11] მსგავსი აზრის მტკიცებისას სიმონ ჯანაშია, როგორც ეხედათ, გამოდიოდა კარლ მარქსის „კაპიტალის“ I ტომის ცნობილი ადგილებიდან, სადაც ძველი ეგვიპტისა და ინდურ თემზე (აზიური წარმოების წესის სტრუქტურის უმთავრეს სოციალურ უჯრედზე) არის საუბარი. როგორც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ საქართველოს ძველი ისტორიის მიმართ ფრიად ორიგინალური აზრთან გვაქვს საქმე. ამასთანავე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სიმონ ჯანაშია იმხანად იზიარებდა მიგრაციის თეალსაზრისს სამხრეთის ცხელი ტერიტორიებიდან, სადაც მიწათმოქმედება მთლად ირიგაციაზე იყო დამყარებული.

მომდევნო, 1933 წელსაა გამოქვეყნებული ნაშრომი „ადრეული ფეოდალიზმი“ (მესამე განაკვეთის სახით). ავტორი მოცემულ შემთხვევაში ოპერირებს წარმოების წესის იმ მნიშვნელობით, რაც ეკონომიკურ წყობაში (რუსულ „экономический“ ანდა „хозяйственный уклад“-ში) იგულისხმება. ქურუმთა კლასთან ერთად ლაპარაკია *ιαοί*-ს კლასზეც (სტრაბონისეულ IV გვეროსზე). აღნიშნულია

9 „შრომები“, II, გვ 157.

10 იქვე, გვ 153.

11 იქვე, გვ 146.

ვაროვნული წყობილების გადმონაშთები, „მაგრამ უფრო სოციალურ, კიდრე საწარმოო სფეროში“.[12] თვით ქართლის (ივერიის) სახელმწიფო კი ასეთ სოციალურ საფუძველზე წარმოიშვა: „მას შემდეგ, რაც ტაძრები თავიანთ მამულებზე შედარებით ფართო მეურნეობის წარმოებას იწყებენ და ამისათვის საჭირო ხდება მონების შრომის უფრო დიდი მასშტაბით გამოყენება, ჩნდება აუცილებლობა ისეთი აპარატის შექმნისა, რომელიც ტაძრების მრავალრიცხოვან მონებს მორჩილებაში იყოლიებს. ჩნდება მეფის ხელისუფლება და სახელმწიფო, და ჩვენ ვფიქრობთ, მაშასადამე, რომ მეფის ხელისუფლება ქართველ ტომებში მონათმფლობელთა ინტერესების და საჭიროებათა ნიადაგზე აღმოცენდა უპირატესად“.[13] ჟღტორი არ გამორიცხავდა დაპყრობის ფაქტორსაც, კერძოდ მეოთხე გერსის გაჩენასთან დაკავშირებით: „უცხო თემების დაპყრობა კლასობრივად საკმაოდ დადიფერენცირებულ საზოგადოების ხელისუფლების მიერ, დაპყრობილ თემთა მიწების სამეფო ფონდში გადარიცხვა და ამ ნიადაგზე თვით დაპყრობილთა ჩაყენება ყმურ მდგომარეობაში მეფის, როგორც სამხედრო ხელისუფლების უზენაესი წარმომადგენლისა და დასახელებული მიწის ფონდის უზენაესი პატრონის, მიმართ. ჩვენ უფრო ამ შესაძლებლობისაკენ ვიხრებით“, თუმცა, „საბოლოოდ ამ საკითხს მომავალი კვლევა გადასწყვეტს“.[14]

ამავე ნაშრომში ავტორი მიმართავს რეტროსპექციის მეთოდს და განიხილავს „ძველი ერისათვის“-ში აღწერილ სოციალურ სიტუაციას. ამით იგი კიდევ უფრო ამტკიცებს თავის თვალსაზრისს შრომის სოციალური დანაწილების ბაზაზე კლასების წარმოშობის თაობაზე. მეორე მხრივ, მისივე განცხადებით, ამ პროცესის წანამძღვარი იყო გარკვეული ეკონომიკური დიფერენციაცია საზოგადოების შიგნით.

აღნიშნული ნაშრომის მთავარი დასკვნა სტრაბონისეული ქართლის (ივერიის) საზოგადოების მიმართ ასეთი გახლავთ: „ეს არის გარდამავალი ტიპის საზოგადოება იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ გარკვეული და ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის სახე არ მიუღია. აქ წარმოების სხვადასხვა წესები (ვგულისხმობთ, ეკონომიკური წყობის მნიშვნელობით – გ. ყ) ებრძვიან

---

12 „შრომები“, II, გვ 162.

13 „შრომები“, III, გვ 164–165.

14 იქვე, გვ 166–167

ერთმანეთს... წარმოების მონათმფლობელურ წესს, რომელიც წარმოადგენდა ქურუმთა ბატონობის საფუძველს, არასოდეს არ მიულია, როგორც ჩანს, ქართველ ტომებში ისეთი ფართო ხასიათი, რომ ეს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკველი გამხდარიყო".[15] შესაბამისად გასაგებია, რომ „სოციალური კლასის" კატეგორიის პარალელურად სიმონ ჯანაშია ოპერირებდა „სოციალური ჯგუფით", „საზოგადოებრივი ჯგუფით", „სოციალური ფენით".

იმდროინდელ კოლხეთშიც ქართლის (ივერიის) მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური სურათია დახატული. მაგრამ ხაზგასმულია შემდეგი გარემოება – ახ. წ. II საუკუნეში „...ტომური შედგენილობის მხრივ კოლხეთი განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას წარმოადგენდა".[16] თუ იუანე ჯავახიშვილი, როგორც ვიცით, ამ გარემოებას რომაელთა პოლიტიკას მიაწერდა, სიმონ ჯანაშია ამას გამორიცხავდა და მიიჩნევდა, რომ მსგავსი სოციალური შედეგი აღგილობრივმა ეთნოგენეზმა გამოიწვია. ამდენად, გამოდის, რომ სტრაბონისეული კოლხეთის სახელმწიფოში სახელმწიფოებრიობა თვალსაჩინო მასშტაბებით თანაარსებობდა ტომურ, მაშასადამე გვაროვნულ, ორგანიზაციებთან.

უფრო დაწვრილებით აღნიშნული თემა გაშლილია ნაშრომში „ეგრისის სამეფოს წარმოშობა" (წაკითხულია 1934 წელს, დაიბეჭდა ორი წლის შემდგომ). მოკიტანთ შესაბამის ადგილებს: „კოლხეთი, წერილი ტომობრივი სამთავროები გარდამავალი პერიოდისა, ეგრისის (ე. ი. ლაზიკის – გ. ყ) სამეფო..."[17]; „ეგრისი და მისი წინამორბედი ტომობრივი წარმონაქმნები წარმოადგენს ხიდს, რომლითაც ეს ქვეყანა ძველი სამყაროდან ფეოდალურში გადავიდა უკვე საბოლოოდ"[18]; „სკეპტუხია", აღებული ხანის ბერძნულ ცნობებში კავკასიის შესახებ, აღნიშნავს სატომო ორგანიზაციას. სტრაბონის ცნობა, მაშასადამე, მიგვითითებს კოლხეთის დანაწილებაზე ცალკეულ ტომურ ორგანიზაციებად (დასავლეთი საქართველო ყოველთვის მრავალტომიანი ქვეყანა იყო). ურთიერთობაც ამ ტომებს შორის ცვალებადი იყო";[19]

---

15 „შრომები", II, გვ 173-174.

16 იქვე, გვ 201.

17 იქვე, გვ 307.

18 იქვე.

19 იქვე, გვ 311.

„ძველი კოლხეთის, როგორც მრავალტომიანობის, ისე ტომური ორგანიზაციისა და ტომთა ურთიერთდამოკიდებულებისათვის დამახასიათებელია სტრაბონის „გეოგრაფიის“ ცნობა სვანების შესახებ“;[20] „ამჟამადაც, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ აღრიანეს-დროინდელი ზოგიერთი სამთავრო წარმოადგენს უწყებული სკეპტუხიების შემდგომ განვითარებას“;[21] „ნათქვამის შემდეგ შეგვიძლია კიდევ ერთი, ჩვენთვის მნიშვნელოვანი დასკვნა გავაკეთოთ: დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ოთხი სამთავროს არსებობა II ს. დამდეგს არის არა გარეშე ძალის მიერ თავზე მოხვეული, რომაული პრინციპის – „დაჰყავი და იბატონე!“ – პრაქტიკული განხორციელების შედეგად მიღებული მდგომარეობა..., არამედ ნაყოფია ამ ქვეყნის საკუთარი, შინაგანი განვითარებისა“;[22] „არიანეს მიერ დახასიათებული დასავლეთ საქართველოს სამთავროები უკვე ტომურ-გვაროვნულ ორგანიზაციებს კი არ წარმოადგენენ...“;[23] „უეჭველია, რომ გვაროვნული წყობილების ნაშთები ამ დროს (ახ. წ. 131 წლისათვის – გ. ყ) ჯერ კიდევ უაღრესი სიძლიერითაა გამოხატული“;[24] „თვით მთავრები სათანადო ტრანსფორმაციაქვშილ, ძველ ტომის ბელადებად გვყავს წარმოდგენილი, რომელთაც, თავიანთი საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, უზურპაცია უყვეს მათთვის ჩაბარებულ უფლებებს და თემის დელეგირებული „მსახურებიდან თემისავე ბატონებად იქცნენ“.[25]

1936 წელს დაბეჭდილ ნაშრომში „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე“ ვკითხულობთ: „ადრევე რამდენადმე შინაგან დაქსაქსული კოლხიდა იყოფა მთელ რიგ წვრილ ტომურ პოლიტიკურ წარმონაქმნებად“.[26]

აქ მოტანილი მრავალი ციტატიდან უეჭველია დასკვნა იმის შესახებ, რომ სიმონ ჯანაშიას მიხედვით „კოლხეთის სამეფოში“ ფართოდ იყო

---

20 „შრომები“, II, გვ 311.

21 იქვე.

22 იქვე, გვ 311-312

23 იქვე, გვ 312;

24 იქვე.

25 იქვე, გვ 313.

26 იქვე, გვ 419.

გაჩრცელებული გვაროვნულ-ტომური წყობილება, რომელიც თითქოს თანაარსებობდა პოლიტიკურ ორგანიზაციასთან (სახელმწიფოსთან).[27]

მსგავსი დასკვნის წინააღმდეგობრიობა კიდევ უფრო მკაფიოდ ცხადდება ივერიასთან (ქართლთან) შედარებით. ნაშრომში „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე", (დაბეჭდილია 1937 წელს) უკანასკნელთან მიმართებით აღნიშნულია: „ტომური ორგანიზაციების არ არსებობა, სამაგიეროდ არსებობა მემკვიდრეობითი სამეფო ხელისუფლებისა, რომელიც ქვეყნის ბატონ-პატრონია და რომელიც საკუთარს, ხალხისაგან გამოყოფილს, რაზმებს ეყრდნობა".[28] სტრაბონის მიერ „ერთი კრინტიც დაძრული არ არის ტომური ორგანიზაციების შესახებ, აშკარაა იმიტომ, რომ ცალკე ტომებს საკუთარი ორგანიზაცია სრულებით არ გააჩნდათ";[29] „ტერიტორიული წყობა, რომელმაც შეცვალა ტომურ-გვაროვნული, უკვე იმდენად შორს არის წასული..."[30] (იგულისხმება სტრაბონისეული ქართლი).

აღნიშნულ ნაშრომშიც კვლავ გამეორებულია ავტორის დასკვნა ძველ ქართლში გარდამავალი საზოგადოების არსებობის თაობაზე.

ძველ საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე ახალი კონცეფციის შემუშავებისას სიმონ ჯანაშია თუ ერთი მხრივ უპირისპირდებოდა ივანე ჯავახიშვილისეულ თვალსაზრისს, მეორე მხრივ, მას მწვავე პოლემიკის წარმოება უხდებოდა მარქსისტულ-ლენინურად მოაზროვნე იურისტ-სახელმწიფოთმცოდნეებთან – გიორგი სოსელიასა და ილარიონ ტალახაძესთან. ამათგან სერიოზული ოპონენტი გამოჩნდათ პირველი, რომელმაც 1930-იანი წლების დასაწყისში დაბეჭდა რამდენიმე ნაშრომი აღნიშნული საკითხის შესახებ. 1936 წლის 16 აპრილს გაზეთ „კომუნისტში" მან გამოაქვეყნა სტატია სათაურით „უმეცრება თუ შეგნებული მაუნებლობა?", რომელშიც ავტორი უარყოფდა ძველ ქართლსა და კოლხეთში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობას.

---

27 ამასვე ალიარებს ისტორიკოსი მერი ინაძეც. პარალელია, რომ მსგავს დებულებას პირწმინდად უარყოფს ოთარ ლორთქიფანიძე.

28 „შრომები", ტ. I, 1949, გვ 136–137.

29 იქვე, გვ 148.

30 იქვე, გვ 149.

სამაგიეროდ აქ ივი ხელაყდა „გვარიანულ წყობილებას (პირველყოფილ საზოგადოებას).[31] მსგავსი შეხედულება, ცხადია, შესაწყნარებელია, მაგრამ შეუწყნარებელი იყო მისგან სიმონ ჯანაშიასათვის „ანტიმარქსისტისა" და „მაკნებლის" იარლიყების მიწებება. ანდა როგორი გამართლება (საბუნიერო ეთიკის თვალსაზრისით) აქვს ასეთ ფრაზას: „კმარა. უნდა ვიკითხოთ: საქმე გვაქვს უმეცრებასთან თუ შეგნებულ მავნებლობასთან? რას აკეთებენ ის ორგანოები, რომელთაც ეკისრებათ ჩვენს სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების საქმის უშუალო ხელმძღვანელობა? როგორ მოხდა, რომ 5-6 წლის განმავლობაში ასეთ უმსგავსობას აწვდიან ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას და ამაზე არავის კრინტი არ დაუძრავს?" როდესაც სიმონ ჯანაშია ამტკიცებდა კლასების (კერძოდ ჭურუმობის) წარმოქმნას შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე, თურმე აი, რაში ყოფილა საქმე: „იცის თუ არა ჯანაშიამ, თუ ვისია ეს შეხედულება? იცის თუ არა მან, რომ ეს ფიუსტელ დე-კულანჟის(!), ფრეზერისა და სხვა რეაქციონერი ისტორიკოსების, რუსეთში კი — ბოგდანოვის შეხედულებაა?"[32]

მაგრამ ზუსტად ასეთი თვალსაზრისი ხომ გამოთქმული ჰქონდათ თავად კ. მარქსსა და ფრ. ენგელსს (იხ. „კაპიტალის" I ტომი და „ანტი-დიურინგი")?! ასევე, როცა გიორგი სოსელია სიმონ ჯანაშიას უკიჟინებდა ძალადობის (ძალდატანების) გზით სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში ივანე ჯავახიშვილისეული თვალსაზრისის მომხრეობას, ამ მხრივაც ხომ ფრ. ენგელსის მაგალითი გამოდგებოდა?

სიმონ ჯანაშიას შესაბამისი პასუხიდან მოვიტანთ შემდეგ ამონარიდს: „ჩვენ საკითხი დავსვით, კონკრეტული ფაქტების საფუძველზე, სახელმწიფოს არსებობის შესახებ საქართველოში უკვე I საუკუნეში (ძვ. წ. — გ. ჯ). ჩვენ ვაცხადებთ, რომ შესაძლებელია ხვალ, თუ ამას ფაქტიური ისტორია მოითხოვს, საკითხი დავსვათ სახელმწიფოს არსებობის შესახებ ქართველ ტომებში კიდევ ერთი ათასწლეულით (!) უფრო ადრე".[33] ეს სავსებით გასაგებია თავისთავადაც, მით უფრო,

---

31 მხოლოდ მესამე გენოსთან დაკავშირებითაა აღნიშნული „გვაროვნული წყობილების ნაშთები, იქვე, გვ. 173.

32 იხ. გაზ. „კომუნისტის" აღნიშნული ნომერი.

33 „შრომები", VI, 1987, გვ. 520.

რომ „ქართველ ტომთა უძველესი ისტორია დაკავშირებულია მჭიდროდ წინააზიის განვითარებასთან. წინაზიაში კი, ეს ახლა ბავშვებმაც კი იციან, კლასები და სახელმწიფო უკვე მესამე ათასწლეულშიაც (!) არსებობს. ორი ათასი წლის წინათ ქრისტიანული წელთაღრიცხვის დაწყებამდე იქ უკვე დაწერილი სამართალიც კი ჩნდება. მაშასადამე, საკითხის დასმა მეცნიერულად არავის აკრძალული არა აქვს, საქმე ის არის, თუ როგორ წყდება ეს საკითხი“ [34] ჭეშმარიტად, მართლაც „ხალხმე იხ არიხ, თუ როგორ წყდება ეს ხაკითხი“! (მაგან ისტორიკოსთა და არქეოლოგოსთა გასაგონად ხაზს კუსევამ).

წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით საინტერესო გახლავთ სიმონ ჯანაშიას შენიშვნა, რომ ქართული ეროვნული საისტორიო ტრადიცია უეჭველ შეიცავს ჭეშმარიტების მომენტს. კერძოდ, ფარნავაზის შესახებ ცნობების საფუძვლიანობა ჩანს სომხურ წყაროსთან შედარებით (იხ. ფაუსტოს ბუზანდის ცნობა), რის მიხედვითაც ივერიის (ქართლის) ძველი მეფეები ფარნავაზიანთა დინასტიას ეკუთვნოდნენ (მანამდე ეს შეამჩნიეს ალექსანდრე სვანიძემ და სარგის კაკაბაძემ). სიმონ ჯანაშიას მოჰქონდა ძველი ბერძენი ავტორის – მემნონის ცნობა იმის შესახებ, რომ მითრიდატე ევპატორმა „ამით დაიმორჩილა მეფეები, რომელნიც ფაზისის გასწვრივ მკვიდრობენ კავკასიონის გადაღმა მდებარე მხარეებამდის“. მაგრამ დასძენდა, რომ არ ჩანს, თუ ვინ იგულისხმებოდა ამ სიტყვებში „კოლხთა მეფის“ გარდა.[35]

1938 წელს დაბეჭდილ თეზისებში (სადოქტორო დისერტაციისა) დაკონკრეტებულია ძველ ქართლში არსებული „წარმოების წესები“ (ეკონომიკური წყობები): მონათმფლობელური, პატრიარქალურ-გვაროვნული და ფეოდალური (ლაოების, „სამეფო მონების“ ექსპლუატაცია). ამასთანავე წამყვან სოციალურ-ეკონომიკურ წყობად გამოცხადებულია მონათმფლობელური ურთიერთობანი.[36] აღსანიშნავია, რომ ზუსტად ამ წელს გამოვიდა „მოკლე კურსი“, სადაც „საბოლოოდ იქნა გადაწყვეტილი“ მონათმფლობელობის როგორც უნივერსალური ფორმაციის არსებობა. ცხადია, სიმონ ჯანაშია თავს ვერ დააღწევდა

---

34 „შრომები“, VI, გვ. 520.

35 ჩვენი აზრით, აქ იგულისხმებოდა კოლხეთის „სკეპტუქოსები“.

36 შაბლერელი „სპეციფიკური“ მოცემულ შემთხვევაში კონკრეტულ შინაარსს არ შეიცავს.

მსგავს შეხედულებას (ფაქტობრივად დირექტივას), რის დასადასტურებლადაც გვაქვს უშუალო წყარო. მისეულ შენიშვნებში შრომისა „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“ ვკითხულობთ: ფორმაციები, რა უსწრებს ფეოდალიზმს საქართველოში. „მონათმფლობელობა (მოკლე კურსი)“. როგორც ვხედავთ, ძველ საქართველოში არსებული მონობა (სინამდვილეში ეკონომიკური წყობის სახით) უკვე სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის მნიშვნელობით მოიაზრება.

ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა (ხელნაწერის უფლებით) „История СССР. С древнейших времен до образования древнерусского государства“, რომელშიც სიმონ ჯანაშიას ეკუთვნოდა საქართველოს შესახებ რამდენიმე პარაგრაფი. აქ ვკითხულობთ, რომ კოლხეთის სამეფო (სახელმწიფო) ივერიისაზე (ქართლისაზე) ძველია და არსებობდა ძვ. წ. VI საუკუნიდან მოკიდებული. აღნიშნული დებულების უმთავრეს დამადასტურებელ არგუმენტად ნაგულისხმევია ძვ. წ. V საუკუნის ბოლოსა თუ IV საუკუნის დასაწყისიდან აქ მონეტის მოჭრა (ვითომდაც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ). ქართლში კი სახელმწიფო თითქოსდა წარმოიშვა ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს. უკანასკნელთან დაკავშირებით წიგნში ამკარა წინააღმდეგობრიობა შეინიშნება. ერთი მხრივ ვკითხულობთ: „Это деление иберского общества на четыре „рода“ подразумевает общество на высшей ступени разложения первобытно-общинного строя, на ступени „военной демократии“ და ჩამოთვლილია ოთხი „ძირითადი ჯგუფი“, აღნიშნულია ამ დაყოფის კასტური ხასიათი. მეორე მხრივ კი ხაზგასმულია, რომ მსგავს სოციალურ სტრუქტურას შეესაბამებოდა „განაზღვრული(!) მონათმფლობელური პოლიტიკური ორგანიზაცია“, რომელშიც „Старые родовые организации – племенной совет, народное собрание племени – исчезли. Их место заняла государственная организация в форме теократической монархии“. ეს შეუსაბამობა მიგვაჩნია წიგნის საერთო რედაქტორის „ნახელავად“.[37]

---

37 სხვათა შორის, მსგავს გარემოებას ჩიოდა ივანე ჯავახიშვილი გამოცემის საერთო რედაქტორის ბორის გრეკოვისადმი გაგზავნილ წერილში. იხ. სერგო ჯორბენაძის „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“, 1983, გვ. 541–542.

1840 წელს ჟურნალ „Вестник древней истории“-ში დაიბეჭდა კ. მარქსის ნაშრომი „კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები“, რომელშიც გაღმოცემულია თეორიული საფუძველი ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებათა ღრმა გაგებისათვის. მაგრამ იმხანად საბჭოთა კავშირში ჯერჯერობით ვერ მოხერხდა მისი სათანადო სილრმე-სიგანით გააზრება. რასაკვირველია, ეს ეხება შიმონ ჯანაშიასაც. ამდენად მისი აზროვნება აღნიშნული საკითხის გაცნობიერებისას სხვა მიმართულებით წარიმართა.

1940 წლის 28 მარტს სსრკ ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე შიმონ ჯანაშიამ წაიკითხა მოხსენება ძველი პერიოდის ამირკავკასიის საზოგადოებრივი წყობილების შესახებ. თუ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეს“ ვერწმუნებით, შიმონ ჯანაშია მონათმფლობელური საზოგადოების სპეციფიკური ფორმის არსებობას ამტკიცებდა ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაში, ამ.ითანავე აღიარებდა ძველ ქართლში დაპყრობის ფაქტორს (ლაოების გაჩენის მიზეზი).[38]

სტატიაში „Из исторического прошлого Грузии (გამოქვეყნებულია 1940 წელს) აღნიშნულია, რომ კოლხები ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ჩანს, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში.[39]

„ქართლის ცხოვრების“ ძველ და ახალ ფურცლებში“ (დაიბეჭდა 1942 წელს) ვკითხულობთ, რომ ძვ. წ. VI საუკუნეში ქართველებს ორი დიდი სახელმწიფო ჰქონდა — კოლხიდისა და სასპერებისა და ისინი „თამაშობდნენ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის როლს“.[40]

„საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში (მაკეტის სახით დაიბეჭდა 1940 წელს, ოფიციალურად კი გამოქვეყნდა 1943 წელს), რომლის ძველი პერიოდი შიმონ ჯანაშიას მიერაა დაწერილი, მეორე თავი ასე გახლავთ დასათაურებული: „ანტიკური ხანის მონათმფლობელური სახელმწიფოები საქართველოში“. შესაბამისად, ცხადია, იქერიისა და კოლხეთის სამეფოები მონათმფლობელურად არიან მოხსენიებულნი.[41] წიგნში აღნიშნულია: „ბლომად იყვნენ მაშინ

---

38 იხ. „Вестник АН СССР“, N 5-6, 1941, გვ. 59-60.

39 „შრომები“, VI, 1988. გვ. 345.

40 იქვე. გვ. 211.

41 დასახ. წიგნი. გვ. 76-77.

არ სიცილიდნენ. მონები ჰყავდათ მეფის საგვარეულოს, ქურუმებს, სხვა მდიდარ ხალხსაც“[42] ამას მოსდევს საკუთარი ლოგიკური დასკვნა იმის თაობაზე, რომ საქართველოს ბარში „მონათმფლობელობა იყო გაბატონებული“.[43] ამდენად „მოკლე კურსის“ ზეგავლენა კვლავ აშკარაა, რის გამოც მოიხსნა დებულება კოლხეთ-ივერიის შესაბამისი პერიოდის საზოგადოების გარდამავალი ხასიათის შესახებ. სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ VI საუკუნის (ძვ. წ.) დამდეგს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის (თითქოსდა ე. წ. სუბარეთის ჩრდილო რეგიონების) მოსახლეობა და მისი ეკონომიკა საკუთარ მოშენებულნი იყვნენ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისათვის. ამიტომაც, სიძონ ჯანაშიას აზრით, როდესაც ურარტუს სახელმწიფო დაემხო (ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში) ამით ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრივი ცხოვრება არ მოშლილა (?!), არამედ მან მხოლოდ უფრო ჩრდილოეთით გადმოინაცვლაო.[44] ასე რომ, კვლავ გამეორებულია დებულება, რომ ამ დროისათვის აქ უკვე არსებობდა ორი სახელმწიფო. აქვე ვკითხულობთ: „ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, თუ როდის დაარსდა კოლხეთის სამეფო. ამ სამეფოს შესახებ მე-6 საუკუნიდან, ძველი წყაროთადრიცხვით, ბერძენი მწერლები გვიამბობენ“. აქედან გამომდინარე უნდა ვიგულისხმოთ, თითქოს შესაბამისი თარიღი რამდენიმე საუკუნით წინ (როგორც დავინახეთ, ძვ. წ. X საუკუნეში) უნდა იქნეს გადაწეული.[45]

დაბოლოს, 1943 წელს დაიბეჭდა თეზისები მოხსენებისა „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის ისტორიიდან (კოლხეთის სამეფოს

---

42 საქართველოს ისტორია, გვ. 76.

43 იქვე.

44 იქვე, გვ. 45. თუმცა საქართველოში მოღვაწე აღმოსავლეთმცოდნე პეტრე უ“შაკოვმა სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა დიაოხისა და კულხა//კოლხას ტიპები, მაგრამ სიძონ ჯანაშიას ამ ფაქტისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ამდენად უფრო კონკრეტულად არ დაუსაბუთებს ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხი.

45 ყოველივე ზემოაღნიშნული მეორდება სახელმძღვანელოს მეორე, 1946 წლის გამოცემაშიც.

ისტორიისათვის" უცვლელ ფუძედ გვაქვს, რომ ეგ V—VI საუკუნეში კოლხეთი მრავალტომიანსა და მრავალთემიან მოსახლეობას შეიცავდა,[46] ხოლო მეოთხეში აღნიშნულია: „მრავალტომიანი (თუ მრავალთემიანი) კოლხური სამყაროს მთლიანობა დამყარებულია არა ტომთა კავშირზე, არამედ წამყვანი და სოციალურად თავისთავად რთული ეთნიკური ელემენტის პოლიტიკურ პრიორიტეტზე";[47] „ამასთანავე, კოლხეთის სამეფოსათვის დამახასიათებელი მრავალტომიანობა (მრავალთემიანობა), თავისი სათემო მმართველობის ორგანოებით ის ელემენტია, რომელიც ახალს შინაგანს და საგარეო პირობებში აჩქარებს ძველი სახელმწიფოებრიობის დარღვევას და ახალი, ფეოდალური, სახელმწიფოებრიობისათვის ნიადაგის შემზადებას"[48] თითქოს ეს გახლავთ ავტორის საბოლოო, დასრულებული აზრი კოლხეთის სახელმწიფოს წარმოშობაზე. მაგრამ, თავის მხრივ, ლოგიკურად მოტანილი ციტატები დიდ გაურკვეველობას ბადებენ.

დასკვნის სახით ჩამოვაყალიბებთ შემდეგს: სიმონ ჯანაშიამ სწორად გამიჯნა ერთმანეთისაგან გვაროვნული საზოგადოება და სახელმწიფოებრიობა, წარმოადგინა რა ისინი ერთიმეორის (პირველისა მეორის შიერ) მონაცვლე ორგანიზაციად, სისტემად. მისი დიდი დამსახურება გახლავთ ძველ საქართველოში (ქართლში, კოლხეთში) მონათმფლობელური სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის მაგიერ სოციალურ-ეკონომიკური მრავალწყობიანობის მტკიცება, საიდანაც შემდგომ ფეოდალიზმი განვითარდა.[49] მსგავსი დებულების წამოყენება, მით უმეტეს 1930-იან წლებში, ფრიად გონებამახვილური და გაბედული იდეა იყო. ამდენად საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში სიმონ ჯანაშიამ მნიშვნელოვანი

---

46 „შრომები", II, გვ. 19.

47 იქვე.

48 იქვე, გვ. 20.

49 საოცარია, რომ მაკაი ქართული ისტორიკოსების საბჭოთა მეცნიერებაში ამ იდეის აქ, რად მიიჩნევს რუს სამართლის ისტორიკოსს სერგეევს იუშკოვს (გულისხმობს რა მისეულ სტატიას „К вопросу о дофеодальном („варварском") государстве", „Вопросы истории", 1946, N 7), მაშინ როდესაც, როგორც დავინახეთ, მსგავს იდეას სიმონ ჯანაშია უფრო ადრე ავითარებდა.

ხაბიჯი გადადგა წინ. მაგრამ, ვფიქრობთ, სიმონ ჯანაშია ზოგჯერ ისეთ მოსაზრებასაც ავითარებდა, რომლებიც არ გამომდინარეობდნენ შესაბამისი საისტორიო წყაროებიდან და ფაქტებიდან. ასე რომ, საგებით გასაზიარებელია ნიკო ბერძენიშვილის მიერ მისი მისამართით გამოთქმული შენიშვნა: „ავტორს მეცნიერული შემოქმედების ძალა (ანალიზი, სინთეზი) ჭარბად მოსდევს. ამავე დროს გამართული ისტორიული სურათის აღდგენის ჭარბი სურვილი აქვს. დაჟინებით ცდილობს ყველაფერი ნათელყოს და აუცილებელ ცნობათა მეტისმეტ სიმცირის პირობებშიც კი (რასაც არაერთხელ უჩივის) მსჯელობათა რიგით სასურველ ისტორიულ სურათს დაწვრილებით აღადგენს. ვფიქრობთ, შრომას ნაკლად არ ჩაეთვლებოდა, თუ შედარებით „უნიათო“ პასუხების მაგივრად ზოგიერთი კითხვა ჯერჯერობით უპასუხოდ დარჩებოდა. მკვლევრისათვის ის თუა საძრახისი, რომ ცნობა სისრულით ვერ შეაფასოს (ამაში ჩვენი ავტორი უნაკლოა), არც ისაა სანაქებო, რომ ცნობაში მეტი დაინახოს, ვიდრე მასშია საგულისხმებელი“.[50]

ვფიქრობთ, აღნიშნული შენიშვნის ერთ-ერთ საფუძვლად გამოდგება ძველ კოლხეთში X თუ VI საუკუნეებიდან (ძვ. წ.) მოყოლებული სახელმწიფოს არსებობის მტკიცება. მსგავსი მოსაზრება, როგორც დავინახეთ, ოდენ ჰიპოთეზის სახით იქნა წამოყენებული, თანაც ურთიერთგამომრიცხავი დებულებით (სახელმწიფოებრივი და გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციების თანაარსებობა).[51] შემდგომში ამ ჰიპოთეზამ ვერ პოვა დადასტურება და ამდენად, თეორიის სტატუსის შეძენა. თუმცა მოელოდნენ, რომ კერძოდ არქეოლოგიური კვლევა-ძიება მას დაადასტურებდა. სამწუხაროდ, ვერ გამართლდა გამოჩენილი არქეოლოგოსისა და ეთნოლოგოსის ბორის კუფტინის მსგავსი ოპტიმისტური ვარაუდი: „...если действительно удастся в необходимом масштабе развернуть широко начатые в 1933-1936 гг. в разных пунктах Колхиды (Наохваму, Очамчиры, Анаклия, Эшери, Даблагоми) археологические раскопки, историческая проблема легендарной Колхиды и первенца

50 რეცენზია „ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, 1966, გვ. 367.

51 მსგავს დებულებას იცავდა, როგორც ვიცით, ივანე ჯავახიშვილი, რისთვისაც სიმონ ჯანაშია მას აკრიტიკებდა.

грузинской государственности – Колхского государства сможет быть разрешена с неожиданной полнотой".[52] ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში უძველესი სახელმწიფოს წარმოშობა-ჩამოყალიბება სხვა ისტორიულ რეგიონსა და ეპოქასთან უნდა იქნეს დაკავშირებული. საერთოდ კი, ამ გზაზე სიმონ ჯანაშიამ თვალსაჩინო ნაბიჯები გადადგა.

რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკური მრავალწყობიანობიდან მონათმფლობელური ფორმაციის გზით წასვლას, ეს აზრი იმდროინდელი სამეცნიერო თუ იდეოლოგიური კონიუნქტურით იყო გამოწვეული. ამაში თავისი დიდი როლი შეასრულა „ი. სტალინის პიანოზმაც" (სერგეი უტჩენკო.).[53]

---

52 იხ. ავტორის „Материалы к археологии Колхиды", II, Тбилиси, 1950, გვ. 157, იხ. აგრეთვე, გვ. XXIV.

53 აღნიშნული ფანტაზიის ზემოქმედება ვერ ასცდა ნიკო ბერძენიშვილიც, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე იზიარებდა მონათმფლობელური ფორმაციის უნივერსალურობის თვალსაზრისს. სხვათა შორის, სარგის კაკაბაძე სიმონ ჯანაშიას უკიჟინებდა მისგან საქართველოში მონათმფლობელური ფორმაციის არსებობის იდეის მითვისებას – თითქოს ეს აზრი სარგის კაკაბაძეს წამოეყენებინოს თავის ერთერთ დაუბეჭდავ მოხსენებაში, 1931 წელს. საერთოდაც, აღნიშნული იდეის მტკიცებისას ივი ეითომდაც კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის შეხედულებიდან გამომდინარეობდა. იხ. სიმონ ჯანაშიას „По поводу одного „похода" С.Н. Какабадзе", ენიმკის მოამბე, 1938, IV.

გიორგი სოსელია საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

გაერცელებულია შეხედულება, რომ თითქოსდა საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემას ე. წ. მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან პირველად შეეხო სიმონ ჯანაშია (გულისხმობენ მისეულ „საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობას ქართველ ტომებში“. ტფილისი, 1932). მაგრამ ეს ასე როდია. ამ თვალსაზრისით პირველი იყო იურისტი და ისტორიკოსი გიორგი სოსელია (1897-1961), რომელმაც 1930 წელს ჟურნალ „მნათობში“ (1930, N 5-6) გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი სტატია „ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის“. ოგივე ნაშრომი, ოღნავ შეცვლილი სახით, მომდევნო წელს დაიბეჭდა რუსულ ენაზეც კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის „სამეცნიერო ჩანაწერებში“, აგრეთვე ცალკე ამონაბეჭდის სახით. ფაქტია, რომ სიმონ ჯანაშიას თავის აღნიშნულ ნარკვევში გიორგი სოსელიას შესაბამისი ნაშრომი არ მოუხსენებია. 1936 წლის 23 მარტ–2 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული ცნობილი (პეროსტრატეს ყაიდაზე!) დისკუსიის დროს სიმონ ჯანაშია აღნიშნავდა: „ამხ. სოსელიამ გამოაქვეყნა სპეციალური ნარკვევი ამ საკითხის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1930 წელს ჟურნალ „მნათობში“. მე იმ დროს საქართველოში არ გახლდით და, სამწუხაროდ, მაშინვე ეს ნაწარმოები არ გამიცნია. როგორლაც ისე მოხდა, რომ არავის ჩემი ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის, ასე რომ ჩემს განაკვეთში, მიუხედავად იმისა, რომ დაწერილია 1931 წლის დამლევს, მისი ნაშრომის შესახებ არაფერია ნათქვამი. ესეც რა თქმა უნდა, უმართებულო იყო ჩემის მხრივ“.[1]

1 შესაძლოა, გიორგი სოსელიას ღვაწლის მოუხსენიებლობა ჰქონდა მხედველობაში ნიკო ბერძენიშვილს, როდესაც 1938 წლის 23 იუნისს, სიმონ ჯანაშიას სადოქტორო დისერტაციის დაცვისას, განაცხადა: „მეორე ნაკლი ზოგადი ხასიათისა ეს არის ავტორის მიერ ამა თუ იმ საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მოუხსენიებლობა“; „არსებულს

გიორგი სოსელიასეული შეხედულებანი აღნიშნულ საკითხზე მოკლედ შემდეგში მდგომარეობდა:

ძვ წ. ათასწლეულებში ქართველ ტომებში (ფართო აზრით, ახლა რომ ქართველურს ვუწოდებთ) ადგილი ჰქონდა გვაროვნულ („საგვარეულო") წყობილებას, რომელსაც თითქოსდა ვხვდებით სტრაბონის „გეოგრაფიის" აღწერილობაშიც (იბერიის შესახებ, ძვ წ. I საუკუნეში). გიორგი სოსელიას სიტყვებით, „არც მონობის არსებობა, არც ქურუმების ცალკე გამოყოფა და არც არსებობა საზოგადოების ისეთი წრის, რომელიც მეფეს სვამდა, — არც ერთი ეს გარემოება სტრაბონის მიერ აწერილ პირობებში არაფერს ამბობს იმაზე, რომ საგვარეულო წყობილება ამ დროს საგრძნობლად შერყეული ყოფილიყოს".[2] ჩანს, მისი აზრით, ეს ხანა მაინც გარდამტეხი ყოფილა. გიორგი სოსელია წერდა: „უდავოა, რომ სოციალური უთანასწორობა ქართველებში ჩამოყალიბდა I-IV ს.ს.-ში. აშკარაა, ამ პერიოდში ქართველები რაც (ალბათ უნდა იყოს „რალაც" — გ. ყ) განსაკუთრებულ პირობებში უნდა ყოფილიყვნენ, რაკი მათ სოციალურ წყობილებაში ასეთი დიდი გარდატეხა მოხდა".[3] აღნიშნულ პროცესს იგი ხსნიდა რომაელების ზეგავლენით; თითქოსდა ამ უკანასკნელთ დიდად დაჩქარეს აღებმიცემობის (ვაჭრობის) განვითარება, რამაც, თავის მხრივ, ხელოსნობისა და მიწათმოქმედების შემდგომი ზრდა განაპირობა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, რომი უშუალოდ გაბატონდა დასავლეთ საქართველოში და, აქედან გამომდინარე, მისი ზემოქმედებაც უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ასე როდი ფიქრობდა გიორგი სოსელია, რომლის მიხედვითაც „დასავლეთ საქართველოში (კოლხიდაში), მაგალითად, ჯერ კიდევ 134 წ. (!) ქრ.შ., როგორც ფლაბიუს არრიანეს დაწერილი და ადრიანე კეისრისათვის მიმართული მოხსენებიდან ჩანს, ოთხი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი

ლიტერატურას ის მაშინ ასახელებს, როცა საუბრით ეთანხმება იქ გამოთქმულ აზრს, როცა დაეჭვებება მას (ასეთი თანხმობის შესახებ ჯანაშია არა თუ წერილობით, ზეპირად გამოთქმული აზრისაც აეტორსაც არ ტოვებს მოუხსენებლად), საწინააღმდეგო მოსაზრებათა ლიტერატურას ის ჩვეულებრივ არ ასახელებს". იხ. „საქართველოს ისტორიის საკითხები", წიგნი III, 1966, გვ 366, 367.

2 ჟურნ. „მნათობი", 1930, N 5-6, გვ 177.

3 იქვე, გვ 184.

ტოში სახლობდა თურმე. ცხადია, საუკუნით ადრე, ამ მხრივ მდგომარეობა, უარესი თუ არა, უკეთესი არ იქნებოდა. (თუმცა ი. ჯავახიშვილის აზრით სტრაბონის დროინდელი მდგომარეობა სულ სხვანაირი ყოფილა: ამ დროს კოლხიდა ერთ მთლიან „სახელმწიფოს" წარმოადგენდა თურმე („ქართველი ერის ისტორია", 1928 წ., გვ. 159-160). მაგრამ ეს ცარიელი სიტყვებია მხოლოდ, თუგინდ ძარტო იმიტომაც, რომ თვით ი. ჯავახიშვილი აცხადებს: ამ დროინდელ დასავლეთ საქართველოს შესახებ ცნობები არ მოგვეპოვებაო (იქვე, გვ. 154)".[4]

ასე რომ, გიორგი სოსელიას აზრით, ქართლში ჯერ გაჩნდნენ გაბატონებული და დაჩაგრული კლასები და შემდეგ, V-VI საუკუნეებში, — სახელმწიფო. ამდენად, „მე-5 საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში ყალიბდება ფეოდალური წყობილება";[5] „დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოშიც";[6] „მთიანეთში კი, სახელდობრ ხევსურებსა და მთიულებში, გეოგრაფიული პირობების გამოისობით, გვაროვნული წყობილება გვიან ხანამდე შემორჩა".[7]

როგორც ეხედათ, გიორგი სოსელია საკითხს განიხილავდა ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციიდან, უფრო ზუსტად კ. ლენინის „ცნობილი" შეხედულების მიხედვით. ამდენად თითქოსდა ადგილი ჰქონდა ამგვარ ისტორიულ ჯაჭვს: კერძო საკუთრება (მათ შორის მიწაზე) → სოციალური კლასები → სახელმწიფო. რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილისადმი დამოკიდებულებას (მიმართებას), გიორგი სოსელია იზიარებდა დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის აზრს სტრაბონის ეპოქაში გვაროვნული წესწყობილების არსებობის თაობაზე, მაგრამ აბსოლუტურად მიუღებლად მიიჩნევდა იმ დროს სახელმწიფოს არსებობას და თვლიდა, რომ იგი (ეს ინსტიტუტი) ფეოდალიზმის პირობებში წარმოიშვა.

გიორგი სოსელია ფიქრობდა, რომ ივანე ჯავახიშვილს შესაძლებლად მიაჩნდა სახელმწიფოს წარმოქმნა ძალდატანების მეშვეობით (დიდი,

---

4 ჟურნ. „მნათობი", 1930, N 5-6, გვ. 204.

5 იქვე, გვ. 207.

6 იქვე.

7 იქვე, გვ. 187-188.

ძლიერი გვარი იპყრობდა მცირე, სუსტ გვარს). აღნიშნული ფაქტორი კი სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში თითქოს არავითარ როლს არ ასრულებდა. ამ მხრივ ავტორი არ ინდობდა არც კარლ კაუცკის (ალარაფერს ვამბობთ ლ. გუმპლოვიჩზე).

რასაკვირველია, იურე ჯავახიშვილისეული აღნიშნული საერთო შეხედულება მცდარია და მისი კრიტიკა საუსებით ბუნებრივია (კურძოდ, ასე აკეთებდა ცნობილი ქართველი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე არჩილ ჯორჯაძე), მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო ნორმალურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პირობებში, კორექტულად და არა „აშკარა რეაქციული თეორიის" იარლიყის მიწებებით.[8] ანდა როგორი მისალებია ასეთი სიტყვები: „მარქსიზმის, სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ვხედავთ, აღმოჩნდნენ ერთიმეორის გვერდით, ერთი და იმავე იარაღით ხელში, ერთის მხრივ, მარქსიზმის რენეგატი, „სოციალისტი" კაუტსკი და, მეორეს მხრივ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ი. ჯავახიშვილი"."[9]

როგორც ვიცით, სიმონ ჯანაშია აღნიშნულ საკითხს, იმავე ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციიდან, სხვანაირად მიუდგა. მისი შეხედულებით, სტრაბონის ხანის იბერიაში (ქართლში) კლასობრივად დიფერენცირებული, დანაწევრებული საზოგადოება არსებობდა, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს არსებობასაც. ამდენად, მისი აზრით, გვაროვნული წყობილება საქართველოს ბარში კარგა ხნის წინათ დაიშალა. მსგავს შეხედულებას გიორგი სოსელია ვერა და ვერ შეელია. ამიტომაც 1936 წლის 16 აპრილს მან გაზეთ „კომუნისტში" დაბეჭდა სტატია სათაურით „უმეცრება თუ შეგნებული მაუნებლობა?" (გვაროვნულ საზოგადოებაში სახელმწიფოს არსებობის შესახებ ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის შეხედულებათა კრიტიკა" (წინა დღეს იგი დაიბეჭდა გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"). ავტორი

---

8 ჟურნ. „მნათობი", 1930 წ. №5–6, გვ 203.

9 ჟურნ. „მნათობი", 1930, N 5–6, გვ 211. რუსულად გამოქვეყნებულ ვარიანტში კი ეხლებით ამგვარ კვალიფიკაციას. „Струве-джавахишвилиевская точка зрения" (გვ 219), იგულისხმებოდა რუსი ლეგალური მარქსისტი პეტრე სტრუვე, რომელიც იბრძოდა დაპყრობის გზით სახელმწიფოს წარმოშობის თეალსაზრისს.

მიუთითებდა, რომ „ჩვენს ისტორიოგრაფიაში კერძო საკუთრების, კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში დღემდე ბატონობენ აშკარა ანტიმარქსისტული, რეაქციული შეხედულებები". მეტიც, მისივე სიტყვებით, „უნდა ვიკითხოთ: საქმე გვაქვს უმეცრებასთან თუ შეგნებულ მავნებლობასთან?! რას აკეთებენ ის ორგანოები, რომელთაც ეკისრებათ ჩვენს სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების საქმის უშუალო ხელმძღვანელობა? როგორ მოხდა, რომ 5-6 წლის განმავლობაში ასეთ უმსგავსობას აწვდიან ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას და ამაზე არავის კრინტი არ დაუძრავს?"[10]

აქ აღძრულ პრობლემატიკას გიორგი სოსელია კარგა ხნის განმავლობაში აღარ შეხებია (როგორც ცნობილია, 1937–46 წლებში დევნა-რეპრესირებული იყო); დაუბრუნდა მას მხოლოდ მოგვიანებით. კერძოდ, ჟურნალ „Вопросы истории"-ს 1956 წლის მეოთხე ნომერში დაბეჭდა მცირე ზომის შენიშვნა (заметка) „Мона" по древнегрузинским источникам". იგი აღნიშნავდა, რომ „მონას" უწინ, ძველ საქართველოში, ჰქონდა მხოლოდ შინამსახურის მნიშვნელობა: „Институт мона-шинамсахури в ранне-феодальной Грузии представлял форму патриархального рабства периода разложения первобытно-общинного строя и образования классового общества" აქედან გამომდინარე, „Нет случая, чтобы этого слугу, служителя можно было бы принять за раба, „живую вещь" рабовладельческого общества, чтобы „монеба"–служение являлось бы повиновением „живого инвентаря", грузинские источники ни одного такого примера не дают".[11] გიორგი სოსელიას თანახმად, შინამსახურის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა გვიანდელ ხანაში, კერძოდ, ირანთან და თურქეთთან მონებით ვაჭრობის პირობებში. ამიერიდან „Мона-шинамсахури оказывается на положении раба. Слово „мона" начинает обозначать раба".[12]

10 იხ. გაზ. „კომუნისტის" აღნიშნული ნომერი.

11 „Вопросы истории", 1956, N 4, გვ 131. ანალოგიური აზრებია გაძოთქმული გიორგი სოსელიას წიგნში „საქართველოს სახოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება „ეეფხისტყაოსნის" მიხედვით, სოხუმი, 1956. იხ. გვ 50-51.

12 იქვე.

უკვე მოტანილი ციტატებიდანაც ცხადად ჩანს, რომ გიორგი სოსელია არც 1956 წელს იზიარებდა ძველ საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოებრივი წყობილების არსებობის თვალსაზრისს. მაგრამ აღნიშნულ შეხედულებას იგი უფრო მკვეთრად დაუპირისპირდა „Вопросы истории"-ს იმავე წლის მეათე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „Существовала ли рабовладельческая формация в Грузии?" აქ ვკითხულობთ: „Государственный аппарат в Грузии постепенно оформлялся лишь по мере возникновения и укрепления феодального строя. Нет и следов того, чтобы феодальная Грузия получила в наследство от прошлого какой-либо институт государства. Она унаследовала и приспособила к условиям классового феодального общества лишь некоторые институты родового строя („эристави", „хевисбери", „хевисупали"); многие институты государственной организации были заимствованы у соседей, главным образом у народов Ирана. Своеобразные черты средневекового грузинского права были унаследованы не от рабовладельческого государства, а непосредственно от первобытно-общинного строя".[13]

სტატიაში კვლავ გამეორებულია აზრი, რომ გვაროვნული წყობილება რომაელთა ზეგავლენით სწრაფად იშლებოდა (კერძოდ ქართლში) ძვ. წ. I საუკუნიდან მოკიდებული, რის შედეგადაც II-IV საუკუნეებში წარმოიშვა ფეოდალური საზოგადოება და სახელმწიფო. რამდენადაც ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების, მათ შორის ეპიგრაფიკული მონაცემების, მიხედვით იბერიაში (ძველ ქართლში) სახელმწიფოს არსებობა უფრო ადრეული გახდა, გიორგი სოსელია იძულებული იყო ელიარებინა ეს გარემოება, მხოლოდ უფრო მოგვიანებით. რაც შეეხება სტრაბონის ხანას, იგი აღნიშნავდა: „География" Страбона ясно говорит о том, что к I в. до н. э. в Иберии – передовой части Грузии – существовало еще доклассовое общество".[14]

აღნიშნულიდან გამომდინარე, გიორგი სოსელია მით უფრო გამორიცხავდა სახელმწიფოს არსებობას ძველ კოლხეთში. კერძოდ

13 დასახ. ორგანო, გვ. 82.

14 იქვე, გვ. 83.

ძოლეტის (ე. წ. „კოლხური თეთრის") თაობაზე იგი დასძენდა: „Колхидки" и другие монеты Грузии, с греческими надписями и изображениями греческих богов свидетельствуют, наоборот, о том, что эти монеты чеканились в местных греческих колониях".[15]

ჭეშმარიტად ღრმააზროვანი გახლავთ გიორგი სოსელიანეული შენიშვნები: „...определяя социально-политический строй Грузии по памятникам метериальной культуры, С. Джанашия и его ученики исходят из своеобразного представления о первобытно-общинном строе. Всякие постройки „типа дворца"-строения, окруженные стеной и башнями, или золотые или серебряные вещи, особенно с признаками орнамента и т. д. – они принимают за явления, выходящие из рамок первобытно-общинного строя (и высшей его ступени), признают бесспорным показателем развитого классового общества";[16] „Достаточно вспомнить, какое сложное, богатое культурное наследие переходит от первобытно-общинного строя к классовому обществу, чтобы стала ясна несостоятельность утверждений о том, будто бы описанные выше памятники материальной культуры говорят о существовании у грузин еще до начала новой эры вполне развитого рабовладельческого общества и государства";[17] „не менее сложной была „иерархия", например, у германцев времен Тацита или у гомеровских греков".[18] ვიმეორებთ, მსგავსი შენიშვნები რიგი ქართველი ისტორიკოსების და არქეოლოგოსების მიმართ ფრიად საფუძვლიანია და თავიანთ ძალას ინარჩუნებენ დღესაც კი. მათი აქტუალურობა ნათლად გამოჩნდა საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს თაობაზე დღეს მიმდინარე დისკუსიებისას.

ამავე სტატიაში გიორგი სოსელია არ ეხებოდა ძველ კოლხეთში კლასებისა და სახელმწიფოს არსებობის საკითხს, რითაც, ცხადია ამცლავნებდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას მისადმი.

15 „Вопросы истории", 1956, №10, გვ. 78.

16 იქვე, გვ. 76.

17 იქვე.

18 იქვე, გვ. 78.

შეგახსენებთ, რომ ამავე 1956 წლის, „Вопросы истории"-ს მეოთხე ნომერში დაიბეჭდა გიორგი მელიქიშვილის სტატია „К вопросу о возникновении классового общества и первых государственных образований в Грузии", რომელშიც ავტორი ძველებურ ყაიდაზე, ჯანაშიასა და მისი მიმდევრების კვალდაკვალ, კვლავ ამტკიცებდა ძველ საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოების, სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის არსებობას (ოღნავი მოდიფიკაციით, „ადრემონათმფლობელური" ანდა „თემურ-მონათმფლობელური" სახელწოდებებით). „Вопросы истории"-ს მომდევნო წლის მეშვიდე ნომერში კი შოთა მესხიამ, ნოდარ ლომოურამ და ოთარ ლორთქიფანიძემ დაბეჭდეს სტატია სათაურით „К вопросу о происхождении государства и существовании рабовладельческой формации в Грузии", სადაც უდიდესი თავგამოდებით იცავდნენ მსგავს თვალსაზრისს. ასე რომ, გიორგი სოსელიასეულ არგუმენტაციას აღნიშნულ ავტორებზე ზეგავლენა არ მოუხდენია.

მეტსაც მოგახსენებთ. 1964 წელს გიორგი მელიქიშვილი წერდა: „აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ითქვას, რომ ქართველ საბჭოთა ისტორიკოსებს მოუხდათ მწვავე პოლემიკის წარმოება მეცნიერული მიმართებით სავსებით უნიადაგო მტკიცებათა წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ მონათმფლობელური ფორმაციის არსებობას".[19] ცხადია, ამ შემთხვევაში პირველ რიგში იგულისხმებოდა გიორგი სოსელია.

ისე, ცნობილია, რომ, სიმონ ჯანაშია 1930-იანი წლების დასაწყისში არ იზიარებდა ძველ საქართველოში მონათმფლობელურ წყობილების (სოციალური სისტემის) არსებობის თვალსაზრისს. ამის მაგიერ შესაბამისი ისტორიული სინამდვილის გააზრებას იგი ცდილობდა სოციალურ-ეკონომიკური მრავალწყობიანობის თვალთახედვით. გარდატეხა მის შეხედულებებში მოხდა 1938 წლიდან მოყოლებული, მას შემდგომ, რაც დაიბეჭდა „მოკლე კურსი", რომელშიც საზოგადოების განვითარების ხუთფორმაციული სქემა საბჭოთა კავშირში (და შემდეგ სხვა ე. წ. სოციალისტურ ქვეყნებში) საბოლოოდ იქნა „კანონიზებული".

---

19 Грузинская советская историография, Тбилиси, 1964, გვ. 14.

მალე უნივერსალური მონათმფლობელური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის იდეას წყალი შეუდგა. დასავლელი (ინგლისელი, ფრანგი) მარქსისტების ძალისხმევით, როგორც ცნობილია ხელახლა (1930-იანი წლების შემდგომ) აღორძინდა (მათ შორის საბჭოთა კავშირშიც) დისკუსია აზიური წარმოების წესის შესახებ. ამკერად საღად, კრიტიკულად მოაზროვნე ისტორიკოსთათვის აშკარა გახდა მონათმფლობელური ფორმაციის უნივერსალური გაერცელების თვალსაზრისის უსიამდაგობა. 1965 წლის ბოლოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში სპეციალური მოხსენებით გამოვიდა გიორგი მელიქიშვილი, რომელმაც უარყო აღნიშნული ტიპის საზოგადოების არსებობა ძველ საქართველოში (მოვიგონოთ ერთი წლის წინათ გამოთქმული მისეული აზრი!). მას მხარი ბევრმა დაუჭირა. მაგრამ პარადოქსია, რომ არც მაშინ და არც შემდეგ არავის არ გახსენებია გიორგი სოსელია, რომელიც 1930-იანი წლების დასწყისში და 50-იანი წლების შუახანს მტკიცედ იდგა ძველ საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოების (ფორმაციის) უარყოფის პოზიციაზე.[20]

აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორი სოციალურ-ფსიქოლოგიური ვითარება სუფევდა და ახლაც სუფევს უახლესი ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში.

დაბოლოს, დავსძენთ, რომ ამჟამად სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე საერთოდ, ძველი საქართველოს სოციალური და პოლიტიკური განვითარების თაობაზე კერძოდ, ბევრი რამ უფრო ცხადი გახდა (მათ შორის, აზიური წარმოების წესის შესახებ გამართული დისკუსიების შედეგად). ნათელი შეიქნა ძველი თაობების წარმომადგენელთა, ხშირ შემთხვევაში, უშინაარსო,

---

20 ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ გიორგი სოსელია საერთოდ უარყოფდა მონათმფლობელობის როგორც ფორმაციის უნივერსალურობას და მის სანაცვლოდ აზიური წარმოების წესის კონცეფციის მომხრე იყო ან გახდა. პირიქით, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა ხოლმე ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში „მონათმფლობელური ფორმაციის" არსებობას. ასე რომ, ძველი საქართველო ამ თვალსაზრისით გამონაკლისად მიაჩნდა, თუმცა არ ცდილა ეხსნა, დაელგინა ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზები.

სქოლასტიკური მსჯელობანი საკითხზე. ახლებურად ეხედათ სიმონ ჯანაშიასა და გიორგი სოსელიას ღვაწლსაც აღნიშნული დიდი პრობლემის გარკვევაში.[21] როდესაც ამ თვალსაზრისით ჩვეულებრივ სიმონ ჯანაშიასა და გიორგი მელიქიშვილის დამსახურებას აღნიშნავენ ხოლმე, დავიწყებული არ უნდა იქნეს გიორგი სოსელიასეული შესაბამისი შეხედულებანიც.

2000 წ.

---

21 მანც ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს სიმონ ჯანაშიასეული ბაზგასმა (1936 წლის დისკუსიის დროს): „ამხ. სოსელიას გარკვეული დამსახურება მიუძღვის ამ სფეროში (ე. ი. საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში – გ. ყ). მან სცადა საკითხის მარქსისტული დაყენება. თუ არ ვცდები, ეს არის ამ მხრივ პირველი ცდა. სოსელიამ სამართლიანად აღნიშნა, რომ პროფ. ჯავახიშვილის შეხედულებები ერთი მეორესთან შეუთავსებელია, რომ სახელმწიფოს არსებობა გვაროვნული წყობილების პირობებში მიუღებელია, რომ სახელმწიფო კლასობრივი ორგანიზაციაა".

„კოლხური თეთრის“ სადაურობის საკითხისათვის

ისტორიკოსები, მოგეხსენებათ, საზოგადოების წარსულს აღადგენენ საისტორიო წყაროების საფუძველზე. მაგრამ ამ წყაროებს მხოლოდ წერილობითი ხასიათი როდი აქვთ, ისინი მატერიალურ ნივთებსაც მოიცავენ. ამდენად საკითხთა ამგვარ ფართო სპექტრს ისტორიკოსი, რასაკვირველია, ოდენ საისტორიო-ფილოლოგიური მომზადებულობით ვერ გასწვდება. არ მეგულება ისტორიკოსი ანდა არქეოლოგოსი (ვისაც ძირითადად ნივთებთან აქვს საქმე), რომელიც თანაბარი სიძლიერითა და წარმატებით იქნება დაუფლებული ბოტანიკას, ზოოლოგიას, მინერალოგიას, ქიმიასა და ა. შ. შესაბამისი საისტორიო წყაროების შესამეცნებლად.

კერძოდ, სპეციალურ, ქიმიკოსის განსწავლულობას საჭიროებს მონეტების შესწავლა. რა თქმა უნდა, მათი შესწავლა მხოლოდ საისტორიო და ნუმიზმატიკურ დონეზე საკმარისი არ არის, აუცილებელია აგრეთვე ქიმიური შედგენილობის გარკვევაც. სწორედ აღნიშნული გარემოება ჰქონდა მხედველობაში ივანე ჯავახიშვილს, როდესაც (1924 წელს) წერდა: „თანამედროვე საისტორიო მეცნიერებების, მეტადრე ეკონომიური ისტორიისათვის საფას (ე. ი. ფულის — გ. ყ) — საზომების ისტორიასა და თეორიას მთავარი მნიშვნელობა აქვს. არც ერთი ქვეყნის წარსული ეკონომიური ცხოვრების სურათის აღდგენა არ შეიძლება, თუ ფულის და საზომების შესახებ უტყუარი ცნობები ხელთ არ გვექმნება“;[1] „ეკონომიური ისტორიის გარდა საფას — საზომების მცოდნეობა საუკეთესო მკვეთრ იარაღს აძლევს მეცნიერს ისტორიული კრიტიკისათვის“.[2] ამ შემთხვევაში კი დიდი ისტორიკოსი გულისხმობდა საისტორიო კრიტიკული მეთოდის სრულ გამოყენებას, როდესაც საკვლევი ობიექტის ქიმიის პოზიციიდან შესწავლაც მოიაზრებოდა.

---

1 „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, წიგნი III, ნაკვეთი მეორე. „ქართული საფას—საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“, ტფილისი, 1925, გვ 1.

2 იქვე, გვ 2.

ცნობილი ფაქტი გახლავთ, რომ საქართველოს (კონკრეტულად კოლხეთის) ისტორიაში მონეტები (ვერცხლისა) გაჩნდა ძვ. წ. VI საუკუნეში და იჭრებოდა აქ III საუკუნემდე (ძვ. წ.). მათი წარმოშობა-სადაურობის თაობაზე მეცნიერთა შორის იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა: ერთნი (განსაკუთრებით უცხოეთში) ვარაუდობდნენ, რომ მონეტები ფაზისის ქალაქ-სახელმწიფოში (პოლისში) ბერძენი კოლონისტების (მოახალშენეების) მიერ იყო მოჭრილი, ზოგიერთი მეცნიერი (მაგ. ე. პახომოვი) მიიჩნევდა, რომ ძველი ეგვიპტიდან მომდინარეობდა, სხვები კი (მეტწილად ქართველი ისტორიკოსები, არქეოლოგოსები და ნუმიზმატიკოსები) თელიდნენ მას კოლხეთის სახელმწიფოს (სამეფოს) პროდუქციად.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებას, თუ რას ფიქრობდა ივანე ჯავახიშვილი მოცემულ საკითხზე. დასახელებულ ნაშრომში „კოლხური თეთრის" თაობაზე არაფერია ნათქვამი. მხოლოდ ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ „საფასის შესახები ნაწილის პირველ თავში არისტარხ კოლხთა მეფის ფულის შესახებ არის ცნობა გამოტოვებული".[3] ეს კი შემთხვევით არ მომხდარა; ჩანს, ივანე ჯავახიშვილი მეტად კრიტიკულად აფასებდა „კოლხურ თეთრს", როგორც წყაროს ძველი საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების შესასწავლად. ამიტომაც, როგორც უკვე აღინიშნა, იგი საჭიროდ მიიჩნევდა მონეტების ქიმიურ შესწავლას. კვლავ მოვიტანთ მისეულ აზრს: „ვერცხლისა და ოქროს ფულების ღირებულების გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა რასაკვირველია ფულად ნახმარი შენადნობის შედგენილობის შესწავლას აქვს. მაგრამ ამ საკითხისათვის არავის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და ვერც ქართული ნუმიზმატიკის სახელმძღვანელოებში, ვერც სხვაგან სადმე იპოვის ამაზე რამეს მკითხველი".[4] ხოლო ფულად ნახმარი შენადნობების ქიმიური შემეცნების „საკითხი შეიძლება ორის გზით იქმნეს შესწავლილი, ან თვით ფულების ანალიზით, ან წერილობითი ცნობების განხილვით. რასაკვირველია, ამ ორივე გზის ერთად გამოყენება საუკეთესო შედეგსა და თანაც სრულ სურათსაც მოგვცემდა. მაგრამ რადგან ქართული ფულების ანალიზი ჯერ არც კი დაუწყია ვისმე

3 იქვე. ჯავახიშვილი, „ქართული საფას-საზომთამცოდნეობა..." გვ 141.
4 იქვე. გვ 41.

და მხოლოდ განზრახულია, რომ ჩვენი უ-ტის ერთ-ერთ ქიმიურ ლაბორატორიუმში ძველი ქართული ლითონის ნივთების და უპირველესად ვერცხლის ფულების ანალიზი იქმნეს მოხდენილი, ამჟამად აღძრული საკითხის შესახებ წერილობითი ცნობებით უნდა დავკმაყოფილდეთ";[5] „უძველეს დროს მე-XVII ს-მდე, როგორ იყო ჩვენში შენადნობის ტეხნიკა დაყენებული, ამას ქიმიური ანალიზი გამოგვირკვევს და მომავალში გვეცოდინება".[6]

მართლაც, 1928 წლის ბოლოს ერთ-ერთ ქიმიურ ლაბორატორიაში შეისწავლეს რამდენიმე კოლხური დიდრაქმა.[7] აღმოჩნდა, რომ ფულის შენადნობი შეიცავდა სპილენძსა და ვერცხლს, ხოლო ყველაზე საკვირველი კი იყო მათი შეფარდება: ვერცხლისა აღწევდა 34.31 % – 35 %-ს, ხოლო სპილენძისა – 64.64–65 %-ს.[8] აღნიშნულ საკითხზე საისტორიო-სათნოგრაფიო საზოგადოებაში მოხსენებით გამოვიდა ცნობილი ეთნოგრაფოსი და არქეოლოგოსი სერგი მაკალათია, რომელიც თუმცაღა ზოგადად სწორად აღნიშნავდა, რომ „ფულის შენადნობის პროცენტული შემადგენლობის ცვლას ოქრო-ვერცხლის მარაგის შემცირების გარდა იწვევდა აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის ეკონომიური კრიზისები, რომელთა შესანელებლად ადიდებდნენ ფულის არსებულ ლიგატურას, და ეს პროცესი ზოგჯერ ფულის გაფალბებამდისაც კი მიდიოდა",[9] მაგრამ საკითხიდან გამომდინარე, დასკვნებს არ აკეთებდა. ფსიქოლოგიურად მსგავსი რამ საესებით გასაგებია, რამეთუ ს. მაკალათიას მტკიცე რწმენით „კოლხური ფული" თვით კოლხეთში, ქ. ფაზისის გარეთ და კოლხეთის მეფეთა მიერ იჭრებოდა.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ იყო დაინტერესებული ივანე ჯავახიშვილი ქართული ფულის შედგენილობით. ცხადია, საკითხის მნიშვნელობას იგი გაანდობდა ქიმიის პროფესორს მელქისედეკ (მექი) ბექაიას (1887–1964). ეფიქრობთ, ალბათ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ უკანასკნელმა ქართული მონეტების ქიმიური

---

5 ივ. ჯავახიშვილი, „ქართული საფას-საზომთმცოდნეობა...", გვ. 41.

6 იქვე.

7 იხ. სერგი მაკალათია, კოლხური დიდრაქმა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, VII, გვ. 195-196.

8 იქვე.

9 იქვე.

შეგნებულობის გარკვევა მიზნად დაუსახა თავის ახალგაზრდა მკვლევარს ქალბატონ თამარ არეშიძეს.

ქ-ნმა თამარმა შესაბამისი პრობლემა საფუძვლიანად დაამუშავა და 1950 წელს დასაცავად წარადგინა საკანდიდატო დისერტაცია „ქართული მორეცხვის ქიმიური შედგენილობა“ მოცემი ობიექტურობით ვიტყვით, რომ დისერტაცია სერიოზულ გამოკვლევას წარმოადგენდა, ავტორმა კარგად გაიაზრა არა მხოლოდ საკვლევ საკითხ პრობლემის ქიმიური ასპექტი, არამედ პოლიტეკონომიური მხარეც (მორეცხვის როგორც ფულის მნიშვნელობა). ამიტომაც საკანდიდატო დისერტაციის დაცვა წარმატებით შედგა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: მოსკოვში უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაიწუნა დაცული დისერტაცია. მიზეზად დაასახელეს ის, რომ ნაშრომი ქიმიის მეცნიერებისათვის თითქოსდა არაკითარ სიახლეს არ შეიცავდა. მოსკოველ მეცნიერ-ბიუროკრატთა ვერდიქტი იმდენად კატეგორიული აღმოჩნდა, რომ ქ-ნი თამარი იძულებული შეიქნა სულ სხვა თემაზე დაეცვა საკანდიდატო დისერტაცია.

მაგრამ უფრო დიდი პარადოქსი ის გახლავთ, რომ ქ-ნ თამარ არეშიძის დისერტაციის დასკვნები სათანადოდ ვერ გაიცნობიერეს ქართველმა მეცნიერებმა: ისტორიკოსებმა, არქეოლოგოსებმა და ნუმიზმატიკოსებმა. განსაკუთრებით გაბრუნებელი და განსაცვიფრებელი იყო ერთი დასკვნა. საერთოდ, დისერტანტის მიერ ქიმიურად გაანალიზებული იქნა 59 მონეტა, აქედან ხუთი ე. წ. კოლხური თეთრი იყო. სენსაციას შეიცავდა მონეტების სწორედ უკანასკნელი წყება. წესით ისინი უმთავრესად (95 %-მდე და ზევით), ვერცხლისა უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათში უფრო სპილენძი სჭარბობდა. კონკრეტულად კი აღნიშნული ლიტონის შემცველობა მერყეობდა 48-71,73%-ს შორის, ხოლო ვერცხლი კი 28-51,17 %-ს აღწევდა.[10] ყველაფერი დღესავით ნათელი იყო: აღმოჩნდა, რომ ფულს

---

10 ხუთი მონეტიდან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა ნამდვილი, ძირითადად ვერცხლისა. მის შესახებ ქ-ნი თამარი თავის დისერტაციაში წერდა: „კოლხური თეთრის ერთეული მონეტის ფხვიერობა და ზედაპირის დაღარულობა, უნდა ვიფიქროთ, გამოწვეულია ამ მონეტასთან ნიადაგში ყოფნის დროს ქლორის ნაერთების შეხებით“.

(მონეტებს) აყალბებდნენ ჯერ კიდევ ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში და ამ მხრივ პირველობა თითქოს ჩვენს წინაპრებს ეკუთვნოდათ. მაგრამ ვის უნდა ჩაედინა მსგავსი საქციელი?" კოლხეთის მეფეებს? ან იქნებ ადგილობრივ ფულის გამყალბებელი კერძო პირებიც იყვნენ?

ქართველ მეცნიერთა აზრით, მსგავსი რამ უნდა მოემოქმედათ კოლხ მეფეებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ უკვე იმ შორეულ ეპოქაში გვქონია სახელმწიფო ბიუჯეტი, თანაც უმეტესწილად ფულადი ხასიათისა, რომ კოლხეთის „მეფეები" განიცდიდნენ პერმანენტულ საბიუჯეტო დეფიციტს, საიდანაც ეამოსაყალს ხედავდნენ ყალბი ფულის ემისიაში (ბიუჯეტის სეკვესტრის იდეას ვერ მიაგნეს!). მაგრამ ყოველივე ამის აღიარება სწორედ რომ ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. ასე რომ, ბევრად უფრო საფუძვლიანია მეორე დასკვნა: ე. წ. კოლხური თეთრი აშკარად ქ. ფაზისში იყო მოჭრილი და მის გაყალბებას მიმართავდნენ ჩვენი დასავლელი წინაპრების მოსატყუებლად. ამგვარი გზით ფაზისელი ბერძენი მოახალშენენი (კოლონისტები) ეწეოდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა სასტიკ ექსპლოატაციას.

მაგრამ ქართველ ისტორიკოსებს, არქეოლოგოსებსა და თვით ნუმიზმატიკოსებსაც კი შესაბამისი საბოლოო დასკვნა დღემდე არ გაუკეთებიათ. ეს კი ადვილად აიხსნება სათანადო განწყობით: ისინი ხომ დიდი ხნის განმავლობაში მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ე. წ. კოლხური თეთრი იჭრებოდა არა ფაზისში, არამედ ქვეყნის (კოლხეთის) შიდა ტერიტორიებზე კოლხი „მეფეების" მიერ. ხოლო რაკი ასე ფიქრობდნენ, მაშინ უნდა დავასკვნათ ის, რაც ფანტასტიკის სფეროს მივაკუთვნეთ (როგორც აღვნიშნეთ, სკეპსისმა ამ თვალსაზრისით მხოლოდ ბოლო ხანებში იჩინა თავი).

ერთი სიტყვით, ქ-ნ თამარ არეშიძის მიერ გაკეთებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა ქართულ მეცნიერებაში ვერ იქნა ლოგიკურ ბოლომდე მიყვანილი. დიდად სამწუხაროდ, ასე იყო არა მხოლოდ გასული საუკუნის 50-იან წლებში, არამედ დღესაც ამგვარადვე

---

11 სხვათა შორის, მკვლევარი ჯ. სკულსკაია შენიშნავდა, რომ ნიმფეაში აღმოჩენილი ორიგე მონეტა დაბალსინჯიანი (низкопробное) ვერცხლისაგან იყო დამზადებული. იხ. სტატია „Находки колхидских монет и пифосов в Нимфее", ВДИ, 1952, N 2, გვ. 238, 239.

გრძელდება – ისტორიკოსთა, არქეოლოგოსთა და ნუმიზმატიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის ზემოალნიშნული აღმოჩენა კვლავ შეუმჩნეველი რჩება. მხოლოდ 1999 წელს იგი წერილობითი სახით მოიხსენია გურამ ლორთქიფანიძემ. მან აღნიშნა: „ეს მწირი მონაცემებიც კი ნათლად გვიჩვენებენ, რომ მათი ე. წ. გვიანდელი სერიების მოჭრისას ვერცხლის სისუფთის სტანდარტი დარღვეულია და ჩანს გს შეგნებულადაა გაკეთებული“.[12] მაგრამ აქედან ლოგიკურად გამომდინარე დასკვნა არც ამ უკანასკნელს გაუკეთებია.

მეორე საოცარი ფაქტის შესახებაც მოგახსენებთ. კარგა ხანია, რაც სოფელ ერგეტში (ზუგდიდის რაიონშია) აღმოჩენილ იქნა მონეტების (თითქოსდა ვერცხლის) განძი (სულ 79 ცალის შემცველი, რაც დარჩა დატაცების შემდგომ). მათზე ცნობილი ნუმიზმატიკოსი გიორგი დუნდუა წერს: „განძის მონეტების აბსოლუტური უმეტესობა დაფარულია ბრინჯაოს მოწითალო ბრჟეთი, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი, ჩანს, დამზადებულია სპილენძისაგან“.[13] შესაბამისად ამისა, ბ-ნი გიორგი დუნდუა დაასკვნის, რომ ერგეტის განძის მონეტები არ იყო მოჭრილი კოლხეთის სამეფო ხელისუფლების მიერ, არამედ მოიჭრებოდა ფაზისში. როგორც იქნა, ორი ქართველი არქეოლოგოსი და ერთი ნუმიზმატიკოსი (ამირან კახიძე, გურამ ლორთქიფანიძე და გიორგი დუნდუა) მივიდნენ იმ უბრალო, ადვილად მისაწვდომ ჭეშმარიტებამდე, რომ ე. წ. კოლხური თეთრი სწორედ ფაზისში იჭრებოდა.[14] აშგვარი აღიარებით კი საფუძველი ეცლება უმთავრეს არგუმენტს (ფულის მოჭრისა), რომლის ძალითაც კოლხური სახელმწიფოებრიობის არსებობას ამტკიცებენ (ძვ. წ. VI საუკუნიდან მოყოლებული). მაგრამ

---

12 იხ. მისეული სტატია „ქართულ-ბერძნული კულტურულ-ეკონომიკური კონტაქტები ძვ. წ. V-IV სს. ფიქრნარის მასალების მიხედვით“. „ეკლესიოლოგიურ-ისტორიული ძიებანი“, თბილისი, 1999, გვ. 197. აქ გამარულია ერთი შეცდომა: ქალბატონ თამარ არეშიძეს 59 „კოლხური თეთრის“ ქიმიური ანალიზი არ გაუკეთებია.

13 იხ. „Нумизматика античной Грузии“, თბილისი, 1987, გვ. 30.

14 ბოლოსდაბოლოს, თავად ლორთქიფანიძეც მივიდა დასკვნამდე, რომ ახლად აღმოჩენილი „კოლხური“ დიდრაქმა, რომლის ერთ მხარეს გამოსახულია ქალღმერთის ლეტო, მეორეზე კი – მისი ტყუპისცალები, აპოლონი და არტემიდე, შესაძლოა ფაზისში იყოს მოჭრილიო. იხ. საინფორმაციო ცნობა „შეკითხვა არ ჩქარობს“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 4 ოქტომბერი, 2000 წელი.

ჩამოთვლილი პირნიც კი კლაე ვერ აცნობიერებენ შესაბამისი მონეტების გაყალბების ფაქტსა და საზრისს.

სხვათა შორის ქ-ნმა თამარმა ისიც დაადგინა, რომ გეიანი ხანის ბიზანტიურ ვერცხლის მონეტებშიც (ე. წ. კორმანეულ თეთრში), რომელიც საქართველოშიც მიმოქცეოდა, სპილენძის შემცველობა საკმაოდ დიდი გახლდათ – 38,72–52,48 %. ამდენად ბიზანტიელებს მათი შორეული წინაპრების მიერ დაწყებული ფულის გაყალბების ტრადიცია კლაე „წარმატებით" გაუგრძელებიათ, რაც შეეხება საკუთრივ გეიანი პერიოდების ქართულ ვერცხლის მონეტებს, თ. არეშიძის მიხედვით, ისინი ყოველთვის უმთავრესად ვერცხლს შეიცავდნენ.

დაესძენთ იმასაც, რომ თუ ერთი მხრივ ძველ ბერძენთა გამოჩენა ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში (სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში) ისტორიული განვითარების დამაჩქარებელ ფაქტორს წარმოადგენდა, მეორე მხრივ მას მოსდევდა დიდად უარყოფითი შედეგიც – ჩვენი დასავლელი წინაპრების ექსპლოატაცია.[15] ეს კი ვლინდებოდა არაეკვივალენტურ ვაჭრობასა (ადგილზე საქონელს ყიდულობდნენ იაფად, ხოლო იმდროინდელ მსოფლიო ბაზარზე ასაღებდნენ ძვირად, რის გამოც ფაზისელ ბერძენ ვაჭართა მოგება მაღალი იქნებოდა) და მონობის (მათ შორის მონათვაჭრობის) განვითარებაში ტრაპეზუნტში, ფაზისში, დიოსკურიაში და სხვაგან ჩვენს წინაპართა ხარჯზე, ფულის ერთეულების წონაში მოკლებაში (ასე მაგალითად, ყველაზე დიდი ერთეულის – ტეტრადრაქმის წონა ხშირად სანახევროდ და მეტადაც კი იყო შემცირებული) და გაყალბებაში, რაზედაც ზემოთ საკმაოდ ვილაპარაკეთ.

და ბოლოს, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ბეჯრნაირი დასკვნის გამოტანა შეიძლება. უპირველესად ჩვენი ისტორიკოსების,

---

15 ცნობილი ისტორიკოსი შოთა მესხია სწორად შენიშნავდა: „ბერძნების კოლონიზაცია შავი ზღვის სანაპიროზე სრულიადაც არ ხდებოდა მშვიდობიან პირობებში. პირიქით, მას ჰქონდა იძულებითი ხასიათი და ვითარდებოდა ადგილობრივ მცხოვრებთა შეკუმშვისა და ხარჯზე. გარდა ამისა, ბერძნული კოლონიზაცია მიზნად ისახავდა არა მხოლოდ საჭირო კავშირურთიერთობების დამყარებას; ბერძნები ისწრაფვოდნენ აგრეთვე დაეპყროთ ტერიტორია და დაემორჩილებინათ ადგილობრივი მცხოვრებნი, ექციათ ისინი მონებად". იხ. ავტორის „Города и городской строй феодальной Грузии", თბილისი, 1959, გვ. 12-13.

არქეოლოგოსებისა და ნუმიზმატიკოსების მიერ ელემენტარულ გარემოებათა ვერდანახვა სავსებით გასაგები ხდება მათ მხრივ თეორიისადმი ნიპილისტური დამოკიდებულებით, ემპირიზმის კულტით. დროა, რომ მაყანთ გაიგონ: მხოლოდ ემპირიული ცოდნის (ფაქტების) საფუძველზე არა თუ დიდი პრობლემების, არამედ კერძო საკითხების საკსებით წარმატებული კვლევა-ძიებაც კი გამორიცხულია. ამიტომაა, რომ ისინი ხშირად ექცევიან ფანტომების ტყვეობაში. კერძოდ, ფანტომები გახლდათ ძველ საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოების (საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის), ფეოდალური რეპოლუციების (სამი – ქართლსა, ლაზიკასა და აფხაზეთში), კლასობრივი ბრძოლის ფართოდ გაშლისა და მისთ. ძიება. მოცემულ შემთხვევაში კი აშკარად ფანტომს წარმოადგენს ძვ. წ. VI საუკუნიდან მოკიდებული (ზოგიერთების მიხედვით კი უფრო ადრეც) კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არსებობის მტკიცება. მეორე დიდი დაბრკოლებაა ფსიქოლოგიური ფაქტორი – წინასწარული, აპრიორული განწყობით (ვითომდაც პატრიოტიზმიდან გამომდინარე) საკითხისადმი მიდგომა. ეს რომ ასეა, ამ გარემოებას თვალნათლივ გვიჩვენებს ქალბატონ თამარ არეშიძისეული აღმოჩენაც. თუ თავის დროზე ვერ მოხერხდა, იქნებ ახლა მაინც მივაგოთ მეცნიერების ღვაწლმოსილ მუშაკს სათანადო პატივი.

2002 წ.

ისტორიული პიროვნება იყო თუ არა ქუჯი?

იუანე ჯაველიშვილი, ძველი ქართული საისტორიო წყაროებისადმი თავისი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულებიდან (მიმართებიდან) გამომდინარე, ქუჯის რეალურობა-არარეალურობის საკითხს საერთოდ არ აყენებდა. ამაღე ტრადიციას აგრძელებდა სიმონ ჯანაშიაც. სარგის კაკაბაძე შეეცადა პრობლემას სულ სხვანაირად მიდგომოდა. ჩანს, არც ის იზიარებდა ლეონტი მროველისეულ „მეფეთა ცხოვრებაში“ მოთხრობილ ეპიზოდს ქუჯისთან დაკავშირებით, ასე რომ, უარყოფდა ასეთი ისტორიული პიროვნების არსებობას. კომპოზიტ „ციხე-გოჯში“ იგი ხედავდა მეგრულ „ქუჯს“, „ქვოჯას“ და მათ უკავშირებდა სიტყვა „გონჯს“ (ცუდი),[1] ხოლო აქედან კი დაასკვნიდა „ძველს“, ე. ი. ძველ ციხეს (ალოგიკურობა, ნებისმიერობა აშკარაა). ამგვარადვე უდგებოდა საკითხს ნიკო ბერძენიშვილიც – „ციხე-გოჯს“ ის ათვრებდა როგორც ციხე ქორს, ჯიხა ქორს („ქორი“ სვანურად სახლს ალნიშნავს). ამ ძირის („ქორ“) შემდგომ გაგრძელებას კი იგი ხედავდა მოქვის წყლის ხეობაში დამოწმებულ „ჯიხა//ხორასთან“ (როგორც შესაბამისი მხარის უფლის სადგომი).[2] ამასთან დაკავშირებით ნიკო ბერძენიშვილი შენიშნავდა: „ბერძნული ტრანსკრიპციით გადმოცემული ეს ჯიხა-ხორა იგივე „ჯიხა ქორი“ იქნება. ჩანს, ამ რაიონში, მოქვის წყლის აუზში, სვანური ქორი მტკიცედ იყო ხმარებაში და შემოგვრჩა ჯიხა ქორი, მაშინ როცა ტეხურის ხეობაში ჯიხას გვერდით ქორის მეგრულიზაციაც მოხდა: ქოჯი, ქუჯი, გოჯი. შემდეგ კი ეპონომიზაციის საშუალებით გოჯი, ქუჯი, ამ ციხის დამაარსებლად და პირველ ერისთავად იქნა გაგებული“.[3]

ცნობილია, რომ 1930–31 წლებში ციხე-გოჯს (ნოქალაქევს) თხრიდა გერმანელი ალფონს შნაიდერი (ლევან მუსხელიშვილისა და გიორგი გოზალიშვილის დახმარებით). გარკვეული მიზეზების გამო სამუშაოები

1 ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხი, „საისტორიო მოამბე“, წ. I, ტფილისი, 1924, გვ. 71.

2 საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, თბილისი, 1975, გვ. 512.

3 იქვე.

საფუძვლიანად ვერ ჩატარდა. მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით დაასკვნეს, რომ ციხე-გოჯი//ნოქალაქევი არსებობას იწყებს ახ. წ. IV საუკუნიდან. ამგვარმა დასკვნამ, ჩანს, შოთა მესხიას უბიძგა აზროვნება შესაბამისი პრობლემის თაობაზე სხვა მიმართულებით წარემართა. 1949 წელს ისტორიის ინსტიტუტში წაკითხულ მოხსენებაში[4] მან იყარაულა „ქართლის ცხოვრებაში" მოხსენიებული ციხე-გოჯისა და ჭაქვინჯის (სოფელია ზუგდიდის რაიონში) ციხის იგივეობა.[5] აქედან ლოგიკურად გამომდინარეობდა დასკვნა, რომ კომპოზიტ „ციხე-გოჯში" უნდა გვეგულისხმა „ქვინჯი", რომელიც სხვა მნიშვნელობის სიტყვაა და ამდენად ეჭვის ქვეშ დგებოდა ქუჯის ისტორიულობა.

გიორგი მელიქიშვილი აქ აღძრულ საკითხს სპეციალურად არ შეხებია. ჩვეულებრივად იგი მას თითქოს დადებითად განიხილავს, ე. ი. ქუჯის თელის ისტორიულ პიროვნებად. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" პირველ ტომში „ლეგენდარული ქუჯის" მოხსენიება.[6] ამდენად, საფიქრებელია, რომ მკვლევარი მთლად კატეგორიული რიდია ქუჯის ვითარცა ისტორიული პიროვნების გაგებაში. მ. ინაძის მიხედვით „ქართლის ცხოვრებაში" დაცული გადმოცემა (ოგულისხმება ქუჯისთან დაკავშირებული ამბები — გ. ყ) უნდა ასახავდეს ავტორის, ე. ი. ლეონტი მროველის კონცეფციას ძველ ხანაში ეგრისსა (კოლხეთსა) და ქართლს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების შესახებ".[7]

აღნიშნული საკითხი სპეციალურად განიხილა ილია ანთელავამ.[8] მისი დასკვნით: „ციხე-გოჯი და ერისთავის სახელად გაგებული ქუჯი უნდა უკავშირდებოდეს ზანურ (მეგრულ) ტერმინს „ქვიჯი, ქვინჯი".[9]

---

4 მისი სათაურია „ჭაქვინჯის ისტორიული მნიშვნელობის საკითხი". შემონახულია ტექსტი, სამწუხაროდ, ლეკმე დაუბეჭდავი.

5 შემდგომ ხანაში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებით დამტკიცდა, რომ შესაბამისი ძეგლის უძველესი ფენა ახ. წ. III—IV ს. განეკუთვნება.

6 დასახ. წიგნი, გვ. 558. ცხადია, სიტყვა „ლეგენდარული" კონტექსტში შეფასების ნიშანს.

7 იხ. ქსე, ტ. 10, 1986, სტატია „ქუჯი".

8 იხ. მისი სტატია „ლეონტი მროველი „ქუჯი ერისთავის" შესახებ", აეტორისეულ კრებულში „XI—XIV სს. ქართული ისტორიული წყაროები". თბილისი, 1988.

9 იქვე, გვ. 11.

ქუინჯი კი მეგრულად ნიშნავს ძირს, მთავარს, ამდენად გამოდის „ძირი ციხე“, „მთავარი ციხე“.[10] აქედან გამომდინარე, „ლეონტი მროველისეული ქუჯი ერისთავი, როგორც პიროვნება, არ არსებულა“.[11] მაგრამ მიუხედავად ამისა, მკვლევარი მთლად ნიჰილისტურად, ჰიპერკრიტიკულად როდი იყო განწყობილი შესაბამისი ძველი ცნობისადმი. იგი აღნიშნავდა: „ციხის სახელწოდება ლეონტის, არ უკვე მის წყაროს მიერ ჩანს გააზრებული ანთროპონიმად. ეს გარემოება მიუთითებს, რომ ლეონტი მროველს ნამდვილად ჰქონდა ხელთ რალაც ძველი წყარო, სადაც ფარნავაზისა და ჯიხან-ქუჯის მმართველის(!) ურთიერთობა იყო ასახული“.[12]

მოტანილი აზრი ფიგურირებს საქართველოს ისტორიის VII კლასის სახელმძღვანელოშიც, რომელიც დაიბეჭდა ილია ანთელავას რედაქციით (1998 წ.). აქ ეკითხულობთ: „ფარნავაზს ემორჩილებოდა „ეგურის“ ანუ ეგრისის მმართველი, რომელსაც წყარო „ქუჯის“ სახელით იცნობს. რეალურად, სახელი „ჯიხანქუჯი“ მთავარ ციხეს ნიშნავს მეგრულად. ძველ წყაროს მისთვის გაუგებარი სიტყვა პიროვნებად გაუაზრებია. ასე გაჩნდა საქართველოს ისტორიაში ერისთავი „ქუჯი“. ფაქტი კი ისაა, რომ ფარნავაზს, როგორც ჩანს, ნამდვილად ემორჩილებოდა ეგურის ერთ-ერთი ნაწილის მმართველი (“სკეპტუხი“), რომლის რეზიდენცია ჯიხანქუჯი იყო. ასე რომ, რეალური ჩანს XI ს. ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობა: „ფარნავაზ მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა“.[13]

მკვლევარი თამაზ ბერაძეც საეჭვოდ მიიჩნევს ქუჯი ერისთავის ისტორიულ რეალობას.[14] მაგრამ მაინც თელის, რომ „ფარნავაზისა

---

10 დასახ. კრებული, გვ 15. ენათმეცნიერ იოსებ ყიფშიძის თანახმად „ქინჯი“ ნიშნავს ფსკერს, უ-ქინჯუ – უფსკრულს. იხ. მისეული „რჩეული თხზულებანი“, თბილისი, 1994, გვ 547. ასე რომ, „ქინჯის“ სრული სემანტიკა დასადგენია.

11 თავისი მოსაზრების დამადასტურებელ არგუმენტად ავტორი იმოწმებდა „დავით და კონსტანტინეს წამების“ ერთ-ერთ ნუსხას, რომელშიც „ჯიხან-ქუჯია“ აღნიშნული. მაგრამ ამის თაობაზე შემდგომ შეეჩერდებით.

12 დასახ. კრებული, გვ 15.

13 იხ. გვ 32-33.

14 სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ 93.

და ქუჩის ურთიერთობის ლეგენდარული ხასიათის მოუხედავად, ლეონტი მროველის ცნობას რეალური საფუძველი უნდა ჰქონდეს".[15]

აღნიშნულ ტრადიციას აგრძელებს ნოდარ ლომოურიც. ფარნავაზისა და ქუჩის ურთიერთმიმართებანი, რომლებიც ასახულია „ქართლის ცხოვრებაში", მას ლეონტი მროველის ეპოქის (ე. ი. XI ს.) იდეოლოგიის საფუძველზე წარმოდგენილ პასაჟებად მიაჩნია.[16] იგი წერს: „ამდენად, ძნელი დასაჯერებელია ფარნავაზის მიერ დაარსებულ საქართველოს შემოერთება მხოლოდ ამ წყაროს („ქართლის ცხოვრების" – გ. ყ) ცნობათა საფუძველზე. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ჩვენს ხელთაა ფარნავაზის ეპოქასთან უფრო ახლოს მდგომი ბერძნულ-რომაული წყაროები (ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი და სხვები), რომლებიც რაიმე მინიშნებასაც არ იძლევიან დასავლეთ საქართველოს ქართლთან შეერთებაზე – ყველგან ფიგურირებს დამოუკიდებელი კოლხიდა".[17] ბევრი-ბევრი რაც ამ მიმართებით შეიძლება დაშვებულ იქნეს, თითქოს შემდეგია: „ერთადერთი რაც შეიძლება ვივარაუდოთ (მხოლოდ ვივარაუდოთ), ესაა ფარნავაზის მიერ რაღაც მოკლე დროით დასავლეთ საქართველოს რომელიღაც ქართლის მიმდებარე ოლქის (მაგალითად არგვეთის, ანუ ზემო იმერეთის) დაქვემდებარება", ხოლო „მთელი დასავლეთ საქართველოს შემოერთება, ხანგრძლივი დროით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა ამ დროს, უბრალოდ, გამორიცხულია".[18]

---

15 დასახ. „ქრებული, იქვე. აქვე გაკითხული: „ასე რომ, ლეონტი მროველის მიხედვით ფარნავაზის ერთგულებისათვის ქუჩი ფაქტობრივად დასაჯა. დამოუკიდებელი მფლობელისაგან იგი ქართლის პირველი მეფის კარისკაცად გადაიქცა". მაგრამ ჯერ ერთი ფარნავაზისა და ქუჩის ურთიერთობანი, იმასაც სასტორიო წყაროს მიხედვით, ძალზე განსხვავებულად პირველის სხვა ერისთავებთან მიმართებისაგან , და მეორე, თუ ლეონტის ჯერწაუნებით, ახონს ვერისციხე ხომ დაყრდობილი ჰქონდა და ამდენად, ცხადია, ქუჩი არ იყო ამ მხარის „დამოუკიდებელი მფლობელი".

16 იხ. სტატია: „ქართული სახელმწიფოებრიობის დასაწყისებისათვის", გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2000 წლის 22 ოქტომბერი. მანამდე, 1993 წელს რუსულად გამოქვეყნებულ ნაშრომში „Архсополис Цихегоджи - Uокалакеви" ავტორი იზიარებდა ილია ანთელავას აზრს „ციხანქვისჯიდან" ანარეკლების ქუჩის გაჩენის თაობაზე. იხ. ქრებული „ნოქალაქევარქეოლისი", III, თბილისი, 1993.

17 იხ. ავტორის დასახ. სტატია.

18 იქვე.

დაბოლოს, მოვიტანთ ნოდარ ლომოურის შემდეგ შეხედულებასაც: „ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ფარნავაზის შესახებ ლეონტის რაღაც ძველი წყარო ჰქონდა, იქნებ მართლაც არსებობდა „ცხოვრება ფარნავაზისა", მაგრამ, ჯერ ერთი, ეს უკანასკნელიც არ შეიძლებოდა ფარნავაზის დროინდელი ყოფილიყო, ის მხოლოდ ბევრად გვიან, დამწერლობის გაჩენის შემდეგ ზეპირ გადმოცემათა საფუძველზე თუ შეიქმნებოდა, – მეორეც, ჩვენ არ ვიცით რამდენად სანდო და უტყუარ ცნობებს შეიცავდა ეს წყარო – მასში ხომ ფარნავაზი ალექსანდრე მაკედონელთანაა დაკავშირებული".[19]

ამთავითვე შევნიშნავთ რიგ გაუგებრობებს, რაც მოტანილ აზრებთან დაკავშირებით ჩნდება. ჯერ ერთი, არ იცნობდნენ კოლხეთის პოლიტიკურ ვითარებას. მეორე, საიდან, რომელი საისტორიო წყაროს მეშვეობით ჩანს დამოუკიდებელი კოლხეთის სახელმწიფოს არსებობა, მით უმეტეს როგორ უნდა ეგულისხმა ეს ჩამოთვლილ ავტორთაგან სტრაბონს, რომლის თანადროულადაც კოლხეთი დაპყრობილი იყო ჯერ პონტოს სამეფოს (მითრიდატე VI ევპატორის) და შემდგომ რომის მიერ. მესამე, ძნელია მოიძებნოს სერიოზული ისტორიკოსი, რომელიც ხელახლებით დაიწყებს მტკიცებას ფარნავაზის მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს და თანაც მის შემდეგ დიდი ხნით შემოერთებას აღმოსავლეთ საქართველოსთან. მეოთხე, როგორ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ქართლის (იბერიის) მიმდებარე მხარის არგვეთის შემოერთება მხოლოდ „რაღაც მოკლე დროით" მოხდა. მეხუთე, ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი განვითარების პირობებში განა რაიმე სადავოა ძველი ქართლის სამეფოს პირველ საუკუნეებშივე ისტორიოგრაფიის (მატიანეს ფორმით) გაჩენა. მეექვსე, რაკი ისტორიოგრაფიული ტრადიცია არსებობდა, დავუშვათ თუნდაც ზეპირსიტყვიერების სახით, რატომ უნდა დავიწყებოდათ ეგრისის ერთ-ერთი მმართველის სახელი, რომლის რეზიდენციასაც ციხე-გოჯი წარმოადგენდა. და ა. შ.

საკითხის ისტორიოგრაფიის გადმოცემის შემდგომ შევეცდებით წარმოვაჩინოთ ჩვენეული პოზიცია.

მიგვაჩნია, რომ ქუჯი ნამდვილად ისტორიული პიროვნება იყო, ამჟღენად იგი არ უნდა ყოფილიყო ლეონტი მროველის გამონაგონი.

19 იხ. დასახ. სტატია.

ჩვენი მტკიცე შეხედულებით, აღნიშნული ისტორიკოსი არ გამოირჩეოდა დიდი პატრიოტული შეგნებით.[20] სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ეგრისს – ეგრისის, სამეგრელოს ეპონიმს „კავკასიან ძმათა“ შორის ბოლო ადგილი აქვს მიჩენილი. სხვანაირად რომ ეთქვათ, ქართლოსთან უფრო ახლოს არიან დასახელებული ბარდოს, მოვაკან, ლეკ, ჰეროს, კავკას. ძნელი გასაზრებელია თუ რატომ, რა მიზნით დასჭირდა ლეონტი მროველს ფარნავაზისა და ჭუჭისთან დაკავშირებული ეპიზოდების შეთხზვა და ჩართვა თავის „მეფეთა ცხოვრებაში“. ჰაოსის პრიორიტეტებთან დაკავშირებით არსებობს რაღაც არადამაჯერებელი მოსაზრებები, ხოლო ამ შეთხვევაში ჯერჯერობით ამათ მსგავსსაც კი არ გვთავაზობენ. განა ლეონტი მროველი შეეცადა აღნიშნული ეპიზოდებით ეჩვენებინა საკუთრივ ქართველთა (ქართლისა და ეგრისის, სამეგრელოს) გაერთიანება? ნუთუ მას უნდა შეეთხზა ანთროპონიმი ჭუჭი მხოლოდ ტოპონიმ „ციხე-გოჯიდან“ ან მისი მეგრული შესატყვისი „ჯიხან-ქვირჯიდან“? მაშ ოდენ შემთხვევითობას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ ჭუჭის ეტიმოლოგია ადვილი დასადგენია. პროფ. მზია ანდრონიკაშვილის მიხედვით ანთროპონიმი ჭუჭი წარმოადგენს თავისი „ჯ“-თი ოსურ დიალექტურ ფორმას სკვითური სახელისა *Kuzaios*, ოსურად *Kuzu* და *Kuzæg* რაც ნიშნავს ძაღლს[21] (შეადარეთ ჩვენს აღმოსაელელ მთიელებში დიდხანს შემორჩენილი კაცის სახელი „ძაღლიკა“). თავის მხრივ თუ წარმოვიდგენთ მაშინდელი საქართველოს, კერძოდ, ეგრისის სიახლოვეს (გეოგრაფიული მნიშვნელობით) სკვითურ, სახელდობრ ალანურ, ოსურ სამყაროსთან, აღნიშნული გარემოება სულაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. მოვიგონოთ ისიც, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ჭუჭის შვილიშვილი (დედით ფარნავაზიანობა რომ მოსდგამდა) იყო ქართამ – ასევე სკვითურ-ალანური ძირის გამომხატველი სახელია, რომლის ეტიმოლოგიასაც ვერასგზით ვერ გაეცნობით ქართული

---

20 ამის თაობაზე იხ. ჩვენი სპეციალური ნაშრომი „ეთნიკური თვითშეგნების საკითხი ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებების მიხედვით (ლეონტი მროველის ეთნიკური შეგნების პრობლემა)“, ჩვენებურ კრებულში „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ნაწილი II, თბ., 1995.

21 იხ. აგტორის „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“, თბილისი, 1966, გვ. 139.

ენის მეშვეობით.[22] მოვიგონოთ აგრეთვე აბაზგების და აფშილების მუჟეთა სახელწოდებანი – „რესმაგა“ და „სადაგა“, დადასტურებულნი ფლავიუს არიანესთან (ახ. წ. II საუკუნე), რომელნიც კლავე სკვითურ-ალანურ (ოსურ) სამყაროდან მომდინარეობენ.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ფარნავაზმა თავისი ერთი დაც ქუჯის მიათხოვა, ამანვე აღაშენა ციხე-გოჯი.[23] ჩვენი შეხედულებით ტოპონიმი „ციხე-გოჯი“ ფრიად საინტერესო გახლავთ და დიდ სიძველეზე მიანიშნებს. ციხის აგებაში უთუოდ იმჟამინდელი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებაც მონაწილეობდა, სახელწოდებაც გასცდა საკუთრივ ეგრისის ფარგლებს და ქართულად „ციხე-გოჯად“ ჟღერდა.[24] ამასთანავე აშკარა გადაჭარბებად მიგვაჩნია, და ისტორიულ სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს ქუჯის სიტყვები, მიმართული ფარნავაზისადმი: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი... და უკეთუ მოგვეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“.[25] როგორც ცნობილია, ფარნავაზი იყო მცხეთის ქვეყნის (ნიკო ბერძენიშვილის ტერმინს თუ დავესესხებით) წარმომადგენელი, თუნდაც იმხანად მთავარი, მაგრამ ამგვარი გაერთიანებანი ხომ მაშინდელ ქართლში საკმაოდ ბევრი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, „ქართლის ცხოვრებიდან“ მოტანილი ეპიზოდი აშკარად არარეალური ჩანს. თუმცა საკმაო საფუძველი

---

22 აშკარაა, რომ „ქართამის“ ეტიმოლოგია ირანულ ენობრივ სამყაროშია საძებნი. მაგრამ გავლკეცისას ალბათ ჩვენს ძველ გადმწერებს შეცდომა მოუვლიათ: უნდა დაწერათ „ქარძამ“ ასე რომ, ქართული სახელის ძველი ირანული ფორმა იქნებოდა, kars-ana, სკვითურად karz-an (ნიშნავს მკაცრს, სასტიკს, შეუბრალებელს), რომელმაც მოგვცა ქართული ქარძან>ქარძამ. იხ. დასახ. ნაშრომი, გვ 507. სხვათა შორის, ცნობილი ოსი ენათმეცნიერი ვასილ აბაევი იგიც ძირს ხედავდა ქართულ სიტყვა „მკაცრში“

23 იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემა, თბილისი, 1955, გვ 24.

24 ჩვენსულებრივად შესაბამის კომპოზიტებში „ციხე“ მეორე შემადგენელ ნაწილად გალმოიცვლა ხოლმე. თუმცა გვაქვს გამონაკლისებიც: „ციხე დიდი“, „ციხე სულორი“ (ძველად; ამჟამად არსებობს ზედა ციხესულორი და ქვედა ციხესულორი), ალბათ ციხეყდაც (ეტიმოლოგია, რამდენადაც ეიცით, დაუდგენელია). მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე სოფელ დაბაძულეთან (ბორჯომის რაიონში, ოკრიბაში და აჭარაში) მიმართებაში. სხვათა შორის, მცირულშიც ხომ გვაქვს „ციხანქუჯი“, „ციხა-ხორა“.

25 დასახ. წიგნი, გვ 22.

გაგეაჩრია ვიფიქროთ, რომ ქუჯის სახით შესაძლოა გამოჩნდა პირი („ქეყრის", მხარის მმართველი), რომელმაც გაიცნობიერა ბერძენთა. იქნებ ახლონისაც, მძლავრობის პირობებში გაერთიანების საჭიროება. ისიც გავიხსენოთ, რომ ამ დროს ქართული და ზანური (მეგრული) ენები ჯერ კიდევ საკმაოდ ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, რაც თაეის მხრივ ხელს შეუწყობდა დაახლოებას. ამავე საისტორიო წყაროს მიხედვით მეორე მეფე საურმაგმა „ერთი ასული მისცა ძესა ქუჯისსა, მამის დისწულს თჳსსა".[26] ასე რომ, ეს მეფე ამ მხრივ ფარნავაზის მსგავსად მოქცეულა და ამდენად ქუჯის შთამომაელებს ფარნავაზიანობაც (შესაბამისი დინასტიისადმი კუთვნილება) მოსდგამდა.

„მეფეთა ცხოვრებაში" ეკითხულობთ: „ხოლო ამას ბარტომ მეფესა არა ესუა ძე, არამედ ასული ერთი, და სიცოცხლესავე მისსა მოეყვანა ეგრისით ძისწული ქუჯისი, სახელით ქართამ, რომელსა შესდგომოდა ფარნავაზიანობა, ფარნავაზის დის ქუჯის ცოლისაგან და დედისა მისისა, საურმაგის ასულისა ქუჯის ძის ცოლისაგან. და ამის ქართამისდა ეგრისით მიეცა ასული თჳსი ცოლად ბარტომ მეფესა, და აღელო ესე შვილად. და ესე ქართველთა სათნოებისათჳის ეწოდა ბარტომს, რამეთუ ქართველთა დიდი სათნოობა აჩუნდა ფარნავაზიანთა მიმართ; და არა უნდა სხჳსა ნათესავისა მეფობა, რომელსამცა არა შესდგომდა ფარნავაზიანობა".[27] სამწუხაროდ, მოელენები დრამატულად წარიმართა; „ხოლო ესე ქართამ, ძედ შვილებული ბარტომ მეფისა, მასვე წყობასა (ე. ი. ბრძოლაში – გ. ყ) მოიკლა ბარტომის თანა, ხოლო ცოლი მისი, ასული ბარტომისი, უძლები (ორსული – გ. ყ) დარჩა, იელტოდა და წარვიდა სახლითს".[28] შემდგომ კი „მუნ შვა ყრმა, და უწოდა სახელად ადერკი, და იზრდებოდა იგი მუნ".[29]

ხოლო როდესაც ადერკმა (დედით ფარნავაზიანმა, მამით კი ასე ვთქვათ ქუჯიანმა (ქუჯის საგვარეულოს წარმომადგენელმა) გაიმარჯვა არშაკ მეორეზე (საერთოდ, მცხრე მეფეზე) (იგი დედით არშაკუნიანი იყო, ხოლო მამით – ფარნავაზიანი) სამეფო კარი თვითონ დაიკავა. ამის თაობაზე მოხსენიებულ წყაროში აღნიშნულია: „მაშინ მოუგეს ქართველთა: „შენ გამოსჩნდი უმჯობესი ყოველთა შორის ნათესავთა

---

26 „ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ 27.
27 იქვე, გვ 32.
28 იქვე.
29 იქვე.

ყარიაჯაზისთა. რათგას ძოკუდა ძეფე ესე ჩუენი, აწ ძეხ ხარ ძეფე ჩუენი; და ვმადლობთ ყუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუეცა საზღვარად (საზღაურად, სანაცვლოდ – გ. ყ) მეფისა ამის ჩუენისა შვილივე ძეფეთა ჩუენთა, გოლიათი და სახელოვანი".[30] შემდგომი პერიოდის მეფეებად „ქართლის ცხოვრება" სწორედ ადერკის ჩამომავლებს ასახელებს.[31]

დაბოლოს, საგულისხმოა რომ „ქართლის ცხოვრების" მიხედვით „ძველი მცხეთის" („დიდი მცხეთის") ერთ-ერთ უბანს ზანავი ეწოდებოდა და არაგვის ნაპირზე ერთი წყარო ამავე სახელწოდებას ატარებდა.[32] ეს კი უნდა მიუთითებდეს ზანებთან კავშირს.[33]

ყოველივე ზემოაღნიშნული არა გვგონია ოდენ ლეონტი მროველის შეთხზა იყო. ეს ყველაფერი უნდა შეესაბამებოდეს ისტორიულ ვითარებას, რომლის სათავეშიც ქუჯი უნდა მდგარიყო.[34]

ახლა მივმართოთ სხვა საისტორიო წყაროებს. ჯუანშერის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ისტორიკოსმა იცოდა ციხე-გოჯის (ნოქალაქევის)

---

30 „ქართლის ცხოვრება", I, გვ 35. შევახსენებთ, რომ სახელდობრ ამ ტექსტის შესახებ გააჩნს შემდეგი ისტორიული ინფორმაცია: „ხოლო ვითარცა ესმა მეფესა ალრეს მცირეთაგან სჯულის დატევება, განუწყრა და წარაყენნა ერისთავი მისი, და იძულებით კუალად მიაქცევნა მცირენი". იქვე, გვ 42.

31 სხვათა შორის, ალრეს ერთერთ ძეს ქართამი (ქარდამი) ერქვა. მსგავსი სახელდების ტრადიცია კი, როგორც დავინახეთ, ეგრისიდან მოდიოდა.

32 „ქართლის ცხოვრება", I, გვ 17.

33 ენათმეცნიერი გურამ ბედიაშვილი შეეცადა „ზანავის" სხვაგვარი, არა ზანების სახელთან დაკავშირებული, ეტიმოლოგია მოეცა. მაგრამ მისეული მცდელობა არადამაჯერებელი აღმოჩნდა. შევნიშნავთ, რომ „მეფეთა ცხოვრების" თანახმად წყაროს ასეთი სახელწოდება ჰქონდა ჯერ კიდევ ნაბუქოდონოსორის ზეობისას, ქრონიკული ეზრაელთა ლტოლვილობის ჟამს, ე. ი. ძვ წ. VI ს.

34 აღსანიშნავია, რომ მცირეთმცველ მეფეს ამაზასის ზეობასთან დაკავშირებით, იქ სადაც იესეს მიერ მცხეთაზე ლაშქრობის თაობაზეა არის ლაპარაკი, ნახსენებია „დასაცველთა ერისთავი" (იხ. დასახ. წიგნი, ტ. I, გვ 55). თამაზის უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მრავლობითი რიცხვია საგულისხმო. ყოველ შემთხვევაში ტრადიციულად ალბათ ეგრისსაც მოიაზრებდნენ. მცირეთს (გვ 57) აღნიშნულია, რომ ამავე მეფის წინააღმდეგ ამხედრდა ეგრისის ორი ერისთავი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ეგრისის (ლაზიკის) გაძლიერებას III საუკუნიდან (ახ. წ.) მოკლებული, საერთოდ მისი ქართლის სახელმწიფოში ყოფნა გამორიცხულია.

ადგილმდებარეობა. მაგალითად, როდესაც იგი მურვან-ყრუს სამხედრო მარშრუტს აღწერს (აღმოსავლეთიდან ეგრისზე გაელით აფხაზეთში და შემობრუნებით), საერთოდაც ციხე-გოჯის მდებარეობა ნიშანდობლივ აქვს აღნიშნული. მეტიც, იგი პირდაპირ აცხადებს: „და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი“.[35] ეფიქრობთ, აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მატიანე იწერებოდა, კერძოდ VIII საუკუნეში (ახ. წ.) საკმაოდ გათვითცნობიერებული იყვნენ დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიაში, მათ შორის ციხე-გოჯის არსებობაში. ამიტომაც საკვირველად გვეჩვენება გიორგი გოზალიშვილისეული აზრი: „ქართული საისტორიო წყაროები VIII საუკუნიდან არქეოპოლისს-ნოქალაქევს „ციხე-გოჯის“ სახით იხსენიებენ“.[36]

„დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში“ (რომელიც უფრო ადრე დაიწერა, მაგრამ შემორჩა XII საუკუნის პირველი ნახევრიდან (კ. კეკელიძე) მეტაფრასული თხრობის ფორმით), „ჯიხან-ქუჯისაა“[37] აღნიშნული. ეს ტრადიცია შემდგომშიც გაგრძელდა. ეახუშტი ბატონიშვილი წერდა: „აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხე გოჯად წოდებული“.[38] „ქართლის ცხოვრების“ სქოლიოებში ხომ ორგან ვხვდებით: „ოდიშს ნაქალაქევი“, „ციხე გოჯი ნაქალაქევია“.[39]

ძალზე საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ციხე-გოჯს (მერმინდელ ნოქალაქევს) გვიანი ხანის (ახ. წ. VI ს.) ბიზანტიელი ისტორიკოსები (პროკოპი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი) „არქიოპოლისად“

---

35 „ქართლის ცხოვრება“, I, გვ 235.

36 იხ. მისი სტატია „ნოქალაქევი (არქეოპოლისი) ბიზანტია-ირანის ურთიერთობაში“, კრებულში „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, XVI-XVII, 1972, გვ 216.

37 თუმცა მიხეილ საბინინისეულ გამოცემაში „ჯიხანქეიჯის“ ეხვდებით, მაგრამ შემდგომი ხანის გამომცემლები (სოლომონ ყუბანეიშვილი, ილია აბულაძე და სხვანი) „ჯიხანქუჯისას“ ხმარობენ. სხვათა შორის, „მარტვილობის“ შესაბამის ადგილას „ჭყონდიდი“. ქართულად არის განმარტებული. ასევე იქნებოდა „ჯიხანქეიჯის“ შემთხვევაში, მართლაც ახე რომ ყოფილიყო.

38 „ქართლის ცხოვრება“, IV, ხიზან ყაუხჩიშვილისეული გამ., 1973, გვ 777.

39 „ქართლის ცხოვრება“, I, გვ 24, 235.

(ძველ ქალაქად) მოიხსენიებს. ამდენად, შესაბამისი ციხე-ქალაქის (ქალაქის) სიძველეც მათთვის ნათელი იყო, ისინი აცნობიერებდნენ, რომ იგი არსებობდა უწინაც, ვიდრე ლაზიკის დედაქალაქი გახდებოდა (ახ. წ. IV საუკუნეში). ნიკო ბერძენიშვილი ამის თაობაზე დასძენდა: „რაც შეეხება ცნება „ძველს" (არქაიო) ასეთი (პარალელური) სახელი მას შეიძლებოდა ამ დროსვე (ბიზანტიელი ისტორიკოსების დროს და უწინ) რქმეოდა (ძველი?), რაც იმის მოწმობაც იქნებოდა, და ამას არქეოლოგიაც მხარს უჭერს, რომ ეს ქალაქი მართლაც ძველი იყო".[40] ქალაქის სიძველეში (დიდხნოვანებაში) დაეჭვება მართლაც რომ შეუძლებელია, მაგრამ დიდად საეჭვოა ბერძნული „არქაიო-პოლისის" შესაბამისი სიტყვასიტყვითი ქართველური (მეგრული) ფორმის არსებობის ალბათობა.[41] ხოლო აღნიშნულთან დაკავშირებით ილია ანთელავა ასე შენიშნავდა: „არაა გამორიცხული, რომ არქეოპოლისი ჯიხანქვიჯის ანუ „ძირი ციხის", „თავადი ციხის" აზრობრივ თარგმანს წარმოადგენდეს".[42] მაგრამ მსგავსი შეხედულებაც ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს.

საერთოდ, უახლესი არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ ციხე-გოჯის (ნოქალაქევის) დასახლება იწყება ძვ. წ. VIII–VII სს. მიჯნაზე. ხოლო კულტურული ფენა მდიდრული ხდება სწორედ ელინისტური ხანიდან მოყოლებული, ე. ი. თანხვდება ფარნავაზის ზეობას.[43] შესაბამისი ტოპონიმი „ციხე-გოჯი", ცხადია, მიგვანიშნებს

---

40 „საქართველოს ისტორიის საკითხები", წ. VIII, გვ 512.

41 აქვე ვკითხულობთ: „არქეოპოლისის ნაშთები ადგილობრივი სახელწოდება მთლად ცხადი არ არის".

42 იხ. „XI–XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები", გვ 15.

43 დაწვრილებით იხ. ნოდარ ლომოური, „ნოქალაქევისა და ციხე-გოჯის იგივეობის თაობაზე", ჟურნ. „მნათობი", 1979, N 5; მისივე დასახ. რუსული ნაშრომი, დაჯით ლომიტაშვილი, სტრატიგრაფია ნოქალაქევის ნაქალაქარზე (VII უბნის მიხედვით) კრებულში „ნოქალაქევი-არქეოპოლისი", III, 1993. აქვე შევნიშნავთ, რომ გიორგი გოზალიშვილი ჯერ კიდევ ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებამდე წერდა: „ციხე-გოჯის გაშენებაც, შესაძლებელია, ამ ხანას (ფარნავაზისას – გ. ყ) განეკუთვნებოდეს. ეს ვარაუდი სრულიადაც უსაფუძვლოდ არ მოჩანს ნოქალაქევის არქეოლოგიური ძეგლების ფონზე". იხ. მისი დასახ. ნაშრომში, გვ 216.

იმაზე, რომ ამ ადგილას ციხე იყო აღმართული. თუმცა ჯერჯერობით მისი არსებობის მნიშვნელოვანი კვალი არაა აღმოჩენილი, მაგრამ ძეგლის აკროპოლისზე, შიდა ციხის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში ნაპოვნია კვადრები (გათლილი ქვები), რომელთაც მაშინდელი მშრალი წყობით შენების გამო (დულაბი ჯერ არ იცოდნენ), ემჩნევათ რკინის კაუჭის კვალი (მათ იყენებდნენ ადრეფეოდალური ხანის ნაგებობებში).

მსჯელობას დავამთავრებთ იმით, რომ ჩვენი მყარი შეხედულებით, ჭუჭი ისტორიული, რეალური პიროვნება იყო და ამდენად, სკეპტიციზმი, ჰიპერკრიტიციზმი ამ მიმართულებით გაუმართლებლად გვეჩვენება.

2002 წ.

რეცენზიები და გამოხმაურებები

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომის შესახებ*

ჩვენი ქვეყნის წარსული და თანამედროვე ისტორიული პროცესის შემეცნებას მარტო თავისთავადი მეცნიერული ფასეულობა როდი აქვს. უფრო მეტია მისი მნიშვნელობა ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, მისი კონსოლიდაციისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით გასაგებია ის დიდი ფუნქცია, რომლის შესრულებაც ჩვენს ისტორიოგრაფოსებს ევალებათ. მათ უნდა წერონ არა ვიწრო აკადემიური წრისათვის, არამედ ხალხის ფართო ფენებისთვისაც, რომელთა ინტერესის გაღვივება ჩვენი წარსულისა და აწმყოსადმი სანუგეშო მოვლენას წარმოადგენს.

უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ჩვენი ისტორიის შესწავლაში თვალსაჩინო პროგრესი მოხდა. განსაკუთრებით ეს ითქმის ისტორიის მომიჯნავე და დამხმარე დისციპლინების — არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, ნუმიზმატიკის, ეპიგრაფიკისა და სხვ. განვითარებაზე. ჩვენი ისტორიული პროცესის მრავალი პრობლემა გაშუქებულია სტატიებსა და სპეციალურ მონოგრაფიებში. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს პროგრესი, ასე ვთქვათ, რაოდენობრივ სიფართოვეში განვითარების ხასიათს ატარებს, რასაც ვერ ვიტყვით ჩვენი ისტორიოგრაფიის თვისებრივი განვითარების თაობაზე.

უკანასკნელი გარემოება კარგად ჩანს ისტორიოგრაფიის (საისტორიო მეცნიერების) და არქეოლოგიის მთელი რიგი პრობლემების გაშუქებისას. თუ ცალკეული საკითხების შესწავლისას ისტორიული მეცნიერების ახლანდელი ნაკლოვანებანი იმდენად არ იგრძნობა, სამაგიეროდ როცა საქმე მიდგება ისტორიული პროცესის მთლიანი სურათის გადმოცემაზე, ჩვენ თვალწინ იშლება საკმაოდ უნუგეშო მდგომარეობა.

---

* გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1970. რეცენზია დაწერილია 1971 წელს. მაგრამ ჩემი დიდი ცდისდა მიუხედავად, მისი დაბეჭდვა იმხანად ვერ მოხერხდა. ამჟამად ჩემი დამოკიდებულება წიგნის მიმართ ბევრად უფრო კრიტიკულია.

ჩვეხი ისტორიოგრაფიის ამ დიდი ხაკლის აღიარება, რაგიხდ გამაღიზიანებელიც იყოს ეს ბევრი ისტორიკოსისათვის, სტიმულად უნდა იქცეს ჩვენი საისტორიო მეცნიერების განვითარებისათვის. ჩვენმა საისტორიო აზრმა, რომლის ეეოლუციაში ნათელი მოვლენებია დავით ალმაშენებლის ისტორიკოსი, ვახუშტი ბატონიშვილი და ივანე ჯავახიშვილი, უნდა შეძლოს ახალი დიდი ნაბიჯის გადადგმა. ამას, ვიმეორებთ, ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებიც მოითხოვს.

საქართველოს ისტორიული პროცესის შესწავლაში მიღწეული შედეგების შეჯამების წარმოადგენს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ წამოწყებული ცდა ჩვენი ისტორიის რვატომეულის გამოცემისა. უკვე გამოვიდა I და V ტომები. ჩვენ შემოვიფარგლებით პირველი ტომის (რედაქტორი გ. მელიქიშვილი) განხილვით. ცხადია, თითქმის რეაასგეერდიანი ნაშრომი იმდენ ცალკეულ პრობლემას შეიცავს, თანაც მრავალი მათგანი ისე სადაოა, რომ აქ მათზე შეჩერება შეუძლებელია. კიდევ მეტი: ვფიქრობთ, რომ ჩვენი მიზნისათვის ეს არცაა აუცილებელი. ამაზე უნდა იდავონ და წერონ ვიწრო დარგის სპეციალისტებმა. ჩვენი ხალხის ფართო ფენებისათვის საინტერესო კი ის არის, თუ როგორაა გააზრებული ჩვენი ისტორიის უძველესი და ძველი პერიოდები, ასე ვთქვათ, ამ ხანის განვითარების ლოგიკა. აღნიშნულ ტომში ჩვენი ისტორია აღწერილია ახ. წ. IV საუკუნემდე. ეს მოტივირებულია იმით, რომ ამ საუკუნისათვის ფეოდალიზმი წამყვან სოციალურ-ეკონომიკურ წყობად იქცა, ბატონდება ქრისტიანული რელიგია, იცვლება საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება.[1]

გიორგი მელიქიშვილის წინასიტყვაობის შემდეგ, შედარებით დაწვრილებითაა გადმოცემული ჩვენი ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო (ავტორი ალექსანდრე კალანდაძე). ჩვენი აზრით, ამ გარემოს ისეთი დახასიათება, როგორც ეს აღნიშნულ წიგნშია, უფრო გეოგრაფიულ (ფართო გაგებით) ნაშრომს გამოადგებოდა. მივეაჩნია, რომ ქვეყნის ისტორიის გადმოცემას უნდა უძღოდეს უაღრესად ზოგადი ხასიათის გეოგრაფიული ცნობები უფრო დაწვრილებით ეს ნაწეენები უნდა იყოს მოცემული საზოგადოების ეკონომიკური ეეოლუციის სტადიებთან კავშირში. პირველი ტომის თემატიკისათვის საერთოდ ზედმეტია ჰიდროენერგორესურსების, ქვანახშირის, ნავთობის

1 „ნარკვევები", ტ. I. გვ 24-25.

და სხვა წიალისეულის შესახებ ლაპარაკი. უბრალოდ იმიტომ, რომ იმხანად ბუნების ის ძალები ისტორიული პროცესისათვის უსარგებლონი იყვნენ. ნაშრომი უთუოდ მოიგებდა, თუ ეკონომიკური ევოლუციის პროცესთან ერთად ნაჩვენები იქნებოდა ბუნების ის ახალი ძალები, რომლებიც შედიოდნენ სოციალურ პრაქტიკაში. ეს გაამრავალფეროვნებდა ისტორიული პროცესის სურათს და არც თხრობა გადაიტვირთებოდა დეტალებით. ასევე თავიდანვე ჩვენი ქვეყნის ნიადაგების, ფლორისა თუ ფაუნის და ა. შ. დაწვრილებითი აღწერა მკითხველს ზედმეტად ეჩვენება და ღლის მას. მაგრამ მიწათმოქმედების წარმოქმნა-განვითარების სურათის ასახვისას ნიადაგების, ჰავის და ა. შ. დეტალური აღწერა თხრობას უთუოდ საინტერესოს გახდიდა. ნადირობისა და შემგროვებლობის დონეზე მყოფი საზოგადოების ცხოვრების დასახასიათებლად უპრიანი იქნებოდა ჰიდროგრაფიის, ცხოველთა სამყაროსა და მცენარეულობის დაწვრილებითი ჩვენება და ა. შ.

ერთი სიტყვით, საზოგადოების ეკონომიკური განვითარების საფეხურების ასახვა შესაბამის გარემომცველ ბუნებრივ პირობებთან ერთად მნიშვნელოვანი სიახლე იქნებოდა ისტორიოგრაფიული აზრის განვითარებაში. ეს უფრო ღრმად აგვიხსნიდა ისტორიულ პროცესს.

წიგნში არადამაკმაყოფილებლადაა წარმოდგენილი საქართველოს ისტორიაში გეოგრაფიული გარემოს როლი. იგრძნობა ავტორთა შიში ე. წ. გეოგრაფიული დეტერმინიზმის წინაშე.[2] არასწორად მიგვაჩნია აზრი, რომ საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო თანაბრად ხელშემწყობი იყო საზოგადოების ევოლუციისათვის. ეს გარემო ისე მრავალფეროვანია, ხოლო მასში მცხოვრები მოსახლეობის მიერ განვლილი სამეურნეო საფეხურები იმდენად მრავალია, რომ შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად ლაპარაკი ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული გარემოს თანაბრად ხელშემწყობ როლზე საზოგადოების განვითარებაში. ამ გარემოს საფუძველზე დაიწყო და განვითარდა ანთროპოგენეზისი. სწორედ გეოგრაფიული გარემო ქმნიდა კარგ პირობებს მეურნეობის თავდაპირველი ფორმების – შემგროვებლობის, ნადირობის, მეთევზეობის განვითარებისათვის. მეტად მრავალფეროვანი იყო სასარგებლო

---

2 აღნიშნული პრობლემის შესახებ იხ. ჩვენი სტატიები: ჟურნ. „ცისკარი", 1969, N 10, „მაცნე". ისტორიის... სერია, 1971, N 2.

მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ხოლო მათი პოპულაციები ხშირი. ჩვენთან ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლისთვისაც. ეს პროცესი იმხანად დააჩქარა წინა აზიის დაწინაურებულ ცენტრებთან სიახლოვემაც. მაგრამ კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩასახვა-განვითარების პროცესი ჩვენს ტერიტორიაზე არც ამის შემდეგ აღინიშნებოდა. მხოლოდ მოგვიანებით, როცა კი დაიწყო, იგი უაღრესად ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

ჩვენ ამჟამად შედარებით ზუსტი წარმოდგენა გვაქვს ძვ. წ. V–IV ათასწლეულების საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური განვითარების დონეზე (ეს განსაკუთრებით არქეოლოგიის ტარიელ ჩუბინიშვილის დამსახურებაა), რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა იმდროინდელი ეგვიპტისა და შუმერის მოსახლეობის სამეურნეო დონეს. მაგრამ მიუხედავად ასეთი მსგავსი წანამძღვრებისა, ცივილიზაციის განვითარების ბედი ჩვენში და აღნიშნულ ქვეყნებში სულ სხვანაირად წარიმართა. ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების მაშინდელ დონეზე, ჩვენს გეოგრაფიულ გარემოში საზოგადოებამ ვერ შეძლო გადაელახა ბუნებრივი დაბრკოლებები: მაგარი ნიადაგები, ხშირი ტყეები, დასავლეთ საქართველოს ნოტიო ჰავა, შედარებით ცივი კლიმატი. ეგვიპტესა და შუმერებში კი საზოგადოების ევოლუცია მანამდე არაჩვეულებრივი ტემპით წარიმართა.

მწარმოებლური ეკონომიკის განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში დიდხანს არ იყო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები. მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების განვითარება ბევრგან აწყდებოდა დიდ ბუნებრივ დაბრკოლებებს, რომელთა გადალახვა საზოგადოებამ რკინის ფართო ათვისების ხანაში მოახერხა. ძირითადად ამ დროიდან იწყება ჩვენს ისტორიაში ცივილიზაციის განვითარება.

ვფიქრობთ, რომ ხელსაყრელმა კლიმატმა და გეოგრაფიულმა გარემომ განაპირობა იმ ეპოქაში ივერიის აშკარა გაძლიერება კოლხეთთან შედარებით. სამაგიეროდ, კოლხეთის მწირი ნიადაგები და ნოტიო ჰავა საუკეთო ალმოჩნდა სიმინდისა და სუბტროპიკული კულტურების გავრცელებისათვის. ეკონომიკური განვითარების ახალ სტადიაზე დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი პირობები ბევრად ოპტიმალური აღმოჩნდა. უწინ კი, როგორც აღინიშნა, საქმე სხვაგვარად იყო.

დაბოლოს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წიგნში ასახულიყო ის

გეოგრაფიული გარემოც, სადაც გაიშალა ჩვენი წინაპრების მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოურება, ე. ი. ის ტერიტორია, რომელიც ამჟამად სხვა ხალხებით არის დასახლებული.

ჩვენს ისტორიულო პროცესში ბევრად უკეთესადაა გადმოცემული ისტორიული გარემოცვა, მისი როლი ჩვენი ქვეყნის ბედ-ილბალში; წინა აზია, ჩრდილოეთი მესოპოტამია, ჩრდილოეთი ერანი, ხეთები, მითანი, ასირია, ურარტუ, მიდია, საბერძნეთი, სპარსეთი, ჩრდილოეთი კავკასიის ხალხები, პონტოს სამეფო, სომხეთი, ალვანეთი, რომი, სასანიანთა ერანი – აი, ის ისტორიული გარემოცვა, რომელთანაც მიმართებაში განიხილება ჩვენი ისტორია არქეოლოგიური კულტურების დონიდან მოყოლებული ე. წ. ადრეკლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის ჩათვლით.

„ნარკვევების" I ტომში შემდეგ ასახულია უძველესი და ძველი ისტორიის ძირითადი ეტაპები, წყაროები და ისტორიოგრაფია. მეტი ნდობაა გამოცხადებული საქართველოს შორეული წარსულის ამსახველი ქრონიკების მიმართ. ტომში საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდები მოცემულია იმ თანამიმდევრობით, როგორც ეს არქეოლოგიაშია მიღებული: ქვედა და ზედა პალეოლითი, ნეოლითი (ავტორი ალექსანდრე კალანდაძე), ენეოლითი, ადრე ბრინჯაო (ტარიელ ჩუბინიშვილი), შუა ბრინჯაო (ოთარ ჯაფარიძე), გვიანი ბრინჯაო, ადრეული რკინა (გერმანე გობეჯიშვილი).

აღსანიშნავია ის დიდი ღვაწლი, რომელიც ეკუთვნით არქეოლოგოსებს საქართველოს ტერიტორიაზე ანთროპო- და სოციოგენეზისის განვითარების შესწავლაში. ამ მხრივ მათ მომავალშიც ბევრის გაკეთება შეუძლიათ. არქეოლოგოსების წყალობითაა, რომ დამწერლობამდელი ხანის ჩვენი ისტორია, აქამდე ბნელით მოცული, ახლა მნიშვნელოვანწილად გაშუქდა. ის, რაც უწინ ზოგადი მსჯელობის რამდენიმე გვერდით შემოიფარგლებოდა, ახლა ვრცელი ფუნდამენტალური ნაშრომის რამდენიმე ასეულ გვერდს იკავებს. ვფიქრობთ, ამ მიმართებით შეუძლებელია გადაჭარბებით შევაფასოთ ქართული არქეოლოგიის მიღწევები. მაგრამ არქეოლოგია თავისთავად, რაგინდ დიდი წარმატებებიც არ უნდა ჰქონდეს, ისტორიული მეცნიერების დამხმარე დისციპლინაა; არსებობს დიდი განსხვავება არქეოლოგიური მასალის არქეოლოგიურ დონეზე და ისტორიული მეცნიერების დონეზე გააზრების შორის. უკანასკნელი გულისხმობს

საკუთრივ არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და საერთოდ ისტორიული პროცესის ყოველმხრივ გააზრებას. ადვილია ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების ჩვენებით შემოფარგვლა, მაგრამ მეცნიერებისათვის ყველაზე ფასეულია ამასთან ერთად სოციალური, პოლიტიკური, სულიერი, დემოგრაფიული, ეთნიკური და სხვ. პროცესების ჩვენებაც. ეს კი ისტორიული აზროვნების ფართო ჰორიზონტთან ერთად მის მაღალ თეორიულ დონესაც გულისხმობს. სამწუხაროდ, ამ მიმართებით სარეცენზიო წიგნში ბევრი რამ ვერაა სათანადო სიმაღლეზე. თხრობა ძირითადად იფარგლება არქეოლოგიური მასალის აღწერით, ამის წაკითხვა კი მკითხველთა ფართო – და არა მარტო ფართო! – მასისათვის შეუძლებელია – (შეგახსენებთ, რომ წიგნი გამოცემულია ოცდათასიანი ტირაჟით!). მაგალითისათვის შეეჩერდებით ენეოლითის პერიოდზე. შესაბამისი თავი იწყება ამ არქეოლოგიური ეპოქის ზოგადი დახასიათებით, საუბარია საქართველოში გათხრილ ძეგლებზე. შემდეგ აღწერილია სახლების ტიპები, ქვისა და ძვლის ნაწარმი, კერამიკული ნივთები, ლაპარაკია სპილენძის ნივთების დამზადებაზე, მიწათმოქმედებაზე, მესაქონლეობაზე, სკულპტურულ ძეგლებზე, მეტად მცირე ადგილი აქვს დათმობილი დაკრძალვის რიტუალის აღწერას. ისტორიული პროცესის ასეთი გადმოცემა ძალზე ადვილია, მაგრამ იგი არ შეესაბამება ჭეშმარიტი მეცნიერების დონეს.

„ნარკვევების“ I ტომის არქეოლოგიური ნაწილი და ის თაიც კი, რომელიც კულტურას ეხება (ავტორი ანდრია აფაქიძე), ძალიან გადატვირთულია ტექნოლოგიის ჩვენებით (განსაკუთრებით თიხის ჭურჭლის დამზადებისა). ამას ვერ იტანს არათუ ისტორიოგრაფიული, არამედ თვით პოლიტეკონომიური ხასიათის ნაშრომიც კი. ამ ყველაფრის გააზრება აუცილებელია, მასზე წერაც საჭიროა, მაგრამ არა აღნიშნული სახის განმაზოგადებელ შრომაში.

არქეოლოგიაში მიღებული პერიოდიზაცია აკტორებს ისტორიაშიც გადმოუტანიათ. ცნობილია, რომ ლუის მორგანმა და ფრიდრიხ ენგელსმა არ მიიღეს არქეოლოგოსებს შორის უკვე იმ დროს გავრცელებული პერიოდიზაცია არქაული საზოგადოების შესწავლის მიმართ. ამ საზოგადოების პერიოდებად დაყოფის კრიტერიუმი ახლაც სადავოა საბჭოთა ეთნოგრაფოსებს შორის. პრიმიტიული ქვის დამუშავების ტექნიკაში, სპილენძისა და ბრინჯაოს მეტალურგია არ ყოფილან ისეთი არსებითი

ხასიათისა, რომ საფუძველი შეექმნათ საზოგადოების შესაბამისი პერიოდების მნიშვნელოვანი განსხვავებისათვის. ნაშრომის 95-ე გვერდზე სწორადაა მითითებული ცეცხლის მნიშვნელობა (გვხვდება არასწორი გამოთქმა: „ცეცხლის მილების გამოგონება“, გვ. 95), რომელიც უტოლდებოდა სხვა პირობებში რკინის მეტალურგიაზე გადასვლას. 120-ე გვერდზე ვკითხულობთ: „თიხის ჭურჭლის დამზადება ნეოლითისათვის იმდენადვე ნიშანდობლივია, რამდენადაც ქვის გახეხვა-გაპრიალება“ მცენარეთა მოშენება და ცხოველთა მოშინაურება სამართლიანად დახასიათებულია, როგორც „უდიდესი გადატრიალება, რაც კი მომხდარა ქვის ხანის ადამიანის სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებაში“ (გვ. 121). მეურნეობის ამ პროგრესს ავტორი (ა. კალანდაძე) „ნეოლითური რევოლუციის“ მთავარ შინაარსად მიიჩნევს (იქვე). ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ საკითხავია, ჩვენში არქაული საზოგადოების პერიოდებს რატომ დაედო საფუძვლად ისეთი მომენტები, რომელნიც სამეურნეო ცხოვრებაში სულაც არ ასრულებდნენ უპირველეს როლს. ასეთი როლი მხოლოდ რკინის მეტალურგიამ შეასრულა. ამიტომაა, თუ სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლების აღწერას არ მივიღებთ მხედველობაში, შესაბამისი „არქეოლოგიური ეპოქების“ მთლიანი დახასიათება საერთოდ ერთმანეთს ემთხვევა, ოღონდ ავტორები ამას აშკარად არ აღიარებენ.

ჩვენი აზრით, არქაული საზოგადოების პერიოდიზაცია უთუოდ მოიგებდა, თუ დაეფუძნებოდა ასეთ დაყოფას: მითვისებლური მეურნეობა, მწარმოებლური მეურნეობა (მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლის ხანიდან), გუთნური მიწათმოქმედება რკინის მეტალურგიაზე გადასვლის ხანიდან მოყოლებული.

ყოველივე ამის გამო ჩვენ დავასკვნით, რომ სარეცენზიო წიგნში თავმოყრილი მასალა, რომლის უდიდეს მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მხოლოდ საფუძველია ნამდვილი ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომისათვის, და ამ მხრივ ბუშობის წარმართვა ჯერ კიდევ მომავლის საქმედ რჩება.

წიგნის მეხუთე თავი, რომელიც ქართველების წარმომავლობას ეხება, ეკუთვნის გიორგი მელიქიშვილს. მისი თვალსაზრისი აღნიშნულ პრობლემაზე ბევრად უფრო ფრთხილია, ვიდრე ეს ივანე ჯავახიშვილსა და სიმონ ჯანაშიას ჰქონდათ ჩამოყალიბებული. გ. მელიქიშვილის აზრით, ქართველთა ეთნოგენეზისი უფრო რთული გასაგებია.

ენათმეცნიერთა შრომებზე (განსაკუთრებით გიორგი კლიმოვისა) დაყრდნობით იგი ალიარებს, რომ სვანურ, მეგრულ-ჭანურ და საკუთრივ ქართულ ლექსიკაში არსებული საერთო სიტყვები მიუთითებენ, რომ საერთო-ქართველურ ეპოქაში ეს ქართველური ეთნიკური ჯგუფები ცხოვრობდნენ კავკასიის ტერიტორიაზე, და საერთო ეპოქა ვრცელდებოდა მესაქონლეობის განვითარების ხანაშიც. თითქოს უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის უნდა დაწყებულიყო საერთო-ქართველური ფუძეენიდან სვანურის გამოცალკევება, ხოლო ძვ. წ. VIII საუკუნიდან კი – ქართულ-ზანური ერთობის დაშლა. ასე რომ, ძვ. წ. I ათასწლეულის შუახნისათვის ეს ერთობა თითქოს უკვე დაშლილი უნდა ყოფილიყო. ეს დასკვნები ემყარება ე. წ. გლოტოქრონოლოგიურ მეთოდს.

ამრიგად, ქართველური ტომები უძველესი დროიდან, – ყოველ შემთხვევაში ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს მეცნიერებაში დიდხანს მიაჩნდათ, – ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ვრცელდებოდნენ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე. ქართველი ხალხი ახდენდა ასიმილაციას სხვა ხალხებისა – ხურიტებისა, ურარტულებისა, უცნობი ჯგუფის ინდოევროპელებისა, ალვანური და ჩრდილო კავკასიური მოდგმის ტომებისა და ა. შ. განსაკუთრებით აქტიურობდა ამ მიმართებით ივერიის მოსახლეობა. შემდეგში დიდხანს გრძელდებოდა შინაგადაადგილებები, ქვეყნებისა და ხალხების გავრცელების გაფართოება-შეზღუდვა. შესაბამისად ცვლილებანი ჩვენს ენაშიც იჩენდა თავს.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ ჩვენი ხალხის ეთნოგენეზისის პრობლემის გარშემო კვლავ გაუგებარია. განსაკუთრებით თვალშისაცემია მუშქების პრობლემა. ცნობილია, რომ ეს ხალხი ისტორიის არენაზე ჩნდება ძვ. წ. XII–XI სს-ში, მაშინ როცა ქართულ-ზანური ერთობა თითქოს ძალაში იყო. მესხები და ქართები (იბერები) ამ ერთობიდან გამოყოფას იწყებენ უფრო გვიან. საიდან გაჩნდნენ მუშქები დიაუხისა და კულხას გაერთიანებამდე, როგორც დამოუკიდებელი ეთნიკური ჯგუფი? თუ ქართები და მესხები მომავალ მეგრელ-ჭანებთან ერთად ცხოვრობდნენ, მაშინ ამას ადგილი უნდა ჰქონოდა ჭოროხის აუზსა და მტკვრის სათავეებში. მაშინ როგორღა მოახდინეს ქართებმა (იბერებმა) თრიალეთისა და ჩრდილოეთი ურარტუს მოსახლეობის ასიმილაცია ბევრად

უფრო ადრე? როგორ მოახერხეს მათ ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანში საკუთარი პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა ქართულ-ზანური ერთობის დაშლის დასაწყისიდან სულ რაღაც ორი-სამი საუკუნის შემდეგ?

ასეთი კითხვები მრავალად ჩნდება და მათზე დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა ჯერჯერობით ალბათ შეუძლებელია. ანთროპოლოგიის თვალსაჩინო განვითარება, თანამედროვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ინტენსიური გაშლა, ენათმეცნიერებისა და ტოპონიმიის გაღრმავებული შესწავლა ზემოაღნიშნული ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემის კვლევა-ძიებას მნიშვნელოვნად წასწევს წინ.

ახლა შევჩერდებით იმაზე, თუ როგორაა გაშუქებული „ნარკვევების" I ტომში გვაროვნული წყობილების დაშლა და კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. ამ პრობლემების გამოკვლევა ეკუთვნის გ. მელიქიშვილს. მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, გვაროვნული წყობილების დაშლა და განსაკუთრებით სახელმწიფოს ჩანასახების წარმოქმნა ავტორის მიერ დაკავშირებულია უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებთან. ეს საგანგებოდ დამაჯერებელი ჩანს.

აქ ჩვენ უნდა გადავუხვიოთ და დაეწყოთ იქიდან, თუ როგორ დგას საერთოდ აღნიშნული პრობლემა საბჭოთა მეცნიერებაში.

ცნობილია, რომ 30-იან წლებში უკლასო საზოგადოების დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა ის აზრი, რომელსაც ახლაც იზიარებს ისტორიკოსთა დიდი ნაწილი, და რომელიც არავითარ ეჭვს არ იწვევს ისტორიული მატერიალიზმისა და პოლიტიკური ეკონომიის მკვლევართა აბსოლუტურ უმრავლესობაში. ეს აზრი მდგომარეობს შემდეგში: მეურნეობის ახალი ფორმების გაჩენისა და მეტალურგიის გავრცელების შემდეგ ფართოდ განვითარდა მონათმფლობელობა. მოხდა ძალზე კერძო საკუთრების განვითარება, რასაც თავის მხრივ მოჰყვა საკუთრების (ქონების) კონცენტრაცია უმცირესობის ხელში, ხოლო უმრავლესობამ იგი დაკარგა. ეს რაც შეეხება საკითხის ეკონომიკურ წანამძღვრებს. ხოლო სოციალურად მონური შრომის ფართო განვითარება-ჩამოყალიბებას (მონათმფლობელური საზოგადოების) თითქოსდა ადგილი ჰქონდა მოცემულ საზოგადოებაში უმცირესობის მიერ უმრავლესობის

დამოხებით (იხ. გახსაკუთრებით ი. სტალინის „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ"). მაგრამ ეს ხომ დიდი აბსურდია და იგი აბსოლუტურად არ შეესაბამება ისტორიულ პროცესს თუნდაც ერთ რომელიმე ქვეყანაში.

სინამდვილეში საზოგადოების ჩამოყალიბება მონათმფლობელობის ან ფეოდალიზმის სახით ბევრად დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხდებოდა. მართლაც, გვაროვნული საზოგადოების შეცვლა კლასობრივით ერთბაშად როდი მომხდარა. მათ შორის ადგილი ეკავა გარდამავალი სტრუქტურის მქონე საზოგადოებას. გვაროვნული თემების ადგილს იკავებდა სასოფლო თემები, მიწის კოლექტიური დამუშავება შეიცვალა ინდივიდუალურით, კოლექტიური მიწისმფლობელობა — ინდივიდუალურით. ამ პერიოდში ანტიკურ ქვეყნებშიც კი საზოგადოების წარმოება ეფუძნებოდა წერილი გლეხებისა და ხელოსნების შრომას (ეს შენიშნეს ჯერ კიდევ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა). ამ გარდამავალი ტიპის საზოგადოებაში არსებობდა სახელმწიფოც, როგორც გვაროვნული ორგანიზაციის შემცველი და თავდაცვისა და ირიგაციის ფუნქციების (აღმოსავლეთის მშრალ ქვეყნებში) შემსრულებელი პოლიტიკური ორგანიზაცია. ასეთი ტიპის საზოგადოება ზოგან საკმაოდ დიდ ხანს არსებობდა, ზოგან კი შეიცვალა მონათმფლობელური ან ფეოდალური სტრუქტურით.

ახალმა თვალსაზრისმა აღნიშნულ პრობლემაზე ასახვა პოვა საქართველოს ისტორიული პროცესის ძველი პერიოდის გაშუქებაში, რაც გააკეთა გ. მელიქიშვილმა თავის მოხსენებასა და სტატიაში „ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხი" (იხ. „მაცნე", 1966, N 1). როგორც ვიცით, რეაქცია გ. მელიქიშვილის ამ გამოსვლის მიმართ, როგორც მოწონების, ისე დაწუნება-უარყოფის აზრით, თვალსაჩინო იყო. თუ ერთი ნაწილის მიხედვით იგი ალიქმებოდა როგორც სიახლე ქართულ ისტორიოგრაფიაში, მეორეთა (განსაკუთრებით ეს ითქმის ნოდარ ლომოურის მიმართ) შეხედულებით ეს კარგა ხნის წინათ ცნობილი აზრი გახლავთ, შემუშავებული სიმონ ჯანაშიას მიერ.

ამის თაობაზე ვიტყვით შემდეგს: 1930-იანი წლების დასაწყისში სიმონ ჯანაშია აქ დასმულ პრობლემას სწორი ალღოთი მიუდგებოდა, რომ ჩვენი წინაპრების შესაბამის ისტორიულ პერიოდში ადგილი ჰქონდა მრავალწყობიანობას (ეკონომიკურ სფეროში). ამდენად

სიმონ ჯანაშია იმხანად შორს იდგა ძველ საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოების მტკიცებისაგან. მაგრამ „მოკლე კურსის" გამოსვლის შემდეგ, ი. სტალინის ზეგავლენით, ასევე თითქოსდა ახალ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, მან შეცვალა თავისი უწინდელი თვალსაზრისი და მონათმფლობელობა საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის სახით წარმოიდგინა. მისი რედაქციით 1943 წელს გამოქვეყნებული „საქართველოს ისტორია" ამის თაობაზე არავითარ ეჭვს არ ტოვებს.

მისასალმებელია, რომ ჩვენი ისტორიის აღნიშნული საკვანძო პრობლემა აქ გააზრებულია მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის შესატყვისად და ქართულ ისტორიოგრაფიაში მაინც სიახლეს წარმოადგენს. გადალახულია ის ბარიერები, რასაც უწინ კლეჯაძიება აწყდებოდა, ნაშრომში სწორადაა მითითებული მიზეზები, რის გამოც მონობის ინსტიტუტი ჩვენში ფართოდ ვერ განვითარდა: უშუალო მწარმოებლების აბსოლუტური უმრავლესობის ხელში წარმოების საშუალებების ყოფნა, შედარებით სუსტი, მით უმეტეს კოლხეთში, სახელმწიფოს არსებობა, მის მიერ მონათა რესურსების მოპოვების მიზნით მნიშვნელოვანი ხასიათის დაპყრობითი ომების წარმოების შეუძლებლობა. მართალია, მონობის სუსტად გავრცელების გამო ძველ საქართველოში ვერ მოხდა ეკონომიკისა და კულტურის დიდი აღმავლობა, მაგრამ სამაგიეროდ არც ის დიდი ჩიხი წარმოქმნილა, რამაც დაღუპა ანტიკური ცივილიზაცია. ამიტომ ჩვენი ისტორია ძველი ხანიდან შუა საუკუნეებისაკენ დიდი ზიგზაგით არ წარმართულა.

ნაშრომში ფართოდაა წარმოდგენილი ჩვენში ე. წ. ადრეკლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს სურათი. შესაბამისი საკითხები გაშუქებულია წყაროების მაქსიმალური ცოდნითა და გამოყენებით. ავტორის მიერ ამ მიმართებით ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოტანილი მნიშვნელოვანი პროგრესი ეჭვს გარეშეა.

ცალკე ქვეთავი სათაურით: „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ანტიკური ხანის ქართლში (იბერიაში)" ეკუთვნის დავით ხახუტაიშვილს. საერთოდ, აღნიშნული პრობლემები ძირითადად გადმოცემულია ქართლის (იბერიის) საზოგადოების მიმართ. ეს საცნობით გასაგებია, რადგან ეს ქართული გაერთიანება მაშინ კოლხეთიდან შედარებით უფრო დაწინაურებული იყო და, რაც მთავარია, პირველზე მეტი ცნობები არსებობს.

სამართლიანად მიტოვებულია რა ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიკური წყობილების მონათმფლობელურად აღიარება, ჩვენს შესიტყვებას იწვევს შემდეგი გარემოება: მონათმფლობელური საზოგადოების ჩასახვა-განვითარება-კვდომა ძირითადი შინაარსი იყო ანტიკური საზოგადოებისა საკუთრივ საბერძნეთსა და რომში. ხოლო რაკი ეს პროცესები ძველ საქართველოში არ იყო, ამით აზრი ეკარგება მასთან მიმართებაში ტერმინების „ანტიკური", „ადრეანტიკური", „გვიანანტიკური" და ა. შ. ხმარებას. ასევე დაზუსტებას საჭიროებს ძველი საქართველოს მიმართ ტერმინ „ელინისტურის" მნიშვნელობა. „ელინისტურის" აზრი დღესდღეობით ბუნდოვანია, დროის აღნიშვნის გარდა, იმ საზოგადოებების (აღმოსავლეთში) მიმართაც კი, სადაც მის ხმარებას ასე მიეჩვივნენ. მით უმეტეს, ეს ითქმის ძველ საქართველოსთან მიმართებაში. ეჭვს იწვევს ძველ კოლხეთში „ნახევარდთავისუფალ მიწათმოქმედთა ფართო მასების" მტკიცება (გვ. 414). ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არავითარი ცნობა არ გვაქვს.

ბოლო, მეთხუთმეტე თავი „ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა" (ა. აფაქიძე) ას ოც გვერდზე მეტს მოიცავს. მკითხველი უთუოდ გაოცდება, თუ რა იყო ამდენი სათქმელი წარმართული ხანის საქართველოს კულტურაზე. მით უმეტეს, რომ წიგნში ვანის არქეოლოგიური მასალა გარკვეული მოსაზრებების გამო თითქმის არაა შესული. ამ თავშიც თხრობა მიმდინარეობს ცალკეული ნივთების გარშემო. ხშირია ტექნოლოგიური მონაცემების აღწერა. ფართო გაგებით გააზრებულია კულტურის ცნება: მასში რელიგიის, არქიტექტურის, ქანდაკების, მხატვრული ხელოსნობების, დამწერლობის, თეატრისა და მუსიკის გარდა ნაკულისხმევია სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები, გზები, ქუჩები, ქვაფენილები, კლდეკარები, ხიდები, მელითონეობა, რკინის დამუშავება, ჭიქათმოქმედება, მეთუნეობა, ქვითხუროობა, ქსოვა, ბეჭვა. გასაგებია, რომ მრავალი მათგანი საზოგადოების ყოფა-ცხოვრების ამსახველი გახლავთ და ამ შემთხვევაშიც იხრობა თავისუფალი უნდა იყოს ბეჭრი წერილმანისაგან. ასე მაგალითად, ამ თავში კოლხურ ცხვარზე საკმაოდაა ლაპარაკი (გვ. 761–763). კითხვა ისმის: რა კავშირი აქვს ცხვარს წიგნის იმ თავთან, რომელიც საზოგადოების კულტურას უნდა ასახავდეს? მხოლოდ ის შორეული კავშირი, რომ

მატყლისაგან შალს ამზადებდნენ?! ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ დაკმაყოფილდება მკითხველი ასეთი პასუხით.

წიგნის დასასრულს დართულია საძიებლები: პირთა სახელებისა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელწოდებებისა.

ასეთია მოკლედ ზოგიერთი ჩვენი ზოგადი მოსაზრება „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომის ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ. აქვე უნდა აღვნიშნოთ წვრილმანი შეცდომებიც: წიგნში შეინიშნება წინააღმდეგობანი, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სხვადასხვა თავი სხვადასხვა ავტორებს ეკუთვნის. 208–209-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ ცხენი ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელდა II ათასწლეულის პირველ ნახევარში, 249-ე გვერდზე კი ვგებულობთ, რომ ცხენი აქ მხოლოდ გვიანდელი ბრინჯაოსა (ე. ი. ძვ. წ. 1500-1000 წწ.) და ადრინდელი რკინის ხანაში გაჩნდა. ე. წ. თრიალეთის კულტურის გადმოცემისას ცოტაა ლაპარაკი მისი მატარებელი ხალხის, ყოველ შემთხვევაში თავლსაჩინო ნაწილის, უცხოურ წარმოშობაზე. აქ გვხვდება მტკიცებანი, რომ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი ძველქართულ ოქრომჭედლობას (გვ. 210, 225), რომ ამ კულტურის ბოლოსათვის საფუძველი დაედო აღმოსავლურ-ქართული კულტურის მჭიდრო ტომთა მსხვილ გაერთიანებას (გვ. 229). სხვაგან მითითებულია, რომ თრიალეთის კულტურა სამხრეთიდან ხურიტების ექსპანსიის შედეგია, რომლებიც შემდეგში შეერწყნენ ქართველურ ტომებს (გვ. 354–56, 358–359). არაფერია ნათქვამი ამ ხანის აღმოსავლურ-ქართული ტომების გაერთიანებაზე. 252-ე და 253-ე გვერდებზე გვხვდება მტკიცება, რომ ქართველი ტომები სახელმწიფოებრივი ცხოვრების გზაზე გაიყვანა რკინამ, მაშინ როდესაც წიგნის სხვა ადგილებში სახელმწიფოს ჩანასახები არაა დაკავშირებული ამ მატერიალურ მიღწევასთან. 251-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ რკინის საიდუმლოების ათვისებისათვის ბრინჯაოს წარმოების ტრადიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონდა. 730–731-ე გვერდებზე კი აღნიშნულია, რომ რკინის მეტალურგია აღმოცენებულ იყო ბრინჯაოს ადგილობრივი მელითონეობის ბაზაზე.

აი, სხვა რიგის შეცდომებიც. ადამიანმა „ბუნებაში მანამდე უცნობი სახეები (თუ ჯიშები?) შექმნა“. (გვ. 121). 211-ე გვერდზე სიტყვების: „ტექნიკა“, „ტექნიკური“ მაგიერ ავტობებდა „ტექნოლოგია“, „ტექნოლოგიური“. Д. Пенбери-ს ნაცვლად უნდა იყოს Дж. Пендлбери

(გვ. 226). მტკვრის შესართავის დანაგვიანება (გვ. 451) თუ დაშლამიანება? (რუსულად „заиление"). 454-ე გვერდზე ნახსენებია კაჭრეთის რაიონის სოფ. მახარაძე, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამჟამად რაიონი ასეთი სახელწოდებით აღარ არსებობს (არც დასახელებული სოფელი არსებობს ამ სახელით აღნიშნული ყოფილი რაიონის ტერიტორიაზე). წიგნში ხან ზევახია და ხან ჯავახი მოხსენიებული. პროზნის სახელიც ერთგან ბედრიხია, ხოლო მეორეგან ფრიდრიხი (გვ. 331). ცხადია, ჯობდა ერთ-ერთი ამათგანის ხმარება. თამაზ გამყრელიძის სახელი სქოლიოში მითითებულია როგორც Thomaz (გვ. 345). სიტყვა „რწმენის" მაგიერ უნდა იყოს სარწმუნოება, რჯული (გვ. 575). ქალაქ მირინას მაგიერ მითითებულია მარიანა, რომელიც კრეტაზე კი არ მდებარეობდა, არამედ კვიპროსზე (იხ. გვ. 740). De administratio-ს ნაცვლად უნდა იყოს De administrando, документальному-ს მაგიერ монументальному (გვ. 564) და ა. შ. ასეთი ჩამოთვლა კი, საწუხაროდ, შორს წაგვიყვანდა.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" I ტომის შესახებ. წიგნში მოტანილი მასალა, მთელი რიგი თეორიული ხასიათის დასკვნები მტკიცე საფუძველს წარმოადგენენ ჩვენი ისტორიის შემდგომი გაღრმავებული კვლევა-ძიებისათვის. ამდენად მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, სარეცენზიო ნაშრომის გამოსვლა მისასალმებელი მოვლენაა.

1971 წ.

საქართველოს ისტორია ძველი აღმოსავლეთის საისტორიო კონტექსტში

საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ აზიის (აღმოსავლეთის) და ევროპის (დასავლეთის) მიჯნაზე განაპირობა ჩვენი საზოგადოების ჩართულობა როგორც ძველი აღმოსავლეთის, ისე არტიკური (ბერძნულ-რომაული) სამყაროს ისტორიულ პროცესში. ამ ისტორიული სამყაროების ზემოქმედებამ, ცხადია, გაამდიდრა ჩვენი ისტორიული ევოლუცია. თუ არტიკურ ქვეყნებთან ქართულ საზოგადოებათა (კოლხეთის, ქართლის, ლაზიკის) კონტაქტები ჩვენს არქეოლოგიასა და ისტორიოგრაფიაში კარგადაა წარმოჩენილი (იხ. განსაკუთრებით ო. ლორთქიფანიძის, მ. ინაძისა და ნ. ლომოურის შრომებში), ამას მთლად ვერ ვიტყვით ქართულ საზოგადოებათა და ძველი აღმოსავლეთის კონტაქტების თაობაზე. ასე რომ, განსაკუთრებით ქართულ ისტორიოგრაფიას ამ მიმართებით საკმაო რამ აქვს გასაკეთებელი.

უწინ ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კურსის შედგენისას (კერძოდ, ვ. სტრუვესა და ვ. ავდიევის სახელმძღვანელოებში) საქართველოს ისტორია არ გადმოიცემოდა ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა სისტემაში. თუმცა „ძველი აღმოსავლეთის ისტორიის“ შესავალში ვ. ავდიევი ძველი აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ბუნებრივ პირობათა ტიპად თელიდა მთიანეთს და ამ ქვეყნების კატეგორიაში შეჰქონდა ამირკავკასიაც, მაგრამ, ვიმეორებთ, ამ ისტორიული რეგიონის შესახებ ნაშრომში არ იყო მოთხრობილი. 1955–56 წლებში გამოცემულ „Всемирная история“-ს პირველ და მეორე ტომებში ეს ხარვეზი შეივსო (ალბათ, მნიშვნელოვანწილად გამოცემის ხასიათის გამო). ეს ტრადიცია გაგრძელდა „История Древнего Востока“-ში, რომელიც 1979 წელს გამოქვეყნდა (ვ. კუზიშჩინის რედაქციით) და „История древнего мира“-ს სამტომეულში (გამოვიდა 1982–83 წლებში ი. დიაკონოვის, ვ. ნერონოვას და ი. სვენციცკაიას რედაქციით).[1] 1984 წელს მოსკოვში გამოიცა „Источниковедение истории

1 ჩვენს საერთო დამოკიდებულებას აღნიშნული გამოცემისადმი გამოვხატავთ რეცენზიაში, რომელიც იბეჭდება თსუ-ის „შრომების“ საისტორიო სერიაში.

Древнего Востока" (ე. კუზიშჩინის რედაქციით), სადაც მოკლედ არის მიმოხილული ჩვენი ძველი ისტორიის შესახები წყაროები.

თავისთავად აღნიშნული მოვლენები, რასაკვირველია, მისასალმებელია, და ამ მხრივ ავტორთა და რედაქტორთა მიმართ ჩვენ მადლობის მეტი არა გვეთქმის. მაგრამ შეეხედოთ საქმის მეორე მხარეს, თუ როგორაა გადმოცემული აღნიშნულ კურსებში ჩვენი ძველი ისტორია, არის თუ არა აქ წამოყენებული ანგარიშგასაწევი მოსაზრებანი, რომელთაც შეუძლიათ გაამდიდრონ ქართული საისტორიო აზროვნება, ანდა თუ ეს ასე არ არის, მაშინ როგორ არის ათვისებული ჩვენი ისტორიოგრაფიის მიღწეული დონე, როგორია ავტორთა მიერ ჩვენი საისტორიო წყაროების ცოდნა.

უპირველესად ვიტყვით, რომ აღნიშნულ კურსებში ჩვენ ვერ ვხედებით რაიმე ახალ სერიოზულ დებულებას, რაც რამდენადმე გაამდიდრებდა ჩვენს ცოდნა-წარმოდგენებს ჩვენი ქვეყნის ძველი ისტორიის შესახებ. ისინი კომპილაციური ხასიათისა გახლავთ (ცხადია, ამას არ ეამბობთ წყაროთმცოდნეობის სახელმძღვანელოზე) და უმეტესწილად ეყრდნობა ქართველ ავტორთა ნაშრომებს. ეს გარემოება, ე. ი. ახალი იდეების არარსებობა აღნიშნულ კურსებში ჩვენთვის საკმაოდ გასაგებია, რადგან ისინი დაწერილია მრავალი ავტორის მიერ, რომლებიც ძველი აღმოსავლეთის ისტორიას, საზოგადოებებს ვერ აღიქვამენ ერთ მთლიან ისტორიულ პროცესად, ერთიან სისტემად. ამ ხარვეზს ვერ აკლებენ სარედაქციო კოლეგიის წევრები და რედაქტორი (თითოეული ტომისა). ერთი სიტყვით, ამ, ასე ვთქვათ, უსისტემობაში საქართველოს ძველი ისტორიის თხრობის ჩართვა არაფერი ახლის მთქმელია, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. სამწუხაროდ, აქ განსახილველ წიგნებში გვხვდება რიგი მცდარი დებულებებისა, რომლებიც ვერაითარ კრიტიკას ვერ უძლებენ, მათი სახით ჩვენ საქმე გვაქვს უბრალოდ ელემენტარულ უცოდინარობასთან.

ჯერჯერობით იმის თაობაზე, თუ როგორ არის გააზრებული აღნიშნულ კურსებში ძველ ქართულ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური ბუნება. მკითხველებს შევახსენებთ, რომ უკანასკნელი ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში მარქსისტულ საისტორიო მეცნიერებაში ძველ საზოგადოებათა მონათმფლობელური არსის აზრი ძალიან შერყა. უკბილო მარქსისტები (უწინარეს ფრანგი, ინგლისელი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა) ამ თვალსაზრისს არ იზიარებენ. მათ მიაჩნიათ, რომ მონობა ძველ საზოგადოებებში

(საბერძნეთისა და რომის გარდა) მეორეხარისხოვან სოციალურ ინსტიტუტს წარმოადგენდა. ძირითადი საფუძველი კი გახლდათ მეთემე გლეხობის შრომა, უკანასკნელის ექსპლუატაცია ბიუროკრატიის, როგორც კლასის, მიერ. გარდა ფაქტობრივი მასალისა ამ შეხედულების მომხრეები ეყრდნობიან თვითონ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ნააზრევიდანაც მოცემულ საკითხზე. აღნიშნულ თვალსაზრისს მომხრეები ჰყავს საბჭოთა კავშირშიც (თუმცა დღესდღეობით მათი რაოდენობა ძალზე მცირეა).

მისასალმებელი გახლავთ, რომ ასეთივე თვალსაზრისითაა განხილული საქართველოს ძველი ისტორია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.[2] მაგრამ აღნიშნული სახელმძღვანელოების ავტორები, გამოდიან რა საბჭოურ მეცნიერებაში კლავინდებურად გაბატონებული შეხედულებიდან ძველაღმოსაელური საზოგადოებათა მონათმფლობელური ხასიათის თაობაზე, ძველქართულ საზოგადოებებს (კოლხეთის, იბერიისა) განიხილავენ მონათმფლობელურად. 1979 წელს გამოსულ სახელმძღვანელოში ხაზგასმულია კოლხეთისა და ივერიის (ქართლის) საზოგადოებათა მონათმფლობელური ბუნება (შესაბამისი პარაგრაფის ავტორი გახლავთ პროფესიით ისტორიკოსი ა. ვიგასინი). „История древнего мира"-ს მეორე წიგნში აღნიშნულია კოლხეთში მონათმფლობელური წარმოების წესის („ფართო მნიშვნელობით") არსებობა.[3]

მაგრამ რას ნიშნავს მონათმფლობელური წარმოების წესი ფართო აზრით? ფაქტობრივად რაკი აღიარეს საკუთრივ მონობის, მონათმფლობელობის უმნიშვნელობა ძველ საზოგადოებათა უმეტეს ნაწილში, რიგი საბჭოთა მკვლევრებისა ი. დიაკონოვის მეთაურობით ცდილობს მონობის კატეგორიით გაანაზრონ ექსპლუატაციის სხვაგვარი ფორმებიც. მაგრამ თავი რომ დავანებოთ ამ მცდელობის უსაფუძვლობას, მონობა ექსპლუატაციის ამ ფორმების ჩათვლითაც კი მეთემე გლეხობისა და წერილი; დამოუკიდებელი ხელოსნების შრომასთან შედარებით მაინც აშკარად უფრო ნაკლებ როლს ასრულებდა ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა მატერიალური წარმოების სფეროში, ამდენად — მთელს სოციალურ სისტემაში. ეს მით უმეტეს ითქმის ძველი კოლხეთის შესახებ, სადაც არამონური, პირდაპირი ექსპლუატაციის (არა

2 იხ. გ. მელიქიშვილის შრომები. შეგნიშნავთ, რომ ანალოგიური პოზიციიდან მოგვყავს საკითხის ს. ჯანაშიას 1930-იანი წლების პირველ ნახევარში.

3 იქვე, გვ. 400

სახელმწიფოს მეშვეობით) ფორმას, როგორც ჩანს, უფრო ნაკლებ პერსპექტივა ადგილი, ვიდრე ძველ ქართლში (იგულისხმება ლაოსი, სამხრეთ გლეხების ექსპლუატაცია). თუმცა იერარქიის მიმართ მორჩილებითი წარმოების წესის ფორმით პირდაპირ არ არის ალიარებული. მაგრამ, აშკარად ჩანს, რომ ავტორები (ი. დიაკონოვი, ვ. ნერსესოვა და ი. სვენციცკაია) ამას თავისთავად გულისხმობენ.

ცნობილია, თუ აზრთა როგორი სხვადასხვაობა გამოიწვია ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთმა სტრაბონისეულმა ცნობამ იბერიის შესახებ: „საერთო აქვთ მათ (ე. ი. იბერებს – გ. ყ) ქორება ნათესაობისდა მიხედვით". ამასთან დაკავშირებით ჩნდება, და საკმაოდ ლოგიკურადაც, კითხვები: ეხებოდა ეს ცნობა ძველი ქართლის (იბერიის) მთელს მოსახლეობას, თუ მის მეოთხე გვეროსს (ფენას), და თუ ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ გარემოებას, მაშინ იგულისხმება სახოფლო თემის თუ დიდი ოჯახის საკუთრება და ა. შ. ამ კითხვებს ავტორებმა გვერდი აუარეს და სტრაბონისეული მნიშვნელოვანი ცნობა ინტერპრეტაციის გარეშე დატოვეს. ასე რომ, მკითხველთა ფართო მასამ შესაძლოა იგულისხმოს ძვ. წ. I – ახ. წ. I სს. ქართლში გვაროვნული წყობილების ყოველ შემთხვევაში მნიშვნელოვანი მასშტაბით არსებობა.

ავტორები მთლიანად ძველ ისტორიას ყოფენ სამ პერიოდად: ადრეულ, აყვავებისა და დაცემისა. კოლხეთისა და იბერიის ისტორია მათ მიხედვით მოდის მეორე და მესამე პერიოდებზე. მაგრამ ისინი მხოლოდ ფორმალურ პერიოდიზაციას იძლევიან და არსებითს არაფერს ამბობენ ამ პერიოდების ჩვენეულ ისტორიულ პროცესზე. კერძოდ ძველი ეკონომიკური, სოციალური და ა. შ. სტრუქტურების აყვავებასა და დაცემაზე, ახალ საზოგადოებაზე (ფეოდალიზმზე) გადასვლის მექანიზმზე. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ ერთ შეუსაბამობას. ა. ვიგასინის მიხედვით ძვ. წ. ბოლო საუკუნეებისა და ახ. წ. პირველი საუკუნეების ამიერკავკასიის, კერძოდ ქართული, საზოგადოების ისტორია გამოდის ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ქრონოლოგიური ზღვრიდან.[4] „ძველი მსოფლიოს ისტორიის" ავტორებს კი ეს ზღვარი, მათ შორის ჩვენი ძველი ისტორიისათვის, ახ. წ. V საუკუნემდე მოაქვთ (სინქრონიზაცია ანტიკური საზოგადოების ფინალთან!).

არაფერს მთქმელია ავტორთა ლიტონი განცხადება იმის თაობაზე,

4 იხ. „Источниковедение...", გვ 198.

რომ ამიერკავკასიის ქვეყნებში საწარმოო ძალების განვითარების დონემ მაღწია ძველი აღმოსავლეთის „კლასიკური" ქვეყნებისას,[5] რა პირობებშიც „ძველმა ფორმაციამ" თითქოს ამოწურა თავისი თავი. სინამდვილეში საქართველოში ე. წ. ადრეკლასობრივი საზოგადოების შეცვლა ფეოდალურით სერიოზულ მეცნიერულ ახსნას საჭიროებს, რასაც, ცხადია, ვერ მოვთხოვთ ი. დიაკონოვს, ვ. ნერონოვასა და ი. სვენციცკაიას.

გარდა ძველი აღმოსავლეთის სისტემისა ქართული საზოგადოებანი (განსაკუთრებით კოლხეთი) დიდი ხნის წინათ იყო ჩართული ანტიკური ცივილიზაციის ორბიტაში და ამდენად განიცდიდა მის ზემოქმედებას. ეს მომენტიც ავტორებს შეუმჩნეველი დარჩენიათ.

ასევე არაა გარკვეულად ნათქვამი, არსებობდა თუ არა სახელმწიფო (რასაკვირველია, პოლიტიკური წყობილების მნიშვნელობით) კოლხეთსა და იბერიაში ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. ამის თაობაზე ვ. კუზიშჩინის რედაქციით გამოსულ სახელმძღვანელოში მხოლოდ საისტორიო ტრადიციაზეა მითითებული.[6] საკითხის შესახებ ბუნდოვანი მსჯელობაა „История древнего мира"-ში.[7] „ძველი აღმოსავლეთის წყაროთმცოდნეობაში" თუმცა რამდენჯერმე კი არის მინიშნებული ძველ კოლხეთში სახელმწიფოს არსებობის ფაქტი, მაგრამ ძველი ქართლის თაობაზე მასში ვკითხულობთ: „ასეთივე დასკვნას აკეთებენ ზოგჯერ (!) აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებსაც, ეყრდნობიან რა, მაგალითად, მცხეთრული სამარხების მასალებს ყაზბეგში, ახალგორში (ავტორმა, ცხადია, არ იცის, რომ ამ პუნქტს ახლა სხვა სახელწოდება აქვს, თანაც განძი აღმოჩენილ იქნა სოფ. საძეგურში — გ. ყ) და სხვაგან"." ეს არის და ეს. ნუთუ ძველ ქართლში სახელმწიფოებრიობის არსებობას მხოლოდ ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს და თანაც ოდენ აქ მოხსენიებული არგუმენტით. სინამდვილეში, რასაკვირველია, ამ დებულების მტკიცებისათვის ჩვენ ხელთა გვაქვს საკმაოდ მყარი საფუძველი ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის სახით, ტრადიციისა, რომელიც დადასტურა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ,

---

5 იხ. История древнего мира, 2, გვ 414.

6 იქვე, გვ 228.

7 იქვე, გვ 399-400, 401-402.

8 იქვე, გვ 197.

ეპიგრაფიკულმა ძეგლებმა. აღნიშნული ფაქტი, ე. ი. ძველ ქართლში, ფარნავაზის ხანიდან მოყოლებული სახელმწიფოს არსებობა, ამჟამად საყოველთაოდ აღიარებული გახლავთ. სამწუხაროდ, ავტორები არაფერს ამბობენ ქართულ წინასახელმწიფოებრივ გაერთიანებებზე, რომლებიც, აშკარაა, ტომთა კავშირზე უფრო ფართონი და რთული სტრუქტურისა იყვნენ.

სახელმწიფო წარმოშობა-არსებობის საკითხთან დაკავშირებით ვიტყვით ერთი გარემოების შესახებ. ამ პოლიტიკური ინსტიტუტის წარმოშობა-არსებობას უწინ და ახლაც საბჭოთა მკვლევართა უმეტესობა განიხილავდა და განიხილავს როგორც ფუნქციას (მათემატიკური აზრით) კერძო საკუთრებისა და შესაბამისად მესაკუთრე კლასის მიმართ. მაგრამ ისტორიკოსებს, მით უმეტეს ამჟამად, კარგად მოეხსენებათ, რომ ძველ საზოგადოებებში და შემდეგაც სხვა ისტორიულ რეგიონებში სახელმწიფოებრიობა ჩამოყალიბებული ფორმით არსებობდა... კერძო საკუთრების უმნიშვნელო განვითარების პირობებში! როგორ შევათანხმოთ ეს გარემოება ფართოდ გავრცელებულ შეხედულებასთან? კერძოდ, როგორ გაიგოთ ეს კოლხეთისა და ივერიის მიმართ? რა თქმა უნდა, ამაოა ავტორებთან ამაზე პასუხი ვეძიოთ. აღნიშნულ საკითხზე გარკვეითაა მითითებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ამაზე აქ ვერ შევჩერდებით.

პირველი წიგნის შესავალში ავტორები — თეითონ სარედაქციო კოლეგიის წევრები აღნიშნავენ ენეოლითის (სპილენძ-ქვის) ხანაში სუბტროპიკული ზონის რიგ სხვა მდინარეთა დარად საირიგაციოდ არაქსისა და მტკვრის გამოყენების შეუძლებლობას. მაგრამ რა შეიცვალა ამ მიმართულებით ბრინჯაოსა და რკინის ხანებში? ამაზე წიგნის შესაბამის ადგილებში არაფერია ნათქვამი, რაც საესებით კანონზომიერია, ვინაიდან უწინ არაქსი და მტკვარი არასდროს ითვლებოდნენ საირიგაციო მდინარეებად, ხოლო ურარტუ, სომხეთი, ქართლი და ალვანეთი — საირიგაციო ცივილიზაციებად.

განხილულ სახელმძღვანელოებში აღნიშნულია, რომ „ქართლის ცხოვრების“ პირველი თხზულება, რომელიც უძველეს პერიოდს ასახავს, შეიქმნა XI საუკუნეში ლეონტი მროველის მიერ ზეპირგადმოცემებზე დაყრდნობით. მაგრამ როგორ შეძლო XI საუკუნის ისტორიკოსს მოეთხრო 13—14 საუკუნის წინანდელი ხანისტორიო

ვითარებიდან მოყოლებული, ნამდვილად მომხდარი ფაქტები მხოლოდ ზეპირგადმოცემებზე დაფუძნებით. ასეთი ფენომენალური საისტორიო მეხსიერება ხომ არც ერთ ხალხს არ გამოუჩენია. სინამდვილეში, როგორც ეს აღიარებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში (ა. სვანიძე, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, გ. წერეთელი, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი) მარტივი ტიპის ქრონიკები, შესაბამისად წერილობითი საისტორიო ტრადიცია ჩვენს წინაპრებს ლეონტი მროველამდე დიდი ხნის წინათ, ალბათ, ფარნავაზის ხანაში, ჰქონდათ შექმნილი. სხვათა შორის, „ძველი აღმოსავლეთის წყაროთმცოდნეობაში“ „ქართლის ცხოვრება“ „მეფეთა ამბავად“ არის განმარტებული,[9] რაც იმდენად ელემენტარული ჭეშმარიტება გახლავთ, რომ მისი განმარტებისათვის ჩვენ თავს უხერხულად ვგრძნობთ. ღირს კი ვთქვათ: „მეფეთა ამბავი“ „ქართლის ცხოვრების“ მხოლოდ პირველ შემადგენელ თხზულებას წარმოადგენს და, რასაკვირველია, არა მთლიანად „ქართლის ცხოვრებას“.

რაკი სიტყვამ წყაროთმცოდნეობის საკითხი მოიტანა, დავუმატებდით სხვა ლაფსუსებსაც მოხსენიებული სახელმძღვანელოდან. მასში ლაპარაკია ჰეროდოტეს თხზულებასა და ქსენოფონტეს „ანაბასისზე“, როგორც საისტორიო წყაროებზე სომხეთის ისტორიის შესახებ. მაგრამ ისინი ხომ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ჩვენს ძველ ისტორიაზეც. მაგრამ ამის თაობაზე, აგრეთვე ჰიპოკრატესეულ ცნობებზე კოლხეთის შესახებ, სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი.

მცდარია ასის აღნიშვნა, რომ თითქოსდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შეიცავს მეფეთა ნუსხას ახ. წ. IV საუკუნემდე.[10] სინამდვილეში თხზულებაში ეს სია ქართლში მეფობის გაუქმებამდეა მოტანილი. ამის შემდეგ კი გადმოცემულია ერისმთავართა სია. აღნიშნული თხზულების დათარიღების თაობაზე ჩვენს მეცნიერებაში ერთიანი აზრი არ არსებობს: ზოგი მას მიიჩნევს VII საუკუნის, ზოგი კი — IX საუკუნის ძეგლად, ხოლო „ძველი აღმოსავლეთის წყაროთმცოდნეობაში“ მისი შექმნის ხანად ახ. წ. I ათასწლეულის ბოლო მესამედია მითითებული.[11]

---

9 დასახ წიგნი, გვ 197.

10 იქვე.

11 იქვე.

მიეუთითებთ რიგ სხვა უმართებულო, მცდარ მოსაზრებებსაც, რაც განხილულ კურსებში გეხვდება.

„ძველი მსოფლიოს ისტორიის“ მესამე წიგნის მიხედვით ახ. წ. 70-იანი წლების შემდგომ თითქოს რომმა იერიის თხოვნით გარისკონები ჩააყენა ჩვენს ქვეყანაში სომხეთისა და ალანების (ოსთა წინაპრების) წინააღმდეგ.[12] ასევე, აეტორთა ვარაუდით, ის რომაული ლეგიონი, რომელმაც 90 წლის (ახ. წ.) ახლოხანს კასპიის ზღვის სანაპიროს მიაღწია, შესაძლოა განლაგებულ იქნა იერიაში (იქვე). თუ ამ ლეგიონის (შეგახსენებთ რომაული ლეგიონი საშუალოდ ხუთი ათასამდე ჯარისკაცს ითვლიდა) დავუმატებდით თითქოსდა აღმოსავლეთ საქართველოში მყოფ დანარჩენ რომაულ გარნიზონებსაც, მაშინ გამოდის, რომ ძველი ქართლი ოკუპირებული ყოფილა რომის მიერ. ეს მაშინ, როდესაც, აეტორთა აღიარებით, იმპერატორ ნერონის ზეობისას 63 წ. (ახ. წ.) რომაელებმა ვერ შეძლეს, ზღვისპირა ელინიზებული ქალაქების გარდა, კოლხეთის დამორჩილება.[13] ასეთი მოსაზრება აშკარა შეუსაბამობაშია ყოველივე იმასთან, რაც ჩვენ იერია-რომის ამ პერიოდის ურთიერთობების შესახებ ვიცით. უტყუარი საისტორიო ცნობა იერიაში მხოლოდ კომორტის (ხუთასი კაცის შემადგენლობით) გამოგზავნას ითვალისწინებს! მკითხველებს შეგახსენებთ, რომ ეს მოხდა იმპერატორ ადრიანეს ზეობაში (117–138 წწ.).

წიგნში ვკითხულობთ: „როგორც ჩანს, იბერიაში, ისევე როგორც ხმელთაშუაზღვეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ქრისტიანობა პოპულარობით სარგებლობდა ხალხის ქვედა ფენებში და სახელდობრ ამიტომ მოსახერხებელ იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენდა მათ შესარიგებლად ფეოდალიზაციის მძიმე სინამდვილესთან“.[14] აეტორთაგან განსხვავებით ქართული ისტორიოგრაფია ახალი რელიგიის გაერცელებას პირველ რიგში უკავშირებს მეფის ხელისუფლებასა და წარჩინებულთა (აზნაურთა) ინტერესებს, შესაბამისად – მათს აქტიურობას. თუ ი. დიაკონოვსა და სხვებს ეს თვალსაზრისი არ მიაჩნიათ სწორად, მაშინ მათ მეტი მართებდათ ამ უკანასკნელის გასაბათილებლად. მით უმეტეს ისინი მოვალენი იყვნენ მოეხსენებინათ აღნიშნული თვალსაზრისი.

12 დასახ. ნაშრომი, 219-220.

13 იქვე.

14 იქვე.

იმავეს ვიტყვით არმაზის კულტის თაობაზე. ავტორთა მიხედვით ეს ღვთაება უფრო ზორიასტრული ატურა-მაზდა გახლავთ.[15] ეს თვალსაზრისი არაა ახალი, მას იზიარებდა ნიკო მარი. მაგრამ შემდგომში ქართულმა მეცნიერებამ უარყო აღნიშნული მოსაზრება. ავტორთა მიერ ასე ხელაღებით მტკიცება ძველი დებულებისა, რა თქმა უნდა, არაფერს არ იძლევა.

ავტორთა მიხედვით ქართული საზოგადოების ფეოდალიზაციის პროცესში თავისუფალ მეთემე გლეხთაგან გამოიყოფოდა ზედა, წარჩინებულთა ფენა – მთავრები და ერისთავები.[16] ჩვენს ძველ ისტორიაზე ელემენტარული წარმოდგენაა საჭირო იმის ცოდნისათვის, რომ შესაბამის პერიოდში ზედაფენის წარმომადგენლები იწოდებოდნენ აზნაურებად, ერისთავები კი არსებობდნენ ჯერ კიდევ ფარნავაზის ხანიდან, ხოლო სოციალური ტერმინი „მთავარი" მოგვიანებით ჩნდება.

ამავე გვერდზე აღნიშნულია, რომ ქართული სამეფოების წარმოშობამდე ქვეყანა შედგებოდა „ჩაკეტილი თვითმმართველი ველებისაგან"(!) (ალბათ ხევებს გულისხმობენ), რომელთაც თითქოს „სოფელი" ეწოდებოდათ. სინამდვილეში ამ ტერმინს არასოდეს არ ჰქონია შსგავსი, ხევის მნიშვნელობა, მით უმეტეს მთელი საქართველოს მასშტაბით სიტყვათხმარებისას.

ავტორები უარყოფენ ქართული დამწერლობის არსებობას ახ. წ. V საუკუნეზე ადრე. კიდევ მეტი, ვფიქრობთ, ისინი იზიარებენ ქართული ანბანის შექმნის იდეას ძირითადად მესროპ მაშთოცის მიერ. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს ვხედავთ მათ ალიარებაში, რომ ხომხური ტრადიციის თანახმად ქართული ანბანი შემოღებულ იქნა (!) ქართველი ჯალას მიერ,[17] რომ მესროპს თითქოს შეუსწავლია „კავკასიური ენებიც".[18] ისინი მიუთითებენ ჩვენში მშობლიურ ენაზე ლიტერატურის, ჰაგიოგრაფიის სახით, შექმნას V–VI საუკუნეებში[19] (რა შუაშია აქ VI საუკუნე?). ცნობილია, თუ როგორი რთული და სერიოზული გახლავთ აქ წამოჭრილი საკითხები, რომ მათ შესახებ ქართულ მეცნიერებას კატეგორიული პასუხი ჯერჯერობით არა აქვს.

15 იხ. История древнего мира, 2, გვ. 413.
16 იქვე, გვ. 223.
17 იქვე, გვ. 221.
18 იქვე, 210.
19 იქვე.

რაკი ასეა, მაშინ როგორღა შეიძლება ზერელე, ზედაპირული მსჯელობით ასეთი კატეგორიული დასკვნის გაკეთება. სჩვას რომ თავი დავანებოთ, ისტორიზმის ოდნავი ალღოსა და უნარის თვისებაც კმარა იმის დასანახავად, რომ ფორმითა და შინაარსით ისეთი სრულყოფილი თხზულება, როგორიცაა „შუშანიკის წამება“, არ შეიძლება თავდაპირველი ლიტერატურული ნაწარმოები იყოს.

ამავე წიგნში ვკითხულობთ, რომ ძველად კოლხეთი (დასავლეთ საქართველო), ისევე მრავალტომიანი (ტერმინ „ტომის“ ეთნოგრაფიაში გავრცელებული მნიშვნელობით) იყო, როგორც ალვანეთი.[20] მოუთითებენ ანტიკურ წყაროს (თუმცა კონკრეტულად არა), რომლის მიხედვითაც ქალაქ ფაზისში რომაელებს თითქოს ასზე მეტი თარჯიმანი სჭირდებოდათ (სინამდვილეში წყარო ასახელებს სამოც (და არა 100!) ენას (და არა თარჯიმანს!). იგივე წყარო გულისხმობს ინდოეთიდან და ბაქტრიიდან ჩამოსულთა ენებსაც ჩვენი შეხედულებით კი დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, მათ შორის შუა რეგიონი, სადაც ხსენებული ქალაქი მდებარეობდა, ასეთი მრავალტომიანი არ ყოფილა, აქ ფუნქციონირებდა სამი ენა: ლაზური (მეგრულ-ჭანური), სვანური და ქართული (ეს უკანასკნელი ზემო იმერეთში, აჭარაში და ჭოროხის აუზის ქვემოთში). ამდენად თვით მეგრულ-ჭანურსა და სვანურ ენებში დიფერენციაცია მხოლოდ დიალექტების დონეზე თუ ისაზღვრებოდა. დანარჩენი ენების მატარებელნი უმეტესად ჩრდილო კავკასიიდან მოსულნი იქნებოდნენ; უპრიანია მოვიგონოთ სტრაბონისეული ცნობაც იმაზე, რომ დიოსკურიაში თავს იყრიდნენ 70 ტომის წარმომადგენლები.

წიგნის 224-ე გვერდზე ავტორები ძველი ქართლის თავისუფალი მოსახლეობის ნაწილის მიმართ ოპერირებენ „მოქალაქის“ ცნებით, ნაწილს კი, მათ თანახმად, თურმე არ ჰქონიათ ეს სტატუსი.[21] ქართული ისტორიოგრაფიისათვის ეს თვალსაზრისი მიუღებელია და სავსებით სწორადაც. „მოქალაქე“ — ეს პოლიტიკურად ძალზე განვითარებული საზოგადოების (დემოკრატიული) ცნებაა და ძველი ქართული სახელმწიფოებისათვის იგი შეუფერებელია (სხვათა შორის, ი. დიაკონოვი „მოქალაქეს“, „მოქალაქეობას“ ხედავს თვით ძველი აღმოსავლეთის დესპოტურ სახელმწიფოებშიც კი!).

20 იხ. წიგნი, გვ. 221-222.

21 იქვე, გვ. 414.

ამავე გვერდზე აღნიშნულია, რომ არც ერთ ბარბაროსულ ტომს არ შეუღწევია ქართულ სახელმწიფოებში ხანგრძლივი დროით (ალბათ ავტორები გულისხმობენ ახ. წ. V საუკუნემდელ პერიოდს). მაგრამ წინა გვერდზე ისინი მიუთითებენ დასავლეთ კავკასიონიდან და პონტოს მთებიდან ტოჰობრივი ჯგუფების, ე. ი. ბარბაროსების ჩამოსვლას და დასახლებას.

ამავე მარცელინუსთან მოხსენიებული მეფე მერიბანი ავტორებს სხვა მეფედ და არა მირიან III-დ მიუჩნევიათ.[22] მაგრამ ეს ეწინააღმდეგება ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ შეხედულებას.

მესამე წიგნის 213-ე და 221-ე გვერდებზე ჩვენი დიდი მეფე ვახტანგ I „მგლის თავად" მოიხსენიება, ისე რომ მკითხველთათვის არ არის განმარტებული, თუ რატომ შეერქვა მას ეს მეტსახელი. სომხეთის ისტორიის თხრობისას აღნიშნულია, რომ 481–84 წლებში მომხდარი ანტიერანული აჯანყების მოთავე ყოფილა ვაჰან მამიკონიანი და მას ამ საქმეში ეხმარებოდა ვახტანგ გორგასალი.[23] მაგრამ, მადლობა ღმერთს, საკუთრივ ჩვენი ისტორიის თხრობისას ავტორები აღნიშნავენ აჯანყების ხელმძღვანელობას მხოლოდ ჩვენი მეფის მიერ.[24]

ავტორები მოიხსენიებენ ტაოხების ხურიტულ სახელმწიფოს,[25] ლაპარაკობენ ივერიის დიდებულთა ფენაში სარმატულ-ალანური ელემენტის საგრძნობ ნაწილზე.[26] მართალია ეს მოსაზრებანი მათ გ. მელიქიშვილისგან აქვთ ნასესხები, მაგრამ ბეჭრს არაფერს ნიშნავს: ისინი ოდენ აპრიორული, დაუსაბუთებელი ვარაუდების სახით არიან გამოთქმულნი და გასმეორებულნი. ასეთი ვარაუდები კი მით უფრო დაუშვებელი გახლავთ სახელმძღვანელოში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასპერები აღიარებულია აღმოსავლურ პროტოქართულ ტომად.[27]

---

22 იხ. „История древнего мира", 3, გვ 220.

23 იქვე, გვ 213.

24 იქვე, გვ 221.

25 იხ. წიგნი 2, გვ 399.

26 იხ. წიგნი 3, გვ 219

27 იხ. წიგნი 2, გვ 401 (ამჯერად გ. მელიქიშვილისაგან განსხვავებით, რომელიც მათ ხურიტებად თვლის, ასევეა ეს მიჩნეული „საბჭოთა საისტორიო ენციკლოპედიაში", იხ. ტ 12, გვ 572).

„ძველი მსოფლიოს ისტორიის“ მესამე წიგნს დართული აქვს ერთ-ერთი რუკა, სადაც ჰაიასა (სომეხთა უძველესი გაერთიანება) ლოკალიზებულია ჭოროხის მარცხენა მხარეს – ფართო ზოლის შავი ზღვის სანაპიროებამდე.[28] რაც აშკარად გაუმართლებელია (სხვათა შორის, ერთ-ერთ ავტორთაგანის – ი. დიაკონოვის მიერ შეკვეთილ რუკაზე ძვ. წ. XV–XII საუკუნეებში მთელი თანამედროვე დასავლეთ საქართველო „დასახლებულია“ აბეშლაელებით (აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის ხალხით), ქართველური მოდგმა სრულიად არ ჩანს ჭოროხის აუზშიც. ამ ხანაში ჩვენი წინაპრები თურმე დაძრულან გვიანდელი ზემო ქართლიდან (!), თანაც მცირე აზიის სიღრმეებისაკენ.[29]

ალარ შეჩერდებით განხილულ კურსებში შემჩნეულ სხვა შედარებით წვრილმან შეცდომებზე.[30] მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ალნუსხული შენიშვნები რამდენიმე გვერდზე გადმოცემული ოხრობის მიმართ საკმოდ მრავალია. მაგრამ რაც უფრო მთავარი გახლავთ, ეს შეცდომები მიუტევებელი ხასიათისაა. როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტ საყვედურს იმსახურებს „История древнего мира“, რომლის ავტორები – თვითონ სარედაქციო კოლეგიის წევრები, დაუდევრად მოკიდებიან ჩვენი ძველი ისტორიის გადმოცემას. ამასთანავე ისინი ცდილან საკუთარი მოსაზრებებიც შეეტანათ წიგნში. და ეს მაშინ, როდესაც თითოეული მათგანი შორსა დგას ქართული საისტორიო თემატიკის პროფესიული ცოდნისაგან. იგივე ითქმის ა. ვიგასინის მიმართ. შევნიშნავთ, რომ მათგან განსხვავებით „Всемирная история“-ს პირველ ორ ტომში (გამოვიდა 1955-56 წლებში) საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ) თხრობა (ო. კუდრიაცევის მიერ) ყოველთვის მისდევდა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ შეხედულებებს (ორიოდე ფაქტობრივი შეცდომა-სათვალავში ჩასაგდები არაა), დამოუკიდებლობისა და შემოქმედების

---

28 იხ. გვ. 386-387.

29 იხ. მისი „Предыстория армянского народа“, Ереван, 1968, გვ. 102.

30 „ძველი მსოფლიოს ისტორიის“ მესამე წიგნში არსებულ ზოგიერთ მათგანზე მიუთითა ვახტანგ გოილაძემ. იხ. მისი სტატია „საქართველოს, სომხეთისა და ალუანეთის ისტორიის საკითხები „ძველი მსოფლიოს ისტორიის“ III ტომში“, კრებულში „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1986.

პრეტენზია აღნიშნულ გამოცემას და, კერძოდ, ავტორს არა ჰქონია.

დაბოლოს, კიდევ ერთი შენიშვნაც. აქ განხილული სახელმძღვანელოების შედგენისას, განა უპრიანი არ იქნებოდა სათანადო პარაგრაფების დაწერა ქართველი ავტორებისათვის (ასევე სომეხი და აზერბაიჯანელი ავტორებისათვის) შეეკვეთათ ანდა ყველა შემთხვევაში, სარეცენზიოდ ქართველი ისტორიკოსებისათვის გადმოეგზავნათ. მაშინ ხომ თავიდან აიცილებდნენ აქ მოთითებულ შეცდომებს და ამით რუსულენოვან მკითხველებს უფრო გარკვეული და სწორი წარმოდგენა შეექმნებოდა ჩვენს ძველ ისტორიაზე.

1986 წ.

ნაბეჭდი რეცენზია

ჩვენში რომ სამეცნიერო კრიტიკა არ არსებობს, ეს საკმაოდ არაა. ის, რაც ამ სახით გვეძლევინება, რასაკვირველია, შორსაა ნამდვილი, ობიექტური ანალიზისა და შეფასებისაგან, და უმეტეს შემთხვევაში, ბობოლა-მეცნიერებისადმი გამოხატული პირფერობა („სამსახური") გაბლაგთ. ხშირია შემთხვევებიც, როცა გამოქვეყნებულ ნაშრომს არავინ ეხმაურება. ეს ხდება ან ჩვენთვის, ქართველებისათვის, დამახასიათებელი დაუდევრობით, ანდა შიშით, არ აწყენინონ მაღალ ხელისუფლების მჭირნე მეცნიერებს.

ზემოთქმულის ნათელსაყოფად მოკლედ მიმოვიხილავ აკად. გიორგი მელიქიშვილის 1965 წელს დაბეჭდილ წიგნს „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის", რომლის შესახებაც თავის დროზე რეცენზია არ დაბეჭდილა. მხოლოდ გვაქვს ორიოდ შემთხვევა (ბატონიშვილის ოთარ ჯაფარიძის და დავით მუსხელიშვილის მხრივ), სადაც ავტორის ცალკეული მოსაზრებანია გაკრიტიკებული. არადა, გ. მელიქიშვილის აღნიშნული ნაშრომი უთუოდ იმსახურებდა იმას, რომ თავის დროზე მის გამოქვეყნებას ფართო გამოხმაურება მოჰყოლოდა. ჯერ კიდევ დამაინტრიგებელია წიგნის საიაური, რომელიც მსგავსია ივ. ჯავახიშვილის ცნობილი ნაშრომისა „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები", რომელიც 1950 წელს დაიბეჭდა და ავტორის მიერ ჩაფიქრებული იყო, როგორც „ქართველი ერის ისტორიის შესავლის" ტრილოგიის პირველი წიგნი. გარდა ამისა, ცხადია, აუცილებელი იყო მკითხველებს მცირედ პირისა (ან პირთაგან) გაეგოთ, თუ რა სიახლე შეიტანა ავტორმა აღნიშნული, დიდად აქტუალური საკითხის კვლევა-ძიებაში. დაბოლოს, ძალზე საინტერესოა გაგება-გააზრება თვით ავტორის პოზიციისა, რომელიც ჯერ კიდევ ანოტაციაშია გაცხადებული: ნაშრომში „კრიტიკულად არის შეფასებული ქართველთა წარმომავლობის შესახებ წამოყენებული კონცეფციები და წარდგენილია საკითხის ახლებური გააზრების ცდა". წიგნის წინასიტყვა კი ასე იწყება: „უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ჩვენი ცოდნა საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მოსახლეობის

უძველესი ისტორიის შესახებ მნიშვნელოვნად გამდიდრდა და გაღრმავდა... ამიტომაც ზედმეტი არ იქნება ამ ახალი მონაცემების შუქზე თვალი გადავაყოლოთ ჩვენს ძველ წარმოდგენებს ამ მხარეთა უძველესი მოსახლეობის შესახებ და შევეცადოთ, ხომ არ შეიქმნა მათ რაიმე კორექტივი ამ ჩვენს წარმოდგენებში, ან საერთოდ რას იძლევიან ისინი ამ საკითხის გადაწყვეტისად" (გვ. 5).

შევახსენებთ, რომ ქართველთა ეთნოგენეზისის თაობაზე უახლოეს ქართულ სამეცნიერო მწკრივებში ორი შეხედულება არსებობს: ივ. ჯავახიშვილის ცნობილი მოსაზრების მიხედვით, საქართველოში ჯერ აფსაზურ-ადიღეური და დაღესტნურ-ჩაჩნური მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ, ბორის კუფტინის აზრით კი ქართველობა იმთავითვე აქ ცალკეულად. რაკი საქართველოში არქეოლოგიური ძიების უწყვეტი ჯაჭვი აღმოჩნდა, ქართველმა ისტორიკოსებმა, არქეოლოგოსებმა, ეთნოგრაფოსებმა და ანთროპოლოგოსებმა ადვილად იპოვეს ბორის კუფტინისეული თვალსაზრისი. მაგრამ ამ მხრივ ბევრი რამ კვლავ გაურკვეველი რჩება, ასე რომ, ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხი კვლავ ბუნდოვანია.

ცნობილ, თუ რომელ წყვეტს აღნიშნულ საკითხს სარეცენზიო წიგნში გ. მელიქიშვილი. ფაქტია, რომ იგი თავის პოზიციას ნაშრომში აშკარად არ ამჟღავნებს. წიგნს არც ბოლოსიტყვა აქვს დართული, სადაც შეჯამებული იქნებოდა ავტორისეული კვლევა-ძიების შედეგები. მაგრამ თუ კრიტიკულ და ლოგიკურ აზროვნებას მოვიხმობთ, მაშინ ბევრი რამ ცხადი გახდება.

წიგნში ვკითხულობთ: „ქართველთა ეთნოგენეზისთან დაკავშირებული გვიანდელი ფაქტების კვლევაც... არ შეიძლება თუ ჩვენ მხოლოდ ახლანდელი საქართველოს ფარგლებით შემოვიზღუდებით. კიდევ უფრო აუცილებელი ხდება ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხების კვლევა კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და სხვა მეზობელი თუ შორეული მხარეების ისტორიის ფონზე, რადგანაც საქმე შეეხება კიდევ უფრო შორეულ ეპოქას, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს" (გვ 48-49). ამდენად ავტორი გვაგრძნობინებს, რომ ჩვენი ეთნოგენეზისის არსი დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთაა საძებნი. კიდევ მეტი, თუ სარეცენზიო წიგნს უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ, ავტორის ფიქრით, დღევანდელი საქართველოს ტერიტორია არ წარმოადგენდა ქართველთა პრეისტორიას.

მწკრივისეული არქეოლოგიური კულტურის თაობაზე გ. მელიქიშვილი

ასეთ ამოს გვთავაზობს: „ეჭვეშოიეად იძაღეია აბოი იველი ამიერკავკასიური „მტკვარ-არაქსის“ კულტურის მატარებელთა შესაძლო ინდოევროპული წარმოშობის შესახებ, რომელნიც შემდეგში ასიმილირებულ იქნენ (ენის თვალსაზრისით) წინააზიური ტიპის ენების მატარებელთა, კერძოდ, ქართველურ ტომთა მიერ, რომელთათვისაც აღნიშნულმა ინდოევროპულმა მოსახლეობამ სუბსტრატის როლი შეასრულა“ (გვ 244). ამრიგად, საქართველოს ტერიტორიის ერთ დიდ ნაწილში (სამხრეთში) ადრე ინდოევროპული მოდგმის მოსახლეობა ცხოვრობდა.

თუ კოლხური კულტურის გავრცელების არეალის, ყოველ შემთხვევაში სამხრეთ ნაწილში მაინც, დასახლებულობას გ. მელიქიშვილი ქართველთა წინაპრებით გულისხმობს, სხვაგვარად წარმოუდგენია მას ჯითარება აღმოსავლეთ საქართველოში. ამის შესახებ სარეცენზიო ნაშრომში ეკითხულობთ: „ამ ეპოქის ამიერკავკასიის სხვა კულტურების დაკავშირებას ქართულ ეთნიკურ ჯგუფთან უფრო მეტი დაბრკოლებები ახლავს. ასე მაგალითად, კოლხურის მეზობლად, აღმოსავლეთით არსებობდა ე. წ. ცენტრალურ-კავკასიური გვიანი ბრინჯაოს კულტურა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს გარდა (ალაზნის ველის გალმა მხარითურთ) მოიცავდა აგრეთვე სევანის ტბის მხარეს და, ნაწილობრივ, არაქსის მხარესაც“ (გვ 79); „აღმოსავლეთით, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ამ დროს არსებული სხვა არქეოლოგიური კულტურების მატარებელნი, როგორც ვთქვით, უკვე ძირითადად ვეინახური (ჩრდილო-დასავლური) და დღევანდელი ტომები უნდა ყოფილიყვნენ“ (გვ 202). ავტორის შეხედულებით, ქართები (მესხები) შიდა ქართლის ტერიტორიაზე [illegible] (გვ 80). მით უფრო ეს ითქმის გვიანდელი კახეთ-ჰერეთის ტერიტორიის. მიმართ. ერთი სიტყვით, „ქართების პეგემონია, თუ საისტორიო წყაროების მონაცემებით ვიმსჯელებთ, ანტიკურ ხანაში ბევრ ნაწილად დაქუცმაცებულ (ჰერულ-ალბანურ) ტომზე უნდა გავრცელებულიყო. ბევრის მარგანეც ქართიზაცია განიცადა და ქართებს შეერწყა“ (გვ 210).

რაც შეეხება ქვემო ქართლს, გ. მელიქიშვილის შეხედულება მის მოსახლეობაზე ნათელია: „წამყვანი თრიალეთის კულტურაში მაინც, უეჭველად, როგორც ვთქვით, სამხრეთული (ჩრდილო-დასავლურ-ირანული) ნაკადი უნდა იყოს“ (გვ 192); „თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომები, ჩანს, ხურიტულ კულტურულ ეთნიკურ სამყაროს

ეკუთვნოდნენ" (გვ. 195). შემდეგ კი, კვლავ გ. მელიქიშვილის შეხედულებით, აქ თრაკიულ-კიმერიული მოდგმის ტომები დასახლებულან, რომელთაც მხარისათვის სახელწოდება „თრიალეთი" დაუმკვიდრებიათ (გვ. 85, 241–242).

მეტიც, გ. მელიქიშვილი, მოიხმობს რა მახლობელი აღმოსავლეთის რიგ ეთნონიმებს – „ფახუეა", „დუალი", „წოფანი", „ძურძუკა", ასევე ქვეყანა „ასდიას" სახელწოდებას, მათს შესაბამის ხალხებსა და ქვეყნებს ხედავს ამიერკავკასიის ტერიტორიაზეც. დაღესტნური მოდგმის მოსახლეობა წიგნში დასახულია სევანისა და ურმიისპირა რეგიონებში (გვ. 202). მაშინ ასეთი კითხვა დაისმის: ამ დასახელებათა ამიერკავკასიული ხალხები ჩრდილოეთიდან წაიღინენ სამხრეთში თუ პირიქით მოხდა მათი მიგრაცია ჩრდილოეთისაკენ? როგორც ჩანს, ავტორი მეორე თვალსაზრისს იზიარებს (იხ. გვ. 202–203).

გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, „კოლხური კულტურის გავრცელების არეალში ჩანს, სავარაუდებელია, აფხაზურ-ადიღეური ტომების ნაწილი მაინც, რომელთა უძველესი პირველსაცხოვრისის პრობლემა საკმაოდ რთულად გამოიყურება" (გვ. 79). 201-ე გვერდზე კი ეკითხულობთ, რომ ადიღეური მოდგმის ტომები სახლობდნენ მთელი დასავლეთ ამიერკავკასიის მიწა-წყალზე და კავკასიის ჩრდილოეთ მხარეშიც.

ურარტუულ წყაროებში დამოწმებულ „კათარზაში" ავტორი პ. უშაკოვის კვალდაკვალ ქართულ „კლარჯეთს", ბერძნულ „კოტარზენეს" ხედავს და მის მოსახლეობას პროტოხეთებს უკავშირებს („ეგების აქაც ჩვენ პროტოხეთური ჯგუფის მოსახლეობასთან გვაქვს საქმე?" (გვ. 186). გ. მელიქიშვილი ასეთ დასკვნას აკეთებს შესაბამისი ფონეტიკური პროცესიდან გამომდინარე („ტ"-ს „ლ"-დ გადაქცევა), მაშინ როდესაც პ. უშაკოვი ამას ადგილობრივი კავკასიური ენებისათვის კანონზომიერად თვლიდა.

ამრიგად, მოტანილი ფაქტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გ. მელიქიშვილმა გადასინჯა (რევიზია მოახდინა) ქართველთა აბორიგენობის თვალსაზრისი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა, მეორე მხრივ, გამომდინარე რუსი ენათმეცნიერის გ. კლიმოვისეული დაკვირვებიდან ფლორისა და ფაუნის აღმნიშნელ ქართველურ სიტყვებზე (ასწლ, ბრყენ (პანტა), გვიმრა, ვაშლ, ვერხვ, მარწყვ, მსხალ, სხმარტლ, სოკო, ქრცხამლ (რცხილა), ძაცხვ (ცაცხვ), ძეწვნ (ტირიფი), წიფლ, წყავ, არჩვი, დათვი, კვერნა, თხა, ვაცი,

ორბი (არწივი), მელია და მისთანანი) დაყრდნობით, ამგვარ მოსაზრებას გეთავაზობს: „ასეთი ფლორა და ფაუნა კარგად ეგუება (!) კავკასიის მიწა-წყალს, უფრო მეტად მის მთიან ზოლს. ამიტომაც ამ დროისათვის მაინც (?!) ქართველური ჯგუფის ადგილ-სამყოფელი თამამად შეიძლება კავკასიისაგე მიწა წყალზე ვიეარაუდოთ“ (გვ. 71) ანდა „ზოგიერთი საერთოქართველური ტერმინის მიხედვით, რეგორიცაა, მაგალითად, ზეაე – ან მარწყვ – უძველეს ქართველთა ადგილსამყოფელს კავკასიონის მთავარი ქედის ზონაშიც კი ვარაუდობენ“ (იქვე). ჯერ ერთი, მსგავსი ფლორა და ფაუნა მხოლოდ დღეგანდელი საქართველოს ტერიტორიისათვის როდია დამახასიათებელი; ისინი ვრცელდებოდა გარეთაც, მათ შორის ჭოროხის აუზში და, მეორეც, ხომ დავინახეთ, რომ გ. მელიქიშვილი გამორიცხავს ქართველთა აბორიგენობას დღეგანდელი საქართველოს ფარგლებში.

მაშ სად უნდა ვიგულისხმოთ ქართველთა (წინარექართველთა) თავდაპირველი ადგილ-საცხოვრისი? ამ კითხვაზე წიგნში ამგვარ პასუხს ვპოულობთ: „ქართველი ტომების უძველესი განსახლების, მათი უძველესი ისტორიის შესახებ ჩვენ ყველაზე ბუნებრივად გვეჩვენება მოსაზრება, რომ სწორედ აღნიშნული კულტურა (ე. ი. კოლხური – გ. ყ) უნდა იყოს ჯერ კიდევ არადიფერენცირებული ანდა მხოლოდ მცირედ დიფერენცირებული ქართველური ეთნიკური ჯგუფის კულტურა. მისი ერთ-ერთი (!) ძირითადი (?!) კერა – მისი წარმოქმნის საკარაუდო რაიონი კი (ჭოროხის აუზი და მეზობელი ადგილები) საკუთრივ ქართულ-ზანური ერთობის უმთავრესი (?!) კერა უნდა ყოფილიყო“ (გვ. 78). აქ შეგახსენებთ, რომ გ. მელიქიშვილი სარეცენზიო წიგნში გამოდის იმ დასკვნებიდან, რაც გ. კლიმოვმა ე. წ. გლოტტოქრონოლოგიურ მეთოდზე დაყრდნობით ქართველური ენების მიმართ გააკეთა – თითქოს საერთო, წინარექართველური ენა არსებობდა ძვ. წ. III ათასწლეულის ჩათვლით, ძვ. წ. XVIII საუკუნიდან კი იწყება მისგან სვანური ენის გამოყოფის პროცესი, ხოლო ერთიანი ქართულ-ზანური ენის დაშლა – ძვ. წ. VIII საუკუნეში. მაგრამ, ამჟამად, როგორც ვიცით, ე. წ. გლოტტოქრონოლოგიურ მეთოდს უკვე საკმაოდ აქვს ყველი გასული და მისგან გამომდინარე შესაბამის (ზემოთ აღნიშნულ) დასკვნებს აღარ იზიარებენ. მაგრამ ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ გ. მელიქიშვილის ამ მეთოდზე დამყარებული მოსაზრება, ჯერჯერობით, ქართულ-ზანური ენის დაშლის დასაწყისზე ძვ. წ. VIII საუკუნიდან

მოყოლებული, ერთობ არადამაჯერებელია. იგივე ითქმის ურარტუულ საისტორიო წყაროებში დამოწმებული კოლხას გაერთიანების (პოლიტიკური) ერთიან ქართულ-ზანურ ხასიათზე, როგორც ამას ავტორი მიიჩნევს. ამჯერად მთავარი სათქმელი ისაა, რომ გ. მელიქიშვილის მიხედვით, ქართველთა პირველსაცხოვრისი ჭოროხის აუზი და მიმდებარე მტკვრის სათავეების რეგიონი ყოფილა.

აღარ გავაგრძელებთ გ. მელიქიშვილის აღნიშნულ წიგნში გამოთქმული აზრების კომენტირებას. დავსძენთ, რომ მიუხედავად ავტორის ფართო ერუდიციის (განხილული საკითხების ირგვლივ) და ახალი, ფრიად საინტერესო მასალის შემოტანისა (მათ შორის მსოფლიო ორიენტალისტიკის უახლესი მიღწევებისა), ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხის შესწავლაში სარეცენზიო წიგნი დიდ სიახლეს ვერ გვთავაზობს. ამ მხრივ მთავარია, რომ ავტორი ფაქტობრივად უპირისპირდება ბ. კუფტინის მიერ ჩვენში დამკვიდრებულ თვალსაზრისს ქართველთა პირველსაცხოვრისად დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის გამოცხადების თაობაზე და ბევრ მხრივ იგ. ჯავახიშვილის შეხედულებას უბრუნდება. აღნიშნული გარემოება კი იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად აქტუალურია დღეს ქართველთა ეთნოგენეზისის გალრმავებული კვლევა-ძიება. მიუხედავად ბევრი ისტორიოგრაფიული (საისტორიო-მეცნიერული) და არქეოლოგიური მიღწევებისა, საკითხი დღემდე სათანადოდ ვერ გაგვიაზრებია. კერძოდ, ეს ვერ მოახერხა გ. მელიქიშვილმა, რომელიც მას ათწლიანი წლების განმავლობაში იკვლევს.

როგორც ჩანს, დიდ ხარვეზებს ქართველთა ეთნოგენეზისის [illegible] ავტორიც გრძნობდა და ამიტომაც წიგნის [illegible] აცხადებდა: „თუ აქ აღძრულ ყველა საკითხზე [illegible] ვერ იპოვნის სავსებით დამარწმუნებელ პასუხს, თუ იგი [illegible] თუ იმ მოსაზრების აკვარგიანობის შესამოწმებლად [illegible] მიიჩნევს შემდგომ კვლევა-ძიებას — ეს სავსებით [illegible] იქნება, რადგანაც თვით ავტორის დამოკიდებულება [illegible] ასეთია“ (გვ. 5—6).

და თუ რატომ გვემართება ასე, ე. ი. დღემდე სათანადოდ ვერ [illegible] ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემა, ამაზე ქართველ [illegible] სერიოზული დაფიქრება გვმართებს. მიზეზი ნათელია: საკითხისადმი ვიწრო თვალთახედვით მიდგომა და მეთოდოლოგიის არქონა.

1998 წ.

კიდევ ერთი ნაგვიანევი რეცენზია

აკად. გიორგი მელიქიშვილის უზარმაზარი მოცულობის ნაშრომზე „ძველი საქართველოს ისტორიისათვის“, რომელიც 1960 წელს გამოქვეყნდა,* თავის დროზე რეცენზია არც ერთ ქართველ ისტორიკოსს არ დაუწერია. რასაკვირველია, ყველაზე მეტად ეს ხელეწიფებოდა ნიკო ბერძენიშვილს, რომლის ისტორიული აზროვნების ჰორიზონტი საქართველოს ძველ ისტორიასაც სწვდებოდა. თუ დავეყრდნობით ზეპირგადმოცემებს, როგორც საისტორიო წყაროს, ცხადი გახდება, რა აზრისა გახლდათ ჩვენი უკანასკნელი მოაზროვნე (მხოლოდ მკვლევარი არა!) ისტორიკოსი გ. მელიქიშვილის დასახელებულ წიგნზე. ცნობილია, რომ ურარტუოლოგიაში და, საერთოდ, ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში, თავისი მოკრძალებული შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ გ. მელიქიშვილმა ქართველოლოგიაში გადმოინაცვლა. ჯერ კიდევ 1954 წელს, საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ჩატარებული დისკუსიის დროს, მთავარი მოხსენების წაკითხვა სწორედ მას მიანდეს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მომხსენებელმა ვერაფერი ვერ შემატა აღნიშნული საკითხის შესწავლას. სხვათა შორის, იგივე ითქმის საერთოდ ამ დისკუსიის თაობაზეც. ამჯერად, 1960 წელს გ. მელიქიშვილი მკითხველთა წინაშე მეორედ წარსდგა ქართველოლოგიის ამბლუაში. ნიკო ბერძენიშვილს, ზეპირგადმოცემების მიხედვით, არაერთხელ ალუნიშნავს გ. მელიქიშვილის დიდი ერუდიული შემძლეობა ქართველოლოგიის დარგში. მკითხველებს შევახსენებთ, რომ ურარტუს ისტორიისა და, საერთოდ, კულტურის შესწავლა დიდ სირთულეებთან არაა დაკავშირებული (ენისა და დამწერლობის შესწავლის შემდგომ). თანაც გ. მელიქიშვილზე ბევრად უკეთესად ეს ამოცანა აღასრულა რუსმა ხელოვნებათმცოდნე და არქეოლოგოსმა ბ. პიოტროვსკიმ. აქედან

* წიგნის გარეკანზე მითითებულია გამოცემის წელი 1959, ხოლო შესაბამის ადგილზე აღნიშნულია, რომ იგი ხელმოწერილად გამოსაქვეყნებლად გადაეცა 1960 წლის 22 თებერვალს. როგორც ჩანს, იქ აკადემიის ტრადიციული წესის მისტიფიკაციასთან გვაქვს საქმე, რაც დადასტურებულია 1960 წლის 24 აპრილში აკადემიკოსად არჩევასთან.

ყველაფერი, თუ გიორგი მელიქიშვილის შეზღუდულ ინტელექტუალურ შესაძლებლობებსაც გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება ამ უკანასკნელის რეალური წვლილის მოკრძალებული ხასიათი ქართველოლოგიაში. ნ. ბერძენიშვილს რომ დიდი წარმოდგენა არ ჰქონდა გ. მელიქიშვილის ნამდვილი პოტენციალის თაობაზე ქართველოლოგიის სფეროში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი თვითონ შეეცადა ახლებურად გაეაზრებინა საქართველოს ძველი ისტორიის რიგი საკითხებისა (იხილეთ განსაკუთრებით „საქართველოს ისტორიის საკითხების“ მერვე ტომი).

მაგრამ მითი გ. მელიქიშვილის დიდი ისტორიკოსობის შესახებ დიდ ალმაცერობას განიცდიდა. რაკი რეალურად შემფასებელი არავინ აღმოჩნდა, ქართველმა ისტორიკოსებმა ირწმუნეს, რომ გ. მელიქიშვილის ზემოხსენებული ნაშრომის სახით ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდ მოვლენასთან გვქონდა საქმე. მეტსაც ვიტყოდით, მაჟართ დაასკვნეს, რომ ამ წიგნის ლაბეჭდვით საქართველოს ძველი ისტორიის შემეცნების ახალი ეტაპი დაიწყო. უნდა მოგახსენოთ, რომ გარეგნული შთაბეჭდილების დონეზე გ. მელიქიშვილის ნაშრომი ფრიად სერიოზულად გამოიყურება. მასში წამოჭრილი საკითხების გარშემო ავტორი დიდ ერუდიციას ამჟღავნებს. კერძოდ, საქართველოს ძველი ისტორიის თხრობისას გამოყენებულია ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ფართო მასალაც. მაგრამ თუ ზედაპირული შთაბეჭდილებების დონიდან ნაშრომს გორების, ლოგიკის საფუძველზე განვიხილავთ, მაშინ სულ სხვაგვარი შთაბეჭდილება შეგვექმნება.

უპირველეს ყოვლისა, შევეცადოთ პასუხი გავცეთ კითხვაზე: რაა გ. მელიქიშვილის წიგნის „ძველი საქართველოს ისტორიისათვის“ მთავარი სიახლე? მასში, რასაკვირველია, გადმოცემულია ივ. ჯავახიშვილისეული პიპერკრიტიციზმი საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ წყაროებისადმი. მაგრამ ეს ხომ ავტორამდე ჰქონდათ გაკეთებული პავლე ინგოროყვას და გიორგი წერეთელს. მეტიც, მცხეთის არქეოლოგიური გათხრების წარმატებათა ფონზე ამ მხრივ საგრძნობი ნაბიჯები გადადგა თვითონ ივ. ჯავახიშვილმა. ახლა მეორე გარემოების შესახებ. კაუთვითცნობიერებელ, არაკრიტიკული აზროვნების მქონე მკითხველებს თვალში მოხვდებათ საქართველოს ძველი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფართო ანალიზი. მაგრამ თუ საკითხს სერიოზულად ჩავუფიქრდებით, აღვილად შევამჩნევთ, რომ

ავტორი ძირითადად იმეორებს ს. ჯანაშიას სათანადო შეხედულებებს ისე, რომ ხშირად ამას არც ალიარებს. მაინც ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გ. მელიქიშვილმა სარეცენზიო წიგნში შემოიტანა სასოფლო თემის საკითხი, რასაც 50-იანი წლების საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, როგორც იქნა, სათანადო ყურადღება მიექცა. მაგრამ, ცხადია, საჭირო იყო სასოფლო თემის პრობლემის გააზრება მთის, ქიზიყისა და საქართველოს სხვა მხარეთა შესაბამისი გადმონაშთების მიხედვით. სამწუხაროდ, არც ამ წიგნში და არც შემდგომ ავტორს ამაზე ყურადღება არ გაუმახვილებია.

. წიგნის გამოსვლის დროსაც იყო და ახლაც დიდ პრობლემად რჩება საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოქმნა, ფეოდალიზმზე გადასვლა. კერძოდ, ს. ჯანაშიას შეხედულებით, ამ გადასვლას ადგილი ჰქონდა საწარმოო ძალების შემდგომი აღმავლობის პირობებში (სხვათა შორის, ამავე აზრს ადგა ნ. ბერძენიშვილიც). მაგრამ ამის თაობაზე გ. მელიქიშვილის სარეცენზიო წიგნში არაფერი არ არის ნათქვამი.

იქნებ ავტორმა საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდის შესწავლისადმი ახალი მეთოდოლოგიური და საერთოდ თეორიული მიდგომა გამოავლინა? დიდად სამწუხაროდ, ამ მხრივაც რაიმე თვალსაჩინო სიახლეს ვერ ვხედავთ. სარეცენზიო წიგნის მე-10 გვერდზე ვკითხულობთ: ,,ძველი ისტორიის ძირითადი საკითხების ჭეშმარიტად მეცნიერულ გაშუქებას ჩვენ ვხედებით მხოლოდ საბჭოურ მეცნიერებაში. ეს... პირველ რიგში განპირობებულია იმით, რომ საბჭოური საისტორიო მეცნიერება, რევოლუციამდელი და თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისაგან განსხვავებით, აგებულია ერთადერთ სწორ მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე". ამ თვალსაზრისითაც, ვიმეორებთ, ავტორი ძველ „თეორიულ" შტამპებს ჯერდება, თუმცა საკავშირო კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ ამ მხრივ ძველი კალაპოტიდან გამოსვლა უკვე შეიძლებოდა.

გ. მელიქიშვილი, როგორც ხშირად სჩვევია, არ იკავებს მკვეთრად გამოხატულ პოზიციას პირველი კლასობრივი საზოგადოების ტიპის თაობაზე. ერთი მხრივ, იგი თითქოს უარყოფს აღნიშნული საზოგადოების მონათმფლობელურ ხასიათს, მაგრამ, მეორე მხრივ, შესაბამისი ხანის სომხეთის საზოგადოება მონათმფლობელურადაა მიჩნეული (იხ. გვ. 11. შევნიშნავთ, რომ ზუსტად ამავე გვერდზე იგი აღნიშნავს

მფლობელურად არის აღიარებული). 433-ე გვერდზე აღნიშნულია „მეზობელი მონათმფლობელური სომხეთი“. წიგნის 425-ე გვერდზე კი ვკითხულობთ: „ძირითად ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ კლასებს მონათმფლობელურ, მათ შორის ადრემონათმფლობელურ, საზოგადოებაში წარმოადგენდნენ მონათმფლობელები და მონები“. თუ ასეა, მაშინ საესებით კანონზომიერია კითხვა: რა განსხვავებაა მაშინ ადრემონათმფლობელურ და მონათმფლობელურ საზოგადოებათა შორის? როცა წიგნში VI–III საუკუნეების (ძვ. წ.) იკვრიის (ქართლის) სოციალურ ისტორიას ვეცნობით, დიდი ეჭვები აღიძვრის შესაბამისი საზოგადოების არამონათმფლობელური ხასიათის შესახებ, რასაც გ. მელიქიშვილი ზოგჯერ შეგვახსენებს. 430-ე გვერდზე ხომ პირდაპირაა აღიარებული „მონათმფლობელური ქართლის სახელმწიფო“! მკითხველებს შევახსენებთ, რომ 1955–56 წლებში ჟურნალ „Вопросы истории“ ფურცლებზე ორჯერ გამოჩნდა გიორგი სოსელია, რომელიც ამტკიცებდა ძველი საქართველოს საზოგადოების არამონათმფლობელურ ხასიათს. ამას, როგორც ვიცით, იმავე ჟურნალის ფურცლებზე რიგ ქართველ ავტორთა (შ. მესხია, ნ. ლომოური და ო. ლორთქიფანიძე) მწვავე რეაქცია მოჰყვა (იხ. 1956, N 10). რა თქმა უნდა, როგორც არ უნდა ლანძღავდნენ გ. სოსელიას, ეს უკანასკნელი მართალი გახლდათ. მაგრამ ამჯერად ისაა საინტერესო, თუ როგორ ლაჟვრებდა გ. მელიქიშვილი ამ ორ განსხვავებულ პოზიციას შორის. 1964 წელს იგი წერდა: „აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქართველ საბჭოთა ისტორიკოსებს მოუხდათ მწვავე პოლემიკის წარმოება მეცნიერული მიმართებით საესებით უნიადაგო მტკიცებათა წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ მონათმფლობელური ფორმაციის არსებობას“.[1]

წიგნის მე-12 გვერდზე ვკითხულობთ: „საქართველოს ძველი ისტორიის თვალსაზრისით ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს დეტალური შესწავლა საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია ძველაღმოსავლურ ეპოქაში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის უმსხვილესი პოლიტიკური წარმონაქმნების ისტორიასთან – დიაოხი და კოლხა (კოლხიდა), რომელთა შესახებ მრავალ საინტერესო

---

1 იხ. კრებული „Грузинская советская историография“, თბილისი, 1964, გვ. 14.

ცნობას შეიცავენ ურარტული და, ნაწილობრივ, ასირიული ლურსმული წყაროები". ამასთან დაკავშირებით გ. მელიქიშვილი წიგნში მიუთითებს პ. უშაკოვის სამ სტატიას. აღსანიშნავია, რომ ურარტული წყაროების მიხედვით, ძველი საქართველოს შესახებ ისტორიის შესწავლაში პრიორიტეტი სწორედ ამ უკანასკნელს ეკუთვნის. თითქოს გ. მელიქიშვილი ამჯერად პატივს მიაგებს უდროოდ გარდაცვლილი (1943 წელს) პ. უშაკოვის ხსოვნას. მაგრამ ნუ ვიჩქარებთ ამგვარი დასკვნის გამოტანით. ექვსი გვერდის შემდეგ ზემოხსენებულის საილუსტრაციოდ გ. მელიქიშვილი უთითებს მხოლოდ თავის „ურარტულ ლურსმულ წარწერებს" (რომელიც „Вестник древней истории"-ში გამოქვეყნდა 1953–54 წლებში), ხოლო რაც მთავარია, უზარმაზარ წიგნში ერთხელაც კი არ არის მითითებული პ. უშაკოვისეული რომელიმე კონკრეტული მოსაზრება! ასე რომ, გ. მელიქიშვილის არაეთიკური საქციელი ამ მაგალითითაც თვალსაჩინოდ მყლვანდება. ასევე უდიერად ეპყრობა იგი ალ. სვანიძის (ამ დროს უკვე რეაბილიტირებულის) შესაბამის შეხედულებებსაც.

გიორგი მელიქიშვილის სარეცენზიო ნაშრომში ფართოდაა წარმოდგენილი დიაოხის საკითხი (მანამდე მას შეეხო პ. უშაკოვიც). თუ პ. უშაკოვი ამ პოლიტიკურ გაერთიანებას ქართველური სამყაროს ნაწილად, კერძოდ, მეგრულ-ჭანურად მიიჩნევდა, გ. მელიქიშვილი სხვაგვარად იქცევა. მანამდე გამოქვეყნებული რამდენიმე სპეციალური ხასიათის ნაშრომსა და სარეცენზიო წიგნშიც დიაოხი ხურიტების გაერთიანებადაა წარმოდგენილი. თუ ასეა, მაშინ რაღა საჭიროა მის შესახებ ასეთი დეტალური თხრობის ვრცლად შეტანა საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში? აქაც ავტორი ორჭოფულ პოზიციას იკავებს: ერთი მხრივ, ამტკიცებს დიაოხის ხურიტული ისტორიული სამყაროსადმი კუთვნილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ცდილობს მკითხველზე ისეთი შთაბეჭდილება დატოვოს, რომ იგი საქართველოს ისტორიის შემადგენელი ნაწილი იყო. აქედან გამომდინარე, ავტორის თამაში აგებულია გულუბრყვილო, დაბალი აზროვნების მქონე ისტორიკოსებზე, რომლებიც შესაბამისი საკითხის კვლევა-ძიებისას ხან ერთ დასკვნამდე მივლენ და ხან მეორემდე.

გ. მელიქიშვილი თავისებურად განმარტავს ასურეთის მეფის ტიგლათპალასარ I-ის 1112 წლის (ძვ. წ.) ლაშქრობის მარშრუტს. შესაბამის წარწერაში იგი კითხულობს ქვეყანა „კილხის" (გვ. 184).

სპეციალისტებისათვის ცნობილია, რომ ლურსმულ ნიშანს, რომლითაც იწერება აღნიშნული სახელწოდების პირველი მარცვალი, სხვადასხვა მნიშვნელობანი გააჩნია (kir, kil, gil, rim, rin, (ri), hab, hap). აქედან გამომდინარე, ერთ დროს კითხულობდნენ „kil", „gil", მაგრამ 30-იანი წლებიდან მოყოლებული, ასეთი წაკითხვა მიატოვეს და წაიკითხეს ახლებურად „hab", „hap", ე.ი. შესაბამისი ქვეყნის სახელწოდება – „ხაბხად". საქართველოში ეს გააკეთა პ. უშაკოვმა. გიორგი მელიქიშვილი კვლავინდებურად ძველი წაკითხვის მომხრეა და აღნიშნულ წარწერაში „კილხის" (კოლხეთს) გულისხმობს. მაგრამ ნუ წარმოიდგენს იგი, რომ მსგავსი საკითხების კვლევა-ძიებისას მხოლოდ „სპეციალისტები" არიან უზენაესი მსაჯულები, ხოლო სხვა ისტორიკოსებს, რომელთაც შესაბამისი ენა და დამწერლობა არ იციან, ამ „ტაძარში" შესვლა აკრძალული აქვთ. კერძოდ ჩემთვის, ასეთი არასპეციალისტისათვის, დიდ ეჭვებს აღძრავს თითქოსდა შავი ზღვის სანაპიროებიდან მოსული „60 მეფის", ხოლო შემდეგ ამავე რეგიონიდან მოსული სხვა მეფეების დახმარება ასურელთა წინააღმდეგ (იხ. გვ. 183). რომელი ქართველი ისტორიკოსი იქნება წინააღმდეგი აქ ამოკითხულ იქნეს ჩვენი წინაპრების საბუნაღო ქმედება. მაგრამ კოლხთა 60 და კიდევ მეტი ტომთა კავშირის (რაც ამ დროს აუცილებლად საგულვებელია) არსებობა და მათი გაერთიანებული შეტევა ასურელებზე უფრო ზღაპარს ჰგავს, ვიდრე მეცნიერებას (ისტორიოგრაფიას). ამიტომაცაა, რომ მოცემულ კონტექსტში უცხოეთში და, კერძოდ, რუსეთში (გამოჩენილი ასირიოლოგოსი ი. დიაკონოვი) „კილხის" მაგიერ „ხაბხის" კითხულობენ, რომელსაც (ქვეყანას) ათავსებენ ვანის ტბის აუზში. ასე რომ, პ.უშაკოვის პოზიცია ჩვენ უფრო უმჯობესად მიგვაჩნია. სამწუხაროდ, მას შემდეგ ქართველ ისტორიკოსთაგან აღარავის უცდია სათანადოდ გაეგო ასურული ტექსტის შესაბამისი ადგილი – მსგავსი ტექსტების წაკითხვა და ინტერპრეტაცია ხომ გიორგი მელიქიშვილის „სამეფო დომენად" იქცა.

გ. მელიქიშვილის მეზღაპრეობა ამ საკითხში აღნიშნულით რიდი მთავრდება. იგი ნაშრომის 421-ე გვერდზე წერს: „A priori საუსებით შესაძლებელია აღმოსავლურქართულ მოსახლეობაში გადაქცევა მეზობელი ტომის კოლხების (კილხი, გელხი, გილხი?) სახელწოდებისა, რომლებთანაც, უეჭველია, ადგილი ჰქონდა ხშირ მტრულ

შეტაკებებს, რომლებსაც შემდეგ მოჰყვებოდა ხოლმე მისი (?) წევრების დატყვევება ანდა მისი (?) ცალკეული თემების დამორჩილება, „მონის“, „მსახურის“ ზოგად სახელად, ხოლო შემდეგ – დამონებულ მიწათმოქმედთა – დაპყრობილი თემების წევრთა გამოსახატავად“. მკითხველებს შევახსენებთ, რომ „გლეხის“ ეტიმოლოგიზირება ნათელი ხდება ძველი სპარსული ენის საფუძველზე, რაც გააკეთა მზია ანდრონიკაშვილმა 1965 წელს გამოცემულ თავის ცნობილ წიგნში.

გ. მელიქიშვილის წიგნში ვკითხულობთ: „ამრიგად, შეიძლება ვილაპარაკოთ ტიბარენ-თაბალურ ტომებზე, თუმცა არ შეიძლება იყოს მთლიანი დარწმუნებულობა მათს ეთნიკურ იდენტურობაში. შესაძლებელია, ჩვენს წინაშეა კრებითი სახელწოდება, მომცველი სხვადასხვა წარმოშობის ტომებისა. მაინც შეიძლება მივუთითოთ რიგი ფაქტებისა, რომელთა საფუძველზეც შეიძლება (ამდენი „შეიძლება“? – გ. ყ) ვიგულისხმოთ არსებობა (ყოველ შემთხვევაში, ერთი შემადგენელი ნაწილის სახით) თაბალ-ტიბარენთა შორის ქართველური (კერძოდ, დასავლურქართველური) ეთნიკური ელემენტისა“ (გვ. 70, იხ., აგრეთვე, გვ. 76). თუმცა შემდგომ კვლავ (იხ. გვ. 75, 76, 77) ნაკარნახევია თაბალებისა და ტიბარენების იდენტურობა. მაგრამ ჩვენი საუკუნის უკვე 30-იანი წლებიდან მოყოლებული დასავლურ მეცნიერებაში ნათლად გაცხადდა თაბალურის ინდოევროპული წარმოშობა, რაც უყოყმანოდ გაიმეორა არაერთგზის ნახსენებმა პ. უშაკოვმა. ასე რომ, ამ მხრივ საკითხის კვლევა-ძიებისას ახალი პერსპექტივა დაისახა, კერძოდ იბერებისა და ქართების საკითხის გაცხადებაში, რაც ვერ შეამჩნია გ. მელიქიშვილმა.

სარეცენზიო წიგნის ავტორი ხშირად თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს გარკვეული მოსაზრებანი სწორედ მას ეკუთვნის. ასე მაგალითად, ტოპონიმი „მცხეთა“ რომ მესხებისაგან მომდინარეობს (გვ. 229), ეს მარი ბროსედან მოკიდებული, მრავალ მკვლევარს აღუნიშნავს. გ. მელიქიშვილი კი ამის აღიარებას გაურბის. არგონავტების მითში რომ ჭოროხის აუზში მდებარე კოლხეთის ს ეფია ასახული (გვ. 186), ეს აზრი ხომ პირველად ნიკო მარმა გამოთქვა? წიგნის 229-ე გვერდზე არმაზი და ზადენი მოხსენიებულია ხეთურ კულტებად, მაგრამ ისე, რომ არ არის მითითებული ამ აზრის ავტორი (პიხაკო წერეთელი). სასპერები რომ იგივე ქარიებია (გვ. 232-34), ეს აზრი გ. მელიქიშვილამდე ბევრს გამოუთქვამს. სხვათა შორის, შარდვენის

გ. მელიქიშვილმა ეს საკითხიც დააბნელა და სასპერები ხურიტული წარმოშობის ხალხად წარმოადგინა. „სასპერებში“ რომ ქართული თავსართი „სა-“ უნდა ვიგულისხმოთ, ამას მიუთითებენ ალ. სვანიძე და შემდეგ ს. ჯანაშია. გ. მელიქიშვილი კი ამათ ხსენებას ამჯერადაც გაურბის.

ურარტუულ წყაროებში მოხსენიებული „ვიტერუხები“ გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, „ბიძერებად“ იქცნენ. მაგრამ ეს ხომ პირველად პ. უშაკოვმა შეამჩნია? მაგრამ, მეორე მხრივ, თითქოს აქედანვე გაჩნდა „ოძრხე“, ასევე ეთნონიმი „ოძრახე“. მაგრამ, საკითხავია, თუ როგორ, რომელ ენაზე მოხდა ამგვარი ფონეტიკური მეტამორფოზა. პირადად მე ბევრად უფრო სწორად მეჩვენება ალექსი ჭინჭარაულის მცდელობა „ოძრახე“ ორკიხედან გამოიყვანოს (ამდენად გამორიცხულია ეთნონიმ „ოძრახენის“ ვარაუდი). რასაკვირველია, სარეცენზიო წიგნში ხხვა მრავალი მაგალითიც გვხვდება პ. უშაკოვის იგნორირებისა; მაგალითად, რომ სკვითებთან ერთად ურარტუს სახელმწიფოს განადგურებაში ამიერკავკასიის ხალხებიც მონაწილეობდნენ (გვ. 231–233), რომ რუსა II-ის წარწერაში (776 წლისა) მოხსენიებული „ხალიტუში“ ქართველური წარმოშობის ხალხებია საგულისხმო (გვ. 71) და მისთ.

გ. მელიქიშვილის სარეცენზიო შრომაში დიდი ადგილი ეთმობა ჩვენი ეთნიკური ისტორიის საკითხს. მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი სიცხადე ავტორს არც ამ საკითხის გაშუქებაში შეაქვს.

ამით დავასრულებთ გ. მელიქიშვილის 1960 წელს გამოქვეყნებული წიგნის „ძველი საქართველოს ისტორიისათვის“ მოკლე მიმოხილვას. შეჯამებისას კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ აღნიშნული ნაშრომი სულაც არ გახლავთ ქართული ისტორიისათვის მნიშვნელოვანი შენაძენი, რომელმაც თვალსაჩინო დალი დაასვა ჩვენი ქვეყნის ისტორიის კვლევა-ძიების შემდგომ გაღრმავებას. ფაქტობრივად, იგი წარმოადგენს კომპილაციას. მიუხედავად ყოველივე ზემოხსენებულისა, ჩვენ მაინც შორსა ვართ იმისაგან, რომ უარვყოთ გ. მელიქიშვილის ამ წიგნის რაიმე ისტორიოგრაფიული ფასეულობა. წიგნი გახლავთ „საშენი მასალა“, რომელზე დაყრდნობითაც უნდა დაიწეროს საქართველოს შესაბამისი პერიოდის ისტორია. წიგნში დადგენილია რიგი ახალი ფაქტებისა, გარკვეულ ინტერესს იწვევს შესაბამისი

პერიოდის საისტორიო წყაროების განხილვა და ა. შ. ყოველ შემთხვევაში, ავტორმა გააკეთა ის, რაც შეეძლო (ეთიკურ მხარეს ჩვენ უკვე შევეხეთ), ხოლო თუ მისი წიგნის გაფეტიშება მოხდა, ამის გასაღები შესაბამისი და თანამედროვე პერიოდის ქართულ სამეცნიერო (ისტორიოგრაფიულ) გარემოში უნდა ვეძებოთ.

დაბოლოს, არ შეიძლება არ დაისვას კითხვა: რისთვის დასჭირდა გ. მელიქიშვილს წიგნის რუსულად დასტამბვა? განა მისი რუსულენოვანი მკითხველები უფრო მეტნი და უკეთ მომზადებულნი იქნებოდნენ?

ამაზედაც უთუოდ ღირს დაფიქრება.

1998 წ.

საინტერესო ნაშრომი

ჩვენი ეროვნული ისტორიის მნიშვნელოვან საკითხთაგანია მესხების განსახლების პრობლემა. უკვე XIX ს. მეორე ნახევრის დასავლეთევროპულმა ორიენტალისტიკამ ბიბლიური „მეშეხები" და ასურული წყაროების „მუშქები-მუსკები" ქართული ეთნოსის ერთ-ერთი დიდი შტოს – მესხების წინაპრებად მიიჩნია. ამდენად, მესხების განსახლების არეალი, რიგ დასავლეთევროპელ ორიენტალისტთა მიხედვით, ფართოდ იქნა წარმოდგენილი და მოიცავდა ტერიტორიებს ზემო ევფრატის აუზსა და მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ეს მოსაზრება, რასაკვირველია, გაიზიარეს ქართველმა ისტორიკოსებმაც (დ. ბაქრაძე, ა. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი, ი. ჯავახიშვილი). მაგრამ საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული, ახალი საისტორიო მონაცემებიდან გამომდინარე, დასავლეთის ორიენტალისტიკაში ფართოდ გავრცელდა შეხედულება ბიბლიური „მეშეხებისა" და ასურული წყაროების „მუშქების" ინდოევროპული წარმომავლობის თაობაზე. ქართული ისტორიოგრაფიის დიდი კორიფე ივ. ჯავახიშვილი 1939 წელს წერდა: „...გაჰქრა ყველაფერი, რაზედაც ემყარებოდა უძველესი ეპოქის საქართველოს ისტორიის აგება. თუ ვაღიარებთ, რომ თაბალები და მუშქები ინდოევროპელები არიან, მაშინ მათი დაკავშირება ქართველ ტომებთან – იბერებთან და მესხებთან არაფრით არ შეიძლება და ამასთან დაკავშირებით მოგვიწევდა ხელახლა გადაგვეხედა მთელი საკითხი როგორც უძველესი პერიოდის ისტორიის ქართველი ტომების ტომობრივი და ენობრივი ნათესაობის, ისე მათი წარმოშობის შესახებ".[1] მაგრამ ჩვენი დიდი მეცნიერი და მამულიშვილი დასძენდა: „...მცირე მონაცემები როდი არსებობს იმისათვის, რათა ვაღიაროთ, რომ უკანასკნელ ათწლეულებში დასავლეთევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული დასკვნები სულაც არაა ისეთი შეურყეველი, როგორც ეს ზედაპირზე ჩანს, რომ, პირიქით, არსებობს ყველა საფუძველი მათი გადასინჯვისა და გაღაფასებისათვის ახალი მასალის

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი I, 1950, გვ. 227–228.

მოზიდვისა და სამეცნიერო მეთოდების უფრო მიზანშეწონილი გამოყენების გზით".[2] ივ. ჯავახიშვილის მტკიცე რწმენით, მეშვიდე არასგზით არ შეიძლებოდა ინდოევროპელები ყოფილიყვნენ, სხვანაირად, ისინი წარმოადგენდნენ მესხების ტომის (ხალხის) ნაწილს.

ამ თვალსაზრისზე იდგნენ და დღანან სხვა ცნობილი ქართველი ისტორიკოსებიც (ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი) მაგრამ აღნიშნული პოზიციის რამდენადმე დამაჯერებელი დასაბუთება ჭირდა. ამაში, როგორც ჩანს, თავი იჩინა 30-40-იან წლებში საბჭოურ მეცნიერებაში ფეხმოკიდებულმა შეხედულებამ ისტორიულ პროცესში მიგრაციების ფაქტისა და როლის იგნორირების თაობაზე; მის მიხედვით გამოდიოდა, რომ ეთნოსის ისტორია, მათ შორის წარმოშობა, იმთავითვე უკავშირდება გვიანდელ ხანაში ცნობილ მისი განსახლების არეალს. ასე რომ, ქართველთა ძველი განსახლების არეალი დაუკავშირდა ძირითადად მოგვიანო ისტორიულ ეპოქაში ცნობილ ჩვენს ეთნიკურ ტერიტორიას. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში დასავლეთევროპელი, ამერიკელი (აშშ) და თურქი არქეოლოგოსებისა და ისტორიკოსების ჩაშრომების წყალობით გადასინჯულ იქნა მუშქების ინდოევროპული წარმომავლობის ჰიპოთეზა. კვლავ აღორძინდა, ცხადია, ახალ საფუძველზე – მდიდარ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, მუშქების მესხებთან იდენტიფიკაციის და ამდენად მათი ქართული ეთნოსისადმი კუთვნილების საკითხი.

სწორედ ჩვენი ისტორიის აღნიშნული პრობლემაა განხილული ნანა ხაზარაძის მონოგრაფიაში „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები", რომელიც გამომცემლობა „მეცნიერებამ" გამოსცა 1984 წელს. ეს ნაშრომი ავტორის ხანგრძლივი და ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგი გახლავთ. ორ ათეულ წელზე მეტია მკვლევარი გამოწვლილვით სწავლობს საკითხთან დაკავშირებულ საისტორიო წყაროებს (ქართულ, ძველბერძნულ, ლათინურ, ასურულ, ურარტულ, სომხურ, ებრაულ და სხვ. ენებზე). მისთვის ცნობილია უახლესი საისტორიო გამოკვლევები როგორც საბჭოთა კავშირში, ისე დასავლეთსა და თურქეთში. ოცავე ოდის თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შესახებაც. თავისი

---

2 დასახ. ნაშრ., გვ. 252.

ხასიათით ნ. ხაზარაძის ნაშრომი ძირითადად ისტორიოგრაფიული და საისტორიო-გეოგრაფიული ხასიათისაა – აეტორი აკლერს როგორც დღევანდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ისე ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის და, საერთოდ, წინა აზიის საისტორიო გეოგრაფიის კარგ ცოდნას. მაგრამ ამასთანავე, ცხადია, მონოგრაფიის ძირითადი დასკვნები სცილდებიან აღნიშნული დამხმარე საისტორიო დისციპლინების ფარგლებს და ამდიდრებენ ჩვენს ცოდნა-წარმოდგენებს საქართველოს ისტორიის უზოგადეს საკითხებზე.

ნ. ხაზარაძე იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომელიც ასურული და ებრაული წყაროების მიხედვით „მუშქებს", „მეშეხებს" მესხებად მიიჩნევს. თავისი პოზიციის დასაბუთებისას აეტორს მოაქვს რიგი ახალი არგუმენტებისა, რომლებიც უცილოდ ანგარიშგასაწევია და კიდევ უფრო განამტკიცებს აღნიშნულ მოსაზრებას. ამასთანავე, ბუნებრივია, მონოგრაფიაში გაკრიტიკებულია საწინააღმდეგო კონცეფციები, მათ შორის მუშქების პროტოსომხებთან გაიგივებისა (მას იზიარებს საბჭოთა ისტორიკოსი ი. დიაკონოვი).

კარგი იყო ავტორი სპეციალურად შეჩერებულიყო მუშქების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონის საკითხზე, ასევე მათს ისტორიულ ბედ-იღბალზე, კერძოდ, პოლიტიკურ განვითარებაზე. ასე მაგალითად, განიხილავს რა მესხების განსახლებას VI–V საუკუნეებში (მონოგრაფიის II თავში), ნ. ხაზარაძე მათ ათავსებს მდ. ღალისის აუზის აღმოსავლეთით, დღევანდელი მდ. იეშილირმაკის შუა წელზე. სტრაბონის ხანისათვის კი, ძვ. წ. I ს. და ახ. წ. I ს., წიგნში, ცხადია, სავსებით სწორად, მესხეთის ქვეყანა (ძველი ბერძნული წყაროების ნომენკლატურით „მოსხიკე") ლოკალიზდება მტკვრის ზემო წელსა და ჭოროხის აუზში. ისმის კითხვა: მოხდა თუ არა მთლიანად მესხთა გადაადგილება (მიგრაცია) დასავლეთიდან საკმაოდ შორს აღმოსავლეთისაკენ, თუ მათი ნაწილი კვლავ დარჩა ძველ საცხოვრის რეგიონში? დასანანია, რომ ამ კითხვაზე მონოგრაფიაში პასუხს ვერ ვპოულობთ.

სპეციალურ განხილვას საჭიროებდა მესხების ეთნიკური ევოლუციის პრობლემაც, სახელდობრ, ნაჩვენები უნდა ყოფილიყო, ეთნიკური ევოლუციის რა საფეხურზე უნდა მდგარიყვნენ ისინი, მით უმეტეს, რომ ამ პრობლემის კვლევა-ძიება აშკარად იგულისხმება თვით

მონოგრაფიის სათაურში. გაურკვეველია ავტორის მიერ მესხების მიმართ ტერმინ „ტომის“ ხმარება. ვინაიდან ამ ტერმინში საკუთრივ „ხალხის“ (ეთნიკური განვითარების შესაბამისი ფორმის) გარდა მოიაზრება ტომიც (ეთნოგრაფიული მნიშვნელობით, გვართა კავშირის აზრით) და ტომთა კავშირიც (სატომო გაერთიანება). მესხთა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ა. შ. განვითარების საფეხური, აგრეთვე მათი იმ ეპოქისათვის საკმაოდ განვითარებული გარესტრუქტურული გარემოცვა, მისგან საკარაუდო კულტურული (ფართო აზრით) იმპულსები, აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეთნიკური ევოლუციის აზრით ისინი უთუოდ იდგნენ „ხალხის“ დონეზე. წიგნში ალაგ-ალაგ გვხვდება კორექტურული სახის შეცდომებიც. მაგრამ ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად სარეცენზიო ნაშრომის მაღალი მეცნიერული ფასეულობა ჩვენში არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ჩვენი სურვილია ავტორს გაელრმავებინოს შემდგომი კვლევა-ძიება მესხების პრობლემასთან დაკავშირებით, ე. ი. წარმოეჩინოს მესხთა ისტორიული ცხოვრების ყველა მხარე (ისევე როგორც მან ეს გააკეთა თაბალებთან დაკავშირებით თავის სხვა მონოგრაფიაში). ის, რასაც ნ. ხაზარაძემ მიაღწია აღნიშნული საკითხის კვლევა-ძიებაში, საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ მესხთა პრობლემატიკის დანარჩენ ასპექტებსაც ყველაზე უკეთ დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში იგი გაართმევს თავს.

დასასრულს, დავსძენთ იმასაც, რომ მესხთა პრობლემის გალრმავებული წარმოჩენა მნიშვნელოვან პერსპექტივას სახავს საერთოდ საქართველოს უძველესი პერიოდის ისტორიის შესწავლაში. დღესდღეობით აღიარებულია მესხების როლი ქართლის სახელმწიფოს, რელიგიის (არმაზისა და ზადენის კულტები) განვითარებაში, მცხეთის დაარსებაში. მომავალში შესაძლოა წარმოჩნდეს მათი უფრო დიდი როლიც ქართული სახელმწიფოებრიობის, კულტურის მთელი რიგი სხვა ელემენტების განვითარებაში.

1985 წ

ისტორიის ახალი სახელმძღვანელო მრავალი ხარვეზით

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას ავტორობით), რომელიც პირველად 1943 წელს გამოიცა, საუკეთესო იყო მთელი იმდროინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ასეთივედ რჩება იგი დღემდე გამოსულ ანალოგიურ ქართულ სახელმძღვანელოთა შორისაც. ამის მიზეზის დადგენა ძალზე იოლია: აღნიშნული სახელმძღვანელოს დიდი ღირსება განაპირობა ავტორთა დიდმა პროფესიონალიზმმა და სათანადო ლიტერატურულმა ნიჭმა. ცხადად გამოჩნდა, რომ, მიუხედავად მრავალი ცდისა, სხვა კარგად დაწერილი ანალოგიური სახელმძღვანელო ჩვენ ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. საუსებით სწორად წერდა გიორგი მელიქიშვილი: „ცნობილია, რომ კარგი სახელმძღვანელოს შექმნა მეტად რთული საქმეა. მე მიმაჩნია, რომ სახელმძღვანელოს შედგენისას არსებითია არა ის, თუ რა მასალას გადმოვცემთ (ამას ადვილად მოველება), არამედ ის, როგორ გადმოვცემთ.“ მართლაც, საქართველოს ისტორიის მშრალი, მემატიანესებური თხრობა დღეს მრავალ ისტორიკოსს ძალუძს, მაგრამ ისეთი დონისა, რომ საყოველთაო მოწონება დაიმსახუროს და სანიმუშო იყოს, საშუალოდ, დღეყანდელ ისტორიკოსთა შორის, ალბათ, არავის შეუძლია.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერის მორიგი ცდა ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს (ილია ანთელავას, მიხეილ გაფრინდაშვილის, მერაბ ვაჩნაძის, გიორგი მელიქიშვილის და როინ მეტრეველის შემადგენლობით). რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ილია ანთელავა. თხრობა მიჰყავილია დღემდე (ახალი კონსტიტუციის მიღების ჩათვლით). ავტორებს წიგნი ჩაუფიქრებიათ როგორც დამხმარე კურსი საშუალო და არასპეციალური უმაღლესი სკოლისათვის. ეს კი გაუგებრობას იწვევს: გამოდის, რომ წიგნი საშუალო სკოლის უფროსკლასელთა გარდა, გამოადგება იმათაც, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში (არაისტორიო ფაკულტეტებზე) გააგრძელებენ სწავლას. დავსძენთ იმასაც, რომ ახალი სახელმძღვანელოს ტირაჟი საკმაოდ სოლიდურია (10.000) და იგი

განკუთვნილია აბიტურიენტთათვისაც. ამიტომ მისი უყურადღებოდ დატოვება მიუტევებელია. ცხადია, არც იმ გზას უნდა დავადგეთ, რომ ავტორთა ხათრით მხოლოდ წიგნის დადებით მომენტებზე ვილაპარაკოთ.

ჯერ დაეწყებათ მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის საკითხებით, რომლითაც ცდილობენ წიგნის დაწერას. სამწუხაროდ, მოგეხსენებათ, თითქმის მთელი საბჭოური პერიოდის განმავლობაში მეცნიერებს, კერძოდ, ისტორიკოსებს, თავსმოხვეული ჰქონდათ უაღრესად პრიმიტიული მსოფლმხედველობა და მეთოდოლოგია — საბჭოური მარქსიზმი, თუ ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმი. ამ თეორიულ ბაზაზე, ცხადია, ისტორიკოსი (ერთი ან რამდენიმე) სერიოზული წყარომთმცოდნეობითი მომზადებითა და ერუდიციითაც კი თვალსაჩინო წარმატებას ვერ მიაღწევდა. მაგრამ ახლა, მადლობა ისტორიის გონს, დადგა დრო ძველი მსოფლმხედველობრივი და მეთოდოლოგიური პრინციპების გადასინჯვისა. დიდად სამწუხაროდ, ვერ ვამჩნევთ, რომ ქართველი ისტორიკოსები ამ მიმართულებით მეტისმეტად ირჯებოდნენ. კერძოდ, იმავეს ვიტყოდით სარეცენზიო ნაშრომის ავტორთა მიმართაც. აღნიშნული უმნიშვნელოვანესი საკითხის თაობაზე წიგნში ვკითხულობთ: „მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობა და ქრისტიანული იდეოლოგია დაედო საფუძვლად შუა საუკუნეების მაღალ ქართულ კულტურას" (გვ. 3); „ქრისტიანული მსოფლმხედველობა საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების საქართველოს (თუ ქართულ? — გ. ყ) კულტურას და ეროვნულ ცნობიერებას" (გვ. 44). როგორც ვხედავთ, აქ მიტოვებულია ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი დებულება, რომლის თანახმადაც თვითონ სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები გაიგებიან შესაბამისი ეკონომიკური ბაზისით. მაგრამ აქ კითხვა დაისმის იმის შესახებ, თუ რამდენად სერიოზულად ჰქონდათ გააზრებული ავტორებს აღნიშნული დებულება და ასევე რამდენად საფუძვლიანია მათ მიერ ისტორიული პროცესის საპირისპირო ახსნა.

წიგნის მესამე გვერდზე ვკითხულობთ: „საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია უწყვეტი ჯაჭვი ადამიანთა საზოგადოების განვითარებისა უძველესი(!) პირველყოფილი საზოგადოებიდან მოყოლებული". შეგახსენებთ, რომ საბჭოური მარქსიზმისა თუ მარქსიზმ-ლენინიზმის თანახმად, მსოფლიო ისტორიის განვითარების იდეა ხშირ

შემთხვევაში დაიყვანებოდა ერთი ქვეყნის განვითარებაზე; თითქოს საკმარისი იყო ერთი რომელიმე შედარებით ძველი ისტორიის მქონე ქვეყნის ისტორიის საფეხურების გააზრება, რომ მთელი მსოფლიოს განვითარებაც გვცოდნოდა. ასევე ფიქრობდნენ უწინ ორთოდოქსი ქართველი მარქსისტი თუ მარქსისტ-ლენინელი ისტორიკოსებიც, რომლებიც ახლა ერთბაშად აბსოლუტურად არამარქსისტები გახდნენ. მაგრამ აქ მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ წიგნის ავტორები ამ შემთხვევაში ძველებურ პოზიციაზე დგანან. მაგრამ რა ვუყოთ მონათმფლობელობას, რომელიც ქართული საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლად არასოდეს არ გამხდარა? და რაკი ასეა, მაშინ საზოგადოების განვითარების რა „უწყვეტ ჯაჭვზეა“ ლაპარაკი?

ძნელია მკითხველებმა წარმოდგენა იქონიონ ნეოლითის ქრონოლოგიურ მიჯნებზე. წიგნში ვკითხულობთ, რომ „საქართველოს ნეოლითური კულტურის (ძვ. წ. IX-X (!) ათასწლეულები) ფესვები საძებნია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მეზოლითში“. მაგრამ წიგნში თანდართული საქართველოს ისტორიის ძირითადი თარიღების მიხედვით ნეოლითს გულისხმობენ 6–8 (!) ათასი წლის წინ, ხოლო ენეოლითს – 6–7 (!) ათასი წლის წინათ. მოტანილ ციტატასთან დაკავშირებით კი აღნიშნულია: „ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორია შეღიოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ნეოლითურ კულტურაში, რომელიც წინააზიური ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენს“. მაგრამ განა შესაძლებელია ამ პერიოდის ნეოლითური კულტურისა და ცივილიზაციის ერთდროულობა ვამტკიცოთ?

სარეცენზიო წიგნში ლაპარაკია ადრეკლასობრივ საზოგადოებაზე, რომელმაც შეცვალა პრიმიტიული საზოგადოება. ამით იგულისხმება საზოგადოება, სადაც კერძო საკუთრება არ ყოფილა მნიშვნელოვნად განვითარებული (შეგახსენებთ, რომ ამ ტიპის საზოგადოებას თვითონ მარქსიზმის კლასიკოსები „აზიური წარმოების წესით“ აღნიშნავდნენ). მაგრამ იქნებ ვიფიქროთ, რომ სოციალური კლასები, გარდა საკუთრების განვითარებისა, ვითარდებიან სხვა საფუძველზედაც: შრომის საზოგადოებრივი დანაწილებით მმართველობასა და უშუალოდ მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულთა შორის. ამდენად, ჩვენი აზრით, „ადრეულ კლასებზე“ ლაპარაკი აზრს კარგავს. მით უფრო გაუგებარია, თუ რას უნდა ნიშნავდეს „ადრეული სახელმწიფო“:

მხოლოდ ადრეკლასობრივი საზოგადოების პოლიტიკურ ზედნაშენს თუ განუვითარებელ სოციალურ ინსტიტუტს. მაგრამ, ამ აზრით, ეთქვათ, ფარნავაზ I-ის მიერ შექმნილი სახელმწიფო საკმაოდ ჩამოყალიბებულ სისტემას წარმოადგენდა. ისმის კითხვა, თუ როგორ წარმოიშვა სახელმწიფო აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლში): მთლად იმანენტური გზით თუ დაპყრობით, მით უმეტეს, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში" მოხსენიებული მყოთხე გენოსის მნიშვნელოვან ნაწილად წიგნში (შესაბამისი ნაწილის ავტორი გახლავთ გიორგი მელიქიშვილი) დაპყრობილი ტომების მოსახლეობაა წარმოდგენილი (იხ. გვ. 40). საჭირო იყო იმის განმარტებაც, რომ სახელმწიფო, ტრადიციული საბჭოური გაგებისაგან განსხვავებით, მხოლოდ მოსახლეობის დაბალი ფენების ჩაგვრის ორგანო კი არაა, არამედ საერთო ფუნქციების მატარებელიც, აღმსრულებელი.

საქართველოში ფეოდალიზმის წარმოშობა კარგა ხანია (სიმონ ჯანაშიადან მოყოლებული) დაკავშირებულია საწარმოო ძალების ზრდასთან. იგივე აზრი მეორდება სარეცენზიო წიგნშიც. მაგრამ როგორც უწინ, ისე ამჯერადაც მხოლოდ ზოგად ფრაზებთან გვაქვს საქმე. ამიტომ ფეოდალიზმის წარმოშობის ეკონომიკური საფუძვლის შესახებ მკითხველებს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა რჩებათ. თვით ფეოდალიზმიც გააზრებულია არა როგორც სოციალური მთლიანობა, სისტემა, არამედ როგორც მხოლოდ გაბატონებული კლასის პოლიტიკური ორგანიზაცია. მაგრამ ამ შემთხვევაში რა ვუყოთ იმას, რომ ქართული სახელმწიფო ხშირად მთელი საზოგადოების ინტერესებსაც იცავდა.

წიგნის 229-ე გვერდზე აღნიშნულია კაპიტალიზმის განვითარების ორი გზის (ამერიკული და პრუსიული) შესახებ. მაგრამ ხომ ცნობილია ამ დებულების ავტორი — ვ. ლენინი, რომელიც, თუ უფრო ზუსტნი ვიქნებით, ამას აღნიშნავდა მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით. მაგრამ როგორ გავიაზროთ, ეთქვათ, ინგლისის ან საფრანგეთის კაპიტალისტური ევოლუცია, რომელსაც უფრო ადრე ჰქონდა ადგილი? ამასაც რომ თავი დავანებოთ და ავტორის (მიხეილ გაფრინდაშვილის) მიხედვით რუსეთის მიერ პრუსიული გზის გაცლა ვამტკიცოთ, მაშინ ხომ იგივე უნდა ეთქვათ საქართველოს მიმართაც. მაგრამ, გულახდილად უნდა გითხრათ,

ვერა და ვერ გაიაზროებია ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის გახვითარების პრუსიული გზა.

ამდენად, მსოფლმხედველობრივი და მეთოდოლოგიური საფუძვლების მხრივ საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელო საკმაოდ გაუმართავის შთაბეჭდილებას ახდენს. ამჯერადაც გავიმეორებთ, რომ იგნორირება ამ საფუძვლებისა უკვალოდ როდი რჩება, არამედ იგი სასტიკად „იძიებს ხოლმე შურს“. ამგვარი უგულებელყოფით კარგი წიგნი და მათ შორის სახელმძღვანელო, სადაც ქვეყნის გაბმული ისტორია არის მოთხრობილი, ვერ დაიწერება. მით უფრო ითქმის ეს საქართველოს ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოზე და მრავალტომეულზე (რომელიც სულ სხვანაირად უნდა დაიწეროს, ვიდრე 1970—80 „წლებში გამოცემული რვატომეული).

ახლა ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხზე შევჩერდებით. ცნობილია, რომ ამის თაობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში დღესდღეობით ორი მოსაზრება არსებობს. გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად (იგი მოდის ბორის კუფტინისაგან) ჩვენ, ქართველები, დღევანდელი და, საერთოდ, ისტორიული საქართველოს ავტოქთონები ვართ უხსოვარი დროიდანვე (ქვედა პალეოლითის საწყისი ეტაპიდან). მეორე, საწინააღმდეგო თვალსაზრისზე იდგა ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ამტკიცებდა ჩვენს მოსულობას (დაახლოებით ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში). დღეს აღნიშნული საკითხის დიდ სპეციალისტად აღიარებული გიორგი მელიქიშვილი, რომელიც ერთდროულად ორივე თვალსაზრისზე დგას, რაც, მოგეხსენებათ, ელემენტარული ლოგიკის თვალსაზრისით მიუღებელია. ფაქტია, რომ იგი ამტკიცებს ქართველთა იმთავითვე აბორიგენობასაც და მოსულობასაც ჩვენს მიწა-წყალზე. საქართველოს ისტორიის სხვა სახელმძღვანელოებში კი ყოველთვის ხაზგასმული იყო ჩვენი ავტოქთონობა-აბორიგენობა. გიორგი მელიქიშვილის სხვანაირი შეხედულება აისახა სარეცენზიო ნაშრომშიც. მე-12 გვერდზე ვკითხულობთ: „მტკვარ-არაქსის კულტურის (!) მატარებელთა სულიერ კულტურაში (!) დომინირებს ნაყოფიერების იდეასთან დაკავშირებული რწმენა (!) წარმოდგენები“. ამდენად იგულისხმება, რომ ეს არქეოლოგიური კულტურა, რომლის დასაწყისიდანაც წიგნში ხან ძვ. წ. 3500 წელი ფიგურირებს და ხან 3000 (იხ. გვ. 12, 320) არაა ქართველთათვის მშობლიური. გიორგი მელიქიშვილის სხვა ნაშრომებიდან კარგად ვიცით, თუ ვის, რომელ

სახელდობრ, წინარეინდოევროპელებს. ორი გვერდის შემდეგ კი ვკითხულობთ: „თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომები ფართო ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებული ცენტრალურ და სამხრეთ ამიერკავკასიაში". როგორც ვხედავთ, აქაც ბუნდოვანებაა იმის თაობაზე, თუ რომელი ეთნოსი იგულისხმება თრიალეთის კულტურის მატარებლად თუ განმასახიერებლად. საკითხის არსში ჩაუხედავი მკითხველი იფიქრებს, რომ აქ ჩვენი წინაპრები იგულისხმებიან, მაგრამ ვინც იცნობს გიორგი მელიქიშვილის სხვა ნაშრომებს, იგი გაიცნობიერებს, რომ აქ ხურიტებია ნაგულისხმევი.

აღნიშნული თვალსაზრისით ძალზე საინტერესო გახლავთ წიგნის მე-15-ე გვერდი, სადაც ვკითხულობთ: „შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ. II–I ათასწლეულთა მიჯნაზე არსებობდა სატომო ტერიტორიების ძირითადად ერთგვარი დანაწილება. მაშასადამე, აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდა არსებით ცვლილებებს ტომთა განლაგებასა და მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში. ძვ. წ. II ათასწლეულის შუახნიდან მაინც კავკასიის, კერძოდ, ამიერკავკასიის მოსახლეობა ძირითადად ისეთივე ეთნიკური შემადგენლობისა იყო, როგორც უფრო გვიან". თავი რომ დავანებოთ აქ მოტანილი ციტატის ბუნდოვან დასაწყის სტრიქონებს, ადვილად დავასკვნით, რომ ჩვენი წინაპრები საქართველოს მიწა-წყალზე ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანში, ე. ი. არქეოლოგიური ნომენკლატურით რომ ვთქვათ, გვიან ბრინჯაოს ხანაში მოსულან. ამდენად წიგნში გატარებულია აზრი ჩვენი წინაპრების მიგრაციის გზით მოსულობაზე. მაგრამ ამ თვალსაზრისთაც გიორგი მელიქიშვილის შეხედულებებში მრავალი გაურკვევლობა შეინიშნება. აქამდე, რამდენადაც ვიცით, იგი დიდად ერთგული იყო ე. წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდისა (რომლის შემქმნელია ამერიკელი ენათმეცნიერი მორის სუოდეში) და ამ მეთოდის ქართული მასალის მიმართ გამოყენებისა რუს ენათმეცნიერ გიორგი კლიმოვის მიერ. გიორგი მელიქიშვილი, აქედან გამომდინარე, თვლიდა, რომ ძველი კოლხური სამეფოს საწყის საუკუნეებში ადგილი ჰქონდა ზანურ-ქართულ ერთობას, ხოლო ტერიტორიულად ეს ერთიანობა თითქოს ჭოროხის აუზში უნდა იყოს საგულვებელი.

მაგრამ ამ შემთხვევაში იმთავითვე გაურკვეველი რჩებოდა ჰესხების ანუ მუშქების საკითხი. ცნობილია, რომ მათ შესახებ ლაპარაკია

ძველ ასურულ ლურსძულ წარწერებში. ამდენად, თუ ჩვენი წარმომავლობის მესხები უკვე ძვ. წ. XII საუკუნეში გაჭრილან შორს წინა აზიაში, ასურეთის ჩრდილო-დასავლეთით (ამის შესახებ თვით წიგნში ვერაფერს ვკითხულობთ, არამედ აღნიშნულია წიგნის ბოლოს (გვ. 320) მოთავსებულ საქართველოს ისტორიის ძირითად თარიღებში), მაშინ, საერთო ეთნიკური წარმომავლობის საკითხის გარკვეულობისასაც კი, საკითხავია, თუ ქართველური ხალხების რომელ შტოს განეკუთვნებოდნენ ისინი. გიორგი მელიქიშვილის უწინდელი შრომების მიხედვით ასევე დიდად გაურკვეველი რჩება აღმოსავლურ ქართველთა (ქართების) დასახლება შესაბამის მხარეში. იგი სასპერებს (რომლებთანაც ჩვენს ერთ-ერთ ეთნონიმს აკავშირებენ) საერთოდ გვერდს უვლის (კერძოდ, სარეცენზიო წიგნშიც). დღეს, როგორც ვიცით, აღარ დაობენ ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე ქართლის (იბერიის) სახელმწიფოს წარმოშობის თაობაზე. როგორც წიგნიდან ვკითხულობთ, ამ მოვლენას წინ უძღოდა მცირე გაერთიანებების ხანა, მაგრამ, რა ხდებოდა უფრო უწინ? სხვანაირად რომ ვთქვათ, სასპერების ქართული ეთნიკური სამყაროდან გამორიცხვით უაღრესად ბუნდოვანი რჩება აღმოსავლეთ საქართველოში ქართების (ქართველების) წინაისტორია. აღნიშნული თვალსაზრისით განსამარტავია აზრი ციტატისა: „საქართველო ძველი მსოფლიოს ის რეგიონი იყო, სადაც ჯერ კიდევ შორეულ ეპოქაში წარმოიშვა სახელმწიფოები, რომლებიც ეგრისის (კოლხეთის) და ქართლის სამეფოების ისტორიულ წინამძღვრებს ქმნიდნენ“ (გვ. 3). თუ ასეა, მაშინ საკითხავია, რომელი პოლიტიკური გაერთიანება გახდა ქართლის სამეფოს შექმნის წანამძღვარი. ხოლო წიგნის ბოლოს კი, საქართველოს ისტორიის ძირითადი თარიღების გადმოცემისას, აღნიშნულია: „ძვ. წ.-მდე II ათასწლეულის II ნახ. – გვიანბრინჯაოს ხანა – დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული კულტურების ჩამოყალიბება“ (გვ. 320). მაგრამ თუ გიორგი მელიქიშვილის შეხედულებების მთელ კონტექსტს გავითვალისწინებთ, ვიმეორებთ, ამ დებულების გააზრება ძალიან ძნელდება.

სარეცენზიო წიგნში ლაპარაკია დიაოხის გაერთიანებაზე, კერძოდ, მის სახელმწიფოებრივ ხასიათზე. მაგრამ ავტორის (გიორგი მელიქიშვილის) თანახმად, დიაოხის მოსახლეობას ხურიტები შეადგენდნენ. ამ მხრივ, ცხადია, დიდად ბუნდოვანდება ტაოხების

ეთნიკური ვინაობის საკითხიც. მაშ, თუ ასეა, მაშინ რა გამართლება აქვს საქართველოს ისტორიის თხრობაში დიაოხის შესახებ ცნობებს? ამაზე საფუძვლიანობით ხომ მითანის, მანას და ა. შ. ისტორიის მოხმობაც შეიძლებოდა? თანაც ავტორი დიაოხის ფარგლებს სამხრეთისაკენ ისე შორს სახავს, რომ გვიძნელდება იქამდე ამიერკავკასიის წარმოდგენა.

დიდად წინააღმდეგობრივია ავტორის (გიორგი მელიქიშვილის) აზრი კოლხას გაერთიანებაზე. მე-14 გვერდზე აღნიშნულია: „რამდენადაც ეს კულტურა (კოლხური – გ. ყ) დიდ ტერიტორიას მოიცავს – მთელ დასავლეთ საქართველოს და მეზობელ რაიონებს, უნდა ვიფიქროთ, რომ უნდა არსებულიყო ძლიერ ტომთა კავშირი ან ადრეკლასობრივი სახელმწიფო, რომელსაც (!) აქტიური როლი უნდა შეესრულებინა კულტურულ მონაპოვართა ფართო ტერიტორიაზე გავრცელების საქმეში“. ამდენად, ერთდროულად ლაპარაკია ტომთა კავშირზეც და ადრეკლასობრივ სახელმწიფოზეც, რაც ლოგიკურად აშკარად გაუმართლებელია. თანაც მხედველობაში იქონიეთ, რომ მსჯელობა წარმოებს გვიანი ბრინჯაოს ხანის შესახებ. ამის შემდგომ, მე-15 გვერდზე, ვკითხულობთ, რომ „ეს ეპოქა არის დიდ ტომთა გაერთიანებების შექმნის ხანა“. ამავე გვერდზე, როგორც უკვე მიეთითებოდით, აღნიშნულია „სატომო ტერიტორიების ძირითადად ერთგვარი(?) დანაწილება“ შემდგომ: „ამ მუდმივ(!) ომიანობის ვითარებაში გზას იკვლევდა დიდი, სახელმწიფოებად გადაქცევის ზღურბლზე მდგომი გაერთიანებების შექმნის ტენდენცია“. ასე რომ, ავტორის აზრი ლოგიკურად დიდად მოიკოჭლებს, რაც აღნიშნულით რიდი მთავრდება. შემდგომი თხრობისას (იხ. გვ. 16) აღნიშნულია: „ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის I ნახევარში ჩამოყალიბებას იწყებენ საკმაოდ დიდი და მყარი გაერთიანებები“. როგორც ვხედავთ აქ მონახულია სიტყვა „გაერთიანებები“, რომელიც ორაზროვანია: გულისხმობენ ტომთა კავშირსა და სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურ გაერთიანებას. მე-17 გვერდზე კატეგორიული მსჯელობაა კოლხეთზე, ვითარცა პოლიტიკურ ერთეულზე, მომდევნო გვერდზე კი ვკითხულობთ, რომ კოლხეთი „საუკუნებელია უკვე ადრეკლასობრივი სახელმწიფო იყო“. გადის კიდევ რამდენიმე საუკუნე და ავტორი გვიმტკიცებს: „ქართული ტომების ამ ახალი გაერთიანების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა სამხრეთში ახლადწარმოქმნილ დიდ

სახელმწიფოებიან მიდიასთან და შემდეგ სპარსეთთან ინტენსიური ურთიერთობის (!) პირობებში" მეცნიერება, როგორც ცნობილია, ცნებებით და ლოგიკურად აბრალებების უნარს გულისხმობს, ამ მხრივ კი ისტანილი მაგალითები სულ სხვა რამეს გვიჩვენებენ.

წიგნის 24-ე გვერდზე ლაპარაკია სხვადასხვა გაერთიანებების შესახებ, რომელთა შორის ბრძოლის შედეგადაც წარმოიშვა ქართლის სამეფო (სახელმწიფო). მაგრამ აქაც გაურკვეველია, თუ რა იგულისხმება ამ გაერთიანებებში — გვაროვნულ-ტომობრივი თუ პოლიტიკური (სახელმწიფოებრივი) ხასიათი.

აქსახურის ძველი მოსახლეობის (სანიგები, აბაზგები და აფშილები) შესახებ თხრობისას საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს იგი არაქართული წარმომაყვიშისა იყო (იხ. გვ. 32—33). მაგრამ, საბედნიეროდ, შესაბამისი ეთნონიმია და ტოპონიმია აშკარად აჩვენებს ქართველური ელემენტის არსებობას ამ ხანაშიც. ამის დავიწყება საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში სწორედ რომ მიუტევებელი გახლავთ.

წიგნის მეშვიდე პარაგრაფიდან, სადაც რელიგიასა და კულტურაზეა ლაპარაკი, მკითხველი (მით უმეტეს საშუალო სკოლის უფროსკლასელები) ვერაფერით გაიგებს, თუ რომელი ღმერთი (ღვთაება) იდგა ქართლის პანთეონის სათავეში: 34-ე გვერდზე ასეთად აღნიშნულია მთრიგე ღმერთი, მაგრამ ამავე გვერდზე უზენაეს ღმერთად არმაზია მოხსენიებული. და იქვე აღნიშნულია: „ასე ჩამოყალიბებული პანთეონი, რომლის სათავეში უძველეს ქართულ ღვთაებებს ვხედავთ".

საყურადღებოა ავტორის (გიორგი მელიქიშვილის) შემდეგი მტკიცებაც: „ფეოდალური საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა შეიძლება მივიჩნიოთ ძველი ტომობრივი დანაწილების მოდიფიკაციად. ამის შედეგი იყო ის, რომ განვითარება აქ არ წავიდა „აღმოსავლური ფეოდალიზმის" მიმართულებით, მისთვის დამახასიათებელი ცენტრალიზაციითა და დესპოტური ხელისუფლებით. ამიტომ იყო, რომ ქართულმა ფეოდალიზმმა უფრო დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმის სახე მიიღო". როგორც ვხედავთ, აქ ავტორი ცდილობს მსჯელობას ფილოსოფიურ-სოციოლოგიური ფორმა მისცეს, რაც სულაც არ გახლავთ უპრიანი სასკოლო სახელმძღვანელოსათვის. მაგრამ ე. წ. ადრეკლასობრივი სახელმწიფო საქართველოში ხომ თითქოს ტერიტორიულ დანაწილებას (საერისთავოებს, სეპტუხიებს) ეფუძნებოდა და არა ტომობრივს. ამდენად, ხომ შეწყდა მემკვიდრეობითობა ტო-

მობრივ გაერთიანებასა და ფეოდალურ სახელმწიფოებრიობას შორის? მოტანილ ციტატაში ლაპარაკია გარკვეულ მიზეზ-შედეგობრივ მიმართებაზე, სახელდობრ, გამოკვეთილია შედეგი (საქართველოში ე. წ. აღმოსავლური ფეოდალიზმის განუვითარებლობა), მაგრამ გაუგებარია, თუ რა მიზეზმა განაპირობა იგი.

როგორც წიგნიდან ვებულობთ, შაბურ I-ის (242–72) დროს ივერია (ქართლი) ხარკს უხდიდა სპარსეთს. ასე რომ, ჩვენი ქვეყანა „სასანიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფ ქვეყნად განიხილებოდა" (იხ. გვ. 42–43). გიორგი მელიქიშვილის უცნაური მტკიცებით, ქართლის ამდროინდელი მეფის ამაზასპის „სახით საქმე უნდა გვქონდეს არა იარაღის ძალით დამორჩილებულ მმართველთან, არამედ ირანის მბრძანებლის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გაელენიან მოკავშირესთან" (გვ. 43). გამოდის, რომ ქართლი უკვე იქცა ირანის მოხარკედ, მაგრამ ეს მოხდა თითქოსდა სავსებით ნებაყოფლობით. სამაგიეროდ, ჩვენს შორეულ წინაპრებს დიდად საამაყო ეჩნებოდათ ჩვენი მეფის ამგვარი პოლიტიკური აღზევება ირანში (მოვიგონოთ აღმოსავლეთ საქართველოს XVII–XVIII საუკუნეების ისტორია!). მაგრამ ორი გვერდის შემდეგ ვებულობთ, რომ IV საუკუნის 70-იან წლებში ერანელებს ხარკი დაუდგიათ ქართლისათვის.

რასაკვირველია, ყველაზე მეტ შენიშვნას იმსახურებს წიგნის ის ნაწილი, რომელიც ჩვენს პირველყოფილობასა და ძველ ხანას ეხება, მაგრამ, საერთოდ, შენიშვნებისგან არც ისტორიის მომდევნო პერიოდებია დაზღვეული. მივყვეთ თანამიმდევრობით.

IV–VIII საუკუნეებზე საუბრისას წიგნში ვკითხულობთ: „ამ ეპოქაში დაიწყო „წვრილი ერის" დიდი ნაწილის „გაგლეხების" პროცესი, რომელიც კარგა ხნის შემდეგ დამთავრდა (XII–XIV სს-ში)" (გვ. 69). მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია აზრი, რომ ეს პროცესი ქვეყნის მოწინავე რეგიონებში უფრო ადრე დამთავრდა (ძირითადად IX–XI საუკუნეებში). როგორც ვებულობთ, „დასრულდა აღმოსავლეთ ქართული (იბერები(!), კახები, ჰერები) და დასავლურ-ქართული (მეგრელები, სვანები, აფხაზები(!) ეთნოსისტემების (!) ერთიან ქართველ ერად (ხალხად) ჩამოყალიბების პროცესი" (გვ. 90). ავტორი (ილია ანთელავა) აქ მთლად ნათლად არ (თუ ვერ) გადმოსცემს პოზიციას. ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღნიშნულის თაობაზე რამდენიმე შეხედულებაა. ერთნი მიიჩნევენ, რომ ამ დროს ჩვენი

ეთნიკური ერთობა ხალხის დონეზე იმყოფებოდა, მეორენი კი თელიან, რომ უკვე ქართველების ერად ჩამოყალიბებას ჰქონდა ადგილი, გიორგი მცლიქიშვილი კი შეჭმული ეთნიკური სიტუაციის აღსანიშნავად ხმარობს ტერმინს „ერთიანი ქართველი ხალხი“. როგორც ვხედავთ, მოტანილ ციტატაში ამ მხრივ გაურკვეველობაა. თუმცა მანამდე, IX-X საუკუნეების მიმართ „ქართველი ერია“ ნახმარი. და თუ ავტორი მართლაც ერს გულისხმობს, მაშინ როგორ შეიძლება შესაბამისი პროცესის დასრულებაზე ლაპარაკი IX-XI საუკუნეებში, მით უფრო რომ XIX საუკუნის ისტორიის თხრობისას (ავტორი მერაბ ვაჩნაძე) სწორედ ქართველი ერის შემდგომ კონსოლიდაციაზეა საუბარი (გვ. 237, 240).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გიორგი II წარმოდგენილია საკმაოდ უსიათო მეფედ. წიგნში (ავტორი ილია ანთელავა) ცდაა ამ დებულების უარყოფისა და მიზეზების არახელსაყრელ გარემოებებში მონახვისა. მაგრამ ხომ მალე დადგა საქართველოსთვის ხელსაყრელი პირობები, რომლებიც მშვენიერად გამოიყენა დავით ალმაშენებელმა? აკი წიგნშიც აღნიშნულია: „გიორგი II-ემ, როგორც ჩანს, ვეღარ გაუძლო ყოველმხრივ თავსდატეხილ განსაცდელს და გადაწყვიტა თავისი ერთადერთი მემკვიდრე, 16 წლის დავით IV აეყვანა ტახტზე“ (გვ. 88). ამ აქტით ხომ ნათლად გამოჩნდა გიორგი II-ის შეუფერებლობა იმდროინდელი ისტორიული სიტუაციისათვის. წიგნში არაა სიცხადე იმ საკითხშიც, თუ რატომ „მოიმიზეზა“ ამ მეფემ აჯამეთის ტყეში ნადირობა ვეჟინის ალყისას (იხ. გვ. 88).

მასობრივ მკითხველებს, მათ შორის სკოლის უფროსკლასელთ, ჩვეულებრივ, გიორგი საკაძეზე მყარი სტერეოტიპული (დადებითი აზრით) წარმოდგენა აქვთ. წიგნში კი ამ მხრივ საქმე სხვაგვარადაა წარმოდგენილი. აქ აღნიშნულია: „საკაძეს რეალური ხელისუფლება ჰქონდა და სულ არ აპირებდა, იგი თეიმურაზისათვის დაეთმო. არც თეიმურაზს აძლევდა ხელს მოურავის კარნახით მეფობა“ (გვ. 170). თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ამაში უნდა ვეძიოთ ბაზალეთის ომის გასაღები. მაგრამ ხომ კარგად ვიცით, რომ ამ შემთხვევაში უფრო ფართო მიზანიც იყო დასახული: სამეფო ტახტზე იმერეთის მეფის ძის დასმა და ამრიგად ქართლის, კახეთისა და იმერეთის გაერთიანება.

ავტორი (ილია ანთელავა) წარმოაჩენს ლევან II დადიანის დამსახურებას ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მთიელთა მოძალების

შესაჩერებლად, თუმცა ალიშარეს მის „გაუმართლებელ“ ომებსაც იმერეთის სამეფოსთან (იხ. გვ 173). ამ თვალსაზრისით კიდევ მეტის თქმა იყო საჭირო. მაგრამ ვერ გაიზიარებთ მის აზრს, თითქოს ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლა, რაც ერეკლე II-ს დარეჯანმა ჩააგონა, კარგად წაადგებოდა ქვეყანას (ქართლ-კახეთს). ასეთ პირობებში რომ ანარქია გაბატონდებოდა, ეს, როგორც ჩანს, ერეკლემაც გაიცნობიერა და ამიტომაც უარი თქვა ამგვარ პოლიტიკურ სიახლეზე.

პარაგრაფში, რომელიც გადმოსცემს ქართული მწერლობის ისტორიას XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მთელი აბზაცი ეთმობა დავით გურამიშვილის შემოქმედებას (გვ 225). შეგახსენებთ, რომ ამის თაობაზე წიგნში, რასაკვირველია, მანამდეც (გვ 209) იყო ლაპარაკი. გარდა აღნიშნული უხერხულობისა, ახალი ქართული ლიტერატურის საწყისი ქრონოლოგიური ზღვრის ასე წინ გადატანა (იქნებ სულხან-საბა ორბელიანიდან დაგვეწყო?) უჩვეულოცაა და დასაბუთებას საჭიროებს.

მკითხველებს გაუჭირდებათ გაიგონ განსხვავებულობა პირველ და მეორედასელებს შორის. ისე ჩანს, თითქოს ილია და მისი მომხრენი მხარს არ უჭერდნენ საქართველოში მრეწველობისა და ვაჭრობის „ფართო განვითარებას“ (იხ. გვ 244). მით უფრო გაუგებარია შემდეგი აზრი: „XIX ს. II ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოების კვალობაზე მის განმანათლებლურ იდეოლოგიაში თანდათანობით ჩამოყალიბდა ჯერ ჰუმანისტურ-დემოკრატიული, რადიკალურ-დემოკრატიული და ხალხოსნურ-დემოკრატიული, მერე კი, 90-იანი წლებიდან, სოციალ-დემოკრატიული და ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობანი“ (გვ 243). როგორც ეხედავთ, ამ ჩამონათვალში მხოლოდ ქრონოლოგიური კი არა, არამედ ლოგიკური თანამიმდევრობაც იგულისხმება. მაშინ კითხვა ისმის: განა ეპითეტი „ჰუმანისტური“ არ მიესადაგება სხვა მიმდინარეობებსაც, ანდა „რადიკალური“ განწყობილებანი უცხო იყო ახალგაზრდა ილიასათვის? და ა. შ. თუ ასე ვიმსჯელებთ, მაშინ ილია ჭავჭავაძე თავისი „ჰუმანისტურ-დემოკრატიული მიმართულებით“ შორს უნდა ყოფილიყო ეროვნული დემოკრატიზმისაგან, რაც იმთავითვე მიუღებელია. აქვე წიგნში ხომ ალნიშნულია აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ვასილ ბარნოვის, შიო არაგვისპირელის „ეროვნულ-დემოკრატიზმი“ (გვ 271).

257-ე გვერდზე კი ვკითხულობთ, რომ 1917 წელს ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის სათაოებთან სწორედ ილია იყვა. მოსწავლისთვის ფაქტი, რომ მას წარუდგინეს პარტიის პროგრამა შესასწორებლად. თურმე ჯერ კიდევ 1870-იანი წლებიდან ილიას მსგავსი კაცთა ჰქონია საქართველოს ეროვნული და სოციალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებზე კონსერვატორებთან, ლიბერალებთან, რადიკალ-დემოკრატებთან, ხალხოსნებთან, სოციალ-დემოკრატებთან და სოციალ-ფედერალისტებთან (გვ. 249–250). მაშინ საკითხავია, თუ რომელ სოციალურ-პოლიტიკურ მიმართულებას განასახიერებდა ილია, რომელიც „მათთან"(!) ერთად იცავდა ჰუმანისტურ-პატრიოტულ, ეროვნულ და სოციალურ(!) თვალსაზრისს" (გვ. 250).

სამეგრელოს გლეხთა აჯანყების (მის თარიღად 220-ე გვერდზე ჯერ 1857 წელია მითითებული, შემდეგ კი 1856–57 წწ.) თაობაზე ვკითხულობთ, რომ იგი ინსპირირებული იყო რუსეთის ხელისუფლების მიერ (გვ. 221). თუ მართლაც ასე გაბლდათ, ამას სათანადოდ დამტკიცება სჭირდება. მანამდე კი მსგავსი მოსაზრების შეტანა ისტორიის სახელმძღვანელოში გაუმართლებლად გვეჩვენება. აშკარად გაზვიადებულია აღნიშნა იმისა, რომ „უკვე საუკუნის (XIX – გ. ყ) დასასრულისათვის საქართველოში დამთავრებული იყო სამრეწველო გადატრიალება, რაც გულისხმობდა მსხვილი სამანქანო წარმოების მთავარ და წამყვან როლს" (გვ. 235). თუმცა ერთი გვერდის შემდგომ ვკითხულობთ: „მიუხედავად სწრაფი და თვალსაჩინო წინსვლისა, საქართველო მაინც აგრარულ ქვეყნად რჩებოდა, იგი კაპიტალისტური განვითარების ტემპით საერთო-საიმპერიო საშუალო დონეზეც ვერ იყო ასული. ამის ძირითადი მიზეზი იყო კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა და საკუთრივ ქართული ეროვნული ბურჟუაზიის სისუსტე".

წიგნის 268-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ 1918 წლის 22 იანვარს, რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ, თბილისში შეიკრიბა 26 ამიერკავკასიელი დეპუტატი და ამგვარად შეიქმნა საკანონმდებლო ორგანო – ამიერკავკასიის სეიმი. სინამდვილეში სეიმის შემადგენლობა ბევრად უფრო ფართო გახლდათ. სამწუხაროდ, დამხმარე სახელმძღვანელოში აღმოჩნდა მოარული მითი, თითქოს მსოფლიოში პირველი სოციალისტური მთავრობა ქართველ მენშევიკებს ჩამოეყალიბებინათ 1918 წელს (გვ. 273). სინამდვილეში ამას ადგილი ჰქონდა ავსტრალიაში -

და თანაც ამის უწინარეს რამდენიმეგზის. სომხეთის დაშნაკური მთავრობის მიერ წამოწყებული აგრესია მხოლოდ ქართულმა გვარდიამ კი არ მოიგერია (იხ. გვ 280), არამედ, და უფრო მეტად, ქართულმა ჯარმა. თბილისის უნივერსიტეტის დაარსება სხვადასხვა პიროვნებებს ერთნაირად მიეწერება (გვ 274), მაშინ როდესაც ამ აზრით იავნე ჯავახიშვილის ღვაწლი შეუდარებელი გახლდათ. სხვათა შორის, მთლად სწორი არაა ისიც, თითქოს ჩვენი დიდი მეცნიერი და მამულიშვილი 1920-იანი წლების ბოლოსა და 1930-იან წლებში ამ დაწესებულებიდან გაძევებული იყო (გვ 294). ფაქტი ისაა, რომ მას უნივერსიტეტის დატოვება 1931 წელს მოუხდა, 1933-36 წლებში კი იგი კვლავ მოღვაწეობდა აქ (სხვათა შორის, 1936 წელს უნივერსიტეტი თვითონ იავნე ჯავახიშვილმა დატოვა).

უახლესი ისტორიის თხრობისას წიგნში აღნიშნულია 1991 წლის 13–16 მარტს თბილისში შემდგარი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა საგანგებო კონფერენციის ფაქტი, ეროვნული ფორუმის, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" შექმნა. ვეჭვობ, რომ ეს ფაქტები ისეთი ღირსსახსოვარი ყოფილიყოს, რომ მათი დამახსოვრება აუცილებელი იყოს სკოლის უფროსკლასელთა და აბიტურიენტთათვის.

სარეცენზიო წიგნში გვხვდება უამრავი წვრილმანი – ისტორიული თუ ენობრივი ლაფსუსი, რომელიც, მით უმეტეს, მიუტევებელია ამგვარი ხასიათის ნაშრომისათვის. ჩამოვთვლით მხოლოდ ნაწილს. მე-6 გვერდზე აღნიშნულია მცირე ბზიბი ბზიფის ნაცვლად. უხერხულია კაცმა დაწეროს „ჭრა ძვალზე და ქვაზე" (გვ 11), „ჩუჭურთმის მჭრელი" (გვ 275). უნდა იყოს, რასაკვირველია, კვეთა და მკვეთელი. მე-11 გვერდზევე წერია: „სარწყავი თხრილების თხრა". კვლავ ამავე გვერდზე ეკითხულობთ: „საქონლის შენახვა", მაშინ როდესაც ამ შემთხვევისათვის გვაქვს სიტყვათა შეთანწყობა – „მოვლა-პატრონობა". „მიწის თაყვანისცემა" (გვ 12) მცდარი გამოთქმაა. აქ ხომ მშვენიერი სიტყვა „დედამიწა" უნდა იყოს. რას ჰგავს წინადადება: „მეურნეობაში ინერგება რკინის ხარალის ფართო გამოყენება" (გვ 14). აქვე წერია: „იგრძნობა აგრეთვე მოსახლეობის სიმჭიდროვე ქვეყნის როგორც დაბლობ, ისე მთის რეგიონებში". აქედან ისე ჩანს, თითქოს მოსახლეობის სიმჭიდროვე მაინცდამაინც მალალ მაჩვენებელს გულისხმობდეს. ლაპარაკი ჩრდილოეთ კავკასიასა და ოსეთზე (გვ 15) აშკარა შეცდომაა, თანაც იმ უძველეს ხანაში. ისტორიულად

ოსეთი, როგორც პოლიტიკური თუ ეთნიკური წარმონაქმნი, არ არსებობდა. ამავე გვერდზე „ვაიწყლის“ მაგიერ უნდა იყოს ვაიოსწყალი. უნდა ვიხმაროთ სიტყვები: „ურარტუელები, ურარტუული“ და არა „ურარტულები, ურარტული“ სიტყვა „დიაოხი“-ში ბოლო „ი“ არ იკითხება. აქტის ნაცვლად (გვ. 18–19), ცხადია, უნდა იყოს „აიეტი“, „ზამთრის გატარების“ მაგიერ (გვ. 27) – „გამოზამთრება“. „მოკავშირულ ურთიერთობას“ (გვ. 33) ხომ აშკარად სჯობს „სამოკავშირო ურთიერთობა“? აბანოს მიმართ „წყალსადენი არხების“ ხმარება (გვ. 36) გაუგებრობას იწვევს. „კოლექტიური ანგარიშგება სახელმწიფოს წინაშე“ (გვ. 40) მცდარი გამოთქმაა, უნდა იყოს „კოლექტიური ვალდებულებანი“. „რიტორიკული ხელოვნების“ (გვ. 71) მაგიერ ხომ ავლობებდა „საორატორო ხელოვნება“ ანდა „მჭევრმეტყველება“? 113-ე გვერდზე აღნიშნულია „პატრონი და ყრმა“, უნდა იყოს, ცხადია, „პატრონი და ყმა“. „არაერთგონული კაპიტალის“ (გვ. 219) ნაცვლად უნდა ეწეროს „უცხოური კაპიტალი“. აშკარად უხერხულია გამოთქმები „საქართველოს მეწარმეკები“ (გვ. 262), „ჰუმანისტური სიბრალული“ და ა. შ. (გვ. 270). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ შეცდომაა სიტყვა „ფულის მოჭრა“ ვიხმაროთ (იხ. გვ. 278). ამ დროს ხომ ძირითადად ქალალდის ფულს უშვებდნენ! „მეჰმედბეგაბაშიძის“ ნაცვლად (გვ. 281) უნდა იყოს მემედ აბაშიძე. „იალღუჯის“ ნაცვლად (გვ. 283), ცხადია, უნდა იყოს „იალღუჯა“.

ახლა სხვა ხასიათის წუწკლმანი შენიშვნების თაობაზე. გეოგრაფიული ნომენკლატურაა იკერძის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და ალაზნის დაბლობებს (გვ. 5–6) კი არ იტყვიან და დაწერენ, არამედ ამ შემთხვევებში დაბლობის მაგიერ – ვაკეს. თითქოს მდინარე ჭოროხის ზემო წელზე მდებარეობდნენ: კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, ოლთისი, სპერი (გვ. 7), რაც დიდი შეცდომაა. ამავე გვერდზე ვკითხულობთ, რომ „აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს ასევე კახეთ-ჰერეთი(!), რომელიც ქართლს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება“, მაშინ როდესაც გურიის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და სხვათა მიმართ წარსულის დროა ნახმარი (გვ. 8). „დაღესტნელი მთიულების“ ნაცვლად (გვ. 7) სიტყვა მთიულები უნდა იხმარებოდეს. მე-9 გვერდზე ლაპარაკია შრომის დანაწილებაზე ასაკის მიხედვით, მაგრამ კონკრეტულად არაა აღნიშნული, თუ რაში გამოიხატებოდა ეს. თითქოს სოფელ ქუხში (ჭიათურის რაიონი(!) აღმოჩნდა პალეოლითის ძველი ძეგლი

არაძედ ხოხის რაიონში, მაგრამ მის მიმართ აღნიშნულის მტკიცება გამორიცხულია. აქ უნდა ფიგურირებდეს სოფელი კაცხი, რომელიც სწორედ ჭიათურის საქალაქო რაიონში(!) მდებარეობს. თუ ამ ხანის ძეგლების მდებარეობა ხშირად არის განმარტებული რეგიონებისა და რაიონების მიხედვით (გვ. 9), კუდაროსა და წრნას მღვიმეების მოხსენიებისას ამას ადგილი არა აქვს. როგორც მე-10 გვერდიდან ვგებულობთ, „ცვიან ნელითურ მასალაში მრავლად გვხვდება მდინარის კენჭებიდან გაკეთებული იარაღები, რომელთა დიდი ნაწილი განკუთვნილი იყო ტყის გასაკაფად და ხის დასამუშავებლად". მაგრამ რა შუაშია აქ „კენჭები"? უნდა იყოს, რასაკვირველია, „ქვები". ძველი სამლოცველოები ხოლეში კი არ აღმოჩნდა (გვ. 15), არამედ ხოლეგორაზე. თითქოს „მოქცევაა ქართლისაა"-ს მიხედვით აზომ წამოიყვანა ათასი სახლი (გვარი) და მამამძუძეა 10 სახლი და დაასახლა ისინი „ძველ მცხეთას" (გვ. 24). აღნიშნულ ტერიტორიაზე ამ რაოდენობის მოსახლეობის დატევა, ცხადია, წარმოუდგენელია. რაც უფრო მთავარია, ჩვენს შესაბამის საისტორიო წყაროში ათასის მაგიერ ათია აღნიშნული. „ფარნავაზელთა დინასტიის" მაგიერ (გვ. 25) უნდა იყოს, რა თქმა უნდა, ფარნავაზიანთა დინასტია. სტრაბონი მხოლოდ გეოგრაფოსი კი არ იყო (იქვე), არამედ ისტორიკოსიც. მითრიდატე VI-ის ზეობის წლებად ძვ. წ. 11-63 წლებია მითითებული (გვ. 27). აქ აშკარაა, რომ კორექტურული შეცდომაა: 11-ის ნაცვლად უნდა იყოს ციფრი 111. „ანიკეტისა" და „ფარნაკის" მაგიერ უნდა ვიხმაროთ ანიკეტე და ფარნაკე. 30-ე გვერდზე ხან „იბერები" წერია და ხან „იბერიელები". უხერხულობას ქმნის მეფე ფარსმან I-ის მიმართ „იბერიელი ფარსმანის" ხმარება (გვ. 30). რომის იმპერატორ კალიგულას ზეობის საწყისი წელი ახ. წ. 34 წელი კი არაა (გვ. 30), არამედ 37, ხოლო კლავდიუსისა — 41 წელი (წიგნში 42 წელია მითითებული). სპარსეთის ერთ-ერთი ოლქის სახელწოდებად ქართულად „პერსიდა" კი არ უნდა ვიხმაროთ (გვ. 42), არამედ — ფარსი. იბერიაში (ქართლში) მთელი არგველი კი არ შედიოდა (გვ. 46), არამედ მისი ნაწილი. ორი გვერდის შემდგომ წიგნში აღნიშნულია „450-51 წწ. სომხეთ-ალბანეთის ომი", რაც დიდად გაუგებარია. ომს ეს ქვეყნები კი არ აწარმოებდნენ ერთმანეთთან, არამედ ირანი — მათ წინააღმდეგ. მცდარია მსჯელობა „იუსტინიანემ აღადგინა რომის

საქართველოს მოსახლეობას ჯიზიას გარდა „ხარაჯაც“ (გადასახადი) უნდა გადაეხადა. აქედან ისე გამოდის, თითქოს ჯიზია გადასახადი (სულადი) არ ყოფილიყო. თითქოს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ XI საუკუნეში იყო შექმნილი (გვ 92), მაშინ როდესაც იგი წინა საუკუნის თხზულებაა და ზუსტადაა ცნობილი მისი შექმნის თარიღიც – 951 წელი. 108-ე გვერდზე ლაპარაკია შაკი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. სინამდვილეში, კონტექსტის მიხედვით, უნდა იყოს სამხრეთ-აღმოსავლეთი. ქართული ჰიდროტექნიკის ისტორიამ არ იცის „სხალტბა-შიომღვიმის სარწყავი არხი“ (გვ 110), არამედ – ამ სახელწოდების წყალსადენი (სასმელი წყლის მიმწოდებელი). 1260 წელს მონღოლთა მიერ დავით-ულუს დამარცხება თითქოს გორის ახლოს მოხდა (გვ 137), მაშინ როდესაც ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა სოფელ შინდარასთან (ხაშურის სიახლოვეს). როგორც ვხედავთ, აქ გამეორებულია შეცდომა, რომელიც „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მესამე ტომშია დაშვებული. მკითხველებს უთუოდ გაუჭირდებათ ერთმანეთისაგან გამიჯნონ ქართული თავად-აზნაურები და ინტელიგენცია 1830-იან წლებში (გვ 214). დიდად წინააღმდეგობრივია შემდგომი მტკიცება: „კონსერვატორული და ლიბერალური მიმართულების (!) „ცისკარი“ (გვ 224). წიგნში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე რუსეთის ხელისუფლებამ სტავროპოლში გადაასახლა (გვ 222). აქ უფრო მეტი სიზუსტეა საჭირო: იგი ჯერ სტავროპოლში გადაასახლეს, ხოლო შემდეგ – ვორონეჟში, სადაც გარდაიცვალა. ჩვენი ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ხიზანიშვილი კი არ იყო (გვ 259), არამედ ხიზანაშვილი. დიდად მიუტევებელი გახლავთ ამის მტკიცება: „სახელმწიფო სათათბიროს წევრად არჩეული იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც სათავადაზნაურო (!) ხმებით გაიდა“ (გვ 260). ამ შემთხვევაში, რომ იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ასევე ითქმის მელიტონ ბალანჩივაძის მიერ ოპერა „თამარ ცბიერის“ დაწყებაზე 1866 წელს (გვ 254). „დიადი სტალინური“ კონსტიტუცია საქართველოში მიიღეს არა 1938 წელს (გვ 294), არამედ 1937 წელს.

ზემოაღნიშნული მრავალი შეცდომა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსათვის, ვფიქრობთ, დიდად მიუტევებელია. ბევრი

მთგანის თავიდან აცილება ადვილად შეიძლებოდა, ავტორებს და რედაქტორს რომ ხელნაწერი რეცენზენტებისათვის გადაეცათ. სხვა მხრივ, რასაკვირველია, წიგნი აღარ იმეორებს ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელ ბევრ სტერეოტიპს. ზოგან არის მცდელობები ორიგინალური მსჯელობებისა. ცხადია, მისი სახით სხვა ანალოგიურ სახელმძღვანელოებს კონკურენტი უნდა გააჩნდეს, მაგრამ მთლიანობაში თუ გავიაზრებთ, დიდად გაგვიჭირდება წიგნი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან სიახლედ ჩავთვალოთ.

ვიმედოვნებთ, რომ ავტორთა წარუმატებელმა მაგალითმა ბევრს უნდა დაუკარგოს სახელმძღვანელოს დაწერის ხალისი, და მას ხელი უნდა მოჰკიდოს კაცმა, რომელიც თავს ნამდვილად გრძნობს პროფესიონალად და სათანადო ლიტერატურული ნიჭიც მოსდგამს.

1997 წ.

კომუნისტური წყობილებისა და იდეოლოგიის გადაშენება-გადაგების კვალობაზე ცვლილებებს განიცდის ქართული ისტორიოგრაფიაც. მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ამ ცვლილებებს სტიქიური ხასიათი აქვს. ჩვენში არსებობს რამდენიმე „თვითმოქმედი" ცენტრი, რომლებსაც, როგორც ჩანს, პრეტენზია აქვს ქართული ისტორიოგრაფიის აღმავლობის საქმე იკისროს. ფაქტია, რომ დღემდე არა გვაქვს ერთიანი მაკოორდინირებელი ცენტრი, რომელიც, მაღალპროფესიულ დონეზე და ავტორიტეტულად წარმართავდეს შესაბამის პროცესს.

დავიწყებთ იქიდან, რომ თუ აქამდე, თითქმის მთელი 70 წლის განმავლობაში, ქართული ისტორიოგრაფია თეორიული თვალსაზრისით ეფუძნებოდა ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმს. ახლა ისტორიკოსები გაურბიან არათუ ვ. ლენინისა და ი. სტალინის, არამედ თვითონ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის აზრების ციტირებასაც. მაგრამ უწინდელი „თეორიის" მხოლოდ მიტოვება არა კმარა, საჭიროა სხვა თეორიების გამოყენება. ამის თაობაზე ურდა იმართებოდეს დისკუსიები, რაც მაჩვენებელი იქნებოდა ქართული ისტორიოგრაფიის აღმავლობისა ამ მიმართულებითაც. თორემ ოდენ წყაროთმცოდნეობითი და ფაქტოგრა-ფიული ბაზის გაფართოებით და ამ საფუძველზე ცალკეული საკითხების დამუშავებით ფონს ვერ გავალთ. მაინც რა ახალ პარადიგმას აქვს ადგილი ამჟამინდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში? ამის ნათელსაყოფად შევჩერდებით საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლის მაგალითზე, უფრო კონკრეტულად კი სახელმძღვანელოზე, რომელიც 1998 წელს გამოიცა საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელთათვის (ავტორები არიან ილია ანთელავა, სერგო ვარდოსანიძე და როინ მეტრეველი, რედაქტორია ილია ანთელავა). წიგნის მესამე გვერდზე ვკითხულობთ: „საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია უწყვეტი პროცესი ადამიანთა საზო-გადოების განვითარებისა უძველესი, პირველყოფილი საზოგადოებიდან მოყოლებული". როგორც ჩანს, თითქოსდა აქ იგულისხმება მარქსისტული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების მონაცვლეობა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ხომ თავს იჩენს საკითხის ავთენტური მარქსისტული

და ე. წ. მარქსისტულ-ლენინური გაგება, რის თაობაზეც ავტორს სათანადო წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ახლა ხომ ცხადია, რომ საქართველოს არ გაუელია ანტიკური (მონათმფლობელური) ფორმაცია.

შესავალში საუბარია ისტორიოგრაფიის (საისტორიო მეცნიერების) მომიჯნავე მეცნიერებებსა და დამხმარე დისციპლინებზე, ისე რომ ამ რიგში ვერ ვხვდებით საისტორიო გეოგრაფიას. მაგრამ როდესაც მოსწავლეებს ეაცნობთ შესაბამის საკითხს, მათ ხომ წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ აღნიშნული დარგის სტატუსზე საისტორიო მეცნიერებაში.

საინტერესოა, თუ როგორ ესმის კერძოდ სახელმძღვანელოს რედაქტორს ილია ანთელავას საზოგადოება, ისტორიული პროცესი როგორც მთლიანობა და მისი განმაპირობებელი ფაქტორი თუ ფაქტორები. წიგნის შესავალშივე აღნიშნულია: „მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობა და ქრისტიანული იდეოლოგია დაედო საფუძვლად შუა საუკუნეების დიდ ქართულ კულტურას“ (გვ. 3). შემდგომ ძველი საქართველოს კულტურის მიმართ კი ეკითხულობთ: „ანტიკური და ელინისტური ეპოქების (!) რელიგია და კულტურა ეგრისსა და ქართლში წარმართობის საფუძველზე ვითარდებოდა“ (გვ. 39) (მაინც როგორ მოგწონთ მსჯელობა: რელიგია ვითარდებოდა მხოლოდ წარმართობის (ე. ი. კვლავ რელიგიის საფუძველზე?). ამდენად, თუ აქამდე ხაზს უსვამდნენ, რომ ქართული კულტურის აღმავლობას შესაბამის ეპოქაში განაპირობებდა ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ახლა გვითხვიცებენ, რომ ამის სანაცვლოდ საკითხის გაცნობიერება საკმაოდ შესაძლებელია სახელმწიფოსა და რელიგიის ფაქტორების მითითებით.

საქართველოს გეოგრაფიული გარემოს როლის შესახებ წიგნის რედაქტორი ასე გვამცნობს: „ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს (ზოგჯერ მას უწოდებენ ბიოგეოგარემოს) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძირი განვითარებისათვის“ (გვ. 11). როგორც ცნობილია, ეს გახლავთ ტრადიციული გეოგრაფიული დეტერმინიზმის უმსაერესი ამოსავალი დებულება. მაგრამ მიუხედავად დიდი ხანდაზმულობისა, ვეჭვობთ, რომ იგი სწორი იყოს. პრობლემის თაობაზე სხვაგვარი, ბევრად უფრო სერიოზული წარმოდგენა ჰქონდა ნიკო ბერძენიშვილს. ხოლო საერთოდ თუ როგორ უნდა მიეუდგეთ აღნიშნულ საკითხს,

ამის თაობაზე ჩვენ გამოვაქვეყნეთ სპეციალური მონოგრაფია „გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში“ (1975 წელს), რაც ბევრისათვის ცნობილია და მის ძირითად დებულებებზე აქ ალარ შევჩერდებით. მთავარი მაინც ისაა, რომ ავტორი კონკრეტულად არ ნათელყოფს შესაბამისი ფაქტორის როლს საქართველოს ისტორიაში.

ამჟამად ფართოდაა აღიარებული, რომ გვაროვნული წყობილება და სახელმწიფოებრიობა ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებია. მაგრამ ფაქტია, რომ ივანე ჯავახიშვილს მათი შეთანწყობა, შეხამება სავსებით შესაძლებლად მიაჩნდა. ამის აღიარებისას კი იგი გამოდიოდა ცნობილი გერმანელი სახელმწიფო- და სამართლისმცოდნე გეორგ ელინეკის (1851–1911) მოძღვრებიდან. მაგრამ მსგავსი ვითარება მხოლოდ ნომადიზმის (მეურნეობაში მეცხოველეობის წამყვან ფორმად არსებობისას) თუ შეინიშნება, მიწათმოქმედების დომინანტობისას კი ეს გამორიცხულია. აღვნიშნავთ იმასაც, რომ თავის დროზე ივანე ჯავახიშვილს ამ საკითხზე ეკამათებოდა, და სავსებით სწორი პოზიციიდან, ცნობილი ქართველი მოაზროვნე და პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე. აღარას ვიტყვით სიმონ ჯანაშიაზე, რომელმაც პრობლემის თაობაზე ახალი, მეცნიერულად გამართული წარმოდგენა (თვალსაზრისი) დაამკვიდრა. მაგრამ 1998 წელს 19 ნოემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ სადისკუსიო სტატიაში „ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“ ილია ანთელავა კვლავ უბრუნდება გეორგ ელინეკისეულ და ივანე ჯავახიშვილისეულ თვალსაზრისს.

როცა სახელმწიფოს წარმოშობაზე ვმსჯელობთ, ერთ-ერთ მთავარ წანამძღვრად უნდა ვიგულისხმოთ შემდეგი: თუ გვაროვნული წყობილების არსებობისას მთავარი სოციალური უჯრედი – გვარი ეფუძნებოდა სისხლით ნათესაობასა და საერთო საკუთრებას (მიწაზე), შემდგომში აღნიშნული ვითარება შეიცვალა იმ მიმართულებით, რომ ამიერიდან გაბატონებული (დომინანტური) გახდა ტერიტორიული (სასოფლო-სათემო) ურთიერთობანი და მიწაზე კერძო საოჯახო მფლობელობა.

რიგორადაც არ უნდა შეიცხადონ ეს ანტიმარქსისტებმა თუ მარქსოფობებმა (სხვათა შორის, უწინ რომ სავსებით მართლმორწმუნე მარქსისტებად მოჰქონდათ თავი!) ფაქტია, რომ ამ შეხედულების ერთ-ერთი ავტორი სწორედ კარლ მარქსია. აღნიშნულ სახელ-

მძღვანელოშიც საუბარია გვაროვნულ თემებზე (გვ. 17) და შემდეგ – ტერიტორიულ თემებზე, რომლებშიც გაერთიანებული იყო სტრაბონისეული მესამე გენოსი, ე. ი. ერი (გვ. 43). მაგრამ ამგვარ სიტუაციას ადგილი ჰქონდა, როგორც ვიცით, ქართლში (ივერიაში). საკითხავია ისეთივე ვითარება თუ სუფევდა კოლხა//კოლხეთში ძვ. წ. XI–X საუკუნეებიდან მოყოლებული და განსაკუთრებით ძვ. წ. VI საუკუნის შემდგომ, როდესაც სახელმწიფოებრიობის არსებობა სავსებით უეჭველად მიიჩნიათ. სამწუხაროდ, ამის თაობაზე სახელმძღვანელოში შესაბამის ადგილას არაფერია ნათქვამი, ხოლო ელინისტური ხანის დასაწყისისათვის კი აღნიშნულია, რომ „წარმოიშვა ე. წ. „სკეპტუხიები", სატომო ორგანიზაციებზე დაფუძნებული ადმინისტრაციული ერთეულები" (გვ. 28). მაგრამ მსგავსი რამის რაციონალისტურად გააზრება შეუძლებელია და ამ შემთხვევაში მეორდება ანალოგიური შეცდომა, რაც ემართებოდა ივანე ჯავახიშვილს (სხვათა შორის, იგივე დაემართა სიმონ ჯანაშიას ე. წ. კოლხეთის სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებით).

ერთი სიტყვით, როცა, კერძოდ, საქართველოს ძველი ისტორიის შემეცნება გვსურს, უნდა თეორიულად გავიცნობიეროთ მთელი რიგი საკითხებისა. ეს კი, ივანე ჯავახიშვილისა არ იყოს, ოდენ მეცნიერული თავმოწონებისათვის კი არ გვჭირდება, არამედ თვით საისტორიო მეცნიერებისათვის, შესაბამისი საკითხების არსის გასარკვევად. და ეს სტიქიურად, თავისთავად, მით უმეტეს სათანადო ნიჭიერებისა და თეორიული მომზადების გარეშე ვერ მიიღწევა.

ახლა შევჩერდებით ჩვენი ძველი ისტორიის რიგი საკითხების გარკვევა-გააზრებაზე. ამ მხრივ კი ბევრი რამ ხელახლა გასააზრებელია. თუ აქამდე გვეგონა, რომ მრავალი საკითხი საკმაოდ მეცნიერულ დონეზე იყო გადაწყვეტილი, ამჟამად, თუ ახალ სოციალურ, საისტორიო აზროვნებაზე გვაქვს პრეტენზია, ასე როდია. გაცნობიერებას საჭიროებს ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემა. კერძოდ, თუ კელაე ამოვალთ იმ პოზიციიდან, რომ აღნიშნული პროცესი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა, კითხვა დაისმის იმის თაობაზე, თუ რომელ განსაზღვრულ, ვიწრო რეგიონში (ზემო იმერეთში, შიდა თუ ქვემო ქართლში, სამცხეში თუ სხვაგან) ჰქონდა პირველსაცხოვრისი წინარექართველურ ეთნოსს – სვანების, ზანების და ქართების წინაპრებს და რა დროიდან დაიწყო მათი ეთნიკური დიფერენციაცია.

გადასაწყვეტია საკითხი – იყო თუ არა ქართველური გაერთიანება (თავისთავად სახელმწიფოებრივი იყო თუ ტომთა კავშირის დონისა) დიაოხი. თუ ბევრ ისტორიკოსს, არქეოლოგოსს და მისთ. იგი სწორედ ასეთი ეგონა, უფრო საფუძვლიანი ჩანს მისი ხურიტული წარმომავლობა.

გარკვეული წარმოდგენა უნდა გექონდეს ს.ს.ს.ს.ზე – კერძოდ, უნდა ვიცოდეთ ჩვენი წინაპრები იყვნენ ისინი თუ ხურიტები. გასაზრებელი არის დიდი ხნის წინ დასმული პრობლემა იბერებისა და ქართების ურთიერთმიმართების თაობაზე. დაბოლოს, დიდ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხი, რის შესახებაც, როგორც ცნობილია, დღევანდელ ქართულ პრესაში დიდი შეხლა-შემოხლაა.

რასაკვირველია, თუ ჩვენ პატივს ვცემთ მეცნიერებას, მაშინ უნდა დავიწყოთ ჩამოთვლილი საკითხების გარკვევით, შესაბამისად – ფართო დისკუსიების მოწყობით. მაგრამ სინამდვილეში ასე როდი ხდება. დიდად სამწუხაროდ. მავანნი ისე წარმოიდგენენ, რომ ამის გარეშეც ილად მოევლება საქმეს. შედეგებსაც შესაფერისს ვიმკით.

1996 წელს გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში (ილია ასთველავას რედაქციით) დიაოხი თითქოს ქართველურ გაერთიანებად არის წარმოდგენილი. თუმცა, ცხადია, არ არის დაკონკრეტებული, ზანური გახლდათ იგი თუ ქართული (ქართებისა). შესაბამისად, რა თქმა უნდა, თითქოს ეჭვს არ იწვევს აქედან ქართული სახელმწიფოებრიობის დაწყება. სამაგიეროდ, არაფერია ნათქვამი სასპერების თაობაზე. ნოდარ ასათიანის 1999 წელს გამოსულ სახელმძღვანელოშიც, რომელიც განკუთვნილია არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტთათვის და დამხმარე სახელმძღვანელოდ საშუალო სკოლების ისტორიის მასწავლებლებისა და აბიტურიენტთათვის, დიაოხი კვლავ ქართული ეთნიკური სამყაროს შემადგენელ ნაწილად არის ნაჩვენები. საბედნიეროდ, როგორც იქნა, მოიძებნა მასში სასპერთა თემის შემოტანა, შესაბამისად – მათი ქართველთა წინაპრებად წარმოდგენა (სხვათა შორის, ამის შესახებ მანამდე ავტორს არაერთგზის ესაყვედურობდით).

ილია ასთველავას რედაქციით გამოქვეყნებულ მეორე (1998 წელს) სახელმძღვანელოში დიაოხიზე უკვე აღარაფერია ნათქვამი, რაც მისასალმებელია, რამეთუ ქვეყნის (შესაბამისად – ხალხის) ხურიტული ხასიათი უეჭველია. სამაგიეროდ, კვლავ სავსებით იგნორირებული

არიან სასპერები, ასევე მესხები. ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა კი დაკავშირებულია ძველ კოლხა//კულხასთან, რაც ქრონოლოგიურად თითქოს ძვ წ. XI-X საუკუნეებში მოხდა. როგორც უკვე აღინიშნა, მსგავსი მოსაზრება ყოვლად დაუსაბუთებელია.

თუ ამავე სახელმძღვანელოს მიხედვით ვიმსჯელებთ, მტკვარ-არაქსის არქეოლოგიური კულტურის არსებობის ხანაში (ძვ წ. IV ათასწლეულის შუახნიდან მოკიდებული ძვ წ. III ათასწლეულის შუა პერიოდამდე) ხურიტულ, ნახურ-დაღესტნურ და ქართველურ ტომებს გარდა თანაცხოვრობდნენ ინდოევროპული მოდგმის ტომებიც (ხალხები) (იხ. გვ 18). მოსახლეობის ზრდის კვალობაზე სწორედ მტკვარ-არაქსის შუამდინარეთიდან მომხდარა კერძოდ ხურიტებისა და ინდოევროპელების განსახლება ამიერკავკასიის სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით და დასავლეთით (მცირე აზიისაკენ). მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ავტორს ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა გააჩნია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას. სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო, ვინაიდან საკითხის შესახებ თვითონ საქართველოს ძველი ისტორიის სპეციალისტებსაც კი თითქმის ისეთივე წარმოდგენა აქვთ. კიდევ უფრო გაურკვეველია, ეთნიკურად ვინ განასახიერებდა თრიალეთის, შემდეგ კი ორ-ალაზნის კულტურებს.

კონკრეტულობაზე უფრო მეტი პრეტენზიით არის დაწერილი: „მეცნიერულად დადგენილია, რომ ისტორიულად დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში არსებობდა ენა, რომელსაც პირობით უწოდებენ საერთოქართველურს ან წინარექართველურს“ (გვ. 21) და სწორედ ამის შემდგომ წარმოიშვა ჯერ სვანური და შემდეგ-ზანური და ქართული (ქართებისა) ენები. როგორც ცნობილია, მსგავსი იღეა სათავეს იღებს გიორგი მელიქიშვილიდან და ეფუძნება ე. წ. გლოტოქრონოლოგიურ მეთოდს. მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, აღნიშნულ მეთოდს ამჟამად ყველი გაუვიდა. 23-ე გვერდზე დართულ რუკაზე ვიტერუხი ოძრხეში არის მოთავსებული, რაც იქიდან მოდის, თითქოს ვიტერუხ-ოძრხე ურთიერთ ემთხვევა. (კერძოდ, ასე ფიქრობს აკად. გ. მელიქიშვილი). მაგრამ ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულია სხვანაირი შეხედულებაც (კერძოდ ალექსი ჭინჭარაულისა), რომელიც, ჩვენი მტკიცე რწმენით, აბათილებს მსგავს თვალსაზრისს.

აღნიშნულ რუკაზე ძველი კოლხას (კოლხეთის) სამეფოს ტერიტორიის საზღვრები ოდენ ჭოროხის შუა და ქვემო წელით კი არ არის შემოფარგლული, არამედ ისეა წარმოდგენილი, თითქოს იგი სამხრეთ-დასავლეთით გადაჭიმული იყო ტრაპეზუნტიდან შორს, ხოლო ჩრდილოეთით კი კოდორამდე მაინც აღწევდა. აქვე ერიახი ხრამდებედას ორმდინარეთშია მოთავსებული.

43-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ ქართლში (ივერიაში) „ბარის მოსახლეობა ელინისტურ ხანაში ორი ძირითადი ფენისაგან შედგებოდა", ე. ი. ერისაგან და გლეხებისაგან (სტრაბონისეული „ლაოი"). მაგრამ ეს ხომ დიდი შეცდომაა; ავტორი ალბათ გულისხმობს მხოლოდ მწარმოებელ მოსახლეობას. ასევე მცდარია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „სამეფო მონები" (ლაოი) გარკვეულ ვალდებულებებს ასრულებდნენ, სამეფო საგვარეულოს გარდა, წარჩინებულთა და ტაძრების მიმართ (გვ. 33). სხვათა შორის, 43-ე გვერდზე ეს ფენა, საეჭვოდ სწორად, განმარტებულია როგორც „სამეფო ხელისუფლების მიერ დამორჩილებული თემების მოსახლეობა".. პარადოქსია, რომ წიგნში ერთხელაც კი არ მოიხსენიება საკუთრივ მონა და მონობა (ერთ დროს ხომ ძველ პერიოდს მონათმფლობელურად მიიჩნევდნენ!).

46-ე გვერდზე ვკითხულობთ: „შაბურ I-ის (242–272 წწ.) მეფობისას ქართლი ხარკს უხდის ირანს და ყალიბდება მისი ახალი სტატუსი – იგი სასანიანთა ირანის ნაწილად განიხილება". მსგავსი მტკიცებისას ავტორი (ილია ანთელავა) თითქოს ემყარება „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" პირველი ტომის შესაბამის ადგილს (გვ. 565). მაგრამ ამავე წიგნში აღნიშნულია ესეც: „III საუკუნეშიც, კერძოდ, აბაზასპის დროს, ქართლი ფაქტიურად დამოუკიდებელ და ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა" (გვ. 568). რომელ მტკიცებულებას დავუჯეროთ? საბედნიეროდ, გვაქვს ძველი ქართული საისტორიო წყარო, რომლის მიხედვითაც შეიძლება სათანადო, საკმაოდ ცალსახა დასკვნის გაკეთება.

დაბოლოს, სხვა რამეზე მოგახსენებთ. რამდენადაც ვიცით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მზადდება საქართველოს ისტორიის სამ- თუ ოთხტომეული. ამბობენ, თითქოს უკვე მზადაა პირველი ტომი, რომელიც ჩვენ მიერ აქ აღძრულ საკითხებს ეხება. ავტორებმა – ხანდაზმულმა ისტორიკოსებმა უკვე დიდი ხნის წინათ

თქვეს სათქმელი და არ ჩანს, რომ მათ ხელეწიფებოდეთ ახლებურად აზროვნება. ამრიგად, პირველ ტომში შესაბამის პრობლემებზე მსჯელობისას საქმეა, რომ სავსებით მეცნიერულ ცოდნასთან გვქონდეს საქმე.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მეცნიერება, კერძოდ, ისტორიოგრაფია, ბევრად უფრო სერიოზულ მიდგომას საჭიროებს და ანარქია-განუკითხაობის პირობებში მისი ფეხზე დაყენება შეუძლებელია.

1999 წ.

ისტორიის სახელმძღვანელო თეორიული აზროვნების დეფიციტით

ჩვენი ისტორიის უახლესი, პოსტსაბჭოური პერიოდი სულ სხვანაირი ყაიდის საისტორიო სახელმძღვანელოებს მოითხოვს. კარგია, რომ ახლა გვაქვს ყველა პერიოდის შესახები ქართულ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოები საშუალო სკოლისათვის. მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი სახელმძღვანლოების თაობაზე. მიზეზი ცხადია: უკანასკნელნი დასაწერად უფრო რთულია და აქედან გამომდინარე, ისტორიკოსთაგან მეტ პროფესიონალიზმს მოითხოვს. ამ მხრივ, ერთ-ერთ „პირველ მერცხლად" მოგვეელინა „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის" პირველი ნაკვეთი, რომელიც 1998 წელს გამომცემლობა „მერიდიანმა" დასტამბა. მასში გადმოცემულია ძველი შუამდინარეთის (შუმერის, აქადისა და ბაბილონეთის პერიოდების), ეგვიპტის, ხური-მითანისა და ხეთების ისტორია (ავტორები ჯემალ შარაშენიძე, მანანა ხვედელიძე და გრიგოლ გიორგაძე).

რასაკვირველია, აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოცემა მისასალმებელი მოვლენაა, რამეთუ მისი წინა (1971 და 1988 წლებისა) გამოცემები სტუდენტობისათვის ნაკლებად მისაწვდომია. გარდა ამისა, იგი დაწერილია შესაბამისი ქვეყნების ისტორიის სპეციალისტთა მიერ, რომლებიც საისტორიო მასალასა და სათანადო ისტორიოგრაფიას საკმაოდ კარგად ფლობენ. აღსანიშნავია ისიც, რომ აღმოსავლეთის საზოგადოებათა სოციალური არსი წიგნში არაა გააზრებული მონათმფლობელური სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის თვალთახედვით. ამ თვალსაზრისით წინამდებარე სახელმძღვანელო წინამავალი გამოცემების ტრადიციას აგრძელებს, რაშიც დიდი დამსახურება მოუძღვის მის რედაქტორს გიორგი მელიქიშვილს (მის მიერაა დაწერილი წიგნის შესავალი). შეგახსენებთ, რომ ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებათა „მონათმფლობელური ხასიათის" იდეა მოდის ვ. ლენინისა და ი. სტალინის უაღრესად დილეტანტური და მცდარი წარმოდგენებიდან, რასაც საბჭოური ისტორიოგრაფია ძირითადად

ვერ გასცდა შესაბამისი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ბოლოსაც კი; კერძოდ, ისეთი დიდი ერუდიციისა და უდავოდ ნიჭიერი ისტორიკოსის (აგრეთვე ენათმეცნიერის), როგორიც იყო იგორ დიაკონოვი, რედაქტორობით გამოქვეყნებული „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“ კვლავ ძველებური თვალსაზრისით დაიწერა.

ვიმეორებ, ქართულმა ისტორიოგრაფიამ (აღმოსავლეთმცოდნეობამ) კარგად აუბა მხარი ახლებურ სამეცნიერო აზროვნებას და ძველი აღმოსავლეთის მონათმფლობელურობის თვალსაზრისზე დიდი ხანია უარი თქვა. მსგავსი კონცეფციის სანაცვლოდ ძველაღმოსავლურ ისტორიულ პროცესს განიხილავენ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მიერ შექმნილი აზიური წარმოების წესის კონცეფციის შესაბამისად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძველ აღმოსავლეთში ძირითად, წამყვან ფორმას წარმოადგენდა მეთემე გლეხობის შრომის ექსპლუატაცია სახელმწიფოს, უფრო კონკრეტულად ბიუროკრატიის მიერ. თუმცა ეს დებულება წიგნში ასე თუ ისე ცხადადაა გატარებული, მაგრამ გაბუნდოვანებულია შემდეგი განცხადებით: „წარმოების აზიური წესისათვის“ დამახასიათებელი ვითარება გაბატონებული იყო მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში და ისიც ზოგიერთ ეპოქაში. სხვა შემთხვევაში საზოგადოებები ხასიათდებოდნენ ექსპლუატაციის „აზიური“, ფეოდალური და მონათმფლობელური ფორმების გადალახვითა (თუ გადახლართვით? – გ. ყ) და თანაარსებობით“ (გვ. 37). მაგრამ ამ შემთხვევებშიც კი წამყვან ფორმად სწორედ მეთემე გლეხთა ექსპლუატაცია გვევლინება. თუ ასე არაა, მაშინ კონკრეტულად უნდა იყოს ნაჩვენები ქვეყნები და ისტორიული ეპოქები, სადაც და როდესაც სხვაგვარი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია სუფევდა. რაკი მონობა აღმოსავლეთში სუსტად იყო განვითარებული, ამდენად „მონათმფლობელთა კლასზე“ ლაპარაკი (გვ. 101) ალოგიკურია.

როგორც ცნობილია, დასავლურ მეცნიერებაში ძველი აღმოსავლეთი გაიაზრება ფეოდალიზმის თვალთახედვით. ვფიქრობთ, სარეცენზიო წიგნში არის მცდელობა ძველი ეგვიპტის ისტორიის ამ თვალსაზრისითვე განხილვისა. მაგრამ ეს მიდგომა სერიოზულ განხილვას ვერ უძლებს.

სახელმძღვანელოს შესავალში არაა მკაფიოდ წარმოჩენილი ძველი აღმოსავლეთის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი. თუ დასავლურ მეცნიერებაში ბოლო მიჯნად ბერძენ-სპარსელთა ომებს (ძვ. წ. V ს.) ან ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში ლაშქრობებს (ძვ. წ.

ში ასეთად მიიჩნევენ ფეოდალიზმის თითქოსდა თვალსაჩინო განვითარებას აღმოსავლეთში. მაგრამ ერთია ზოგადი აღიარება და მეორე – მკაფიო, გარკვეული მიკვნის დასახელება, მით უმეტეს, იმ კონკრეტული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მექანიზმის წარმოჩენა, რომლითაც თითქოს მოხდა ამგვარი მკვეთრი ცვლილება. ამ მხრივ სარეცენზიო წიგნში დიდი გაურკვეველობაა. ჯერ ერთი, არაა მითითებული კონკრეტული ქრონოლოგიური ზღვარი და მეორე, მასში ვკითხულობთ: „აღმოსელეთში ხომ ბევრგან, განსაკუთრებით ადრე შუა საუკუნეების ხანაში, გაბატონებული იყო მიწასა და წყალზე სახელმწიფოებრივი საკუთრება და სახელმწიფო ახდენდა მიწებზე ნადელების მქონე გლეხობის ექსპლუატაციას უშუალოდ სახელმწიფო აპარატის მეშვეობით“ (გვ. 34). თუ ასეა, მაშინ როგორ გავიგოთ აღმოსავლეთში აზიური წარმოების წესის შეცვლა ფეოდალიზმით? შეგახსენებთ, რომ თვითონ მარქსიზმის კლასიკოსების მიხედვით აზიური წარმოების წესი მხოლოდ კაპიტალიზმის ზემოქმედებით დაიშალა.

სახელმძღვანელოს შესავალში გ. მელიქიშვილი ძალზე ერცლად განიხილავს ძველაღმოსავლურ საზოგადოებათა სოციალური არსის გაგების ძირითადად საბჭოთა ისტორიკოსების მიერ, რაც არასწორად მიგვაჩნია. ხომ უნდა ყოფილიყო ნაჩვენები დასავლური (არამარქსისტული) და უწინდელი რუსული ისტორიოგრაფიის წარმომდგენები საგანზე, განსაკუთრებით, გასტონ მასპეროს, ედუარდ მაიერისა და ბორის ტურაევის შეხედულებანი. თვალსაჩინო ხარეზად ვთვლით იმასაც, რომ წიგნში ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებათა ისტორიის განზოგადება ოდენ სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრებით შემოიფარგლება. მაგრამ შესავალში ხომ სხვა მხარეების შესახებაც უნდა თქმულიყო. ამ თვალსაზრისით წიგნი აგებს ჯ. სტრუვესა და ვს. ავდიევის შესაბამის სახელმძღვანელოებთან შედარებითაც კი.

სასურველი იყო, უფრო მეტი და ნათლად თქმულიყო ძველ აღმოსავლეთში გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობაზე. ნიადაგის ბუნებრივმა მაღალნაყოფიერებამ (სამხრეთ მესოპოტამიასა და ეგვიპტეში) და თბილმა პავამ (სხვათა შორის, უხეში შეცდომაა იმის აღნიშვნა, რომ ბაბილონში იანვრის თვეში ტემპერატურა – 10,7°-მდე ეცემა (იხ. გვ. 50). სინამდვილეში აქ პლუსოვანი ტემპერატურაა +10,7°) შესაძლებელი გახადა ჭარბი პროდუქტის წარმოება. ამავე

ქვეყნების შემდგომი ნელი განვითარების ძიზეზად ჩვენ ძიგვაჩსია სწორედ გეოგრაფიული გარემო, ბუნებრივი წარმოების საშუალებათა ერთგვაროვნებით რომ ხასიათდება. ხეთებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ანატოლიის ზეგანი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მეცხოველეობის განვითარებისათვის (გვ. 258). როგორც ჩანს, ავტორი (გრ. გიორგაძე) სათანადოდ ვერ აცნობიერებს აღნიშნულ გარემოებას. შესაბამის პარაგრაფში აწ განსვენებული ედუარდ მენაბდე კი შენიშნავს: „ახალი სამეფოს დროსაც სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს ხათში (ე. ი. ხეთების ქვეყანაში — გ. ყ) მეცხოველეობა წარმოადგენდა“ (გვ. 280). ვფიქრობთ, უფრო სწორია უკანასკნელი მოსაზრება, რის გამოც ხეთური საზოგადოება სხვანაირად უნდა იქნეს დანახული და გააზრებული.

არაა სათანადოდ გამოკვეთილი ისტორიული გარემოს როლი, რის გარეშეც საზოგადოების განკითარების რამდენადმე ადეკვატური წარმოდგენა შეუძლებელია. თუ შუმერისა და ეგვიპტის შემთხვევებში აღნიშნული ფაქტორის როლი ნაკლებად იჩენდა თავს, მეტი გახლდათ იგი ცივილიზაციის სარბიელზე გვიან გამოსულ ხალხებთან. თუ არნოლდ ტოინბის თანახმად ვიმსჯელებთ, ძველი ეგვიპტე, ინდოეთი და ჩინეთი თითქმის მთლიანად ლოკალური, ჩაკეტილი ცივილიზაციები იყო. მაგრამ ასე როდია წინა აზიის (მახლობელი აღმოსავლეთის) შემთხვევაში, სადაც ურთიერთზემოქმედებდა მრავალი საზოგადოება, რის გამოც ამ დიდი ისტორიული რეგიონის წარსულის გააზრება უფრო ძნელია.

რაკი ძველ აღმოსავლეთში მონათმფლობელთა და მონათა კლასების ძიება უაზრობაა, მაშინ დაისმის კითხვა: როგორ გავიგოთ აქაური სოციალური სტრუქტურა? ხეთებთან დაკავშირებით წიგნში ლაპარაკია თავისუფალთა და არათავისუფალთა (ძირითადად მონების!) კლასებზე, ისე რომ პირველში შეყვანილია მეთემე გლეხობა. ეს კი აშკარად არადამაჯერებელია. იქნებ უფრო უპრიანი იყოს შესაბამის საზოგადოებათა კლასობრივი სტრუქტურა წარმოდგენილ იქნეს მმართველ და მართულ კლასებად (სხვათა შორის, ასეა ფრ. ენგელსისეულ „ანტი-დიურინგში“).

მკითხველებს უთუოდ გაუჭირდებათ იმის გაგება, თუ როგორ მოხდა გვარიანული საზოგადოების ტრანსფორმაცია სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად. თუ შუმერისა და ეგვიპტის მიმართ ამის გაცნობიერება ძნელია, სამაგიეროდ ადვილია ამის წარმოდგენა თუნდაც

ხეთების ისტორიის მიხედვით. აქვე დავსძენთ იმასაც, რომ წიგნში როგორც ჩანს, პოლიტიკური ორგანიზაციის, ე. ი. სახელმწიფოს არსებობა ეგვიპტეში ნაკარნახევია „ბადარიულ“ (ბადარის!) კულტურაში, რომელიც ძვ. წ. V ათასწლეულის I ნახევარში არსებობდა. ცხადია, ამის დაჯერება შეუძლებელია.

საერთოდ ცნობილია, რომ თუმცა ცივილიზაციის გენეზისი და თავდაპირველი განვითარება ძველ აღმოსავლეთში საკმაოდ სწრაფად ხდებოდა, მაგრამ შემდგომი ევოლუცია ერთობ ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამაზე არავინ დაობს, მაგრამ მხოლოდ ამისი აღიარება არ კმარა. თუ ისტორიოგრაფიაზე როგორც მეცნიერებაზე გვაქვს პრეტენზია, უნდა დავფიქრდეთ, თუ რა მიზეზით ხდებოდა ასე. უწინ საბჭოურ მეცნიერებაში ამა თუ იმ ძველაღმოსავლური ქვეყნის გაერთიანება-ცენტრალიზაცია ახსნილი იყო ეკონომიკური პროგრესის მიზეზით, რაც აშკარად ნაძალადევი გახლდათ და გამოწვეული იყო ე. წ. „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისადმი“ ხარკის გაღებით. მაგრამ ისტორიკოსები ერთბაშად უმწეო მდგომარეობაში ვარდებოდნენ ხოლმე ქვეყნების დეცენტრალიზაცია-დაშლის ახსნისას; ჩვეულებრივ ან დუმდნენ ანდა ოდენ ცარიელი ფრაზებით იფარგლებოდნენ. სარეცენზიო ნაშრომში, კერძოდ, ძველი ეგვიპტის მიმართ ვკითხულობთ, რომ დინასტიების ცვლის მიზეზები დღეს ზუსტად არ არის დადგენილი (გვ. 166). მაგრამ ნუთუ საისტორიო შემეცნება ისეთი უსუსური უნდა იყოს, რომ მიახლოებით მაინც ვერ მოხერხდეს მიზეზების დადგენა? კერძოდ, ეგვიპტის ძველი სამეფოს დაცემის ფაქტი ასეა ახსნილი: „ამგვარად, „იდეალურად ორგანიზებული სახელმწიფო“ დაიშალა იმ ობიექტური მიზეზების გამო, რომლებიც თვითონ წარმოშვა“ (გვ. 173). ესაა და ეს, ამის იქით ავტორი ველარ მიდის. მსგავს ვითარებას ვაწყდებით ახალ სამეფოსთან დაკავშირებითაც. წიგნში ვკითხულობთ: „ეგვიპტის დასუსტების უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი ალბათ ქვეყნის შინაგან განვითარებაში იძალებოდა“ (გვ. 208). და ბოლოს, თუმცა „ქვეყანა თავისი ისტორიის დასასრულისაკენ მიიწევდა (!)“ (გვ. 209), მაგრამ „პასტიხმა მიაღწია შეუძლებელს — შეძლო ქვეყნის კიდევ ერთხელ გაერთიანება“ (გვ. 213).

ყოველივე ამას სრ ახსნა სჭირდება. ვიმეორებ, ეკონომიკური დეტერმინიზმი (არა ისტორიული მატერიალიზმი!) ამ შემთხვევაში ვერაფერს ვერ გვიხსნის. იქნებ მთავარი მიზეზი სოციალურ ფსიქო-

ლოგიაში, კერძოდ, ელიტისა და მასების საკითხში არის საძიებელი? მაგრამ აღნიშნული თვალსაზრისით, ისტორიული პროცესის გაცნობიერება საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეთათვის (ვთქვათ ანტიკისმცოდნეთა და მედიევისტთაგან განსხვავებით) terra incognita-დ რჩებოდა. დიდად სამწუხაროდ, იგივე ვითარება შეიმჩნევა დღესაც ქართველ ისტორიკოსებთან, რაც აშკარად ჩანს განსახილველი წიგნიდანაც.

რაკი სახელმძღვანელოში ძველი აღმოსავლეთის ისტორიული პროცესი გაიაზრება შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის თვალსაზრისით, გაცხადებული უნდა იყოს, კერძოდ, ეკონომიკის ხასიათი. თუმცა 36-ე გვერდზე აღნიშნულია „სასაქონლო წარმოების სუსტი განვითარება", მაგრამ ბევრგან ისე ჩანს, თითქოს მსგავსი ტიპის წარმოება დიდად განვითარებული ყოფილიყოს, რაც, ცხადია, არასწორია.

თუ უწინ ძველი აღმოსავლეთის ისტორიული პროცესის მთელი რიგი მხარეების გაგება-გააზრება გაძნელებული იყო საბჭოური იდეოლოგიის გამო, ამჟამად ეს ხელისშემშლელი ფაქტორი უკვე აღარ არსებობს. ამიტომ ისტორიკოსებს მეტი დაფიქრება გმართებს. მ[illegible]რე სიმართლეა, რომ ახალ ხელსაყრელ ვითარებას ისტორიკოსები ჯერ-ჯერობით ვერ ვიყენებთ არადა, სტუდენტებს – მომავალ ისტორიკოსებს ბევრად უფრო მაღალი დონის საისტორიო ცოდნის მიწოდება და ათვისება მართებთ, მხოლოდ ემპირიული ისტორიოგრაფიით შემოფარგლა ყოველად გაუმართლებელია.

წიგნის ბოლოს დართული ლიტერატურის სიაში ფიგურირებს რიგ ავტორთა თეორიული ხასიათის სტატიები, მაგრამ არსად არაა მითითებული კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის რომელიმე ნაშრომი. თუმცა, ვიმეორებ, წიგნი დაწერილია მათეული აზიური წარმოების წესის კონცეფციის მიხედვით. ასევე არაა დასახელებული კარლ ვიტფოგელის ჭეშმარიტად ფუნდამენტური ნაშრომი „აღმოსავლური დესპოტიზმი".

შესავალში ნახსენებია საბჭოური პერიოდის რუსი სამართლის ისტორიკოსის სერაფიმ იუშკოვის 1946 წელს დაბეჭდილი სტატია, რომელშიც გამოკვეთილია ტიპი საზოგადოებისა, სადაც თანაარსებობდნენ პირველყოფილი (პატრიარქალური), მონათმფლობელური და ფეოდალური წყობები. მაგრამ მსგავსი შეხედულება ხომ უფრო ადრე, 1930-იან წლებში, წამოაყენა სიმონ ჯანაშიამ?

სახელმძღვანელოში საკმაოდ ხშირად გვხვდება ფაქტობრივი და ენობრივი ხასიათის შეცდომები. 84-ე გვერდზე აღნიშნულია ზაგროსის

მთიანეთში მცხოვრები „სუბურუმელები“, რაც ფრიად გაურკვეველია. უნდა ეწეროს ლულუბეელები. „ჰეკატე მილეტელის“ (უნდა იყოს „ჰეკატეოს მილეტელი“) მიმართ მითითებულია გაურკვეველი თარიღი – ძვ. წ. 510 წელი (გვ. 145), მაშინ როდესაც იგი ცხოვრობდა 549/46–480 წლებში. ებრაელი (უფრო სწორად რომაელ-ებრაელი) მეცნიერის იოსების აღნიშვნა (გვ. 149, 190) არასწორია – უნდა იყოს იოსებ ფლავიუსი. პლინიუს უფროსი ძვ. წ. I საუკუნეში კი არ ცხოვრობდა, არამედ ახ. წ. I საუკუნეში და თანაც ცნობილია შესაბამისი ზუსტი წლები (23/24–79). ტორინო (გვ. 150, 151 და ა. შ.) ქართულად, როგორც ცნობილია, გამოითქმის „ტურინი“. პლატონის შესახებ „ანტიკური ფილოსოფოსის“ ნაცვლად (გვ. 146) სჯობია ვთქვათ „ბერძენი“, თანაც მცდარად არის მითითებული მისი ცხოვრების წლები (428–328) (იქვე) 427–347 წლების ნაცვლად. ასევე მცდარადაა მითითებული პორფოლიონის ცხოვრებისა და ნაშრომის შექმნის თარიღი (ძვ. წ. V ს.). აღნიშნული უნდა იყოს ძვ. წ. III ს. „ევსებიოსის“ ნაცვლად უფრო ზუსტი იქნებოდა დაგვეწერა „ევსები კესარიელი“, ხოლო მისი ცხოვრების ხანად ახ. წ. IV საუკუნის მაგიერ – 260/63–340 წლები.

მცდარია „ფარაონის ძალაუფლების აბსოლუტიზმის“ (გვ. 171) თქმა და დაწერა, ასევე შესაბამისი ვითარების მიმართ „აბსოლუტური ძალაუფლების“ ხმარება (გვ. 166), უნდა ვთქვათ და დავწეროთ „დესპოტია“ და „დესპოტური“. უხერხულია გამოთქმები: „ყველა ეგვიპტოლოგის მარჯვენა ხელი“ (გვ. 154) „სამგზდო წიგნის ნაცვლად“, „სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა“ (გვ. 157), „ფორტიფიცირებული ქალაქი“ (გვ. 158) „გამაგრებული ქალაქის“ მაგიერ, „ცილინდრული ბეჭდები“ (გვ. 159) „საბეჭდაეების“ ნაცვლად, „ვეზირატი“ (გვ. 189) „სავაზიროს“ მაგიერ და მისთ.

დასასრულს დავსძენთ, რომ ჩამოთვლილ შენიშვნებს წიგნის აეტორები ნიშნის მოგებად ნუ ჩაგვითვლიან. დაე, სჯეროდეთ, რომ უპირველესად ისტორიის შემეცნების ინტერესი გვამოძრავებს და აგრეთვე ისიც, რომ ჩვენს მომავალ ისტორიკოსებს უფრო მალალი დონის სერიოზული მეცნიერული სახელმძღვანელო მივაწოდოთ. რაკი წიგნზე მალე კვლავ იქნება საუბარი (ტირაჟი მხოლოდ ხუთასია), და თანაც მეორე ნაწილია გამოსაცემი, ამიტომ ჩვენი შენიშვნების გათვალისწინება უთუოდ წაადგებათ.

1999 წ.

კომენტარები ერთ სამეცნიერო კრებულზე

2001 წლის 8 და 11 ივნისს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მოეწყო დისკუსია-განხილვა ჩემი წიგნაკისა „საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი" აღნიშნული პრობლემის კულუარული განხილვისაგან (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში) განსხვავებით, შეეცადე მასზე საჯაროდ, ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით მემსჯელა. კარგია, რომ დისკუსია ხსენებულ ინსტიტუტში შედგა; მით უფრო მოხარული ვარ, რომ ახლახან გამოქვეყნდა მისი მასალები. მთავარი მოწინააღმდეგენი ვიყავით მე და ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე. რამდენადაც ამ უკანასკნელის გამოსვლაზე პასუხი გაცემული მაქვს ის ივი დაბეჭდილია აღნიშნულ კრებულში, სათქმელიც ამ მხრივ ძალიან ცოტა მრჩება. მაგრამ კრებულში მონაწილეობდნენ სხვებიც, რომელთა მოხსენებანი (ქალბატონ მერი ინაძის გარდა) ჩემთვის აქამდე არ იყო ცნობილი. ასე რომ, შეეცდები სათქმელი ბოლომდე ვთქვა, მით უმეტეს, რომ იგი ეხება დღესდღეობით ისეთ აქტუალურ პრობლემას, როგორიცაა საქართველოში სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხი.

კრებული იწყება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის დაით მუსხელიშვილის წინათქმით, რომელშიც იგი გვამცნობს თავის პოზიციას საკითხზე. იგი წერს: „პირველი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების თარიღი უნდა დაუკავშირდეს ფარნავაზის მოღვაწეობას და(!) ე. ი. ძველი წელთაღრიცხვის IV–III საუკუნეების მიჯნას" (გვ. 3). თითქოს ყველაფერი ნათელია და ამ მხრივ ჩემსა და დაით მუსხელიშვილს შორის სადაო არაფერია. მაგრამ სულ რაღაც ერთი აბზაცის შემდგომ ვკითხულობთ: „დღევანდელი ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საუკეთესოზე ძრელია ვიცოდეთ შიდა ქართლის სამეფოს არსებობის რეალობაში უკვე ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში" (გვ. 4). უფრო მეტიც, მისივე აღიარებით: „ვალდებულნი ვართ ანგარიში გაუწიოთ იმ ფრიად მნიშვნელოვან ფაქტსაც, რომ XII–VIII საუკუნეებში ასურული და ურარტული ლურსმული ტექსტები იხსენიებენ დიაეხი-დიაუხის

ადრეკლასობრივ გაერთიანებასაც, რომელსაც მკვნიერები დიდი ხანია ძველბერძნული ტაოხის ანუ ძველქართული პროვინციის ტაოს სახელწოდებას უკავშირებენ" (იქვე). დაეთ მუსხელიშვილი უფრო შორსაც მიდის და აცხადებს: „ამის (ზემოთქმულის — გ. ყ) გათვალისწინებით (და სხვა რეალიების გამოც) არსებობს სრული საფუძველი დიაუხი-დიაუხი აღმოსავლურ-ქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებად ჩაითვალოს".

მოყვანილ ციტატებში მთელ რიგ გაუგებრობებს ვაწყდებით. თუ პირველი ქართული სახელმწიფო ფარნავაზმა შექმნა, ე. ი. 2300 წლის წინათ, მაშინ როგორ გავიგოთ უფრო უწინ კოლხეთისა და დიაოხის ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობა? თუ ამ შემთხვევაში იგულისხმება მხოლოდ ქართული (ქართების მიერ შექმნილი) სახელმწიფო, ე. ი. „ქართული" ვიწრო მნიშვნელობით, მაშინ ავტორს ეს ხომ უნდა ალენიშნა. მაგრამ ხომ დავინახეთ, რომ მის მიერ დიაუხი ჩათვლილია „აღმოსავლურ-ქართულ"(!) სახელმწიფოდ. ამდენად, უნდა ვიგულისხმოთ, მის შექმნაში ქართებიც მონაწილეობდნენ (ალბათ მესხებთან ერთად), რასაც ითქმის ადგილი ჰქონიდათ ძვ. წ. XII-VIII საუკუნეებში. თუ ფარნავაზის მიერ დაფუძნებულ სახელმწიფოში ავტორი გულისხმობს ერთიან, გაერთიანებულ საქართველოს, მაშინ ხომ ასე უხიდა განცხადებისა.

დიდად საძუნხარიდ, „ძველეანდელი ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საფუძველის" მიუხედავად, მრავალ რუს ისტორიკოსს არა სდერა ძველი კოლხეთის (ეგრისის) სახელმწიფოს არსებობა. არა სჯერდა ეს გამოკვლეულ ქართველ ისტორიკოსს ნიკო ბერძენიშვილსაც, რომელიც საკითხზე თავის ნეგატიურ აზრს ძალზე ნათლად გამოხატავდა. არა გჯერა ჩვენც და ჩვენეული ურწმუნოება (სკეპტიციზმი) შეცდომად დაგვსაბუთებია (წიგნაკში და დისკუსიაში გამოსვლისას).

მიუხედავად დიაუხის პრობლემით დიდი დაინტერესებისა, არ შემიძლია ვირწმუნო მისი ქართული ხასიათი. მით უფრო ჩემთვის მთლად მიუღებლებაა მისი აღმოსავლურ-ქართულობის მტკიცება. ერთ დროს საქართველოში მცხოვრები რუსი მეცნიერი პ. უშაკოვი (1883–1943) ცდილობდა დაემტკიცებინა დიაუხის ზანური თუ კოლხური ეთნიკური წარმომავლობა. მაგრამ მისი ცდა დამაჯერებელი ვერ აღმოჩნდა. ამჯერად, როგორც ვხედავთ, გვთავაზობენ დიაოხის აღმო-

საელურ ქარ...ულ...ბის იდეას, მაგრამ, სამწუხაროდ, ოდეს ცარიელი დეკლარაციის დონეზე.

ი...ვით მუსხელიშვილი არაფერს ამბობს კულხა//კოლხაში სახელმწიფოებრიობის არსებობის თაობაზე. ეს მაშინ, როცა ბეერისათვის იგი (როგორც არგუმენტი) ძირითადი ამოსავალია ქართული სახელმწიფოს სამიათასწლოვანი თარიღის დასამტკიცებლად. ბრო...შურაში ჩვენ ვლენიშნავდით გეოგრაფიული ფაქტორის შემაფერხებელ გაელენას დასავლეთ საქართველოს (კერძოდ კოლხეთის) უწინდელ განვითარებაში. მსგავს აზრს უფრო უწინ ავითარებდა ნიკო ბერძენიშვილიც. საინტერესოა საკითხზე დაკვირვებული მუსხელიშვილის მოსაზრება, რამეთუ იგი საისტორიო გეოგრაფიის სპეციალისტი გახლავთ და, პირველ რიგში, სწორედ მას უნდა ხელეწიფებოდეს კომპეტენტური აზრის გამოთქმა. მაგრამ, სამწუხაროდ, კრებულის წინათქმაში ამას ვერ ვხედავთ.

ამრიგად, კრებულის ძალზე მოკლე წინათქმაში ბევრი გაურკვევლობაა. კარგი იქნებოდა, თუ სხვა დროს თავის სათქმელს ავტორი მეტ სიცხადეს მისცემდა და თანაც საკითხზე სპეციალურად შეჩერდებოდა. დავამატებდით იმასაც, რომ სპეციალისტებმა მხოლოდ მკითხველებს როდი უნდა მიანდონ თუ რომელი მოკამათის მხარეზეა „კომპეტენცია, პროფესიონალიზმის ხარისხი და მათი მეცნიერული არგუმენტაციის საფუძვლიანობა“ და „თავად გაერკვეს იმაში, თუ დღევანდელი ქართული ისტორიული მეცნიერების დონის მიხედვით, ვის მხარეზეა ჭეშმარიტება და თვითეე გამოიტანოს ობიექტური დასკვნა“.

სტატიაში „დიაენი-დიაუხი: „არაქართველური სამყარო?“ გრიგოლ გიორგაძე „დიდ ალბოჩერებს“ გვთავაზობს: 1. თურმე დიაენი და დიაუხი ერთი და იგივე ეთნიკური ერთობა თუ ტომია კი არ ყოფილა (პირველი ასურულად (ასირიულად), ხოლო მეორე ურარტულად გაფორმებული, არამედ – ორი; 2. თუ აქამდე ვფიქრობდით (კერძოდ, გიორგი მელიქიშვილს და იგორ დიაკონოვს), რომ დიაენი-დიაუხი (ცხადია, ერთი გაერთიანება) ხურიტული იყო, ამჯერად ავტორი ცდილობს დაგვაჯეროს თითქოსდა მათ (ორივე გაერთიანების) ქართველურ ხასიათში. დიდად სამწუხაროდ, გრიგოლ გიორგაძე არ ცდილობს დაკონკრეტოს, თუ სახელდობრ რომელ ქართველურ შტოს (ზანურს თუ ქართულს (ქართებისას) მიეკუთვნებოდნენ დიაენი და დიაუხი. რამდენადაც კარგად ვიცნობთ მისეული არგუმენტაციის „სტილს“, ვფიქრობთ, ეს არ გაუჭირდება და ამაზე სხვა დროს მოგვახსენებს.

გრიგოლ გიორგაძეს უნდა მოეხსენებოდეს, რომ სერიოზული, ნამდვილი მეცნიერება მხოლოდ შესაბამისი ენის (ეთქვათ, ხეთურის) და რომელიმე ერთი უცხო ენის შესწავლით არ შემოიფარგლება, რომ იგი, გალაკტიონ ტაბიძისა არ იყოს, სხვა რაისაც გულისხმობს. მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, ეს „რამე" ისეთი გახლავთ, რომელიც მხოლოდ შრომისმოყვარეობით არ შეიძინება. მეცნიერების ხასიათზე მისეული წარმოდგენებიდან გამომდინარე, იგი გვიკიჟინებს ჩვენს უმეცრებას ხურიტოლოგიასა და ურარტუოლოგიაში. მაგრამ როცა ხაზს ვუსვამთ დიაუხის ხურიტულობას (სხვათა შორის, ამასვე ხედებიან ქ-ნი მარიან ლორთქიფანიძე, ბატონები: ნოდარ ლომოური, ილია ანთელავა და რისმაგ გორდეზიანი), ჩვენ ხომ გიორგი მელიქიშვილისა და იგორ დიაკონოვის ნაშრომებს ვეყრდნობით. ამ უკანასკნელთ კი გრიგოლ გიორგაძე არახურიტოლოგოსობასა და არაურარტუოლოგოსობას ნამდვილად ვერ შეჰბედავს. მე კარგად ვიცნობ მათეულ შესაბამის ნაშრომებს და მჯერა მათი დასკვნებისა მაგრამ არა მჯერა გრიგოლ გიორგაძის აღნიშნული მცდელობისა.

ავტორისათვის უმთავრესი ამოსავალი პოსტულატია ხურიტების გაქრობა ძვ. წ. I ათასწლეულიდან მოყოლებული; მას შემდეგ მახლობელ აღმოსავლეთში აქა-იქ მათი მცირეოდენი ჯგუფები თუ ბოგინობდნენ. მაგრამ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ხურიტების ფართო ეთნიკური მასივის ასე სწრაფად გაქრობა? ამასაც რომ თავი დავანებოთ, განა პეროდოტეს მიერ მოხსენიებული მატიენები (ძვ. წ. V საუკუნეში) ხურიტები არ იყვნენ?

ჩემს წიგნაკში დიაუხისთან დაკავშირებით ვწერდი: „შესაბამისი ონომასტიკონი (მეფეთა სახელები, ტოპონიმები) მთლად ხურიტული წარმოშობისაა" აქედან ოპონენტი აკეთებს დასკვნას, რომ ჩემი აზრით დიაუხის სამეფო მთლად ხურიტული ყოფილა (გვ. 7, 9). რას ნიშნავს ამგვარი მანიპულირება სიტყვებისა? რასკვირველია, ისიც კარგად ვიცი, რომ დიაუხის ფართო გაერთიანებაში, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე, შესაძლოა ქართველური ტომების არსებობაც იყო საგულვებელი (გიორგი მელიქიშვილის მოსაზრება). საერთოდ კარგი იქნებოდა, რომ გრიგოლ გიორგაძეს თავისი „რევოლუციური" აზრები უფრო ადრე ჩამოეყალიბებინა, ისე რომ აღნიშნულ მეცნიერებს შესძლებოდათ მათზე რეაგირება.

თითქოს „განკითარებული კლასობრივი საზოგადოების ფორმირებ

ძველ აღმოსავლეთში უკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა(!)" (გვ. 17). მაშინ რას ნიშნავს სხვათა და კერძოდ გრიგოლ გიორგაძის მიერ ძველი აღმოსავლეთის საზოგადოების ადრეკლასობრივად განსაზღვრა? სხვათა შორის, გიორგი მელიქიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს ხოლმე, რომ განვითარებული კლასობრივი საზოგადოება აღმოსავლეთში ე. წ. შუა საუკუნეების ხანაში შეიქმნა. რა აზრი აქვს აბსტრაქტულ მსჯელობას: დიაუხში „შეინიშნებოდა საწარმოო ძალების განვითარება" (იქვე), რაც თითქოს განაპირობებდა სახელმწიფოებრიობის წარმოქმნას? როგორც ცნობილია, საწარმოო ძალების გარკვეული განვითარება შეიმჩნევა მანამდეც – აქაც და ბევრ სხვა ისტორიულ რეგიონში, მაგრამ მხოლოდ ამ გაურკვეველ საფუძველზე სახელმწიფო, ცხადია, არ გაჩენილა.

გრიგოლ გიორგაძე წერს, რომ ფარნავაზის წინარე ხანაში არსებობდა მცირე მასშტაბის პოლიტიკური გაერთიანებები (გვ. 17–18). მაგრამ ამის თაობაზე ხომ ბევრად უფრო ადრე წერდა ნოდარ ლომოური (იგივეა აღნიშნული ჩვენს წიგნაკშიც).

როდესაც სხვას აზროვნებისა და წერის სტილს უწუნებ, მაშინ ასეთი რამ არ უნდა დაწერო: „ხურიტების დასუსტების შემდეგ თანდათან ძლიერდება მათი მონათესავე ურარტული ეთნოსი, რომელმაც რამდენიმე საუკუნე იარსება ვანისა და ურმიის ტბების ირგვლივ მდებარე რაიონებში(!), შედიოდნენ რა „ნაირის" ცნებაში" (ხაზგასმა ჩვენია) (გვ. 7–8); გარკვეული მოსაზრება თითქოს „ნაცნობი დარჩა ძირითადად ყოფილ საბჭოთა მკვლევართათვის" (გვ. 12). მაგრამ ამჯერად გრიგოლ გიორგაძისეულ აზრებზე მეტს აღარ მოგახსენებთ.

მარიამ ლორთქიფანიძე კვლავ იმეორებს აზრს ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლის წინათ წარმოშობაზე, რასაც უკავშირებს ძველ კულხას (კოლხას). ასე რომ, ძიების სფეროდან გამორიცხავს დიაუხის. მსგავსი მტკიცებისას მოხმობილი აქვს გიორგი მელიქიშვილისეული არგუმენტები, რაც დიდი ხანია ცნობილია. 138-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ სახელმწიფო კოლხეთში (დასავლეთ საქართველოში) უკვე არსებულა ძვ. წ. VIII საუკუნეში, მაშინ როდესაც ჩვეულებრივ ძვ. წ. VI-V საუკუნეებს გულისხმობენ.

სიმართლე ითქვას, ვერც 9–11 ივნისს, დისკუსიის დროს, და ვერც ახლა, ამ დისკუსიის მასალების გამოქვეყნებისას, ვერ გამიგია არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილის – ვახტანგ

ჯაფარიძის გამოსვლის აზრი. რა თქმა უნდა, მას მიუძღვის გარკვეული დამსახურება ემპირიულ არქეოლოგიაში (გათხარა შორაპნის ციხე და ყარაიხე, რომლებიც ძველი კოლხეთის კი არა, არამედ ლაზიკის ხანის ეკუთვნის). მაგრამ მისი სამეცნიერო ამპლუადან გამომდინარე, რა კომპეტენტურობა გააჩნია იმსჯელოს საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე? მისი გამოსვლიდან და სტატიიდან აშკარად ჩანს, რომ მას არა აქვს მყარი არქეოლოგიური ფაქტები და მეცნიერული ხასიათის არგუმენტები საკითხის გასაანალიზებლად.

ჩვენ უკვე კონკრეტული შენიშვნები ბ-ნ ვახტანგ ჯაფარიძისეული ანალიზების მიმართ შემოვიტანეთ. არაა სწორი, თითქოს მან „საგანგებო ანალიზების გარეშე“ გამოხატა თავისი პოზიცია. იგი ხომ რამდენიმე თვის განმავლობაში „ხელწდა“ თავის სტატიას, რის გამოც კრებულმა დაგვიანა. სხვათა შორის, სტატიის პოსტსკრიპტუმში იგი წერს: „ზემოთ წარმოდგენილი სტატია სარეცენზიო ნაშრომის განხილვაზე ჩვენი გამოსვლის ერთგვარად გავრცობილ ვარიანტს წარმოადგენს“ (გვ. 163). რიცა სოფელ საზანოს ეხები (გვ. 148–149), მაშინ ხომ მაინც უნდა გაიცნობიერო, რომ აქ ოდესღაც ზანები ცხოვრობდნენ. ასე რომ, ამ შემთხვევაში „კოლხურ ეთნოსზე“ მსჯელობა მთლად გამართლებულად არ გვეჩვენება. ავტორს დაუმახსოვრებია ჩემეული წიგნაკის 43-ე გვერდზე მოტანილი აზრი, და რაკი გადასხვაფერებული აზრი ვერ გაუგია, ალოგიკურობას მაბრალებს. მოვერიდები შესაბამისი, საკმაოდ გრძელი ციტატის მოტანას და ვთხოვ კიდევ ერთხელ ჩაეკვირდეს მას. გულწრფელად ვაცხადებ, რომ აქ ალოგიკური არაფერია. ლაზიკის სამეფო, სახელმწიფო რომ ნამდვილად არსებობდა, ამას ოდეს ნოქალაქევის არსებობის ფაქტით კი არ დავასკვნით (გვ. 154), არამედ სხვა მრავალი არგუმენტითაც, რომელთა ჩამოთვლა უხერხულია. კიდევ ერთხელ გაიცნობიერებ, რომ არ მესმის კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არსებობა სკეპტიკოსების, როგორც „ტომობრივი ურთიერთობების“ საფუძველზე (იქვე). თუ ავტორს და სხვებსაც სჯერათ მსგავსი შეხედულებისა, აქედან ცხადია, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერ ვუგებთ და ვერც გაუგებთ. ჩემეულ წიგნაკში ვწერ, რომ ფასისი, გვიენოსი და მისთანანი „ძირითადად საშუამავლო ვაჭრობით იფარგლებოდნენ“ (გვ. 37). ავტორისეულ პასუხში სიტყვა „ძირითადად“ ამოგდებულია, რის გამოც ხდება აზრის მანიპულირება. თითქოს მე უარვყოფ შესაბამისი ეპოქის კოლხეთში „ნებისმიერი დონის

ციელიზაციის შესაძლებლობას“ (გვ 159). ცნობილი გახლავთ, რომ ციელიზაციას განასახიერებს საზოგადოება განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ასე რომ, უფრო დაბალ საფეხურზე აღნიშნულ სოციალურ კატეგორიას ვერ ვიგულისხმებთ. მაგრამ, ჩანს, სხვანაირად ფიქრობს ვახტანგ ჯაფარიძე, მე კი არავითარი სურვილი არა მაქვს, ვეკამათო აღნიშნული საკითხის ირგვლივ რომელსაც ელამარაკობ, რომ კოლხეთში ძვ. წ. II ათასწლეულში და I ათასწლეულის I ნახევარში მიწათმოქმედებაში წამყვან იარაღს თოხი წარმოადგენდა, აქედან დაკვირვებულმა ისტორიკოსმა და არქეოლოგოსმა არსებითი რამ უნდა გაიაზროს (სახელდობრ შრომის დაბალი მწარმოებლურობა). პასუხად კი ვლებულობთ, რომ „თოხი დღემდე გამოიყენება კოლხეთში ბალწეული კულტურების მოსაყვანად“ (გვ 161). ამას უნდა დაუმატოთ სიმინდის, ლობიოსა და სხვა კულტურების მოყვანა არა მარტო აღნიშნულ რეგიონში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიც. მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ სხვა რამეზეა საუბარი?

სად ვწერ, რომ ლობი „დაბალგანვითარებული საზოგადოების კვების პროდუქტია“. (გვ 162). ჩვენ მხოლოდ იმას ვგულისხმობთ, რომ ლობის (ანდა ფეტვის) წამყვან კულტურად ყოფნა საზოგადოებას ვერ შეუქმნის სათანადო ეკონომიკურ საფუძველს. ლაზიკაში რომ სახალხო კრება შედგა (ახ. წ. VI საუკუნეში), იგი სულ სხვა სოციალური ხასიათისა (წარჩინებულთა) იყო და არა ისეთი, სტრაბონისეულ სვანეთის დახასიათებაში რომ იგულისხმება. იგივე ითქმის ქართლში შემდგარი ცნობილი სახალხო კრების შესახებაც.

განსახილველ კრებულში აღნიშნულია: „ავტორმა საერთო შეკითხვის საპასუხოდ ნათლად ვერ ჩამოაყალიბა სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები“ (გვ 163). მართლაც მძიმე ბრალდებაა, მაგრამ ვიტყვი, რომ დისკუსიის დროს სამჯერ-ოთხჯერ მაინც გაიმეორე ერთი და იგივე და, ვფიქრობ, ვისაც გაგება სურდა, გაიგებდა. სიტყვა „ციხე“, რასაკვირველია, ყოველთვის როდი ნიშნავდა ქალაქსაც, როგორც ამაში გვარწმუნებს ავტორი (გვ 164). ნუთუ ვერარ გაიგო ჩემმა ოპონენტმა, რომ რაიონი ცხაკაის სახელწოდებით აღარ არსებობს (გვ 157). ანდა „პუბლიცირების“ ხმარება და თანაც რამდენიმეგზის, რას ნიშნავს, განა ქართულ ენაში არა გვაქვს არათუ შესაბამისი სიტყვა, არამედ სიტყვები?! ცხადია, უაზრობაა აღნიშნო

„საზოგადოების სოციალური სტატუსი“ (გვ. 161). სულ მთლად გამაოგნებელია ჩემს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება, თითქოს ცილს ვწამებდე ქართულ არქეოლოგიურ (ცახტანგ ვაფარიძის მიხედვით იგი საუსაბით ემთხვევა საისტორიო მეცნიერებას) მეცნიერებას... პატრიოტიზმში (გვ. 162). ამაზე რა კომენტარი უნდა გაეკეთო?

ედიშერ ხოშტარია-ბრაისს რეპლიკის თანახმად, ჩემეული პოზიცია ქართული სახელმწიფოებრიობის 2300 წლის წინათ წარმოქმნაზე „უფრო ახირებაა, რომელსაც ზიანის მეტი არაფერი მოაქვს ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე მავნე ზეგავლენებით“ (გვ. 167). ამ სიტყვების წაკითხვისას, გამოგიტყდებით, საბჭოური წყობილების გარცდა მეუფლება.

დაბეჭდილის, დაწყებულ 3-ის ოთარ ლორთქიფანიძის მისამართით, შეკუნივრად მახსოვს 1971 წლის მაისის იმ დღე (27 თუ 28 რიცხვი იყო), როდესაც შინდელ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში განიხილებოდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ პირველი ტომი. მაშინ მან საშტატო ვაკრიტიკა წიგნის XV თავი, რომლის ავტორი გახლდით ამდენად ვფაქიზ. ბ-ნ ოთარ ლორთქიფანიძის ეს გამოსვლა აისახა ყურნალ „ცისკრის“ იმავე წლის ოქტომბერში ვამოქვეყნებულ სტატიაშიც საგანგებო „საქართველოს ისტორია ასე არ უნდა იწერებოდეს“. სწორედ გითხრათ, გაოგნებული დავრჩი აღნიშნული ორივე გამოსვლით. დემაგოგიას არ მივმართავ და ისე ვამბობ, რომ ბ-ნი ოთარი ნამდვილად კარგად იცნობს ძველი საქართველოს ქალაქებს და კერძოდ, იმ ხანის კულტურას. მაგრამ მისმა ოპონენტმა საქმე ისე წარმოადგინა, რომ ბსუნებულ XV თავში (დიდი ფორმატის 123 გვერდზე) თითქოს არაფერი ფასეული არ ყოფილიყო და მხოლოდ უამრავ წვრილმან შეცდომასა და უზუსტობაზე მიუთითა. პასუხად ბატონი ოთარი ანდრია აფაქიძე ასე წერდა: „ვინ დაიჯერებს, რომ მიუდგომელმა რეცენზენტმა, მით უფრო სპეციალისტმა, აბსოლუტურად უარაფერი დადებითი ვერ ნახა მთელს წიგნში (უფრო ზუსტად XV თავში – გ. ყ) იმისათვის, რომ ორიოდე შესაფერისი სიტყვა წარმოეცდინოდა“; „ო. ლორთქიფანიძის ხერხი ხელში დაიჭიროს ეს სქელტანიანი წიგნი, ითვალოს და ითვალოს კორექტურული შეცდომები, ამუშოს და აფერადოს ნაკლოვანი მხარეები და იმავ დროს გვერდი აუაროს ათას სიახლეს, ათას სიკეთეს – საქმით

დაინტერესებულისა და მეცნიერების გულწრფელი მსახურისათვის საკადრისი არ არის".[1]

ბ-ნი ანდრია აფაქიძე კარგად ჩაულრმავდა ოპონენტისეულ კვალიფიკაციებსაც და წინასწარმეტყველურად აცხადებდა: „რჩება ყველაფერი ეს ო. ლორთქიფანიძის ლექსიკურ ფონდში, ალბათ სამუდამოდ!" (იქვე).

ისტორია კვლავ განმეორდა 30 წლის შემდგომ. ჩემეულ წიგნაკში ბ-ნმა ოთარ ლორთქიფანიძემ ვერაფერი, აბსოლუტურად ვერაფერი დადებითი ვერ ნახა (ისე ელემენტარული მოჩვენებითობა თუ დიპლომატია მოითხოვდა ერთი-ორი კარგი სიტყვაც დასცდენოდა!). ეს მაშინ, როცა მავანთა მსგავსად საკითხით მხოლოდ ბოლო ხანს როდი დაინტერესებულვარ, არამედ ვკვლევ მას სამი ათეული წლის მანძილზე და მის შესახებ რამდენიმე სტატიაც კი მაქვს დაბეჭდილი (ანუ ჩემი ერთი აბეზარი ოპონენტისა არ იყოს, „პუბლიცირებული"). სხვათა შორის, ზოგიერთი მათგანი მაშინ ანტიმარქსისტულად იქნა აღქმული და კვალიფიცირებული. განსაკუთრებით ითქმის ეს სახელმწიფოს წარმოშობის სხვადასხვანაირ გზებზე, თუმცა ჩემს ოპონენტს იგი საკმაოდ ბანალურად ეჩვენება.

მართლაც, ვინ დაიკერებს, რომ ბ-ნ ანდრია აფაქიძეს ძველი ქართული კულტურისა თითქმის არაფერი გაეგება და თუ მასზე ნაშრომი დაწერა, მთლად შეცდომებითა და უზუსტობებითაა სავსე. ამ რწმენის საფუძველს მაძლევს არსებობა იმ მკითხველებისა, რომელთაც შეუძლიათ შეამჩნიონ ბ-ნ ოთარ ლორთქიფანიძის (ასევე სარეცენზიო კრებულის ავტორებისაც) ჭარბი სუბიექტივიზმი. ამიტომაც ოპტიმისტურად ვუყურებ ჩემი წიგნაკის განაჩენსაც მკითხველისა და არეოპაგის მხრივ.

2001 წ.

[1] იხ. ა. აფაქიძე. „ანტიკური ხანის საქართველოს კულტურის საკითხები", ჟურნ. „ცისკარი", 1972, № 5, გვ. 140, 157–158.

წიგნი, რომელიც მრავალ კითხვას ბადებს

ქართული ეროვნული თვითშეგნების პრობლემა დიდი ხნის მანძილზე იგნორირებული იყო. საერთოდ, ეროვნული თვითშეგნების შესახებ არაფერი იყო ნათქვამი ვ. ლენინისა და ი. სტალინის ეროვნულ საკითხებზე შექმნილ „შრომებში“, რომლებშიც ფართოდ გაერცელებული რწმენით, აბსოლუტური ჭეშმარიტება იყო გაცხადებული. საკითხის გარშემო დიდი ხნის დუმილის შემდეგ, მხოლოდ 1984 წელს გამოვიდა მცირე მოცულობის წიგნი, რომელშიც ლაპარაკია საერთოდ ეთნიკურ, ეროვნულ და, კერძოდ, ქართულ თვითშეგნებაზე. იგივე თემაა ალძრული რისმაგ გორდეზიანის წიგნში „ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა.

ცხადია, ამ სათაურით ნაშრომის გამოქვეყნება ფრიად მისასალმებელია. მაგრამ, თუ შინაარსის მიხედვით ვიმსჯელებთ, წიგნის მიმართ უამრავი კითხვა ჩნდება. დავიწყებთ იქიდან, რომ იგი ეხება ჩვენს პრეისტორიას და მოდის ე. წ. შუა საუკუნეებამდე, ე. ი. ვახტანგ გორგასლის მეფობის ჩათვლით. მაგრამ ეთნიკურ თვითშეგნებაზე ლაპარაკი გაურკვეველად შეიძლება მაშინ, როდესაც ამა თუ იმ ეთნოსს აქვს დამწერლობა, შეუქმნია მწერლობა, ისტორიოგრაფია და ა. შ. ყოველივე ამას, სამწუხაროდ, ჩვენი წინაპრები დიდი ხნის მანძილზე მოკლებულნი იყვნენ. თუ ავტორს საკითხის თაობაზე პოზიტიური აზრის გამოთქმა უნდოდა, მაშინ იგი ძირითადად უნდა შემოფარგლულიყო ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებისა“ და ჯუანშერის თხზულებით ვახტანგ გორგასალზე, სადაც ერთგვარად გაცხადებულია ჩვენი ეთნიკური თვითშეგნების ცალკეული მომენტები მაგრამ, სამწუხაროდ, წიგნში ეს გამორჩენილია.

ავტორი არ გამოკვეთს თავის პოზიციას თვით ეთნიკური თვითშეგნების ცნების თაობაზე. ბევრი საბჭოთა ავტორის მიხედვით, ეთნიკური თვითშეგნება ოდენ ინდივიდის კუთვნილებაა და ამა თუ იმ ეთნოსისადმი. მცირე ნაწილის თანახმად, მასში მოიაზრება აგრეთვე ინდივიდის, მთლიანად ეთნოსის შეხედულებანი საკუთარ თავზე

გარკვეული ფასეულობითი სისტემაში, გარდაუვალი სხვა ეთნოსებთან ურთიერთობების პრიზმაში. წიგნის 74-ე და 77-ე გვერდებზე აღნიშნულია „ეროვნული ღირსების მძაფრად გამოკვეთილი გრძნობის გაცნობიერება", საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტორი ეთიკურ, ეროვნულ თვითშეგნებაზე უფრო მეორე თვალსაზრისს იზიარებს. მაგრამ, ჩემი აზრით, უპრიანი იქნებოდა ავტორისეული პოზიცია უფრო მეტად გამოკვეთილიყო.

საკამათოა ავტორის ძირითადი აზრი, რომ „ეროვნული თვითშეგნება ეფუძნება რამდენსამე უმნიშვნელოვანეს საყრდენს, რომელთაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ ამა თუ იმ ხალხში არსებული გენეტიკური ერთიანობის მახსოვრობა თუ რწმენა" (გვ. 3); „ვიდრე ხალხი, რაოდენ დანაწევრებული და ფართოდ განფენილიც უნდა იყოს იგი დედამიწაზე, ინახავს ამ რწმენას, შეიძლება ითქვას, რომ მას თანდაყოლილი ორიენტაცია აქვს ეთნიკურ ერთიანობაზე" (იქვე) და ა. შ. ამდენად, რ. გორდეზიანის შეხედულებით, პრაქართველთა ერთობის დაშლის შემდგომ, რაც, თუ გლოტოქრონოლოგიურ მეთოდს დაეუჯერებთ, მოხდა ჯერ ძვ. წ. II ათასწლეულის, ხოლო შემდგომ – ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში, ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ საერთო წარმომაელობის შეგნება, რომელიც იმდენად ძლიერი იყო, რომ საფუძვლად ედებოდა ხოლმე ფართო პოლიტიკურ გაერთიანებებს. წიგნის ბოლოთქმაში ვკითხულობთ: „ვფიქრობთ, რომ გენეტიკური ერთიანობის მძლავრი კოდი, რომელიც უკვე ბრინჯაოს ხანიდან გამომუშავდა ქართულ სამყაროში, გაცილებით უფრო მყარი იყო, ვიდრე ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეა" (გვ. 77). ეს „კოდი", ავტორის მიხედვით, გენეტიკის დონეზეა გასააზრებელი.

ზემოაღნიშნული იდეა, ვიმეორებ, ფრიად სადაოა. თუ ზოგადად ვიმსჯელებთ, საეჭვოა, რომ მსგავსი რამ არსებობდა ინდოევროპელთა ცნობიერებაში, თუნდაც გერმანიკული ან სლავი ხალხების ერთიანობის დონეზე. მაშ, რატომ უნდა ვირწმუნოთ ჩვენი შორეული წინაპრების მიმართ? (მით უფრო, თუ მოვიგონებთ დიაუხისა და კოლხას მძაფრ დაპირისპირებას). ერთიანობის შეგნებასა და გრძნობას განაპირობებს პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური ერთობა და ა. შ. ამ ჩამონათვალში „გენეტიკური ერთიანობის" შეგნებისა თუ კოდის შეტანა ნაკლებად დამაჯერებელია. თუ, რასაკვირველია, შეეცდებით მეცნიერების პოზიციაზე ვიდგეთ და არ გამოვდიოდეთ იქიდან, თუ

წიგნის 51 ე გვერდზე ვკითხულობთ: „სპარსეთის იმპერიის შექმნით არსებითად ჩაიხურებოდა ძველ სამყაროში ღირებულებათა სრულიად გარკვეული სისტემა, მსოფლიოს განვითარების გარკვეული გზა, რომელსაც აზიური შეიძლება ეუწოდოთ. მისი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია ღმერთთან გათანაბრებული ერთმმართველის ხების უზენაესობა, აქედან გამომდინარე, პიროვნების პოლიტიკური თავისუფლების დაბალი ხარისხი, მჭიდრო ფანატიკური ერთგულების ძირითად მოქალაქეობრივ და პატრიოტულ პრინციპად ქცევა, თავისუფალი პიროვნებისა თუ მოქალაქეობრივ თავისუფლებათა თითქმის სრული იგნორირება“ ჯერ ერთი, მსგავსი სულიერი (პოლიტიკური) სიტუაცია აღმოსავლეთში შეინიშნება ჯერ კიდევ აქემენიანთა იმპერიის შექმნამდე – ძველ შუამდინარეთში, ეგვიპტეში, ჩინეთში და ა. შ. და მეორეც, აღნიშნულ იდეას ჰყავს ავტორები მონტესკიეს, ჰეგელისა და სხვათა სახით. შეგახსენებთ იმასაც, რომ კ. მარქსი და ფ. ენგელსი შეცდნენ ეს იდეა უფრო გაელრმავებინათ და სათანადო მატერიალურ მიზეზებზეც მიუთითეს. ეს არის მიწაზე სასოფლო-თემური და სახელმწიფოებრივი საკუთრების დომინანტობა, სახელმწიფოს დიდი როლი საზოგადოებრივ წარმოებაში (ირიგაცია). წიგნში ამ მოვლენას ასეთი ახსნა აქვს: „ფესვები, უპირატესად მითოლოგიური აზროვნებისა, იმდენად ძლიერი იყო აღმოსავლეთში, რომ ვერც ელინიზმმა და ვერც რომმა ვერ შეძლეს მათი უპირატესად ანალიტიკური მსოფლაღქმით შეცვლა წინა აზიის მრავალ რეგიონში“ (გვ 74–75; იხ. აგრეთვე გვ 52).

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ავტორი აღნიშნავს: „იმ დროს, როდესაც ძველ მსოფლიოში გამოიკვეთა ოპოზიცია: ევროპა-აზია, ქართველური სამყარო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გზის გასაყართან აღმოჩნდა. ერთი მხრივ, იგი მოექცა იმ არეალში, რომელსაც სპარსეთის იმპერიის გავლენის სფერო შეიძლება ეუწოდოთ, მეორე მხრივ კი – შეიზღუდა ელინური ფაქტორიების წყალობით, უშუალო შეხებაში იყო ელინურ ცივილიზაციასთან. ასე რომ, დაპირისპირება ზემოთ მითითებულ ორ მიმართულებას შორის, ალბათ, საქართველოს ტერიტორიაზე იმ დროს საკმაოდ აქტუალური იყო“ (გვ 52). პასუხად ვიტყვით: „როგორც ჩანს, საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ გარკვეულწილად განსაზღვრა ის, რომ სპარსეთის

პეგემონობის ხანაში, რომელსაც საბოლოოდ ყალიბდება დაპირისპირება ძველი სამყაროს გახვითარების ორ გზას, ევროპულსა და აზიურს შორის, ჩვენს ტერიტორიაზე გამოიკვეთა ასევე ორიენტაციის ორი მიმართულება: ელინურ-ევროპული, რომელიც უფრო დასავლეთ საქართველოში, ისტორიულ კოლხეთში შესამჩნევი და სპარსულ-აზიური, რომელიც უფრო აღმოსავლეთ საქართველოში, ისტორიული იბერიის ტერიტორიაზეა გავრცელებული" (გვ. 56). ამ გაბედულ მტკიცებას ავტორი ასაბუთებს არქეოლოგიური გათხრების მონაცემებით (იხ. იქვე). მაგრამ ეს ერთობ არადამაჯერებელია. აზრი ვერც გარკვეულ ფსიქიკურ წყობაზე მინიშნებით დამტკიცდება, ვინაიდან საამისო ფაქტები არ გაგვაჩნია. უფრო სერიოზული არგუმენტები, თუ შესაძლებელია, სხვა სფეროებში უნდა მოიძებნოს.

ამდენად, ჩვენ მიერ განხილული რ. გორდეზიანის ნაშრომი მრავალ შეკითხვას ბადებს, რომლებიც უპასუხოდ რჩება. ჯობდა კი, რასაკვირველია, რომ პასუხები მეტი ყოფილიყო, და წიგნიც უფრო მეცნიერულ ლოგიკაზე, ცნებებით მწყობრ აზროვნებაზე ყოფილიყო დაფუძნებული.

1995 წ.

ლეპულება დასაბუთებას მოითხოვს

სულ ახლახან იქ ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალმა გამოსცა საინტერესო კრებული „მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა", რომელიც მეცნიერების მრავალ დარგს ითვალისწინებს. ამჯერად, ჩვენი აზრით, არა არის კრებულის საფუძვლიანი განხილვა და შეფასება. მხოლოდ ერთ საკურადღებო მომენტზე შევჩერდებით.

კრებულში დაბეჭდილია თამაზ გამყრელიძის სტატია „მესხეთ-ჯავახეთი – საერთო ქართველური წინარეისაშობლო" (სხვათა შორის, „მესხეთ-ჯავახეთის" ხმარება აკადემიკოსს არ ეპატიება, რადგან „მესხეთი" ფარდობითი მნიშვნელობის ტერმინია და მოიცავს ჯავახეთსაც. ასე რომ, უსიტყვოდ „სამცხე-ჯავახეთი"). როგორც სათაურიდან ვიგებთ, ავტორი მთელი კატეგორიულობით აცხადებს, რომ სამცხე-ჯავახეთი წინარექართველთა (ცხახდია, სვანთა, კოლხთა, ჰაჰთა, მგრელთა წინაპრების ჩათვლით) საშობლო ყოფილა. თუმცა, თვით ტექსტში ამგვარი ტონი შერბილებულია და მტკიცებულებას სავარაუდო ფორმა („შესაძლებელია") ენიჭება. როგორც გინდა იყოს, უცილობელია, რომ თამაზ გამყრელიძე სტატიაში ფრიად აქტუალურ საკითხს აყენებს.

მაგრამ ძალზე უცნაურია შემდეგი: აღნიშნულ სტატიას სულ ერთი (უფრო სწორად ნახევარი) გვერდი უჭირავს (?!). აქ რომ მხოლოდ თეზისები ყოფილიყო გადმოცემული, რასაკვირველია, ჩვენი გაოცება გამორიცხული იქნებოდა. მაგრამ, ვიმეორებ, საქმე გვაქვს სტატიასთან. ასეთი მოცულობის სტატია, მოგეხსენებათ, მათემატიკაშიც კი იშვიათობაა!

ალსანიშნავია, რომ მსგავსი მოსაზრება ფიგურირებს ცნობილი რუსი მეცნიერის (აღმოსავლეთმცოდნის) იგორ დიაკონოვის 1968 წელს ერევანში გამოქვეყნებულ წიგნში „Предыстория армянского народа" წიგნში დართულ „ხეთების სამეფოს (დაახლოებით ძვ წ 1500–1200 წლების) – მცირე აზიის სქემატური რუკაზე" პროტო-ქართველთა წინარესაშობლოც მითითებულია ბორჯომის ხეობა, ე. ი

ისტორიული სამცხის ნაწილი, ხოლო დასაწყისში საქართველოს შავიზღვისპირეთი, მდინარე ცხენისწყლამდე. ი. დიაკონოვის მიხედვით, ეკავა აბეშლაელებს, თუმცა ამას ავტორი კითხვის ნიშნის ქვეშ ტოვებდა. 1983 წელს ი. დიაკონოვის, ვ. ნერონოვასა და ი. სუნდუკოვას რედაქციით გამოსულ წიგნში „История древнего мира" (II) ამჯერად მსგავსი მტკიცებულება კატეგორიული ფორმით არის მოცემული (ი. დიაკონოვის მიერ). თამაზ გამყრელიძე ამ დებულებასაც იმეორებს.

არ გვინდა დავიჯეროთ, რომ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ფრიად აღიარებულმა მეცნიერმა მითითება ი. დიაკონოვისეული მოსაზრებანი, მაგრამ არც ის გვინდა ვირწმუნოთ, რომ ის არ იცნობს დასახელებულ წიგნებს და არ იცის შესაბამისი ადგილები. მაგრამ მთავარი მაინც შემდეგია: ასეთი მნიშვნელოვანი დებულების წამოყენება ოდენ ნახევარ გვერდზე? შესაბამისი დასაბუთებისა და სხვათა თვალსაზრისების გაუთვალისწინებლად?! მართლაც, დიდად გასაკვირია, სხვა რომ არაფერი ვთქვათ!..

ერთში კი ავტორს უთუოდ ვეთანხმებით: ქართულ მეცნიერებაში (კერძოდ, ისტორიოგრაფიაში) ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემის შესახებ თავისებური ლეთარგიული ძილი სუფევს. ღელჩე სულდებიან ბორის კუფტინისა და გიორგი მელიქიშვილისეულ მოსაზრებებს, რომლებიც ერთმანეთის საწინააღმდეგოა: პირველის აზრით, წინარექართველობა, შესაბამისად, წინარექართული (ასევე წინარესვანური, წინარეზანური და ა. შ.) ენა მთელს დღევანდელ საქართველოს და მეტ ტერიტორიასაც მოიცავდა, ხოლო მეორის მიხედვით, ეს იყო მხოლოდ ჭოროხის აუზი...

ვიმედოვნებთ, იქნებ თამაზ გამყრელიძის სტატიამ ქართველი ისტორიკოსები და სხვა შესაბამისი დარგების წარმომადგენლები გამოაფხიზლოს ღრმა ძილიდან... ოღონდ საბოლოოდ, ცხადია, მხოლოდ ნახევარგვერდიანი სტატია არ იკმარებს და, უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი ვრცელ სტატიას შემოგვთავაზებს. ამ შემთხვევაში, მზად ვართ მასთან სერიოზული დიალოგი გავმართოთ.

2000 წ.

საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობაზე მსჯელობისას მეტი საფუძვლიანობა გვმართებს

(ბატონ თამაზ გამყრელიძისა და ბატონ რისმაგ გორდეზიანის პასუხად)

საქართველოში სახელმწიფოს წარმოქმნის პრობლემის შესახებ უპირველესად, ცხადია, ისტორიკოსებმა უნდა იმსჯელონ. მათ გარდა საკითხის არგულის თავიანთი აზრი უნდა გააჩნდეთ არქეოლოგოსს, ეთნოლოგოსს, პოლიტოლოგოსს, იურისტ-სახელმწიფოთმცოდნეს, ფილოსოფოსს, სოციოლოგოსს. დიდად სამწუხაროდ, გამოჩნდა, რომ ჩამოთვლილი დარგების წარმომადგენლებს (რამდენიმე არქეოლოგოსის გარდა) ამ მხრივ სათქმელი არაფერი აქვთ. რაც შეეხება ენათმეცნიერებასა და ფილოლოგიას (ლიტერატურისმცოდნეობას), მათ უშუალო მიმართება პრობლემასთან არ გააჩნიათ. მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ენათმეცნიერს ან ფილოლოგოსს აეკრძალოს თავისი სიტყვა თქვას ამ თვალსაზრისით. ბუნებრივად, ცხადია, ეს უნდა ხდებოდეს საკმაო მეცნიერული საფუძვლიანობით, საკითხის ემპირიული და თეორიული ასპექტების ცოდნით.

მსგავსი მცდელობა გამოიჩინეს აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ და აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა რისმაგ გორდეზიანმა. პირველმა „ლიტერატურულ საქართველოში" 1999 წელს (18–25 ივნისის ნომერში) დაბეჭდა სტატია „საქართველო ევროპაა თუ აზია?", რომელშიც შეეხო ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხსაც. მასში ვკითხულობთ: „უახლოესი გამოკვლევების მიხედვით, კოლხური სახელმწიფოებრიობის არსებობა ჩვენ უკვე ძვ. წელთაღრიცხვის მე-15 საუკუნისათვის უნდა ვივარაუდოთ". სხვათა შორის, მსგავსი მოსაზრება გამოთქვა პროფ. ლევან სანიკიძემაც, რომელიც ამ შემთხვევაში დაეყრდნო მითს კრეტის მეფე მინოსის მიერ კოლხეთის მეფე აიეტის (მაგრამ თუ შესაბამის მითს დაეუჯერებთ, იგი ხომ ძვ. წ. XIII საუკუნეში და არა XV საუკუნეში მეფობდა?) ქის პასიფაეს შვილთაზე. რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება შესაბამისი არგუმენტირებით აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

მაგრამ ვნახოთ, თუ რა არგუმენტს გვთავაზობს ბატონი თამაზ გამყრელიძე. მის მიხედვით „მიკენური ეპოქის ბერძნულ წარწერებში (ძვ წ. XV—XIV სს.) დოკუმენტურად დასტურდება მრავალი სახელი, რომელნიც „არგონავტ:-ის მითიდან" იყო ჩვენთვის ცნობილი, მათ შორის ისეთი სახელები, როგორიცაა „(ქვეყანა) აია", „კოლხიდა", „იასონი" და სხვ." მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, აქ მოხმობილი არგუმენტიც დიდ არაფერს გვეუბნება ძველ საქართველოში (კოლხეთში) სახელმწიფოს წარმოქმნის თაობაზე. ჯერ ერთი, სულაც არაა ნათელი, თუ ქვეყნის სახელწოდება „აია" სწორედ კოლხეთს მიესადაგებოდა, მეორე, სათუოა მიკენურ ტექსტებში სახელდობრ „კოლხიდა" თუ იგულისხმება, მესამე, აბსოლუტურად არაფერის მთქმელია აღნიშნული თვალსაზრისით მამაკაცის სახელი „იასონი".

როგორც ვიცით, ბ-ნი თამაზ გამყრელიძე ხშირად მოიხმობს ხოლმე არგუმენტად ბერძნული სიტყვის „კო(ვ)ა"-ს (ტყავი) გაჩენას ქართველური „ტყავ-ტყოვიდან", თუმცა აღნიშნულ სტატიაში ამჯერად ამას ვერ უხვდებით. თ. გამყრელიძის აზრით, ბერძნების კონტაქტები ქართებთან და ზანებთან ჩვეულებრივი სახით (ეგეოსის ზღვიდან შავი ზღვიდან მიმართულებით) კი არ მყარდებოდა, არამედ ვითომდა წინარეინდოევროპელთა სამყაროსა თუ ბერძნებსა და დასავლეთ ამიერკავკასიას შორის, ე. ი. ხმელეთის გზით.[1] მაგრამ ამ საკითხის დაწვრილებითი კომენტარისთვის აქ ადგილი არაა. ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ „კო(ვ)ა"-ს „ტყავ-ტყოვთან" ურთიერთმიმართებას[2] არავითარი კავშირი არა აქვს კოლხეთში სახელმწიფოს წარმოშობასთან. სხვათა შორის, თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ერთობლივი მონოგრაფიის მიხედვით „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ

---

1 ორი წლის წინათ გამოქვეყნებულ სტატიაშიც ბ-ნი თამაზ გამყრელიძე აღნიშნავს: „არგონავტების" შესახებ მითის შედარებით ადრეულ შრეებში შესაძლებელია ასახული იყოს სწორედ ბერძნულენოვან ტომთა გადასახლება მცირე აზიასა და ამიერკავკასიის საზღვრებთან ახლობარ რაიონებში, სადაც ისინი ქართ...-ქართველურ (!) ტომებს ხვდებოდნენ და მათთან ურთიერთობას ამყარებდნენ". იხ. მისი „ინდოევროპული, ქართველური, სემიტური", ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, თბილისი, 1999, გვ. 83.

2 სხვათა შორის, გიორგი კლიმოვის მოსაზრებით, ქართულ „ტყავს" მეგრულ ენაში ეთანადება „ტყუბ", ჭანურში „ტყუბ". იხ. „Этимологический словарь картвельских языков", მოსკოვი, 1964, გვ.18.

ენებში“ (თბილისი, 1965) ქართულ (ქართების)-ზანური ენობრივი დიფერენციაცია დაკავშირებულია ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნასთან (იხ. გვ. 17) და არა თუნდაც ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველ საუკუნეებთან (შევნიშნავთ, რომ ასე იქცევა გიორგი მელიქიშვილი, რომელიც, აღნიშნულიდან გამომდინარე, ძველი კოლხას „სახელმწიფოს“ კოლხურ (ზანურ) და ქართულ (ქართების) გაერთიანებად თვლის). და ბოლოს, დავუშვათ, რომ მიკენის ხანის ბერძნებმა (აქაველებმა) იცოდნენ კოლხეთის არსებობა, მაგრამ განა ამის მიხედვით შეიძლება ვიყარაუდოთ ამ ქვეყანაში სახელმწიფოებრიობის არსებობა?

აღნიშნულ ხტატიაში აკად. თამაზ გამყრელიძე წერს: „ზანური ენა — დღევანდელი მეგრელ-ლაზების წინაპარი ენა — იყო სწორედ კოლხური სახელმწიფო ენა, რომელზედაც, როგორც ვარაუდობენ, მეტყველებდა აია-ქვეყნის, ე. ი. „კოლხეთის“ მეფე აიეტი“. როგორც ვხედავთ, ზანურ ენას სახელმწიფოებრივი ენის სტატუსიც კი შეუძენია, რასაკვირველია, აიეტიც სავსებით რეალური ისტორიული პიროვნება ყოფილა. მაგრამ ეს დებულებებიც ოდენ დეკლარაციული ხასიათისაა. მიუხედავად ამგვარი ფრიად მტკიცე არგუმენტების მოხმობისა, სტატიის ავტორის აზრით „სწორედ ძველი კოლხეთით, კოლხური სახელმწიფოებრიობით თარიღდება უძველესი ქართული სახელმწიფოებრიობა“, რომელიც თითქოსდა ჭოროხის აუზში (შუა და ქვემო დინებებზე) კი არ მდებარეობდა, არამედ კოლხეთის დაბლობზე.

მაგრამ ბ-ნ თამაზ გამყრელიძის ასეთი „არგუმენტირებული“ დასკვნის მიუხედავად, იგი აღნიშნავს: „შეთხვევითი არაა, რომ „ქართული სახელმწიფოებრიობის“ ჩასახვის თარიღად სხვადასხვა მეცნიერულ თვალსაზრისებს შორის საქართველოს პრეზიდენტი სწორედ „კოლხურ ვარიანტზე შეჩერდა“. ჭეშმარიტად ძალზე უცნაურია, რომ მრავალი სამეცნიერო რევალიების მჭონე მეცნიერი ქართული სახელმწიფოს წარმოშობა-წარმოქმნის შესახებ აკეთებს საკუთარ დასკვნას (3500 წელს), მაგრამ იქვე უყოყმანოდ იზიარებს საქართველოს პრეზიდენტის არჩევანს (3000 წელს). თანაც თუ მისი აზრით 3500 წლის წინათ ჩვენი სახელმწიფოებრიობა უკვე არსებობდა, ე. ი. ჩამოყალიბებული იყო, ამჯერად ლაპარაკია ჩასახვაზე (3000 წლის წინათ). სტატიაში სხვაგანაცაა მითითებული ქართული სახელმწიფოებრიობის სამათასწლოვანი თარიღი („როგორ კულტურულ-ისტორიულ კავშირებს

აკლის ქართული სახელმწიფო თავისი სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე?"; ,,ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე").

აკად. თამაზ გამყრელიძის აღნიშნული მცდელობის თაობაზე დაკმაყოფილებით, რომ იგი უსაფუძვლოა და საკითხის შესახებ მიმდინარე დისკუსიაში რაიმე სერიოზული წვლილი არ შეუტანია. როგორც ენათმეცნიერს, ბატონ თამაზ გამყრელიძეს შეეძლო ერთ გარემოებაზე შეეჩერებინა ყურადღება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დღემდე ვერ მოუხერხებია; მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს ვილაპარაკებთ.

ახლა შეეჩერდებით ბატონ რისმაგ გორდეზიანის სათანადო თვალსაზრისზე, რომელიც გამოთქმულია ,,საქართველოს რესპუბლიკის" 1999 წლის 2 თებერვალს გამოქვეყნებულ სტატიაში ,,კოლხიდა და ქართული სახელმწიფოებრიობის საწყისები". მრავალ ისტორიკოსთაგან და არქეოლოგოსთაგან განსხვავებით იგი, და საკმაოდ სწორადაც, სპეციალურად ჩერდება თეორიულ საკითხზე – სახელმწიფოს არსის გაგებაზე. მის მიხედვით ამ ინსტიტუტის მარქსისტული დეფინიცია შემდეგნაირი გახლავთ: ,,სახელმწიფო არის ძალაუფლების განსაზღვრული პოლიტიკური ინსტრუმენტი გარკვეული კლასების ხელში მათი ინტერესების განსახორციელებლად". მაგრამ მთლად ასე როდია საქმე. თვითონ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მიხედვით, სახელმწიფო აღმოსავლეთში სულაც არ იყო დაკავშირებული კერძო საკუთრებისა (მიწაზე) და სოციალური კლასების წარმოშობასთან (სტატიის ავტორი მსგავს სიტუაციას მხოლოდ კრეტა-მიკენის ისტორიულ სამყაროში ხედავს), არამედ უპირველესად დიდი მდინარეების მწარმოებლური ძალის გამოყენებასთან, ე. ი. ირიგაციის აღსრულებასთან. და საერთოდაც, თვითონ ვ. ლენინისა და ი. სტალინის მიხედვით სახელმწიფო ასრულებდა თავდაცვისა და შინაგანი წესრიგის დამყარების ფუნქციებსაც. გარდა ამისა, ცნობილი ამერიკელი ეთნოლოგოსის ლუის მორგანის ნაშრომზე დაყრდნობით ფრ. ენგელსი აღნიშნავდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ნიშან-თვისებებს, მის განსხვავებულობას გვაროვნული წყობილებისაგან. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველივე ამის ცოდნას ფილოლოგოსს ვერ მოეთხოვეთ.

ბატონი რისმაგ გორდეზიანი ცდილობს შემოგვთავაზოს განსხვავებული, ორიგინალური თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც სახელ-

შეიფის სტრუქტურისა და შესაბამისად ორგანიზებული საზოგადოების არსი მდგომარეობს შემდეგში: „ა) განსაზღვრულ ტერიტორიასა თუ ტერიტორიებთან დაკავშირებული საზოგადოება, ბ) გარკვეული ცენტრალიზაცია, გ) ერთმანეთისაგან გამიჯნული სოციალური ფენების მჭიდრო იერარქიულად დაყოფილი საზოგადოება, დ) მართვის ორგანიზებული სისტემა, ე) სისტემის უნარი საზოგადოების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ამოცანები გადაჭრას“ თითქოს მართლაც ორიგინალური თვალსაზრისია, მაგრამ, ფრიად სამწუხაროდ, პრობლემის არსის გააზრება-გაცნობიერებისათვის თითქმის არაფერს არ იძლევა. საქმეს ვერ შველის საკითხის ასეთი დაკონკრეტებაც: „სახელმწიფოებრიობის შეგრძნებას განამტკიცებს ამ საზოგადოების მსოფლაღქმა, რომელიც ეფუძნება კულტურისა და რელიგიური წარმოდგენების (!). კულტურული თვითგამორკვევის ერის მეტნაკლებ ერთიანობას“. აღნიშნული შეხედულება უმეტესწილად ესადაგება კლასიკურ გვაროვნულ საზოგადოებასაც და საესებით – ე.წ. სამხედრო დემოკრატიის საფეხურზე მდგომ საზოგადოებას, როცა თავს იჩენს გარკვეული სოციალური სტრატიფიკაცია, ე. ი. უკვე ადგილი აქვს სოციალური ფენების არსებობას. მაგალითად, სტრაბონის წყალობით კარგად ვიცით ძვ. წ. I საუკუნის სვანეთის საზოგადოება, რომელსაც მართავდა ბასილევსი (მეფე ბერძენთა თავდაპირველი გაგებით), სამასი კაცის (უხუცესების ანუ მახვშებისა) შემდგარი საბჭო და გააჩნდა სახალხო ლაშქარი. თუ ბატონ რისმაგ გორდეზიანს დაეჯერებით, სვანები ამ დროს უკვე იმყოფებოდნენ საკმაოდ განვითარებული სახელმწიფოებრიობის საფეხურზე. რაც შეეხება ტერიტორიის მომენტს, იგი, ცხადია, გააჩნდა გვარს, ტომსა და ტომთა კავშირსაც, მაგრამ შესაბამისი საზოგადოება აღნიშნულ პრინციპზე კი არ იყო დაფუძნებული, არამედ სისხლისმიერ ნათესაობაზე. სახელმწიფო კი ემყარებოდა და ემყარება ტერიტორიულ პრინციპს ჯერ სასოფლო თემების, ხოლო შემდეგ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სახით (მაგალითად, საერისთაოები და სასპასპეტო ქართლში (ივერიაში).

ცხადია, ამგვარ არამყარ თეორიულ თვალსაზრისზე დაფუძნებული შეხედულება სერიოზული მეცნიერული ხასიათისა ვერ იქნება. ამიტომაც ვერ ვენდობით ავტორისეულ დასკვნებს: „ჯეიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული დასაელეთ საქართველოში არსებობდა კავკასიურ(!), ძირითადად ქართველურ ტომთა გაერთიანება, რომელსაც

აქვს ყველა ის ნიშანი, რომელნიც ჩვენ სახელმწიფო გაერთიანებისათვის აუცილებლად მივიჩნიეთ"; „თრიალეთის კულტურის პერიოდში, საქართველოში არსებობდა ისეთი გაერთიანებები, რომლებიც შეიცავდნენ სახელმწიფო გაერთიანებისათვის აუცილებელ ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს". თუმცა ავტორი ეჭვს გამოსთქვამს ზოგიერთი მათგანის ქართული ეთნიკური კუთვნილების თაობაზე. ასევე საფუძვლიანია მისი დაეჭვება დიაუხის ქართველური ან ქართული (ქართების) ეთნიკური წარმომავლობის შესახებ.

სტატიის ავტორი ერთგან ასე წერს: „ალბათ, უფრო კორექტული იქნებოდა მსჯელობა საქართველოში სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისების შესახებ". მაგრამ თუ ამაზე მიდგება საქმე, მაშინ შესაბამისი თარიღი კიდევ უფრო ბუნდოვანდება. ამ შემთხვევაში მართლაც უპრიანი იქნებოდა 3000 წლის ძიება. მაგრამ განა უფრო ცხადი და საფუძვლიანი არ იქნებოდა აღინიშნოს ჩამოყალიბებული (სისტემის მქონე) მოვლენის (სახელმწიფოს) თარიღი?

რაც შეეხება ბატონ რისმაგ გორდეზიანის კონკრეტულ მოსაზრებებს, ისინი მხოლოდ ვარაუდების სახითაა გამოთქმული. მაგალითად, იგი წერს: „ძვ. წ. XIV-XIII საუკუნის (!) მიკენურ დოკუმენტებში გამოაელინეს არა ერთი სახელი, რომელსაც ონომასტიკასთან აქვს კავშირი". სტატიაში ჩამოთვლილია „აიაია", „აიეტი", „მედეა". მაგრამ ქართველური და კერძოდ, მეგრული და ჭანური ენებისათვის (ასევე იქნებოდა ზანურში) სიტყვა (ტოპონიმი) „აიაია" აშკარად არაბუნებრივია და მისი წარმოშობა სხვა ენობრივ სამყაროშია საძებნი, „აიეტი" კი ჩვენებური წარმომაელობისა კი არა, არამედ ბერძნული გახლავთ (ნიშნავს „აიას მცხოვრებს") და დიდად საეჭვოა, რომ კოლხ მეფეს, „მეფესა" თუ ტომთა ბელადს ბერძნებთან (აქაველებთან) კონტაქტებამდე, ბერძნულ ენაზე გაფორმებული სახელი ერქვა. ცნობილია, რომ „მედეა" თრაკიული სახელია და მისი დამოუკიდებელი (ბერძნების გარეშე) გავრცელება ძვ. წ. XIV-XII საუკუნეების კოლხეთში გამორიცხულია. თვითონ ავტორი სწორად დასძენს: „ძნელია ვამტკიცოთ, რომ მათ (ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს – გ. ყ) კავშირი აქვთ არგონავტების თქმულებასთან". არაა დამაჯერებელი, რომ „კო-კი-დე-სო" მაინცდამაინც „კოლხიდელს" აღნიშნავდეს (შეიდგომი ეპოქის ბერძნულ ენაში ხომ ეს სიტყვა კოლხის და არა „კოლხიდელის" ფორმით გადმოიცემა?), ბატონ რისმაგ გორდეზიანის შეხედულებით, შესაბამისი მცნარის

და ქალაქის სახელწოდება „ფასისი“ ბერძნულში ა-გახმოვანებით მხოლოდ ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულში შეიძლება შემოსულიყო? მაგრამ ესაა terminus ante quem non და სრულიადაც არა terminus post quem non. რატომ უნდა გამოირიცხოს შესაძლებლობა, რომ აღნიშნული ტერმინი, ვთქვათ, ძვ. წ. VIII ან VII საუკუნეში არ გავრცელდა. აქაც გამეორებულია აზრი, რომ სიტყვა „კო(ვ)ა“ (ტყავი) თითქოს ქართველური „ტყავ-ტყივ“-ის სესხების შედეგად გაჩნდა. როგორც ვიცით, ეს აზრი აკად. თამაზ გამყრელიძეს ეკუთვნის, რაზედაც უკვე ვილაპარაკეთ.

ძალზე არადამაჯერებელია აგრეთვე ავტორის შემდეგი მსჯელობა: „ბრინჯაოს ხანაში კოლხიდისაკენ ეგეიდიდან საკმაოდ ინტენსიური საზღვაო მიმოსვლა უნდა ყოფილიყო, რასაც, როგორც ითქვა, ტროასა და ლემნოსზე წარმოებული უახლესი გათხრები გვიდასტურებს. ეს კი ცხადს ხდის, რომ კოლხიდა აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩაბმული მედიტერანული ურთიერთობების სისტემაში“. მაგრამ, სამწუხაროდ, ოდენ დაშვებებზე, ვარაუდებზე დამყარებული ლოგიკით მსჯელობა და დასკვნა „ცხადი ვერ ხდება“. ესეც რომ ვირწმუნოთ, ეს საბუთი ვერ გამოდგება კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არსებობის დასამტკიცებლად.

დაბოლოს, კვლავ ავტორისეული ვარაუდის თაობაზე. სტატიაში ვკითხულობთ: „ალბათ შეიძლებოდა კოლხი მდევნელების მიერ მითის თანახმად ადრიატიკაში დაარსებული ქალაქის – პოლა (ბერძენ ავტორთა მიხედვით იგი გაქცევის, ლტოლვის, სირბილის მნიშვნელობას შეიცავდა კოლხთა ენაზე) ქართულ „რბოლასთან“ დაკავშირება“. მაგრამ სანამ ამას ვირწმუნებდეთ, ჯერ უნდა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი: ვარაუდობენ, რომ არგონავტიკის მითის ერთ-ერთი უძველესი ვერსიის თანახმად აღწერილ მოგზაურობაში აისახა თაეისებური მოგზაურობა დედამიწის გარშემო – ეგეოსის ზღვა – პელესპონტი – პროპონტიდა (მარმარილოს ზღვა) – ბოსფორი – შავი ზღვის დასავლეთ სანაპირო – ისტროსი (დუნაი) – შემდეგ დუნაის რომელიღაც შენაკადის მეშვეობით – ადრიატიკის ზღვა. აქედანაც ჩანს, რომ ბერძენთა მაშინდელი გეოგრაფიული თვალსაწიერი ფრიად ბუნდოვანი იყო. მითის ერთ-ერთი ვერსიის თანახმად არგონავტებს ოქროს საწმისის გატაცების შემდგომ სწორედ აღნიშნული მარშრუტით

უმოგზაურიათ. ეფიქრობთ, ძნელი არ უნდა იყოს გაიცნობიეროთ აღნიშნული მოსაზრების არამეცნიერული ხასიათი. აქედან გამომდინარე, ქალაქ პოლას ვითომდა კოლხთა მიერ დაარსებაც ოდენ მითს წარმოადგენს. ამაოდ ცდილობდნენ ბერძენი მითოგრაფოსები (მითების მთხზველები) დაედგინათ „პოლას“ ეტიმოლოგია კოლხური ენის მეშვეობით. ჩანს, ბატონ რისმაგ გორდეზიანს სჯერა ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ამიტომაც სიტყვა „პოლას“ ეტიმოლოგიზირებას ცდილობს ქართულ (ქართების) სიტყვა „რბოლით“. მაგრამ განა სარწმუნოა ქალაქს სახელი შერქმეოდა არგონავტების მსგავსი მარშრუტის საფუძველზე. გარდა ამისა, რა შუაშია ამ შემთხვევაში ქართული სიტყვის მოხმობა. ზანურსა და ქართულში კი მსგავსი ძირი (სიტყვა) არა გვხვდება. ამიტომ, ცხადია, ბევრად უფრო უპრიანი იქნებოდა მიგვემართა კოლხური ენისათვის (ამჯერად მეგრული ან ჭანური ენებისათვის). მეგრულად კი, ცნობილია, რბოლის შესატყვისია „რულა“, რასაც, რასაკვირველია, არაეითარი კაეშირი არა აქვს „პოლასთან“.

ჩვენეული დასკვნა ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობის შესახებ დისკუსიაში ენათმეცნიერ თამაზ გამყრელიძისა და ფილოლოგოს რისმაგ გორდეზიანის ჩაბმაზე მკითხველთათვის მოულოდნელი არ იქნება. თუმცა მათი მცდელობა, დაინტერესება პრობლემით თაეისთაეად მისასალმებელი გახლავთ, მაგრამ დიდად ვეჭვობთ, რომ დისკუსიაში მათ რაიმე თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს. სხვანაირად კი არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რამეთუ სადისკუსიო პრობლემა მათი სპეციალობიდან ძალიან შორს დგას.

1999 წ.

ამბავი აიეტისა და მინოსის მოყვრობისა ანუ საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი

ჟურნალ „სარკის“ 1999 წლის ოქტომბრის დასაწყისის ნომერში დაბეჭდილ ინტერვიუში პროფესორი ლევან სანიკიძე შეეხო ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოებრიობის წარმოშობის პრობლემას. ოდნავ სერიოზული მეცნიერებისათვისაც (ისტორიოგრაფიის) კი მისეული შესაბამისი აზრები არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს, მაგრამ რადგანაც ბატონი ლევან სანიკიძე ძალზე პოპულარულია საზოგადოების ფართო მასაში და მას დიდ ანგარიშსაც უწევენ, ამიტომ შიზანშეწონილად ვცანით გამოვეხმაუროთ ამ ინტერვიუს.

პროფ. ლევან სანიკიძე ფრიად აღშფოთებულია იმათ მიმართ, ვინც ფიქრობს, რომ საქართველოში სახელმწიფო 2300 წლის წინათ ჩამოყალიბდა (მეც აღნიშნული კატეგორიის ხალხს ვეკუთვნი). იგი ამბობს: „2300 წელი კი სიბრიყვეა. ძალიან არ მინდა ვიხმარო სიტყვა უვიცობა. ეს არის არცოდნა ჩვენი ისტორიის. ისინი არ იხედებიან „ქართლის ცხოვრების“ იქით“; „რატომ აუჩემებიათ, იცით, 2300 თუ 2500 წლები, იმიტომ რომ „ქართლის ცხოვრების“ იქით არ იყურებიან, სამწუხაროდ. ხანდახან უცხოურ წყაროებშიც უნდა ჩაიხედო. არ კმარა, მხოლოდ ასურული და ურარტული წყაროები. თავდაპირველად უნდა დაეყრდნო ბერძნულსა და წინაბერძნულ საისტორიო წყაროებს, რომლებიც ყველაზე ავტორიტეტულ და სანდო წყაროებს(!) წარმოადგენს“. თურმე ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ძალიან ახირებულნი ყოფილვართ. ოპონენტი გვიკიჟინებს: „ზოგიერთს თუ არ უნდა დაჯერება, არ დაიჯერებს. თუ მაინცდამაინც ცენტრალიზებული სახელმწიფო უნდა იყოს, ასეთი მხოლოდ დავით აღმაშენებლის შემდგომ გვაქვს, ე. ი. 800–900 (!) წლის წინათ“. მეტიც, მისივე თქმით „სახელმწიფოებრიობა ზოგიერთს ისე ესმის, რომ უნდა ჰქონოდათ კონსტიტუცია, კაპიტალიზმი ან სოციალიზმი ყოფილიყო. სიბრიყვეა ამაზე საუბარი“. ჩვენი მხრივ მართლაც სიბრიყვე

იქნებოდა, რომ ამ განცხადებისათვის კომენტარი გაგვეკეთებინა!

მოგახსენებთ, რომ პროფ. ლევან სანიკიძის შეხედულებით ჩვენთან სახელმწიფოებრიობა მინიმუმ 3500, ხოლო მაქსიმუმ 3700 წლის წინათ წარმოიშვა (სხვა დროს იქნებ გვამცნოს, თუ რას აკეთებდნენ კოლხეთის მეფეები (ოთხმოცამდე მაინც) ძვ. წ. 1700 წლიდან მოყოლებული დაახლოებით ძვ. წ. 100 წლამდე (როცა ქვეყანა მითრიდატე ევპატორმა დაიპყრო). საინტერესოა, თუ რას გულისხმობს იგი სახელმწიფოს ცნებაში. მოვუსმინოთ მას: „სახელმწიფო რა არის? ჯოგი რომ აღარ არის ხალხი და წესრიგი აქვთ, პყავთ ხელისუფალნი. ხევისთავი იგივე ხელმწიფე იყო. ხელმწიფობა რომ იწყება, იქ უკვე სახელმწიფოა". მაგრამ ბევრს ხომ კარგად მოეხსენება, რომ ტომთა კავშირს (უფრო მოგვიანებით) შიგნით უკვე წესრიგი სუფევდა, იქნებ, თუ ბატონ ლევან სანიკიძის მოსაზრების მიხედვით ვიმსჯელებთ, აქედან აგვეთვალა ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა. მაშინ გამოდის, რომ უნდა დავიწყოთ დევისხვრელის, საკაჟიას და მისთ. გამოქვაბულებიდან და აქედან გამოვდინარე, დაახლოებით 30 ათასწლოვანი თარიღი უნდა აღვნიშნოთ. აქვე მოგახსენებთ შემდეგსაც: თურმე სომხებს „რომ ის მასალები მისცეთ, რაც ჩვენ გვაქვს, 5000 წელს იტყვიან". ბატონი ლევან სანიკიძე ძალიან დაგვაეალებს ჩვენ და მის თაყვანისმცემელ მკითხველებსაც, თუ სხვა დროს გაგვიმხელს „ამ მასალების" საიდუმლოს.

ახლა მოვუსმინოთ პროფ. ლევან სანიკიძისეულ არგუმენტაციას. მისთვის მთავარი ამოსავალი წანამძღვარია შემდეგი: „მინოსი იყო პარტნიორი კოლხეთის, ჭუთაისის. მინოსი ზევსის შვილი იყო და ცოლად ღვთაებრივი წარმოშობის ქალი უნდა შეერთო, მას ჰყავდა დაჲ პარსიფეა (პასიფაე — გ. ყ) და სწორედ იგი ითხოვა ცოლად. ისინი, ე. ი. მინოსი და აიეტი არიან სიძე-ცოლისძმა, ანუ პარტნიორები". როგორც ვხედავთ, ბატონ ლევან სანიკიძეს ძალიან სწამს ძველბერძნული შესაბამისი მითისა, კერძოდ სჯერა აიეტის ჰელიოსის, ხოლო მინოსის — ზევსის შვილობა და მისთანანი. მაგრამ რაკი ასეა, მაშინ რა ისტორიაზე (ადამიანთა პიროვნებას და მოქმედებებს რომ იაზრებს) შეიძლება ლაპარაკი? ისე კარგი იქნებოდა, თუ პროფ. ლევან სანიკიძე თავის თაყვანისმცემელ მკითხველებს სხვა დროს

მოუახრობს დიდებულ ქორწილზე. ცნობილია რომ კოლხეთში გადახდა, ძველ ქართველ (კოლხ) და კრეტულ მაყრიონებზე და ა. შ. ეფიქრობთ იგი ამ იმედს არ გაგვიმტყუნებს.[1]

უფრო მეტი დამაჯერებლობა რომ შესძინოს თაუის მითოლოგიურ თვალსაზრისს ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობის შესახებ, ბატონი ლევან სანიკიძე იმოწმებს გერმანელი ისტორიკოსის ფრიდრიხ შლოსერისა და ინგლისელი არქეოლოგოსის არტურ ევანსის ავტორიტეტებს. მაგრამ თუ პირველ ამათგანს (ცხოვრობდა 1776–1861 წლებში) თაუის „მსოფლიო ისტორიაში" (I ტ.) ასე თუ ისე სწამდა არგონავტების მითის რეალობისა, აბსოლუტურად არაფერს ამბობდა აიეტისა და მინოსის ნათესაობის (მოყვრობის) შესახებ. ამდენად მასთან მოხსნილია კოლხეთის სახელმწიფოს 3500–3700 წლიანი არსებობის საკითხი. ხოლო რაც შეეხება არტურ ევანსს, რომელმაც სახელი გაითქვა კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი დიდებული არქეოლოგიური ძეგლებით, არ დაუდგენია კოლხეთისა და კრეტის ურთიერთკონტაქტები ძვ. წ. XVII თუ XV საუკუნეებში. მისი და შემდგომ სხვა არქეოლოგოსთა და ისტორიკოსთა წყალობით ნათლად გამოიკვეთა სურათი კრეტის ურთიერთობისა ეგვიპტესთან, ლიბიასთან, სირია-პალესტინისა და მცირე აზიის სანაპიროებთან, მატერიკის ბერძნებთან და კიკლადებთან (ეგეოსის ზღვის კუნძულებთან). საფუძვლიანად ვარაუდობენ სიცილიასთან კონტაქტებსაც, მაგრამ დიდად გულუბრყვილო ქართველთა საუბედუროდ, კოლხეთს ამ ჩამონათვალში ვერ ეხვდებით. სხვათა შორის, როცა პროფ. ლევან სანიკიძე ამბობს, რომ ა. ევანსის თანახმად მინოსური ხანა ძვ. წ.

---

1 მსგავსი გულუბრყვილო წარმოდგენა ჰქონდა აკაკი გელოვანსაც. იხ. მისი „მითოლოგიური ლექსიკონი", თბილისი, 1983, გვ 40, 259, 260, 325, 326, 393 და ა. შ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ავტორს არ სჯერდა აიეტის მეფობისა ძვ. წ. XV საუკუნეში (იხ. გვ 39), ამდენად მისი და მინოსის ცხოვრების პერიოდების სინქრონულობისა. ზვიად გამსახურდიას მოსაზრების მიხედვით ძველკოლხური კულტურა უალრესად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მინოსურთან (იხ. მისი „საქართველოს სულიერი მისია", თბილისი, 1990, გვ 10). მასაც სჯერდა, რომ მინოსს მართლაც ჰყავდა ცოლად პასიფაე, რაც თაუის მხრივ იმის დამადასტურებელი იყო, რომ იმხანად ძველკოლხური კულტურა აღემატებოდა საბერძნეთისას (იხ. იქვე, გვ 17).

XVII–XV საუკუნეებს მოითვლიდა, ეს დიდი უზუსტობა გახლავთ, რაც საშუალო დონის სტუდენტსაც კი არ ეპატიება.

ბატონ ლევან სანიკიძის მიხედვით ტროას ომი 3200 წლის წინათ მომხდარა (მაგრამ ეს ომი ხომ ათი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა?!). თანამედროვე ისტორიკოსები მისგან განსხვავებით თვლიან, რომ იგი მოხდა ძვ. წ. 1230–1183 წლებს შორის, ანდა 1260, 1250 წლების სიახლოვეს. მაგრამ თავი დავანებოთ ამ სადისკუსიო საკითხს. ბევრ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ძველბერძნული მითოლოგიის თანახმად არგონავტებმა კოლხეთში გაილაშქრეს ტროას ომამდე ერთი თაობით, ე. ი. 20–25 წლით, ადრე. ასე რომ, აიეტის მეფობა, თუ შესაბამისი მითიდან ამოვალთ, უნდა ვიგულისხმოთ დაახლოებით ძვ. წ. XIII საუკუნის პირველ ათეულ წლებში. მაშინ როგორ შევათანხმოთ ეს თარიღი ძვ. წ. XV თუ XVII საუკუნეებს, როდესაც ჩვენი ოპონენტის თვალსაზრისით კრეტაზე მინოსი მეფობდა? (ისე, სხვათა შორის, „მინოსს“ დინასტიურ სახელად მიიჩნევენ და აქედან გამომდინარე, რამდენიმე მინოსის არსებობას ვარაუდობენ). მაგრამ აღნიშნული დაბრკოლება იოლად მოიხსნება, თუ ისტორიული თვალთახედვიდან მითოლოგიურზე გადავინაცვლებთ; ამ შემთხვევაში ხომ პერსონაჟების სიცოცხლის წლები განუსაზღვრელია.

ამრიგად, ასე წყდება პროფ. ლევან სანიკიძის აზრით საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი. მაგრამ ითვლება (უკერძოობით), რომ ძველ ქართლში (იბერიაში) სახელმწიფო ჩამოყალიბდა 2300 წლის წინათ. ამიტომ აღმოსავლელ ქართველობას რომ გული არ დასწყდეს, ბატონმა ლევან სანიკიძემ ამისათვისაც იზრუნა. იგი გულს გვიკეთებს: „მამასახლისი რომ იყდა მცხეთაში, მაინცდამაინც მეფე უნდა რქმეოდა? ისიც ხელმწიფე იყო. ფარნავაზი არის შუა ისტორია საქართველოს სახელმწიფოებრიობისა“. მაგრამ რას ნიშნავს ეს „შუა ისტორია“? ალბათ იმას, რომ ძველ ქართლში (იბერიაში) სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა თითქმის უახლოვდება აიეტ მისინის მოყვრობის (ცოლისძმა-სიძეობის) პერიოდს. რასაკვირველია, ეს შეხედულებაც ბატონ ლევან სანიკიძის დიდი „რევოლუციური აღმოჩენაა“. იგი მშვენივრად გრძნობს, რომ ამგვარ „მეცნიერულ რევოლუციას“ მშვიდად, გულგრილად ვერ შეხვდებიან და ამიტომაც აცხადებს: „ამ ნათქვამზე ბევრი აკიულდება, მაგრამ არ მეშინია.

იკიელონ, რამდენიც უნდათ. როგორ, მაინცდამაინც ცეკას მდივანი უნდა მკდარიყო, რომ სახელმწიფო დაგვერჩია?" აქვე იგი გვამცნობს ქართველთა ეთნოფსიქოლოგიურ შტრიხს: „თუ ვინმეს სიახლე წამოსცდა, აუცილებლად არ უნდა დავეთანხმო, რადგან მე არ მითქამს", ამიტომაც დასკვნის, რომ საქართველო „მეფეების" ქვეყანაა.

მეც, რასაკვირველია, დიდად მიუღებლად, მეცნიერებისაგან (ისტორიოგრაფიისაგან) ძალიან დაშორებულად მიმაჩნია ბატონ ლევან სანიკიძისეული მსგავსი შეხედულებანი. ჩემეულ სკეპტიციზმს იგი და მისი თაყვანისმცემლები ალბათ ქართული ხასიათის აღნიშნული ნიშან-თვისებით ახსნიან. მაგრამ ასევე მჯერა, რომ საქართველოში აღმოჩნდებიან ისეთებიც, რომლებიც ამ საკითხის თაობაზე სხვაგვარად იფიქრებენ. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე დაფიქრდებიან იმაზეც, თუ რა დღეშია დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფია.

1999 წ.

ისტორიაზე „ფიზიასა“ და „ფილიას“ გარეშე

2001 წლის 19 ნოემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ილია ანთელავას სტატია „ქართული სახელმწიფოებრიობის სათაყვანებლად“, რომელშიც იგი, ოფიციალური შეხედულების თანახმად, მტკიცედ იცავს ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობის სამასთასწლოვან თვალსაზრისს. გულახდილად ვაცხადებ, რომ ი. ანთელავა თავისი სპეციალიზაციის სფეროში ურიგო მკვლევარი როდი გახლავთ, მაგრამ ამჯერად გამოჩნდა, რომ მას არ ჰყოფნის არც შემოქმედებითი გაქანება, არც მეცნიერული სიღრმე და ერუდიცია, რომ სერიოზული რამ თქვას საქართველოს ძველი პერიოდის ისტორიის საკითხებზე, კერძოდ, სახელმწიფოს წარმოქმნის პრობლემაზე. ეს გარემოება კარგად გამოჩნდა ჯერ კიდევ 1998 წელს გამოსულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში (მეშვიდეკლასელთათვის), რომლის შესაბამისი პერიოდის ავტორი სწორედ პროფ. ი. ანთელავაა.

გარდა აღნიშნულისა, თვალშისაცემია პროფ. ი. ანთელავას მიერ დღევანდელი კონიუნქტურისადმი დიდად ანგარიშის გაწევა. ჩემი მტკიცე შეხედულებით, ისტორიკოსისათვის მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს ჭეშმარიტების წყურვილი და არა სხვა მოტივები. ივანე ჯავახიშვილის „მამულიშვილობისა და მეცნიერების“ გამოქვეყნების (1904 წელს) შემდეგ ამაზე ისტორიკოსები აღარ უნდა დაობდნენ.

რაც შეეხება თვით სტატიის არსს, იგი არაა ნამდვილად სამეცნიერო დონეზე დაწერილი და არც ღირდა მისი გარჩევა-ანალიზისათვის თავის შეწუხება, მაგრამ სტატიაში აღნიშნულია, რომ თითქოს სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი თარიღის უარყოფა და სანაცვლოდ 2300 წლის აღიარება „არის სამწუხარო „კოლხოფობიის“ გამოვლინება, რაც ბოლო წლების მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, არავითარი სიკეთის მომტანი არაა“; რომ „მაშ ის, რაც მანამდე უდაოდ არსებობდა, არ ყოფილა ქართული“. ეს კი მეტისმეტია, და ამიტომაც სტატიას უპასუხოდ ვერ დავტოვებთ.

კარგია, რომ ილია ანთელავა ყურადღების მიღმა ტოვებს დიაუხის,

რომელსაც ბევრი ისტორიკოსი ქართულ სახელმწიფოდ თვლის, რაც საწუხარო გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს. მკაცრია, რომ აკტორის შესაბამის პოზიციაში მეც მიმიძღვის გარკვეული წილი. სამაგიეროდ, მას სწამს, რომ ძველ კოლხა//კულხაში ძვ. წ. XI-X საუკუნეებში სახელმწიფოებრიობა არსებობდა. საიდან, რა ფაქტებით მტკიცდება ეს? მსგავს შეხედულებას სათავე დაუდო გიორგი მელიქიშვილმა, რომელმაც XIII-XII საუკუნეების ასურულ წყაროებში მოხსენიებული ქვეყანა „ხაბხი" (როგორც ამას დასავლელი და რუსი აღმოსავლეთმცოდნენი კითხულობენ) „კილხად", ე. ი. კოლხად წაიკითხა. მაგრამ ამგვარი წაკითხვა არაა დამაჯერებელი, თუნდაც იმიტომ, რომ თუ მას დავეყრდნობით, მაშინ ჩვენს შავი ზღვის მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთში 60 ტომი თუ ტომთა გაერთიანება მაინც უნდა ყოფილიყო. ილია ანთელავა თუმცა გვერდს უვლის ასეთ საეჭვო ტრადიციას, მაგრამ სარგებლობს მისგან გამომდინარე დასკვნით – თითქოს XI-X საუკუნეების მანძილზე კოლხაში სახელმწიფოებრიობა უკვე არსებობდა. თავად კოლხას ტერიტორია კი ჭოროხის შუა და ქვემო წელის გარდა ვრცელდებოდა სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. მაგრამ რა ფასი გააჩნია ამგვარ არამყარ ლოგიკურ-ისტორიულ წანამძღვრებზე აგებულ დასკვნას? ამდენად რა თეორიული საფუძველი აქვს ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის თაობაზე არსებულ ოფიციალურ შეხედულებას?

არსებობს ორი ცნობა ურარტუს მეფე სარდური II-ის კოლხაში ლაშქრობის შესახებ. პირველ მათგანს გიორგი მელიქიშვილი უკავშირებს არა უადრეს 750 წელს და არა უგვიანეს 748 წელს (თანაც კითხვის ნიშნით). სხვაგან იგი და სხვა ისტორიკოსები პირველი ლაშქრობის დროით ხანგრძლივობას აქცევენ 750–48 წლებში, ე. ი. თითქოს ურარტუელ მეფეს კოლხაში ორი წლის განმავლობაში ულაშქრია, რაც ერთობ არადამაჯერებელია. წარწერის ბოლოს ხომ სარდური II მთელი გარკვეულობით აღნიშნავს, რომ კოლხაში და ქვეყანა აბილიანიხიში ლაშქრობებს მან მხოლოდ ერთი წელი მოანდომა. საერთოდ ამ წარწერაში ლაპარაკია ტყვეებისა და ნადავლის წასხმა-წაღებაზე, მაგრამ არაფერია ისეთი აღნიშნული, რაც კოლხას სახელმწიფოებრიობაზე იტყობინებოდეს მაინც მიგვანიშნებდეს.

მეორე წარწერა ეხება [illegible] 744 წელს და არა უგვიანეს

742–41 წელს (გიორგი მელიქიშვილისავე მოსაზრებით). ამჯერადაც ისე წარმოიდგენენ, თითქოს ლაშქრობა მოხდა 744–41 წლებში, ე. ი. მთელი სამი წლის მანძილზე, რაც ყოვლად წარმოუდგენელია. წარწერაში ალნიშნულია სამეფო ქალაქი ილდამუშა, რაც ჯერ კიდევ ხურიტული სახელწოდების კლეფერს ატარებს (გიორგი მელიქიშვილის აზრით) და მეორეც, სულაც არ ნიშნავს დედაქალაქს. სხვა ქვეყნებთან დაკავშირებითაც რამდენიმე „სამეფო ქალაქი" მოიხსენიება ხოლმე. გიორგი მელიქიშვილის აზრით კოლხას დედაქალაქი ჩრდილოეთში, სადღაც ჭოროხის ქვემო წელში ან შავი ზღვის სანაპიროზე უნდა არსებულიყო. ყოველ შემთხვევაში, რაიმე გარკვეული კოლხას დედაქალაქის შესახებ არაფერი ვიცით. სამწუხაროდ, კოლხას „მეფის" სახელიდან მხოლოდ ბოლო ორი ბგერა „-სა" შემორჩა. მაგრამ ფაქტია, რომ სხვა ქვეყნებთან მიმართებაში მოიხსენიება „მეფეების" სახელები, რაც სრულიადაც არ ამტკიცებს აქ სახელმწიფოს, კერძოდ, ნამდვილად სამეფო ხელისუფლების არსებობას.

წარწერაში ნახსენებია „irdi", რაც მავანთათვის თითქოს უეჭველად მეფისნაცვლებს, გვიანდელი ქართლის (ივერიის) ანალოგიით რომ ვიმსჯელოთ, „ერისთავებს" გულისხმობს. მაგრამ ოლქის მმართველის ცნების გამოსახატავად ურარტულები ხმარობდნენ სიტყვა „ენ-ნამ"-ს, „irdi"-ს კი გიორგი მელიქიშვილი არ თარგმნის და ტოვებს კითხვის ნიშნის ქვეშ (მმართველი? მეფისნაცვალი?). შეგახსენებთ, რომ საქართველოში მცხოვრები რუსი ურარტოლოგოსი პეტრე უშაკოვი მას თარგმნიდა, როგორც „старшины", „люд присяги". ამგვარ ფრიად მერყევ საფუძველზე დაყრდნობით ისტორიკოსები, მათ შორის ილია ანთელავა, აკეთებს კატეგორიულ დასკვნას კოლხაში ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების არსებობის შესახებ. ესაა და ეს, სხვა რამ ხელჩასაჭიდი კოლხაში სახელმწიფოს არსებობის თაობაზე ჩვენ არ მოგვეპოვება. ასე რომ, კოლხას სახელმწიფოებრიობის საკითხი, თუ ისტორიული ჭეშმარიტება გვაინტერესებს და მას პატივს ვცემთ, ყოველ შემთხვევაში დიდი ეჭვის ქვეშ დგას.

ზემოთ უკვე მივუთითებდით, რომ როცა ილია ანთელავა ძვ. წ. XI–X საუკუნეებში კოლხაში სახელმწიფოებრიობას ხედავს, გამოდის წინამავალი პერიოდიდან, რაც, როგორც ვთქვით, უსაფუძვლოა. იქნებ ამჯერად კოლხაში ძვ. წ. VIII საუკუნის 750-იან წლებში ვითომდა სახელმწიფოს არსებობის მაგალითზე იგი რეტროსპექციული გზით

ადგენს შესაბამისი პოლიტიკური ინსტიტუტის არსებობას ძვ. წ. X საუკუნეში? მაგრამ ეს გზაც არამყარია. ამ მიმართებით თქმულს იმასაც დაუმატებთ, რომ ორიენ წარწერის მიხედვით კოლხა ძირითადად მეცხოველეობის ქვეყანა ჩანს, რომ რკინის მეტალურგია აქ ის-ის იყო ისახებოდა. ისე, თუ ნამდვილად მეცნიერულ პოზიციას ვემყარებით, რეციონის არქეოლოგიური შესწავლილობის გარეშე საბოლოო დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. მაგრამ აშკარაა, რომ დღესდღეობით არსებული ისტორიული ფაქტების საფუძველზე კოლხაში სახელმწიფოებრიობის არსებობის მტკიცება შეუძლებელია. (სხვათა შორის, ეს კარგად შენიშნა ნოდარ ლომოურამ).

მართლაც, არ ვიცით არსებობდა თუ არა კოლხაში ნამდვილი სამეფო ხელისუფლება, საერთოდ ხალხის მასისაგან გამოყოფილი საჯარო ხელისუფლება, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება-დაყოფა, გადასახადები, დაბოლოს, ის, რაც ცნობილია მის ეკონომიკაზე – ესაა ძირითადად მეცხოველეობის ხასიათი. მაშ, როგორ გავიაზროთ კოლხა//კულხას სახელმწიფოებრიობა? ნუთუ მსგავსი მისწრაფებისას ოდენ სურვილი და დღევანდელი კონიუნქტურა უნდა გვამოძრავებდეს?

ილია ანთელავას ეარაულით, მით უფრო არსებობდა სახელმწიფო ძვ. წ. VII საუკუნის კოლხეთში ანუ დღევანდელ დასავლეთ საქართველოში. მაგრამ ეს მოსაზრებაც ბევრ გაურკვეველობას ბადებს და სათანადო დასაბუთებას საჭიროებს. ავტორი ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ არგუმენტს სჯერდება – ქსენოფონტეს ცნობას (ძვ. წ. 401 წელს) კოლხეთში აიეტიდების დინასტიის მმართველობის თაობაზე. მაგრამ თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ძვ. წ. XIII საუკუნის დასაწყისშივე აიეტიდების დინასტიის არსებობაც უნდა დავიჯეროთ, რაც უკვე მითოლოგიის და არა ისტორიის სფერო გახლავთ. სხვათა შორის, უკვე მოხსენიებულ სახელმძღვანელოში ილია ანთელავა წერს: „ელინისტური ხანის დასაწყისისათვის ეგურ-კოლხეთის სამეფო ხელისუფლება საკმაოდ დასუსტებული ჩანს. წარმოიშვა ე. წ. „სკეპტუხიები“, სატომო ორგანიზაციებზე დაფუძნებული ადმინისტრაციული ერთეულები“ (გვ. 28). მაშ, როგორ შეეათანხმოთ ეს ამბავი სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივ ტრადიციასთან? აქვე აღვნიშნავთ ილია ანთელავას ზოგადთეორიულ მოსაზრებას, რომელიც ამართლებს ივანე ჯავახიშვილის შეხედულებას გვაროვნული და

სახელმწიფოებრივი წყობილებების თანაარსებობის შესახებ. მაშინ აქედან გამომდინარე, 3000 წელი ძალზე ცოტაა და შესაბამისი მოვლენა ბევრად უფრო უწინ, საუკუნეთა სიღრმეებში, უნდა გადავიტანოთ. და რაც უფრო მთავარია, ივანე ჯავახიშვილი ამ შემთხვევაში სცდებოდა, რასაც ჯერ კიდევ არჩილ ჯორჯაძე მიუთითებდა და რაც შემდეგში ნათელყო (საკითხი) სიმონ ჯანაშიამ.

სიტყვა „კოლხოფობიამ“ კი (სხვათა შორის, მის წარმომადგენლებად გიორგი სოსელია და ნიკო ბერძენიშვილიც უნდა ვიგულისხმოთ) მოიტანა შემდეგი: იყო დრო, როდესაც ჩვენ უყოყმანოდ გვკეროდა დიაოხის ქართველურობა-ქართულობაც და აქ და კოლხეთში სახელმწიფოს არსებობა. და ეს არაერთგზის დაგვიდასტურებია წერილობითი სახითაც. მაგრამ შემდგომ ბევრ რამეში დავეჭვდით და პირველად ჩვენი შეცვლილი თვალსაზრისი დავებეჭდეთ გაზეთ „თბილისში“ (იხ. 1997 წლის 1 აპრილის ნომერი). მანამდე, ერთი წლით ადრე მსგავსი მტკიცებით რამდენჯერმე გამოვიდა ფილოლოგოსი რევაზ ბარამიძე. პირადად მე მაშინ მტკიცედ მჯეროდა, რომ ოფიციალური ხელისუფლება მოუსმენდა ყველა მხარეს და შესძლებდა სწორი პოზიციის შერჩევას. მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ასე როდი მოხდა: ვოლუნტარისტულად, კულუარულად, სასწრაფოდ დაასკვნეს ალენიშათ 3000-წლოვანი იუბილე. ასე რომ, „უჩვეულოდ ვით იმღერეთას“ სინდრომი თუ კომპლექსი, რასაც ილია ანთელავა გვიკიცხავს, არაფერ შუაშია. იგივეს ვიტყვით „კოლხოფობიის“ შესახებაც. ისე, თუ ჩახედავთ ზემოაღნიშნულ სასკოლო სახელმძღვანელოში, დაინახავთ, რომ იქ არაფერია ნათქვამი მესხებსა და სასარებზე. მაგრამ, რასაკვირველია, არ გავკადნიერდებით და ხაზს არ გაუსვამთ მავანთა „ქართოფობიას“ (ფანტასტიკურია ისიც, რომ საქართველოს ძველი ისტორიის თხრობისას გამოგრჩეს ჩვენს ქვეყანაზე გამავალი სატრანზიტო (ინდოეთიდან) გზა და ამირანის ეპოსი).

საუსებით ვეთანხმებით ავტორის წინადადებას, რათა ფართოდ აღინიშნოს ფარნავაზისა და ქუჯის – „ორი უთვალსაჩინოესი მესაძირკვლის“ სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის 2300 წლისთავიც. მაგრამ იგივე სახელმძღვანელოს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ილია ანთელავას არა სჯერა ქუჯის ისტორიულობისა; ეს სახელი თითქოს გაჩნდა „ჯიხანქვიჯის“ (მეგრულად „მთავარი ციხის“) ხაფუძველზე.

მაგრამ, ვფიქრობთ, მთლად ასე არაა საქმე, რაზედაც სხვა დროს მოგახსენებთ.

დასასრულს, დიდად გაუმართლებლად ვთვლით, ვთქვათ, იოსებ სტალინისა და გიორგი საკაძის ფენომენების მეცნიერული გააზრებისას ვხელმძღვანელობდეთ საქართველოს შესაბამისი კუთხის – ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილის განწყობა-განწყობილებებით, ანდა ქართველ სოციალ-დემოკრატებზე (ე. წ. მენშევიკებზე) მსჯელობისას – გურიის მოსახლეობის აზრი გავითვალისწინოთ და ა. შ. იმავეს ვიტყოდით საქართველოს ერთ-ერთი მშვენიერი მხარის – სამეგრელოს ძველი ისტორიის გაზვიადებულად წარმოდგენის შესახებაც. მაგრამ მჯერა, რომ იმ კუთხის მცხოვრებთ, რომელმაც ქართულ მეცნიერებასა და ფილოსოფიას მისცა ნიკო დადიანი, თედო ჟორდანია, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია, ვარლამ თოფურია, ილია ვეკუა, გიორგი ჩიტაია, აკაკი გაწერელია, მიხეილ კვესელავა, შოთა მესხია, პაატა გუგუშვილი, სერგი დანელია, კონსტანტინე კაპანელი და სხვანი (აღარას ვამბობთ მწერლობისა და ხელოვნების ცნობილ წარმომადგენლებზე) არ უნდა გაუჭირდეთ მეცნიერული, ობიექტური აზროვნების დონეზე დადგომა და შესაბამისად – მითოლოგიური აზროვნებისაგან გამოთავისუფლება, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, აღსრულება ივანე ჯავახიშვილის მცნებისა: „საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია... უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“.

2001 წ.

ქართული სახელმწიფოებრიობა მაინც 2300 წლისაა!

„თბილისის“ 23 იუნისის ნომერში დაიბეჭდა ა.ქაც. დავით მუსხელიშვილის რეპლიკა ჩემი ერთი რეცენზიის გამო, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს. სიმართლე გითხრათ, ნორმალურ სიტუაციაში მე არც უნდა დამეწერა იგი. მაგრამ სარეცენზიო კრებულის გამოსვლიდან გავიდა ნახევარი წელი და მას არავინ გამოხმაურებია, თუმცა მასში აღძრული საკითხები მხოლოდ წმინდა მეცნიერული კი არა, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობისაც გახლავთ (ცხადია ქართული სახელმწიფოებრიობის იუბილეს აღნიშვნას). მაგრამ რას იზამ, ამაზე საკითხზე გაიმართა დისკუსიები „ლიტერატურულ საქართველოში“, „საქართველოს რესპუბლიკაში“ და სხვაგან, მაგრამ შემაჯამებელი არავინ გამოჩნდა. ოღონდ ბედი უნდა გაეზიარებინა ალნიშნულ კრებულსაც.

დ. მუსხელიშვილი „მამხილებს“ დიდად არაეთიკურ საქციელში, თითქოს მე მკითხველთა დეზინფორმირებას ვცდილობ. მაგრამ კრებულში დაბეჭდილი სტატიების უმეტესობა ხომ გამოქვეყნებამდე თვალითაც არ მინახავს. მოსმენასა და წაკითხვას კი, მოგეხსენებათ, ერთნაირი სამეცნიერო მნიშვნელობა არ აქვს. მაშ, რატომ ვარ დეზინფორმატორი? როდესაც ოპონენტი წერს, რომ „პირველი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების თარიღი უნდა დაუკავშირდეს ფარნავაზის ძოლვაწყრას და ე. ი. ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეების მიჯნას“, ხოლო შემდეგ კი გვიმტკიცებს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა არსებობდა დიაუხისა და ძველი კოლხეთის (კულხას) სახითაც, აქ ხომ აშკარად ალოგიკურობასთან გვაქვს საქმე. თუ ოპონენტს მიაჩნია, რომ მაინცდამაინც გაერთიანებული ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობის თარიღი, ე. ი. 2300 წელი უნდა აღვნიშნოთ, მაშინ ფრიად სასურველია დ. მუსხელიშვილმა უფრო გამოკვეთილად წარმოაჩინოს ასეთი პოზიცია და შესაბამისი წინადადებით მიმართოს ხელისუფლებას.

ვერ გავიზიარებ ოპონენტისეულ კატეგორიულ მტკიცებასაც:

„არსებობს სრული საფუძველი დაიანი — დიაუხი აღმოსავლურ-ქართულ სამყაროსთან წარმოგაქნად ჩათვალოს“. მაგრამ, დიდად საბუხარიდ (!), მის მიერ მოხმობილი ორი არგუმენტი სრულიადაც არა კმარა წამოყენებული დებულების დასამტკიცებლად. რასაკვირველია, გვიანი ხანის ტაო (ამიერ-ტაო, იმიერ-ტაო) ქართული მხარე იყო, შესაბამისად ქართველები იყვნენ ტაოელებიც, მაგრამ საკითხავია ძველი დიაუხი, მისი მცხოვრები ტაოხები შეადგენდნენ თუ არა ქართულ სამყაროს. გულწრფელად მჯერა, რომ აღნიშნული საკითხის გაგებისას გ. მელიქიშვილი და ი. დიაკონოვი დ. მუსხელიშვილზე და ჩემზე მეტი აუტორიტეტები გახლავან, მათი ფიქრით კი ქვეყანა „დიაუხი“, ხალხი „ტაოხები“ ხურიტული სამყაროს შემადგენელი ნაწილი იყვნენ.[1] უპირველესად ამას ადასტურებენ დიაუხისთან დაკავშირებული ტოპონიმები და ანთროპონიმები. ოპონენტს შევახსენებთ, რომ დიაუხის გაერთიანების ნაწილის ზანებთან დაკავშირებას ცდილობდა პ. უშაკოვი, ნაწილობრივ გ. მელიქიშვილი (როცა ტოპონიმ „ხალდირულხის“ ჰანური მოდგმის ხალხების საცხოვრისად თვლიდა). შესაძლოა ტოპონიმი „შეშეთი“ იმაზე მიგვითითებდეს, რომ დიაუხის საკმაოდ ფართო გაერთიანებაში ქართველის ნაწილიც ცხოვრობდა (ამას დარწმუნებით ვერ ვიტყვით ქვეყანა „ლიდის“ თაობაზე).[1] მაგრამ დიაუხის წამყვანი ეთნოსი რომ ხურიტები იყვნენ და სახელმწიფოებრიობაც მათი შექმნილი გახლდათ, ამაზე სერიოზული კამათი არ უნდა წარმოებდეს. სხვათა შორის, რაც შეეხება აკად. გრ. გიორგაძის აღლოდროინდელ მსჯელობას დიაელი და დიაუხი ორ სხვადასხვა გაერთიანებად და ხალხად წარმოადგინოს და ისინი დაუკავშიროს ქართველურ მოდგმას, კიდევ უფრო არადამაჯერებელია, ვიდრე აკად. დ. მუსხელიშვილისეული განხილული არგუმენტაცია.

გაოცებული ვარ იმით, რომ თუმცა ოპონენტი კარგად იცნობს ნ. ბერძენიშვილის საისტორიო-გეოგრაფიული ხასიათის მოსაზრებებს, მაგრამ საგანგებოდ უგულებელყოფს მისეულ აზრს ძველ კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არარსებობის შესაბებ და სათანადო გეოგრაფიული ფაქტორის არახელსაყრელობას შესაბამის ისტორიულ

---

1 ეს სიტყვა ამაეე მნიშვნელობით იხმარებოდა მეგრულშიც და ჰანურშიც. ასე რომ, იგი საერთო ქართულ-ზანური ძირი გახლავთ. იხ. გ. კლიმოვის წივნი, გვ. 23.

პროცესში. საერთოდ, დ. თუსხელიშვილს ეკურძეები, როგორც ფრიად სერიოზულ საკითხებზე მსჯელობისას, მათ შორის ძველ კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არსებობის პრობლემაზე, მხოლოდ ორიოდე გვერდით კი ნუ შემოიფარგლება, არამედ პატივი დაგვდოს და ერუდიული, ლოგიკურად დასაბუთებული მსჯელობა შემოგვთავაზოს. კარგი იქნებოდა ეს შემოგვთავაზოს საისტორიო გეოგრაფიის პოზიციიდანაც, რომლის საგანს იგი ძალზე ფართოდ განმარტავს.

ახლა ოპონენტის ერთი ფსიქოლოგიური დაკვირვების თაობაზე მოგახსენებთ. თითქოს გულის სილრმეში გამჭრალა კომპლექსი „შესწყარ" დისკუსიაში განცდილი მარცხისა და ამიტომაც შეცდილებარ ნაშრომის კვალის დაფარვას. ჩემს წინა საგაზეთო გამოსვლაში არ შეეხებოდი პროფ. ო. ლორთქიფანიძისეულ არგუმენტებს. მოხარული ვარ, რომ ამჯერად შესაძლებლობა მეძლევა მათზე შევჩერდე.

დავიწყებ 1957 წლის მომხდარი სამეცნიერო ფაქტიდან. მაშინ „ეპოროსი ისტორიი"-ში ოთარ ლორთქიფანიძის შოთა მესხიასთან და ნოდარ ლომოურთან ერთად გამოაქვეყნა ისტორიკოს გიორგი სოსელიას საწინააღმდეგოდ სტატია, რომელშიც „რკინისებური ლოგიკით" საბუთდებოდა ძველ საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოების (ფორმაციის) არსებობა. მაგრამ ძართალი იყო სწორედ გიორგი სოსელია და ამაზე დღეს აღარავინ კამათობს. მეორე ფაქტს კი ადგილი ჰქონდა 1971 წლის მაისში, როდესაც მაშინდელ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში განიხილებოდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" პირველი ტომი. კვლავ მოისმენს ვრცელი გამეორება. მაშინ ოთარ ლორთქიფანიძემ სასტიკად გააკრიტიკა წიგნის XV თავი, რომლის ავტორი იყო ბატონი ანდრია ბაქაძე. პროფ. ოთარ ლორთქიფანიძის ეს გამოსვლა ამასვე ჟურნალ „ცისკრის" იმავე წლის ოქტომბერში გამოქვეყნებულ სტატიაშიც სათაურით „საქართველოს ისტორია ასე არ უნდა იწერებოდეს". მართალი გითხრათ, გაოგნებული დავრჩი ალნიშნული ორივე გამოსვლით. დემაგოგიას არ მივმართავ და ისე ვამბობ, რომ ბ-ნი ანდრია ბაქაძე ნამდვილად კარგად იცნობს ძველი საქართველოს ქალაქებს და, კერძოდ, იმ ხანის კულტურას, მაგრამ მისმა ოპონენტმა საქმე ისე წარმოადგინა, რომ ხსენებულ XV თავში (დიდი ფორმატის 123 გვერდზე) თითქოს არაფერი ფასეული არ ყოფილიყო და მხოლოდ უაზრავ წერილმან შეცდომასა და უზუსტობაზე შეჩერდა. პასუხად ბ-ნი ანდრია ბაქაძე

[illegible]

ურო სპეციალისტმა, აბსოლუტურად ვერაფერი დადებითი ვერ ნახა ძველს წიგნში (ურო ზუსტად XV თავში – გ. ყ) იმისათვის, რომ ორიოდე შესაფერისი სიტყვა წაებისცდენოდა"; „ო. ლორთქიფანიძის ხერხი ხელში დაიჭიროს ეს სქელტანიანი წიგნი, ითვალოს და ითვალოს კორექტურული შეცდომები, აბეზღოს და აფურძღოს ნაკლოვანი მხარეები და იმავ დროს გვერდი აუაროს ათას სიამაყეს, ათას სიკეთეს – საქმით დაინტერესებულისა და მეცნიერების გულწრფელი მსახურებისათვის საკადრისი არ არის".[2] ბატონი ანდრია კარგად ჩაეწერებოდა ოპონენტისეულ კვალიფიკაციებს და წინასწარმეტყველურად აუბედებდა: „რჩება ყველაფერი ეს ო. ლორთქიფანიძისეულ ლექსიკურ ფონდში, ალბათ სამუდამოდ" (იქვე).

ისტორია კვლავ განმეორდა 30 წლის შემდგომ. ჩემეულ წიგნში პროფ. ო. ლორთქიფანიძემ ვერაფერი, აბსოლუტურად ვერაფერი დადებითი ვერ ნახა (ისე ელემენტარული მოწყენებითობა თუ დილეტანტია მოითხოვდა ერთი-ორი კარგი სიტყვაც დასცდენოდა!). და ეს მაშინ, როცა მავანთა მსგავსად ამ საკითხით მხოლოდ ბოლო ხანს რომ დაინტერესებულვარ, არამედ მინტერესებს სამი ათეული წლის მანძილზე და მის შესახებ რამდენიმე სტატიაც კი მაქვს დაბეჭდილი. სხვათა შორის, ზოგიერთი მათგანი მაშინ ანტიმარქსისტულად იქნა აღქმული და კვალიფიცირებული. განსაკუთრებით ეს ითქმის სახელმწიფოს წარმოშობის სხვადასხვანაირ გზებზე, თუმცა მავანთ ახლა იგი საკუთრად ბანალურად ეჩვენებათ.

ეს ვრცელი ექსკურსი იმიტომ დამჭირდა, რათა მეჩვენებინა პროფ. ო. ლორთქიფანიძისათვის ერთობ დამახასიათებელი ჭარბი სუბიექტივიზმი. ახლა გადავალთ უშუალოდ საკითხის არსზე. პროფ. ო. ლორთქიფანიძის ძალზე ცხარემოსილი არგუმენტაცია ძველ კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არსებობის შესახებ არსებით სიახლეს არ შეიცავს და ძირითადად იმეორებს ძველ – სიმონ ჯანაშიასეულ და ვახტანგ მელიქიშვილისეულ შეხედულებებს. მაგრამ მოდით კრიტიკულად განვიხილოთ მსგავსი პოზიცია. სახელმწიფოებრიობა კოლხეთში თითქოს წარმოიშვა ძვ. წ.

---

2 იხ. ა. აფაქიძე, „ანტიკური ხანის საქართველოს კულტურის საკითხები", ჟურნ. „ცისკარი", 1972, N 5, გვ. 157–158.

XI თუ X საუკუნეში[3], ზოგჯერ ამ თარიღად გვთავაზობენ VIII, VII, VI საუკუნეებს. ასახელებენ აგრეთვე ძვ. წ. V საუკუნესაც. მაგრამ ნუთუ არაფერს გვეუბნება ქრონოლოგიის მხრივ შეხედულებათა აღნიშნული სხვადასხვაობანი?

სივრცობრივად, ტერიტორიულად ურარტულ წყაროებში მოხსენიებული კულხა//კოლხა რიგ ისტორიკოსთა აზრით მდებარეობდა ჭოროხის შუა წელზე და ქვემოთში. ზოგიერთის აზრით კი იგი მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს და მცირე, სამხრეთ-დასავლეთით ტრაპეზუნტამდე აღწევდა. რომელ ამ მოსაზრებათაგანს დაეუჯეროთ? (სხვათა შორის, ქართველ ისტორიკოსთა და არქეოლოგოსთა აღნიშნული ქრონოლოგიური და გეოგრაფიული შეუსაბამობანი ნათლად აჩვენა რუსმა ისტორიკოსმა (ერთხანს საქართველოში მოღვაწემ) ანა ბოლტუნოვამ).

გ. მელიქიშვილის აზრით კულხა//კოლხაში წარმოდგენილი რეგიონი იყო ჭოროხის აუზი სათანადო ბუნებრივი რესურსებით (მეცხოველეობისათვის ვარგისი ფართო საძოვრები, სპილენძის მადნის საუხვე და მისთ.). კერძოდ პროფ. ო. ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ კულხა//კოლხას ცენტრი რიონისპირეთში მდებარეობდა. მანვე, როგორც ჩანს ტიმ სევერინის მოგზაურობის შთაბეჭდილებით, შემოგვთავაზა მოსაზრება ძველ (ძვ. წ. XIII საუკუნიდან მოყოლებული) რიონისპირა კოლხეთში ფართო გაერთიანების (ლამის პოლიტიკური ხასიათისა!) თაობაზე. მაგრამ სადაა შესაბამისი ფაქტები?!

ჯერ კიდევ სიმონ ჯანაშია დასაშვებად თვლიდა ძველ კოლხეთში გვაროვნულ-ტომობრივი წყობილების არსებობის შესაძლებლობას თითქოსდა სახელმწიფოს წარმოქმნის შემდგომაც, საუკუნეების განმავლობაში. ამასვე იმეორებენ დღესაც. მაგრამ მსგავსი აზრი ხომ ეწინააღმდეგება ეთნოლოგიის ელემენტარულ დებულებებს?

თუ დავუშვებთ, რომ კოლხეთში მეფობდა აიეტიდების (თუ აიეტიანთა) დინასტია, მაშინ ეს უნდა ეოგულისხმოთ ძვ. წ. XIII საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული მაინც, რაც სრული აბსურდია.

ძველ კოლხეთში VI საუკუნეში (ძვ. წ.) სახელმწიფოს წარმოშობის

---

3 ოპონენტის აზრით კოლხური (ძველკოლხური) ცივილიზაცია ძვ. წ. II ათასწლეულიდან დაწყებულა. იხ. „Древняя Колхида. Мифы и археология" თბილისი, 1979, გვ. 11.

არგუმენტად მოაქვთ ხოლმე მონეტის მოჭრის ფაქტი. მაგრამ ამჟამად რაიმე ქართველი არქეოლოგოსებიც კი (გიორგი დუნდუა, გურამ ლორთქიფანიძე და ამირან კახიძე) თვლიან, რომ ე. წ. კოლხური თეთრი ფასისში (ბერძენთა პოლისში, ქალაქ-სახელმწიფოში) იჭრებოდა.[4]

ყოველივე ალნიშნულის შემდგომ ძალზე მიჭირს ვირწმუნო ძველ კოლხეთში სახელმწიფოს არსებობა. ვიმეორებთ, თუ ეს პოლიტიკური ინსტიტუტი აქ არსებობდა ლაშის ძვ. წ. XIII საუკუნიდან ანდა ძვ. წ. X საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე მას პონტო დაიპყრობდა (ძვ. წ. I ს. დასაწყისის ახლო ხანში), მაშინ ხომ უნდა გვქონოდა სახელმწიფოებრიობის ისტორიული ნაშთები, მათ შორის დამწერლობის სახით. მოვიგონოთ ისიც, რომ ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს ჩვენი დასავლური წინაპრების ტერიტორიაზე გადაიარა ბერძენთა 10-ათასიანმა ლაშქარმა, რაც აღწერილ იქნა კიდეც ქსენოფონტეს „ანაბასისში". მაგრამ არ ჩანს, რომ აქ სახელმწიფოებრიობა არსებობდა. ალნიშნულის გამოა, რომ ძველ კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არსებობისა არა სჯერათ რუს ისტორიკოსებს. ძალზე ვეჭვობთ, რომ მსგავსი რამ მათ მხოლოდ შოვინიზმის გამო მოსდიოდეთ. არა სჯეროდა ეს, როგორც უკვე მიეუთითებიდით, ნიკო ბერძენიშვილსაც, რომლის პატრიოტულ გრძნობა-შეგნებაში ეჭვს ვერავინ ვერ შეიტანს.

ყველაფერ ამის თაობაზე დაწვრილებით ვწერდი ბროშურაში „საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი" და პასუხებში პროფ. ო. ლორთქიფანიძისა და სხვათა მიმართ. მაგრამ, სამწუხაროდ, ნამდვილი დიალოგი მართლაც ვერ შედგა, ამისათვის კი შესაფერისი ფსიქოლოგიური მზაობა გახლავთ საჭირო.

მოგახსენებთ შემდეგსაც. როდესაც 1954 წელს ისტორიის ინსტიტუტში გაიმართა დისკუსია იმავე საკითხზე (მთავარი მომხსენებელი იყო გ. მელიქიშვილი), მონაწილეთა დიდი უმრავლესობის აზრით საქართველოში სახელმწიფოს წარმოქმნის თარიღი უნდა დაკავშირებოდა ძვ. წ. IV–III საუკუნეების მიჯნას. ამდენად დისკუსანტებმა არ გაიზიარეს გ. მელიქიშვილის მიერ თარიღის წინ გადაწევის მცდელობა. ვიტყვი იმასაც, რომ 1998 წელს ისტორიისა და ეთნოგრაფიის სამეცნიერო საბჭოს წევრებს აკადემიის პრეზიდიუმმა

---

4 ნ. ლომთათიძის მიხედვით კოლხეთის სამეფოს „იურისდიქციაში" შედიოდნენ ფაზისი, დიოსკურია და მისთ. და აქ... პირველს გარნიზონები ეყენა!

მიმართა შეკითხვით, თუ ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის რომელი თარიღი უნდა აღინიშნულიყო. უმეტესობა შეჩერდა 2300 წლის ზე. მაგრამ როდესაც იმავეს ვამტკიცებ, ინსტიტუტის სახელის წყვრები დუმან. ჩანს, ერთია საკითხზე სალი აზრის არსებობა და მკვრე – მეცნიერულად არგუმენტირებული აზრი. მაგრამ როცა მოცემულ შემთხვევაში ისინი კრინტს არ ძრავენ, დგება არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ ელემენტარული ეთიკის საკითხიც.

აქვე იმასაც დაესძენ, რომ ღღეანდელ ქართველ ისტორიკოსებს, მათ შორის დ. მუსხელიშვილს, უჭირთ იმის გაცნობიერება, რომ საისტორიო მეცნიერებას სათანადო თეორია ესაჭიროება. კერძოდ, როდესაც სახელმწიფოს რაობასა და წარმოშობაზე ეშსკელობთ, ოდენ სალი აზრის, ყოველდღიური აზროვნების დონეზე არ უნდა დავრჩეთ. ამისათვის არც მხოლოდ თანამედროვე უცხოელ ავტორთა ჩამოთვლა კმარა (როგორც ამას სჩადის ო ლორთქიფანიძე). არის საკითხები, რომელთა გააზრებაც თეორიის გარეშე შეუძლებელია. ამის გაკეთილი მოგვცა კერძოდ აღნიშნულმა „დისკუსიამაც".

იქნებ გავარღვიოთ მოჯადოებული წრე და ვისწავლოთ ნამდვილი დიალოგი, რაც გულისხმობს მეორე მხარის გულდასმით მოსმენას. ამის გარეშე კი ჩვენში წარმოებულ დისკუსიებს ოდენ ბუტაფორიული ხასიათი ექნება, რისი ნიმუშიც მოგვცა გასული წლის ივნისში ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში შემდგარმა თაყვანისმცემლობამ. ხოლო, როდესაც დიალოგის ხელოვნებას დაეუფლებით და თანაც კრიტიკულ აზროვნებასაც ვისწავლით, მაშინ ისიც გაირკვევა, თუ „ვინ ვინ არის" თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში.

2001 წ.

ეპაირიული ისტორიოგრაფიის უმწეობის ნიმუში

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენში სახელმწიფოებრიობის თაობაზე მიმდინარე დისკუსიის გაშლისას აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს თავისი პოზიცია ნათლად, გაურცობილად არ ჩამოუყალიბებია. ისეც საინტერესო კი იყო მას ეს გაეკეთებინა. ჯერ-ერთი, რაც არ უნდა იყოს, იგი აკადემიკოსის ტიტულს ატარებს, მეორე, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია და მესამეც, აქვს პრეტენზია საისტორიო მეცნიერების თითქოსდა დამოუკიდებელი (არა დამხმარე) დისციპლინის — ისტორიული გეოგრაფიის შემდგომი განვითარებისა, რომელიც პოლიტიკური ეკოლუციის, კერძოდ სახელმწიფოს წარმოშობის, საკითხსაც იკვლევს. და აი, ჟურნალ „ანალების“ ამა წლის მეორე ნომერში დაიბეჭდა მისი სტატია „საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკურ-კულტურული საფუძვლები“, რომელშიც ავტორი ცდილობს გადმოსცეს თავისი პოზიცია აღნიშნულ საკითხზე.

დავით მუსხელიშვილის ფიქრით, პირველი სახელმწიფო („პოლიტიკური სისტემა“?!) საქართველოში გაჩნდა თითქოს ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანს კოლხეთის დაბლობსა და ჭოროხის აუზში (იმეორებს პროფ. ოთარ ლორთქიფანიძისეულ თვალსაზრისს) (ისე, უწინ არაერთხელ დაუფიქსირებია 2500 წელი). ამდენად, გამოდის, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია თითქმის 3500 წელს მოითვლის. მაგრამ ჟურნალის ამავე გვერდზე (16) აღნიშნულია, რომ „ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისისათვის ვარაუდობენ კოლხეთის („კოლხას“) სამეფოს ჩამოყალიბებას. თუ ასეა, მაშინ აღნიშნულ დიდ ისტორიულ მოვლენას საქართველოში 3000-წლოვანი ისტორია ჰქონია. ამასთანავე ავტორი გვამცნობს, რომ „საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის ჩამოყალიბება“ ათას წელს მოითვლის (გვ. 12) მაგრამ, როგორც ვიცით, ერთიანი საქართველოს სამეფოს (სახელმწიფოს) წარმოშობა ბაგრატ მესამის ზეობაში მოხდა. ასე

რომ, თუ ავტორისეულ ზემომოტანილ მოსაზრებებს დავუკვირდებით, შესაბამისი პროცესი 2000 თუ 2500 წელი მაინც გაგრძელებულა.

დავარებით თავი აღნიშნულ ქრონოლოგიურ შეუსაბამობებს და შევეცადოთ გავიაზროთ ბატონ ოთარ ლორთქიფანიძისა და დავით მუსხელიშვილის მიერ მოხმობილი არგუმენტაცია ძველ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სახელმწიფოს წარმოქმნის შესახებ; როგორც ვხედავთ, მისი ტერიტორია ვრცლად იყო გადაჭიმული. მაგრამ თუ მსგავს ფანტაზიას მოვიშველიებთ, მაშინ მტკვრის ზემოწელი (შუბნიში კოლა, არტაანი, ერუშეთი), გუარულის სამცხე, დღევანდელი ჯავახეთის დასავლეთი ნაწილი და ტრაპიზონის სანახები, თითქმის მდინარე ღალისამდე (როგორც ამას მიიჩნევდა სიმონ ჯანაშია), სადაც კოლხები ცხოვრობდნენ, ერთიან სახელმწიფოში შემავალ ტერიტორიებად უნდა წარმოვიდგინოთ, მაგრამ მსგავსი რამის დაჯერება ყოველად შეუძლებელია.

ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ პირველი სახელმწიფოები მოიცავდნენ მცირე ტერიტორიებს (ეყრდნობა იგორ დიაკონოვის 1956 წელს გამოქვეყნებულ წიგნს). კერძოდ, ასევე ყოფილა ძველ ქართლშიც მაგრამ ელემენტარული სამეცნიერო ეთიკა მოითხოვდა აღნიშნულიყო, რომ ანალოგიური აზრი ძველი ქართლის მიმართ კარგა ხანია, რაც გამოთქვა ნოდარ ლომოურმა. ამჯერად კი სხვა რამეს აღვნიშნავთ: თუ კერძოდ ქართლში მართლაც ასე იყო და მცირე პოლიტიკური წარმონაქმნების გაერთიანება ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში მოხდა გვიან, ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს, მაშინ მსგავსი ისტორიული პროცესის განვითარება უნდა დაეუშვათ „ძველი კოლხეთის სამეფოს“ მიმართაც. აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სახელმწიფოებრიობა აქ, წერილის საბუთების სახით, 3000 თუ 3500 წელზე უფრო უწინ გაჩენილა.

რაკი სიტყვამ მოიტანა, იმასაც აღვნიშნავთ, რომ თავის დროზე აღმოსავლეთ საქართველოში განვითარებული იყო ბრინჯაოს მეტალურგია, საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა აგრეთვე მიწათმოქმედება და მომთაბარე მესაქონლეობა. მაშინ რატომ დაგვასკვნა ასე ამ რეგიონში სახელმწიფოს წარმოშობა? სტატიაში ვკითხულობთ: „აღმოსავლეთ საქართველოში ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება ცოტა უფრო გვიან ივარაუდება“ (გვ. 16) მაგრამ 1200 თუ 700 წელი „ოდნავ უფრო გვიანი“ ხანაა?

დავით მუსხელიშვილის ვარაუდით, თითქოს აღნიშნული (ძველი კოლხური) სახელმწიფოს ცენტრი ჭოროხის ქვემოწელზე ან შავი ზღვის მიმდებარე სანაპიროზე კი არ მდებარეობდა, არამედ ქუთაისში. მაგრამ რაც ამ ქალაქის არქეოლოგიური შესწავლილობით ვიცით, მსგავსი დაშვება ყოლად უსიამაგოა.

დავით მუსხელიშვილი მსჯელობს მოსახლეობის ჯერ „ხევებად", შემდეგ „დიდ ხევებად" და „ქვეყნებად", შემდგომ კი ერთ ქვეყნად გაერთიანებაზე, რასაც თითქოს ყოველთვის შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ედო საფუძვლად. მაგრამ მსგავსი შეხედულება ხომ ნიკო ბერძენიშვილს ეკუთვნის, რის შესახებაც განსაკუთრებით მასწავლა „საქართველოს ისტორიის საკითხების" მერვე ტომში ფართოდ არის ლაპარაკი. დიდად სამწუხაროდ, ავტორი ამ გარემოებას ერთხელაც კი არ აღნიშნავს (სხვათა შორის, ასევე იქცევა სხვა მსგავს შემთხვევებშიც).

ბატონი ნიკო ბერძენიშვილი – ჭეშმარიტად მოაზროვნე ისტორიკოსი თავის დროზე დიდად იყო დაინტერესებული საქართველოს ძველი ისტორიის საკითხებითაც. ამ მხრივ მას მშვენიერი იდეები ჰქონდა, რაც სათანადო შესწავლას მოითხოვს. ღმერთმა კი, დიდად სამწუხაროდ, ეს პრეროგატივა მხოლოდ ერთ პირს ეკუთვნოდა... მაგრამ გამოჩენილი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირში ფართოდ გაიშალა დისკუსიები ძველი ისტორიის კარდინალურ საკითხებზე, რის შედეგადაც ბევრი რამ ახლებურად იქნა დანახული. ამის გაგების კი ვერ მოვთხოვთ იმას, ვისაც ისტორიის თეორიაზე წარმოდგენა არა აქვს და მოსმენაც კი არ შეუძლია. შედეგიც აშკარაა. როდესაც დავით მუსხელიშვილი გადმოსცემს ხოვლეგორის ან უჯარმის ისტორიას ანდა საისტორიო გეოგრაფიის (როგორც დამხმარე საისტორიო დისციპლინის!) სხვა ცალკე საკითხებს, მაშინ იგი სასარგებლო საქმეს აკეთებს და მის მიმართ პრეტენზიები ნაკლებად აღიძვრის. მაგრამ როცა იგი ცდილობს დიდი პრობლემების კვლევა-ძიებას (ვგულისხმობთ მისეულ „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხების" ორტომეულს), მისი აზრების გაცნობა კრიტიკული აზროვნების მკითხველებზე არცთუ სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. აღნიშნულის მიზეზი ძალზე ადვილი გასაგებია: სათანადო თეორიული ცოდნის გარეშე დიდ პრობლემებთან

შეჭიდება მარცხისათვის არის განწირული! მეორე მხრივ აჩიტომაცაა, რომ ნიკო ბერძენიშვილისეული და ავტორისეული მიდგომები გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობის საკითხისადმი ძალიან განსხვავებულია.

მოცემულ შემთხვევაში დავით მუსხელიშვილი არ ცდილობს გაიაზროს სახელმწიფოს ცნება, კერძოდ დაადგინოს მისი სტრუქტურა, გვაროვნული წყობილების დეზინტეგრაცია-დაშლის შემდგომ მისი წარმოშობის გზები. კერძოდ, დიდად ანგარიშგასაწევია აღიარება შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფო დაპყრობის შედეგად წარმოიშობა. ამ საკითხს, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში ტაბუ ჰქონდა დადებული. ახლა კი დროა დაუფიქრდეთ აღნიშნული ფაქტორის მოქმედებაზე ძველი საქართველოს მიმართ (მართლაც თუ ჰქონდა ძველ კოლხეთში ადგილი სახელმწიფოს წარმოქმნას; ეს მოხდა იმანენტურად, კოლხების მიერ ზანებისა და ეგრების დაპყრობით, ასევე ძველ ქართლშიც (მესხების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის დაპყრობით) თუ უფრო გვიან ლაზების მოსელით)? მაგრამ მსგავსი პრობლემების დასმას დავით მუსხელიშვილი და მისი თანამოაზრენი (ამ საკითხში) ჩვეულებრივ გაურბიან ხოლმე და ოდენ ლიტონი ფრაზებით იფარგლებიან. ამასაც რომ თავი დავანებოთ, მეტი ანგარიშის გაწევა გვმართებს ლოგიკისათვის (ფორმალური). ყოველივე აღნიშნული კი დიდად ჭკუისასწავლებელი უნდა იყოს ჩვენი ახალგაზრდა და მომავალი ისტორიკოსებისათვის.

განხილული სტატიის მიმართ სხვა შედარებით წვრილმანი ხასიათის შენიშვნებიც გვაქვს.

ჟურნალის მეთორმეტე გვერდზე ვკითხულობთ, რომ „საქართველოს ერთიანი სახელმწიფო ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც ქართველი ერი ჩამოყალიბდა". ამ შემთხვევაში კი იგი მიუთითებს თავის 1980 წელს გამოქვეყნებულ წიგნს. მაგრამ, მოგეხსენებათ, კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობისას მსგავსი აზრის გამოთქმა იოლი არ გახლდათ ყოველ შემთხვევაში; დავით მუსხელიშვილს მაშინ ეს არ გაუკეთებია და მითითებული წიგნის შესაბამის სქოლიოში მსგავს აზრს ვერ ვხვდებით.

ძველ საქართველოში (ქართლ-კოლხეთში) გამავალი დიდი სავაჭრო-

და ოთარ ლორთქიფანიძის 1999 წელს დაბეჭდილი ერთობლივი სტატია. მაგრამ საკითხის თაობაზე სტატიები დაბეჭდილი ჰქონდათ ზ. იამანიძესა და გ. ცოზალიშვილს 1956 წელს.

ბლუტარქე არ ყოფილა რომაელი მწერალი (გვ. 18); იგი ბერძნული წარმომავლობისა იყო და თანაც ისტორიკოსი გახლდათ და არც II საუკუნის დასაწყისში (როგორც ავტ. წ.) უცხოვრია (იგი ცხოვრობდა 46–120 წლებში).

ღაბუნის პირველსაცხოვრისი შავი ზღვის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში (საქართველოს თვალსაზრისით) ყოფილა (გვ. 18). მაგრამ ასეთ თამამ მტკიცებას სერიოზული არგუმენტაცია ესაჭიროება. ცალკად მიგვაჩნია ჯავახეთის მიმართ „ბიური ეკონომიკის" მტკიცება (გვ. 12). ცდილა საქმეა, რომ „ძველი კახეთის ფეოდალური სამთავროს ეკონომიკური სიძლიერის საფუძველი მეცხოველეობა უნდა ყოფილიყო" (გვ. 14). როგორც ვიცით, ასე იყო საქართველოს მთიანეთში, ბარი კი დიდი ხანია ამაღლდა ეკონომიკური განვითარების ასეთი დონიდან.

სტატია მთავრდება იმის აღნიშვნით, რომ საქართველოშიც იძლრიბილელ ვითარებაში სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლები შეხვედრიან. ასე რომ, თითქოს ჩვენი ტერიტორია იმთავითვე პოლიეთნიკური იყო. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია, გიორგი მელიქიშვილი, ოთარ ჯაფარიძე და თვითონ სტატიის ავტორი ხომ არაერთგზის აღნიშნავდნენ და აღნიშნავენ ხოლმე ჩვენს ტერიტორიაზე არაქართველთა ცხოვრების ფაქტს უკვე უძველეს ხანაშივე.

დაბოლოს, ისტორიკოსისათვის მიუტევებელია დაწეროს „XVI საუკუნის კახეთის მეფე ლევანი" (გვ. 13). ეთიკური თვალსაზრისით დიდად საჩოთირო უნდა იყოს შემდეგი: ავტორის მიერ გამოყენებული 59 სქოლიოდან 28 შემთხვევაში საკუთარი ნაშრომებია მითითებული, რაც, ალბათ, თავისებურ რეკორდად უნდა ჩაითვალოს.

აღნიშნული გამოხმაურების მთავარი მიზანი ავტორის გაბიაბრუების სურვილი რომაა. ამ მაგალითზე გვინდოდა წარმოგვეჩინა ის კრიტიკული, შემაშფოთებელი სიტუაცია, რაც დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში სუფევს და რასაც, თავის მხრივ, სათანადო ქმედებანიც უნდა მოჰყვეს.

2001 წ.

სად გაქრნენ სასპერები?

ქართულ ისტორიოგრაფიაში ათეული წლების განმავლობაში დაბეჯითებით მიაჩნდათ, რომ სასპერები აღმოსავლურ-ქართული გაერთიანება იყო. ეს აზრი ემყარებოდა, ჯერ ერთი, იმას, რომ პეროდოტეს ცნობით, ისინი ცხოვრობდნენ კოლხებსა და მაკრიელებს შორის, ესე იგი – ქართველთა (აღმოსავლელ) განსახლების ტერიტორიაზე, და მეორეც, ეთნონიმი „სასპერი" ქართული თავსართით „სა"-თი არის ნაწარმოები. სპერი კი ძველთაძველი ქართული პროვინცია იყო, რომლის სახელდებითაც, სავარაუდოა, უნდა წარმოებულიყო ეთნონიმი „იბერი" (სპერ→ჰბერ→იბერ). სამწუხაროდ, ახლახან გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში სასპერთა გაერთიანება საერთოდ არ მოიხსენიება არათუ ტექსტში, არამედ სისტორიო რუკაზეც კი. რა მოხდა? ნუთუ ქართულმა ისტორიოგრაფიამ ასე თვალნათლივ დაასაბუთა სასპერთა არაქართველობა? ვცადოთ, გაეერკვეთ საქმის ვითარებაში.

ავტორი სახელმძღვანელოს იმ ნაწილისა, სადაც უნდა ასახულიყო სასპერთა გაერთიანება, ნოდარ ასათიანია, რომლის უშუალო კვლევა-ძიების საგანი ჩვენი ისტორიის სხვა პერიოდი, სახელდობრ, გვიანი შუა საუკუნეებია. წიგნში მითითებულია, რომ საქართველოს ძველი პერიოდი დაწერილია გიორგი მელიქიშვილის კონსულტაციით. ჩანს, სწორედ ბატონ გიორგის პოზიცია აისახა სახელმძღვანელოში, რომელშიც სასპერთა შესახებ არაფერია ნათქვამი. რატომღაც, თავისი ადრინდელი შეხედულების საწინააღმდეგოდ, ამჯერად გ. მელიქიშვილი ამ საკითხს უარყოფს.

1950-იან წლებში იგი მხარს უჭერდა საყოველთაოდ აღიარებულ აზრს სასპერთა ქართველური წარმოშობის თაობაზე. შემდეგ კი მისეული საწინააღმდეგო აზრი გამოიკვეთა ნაშრომებში: „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის" (1965); „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" პირველი ტომის მისეული ნაწილი (1970); მისეული სტატია „სასპერები" „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" მეცხრე ტომში (1985). იგივე აზრია გატარებული „საბჭოთა საისტორიო ენციკლოპედიაში" (იხ. მეთორმეტე ტომი, რომელიც 1969 წელს გამოიცა) და რომელიც, თავის მხრივ, გ. მელიქიშვილის 1965 წელს გამოსულ ზემოხსენებულ წიგნს ეფუძნება.

საკითხავია რის საფუძველზე შეიცვალა აზრი სასპერების თაობაზე ცნობილმა მკვლევარმა? სათანადო არგუმენტები ასევე არ ჩანს, შესაბამისი მსჯელობა მას არ წარუმართავს. ის არგუმენტები კი, რომლებსაც ქართული ისტორიოგრაფია ეფუძნებოდა (ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია სიმონ ჯანაშიას წვლილი), საკმაოდ დამაჯერებელია. ამიტომაც სულაც არ არის შემთხვევითი, რომ 1983 წელს მოსკოვში გამოსული „ძველი მსოფლიოს ისტორიის" მეორე ტომში ცნობილი რუსი მკვლევარი ი. დიაკონოვი სასპერებს სწორედ აღმოსავლურ-ქართულ გაერთიანებად თელის (იხ. გვ. 400, 401). ამ ავტორს კი ქართველებისადმი მიკერძოებას ვერაითარ შემთხვევაში ვერ დავწამებთ. *ხშირად იგი ნიჰილისტურად განიხილავს ჩვენი ისტორიის მრავალ საკითხს (ამის თაობაზე უკვე ვწერდით „ლიტერატურული საქართველოსა" და „ლიტერატურნაია გრუზიას" ფურცლებზე). მაგრამ, როგორც ჩანს, სასპერების ქართული სამყაროსადმი კუთვნილება იმდენად ცხადია, რომ ი. დიაკონოვსაც კი არ ძალუძს ანგარიში არ გაუწიოს მას.

სახელმძღვანელოში დიაუხის გაერთიანება ყოველ ემთხვევაში ქართველურად არის გამოცხადებული მაშინ, როდესაც ზემოხსენებულ ნაშრომში – „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის" – გიორგი მელიქიშვილს ერთხელაც კი არ მოუხსენებია დიაუხი, მით უფრო არ განუხილავს იგი ქართული სამყაროს შემადგენელ ნაწილად. მისასალმებელია, რომ ამ მხრივ გიორგი მელიქიშვილს აზრი შეუცვლია.*

აქვე უნდ.. აღვნიშნო, რომ, საერთოდ, ჩვენი ძველი ისტორიის მრავალ საკითხს რიგი არაქართველი ისტორიკოსებისა სულ სხვაგვარად განიხილავს, ვიდრე ეს უნდა ხდებოდეს ობიექტური კვლევა-ძიების ინტერესებიდან გამომდინარე. ამით ცდილობენ ჩვენი ისტორიის გაყალბებას; კერძოდ, ისწრაფვიან წარსულ ქართულ სინამდვილეს მოწყვიტონ ტიბარულები, ხალიბები, მესხები (მუშკები), დიაუხი (შესაბამისად – ტაოხები)*, მოსინიკები და სხვები. საწუხაროა, რომ ხშირ შემთხვევაში ქართველი ისტორიკოსები მათ სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევენ. მსგავსი ვითარება შეუწყნარებელი იყო ყოველთვის და, მით უმეტეს, დღეს – ასეთი ეროვნული გამოცოცხლების ჟამს.

1989 წ.

---

* ამჟამად ვალიარებ, რომ იმხანად მეც მჯეროდა დიაუხის ქართველური წარმოშობის კუთვნილების.

ვითომ პირველი ქართული სახელმწიფოებრივი იდეოლოგია?

რიგი დღევანდელი ქართველი არქეოლოგოსებისა, ისტორიკოსებისა, ფილოლოგოსებისა და სხვათა არგონავტების მითოსის კოლხეთთან დაკავშირებულ ნაწილს ძირითადად ისტორიულად, რეალურად არსებულად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი რაციონალური მომენტი მონახონ აღნიშნულ თქმულებაში. სხვათა შორის, ასევე სჯეროდა აკაკი წერეთელს, რომელიც ცდილობდა სახელ „მედეას“ ეტიმოლოგია ქართული ენის მეშვეობით დაედგინა. თავის მხრივ, ლიტერატორი აკაკი გელოვანი შეეცადა „აიეტი“ ქართულად აეხსნა: „აია, ეა – აეთისი, აეტესი, როგორც ვთქვათ უფლისი, ბედისი, ეგრისი, ურბნისი, უბისი, მთავარისა, მზის“ (მზისი)“,[1] ე. ი. თითქოს აღნიშნული „ქალაქის“ სახელწოდებას ქართული სუფიქსი ერთვოდა. მაგრამ თუკი ძვ. წ. XIV-XIII სს. მოკიდებული მართლაც იწყებოდა ენობრივი დიფერენციაცია ქართულსა (ქართების ენას) და ზანურს (მეგრულს) შორის, მაშინ სუფიქსი „იშ“ უნდა გექონოდა ამდენად „აიეტიში“ (იქნებ ძველმა ბერძნებმა „შ“ ბგერა ვერ გადმოსცეს?). დიდად უცნაურია, რომ ჩვეულებრივად უგულებელყოფენ ხოლმე ელემენტარულ, აშკარად თვალში საცემ ფაქტს: თითქოსდა აიეტის მეფობის ჟამს (ძვ. წ. XIII ს. დასაწყისში) ძველბერძნებს ორმოცდაათხოფიანი გემები (პენტეკონტერები) ჰქონდათ. სინამდვილეში ამ დროს ოცხოფიანებით სარგებლობდნენ, პენტეკონტერები კი გაჩნდა VIII საუკუნეში (ძკ. წ.).[2] ასე რომ, ოცმა ბერძენმა ზღვაოსანმა მრავალი გმირობის ჩადენა მოახერხა, მათ შორის კოლხეთიდან ოქროს საწმისის მოტაცებაც და კოლხა „ფლოტისაგან“ თავის დაღწევაც.

აღნიშნულ ტენდენციას გამოკვეთილად ეხვდებით პროფ. ო.

---

1 იხ. მისი „მითოლოგიური ლექსიკონი“, თბილისი, 1983, გვ. 37.

2 ამის გამო იყო, რომ ტიმ სევერინს, ცნობილმა ინგლისელმა ზღვაოსანმა, 1984 წელს სწორედ ოცხოფიანი გემით შეემოსცურა რიონში.

ლორთქიფანიძის ნაშრომებში. მაგალითად, იგი ფიქრობს, რომ აიეტი საკმაოდ რეალური, ისტორიული პიროვნება იყო.[3] მას შემდგომ, რაც ტიმ სევერინმა მოაწყო წარმატებული ნაოსნობა ფაზისისაკენ (ფოთისაკენ), დამტკიცდა საბერძნეთიდან კოლხეთში ნაოსნობის შესაძლებლობა ჯერ კიდევ მიკენურ ხანაში.[4] ამ გარემოებამ ჩვენს ავტორს მძლავრი სტიმული მისცა დაეჯერებინა აიეტის რეალურობა. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა მისი წიგნი „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი“ (1986). ბ-ნ ო. ლორთქიფანიძის მიხედვით აიეტი სათავეში ედგა მოსახლეობის ფართო გაერთიანებას, რომელიც, სულ მცირე, დღევანდელი ქუთაისიდან მოყოლებული ფოთამდე (ფაზისამდე) ცხოვრობდა. ამ გაერთიანების ეკონომიკურ საფუძველს შეადგენდა მდინარე რიონის (ფაზისის) ბუნებრივი საწარმოო ძალის – მონატანი შლამის გამოყენება და, უნდა ვიგულისხმოთ, წყალდიდობებთან წარმატებული ბრძოლაც.

მეტსაც ვიტყოდით: ბ-ნ ო. ლორთქიფანიძის მიხედვით, აიეტს ვითარცა ერთპიროვნულ ხელისუფალს,[5] უცდია სათანადო იდეოლოგიის შემუშავებაც. მისი „ხელისუფლება უკვე ღვთაებრივად არის მიჩნეული და ამიტომაც უდებს იგი სათავეს მმართველი გვარის (აჯობებდა საგვარეულოს – გ. ყ) დინასტიას“.[6] აღნიშნული დინასტია იყო

---

3 საწუხაროდ, ეს აზრი წმინდა გონებრივ-ჰერმეტულობითი (საკულტო) გზით მიღწეული და სულაც არ ეფუძნება შესაბამის არქეოლოგიურ ფაქტებს. მოუხედავად ამისა, ზოგიერთი მსგავსი დასკვნა იმოწმებს არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის დასადასტურებლად. ასე მაგალითად, რისმაგ გორგილაძი აღნიშნავს: „არქეოლოგიური კვლევის შედეგად დადასტურებულია, რომ ძვ. წ. XIV-XIII სს-ში დასავლეთ საქართველოში, რიონის ხეობაში(?), არსებობდა ქართველურ ტომთა ძლიერი გაერთიანება“. იხ. სტატია „არგონავტების თქმულება“, საქართველოს ენციკლოპედია, ტ. I, თბილისი, 1997, გვ 192. მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ დასახელებული ავტორი აიეტს მითოლოგიურ პერსონაჟად მიიჩნევს. იხ. იქვე. სტატია „აიეტი“, გვ 76.

4 შეგახსენებთ, რომ ცნობილმა ნორვეგიელმა ზღვაოსანმა თურ ჰეიერდალმაც ჩაწყო მსგავსი მოგზაურობანი. მაგრამ ამის შემდგომ არ უცდიათ დამტკიცება ჰელი ეგვიპტელების მოგზაურობისა ამერიკაში და ამერიკელი აბორიგენებისა - პოლინეზიაში.

5 დასახ. წიგნი, გვ 74.

6 იქვე, გვ 75.

აიეტიდებისა (ქართული გაფორმებით „აიეტიანებისა"), რომელსაც მოიხსენიებს ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი და მხედართმთავარი ქსენოფონტე თავის „ანაბასისში".[7] ავტორის მიერ უპირველესად ნაგულისხმევია ძველბერძნული მითოლოგიური წარმოდგენა, რომლის თანახმადაც აიეტი ჰელიოსისა[8] და ოკეანეს ასულის პერსეს ძეა (სხვა მითის მიხედვით აიეტი ჰელიოსისა და ანტიოპეს ვაჟია, ალოევსის ძმაა, მისი დები კი პასიფაე და კირკე იყვნენ).

თუ არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის ისტორიულობაზე, რეალურობას ვირწმუნებთ, იქნებ დავფიქრებულიყავით შემდეგ გარემოებაზეც. ბერძნული *ὁ αἰετος, αἰετός* ნიშნავს არწივს. მაგრამ ქართველი ავტორები ჩვეულებრივ „ძველი კოლხი მეფის სახელს" ამას როდი უკავშირებენ. შევნიშნავთ, რომ სიტყვა „არწივი" ქართულ ენაში შემოვიდა ურარტული ენის გზით. მანამდე, ქართულ-ზანური

---

7 თუ ვირწმუნებთ, რომ აიეტიდები (თუ აიეტიანები) კოლხეთში მეფობდნენ ძვ. წ. V საუკუნეში, კერძოდ, მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი ზეობდა ბერძენთა ხსენებული ლაშქრობის პერიოდში (ძვ. წ. 401 წელს), მაშინ საკმაოდ ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ეს „დინასტია" სათავეს იღებდა აიეტიდან მოკიდებული, ე. ი. ძვ. წ. XIII საუკუნიდან მაინც. ამდენად, მისი (დინასტიის) ზეობა ქვეყანაში მითრიდატე ევპატორის დაპყრობამდე სულ მცირე თორმეტ საუკუნეს მოითვლიდა. მაგრამ ხომ ძალზე უცნაურია, რომ ქართული ენციკლოპედიის არც უწინდელ და არც ახლანდელ გამოცემებში „აიეტიდების დინასტიაზე" დღემდე ვერ პოვა ასახვა.

8 მაგრამ გავიხსენოთ, რომ ჩვენს წინაპრებში, კოლხ-მეგრელთა ჩათვლით, მზეს მამრობითი კი არა, მდედრობითი სქესისა იყო. სხვათა შორის, აკაკი გელოვანი წერდა: „კოლხეთის მეფე აიეტი ჰელიოსის შვილია, რაც თავისთავად მეტყველებს ბერძენთა მალალ წარმოდგენაზე, ყველა არაბერძენს რომ ბარბაროსს ეძახდნენ". იხ. „მითოლოგიური ლექსიკონი", გვ. 259. მაგრამ მთლად ასე როდია საქმე: ბერძნების ეთნოფსიქოლოგიაში ელინებისა და ბარბაროსების დაპირისპირებულობის გადალახვა, თუნდაც გამონაკლისის სახით, გამორიცხებოდა. მოვიგონოთ, თუ როგორ მიმართავ ს იასონი მედეას ევრიპიდეს ამავე სახელწოდების ტრაგედიაში:

„ო, საძაგელო, ო, უსაზიზღრესო დედაკაცო, სიკვდილი შენ! მე ეხლა მიყვარდი, — მაშინ უგუნური ვიყავ, — რომ შენი სახით ბარბაროსული სასახლიდან და ქვეყნიდან ელინურ სახლში დიდი ბოროტება მოვიყვანე". იხ. აკაკი ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში", თბილისი, 1964, გვ. 234.

რეალიის აღსანიშნავად იხმარებოდა „ორბი//ობრი“. იქნებ ჩვენს „შორეულ წინაპარ მეფეს“ მსგავსი სახელი ერქვა, რომელიც შემდეგ ბერძნულად გაფორმდა (თვითონ „მეფისა“ თუ მისი „იდეოლოგიური სამსახურის“ ძალისხმევით?). ამასაც რომ თავი დავანებოთ, აიეტი არაა კოლხური სახელი, როგორც ამას ფიქრობს პროფ. ო. ლორთქიფანიძე,[9] არამედ ნაწარმოებია ძველბერძნული ენის მეშვეობით: აია – აიეტეს.[10]

ყოველივე ზემოაღნიშნულს ამდენად თითქოს ადგილი ჰქონია უკვე აიეტის ზეობაში, ე. ი. ძვ. წ. XIII საუკუნის დასწყისში. შესაბამისად ჩანს, თუ როგორი ძალისხმევა გამოუჩენია აიეტს, რომ ჯერ კიდევ მის მეფობაში ბერძენ მითოგრაფოსებს (მითოსის მთხზველებს) მსგავსი წარმოდგენები შეემუშავებინათ. ერთი სიტყვით, თუ ო. ლორთქიფანიძეს ვერწმუნებით, აიეტს სავსებით ნათლად გაუცნობიერებია სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის (ალბათ ეროვნულისაც) მნიშვნელობა და ამ იდეის რეალიზაციისათვის დიდად გამოუდია კიდეც თავი. თავჩენილი ტრადიცია კვლავაც გაღრმავებულა (უნდა ვიფიქროთ, მომდევნო „მეფეთა“ ძალისხმევით). კერძოდ, ხუთი-ექვსი საუკუნის შემდგომ ძველბერძენ პოეტ ჰესიოდეს კვლავ გაუგრძელებია დაწყებული საქმე. მის მიხედვით, აიეტის ცოლი ყოფილა ოკეანიდა (ოკეანოსის ქალიშვილი) იდია, შესაძლოა ევრილიტე და ჰეკატეც. ერთი ვერსიით აიეტს ჰეკატესაგან ჰყოლია კირკე, მედეა და აიგიალევსი. შემდეგ აიეტს შეურთავს ნეაირა, რომლისგანაც აფსირტე შესძენია (ძვ. წ. III საუკუნის პოეტისა და სწავლულის აპოლონიოს როდოსელის ხანახმად, აფსირტე აიეტს კავკასიელი ნიმფა ასტეროდიასაგან ჰყოლია).

აიეტის ხოტბა-განდიდება ახალ საფეხურზე აუყვანია პოეტ ევმელე კორინთოელს (ცხოვრობდა VIII–VII ს.). ამის თაობაზე პავსანია თავის „ელადის აღწერილობა“-ში ასე გვამცნობს: „ევმელოსი ამბობს, რომ ჰელიოსმა ასოპიის მხარე მისცა ალოევსს, ხოლო ეფირისა – აიეტს; აიეტმა კი, როცა კოლხებისაკენ წარემართა, ეს მხარე (ე. ი. ეფირა, კორინთოს ძველი სახელწოდება – გ. ყ) გადასცა ბუნეს.

9 იხ. კრებული „სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში“, თბილისი–ზუგდიდი, 1999, გვ. 66, 89.

10 სხვათა შორის, ეს კარგად იცოდა VI ს. (ახ. წ.) ავტორმა სტეფანე ბიზანტიელმა.

ბუნე ჰერმესისა და ალკიდამიას ძე იყო. და როცა ბუნე გარდაიცვალა, ეპოპეუსმა, ალოეუსის შვილმა, ამგვარად ეფირელთა გამგებლობაც მიიღო. შემდეგში, რაკი მარათონის ძემ, კორინთოსმა, ვერც ერთი შვილი ვერ დატოვა, კორინთელებმა იოლკოსიდან გამოიწვიეს მედეა და ხელისუფლება მას გადასცეს; და აი, მისი წყალობით, იასონმა მეფობა იწყო კორინთოში".[11] პინდარესეული „ოლიმპიური ოდების" სქოლიონში აღნიშნულია: „გასარკვევია, რად შემოჰყავს (პოეტს) კორინთელთა შესახებ საუბარში კოლხი მედეა? ამბობენ, რომ კორინთო თავდაპირველად მედეას სამფლობელო იყო: პელიოსისა და ანტიოპეს ძეს – აიეტს უმისნეს, დაეფუძნებინა კოლხეთში მისგან სახელის მქონე ქალაქი, კორინთელებზე გამგებლობა კი დაეთმო ჰერმესის ძის ბუნესათვის იმ პირობით, რომ თუ დაბრუნდებოდა [აიეტი], გადაეცა მისთვის ეს გამგებლობა, თუ არა და მას ჰქონოდა".[12]

თეოპომპე ქიოსელიც (ძვ. წ. IV საუკუნის ავტორი) გვამცნობს პელიოსის სამეფოს განაწილებას შვილთა – აიეტსა და ალოეუსს შორის.[13]

ერთი სიტყვით, ის რაც მოახერხა კოლხთა „მძლავრმა" მეფე აიეტმა ძვ. წ. XIII ს., ე. ი. დაამკვიდრა „პირველი ქართული სახელმწიფოებრივი იდეოლოგია", წარმატებით გაუგრძელებიათ ხუთი-ექვსი საუკუნის შემდეგ მის მემკვიდრე მეფეებს (აიეტებსა და სალაკებს (მცრამდენეებს?!). და ასე გრძელდებოდა შემდგომაც. კერძოდ, შეიქმნა მითი კავკასიონის (არ აგერიოთ ლეონტი მროველის კავკასიონში) თაობაზე. იგი მწყემსი ყოფილა, რომელიც კრონოსს (ზევსის მამას) მოუკლავს. ძველბერძნულ ღმერთთა ახალ უფალს – ზევსს მისი სახელი უწოდებია კავკასიონის ქედისათვის, მანამდე თითქოს ბორეის მთები (ქედი) რომ რქმევია. ამდენად, კავკასიონი ქცეულა კავკასიონის მთების (ქედის) ღმერთად.

ცნობილია, რომ ძველბერძნულ მითოლოგიურ წარმოდგენებში ფიგურირებდა ხალიბე – ვითომდაც ღმერთ არესის ძე, რომელიც, თავის მხრივ, ჩვენი (ქართველობის) დასავლური შტოს ერთ-ერთი ხალხის – ხალიბების ეთნარქოსს (მამამთავარს) წარმოადგენდა.

11 აკაკი ურუშაძე, „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში", თბ., 1964, გვ 196.

12 იქვე, გვ 217.

13 იქვე, გვ 296.

დიდად საწუხაროდ, არ ვიცით შესაბამისი იდეოლოგია ხალიბებისაგან მოდიოდა თუ მეფე აიეტებისაგან ან სავლაკებისაგან. ამ თემაზე იმედია, მავანი ქართველი ფილოლოგოსები, არქეოლოგოსები და ისტორიკოსები გაირკვევიან.

ძვ. წ. IV ს. ბერძნებმა შეთხზეს ეპიტაფია (დიდხანს შეცდომით არისტოტელეს რომ მიეწერებოდა): „ოქროთი მდიდარი კოლხების მეუფე აიეტი ღმერთების ყოვლისმძლე სვემ აქ გააპატიოსნა“.[14] უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბერძნები კოლხეთში აჩვენებდნენ კიდეც შესაბამის ადგილს.

ანტიკურ სამყაროში (საბერძნეთსა და შემდგომ (რომში) დამკვიდრდა სახე აიეტისა, ვითარცა „მძლეთამძლე“, შეუვალი და მრისხანე მბრძანებლისა. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ ვკითხულობთ:

„არც აიეტის გადაკიდება იყარგებს ჩვენთვის, სიმართლე ვითხრა!
ქვეყნად ვერავინ გაუტოლდება ძლეულმოსილი კოლხეთის მეფეს.
თუმცა შორს არის, თუ მოინდომა, ელადაშიაც წავა სალაშქროდ“.[15]

პოეტი ამ სიტყვებს ათქმევინებს ალკინოეს — ფეაკთა მეფეს, რომელზედაც ლაპარაკია ჰომეროსის „ოდისეაში“, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მეუობდა ძვ. წ. XIII ს. აიეტის ცხოვრება-მოღვაწეობის ჟამს. გამოდის, რომ თუ მიკენის ხანის საბერძნეთი თუმცა ვერ გადაურჩა დორიელთა შემოსევებს ძვ. წ. XII ს. მაგრამ, საბედნიეროდ, გადარჩენილა აიეტის ლაშქრობას ძვ. წ. XIII ს.

პროფ. ო. ლორთქიფანიძე წერს: „ხომ აშკარაა თითქოს (?!), რომ ეს ცნობები ასახავენ კოლხეთის სამეფო კარზე შემოშავებულ შეხედულებას, რომელიც თავის გენეალოგიას მძლეთამძლე აიეტს უკავშირებდა და მით თავისი ხელისუფლების უზენაეს რწმენას განამტკიცებდა არა მხოლოდ ქვეშევრდომთა შორის, არამედ საგარეო ურთიერთობებშიც, რაც ბერძნებისთვისაც გამხდარა ფარისად

14 იხ. „არგონავტიკის“ აკაკი გელოვანისეული თარგმანი, თბილისი, 1975, გვ. 186.

15 იქვე, გვ. 294. აქვე აიეტი კვიტაიელად არის მოხსენიებული. (ასევე აკეთებდა კალიმაქეც (ძვ. წ. III ს.). ეს კი მას შემდგომ გახდა შესაძლებელი, რაც ბერძნებმა გაიცნეს „კუტაიის“ ქვეყანა. ეს პერიოდი კი ძვ. წ. XIII საუკუნეს საკმაოდ მრავალი ასწლეულით არის დაშორებული.

ცნობილი";[16] „თუ ძვ. წ. V ს. დასასრულს (ქსენოფონტეს თანამედროვე), კოლხეთის მეფის მოხსენიება აიეტის შთამომაველად მხოლოდ ბერძენთა გააზრებული არაა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თვით კოლხეთის მეფის კარზე შემუშავებული შეხედულებაა, რომელიც მისი უფლების თეორიულ დასაბუთებას და ხელისუფლების უზენაესობის რწმენის დასაბუთებას ისახავდა მიზნად".[17]

თუ ბ-ნ ო. ლორთქიფანიძეს დავუჯერებთ, თურმე აიეტ (პირველისა) და მისი მემკვიდრეების აღნიშნული პროდასავლური იდეოლოგიიდან გამომდინარეობდა შესაბამისი პოლიტიკაც. ისე გამოდის, რომ მათ იმთავითვე იცოდნენ დასავლეთის პერსპექტიულობა აღმოსავლეთთან შედარებით. ამდენად, საგარეო ორიენტაციის აღებისას გზა გაუკვალავთ აღმოსავლეთ საქართველოსთვისაც (ქართლისათვის).

ყოველივე აღნიშნულის შესახებ სერიოზული კამათის გამართვა გამორიცხულია. ცხადია, რომ დღევანდელი ქართული საისტორიო (ფართო მნიშვნელობით) და ფილოლოგიური მეცნიერება ვერ გამოთავისუფლებულა მითოლოგიიდან, ვერ ფლობს კრიტიკულ მეთოდს და ამდენად შორსაა ნამდვილი მეცნიერებისაგან. ივანე ჯავახიშვილის შემდგომ მსგავსი რამ, მართლაც რომ, დიდ პარადოქსს წარმოადგენს.

P.S. რაკი იდეოლოგიაზე ვისაუბრეთ, ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ შემდეგსაც. თავის ახლახან გამოქვეყნებულ სტატიაში „ევმელოს კორინთელის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის"[18] პროფ. ო. ლორთქიფანიძე მიუთითებს, რომ ძველბერძენთა მითოლოგიური გადმოცემა აიეტის კორინთოსა და შემდეგ კოლხეთში გამეფების თაობაზე VIII–VII საუკუნეების საკოლონიზაციო მოძრაობის თავისებურ იდეოლოგიას წარმოადგენს. საერთოდ, ამას ჯერ კიდევ არგონავტების თქმულება რომ ისახავდა მიზნად, კარგა ხნის წინ შენიშნა რუსმა ისტორიკოსმა ლევ ელნიცკიმ. ჰერაკლეს თითქოსდა სკვითების წინაპრად გამოცხადებისა და აქილევსის შავი ზღვის კუნძულ ლევკოსზე დასახლების (სიკვდილის შემდგომ, როცა ელეთე შეირთო) ფაქტთან დაკავშირებით იმავეს აღნიშნავს ა. რუსიაევა. მაგრამ აიეტის საკითხი

---

16 „არგონავტიკა და ძველი კოლხეთი", გვ. 47.

17 ო. ლორთქიფანიძე. „ძველი კოლხეთის კულტურა", თბ., 1972, გვ. 26.

18 იხ. „კავკასიური-ახლოაღმოსავლური კრებული", X, თბილისი, 2001.

ამ მხრივ გაურკვეველია: თუ მოცემულ მითოლოგიურ ფაქტს ამგვარადვე გავიგებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ აიეტი ჯერ მეფობდა კორინთოში, ე. ი. ეს მითოლოგიური, „ისტორიული" პერსონაჟი თავდაპირველად ბერძნული სამყაროს კუთვნილება იყო და შემდგომ დაუკავშირდა კოლხეთს. ხოლო თუ იგი ქართველური, კერძოდ კოლხური, სამყაროს რეალიას წარმოადგენდა, რატომ დასჭირდათ ბერძნებს შეთხზვა მითისა აიეტის კორინთოში მეფობისა (თუნდაც ნომინალურად), ასევე მედეასა და იასონის დაბრუნებისა და გამეფებისა კორინთოში. ამასაც რომ თავი დავანებოთ, მედეას კულტი, თრაკიიდან მომდინარე, განმასხიერებელი ბუნების მწარმოებლური ძალების, დიდი ქალღვთაებისა და დედამიწის ქალღმერთისა ხომ დიდი ხნის წინათ არსებობდა კორინთოში.[19] ამდენად აიეტის კორინთოში მეფობა ბერძნებისა კი არა, არამედ კოლხების (აიეტის) იმპერიალიზმის გამოვლინება ყოფილა.

შევახსენებთ, როდესაც საისტორიო ასპარეზზე მიდია და სომხეთი (არმენია) გამოჩნდნენ და ისინი ცნობილი შეიქმნენ ბერძენთათვის, ამ უკანასკნელთა მითოსურმა ცნობიერებამ ახალი იმპულსები პოვა. შეითხზა მითები მედოსისა და არმენოსის, აგრეთვე ახალ ქვეყნებში იაზონის საგმირო საქმეების შესახებ. სტრაბონი მოგვითხრობს: „ამბობენ, რომ როდესაც იაზონი არმენოს თესალიელთან ერთად კოლხებში მოვიდა, მან მიაღწია კასპიის ზღვამდე, იბერიაცა და ალბანიაც გადაიარა და დიდი ნაწილი არმენიისა და მიდიისა, როგორც მოწმობს ამას იაზონისა და სხვათა მიმართ განკუთვნილი მრავალი ძეგლი".[20] მსგავს თემასთან დაკავშირებით სტრაბონი სხვა რამესაც მოგვითხრობს.[21] ესეც ბერძნული იმპერიალიზმის გამოვლინება იყო? თუ ასე მივუვებით, მაშინ მსგავსი მისწრაფებანი მთელ იმჟამინდელ ოიკუმენეს მიმართ უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ ეს არ იქნებოდა მართებული და გამომდინარეობდა მითოლოგიის ხასიათიდან, კერძოდ, ფანტაზიის ფაქტორიდან.

2002 წ.

---

19 ამის შესახებ იხ. „А.И. Болтунова, Аргонавты и Колхида", „მაცნეს" ისტორიის... სერია, 1976, N 3, გვ. 38, 43.

20 სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. თ. ყაუხჩიშვილისეული გამოცემა, თბილისი, 1957, გვ. 135.

21 იქვე, გვ. 135, 184, 193, 194, 195.

საქართველო: აღმოსავლეთი თუ დასავლეთი?

დღევანდელ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ხშირად წამოიჭრება ხოლმე საკითხი იმის თაობაზე, თუ რომელ ისტორიულ სამყაროს მიეკუთვნება საქართველო – აღმოსავლეთს თუ დასავლეთს. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ეს პრობლემა ჩვენი ქვეყნის ევროსაბჭოში შესვლის სამზადისისას და მას შემდგომ, რაც ჩვენ ამ გაერთიანების წევრი გავხდით. ბევრი ჩვენგანისათვის დასმულ კითხვაზე პასუხი ცხადზე უცხადესია; მიიჩნევენ, რომ საქართველო ყოველთვის იყო ევროპული (დასავლეთევროპული) ცივილიზაციის, კულტურის შემადგენელი ნაწილი და ამჯერად ეს გარემოება გაფორმდა პოლიტიკურადაც (ევროპის მასშტაბით). ვთქვათ, ქართული ცივილიზაცია, ტიპოლოგიურად და ისტორიულადაც, მართლაც დასავლეთევროპულის მსგავსია. მაგრამ ამ დებულებას ხომ სათანადო დასაბუთება ესაჭიროება.

რაგინდ პარადოქსულადაც გამოჩნდეს, ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში დღემდე არ ყოფილა საფუძვლიანი მცდელობა, გაგვეაზრებინა ზემოაღნიშნული პრობლემა. მოგეხსენებათ, ოდენ ბრმა რწმენაზე დამყარებული აზრი, სათანადო არგუმენტაციის გარეშე, საფუძველს მოკლებულია. ამასთან შეგახსენებთ, რომ დიდი ილია, შემდგომში ვახტანგ კოტეტიშვილიც საქართველოს ისტორიულად აღმოსავლეთის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ვთქვათ უზბეკებმა ან ტაჯიკებმაც ხომ შეიძლება დაიჯინონ, რომ თვიანთი ისტორიული განვითარებით სწორედ დასავლეთევროპულ სამყაროს ეკუთვნიან?! მაშ, სად ვეძებოთ გამოსავალი?

ასეთი აზრობრივი (აზროვნებითი) ჩიხი დიდად დამახასიათებელია საერთოდ დღევანდელი ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის. ჭარბად მოგვდევს ილუზია ჩვენი აზროვნების, კერძოდ, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ფილოსოფიის ფრიად მაღალი განვითარების შესახებ, მაგრამ როდესაც საქმე დიდ პრობლემათა გაცნობიერებაზე მიდგება, მაშინ აღმოჩნდება ხოლმე, რომ მხოლოდ აზროვნების ზედაპირზე ვიმყოფებით.

ჩვენს სტატიაში წამოჭრილი საკითხი, ცხადია, ვერ გადაიჭრება ერთი დიდი სამეცნიერო და ფილოსოფიური პრობლემის გარეშე, სახელდობრ – როგორ ვითარდებოდა მსოფლიო ისტორიული პროცესი, უფრო კონკრეტულად კი: როგორ უნდა გაიაზრებოდეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის პრობლემა. შესაბამისი საბჭოური სახელმძღვანელოების მიხედვით თითქოს ყველაფერი ნათელია: აღმოსავლეთიც და დასავლეთიც ვითარდებოდნენ ერთნაირი კანონზომიერებით, ე. ი. გადიოდნენ ერთსა და იმავე ფაზებს, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მსოფლიო ისტორიის იდეის გააზრება თითქოს დიდი პრობლემა როდია – საკმარისია დაეკურდეთ, მაგალითად, მხოლოდ ჩინეთის ისტორიას და ეს გააცხადებს იდეას. პარადოქსია, რომ ამგვარი უპრიმიტიულესი შეხედულება ლენინიზმის კლასიკოსებისგან – ვ. ლენინისაგან და ი. სტალინისაგან მოდის და მას არავითარი (სიტყვიერი მასალის გარდა) კავშირი არა აქვს ავთენტურ მარქსიზმთან. მრავალ დიდ უაზრობას რომ თავი დავანებოთ, ცხადია, რომ დღევანდელი და უახლესი წარსულის (4–5 საუკუნისა) დასავლეთი დიდად განსხვავდება აღმოსავლეთის უმეტეს საზოგადოებათა წარსულისაგან. ამდენად, საჭიროა გაიაზრებოდეს ამგვარი დიდი ისტორიული განსხვავებულობანი.

თავის დროზე, ჩვენი უდიდესი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი შეეცადა, თავისებურად გადაეწყვიტა აღნიშნული პრობლემა. მან მკვეთრად გაილაშქრა ევროპოცენტრიზმის წინააღმდეგ, როცა იგი მიიჩნია რასისტული მსოფლმხედველობის გამოვლინებად. იგი თვლიდა, რომ საზოგადოების დაყოფა სოციალურ კლასებად და წოდებებად, მათ შორის ბრძოლა (იდეურ დაპირისპირებათა ჩათვლით და მისთ.) დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთისთვისაც. მაგრამ ასევე დასძენდა, რომ დასავლეთისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლის დონე ძალზე დაბალი იყო, ასე რომ, უპირატესად აღმოსავლეთის ისტორიკოსებს მართებდათ დიდი ძალისხმევის გამოჩენა, თითოეული ქვეყნისა და, საერთოდ, აღმოსავლეთის ისტორიული პროცესების გაცნობიერების ბაზაზე შესაბამისი და საერთო ისტორიის ფილოსოფიის შექმნისათვის.

გასაგებია, რომ ივანე ჯავახიშვილისათვის აღნიშნული საკითხი ოდენ თეორიულ ინტერესს როდი წარმოადგენდა. მას, ვითარცა დიდ პატრიოტ ისტორიკოსს, ძალზე აღიზიანებდა პრიმიტიული ევროპო-

ცენტრიზმის თვალთახედვით, კერძოდ, საქართველოს ისტორიის ხედვა. იფარგლებოდა რა საქართველოსა და სომხეთის მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტებით, ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა თვალსაჩინო დინამიზმს სოციალურ ეკოლუციაში (საგვარეულო წეს-წყობილებიდან მონობის განვითარების გზით პატრონ-ყმობაზე (ფეოდალიზმზე) გადასვლა) – ამდენად, კერძო საკუთრების (მიწაზე) დიდ განვითარებას, ბრძოლას საეკლესიო და პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციისათვის და ა. შ.

ყოველივე ამის მტკიცებისას ივანე ჯავახიშვილი უთუოდ მართალი იყო. მაგრამ, ჯერ ერთი, ევროპოცენტრიზმის კრიტიკას იგი ძირითადად არცთუ ისე გამოჩენილი გერმანელი ისტორიოსოფოსის თ. ლინდნერის თვალსაზრისს ჯერდებოდა. როგორც ჩანს, ჩვენი დიდი წინაპარი არ ეცნობოდა მონტესკიეს, ჰეგელის და სხვათა ნააზრევს ამ საკითხის თაობაზე. მეორე: აღმოსავლეთი უზარმაზარი ისტორიული სამყარო იყო და მისთვის ცხადია დამახასიათებელი იყო გამონაკლისებიც. ცნობილია, რომ კ. მარქსი (ფრ. ენგელსთან ერთად) თავგამოდებული მომხრე იყო სპეციფიკური აღმოსავლური, აზიური წარმოების წესის, შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის არსებობის თვალსაზრისისა, რასაც იგი ასაბუთებდა ინდოეთის, ჩინეთის და სხვ. ქვეყნების მაგალითზე. მაგრამ როდესაც იაპონიის ისტორიას გაეცნო, ეს უკანასკნელი, დასავლეთევროპულის მსგავსად გააცნობიერა. ასევე, ფრ. ენგელსი წმინდა ფეოდალურად (და არა „აზიურად") თვლიდა ჯვაროსანთა ომების შედეგად წარმოქმნილ იერუსალიმის სამეფოს. ამგვარი გამონაკლისი იყო საქართველოც. მას შემდეგ, რაც ივანე ჯავახიშვილმა შესაბამისი აზრები გამოთქვა, საკმაო დრო გავიდა, მაგრამ აღმოსავლეთის შემსწავლელმა ისტორიკოსებმა (მათ შორის ადგილობრივი წარმოშობისა) დღემდე ვერ დამტკიცეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ისტორიული პროცესების დინამიკის მსგავსება.

ასე რომ, აღმოსავლეთი და დასავლეთი ისტორიულად ძალზე განსხვავებულად ვითარდებოდნენ და ამ საკითხვევაში აპრიორული, წინასწარ[illegible]შაებული თვალსაზრისი ევროპოცენტრიზმის თაობაზე არაფერ შუაშია. ცხადია, იყო დრო, ძვ. წ. IV ათასწლეულიდან მოკიდებული ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანამდე, როდესაც აზია, აღმოსავლეთი ბევრად უსწრებდა დასავლეთ ევროპას; თუ პირველი უკვე განასახიერებდა ცივილიზაციას, მეორე უმთავრესად – წინარე

სოციალურ ფაზებას. აძლებად, ისტორიული დროის ეს უზარმაზარი ზონა კვეთი აზიაცენტრიზმით ხასიათდებოდა, მაგრამ ძველი, ანტიკური საბერძნეთისა და შემდგომ რომის საზოგადოებების განვითარებისას, ისტორიული პროგრესის ცენტრმა დასავლეთში გადაინაცვლა. სოციალურ-ეკონომიკურად აღმოსავლეთისათვის (მისი უმთავრესი ქვეყნებისათვის) დამახასიათებელი იყო მიწაზე სასოფლო-სათემო და სახელმწიფო საკუთრების გაბატონებული მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, აქ კერძო საკუთრებამ ვერ გაიმარჯვა, სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი ვერ გახდა დომინანტური. სწორედ ეს გარემოება განაპირობებდა დესპოტიის სახელმწიფოებრივი ფორმის წარმოქმნასა და არსებობას აღმოსავლეთში ათასწლეულების განმავლობაში. რა თქმა უნდა, მსგავსი აზრები დიდად ერეტიკულად მოეჩვენება ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებს, მაგრამ თუ ისინი თვითკრიტიკულნი იქნებიან, ადვილად გაიცნობიერებენ, რომ აღმოსავლეთის ისტორიის ხედვა, წარმოსახვა დასავლეთ ევროპის მსგავსი საფეხურებით მოკლებულია სერიოზულ საფუძველს და ემყარება საბჭოური აზროვნების სტერეოტიპს.

მეტიც: როგორც აღმოსავლეთში იყო გამონაკლისები („აზიური", აღმოსავლური ისტორიული ფაზის შემდგომი საფეხურის განვითარების მხრივ), ასევე იყო ევროპაშიც. მაგალითისათვის დაეასახელებთ რუსეთს, რომელიც, ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, მკვეთრად განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპისაგან და ძალზე ემსგავსებოდა აღმოსავლეთს. რუსთათვის ძნელია ამ აზრთან შეგუება, მაგრამ გიორგი პლეხანოვს ეყო გამბედაობა და ჭეშმარიტების სიყვარული ამის აღიარებისათვის. დიდი პარადოქსია, რომ მისგან განსხვავებით რუსმა ბოლშევიკ-კომუნისტებმა, ამ „მართლმორწმუნე" მარქსისტებმა, ათეული წლების განმავლობაში ვერ გაიცნობიერეს კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის აზრები რუსეთის ტრადიციულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე. სამაგიეროდ, ისინი დიდად ეცადნენ თავიანთი ქვეყნის ისტორიული პროცესისათვის „მოერგოთ" დასავლეთ ევროპის ისტორიული ევოლუციის სამოსელი. ამიტომაც რუსეთის ისტორიის მეცნიერული გაგება-გააზრება ძალზე შეფერხდა; ამით შეფერხდა რუსეთის 1917 წლის ე. წ. ოქტომბრის რევოლუციისა და შემდგომი განვითარების გაგებაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ დავსძენთ, რომ ქართული

ცივილიზაცია თავის განვითარებაში (უწინარესად, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით), დიდად დაშორდა აღმოსავლეთს. საქართველოში გაიმარჯვა მიწაზე კერძო საკუთრებამ, ასე რომ, სათემო საკუთრება აქა-იქ თუ შემორჩა. ამის შესაბამისად, მეფის ხელისუფლებას დესპოტიის სახე არ მიუღია, თუმცა იყო ამის მცდელობა, სხვას რომ თავი დავანებოთ, მეზობელი ბიზანტიისა და მაჰმადიანური ქვეყნების მიბაძვითაც. იაკობ გოგებაშვილს მოუსმინოთ: „საოცარია და მეტად მანუგეშებელი მამულისშვილისათვის ის ისტორიული მოვლენა, რომ ჩვენმა ერმა, აზიის კუთხეში მცხოვრებმა, გარეშემო აზიური ხალხებით და დაწყობილებით (იგულისხმება ურთიერთობები — გ. ყ) შემოზღუდულმა, მეფის უფლებას მისცა ნამდვილი ევროპული თვისება, ხასიათი. ჩვენში მეფე სრულიად არ ჰგავდა სპარსეთის, ინდოეთის და ჩინეთის დესპოტებსა, განმარტოებულებს, მიუკარებლებს, რომელთა პირის ხილვაც კი თითქმის მიუტევებელ ცოდვას შეადგენდა". ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტული განცხადებით, საქართველოს მეფეების დიდი მცდელობის მიუხედავად, მათ თვითმპყრობელობა ვერ დაამყარეს მეფის ხელისუფლების ძლიერების პირობებშიც კი — XI-XII საუკუნეებში.

დაბოლოს, ეს ყოველივე გასაგებს ხდის ჩვენი საზოგადოების ბუნებრივ სწრაფვას, ლტოლვას დასავლეთისკენ. ეს ტენდენცია დღესაც მძაფრად იჩენს თავს.

ამდენად, პასუხი კითხვაზე, თუ რომელ ისტორიულ სამყაროს აღმოსავლეთსა თუ დასავლეთს მიეკუთვნებოდა საქართველო, ჩვენთვის ნათელია: ცხადია, დასავლეთს. ეს ეფუძნება არა ოდენ ჩვენს ნებასურვილს, არამედ დიდ ისტორიულ ფაქტებს, რომელთაც განზრახ ვერ შეთხზავ, და მსოფლიო-ისტორიული პროცესის სათანადო გააზრება-გაცნობიერებას.

მაგრამ ჩვენ დიდად ვულალატებდით ისტორიზმის თვალსაზრისს (პრინციპს), თუ მხოლოდ ზემოთქმულით შემოვიფარგლებოდით. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ფაქტია ისიც, რომ საქართველოს ისტორიულად აღმოსავლეთის ქვეყნები ერტყა გარს. ამას კი, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა შესაბამისი დაღი არ დაესვა ქართულ ცივილიზაციასა და ქართულ ხასიათზე. მეზობელი მძლავრი ქვეყნების პერმანენტულმა შემოსევებმა დიდად შეუწყეს ხელი ჩვენი საზოგადოების ისტორიულ დაჩიხულობას. თუ ერთ დროს, მიდიამ და ძველმა

სპარსეთმა დაჩქარეს ქართული სახელმწიფოს (ქართლის) წარმოქმნა, ამის შემდგომ აღმოსავლეთიდან (ერანიდან, სირიიდან, არაბთა სახალიფოდან) ოდენ კულტურული განვითარების იმპულსები მოდიოდა. საბოლოოდ კი აღმოსავლეთის ზეგავლენა საქართველოზე უფრო უარყოფითი იყო. ამის გამო ქართული ცივილიზაციის არათუ შემდგომი აღმასვლა, არამედ მიღწეული დონის შენარჩუნებაც კი გამოირიცხა – განსაკუთრებით XV ს. მეორე ნახევრის შემდეგ. განვითარების დიდი იმპულსები უნდა გაჩენილიყო დასავლეთ ევროპასთან ზემოქმედებით, მაგრამ აღმოსავლეთის ფაქტორის (თურქეთის სახით) წყალობით, ეს შესაძლებლობა აღიკვეთა. ამდენად, ჩვენს წინაპრებს შედარებით უკეთეს გამოსავლად ეჩვენებოდათ რუსეთის შემადგენლობაში ყოფნით (ცხადია, ავტონომიის უფლებით) დასავლეთ ევროპასთან დაახლოება. ფაქტია, რომ საქართველოს პოლიტიკურმა დაშლილობამ XV–XVIII საუკუნეების მანძილზე, 1801–1917 წლებში რუსეთის ცარისტულ იმპერიაში ყოფნამ, ხოლო 1921–90 წლებში რუსეთის განახლებულ, ბოლშევიკურ-კომუნისტურ იმპერიაში ინტეგრირებამ მძიმე შედეგები გამოიღო. ეს ყოველივე კარგად გამოჩნდა უკანასკნელი ათწლეულის ჩვენს ისტორიაში. დიდად სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკური (სახელმწიფოებრივი), სამართლებრივი, ზნეობრივი და ა. შ. შეგნების ჩამორჩენილობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ მხრივ დიდმა კონტრასტმა იჩინა თავი ჩვენსა და, მაგალითად, ლიტველებს, ლატვიელებსა და ესტონელებს შორის. ამდენად, ქართველობას დიდი ძალისხმევის გამოჩენა გვმართებს, რათა, უწინარესად, თვითონ ჩვენ ვიგრძნოთ თავი ევროპელებად და შემდეგ ასეთებად მიგვიჩნიონ მოწინავე, ევროპელ ხალხთა ოჯახში.

1999 წ.

სერიოზული საფიქრალი

ნიკოლო მიწიშვილმა თავის წერილში „ფიქრები საქართველოზე“ ფრიად სერიოზული საკითხები დააყენა. სხვა საქმეა, რომ მან ვერ შეძლო მისი გადაწყვეტა. უპირველესად აღსანიშნავია მის მიერ საქართველოს წარსულის, ქართული კულტურის, ცივილიზაციის არსის, საზრისის გაგება-გაცნობიერება. ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა საერთოდაც, რასაკვირველია, პოეტსა და პროზაიკოსს არ ხელეწიფება და იგი უნდა აღასრულოს ისტორიკოსმა, სოციოლოგოსმა (ზოგად სოციოლოგიას ვგულისხმობთ) და ფილოსოფოსმა. სამწუხაროდ, არც იმხანად და არც ამჟერად ამ პროფესიების წარმომადგენლები ნაკლებად ცდილობენ დასმული საკითხის გაზრებას: ახლაც, როგორც მაშინ, უმთავრესად მწერლები, ლიტერატორები მსჯელობენ აღნიშნული საკითხის თაობაზე. თუ ობიექტურ ვიქნებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკოლო მიწიშვილის წერილამდე ოცი წლით ადრე ჩვენი უდიდესი ისტორიკოსი და მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „თითოეული ხალხის ისტორიის შესწავლაზეა დამოკიდებული ბეკრის მხრივ ის მეცნიერება, რომელსაც ისტორიის ფილოსოფიას ეძახიან, რომელიც შეადგენს ჩვენი მეცნიერების უზენაეს მიზანს“. მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავდა იგი, „საქართველოს ისტორიის მეცნიერულ, კრიტიკულ შესწავლას ჯერ იმ დონემდე არ მიუღწევია, რა დონეზედაც ძველი საბერძნეთისა, რომისა და დასავლეთ ევროპის ისტორია იმყოფება, რომ ისტორიკოსმა ძირითადი ფაქტების უცილობლობის წყალობით თითქმის სრულებით დაუსაბუთებლად სწეროს და მარტო ზოგადი პრობლემების განხილვით იყოს გატაცებული“. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, როგორც ეხედავთ, იმხანად ისტორიის ფილოსოფიის კონკრეტული დაფუძნება შესაძლებელი იყო მხოლოდ სამ დიდ მაგალითზე — საბერძნეთის, რომისა და დასავლეთ ევროპის ისტორიისაზე.

ასე რომ, აღნიშნული პრობლემის გაზრება თითქოს არ შეიძლებოდა ინდოეთის, ჩინეთის და სხვა აღმოსავლურ ცივილიზაციათა, კულტურათა შესწავლის იმჟამინდელ დონეზე. მით უმეტეს, ჩვენი დიდი ეროვნული

მოლეაწის ფიქრით, ეს შეუძლებელი იყო საქართველოს ისტორიის მაგალითზე, რომელიც ჯერჯერობით ძირითადად ფაქტოლოგიის დონეზე შესწავლით უნდა მომხდარიყო. ცნობილი ფაქტია, რომ ნაშრომის – „ისტორიის მიზანი, წყაროები, მეთოდები წინათ და ახლა“ – მესამე წიგნში ივანე ჯავახიშვილი აპირებდა ისტორიის ფილოსოფიის ყველა საკითხის შესწავლას, რაც, ჩვენდა საუბედუროდ, არ დასცალდა (როგორც კი ცით, 1926 წლიდან მოყოლებული ოცი დიდი ხნის მანძილზე განუწყვეტელი შევიწროების ობიექტად იქცა). აქ დავსძენთ, რომ ისტორიის ფილოსოფიის თვალთახედვით საქართველოს ისტორიული პროცესის გააზრებას ამ დარგის ფარგლებში ოდენ თავისთავადი მნიშვნელობა რომ აქვს. ამის გარეშე თვით ჩვენი ისტორიის ნამდვილად მეცნიერული გააზრება შეუძლებელია.

ქართულ აზროვნებაში, რა თქმა უნდა, იყო ცდები ქართული ცივილიზაციის, კულტურის არსის გააზრებისა, მისთვის ადგილის მიჩენისა მსოფლიო-ისტორიულ პროცესში. ასე მაგალითად, ილია ჭავჭავაძის აზრით (ასევე მიაჩნდა ვახტანგ კოტეტიშვილსაც), საქართველო თავისი ისტორიული და კულტურული არსით აღმოსავლეთს, აზიას მიეკუთვნება. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, ევროპისა (დასავლეთ) და აღმოსავლეთის ისტორიის მკვეთრი დაპირისპირებულობის ხაზგასმა უსაფუძვლო გახლავთ და, ამდენად ამ თვალსაზრისით, საქართველოს ისტორიული ადგილის გაცხადება ბუნდოვანი ხდება: გერონტი ქიქოძის აზრით, ჩვენი ქვეყანა ისტორიულად და კულტურულად ხმელთაშუა ზღვის კულტურათა წრეს ეკუთვნოდა. მაგრამ ძალზე გაურკვეველი რჩება თვით საკითხი ამ კულტურული წრის რაობა-არსის თაობაზე. სახელდობრ, როგორ შეიძლება ერთნაირად გაიაზრებოდეს იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, ერთი მხრივ, და ეგვიპტე, სირია, თურქეთი, მეორე მხრივ, აღნიშნული ქვეყნები ხომ აშკარად სხვადასხვა კულტურას, ცივილიზაციას განასახიერებდნენ. ქართულ კულტურაზე, ცივილიზაციაზე მსჯელობდნენ სერგი დანელია, კონსტანტინე კაპანელი და შალვა ნუცუბიძე, მაგრამ საკითხის ღრმა, სისტემურ გააზრებას ვერც მათთან ვხვდებით.

ერთი სიტყვით, კარგა ხანია მომწიფებულია დრო, რათა მთელი სიგრძე-სიგანით გადაჭრილ იქნეს ნიკოლო მიწიშვილის მიერ აღძრული საკითხი. ვიმეორებ, რომ ეს პრობლემა უპირველესად ისტორიკოსების, სოციოლოგოსებისა და ფილოსოფოსების ამოცანა უნდა იყოს. მაგრამ

იყვე ძოდეში ვართ იძისა, რომ ისტორიკოსები ძირითადად ფაქტოლოგიური კლეკა-ძიებით, უკეთეს შემთხვევაში, ჩვენი ისტორიული პროცესის ცალკეული მხარეების შესწავლით არიან დაკავებულნი; ასე რომ, ნიკოლო მიწიშვილის მიერ დასმული საკითხი მათთვის „მეტაფიზიკას" წარმოადგენს. მეორე უკიდურესობას განასახიერებენ დღევანდელი ჩვენი სოციოლოგოსები და ფილოსოფოსები, რომლებიც ჩვენი ისტორიის საზრისის თაობაზე უზოგადეს, საყოველთაოდ ცნობილ ფრაზებს სჯერდებიან. უკანასკნელ ხანებში იყო ცდები (ედუარდ კოდუას, ოთარ ჯიოევის და თამაზ ბუაჩიძის მიერ) ისტორიის ფილოსოფიის დაფუძნებისა. მაგრამ საკითხი ქართული ცივილიზაციის, კულტურის რაობა-არსისა მათ მიერ არ დასმულა.

ერთი სიტყვით, ნიკოლო მიწიშვილის მიერ დაყენებული საკითხი არამარტო პუბლიცისტიკის, არამედ მეცნიერების (საისტორიო) და ფილოსოფიის დონეზეც უნდა გაიაზრებოდეს. თუ ჩვენი აზროვნება მომწიფებულია სერიოზული მეცნიერებისა და ფილოსოფიისათვის, ეს უპირველესად აღძრული საკითხის გააზრებისას უნდა გამოჩნდეს.

ნიკოლო მიწიშვილის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ იგი შეეცადა ჩვენი ისტორიის გააზრებას სათანადო თეორიული ბაზით. იმხანად მოწინავე მსოფლიო საზოგადოებრივ აზროვნებაში მოდად იქცა გერმანელი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის ოსვალდ შპენგლერის მოძღვრება, გადმოცემული მისეულ ორტომიან „ევროპის დაისში". აღნიშნული მოძღვრების თანახმად, როგორც ცნობილია, საკითხი ნამდვილ მსოფლიო ისტორიაზე, მის აწმყოზე ფაზებზე ე. ი. მსოფლიო-ისტორიულ პროგრესზე საუბრით გამორიცხებოდა. „ევროპის დაისის" ავტორის მიხედვით, მსოფლიო ისტორიაში არსებობდა რვა კულტურა (ეგვიპტის, ბაბილონეთის, ინდოეთის, ჩინეთის, საბერძნეთ-რომის, ბიზანტია-არაბეთის, დასავლეთ ევროპისა და მაიასი (ამერიკის მატერიკზე). თითოეული მათგანი გადიოდა დაბადების, ზრდისა და კვდომის ფაზებს (მაიას კულტურა, როგორც ვიცით, ესპანელთა ძალადობით მოკვდა), ისინი შემოქმედებითი ფაზიდან (რომელსაც ოსვალდ შპენგლერი კულტურად მიიჩნევდა) გადადიოდნენ ცივილიზაციის ფაზაში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო და არის ტექნიკის, ბუნებისმეტყველების, ბიუროკრატიის, მილიტარიზმის განვითარება, მსოფლიო ქალაქების, მასების გაზრდილი როლი, ცეზარიზმის და ა. შ. გაჩენა. სწორედ ამგვარ ფაზაში იმყოფებოდა.

ოსვალდ შპენგლერის აზრით, დასავლეთ ევროპა საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან მოყოლებული და, განსაკუთრებით — პირველი მსოფლიო ომისა და შემდგომ წლებში. ამჯერად თავი დავანებოთ ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის მოძღვრების ძლიერ და სუსტ მხარეებს. დიდად სასიამოვნო ფაქტი გახლავთ, რომ მისი მოძღვრება უცხო არ დარჩენილა ოციანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის (თანაც მხოლოდ რუსული ენის, კულტურის მეშვეობით კი არა, არამედ უშუალოდ ორიგინალის ენაზე გაცნობით). მას იცნობდნენ როგორც ნიკოლო მიწიშვილის „ფიქრების“ ფათაბაზე ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ გამშლილი დისკუსიის მონაწილენი (მიწიშვილის გარდა გრიგოლ რობაქიძე, ბენო გორდეზიანი და სხვ.), ისე ფილოსოფოსები; შალვა ნუცუბიძე და მოსე გოგიბერიძე სპეციალურ სტატიებში გადმოსცემდნენ ოსვალდ შპენგლერის თეორიას, ხოლო მოსე გოგიბერიძემ თარგმნა და დაბეჭდა კიდეც ნაწყვეტი „ევროპის დაისის“ მეორე ტომიდან. ამ ფაქტიდანაც ჩანს, რომ ძველი, თავისუფალი საზოგადოებრივი აზროვნება ოციან წლებში ჯერ კიდევ განაგრძობდა სვლას და ბოლშევიზმ-კომუნიზმის სუსხს იგი ჯერჯერობით ვერ გაეხვეებინა და გაეყინა!

მაგრამ ნიკოლო მიწიშვილის დამსახურება აღნიშნული მხრითაც უდავოა. აქ დგება საკითხი, თუ რამდენად პერსპექტიულია ოსვალდ შპენგლერის მოძღვრება ქართული კულტურის, ცივილიზაციის (ტერმინის ფართო მნიშვნელობით და არა შპენგლერისეული გაგებით) გასააზრებლად. უნდა ითქვას, რომ მთელი სიღრმით იგი მაშინდელი დისკუსიის დროს არც დასმულა. მაგრამ ამ საკითხის შესახებ ამჯერად აღარ გავაგრძელებთ მსჯელობას. პირადად მე უფრო პერსპექტიულად მიმაჩნია საქართველოს ისტორიული პროცესის გააზრება-გაცნობიერება იმ თეორიულ ბაზაზე, რომელიც შექმნეს ჰეგელმა და მარქსიზმის კლასიკოსებმა (ცხადია, ვ. ლენინისა და ი. სტალინის ნაკლოვანი და პრიმიტიული აზრები აქ არაფერ შუაშია).

აღსანიშნავია ერთი მომენტი. შპენგლერს თავის „ევროპის დაისში“ ჰქონდა ერთობ უსუსური და გულუბრყვილო მოსაზრება რუსული კულტურის არაჩვეულებრივი მომავლის თაობაზე; თითქოსდა მას შეჰქონდეს, რაც რვა კულტურა უკვე დაიღუპა, ან ადგილი აქვს კულტურის ცივილიზაციით შეცვლას (დასავლეთში ამერიკის ჩათვლით), ამერიკიდან მომდინარე ისტორიული ასპარეზი რჩება რუსულ კულტურას. თვით

რუსეთის ისტორიული ყარსულის არსიც ძპეგლერს (ასევე ვიტყვით არნოლდ ტოინბის მისამართითაც) ძალზე ზედაპირულად წარმოუდგინა. ასევე ვერ გაიგო მან XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასწყისში „რუსული" კულტურის აყვავება-გაფურჩქნის ფაქტი (იგი არსებითად დასავლური კულტურის განშტოების წარმოადგენდა). მაგრამ ყურადღება იმის შემდეგ, რაც მოხდა რუსეთში ბოლშევიკური რევოლუციის შედეგად (რომელიც იმდენად წინ არ იყო მიმართული, არამედ უკან, რუსეთის ძველი ისტორიის საფუძვლების აღსადგენად), აშკარად გამოჩნდა გერმანელი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის შეხედულების გულუბრყვილობა. ამჟამად მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ დაიმსხვრა „მომაკვდავ" ევროპულ კულტურასთან, „ცივილიზაციასთან" ჭიდილში „მომავალი", „ცოცხალი" რუსული საბჭოური კულტურა. სწორედ შპენგლერის ამ უსუსურ და გულუბრყვილო მოსაზრებას ჩაეჭიდა ნიკოლო მიწიშვილი.[1] მისი შეხედულებითაც, „ქრისტიანული კულტურა დასავლეთის ღაცვდა. რომანულ-გერმანულ რასათა გენეალოგიის ხეს მოალპა ფესვი. ევროპა, როგორც იდეა – გათავდა. ესაა ფაქტი, რომელსაც არ მალავს თვით დასავლეთი", ხოლო „ამ გათავების ფაქტს უნდა მოჰყვეს დაწყება სხვა, ახალი კულტურისა, ან გადახალისება არსებულის. მაგრამ სად, რომელ ადგილზე მოხდება ეს? კულტურის მიგრაციის კანონები გვიპასუხებს, რომ უთუოდ ჩრდილოეთისაკენ – აღმოსავლეთით"[2]. თუ ოსვალდ შპენგლერის აზრით, მომავალი მხოლოდ რუსული კულტურისა იყო, ნიკოლო მიწიშვილმა „მომავალი კულტურის წრე" უფრო მკაცრად გააფართოვა. იგი წერდა: „რუსეთი, საქართველო, სომხეთი, უკრაინა, ციმბირი, თურქესტანი, აზერბაიჯანი... ეს გეოგრაფიულად და რასიულად სხვადასხვა ელემენტები, ერთის იდეითა და ახალი ისტორიული ინერციით შეერთებული, – პერსპექტივაში გვიხატავს წარმოუდგენელ შემოქმედებით შესაძლებლობას და ახალი ეპოქის მიღწევანი შეიქმნება ამ ხალხთა თანასწორი მონაწილეობით"; „ეს იქნება არა რუსული კულტურა, არა კულტურა რომელიმე სხვა ერის, არამედ საერთო მიღწევა ყველა ხალხების, ჩამდგარის ერთ მთლიან საკაცობრიო გზაზე"[3].

---

1 იხ. მისი „ჩემი პასუხიც". ჟურნ. „ქართული მწერლობა", 1927, N 1.

2 იქვე. გვ 91.

3 იქვე. გვ 93.

აი კიდევ ნიკოლო მიწიშვილისეული პროგნოზები საქართველოს მომავლის თაობაზე: „ჩვენ, კავკასიის ერებს, კერძოდ, ქართველებს ამ ნიაღვარზე გვეშლება განუსაზღვრელი ასპარეზი მოქმედებისა"; „ჩვენი კულტურული მისია წითელ აზიისაკენ აქედანვე უნდა აფიქრებდეს ყოველ შეგნებულ ქართველს"[1]; „მე მწამს – ეს იდეა (ოქტომბრის რევოლუციისა – გ. ყ.) გაამთელებს საქართველოს, ეს იდეა გააერთიანებს მას, ის შეაკავშირებს ერის უმრავლესობას"[2]. როგორც ვხედავთ, ნიკოლო მიწიშვილის უკიდურესი ისტორიული ნიჰილიზმი და პესიმიზმი დიდმა ისტორიულმა ოპტიმიზმმა შეცვალა და ამ მეტამორფოზას საფუძვლად დაედო ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმი და შპენგლერიანიზმი.

დაბოლოს, აღვნიშნავთ ნიკოლო მიწიშვილის აზრების აქტუალურობას ერთ ასპექტსაც. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობამ მრავალი საფიქრალი აღუძრა მოაზროვნე ქართველობას. უცილობელი ფაქტია, რომ ამ ხანის ქართული კულტურა აშკარად დააღგა შემოქმედებით აღმავლობას: აღორძინდა და განვითარდა ქართული ხელოვნება (მწერლობა, მუსიკა, თეატრი, მხატვრობა), მეცნიერება (განსაკუთრებით ჰუმანიტარული დარგები, რაც შპენგლერის შეხედულებით დამახასიათებელია „კულტურისათვის" და არა „ცივილიზაციისათვის"), ფილოსოფია (რომელზედაც იგივე ითქმის). საოცარია, რომ ყოველივე ამის დანახვა ვერ მოახერხა „ქართველმა ჩაადაგმა" (როგორც მას უწოდებდნენ) – ნიკოლო მიწიშვილმა. მე ვფიქრობ, რომ ამის მიზეზი მის ინტელექტში კი არაა საძებნი, არამედ ფსიქოლოგიურ მხარეში – ძალზე საშუალო ნიჭის პოეტსა და პროზაიკოსს არ სურდა სხვათა ნამღვილი შემოქმედება დაენახა და ამით თავისებურ ფსიქოლოგიურ, სოციალურ თვითდამკვიდრებას ახდენდა.

მაგრამ ფაქტი გახლავთ ისიც, რომ ამ პერიოდის საქართველოს, აღნიშნულთან ერთად, მრავალი მანკიერი ნიშან-თვისებაც თან ახლდა, რასაც მთელი პირდაპირობით აღნიშნავდა ნიკოლო მიწიშვილი. რაოდენ აქტუალურია დღეს მისეული აზრები: „როცა ცხოვრებას ოდნავ

---

1 იხ. მისი „ჩემი პასუხიც", ჟურნ. „ქართული მწერლობა", 1927, N 1., გვ. 93.

2 იქვე, გვ. 94.

დაწყნარება დაეტყო და ერის მოაზროვნე ხაწილი მდგომარეობის შეფასებას შეუდგა. მან დაინახა, რომ ბევრი რამ ჩვენ სრულიად არ გვქონია, ბევრი რამ თავიდან ფოფილა დასაწყები და თავიდან ფოფილა დასაწყები. „ვრეთვე ფიქრები საქართველოზე“[3]; „საქართველო და პატრიოტობა დღეს ჩვენში შეიქნა ყველა კარიერა შერყვნულ ქართველის ჯაგლაგათ, რომელსაც მიაჩანჩალებს დონ-კიხოტივით“![4] ამგვარი პირდაპირობა გამართებს ჩვენც ამჟამად, უკანასკნელი ექვსი წლის ისტორიის განცდის შემდგომ. ამ წლებმა ხომ უპირველესად განგაშის გრძნობა დაგვიტოვა, აგრეთვე – შიში ჩვენს საზოგადოებაში არსებული ბნელი, სტიქიონისებური ძალებისა, განცდა უძლურებისა და სკეპსისი მომავლის წინაშე. ყველივე ამან უკანასკნელი წლების მანძილზე უთუოდ იმოქმედა ჩვენი კულტურის, კერძოდ, საზოგადოებრივი აზროვნების იმპოტენცია-სიბერწეზე. ჩვენ სათანადოდ, მთელი სიგრძე-სიგანით, უნდა გავიცნობიეროთ ჩვენი ისტორიის უახლესი მონაკვეთი, გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები და დავძლიოთ დიდი სოციალური აპათია და ნიპილიზმი, რომლებმაც ღრმად მოიცვა თანამედროვე ქართული საზოგადოება. ამ მხრივაც, როგორც უკვე ვამბობდით, ნიკოლო მიწიშვილის მწარე ფიქრები უთუოდ ძალზე აქტუალური და სტიმულის მომცემია.

1994 წ.

---

3 იხ. მისი „ჩემი პასუხიც“. ჟურნ. „ქართული მწერლობა“. 1927, N 1., გვ. 93.

4 „ფიქრები საქართველოზე“. ჟურნ. „ქართული მწერლობა“.1926, №4–5, გვ.14.

ნაწილი მეოთხე

ხსოვნა

„სწავლულ კაცებზე“ აღმატებული

(ვახუშტი ბაგრატიონის დაბადებიდან 300 წლისთავის გამო)

ჟამთააღმწერლიდან (XIV ს.) მოყოლებული ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი შეყოვნება იყო. ამიერიდან კარგა ხნის განმავლობაში, ვრცელი და მაღალხარისხოვანი საისტორიო თხზულებანი აღარ იწერებოდა. დიდი სამეცნიერო (ისტორიოგრაფიული) ტრადიციის ამგვარი დაკნინების მიზეზი საკმაოდ გასაგებია: ქვეყანაზე თავსდამტყდარმა ძნელბედობებმა პოტენციურ შემოქმედ ისტორიკოსებს ვრცელი ნაშრომების წერის ხალისი დაუკარგა. ამ თვალსაზრისით, ჩვენი საისტორიო აზროვნება გამოცოცხლდა 1696 წელს, როცა ფარსადან გორგიჯანიძემ სპარსეთში დაამთავრა თავისი ნაშრომი „საქართველოს ისტორია“. მაგრამ ამ წელს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ მოხდა: დაიბადა დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი.

თუმცა, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების თვალთახედვით, ვახუშტი ბაგრატიონის მსოფლმხედველობა ფეოდალიზმის ჩარჩოებში თავსდება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მან შეძლო ქართული ისტორიოგრაფიის ახალი ეტაპის დამკვიდრება. რა იყო ამის მიზეზი? ნიჭიერება, წმინდა შემთხვევითობა თუ კათოლიკე მისიონერთაგან შეთვისებული სწავლა-განათლება (სამეფო კარზე მიღებულთან ერთად)?

ამასთან, ჩვენ უფრო რთული კითხვის წინაშე ვდგებით. ასახსნელია, თუ რატომ, რის საფუძველზე გახდა შესაძლებელი XVII-XVIII საუკუნეების ქართული აღორძინება, რომელმაც სოციალური შემოქმედების სხვადასხვა მხარე მოიცვა. ტრადიციული საბჭოური აზროვნებისა და თვით აკადემიური მარქსიზმის მიხედვითაც აღნიშნულის მიზეზი თითქოს ეკონომიკურ ცვლილებებშია საძებნი. და, მართლაც, ისეთი მეცნიერიც კი, როგორიც კორნელი კეკელიძე იყო, ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ეკონომიკურ აღმავლობაზე მიანიშნებდა. მაგრამ ამგვარი ახსნა არაფერის მომცემია და რაც მთავარია, არ ასახავს

სათანადო ფაქტებს. საგულისხმოა, რომ დიდი მეცნიერის ცხორებამოღვაწეობის წინა საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებას, ყოფასა და სულიერ ცხოვრებას წალეკვით ემუქრებოდა სპარსეთის ზეგავლენა. მაგრამ, საბედნიეროდ, ამგვარმა უარყოფითმა ზეგავლენამ ქართველთა მხრივ საპასუხო რეაქცია გამოიწვია – გაჩნდა ეროვნულ-პატრიოტული მიმართულება, რაც უწინარესად, პოეზიასა, ლექსიკოგრაფიასა და ისტორიოგრაფიაში გამოვლინდა. ასევე, საბედნიეროდ, შესაბამისი დარგების ქართველ შემოქმედთ ქართლის სამეფოს მესვეურნი გიორგი XI და ვახტანგ VI მხარში ამოუდგნენ. მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ „ერის დაცემული ვინაობის" (ილია ჭავჭავაძე) ფეხზე დასაყენებლად ისტორიოგრაფიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაც ვახტანგ VI-მ „სწავლულ კაცთა კომისია" შექმნა ისტორიკოს ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით და მას დაავალა წინამავალი ოთხი საუკუნის ისტორიის დაწერა და ამით არსებული დიდი ისტორიოგრაფიული ვაკუუმის შევსება.

ვახუშტი ვახტანგ მეექვსის შვილი იყო. საკმაოდ სარწმუნო წყაროებით ირკვევა, რომ დიდი მეცნიერის დედა გლეხის ქალი იყო. ცხადია, სისხლის ამგვარი „აღრევა" თანადროულ „ბაღალ საზოგადოებას" ძალზე აღელვებდა. მაგრამ რაკი ვახუშტის დიდ ნიჭიერებასა და ამასთან ერთად დიდ ზნეობას ამჩნევდნენ, ჯერჯერობით ჩუმდებოდნენ, ხოლო როცა ჩვენმა სახელოვანმა წინაპარმა ხმა აღიმაღლა მაღალი წრის წარმომადგენელთა უმსვავსობის წინააღმდეგ, მაშინ კი უკვე გაუხსენეს „უკანონო წარმომავლობაც".

რაგორც ვთქვით, ვახუშტი ბაგრატიონმა თავისი დროის საქართველოსათვის შესაშური სწავლა-განათლება მიიღო. მას ასწავლიდნენ იესე (სამეფო კარის დეკანოზი) და გიორგი გარსევანიშვილები. მეფისწულის სწავლა-განათლება შემდეგ თბილისში მყოფმა ფრანგმა კათოლიკე მისიონერებმა განაგრძეს. ბერძნული, თურქული და სომხური ენების გარდა, ვახუშტიმ იცოდა ლათინური, ფრანგული და რუსული ენებიც. ცხადია, ამ უკანასკნელ სამ ენაზე მას სათანადო ლიტერატურაც ეჭნებოდა წაკითხული.

გარდა ჩვეულებრივი სწავლა-განათლებისა, მომავალი დიდი ისტორიკოსისათვის დიდი სკოლა იყო სამეფო კარზე მიღებული პოლიტიკური გამოცდილება. ეს სკოლა მან შემდგომშიც განაგრძო;

როგორც სარდალმა, ორჯერ მიიღო მონაწილეობა ქსნის ერისთავთ
წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში. აგრეთვე უხდებოდა სომხით
საბარათიანოს სადროშოს სარდლობა, ხოლო 1722 წელს, ვახტან
VI-ის განკაში ყოფნისას, ქართლის სამეფოს გამგებლის მოვალეობის
აღსრულება დაევალა. ზოგიერთი ისტორიკოსის ცნობით, ვახუშტის
მონაწილეობა უნდა მიეღო დიპლომატიურ ღონისძიებებშიც. მაგრამ
რასაკვირველია, ვახუშტი ბაგრატიონის სახელი დიდების შარავანდედით
შეიმოსა არა სამხედრო საქმით, პოლიტიკური და დიპლომატიური
მოღვაწეობით, არამედ მრავალმხრივი სამეცნიერო შემოქმედებით.

უპირველესად აღსანიშნავია დიდი მეცნიერის წვლილი ქართულ
ისტორიოგრაფიისა და საქართველოს გეოგრაფიის (კარტოგრაფიულ
სამუშაოების ჩათვლით) საქმეში. თუმცა, მისივე აღიარებით
ისტორიოგრაფია (საისტორიო მეცნიერება) საკმაოდ უნიერსალურ
სამეცნიერო დარგი იყო და მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდ
კერძოდ გეოგრაფია. თავისი ცოდნითა და შემოქმედებით ვახუშტ
ბატონიშვილი შორს გასცდა საისტორიო გეოგრაფიის ფარგლებ
და, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა გეოგრაფიას, როგორც
დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგს საქართველოში. თუ ამ შემთხვევაშ
მეცნიერების ახალი დარგის შექმნასთან გვაქვს საქმე, სხვა შემთხვევაშ
ვახუშტი ქართული ისტორიოგრაფიის ახალი ეტაპის შემქმნელა
გვევლინება. ჩანს, რომ ჩვენი სახელოვანი წინაპარი თავისი დიდ
ნაშრომის – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს დასაწერად მდიდარ
დიდძალ მასალას აგროვებდა ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას
სათანადო შრომა განაგრძო 1724 წლის შემდგომაც, როცა ვახტან
VI ავანტიურისტული პოლიტიკის წყალობით ქართლის სამეფო
იძულებული სოციალური ელიტის დიდ ნაწილს საშინლის დატოვებ
მოუხდა და, ვახუშტის ჩათვლით, რუსეთში გადაიხვეწა.

თითქოს უკვე აღარ იყო აქტუალური წინამავალი ოთხი საუკუნი
ისტორიის დაწერა, რაც უკვე აღასრულა „სწავლულ კაცთა კომისიამ
ბერი ეგნატაშვილის მესვეურობით; თანაც ამ სამუშაოს სამეცნიერო
კოლექტივი საკმაო ხანს მოუნდა. მაგრამ დიდმა ისტორიკოსმ
„სწავლულ კაცებს“ თამამი გამოწვევა შესთავაზა; დაიწუნა მათ
ნამუშაკევი და თვითონ იკისრა არა მარტო 400-წლიანი ხანგრძლივობ
შემცველი ისტორიის დაწერა, არამედ წინამავალი პერიოდის ქვეყნ

ისტორიოგრაფიის რიგი დამხმარე დისციპლინების ჩანასახების შექმნაც. ამდენად, ჩვენ ვართ მოწმენი კონკურენციისა დიდ შემოქმედ პიროვნებასა და საშუალო ნიჭის პირთაგან შემდგარ კოლექტივს შორის. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, 1745 წლის (როცა დაიწერა ვახუშტი ბატონიშვილის დიდი ნაშრომი) შემდგომ არავინ ეჭვობდა, თუ ვის მხარეზე იყო გამარჯვება. მით უმეტეს, ნათელია ეს დღევანდელ ქართველთათვის. მშვენიერი ჭკუის სასწაულებელი გაკვეთილია იმათთვის, ვინც, საბჭოური მენტალობიდან გამომდინარე, წინ სამეცნიერო კოლექტივის წამოწევას ცდილობს და ამით უგულებელყოფს შემოქმედი პიროვნების როლს მეცნიერების, კერძოდ, ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

თუ წინამორბედი ისტორიკოსებისათვის ამოცანა, ძირითადად, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების თხრობაში მდგომარეობდა, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „ესე მატიანე განიყოფების ოთხწილად: ადგილის აღწერად, ნათესავთმეტყველებად, წლისმრიცხველობად და მოქმედების აღწერად, და ესეცა განიყოფების ორად – საეკლესიოდ და სამოქალაქოდ“[1]. ვახუშტის, როგორც დიდად მართლმორწმუნე ქრისტიანს, ეჩვენებოდა, რომ საეკლესიო ამბების თხრობა საგრძნობლად ჩამორჩებოდა საეროსას, ამიტომ დიდ ნაშრომში ცდილობდა შექმნილი დისპროპორციის გამოსწორებას. მან საქართველოს ისტორია დაყო ორ დიდ პერიოდად: ძველად, რომელიც მოიცავდა ერთიან საქართველოს (უპირველესად, აღსანიშნავია მის მიერ ლეონტი მროველისეული არმენოფილური თვალსაზრისის უსწორება), და ახალ პერიოდად, რომელიც იწყება სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ საქართველოს დაშლიდან. რასაკვირველია, მისი იდეალი იყო ერთიანი საქართველო – როგორც კულტურულად, ისე პოლიტიკურად. ამიტომაც ძველი საქართველოს შესახებ თხრობა მასთან გარკვეული რომანტიკულ-ელფერითაა გამორჩეული.

ნაშრომს დაერთვის წინასიტყვაობა სათაურით: „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“. მისი შინაარსი სულაც ვერ თავსდება მსგავს სახელდებაში. და მოიცავს ჩვენი საზოგადოების სახელმწიფოებრივ წყობას, სოციალურ სტრუქტურას, რელიგიას, სამართალს და, რალა თქმა უნდა, ყოფასაც.

---

1 „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, სიმ. ყაუხჩიშვილისეული გამ., თბილისი, 1973, გვ.4.

ჩვენი მეორე დიდი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, აღნიშნული წინასიტყვაობა არის „ქართველთა მრავალსაუკუნოვანი წარსულის საზოგადო ფილოსოფიურ-ისტორიული მიმოხილვა, რომლის მსგავსი ქართულ მწერლობაში არც წინათ დაწერილა და არც შემდეგში“[1].

ერთი სიტყვით, ვახუშტი ბაგრატიონმა მოგვცა ბრწყინვალე ნიმუში იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ისტორიკოსი და აქედან გამომდინარე, როგორ უნდა იწერებოდეს ერთიანი ისტორია. მსგავსი მაგალითები შემდგომაც, საბედნიეროდ, სხვა ქართველ ისტორიკოსებსაც მოუყრიათ.

ჩვენმა დიდმა წინაპარმა ქართველ ისტორიკოსებს სხვაგვარი ნიმუშიც უჩვენა. როგორც იგივე ჯავახიშვილი შენიშნავდა, ისტორიოგრაფიულ შემოქმედებაში ერთ-ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორია თვითონ ისტორიკოსის პიროვნება, მისი ინტერესები, ზნეობა, იდეალები. ვახუშტის, წმინდა მეცნიერული ინტერესების გარდა, დიდად აღელვებდა თანადროული საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძნელბედობანი. დიდი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის იდეალი იყო ქართველთა ეროვნული (კულტურული) ერთიანობის კიდევ უფრო მაღალი დონის მიღწევა და პოლიტიკურად გაერთიანებული საქართველო.

1997 წ.

---

1 ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბილისი, 1977, გვ. 338.

არდასავიწყებელი პიროვნება

(ალექსანდრე სვანიძის დაბადებიდან 110 წლისთავის გამო)

ას ათი წელი შესრულდა ცნობილი მეცნიერისა (ისტორიკოსის) და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის ალექსანდრე სვანიძის დაბადებიდან.

ალექსანდრე სვანიძე დაიბადა რაჭის სოფელ ბაჯში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1903 წელს იგი შეუდგა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. 1910 წელს გერმანიაში გაემგზავრა და დაამთავრა იენის უნივერსიტეტის საისტორიო-ფილოლოგიური ფაკულტეტი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობით. მან საფუძვლიანად შეისწავლა გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენები, ეუფლებოდა ხეთურ და ურარტულ (ალაროდიულ) ენებს. აგრეთვე სწავლობდა პალეს უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე.

1918 წელს ალ. სვანიძე საქართველოში დაბრუნდა. მან თხოვნით მიმართა ახალდაარსებული უნივერსიტეტის მესვეურს ივანე ჯავახიშვილს, რათა უნივერსიტეტში წაეკითხა ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კურსი. მართალია, თანხმობა მიიღო, მაგრამ საქმის წარმატებით დამთავრებას ხელი შეუშალა იმჟამინდელი საქართველოს მთავრობის განათლების სამინისტრომ (რუსეთის მოქალაქეობის მოტივით). 1918 წლის ბოლოდან ალექსანდრე სვანიძე გერმანულ ენას ასწავლიდა თბილისის პირველ გიმნაზიაში. 1918–20 წლებში მონაწილეობდა რუსეთის სამოქალაქო ომში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921–24 წლებში, ალ. სვანიძეს ეკავა რესპუბლიკის სახალხო განათლებისა და ფინანსთა კომისრის პოსტები, პარალელურად იყო საგარეო საქმეთა კომისარიც. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილთან, ივანე ჯავახიშვილთან და დიმიტრი უზნაძესთან, მატერიალურად ეხმარებოდა უნივერსიტეტსა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებს.

1924 წლიდან ალექსანდრე სვანიძე უკვე მოსკოვში ცხოვრობდა. ჯერ დანიშნეს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად გერმანიაში,

შემდეგ. წლების მანძილზე, იგი ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის გამგეობას. ბოლოს კი, 1937 წლამდე, სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე იყო...

ალ. სვანიძის მოღვაწეობა 1937 წელს შეწყდა. იგი ტრაგიკულად დაიღუპა 1942 წელს საკონცენტრაციო ბანაკში.

სახელმწიფო სამსახურის პარალელურად ალ. სვანიძე ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1934–37 წლებში გამოაქვეყნა შრომები რუსთველოლოგიასა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. მან თვალსაჩინო ღვაწლი დასდო რუსთაველის იუბილეს მომზადებას. მისი უშუალო მეცადინეობით გამოიცა „ვეფხისტყაოსნის" კ. ბალმონტისეული თარგმანი (მანამდე, 1933 წელს, „ვეფხისტყაოსანი" პარიზში გამოიცა მისი წინასიტყვაობით). ალ. სვანიძის დიდი ხელშეწყობით თბილისის უნივერსიტეტთან დაარსდა რუსთაველის ინსტიტუტი (1933 წელს). 1935 წელს, როდესაც შეიქმნა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტი, მის თავმჯდომარედ დაინიშნა სწორედ ალ. სვანიძე. მანვე დაწერა წინასიტყვაობა „ვეფხისტყაოსნის" ცაგარლისეული რუსული თარგმანისათვის, რომელიც 1937 წელს გამოქვეყნდა. საკუთრივ რუსთველოლოგიაში ალ. სვანიძემ გამოთქვა საინტერესო მოსაზრებანი პოემის ისტორიული და გეოგრაფიული რეალიების თაობაზე, დაწერის პერიოდზე და ა. შ.

დიდად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1935–36 წლებში, ივანე ჯავახიშვილის შეეწროების ჟამს, ალ. სვანიძემ დახმარების ხელი გაუწოდა ჩვენს სახიქადულო მეცნიერსა და მამულიშვილს, როცა შესთავაზა ძველი აღმოსავლეთის პრობლემათა კვლევა-ძიების ჯგუფის შექმნა და ხელმძღვანელობა. ამასთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავს სერგო ჯორბენაძე: „ჭეშმარიტად საყოველთაო მადლობის ღირსია ალ. სვანიძე. იგი არა მარტო საკუთარ წყენად თვლის ივანე ჯავახიშვილის წყენას, არა მარტო საჭიროდ თვლის სხვისი მოქმედებისათვის ბოდიში მოუხადოს ივანე ჯავახიშვილს, არამედ გამოხატავს რა სრულ ხდომას, ისწრაფვის გულწრფელად ახალი პრობლემის მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნოს დიდი ქართველი ისტორიკოსი".[1] მეტიც, როგორც ჩანს, ალ. სვანიძემ დიდი როლი

1 ს. ჯორბენაძე, „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა", თბილისი, 1984, გვ. 538.

ძეასრულა ივახე ჯავახიშვილის ფიზიკურ გადარჩენაში ი. სტალინთან ნათესაობის გამო (ალ. სვანიძე ამ უკანასკნელის ცოლისძმა იყო). ალ. სვანიძე მას ძველი ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს ურთიერთობების საქმის ვითარებას აცნობდა ხოლმე; ამასთან დაკავშირებით იგი ი. სტალინს ივანე ჯავახიშვილის შესახებაც ელაპარაკებოდა. ამას მოჰყვა ივანე ჯავახიშვილის წარდგენა საკავშირო აკადემიის ნამდვილ წევრად.[2]

1934 წელს ალექსანდრე სვანიძე ე. სტრუვესთან და ს. კოვალიოვთან ერთად მიიწვიეს კომისიაში, რომელსაც უნდა მოემზადებინა ძველი ისტორიის სახელმძღვანელო. მისივე ინიციატივით 1937 წელს დარსდა სამეცნიერო ჟურნალი „Вестник древней истории", რომლის პირველი რედაქტორი თავად იყო (ამჟამად ეს ჟურნალი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ორგანოა).

ალ. სვანიძეს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ბევრ ცნობილ უცხოელ მეცნიერთან. სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ ხსენებულ ჟურნალში სისტემატურად იბეჭდებოდა მათი ნაშრომები. ალ. სვანიძემ თბილისში მოიწვია გამოჩენილი ორიენტალისტები კ. ლემან-ჰაუპტი და ბ. პროზნი. მათი ლექციები ჩვენი რესპუბლიკის იმდროინდელი კულტურული ცხოვრების საინტერესო მოვლენა გახდა.

ნიჭიერ მკვლევარს ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა...

აღმოსავლეთის ისტორიის კვლევა-ძიებისას ალ. სვანიძეს ახასიათებდა მოვლენების, ფაქტების ფართო თვალთახედვით დანახვის უნარი. აღმოსავლეთის, კერძოდ ძველი პერიოდის, ისტორიას როცა იკვლევდა, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს გარემომცველი ქვეყნების ზემოქმედებას ქართული კულტურის განვითარების პროცესზე.

ალ. სვანიძემ მახვილგონიერულად შენიშნა, რომ სიტყვებში: „ფრანგალა", „თაკვაყირა", „ყირაზე გადასვლა", სიტყვა „ყირა" არავითარ შემთხვევაში არ აიხსნება ქართული ენის მეშვეობით. სამაგიეროდ ამ სიტყვებს ადეკვატური ახსნა მოეძებნება ურარტული სიტყვა „ყირით", რაც მიწას აღნიშნავს. მისი ბრწყინვალე მეგნება ქართული სიმღერის მისამღერებში „არი არალი (-არალე)", „თარი არალი (არალე)", „ივრი არალი (არალე)" და სხვ. ძველაღმოსავლური ღვთაებ:ს (კერძოდ,

2 აღნიშნულის თაობაზე უფრო დაწვრილებით იხ. ჩვენი წერილი „როგორ გადაურჩა „დიდ ტერორს" ივანე ჯავახიშვილი", გაზ. „ხრულიად საქართველოდ", 1996, N 3.

მოსაზღვრის ღვთაება არაღეს) სახელისა და ურარტული სიტყვების „მოგვეც“, „მეუფე“ ამოკითხვა (სიტყვა „თარი“ მან ქართული და სპარსული ენების მეშვეობით გაიაზრა). კლდეში ნაგებობების კვეთის ურარტული ტრადიციის გაგრძელებას ალ. სვანიძე ხედავდა საქართველოში (უფლისციხისა და ვარძიის მაგალითებზე) და ა. შ. პარადოქსია, რომ მავანთ არ სურთ აღიარონ ალ. სვანიძის დამსახურება ურარტულოლოგიაში და იგი საეჭვოდ იგნორირებულია.[3]

1922 წელს ალ. სვანიძემ თბილისში ქართულ ენაზე გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომი „აღმოსავლეთის ისტორია. სპარსეთი“. ნაშრომში „ქართლის ცხოვრების“ პირველი შემადგენელი თხზულების – „მეფეთა ცხოვრების“ ხასიათზე ეკითხულობთ: „ამ წყაროს შინაური და გარეული ყველა ურდოს თვალით უყურებს... ზოგს სრულიად უვარგის ისტორიულ წყაროთ მიაჩნია ეს ქრონიკა, მაგრამ ეს შემცდარი აზრია. ქართლის ცხოვრების სინხრონიზმები გვიმტკიცებენ, რომ ზოგ უაზრო ცნობასთან ერთად აქ მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობებიც მოიპოებიან. ეჭვს გარეშეა, რომ მის ავტორს ისეთი წყარო ან წყაროები ჰქონებია ხელთ, რომელნიც ჩვენ დღეს აღარ მოგვეპოვებიან“[4]. ისტორიკოსი ამას აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1922 წელს! ე. ი. იმ დროს, როცა „მეფეთა ცხოვრების“ მიმართ უაღრესად ჰიპერკრიტიცისტული დამოკიდებულება იყო გაბატონებული. მხოლოდ 1930-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში, ახალი არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული აღმოჩენების საფუძველზე, გახდა შესაძლებელი „მეფეთა ცხოვრებისადმი“ ზემოაღნიშნული პოზიციის გადასინჯვა, რაც პაველ ინგოროყვამ და გიორგი წერეთელმა გააკეთეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ალ. სვანიძე დაასკვნიდა იკერიის (ქართლის) სამეფოს წარმოშობას ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის ზოგადისტორიულ ფონზე. მან რეალურად მიიჩნია აზოსა და ფარნავაზის პიროვნებანი. მკვლევრის არგუმენტაციით ასევე ნამდვილად ისტორიული პირები არიან საისტორიო ქრონიკაში მოხსენიებული არტაგი, ფარსმანი, საურმაგი, ასფაგური, რომელთაც ბერძენ-რომაელი ავტორები თავიანთ თხზულებებში ადასტურებენ. რატომ უნდა დავუშვათ გამონაკლისი მაინცდამაინც ფარნავაზის მიმართ?

3 იხ. მაგალითად, „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის“ 1971 და 1988 წლების გამოცემები, შესაბამისი სტატია, ქსე, ტ. 9, 1985, გვ. 311.

4 დასახ. წიგნი, გვ. 33–34.

კიდევ მეტი, ამ უკანასკნელს, როგორც სამეფო დინასტიის წარმომადგენელს, ალ. სვანიძის აღიარებით, ხომ იცნობს სოფლი მემატიანე ფაუსტოს ბიზანტიელი? აღნიშნავდა რა ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის მიზეზებს, დიდი და მცირე სამეფოების წარმოქმნას ამ იმპერიის ნანგრევებზე, მკვლევარს ანალოგიით გამოჰქონდა საინტერესო დასკვნა მსგავსი პოლიტიკური ევოლუციის შესახებ ძველ ქართლში (იბერიაში). მანვე ყურადღება მიაპყრო დავით ჩუბინაშვილის გამოკვლევას ქართული წელთაღრიცხვის ძვ. წ. 284 წლით დათარიღების შესახებ და დაასკვნა, რომ ეს წელი უნდა ყოფილიყო ფარნავაზის გამეფების თარიღი.

ეს ყველაფერი დღეს ფართოდ არის გაზიარებული თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ კვლავ პარადოქსია, რომ არავინ აღიარებს ალ. სვანიძის დაშსახურებას. ესეც კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რა დონეზე დგას დღეს საქართველოში სამეცნიერო ეთიკა.

დაბოლოს, შევჩერდებით ალ. სვანიძის ერთ ფილოსოფიურ ბროშურაზე „ემპირიოკრიტიციზმი“, რომელიც ავტორმა თბილისში გამოსცა 1911 წელს. მხედველობაში ჰქონდა რა ვ. ლენინის „დიდი ფილოსოფიური ნაშრომი“, ალ. სვანიძე წერდა: „იმ რამდენიმე თვეში, რომელიც ლენინს ფილოსოფიის შესასწავლად გადაუდია, მას არა თუ უშრომია, თავიც – კი უმტკრეევია ემპირიოკრიტიციზმზე. მაგრამ საუბედუროთ ამაოთ. მისი წიგნი, რომელშიაც ემპირიოკრიტიციზმის რეაქციონური ხასიათი უნდა იყოს დამტკიცებული, ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ რამდენიმე თვეში ფილოსოფოსად გახდომა თუნდაც ისეთი ნიჭიერი პიროვნებისთვის, როგორიც არის ლენინი, შეუძლებელია. მისი წიგნი თავიდან ბოლომდე საგიტაციო ბროშურის ენითაა დაწერილი, იგი საესეა საგაზეთო პოლემიკის მარგალიტებით, მხოლოდ ფილოსოფიურ მოსაზრებას – კი, რომელიც ან დიალექტიურ მატერიალიზმს ასაბუთებდეს, ან ემპირიოკრიტიციზმს ძირს უთხრიდეს, მასში ძალიან ცოტა ადგილი აქვს“[5].

ერთი სიტყვით, თავისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ალ. სვანიძემ ისეთი კვალი დატოვა, რომლის დაკარგვა ქართველთაგან არ შეიძლება. კარგი იქნებოდა, თუ ეიზრუნებდით მისი შრომების კრებულის გამოცემაზე.

1997 წ.

---

5 დასახ. ნაშრ., წინასიტყვაობა, გვ 5–6.

ᲔᲠᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ

(ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)

თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა შორის საკმაოდ მრავლად მოიპოვებიან ისტორიკოს-მკვლევრები, რომელნიც, კრიტიკულ-ფილოლოგიური მეთოდით აღჭურვილნი, წარმატებით იკვლევენ ცალკეულ საკითხებს. მაგრამ იშვიათობა გახდა მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის ორიგინალურობით, შემოქმედების თავისებურებით გამორჩეული, მოაზროვნე ისტორიკოსი. საბედნიეროდ, ამგვარი შემოქმედებითი ნიჭით მომადლებული ისტორიკოსები წარსულში არაერთი გვყავდა დავითის ისტორიკოსისგან მოყოლებული. ამ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ ივანე ჯავახიშვილიც და ზურაბ ავალიშვილიც. მათ შემდგომ ერთ-ერთ გამორჩეულ, მოაზროვნე ისტორიკოსად წარმოჩინდა ნიკო ბერძენიშვილი, რომლის დაბადებიდან ასი წელი გასრულდა ამ დღეებში.

იგი დაიბადა გურიის სოფელ გოგოლესუბანში (ჩოხატაურის ახლოს). 1904 წელს შევიდა ბათუმის გიმნაზიაში, რომელიც, პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობის გამო, არ დაასრულებინეს. მოხდა ისე, რომ ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მომავალ ისტორიკოსს შეუწყდა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ამ ხნის მანძილზე მუშაობდა კერძო მასწავლებლად დაწყებით სკოლაში. ბათუმის გიმნაზია დაამთავრა მხოლოდ 1917 წელს, მას შემდეგ, როცა რუსეთში რომანოვების დინასტია დემოკრატიულმა, რესპუბლიკურმა წეს-წყობილებამ შეცვალა. იმავე წელს სწავლას დაწაფებული ახალგაზრდა ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ უსახსრობის გამო სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო. შემდგომ ცდილობდა განათლება უცხოეთში მიეღო, მაგრამ იმავე მიზეზით ეს შესაძლებლობაც გამოირიცხა. 1920 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე (დაამთავრა 1926 წელს). თავდაპირველად სურდა დასავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლაში დასპეციალებულიყო. მაგრამ შემდეგ ორიენ-

ტაცია შეიცვალა საქართველოს ისტორიაზე. სწორედ ამ საგანში სპროფესორიდ მოსამზადებლად დატოვეს იგი უნივერსიტეტში თავად დიდი ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით.

ნიკო ბერძენიშვილის აზროვნება ყალიბდებოდა ძველი საზოგადოებრივი სისტემის რღვევისა და ახლის დაფუძნების პირობებში. ამ პროცესს, ბუნებრივია, თან ახლდა მსოფლმხედველობრივი პლურალიზმი, სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური პოზიციების არჩევა. ახალგაზრდა ისტორიკოსი მტკიცედ იდგა ეროვნულ პოზიციებზე და, ამასთანავე, დიდ ინტერესსა და ენერგიას ავლენდა სოციალური საკითხების მოსაგვარებლად. ასე რომ, ისტორიული ვითარება ხელს უწყობდა პიროვნების ინდივიდუალურობის გამოკვეთას. ამას დაემატა „შეგირდობა" გამოჩენილ ქართველ მეცნიერებთან, განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილთან.

საისტორიო მუზასთან, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგის მფარველთან, იმთავითვე წილნაყარი იყო ბატონი ნიკო. შემთხვევითი კი არა, არამედ მისი სათანადო ნიჭისაგან მომდინარეობდა, რომ გიმნაზიიდან გამოძევების წლებში იგი წერდა პიესებს, მოთხრობებს, ლექსებსაც კი. სწორედ ამ ნიჭის წყალობით ისტორიის ნიკო ბერძენიშვილისეული თხრობა დიდად მიმზიდველია. განსვენებული მამია დუმბაძე სამართლიანად აღნიშნავდა ნიკო ბერძენიშვილის „ორიგინალურ, გამჭვირვალე სტილს, რომელშიაც „ქართლის ცხოვრების" სიმფონიის სურნელება ხალხურ მეტყველებას ერწყმოდა"[1]. ამ თვალსაზრისით მეცნიერი წარმატებით აგრძელებდა გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსთა ტრადიციას და თითქმის ტოლს არ უდებდა ისტორიული რომანების აღიარებულ ავტორებს — ვასილ ბარნოვს, კონსტანტინე გამსახურდიას, ლევან გოთუას. და ჩვენც, სამწუხაროდ, უნდა ვალიაროთ ძველი ჭეშმარიტება, რომ ისტორიკოსს ყველაფერთან ერთად ლიტერატორის ნიჭიც ესაჭიროება.

ფართო იყო ნიკო ბერძენიშვილის აზროვნების თვალსაწიერიც არა მხოლოდ საქართველოს ისტორიაში, არამედ მსოფლიო ისტორიული პროცესის ცოდნაში. ცნობილია, იგი ძირითადად საქართველოს ფეოდალური ეპოქის ისტორიის შესწავლას მიუძღვნიდა, მისკენ

---

1 იხ. მისი „ნიკო ბერძენიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა", თბილისი, 1978, გვ. 3.

რეცენზია სიმონ ჯანაშიას წიგნზე – „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“ საგნის, თემის დიდი ცოდნითა და წვდომით არის დაწერილი: იგივე ითქმის აბელ კიკნაძის სადოქტორო ნაშრომზე (რომელიც XIX საუკუნის პირველ მეოთხედს ეხება) შესრულებულ მის რეცენზიაზე. ნიკო ბერძენიშვილმა ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საისტორიო გაკვეთილი დაგვიტოვა: გვასწავლა, რომ ოდეს ვიწრო სპეციალიზაციის ბაზაზე, ფართო ისტორიული თვალთახედვის გარეშე, სერიოზული ისტორიკოსი ვერ ჩამოყალიბდება.

მავანთაგან განსხვავებით, იგი გრძნობდა დიდ პასუხისმგებლობას ერისა და ისტორიოგრაფიის წინაშე იმითაც, რომ დიდად ზრუნავდა ისტორიკოსთა სათანადო კადრების მომზადებაზე (ნიჭიერი მეცნიერი ხომ იმითაც ფასობს, თუ როგორი კადრები დატოვა თავის დარგში). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან შექმნა თავისი სკოლა ორიგინალური (სოციალური) თემატიკით (სამწუხაროდ მის მოწაფეთა შორის არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც მოძღვარს თუნდაც გაუტოლდებოდა).

1920-იან წლებში, როდესაც საბჭოურ სისტემას ჯერ კიდევ სავსებით ვერ დაეჭკნო თავისუფალი აზროვნების ყვავილი, ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში არაჩვეულებრივი ინტერესი შეინიშნებოდა მეთოდოლოგიისადმი. თბილისის უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილს სპეციალური კურსიც კი მიჰყავდა ამ საგანში. ბუნებრივია, რომ საისტორიო მეცნიერების მეთოდოლოგია დიდად დააინტერესებდა ნიკო ბერძენიშვილსაც. ხოლო როდესაც, კერძოდ საქართველოშიც, XX საუკუნის ოციანი წლების ბილოს შეუტიეს მეცნიერებაში ე. წ. კონდრატიევშჩინას და მიზანში ამოიღეს ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი წლების მანძილზე მხარში ედგა სახელოვან მასწავლებელს.

მას შემდეგ, რაც ისტორიკოსებს ორიგინალური მსოფლმხედველობის უფლება წაერთვათ, ზედმეტი იყო სერიოზულ მეთოდოლოგიაზე საუბარი და იგი ვ. ლენინისა და ი. სტალინის წყალწყალა ფრაზებს დაეფუძნა. ნიკო ბერძენიშვილი მაინც ახერხებდა ორიგინალურობა შეენარჩუნებინა საისტორიო აზროვნებაში. მაგალითად, მოაზროვნე ისტორიკოსი როგორ დასჯერდებოდა გეოგრაფიული ფაქტორის უგულებელყოფას ისტორიული პროცესების გააზრებაში! ამიტომაც იგი ცდილობდა აღნიშნული ფაქტორისათვის სათანადო ანგარიში გაეწია. ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების დონეზე (იგი გვარის არსებობას უკავშირებდა

„გორას“, ხოლო გვართა გაერთიანებას – ხევს). მისი დამსახურებაა, რომ ისტორიის ინსტიტუტში შეიქმნა სათანადო სამეცნიერო უჯრედი საისტორიო გეოგრაფიის სახით.

ორიგინალური მოძღვრება შემოიტანა ნიკო ბერძენიშვილმა ქართველი ერის ჩამოყალიბების კონცეფციაში იმითაც, რომ, მისი აზრით, თავდაპირველად ქართველობად შეიკრა მთელი საქართველოს მაღალი ფენები, კულტურის ერთობის საფუძველზე. ამის მტკიცებისას აშკარად იგრძნობა ოტო ბაუერის თეორიის ზეგავლენა (რამდენად მკრეხელობად ითვლებოდა თავისი დროისათვის!). ასეთი მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა. საერთოდ, დროა, ქართველმა ისტორიკოსებმა ხელი მოჰკიდონ ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიის სერიოზულ, ღრმა კვლევა-ძიებას, ისტორიკოსთა მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის წარმოჩენას. ამ მხრივ, ისინი დიდად დავალებულნი არიან კერძოდ ნიკო ბერძენიშვილის წინაშეც.

ის იყო არა მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფიის, არამედ საერთოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარების ორგანიზატორი; მეცნიერებათა აკადემიაში მისი ვიცე-პრეზიდენტობის წლებს (1951–57) უკვალოდ არ ჩაუვლია. ზედმეტია იმის შეხსენება, თუ როგორ ზრუნავდა იგი საისტორიო მეცნიერების განვითარებაზე ისტორიის ინსტიტუტის დირექტორობისას (1948–65 წლებში).

ნიკო ბერძენიშვილზე, ამ უდავოდ გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეზე საუბრისას, უპრიანია ილია ჭავჭავაძეს დავესესხოთ: „შვილმა უნდა იცოდეს, საღ და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების ულელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი – ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უმისოდ თვითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უსორთუმო სპილოს „ავანება, დაკით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება“. მით უმეტეს, რომ ილიასავე მტკიცებით „აღდგენა ისტორიისა ერის გამოცოცხლებაა, გამომხსნელობაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამოკვლევა სიბნელისაგან“.

მეორე მხრივ, ნიკო ბერძენიშვილს ისეთ პირობებში მოუხდა ცხოვრება, რომელთაც არ შეეძლო კვალი არ დაეტოვებინა მის მსოფლმხედველობაში

და შემოქმედებაზე. კერძოდ, მან გარკვეული ხარკი გაუღო საბჭოურ აზროვნებასა და დოგმატიზმს. ჩვენამ ამ შემთხვევაში მთავარია ის დიდი ღირსებები, რომლებიც უპირველად წარმოჩენილი ისტორიკოსის ნაღვაწში. ჩვენ გვმართებს ამ პიროვნების მთელი სისავსითა და ობიექტურობით წარმოჩენა, რათა ეს მომენტი, ილიას ნათქვამისა არ იყოს, თავისებური სასტარტო მოედანი აღმოჩნდეს ცოდნის ჩვენი უძველესი დარგის – ისტორიოგრაფიის აღორძინება-განვითარებისათვის. ილუზიების დრო მიდის და ისტორიის მუზის მსახურთ მართებთ დარგის პრესტიჟის ამაღლება, ჩვენი საისტორიო ცნობიერების (არა ოდენ ისტორიოგრაფიის) ნამდვილად ცივილიზებული, კულტურული საზოგადოების დონეზე ამოზიდვა.

1995 წ.

დიდი მასწავლებლის ღირსეული მოწაფე

(ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)

ივანე ჯავახიშვილის შემდგომ პერიოდში ნიკო ბერძენიშვილს ნამდვილად გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართველ ისტორიკოსთა შორის. პარადოქსია, რომ მიუხედავად საბჭოური მარქსიზმისა თუ ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის გაბატონებული იდეოლოგიური მდგომარეობისა, ნიკო ბერძენიშვილმა შეძლო ჰქონოდა და შეენარჩუნებინა გამოკვეთილი მეცნიერული იერსახე, ყოფილიყო ისტორიკოსი-მოაზროვნე (და არა ოდენ ისტორიკოსი-მკვლევარი). ამ პარადოქსის საფუძველი იგივე გახლავთ, რაზეც გალაკტიონ ტაბიძე მიუთითებდა პოეტებს: ნიჭი! რასაკვირველია, ჩვენს უკანასკნელ გამოჩენილ ისტორიკოსს ჰქონდა ფართო ინტერესები, დიდი erუდიცია, მაგრამ, მავანთაგან განსხვავებით, მასში ეს შეერთებული იყო ნიჭთან.

1995 წელს აღინიშნა ნიკო ბერძენიშვილის დაბადების ასი წლისთავი. ამით ისტორიკოსთა საზოგადოებრიობამ სათანადო პატივი მიაგო გამოჩენილი ისტორიკოსის ხსოვნას. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტის გაერთიანებული საიუბილეო სესია, რომლის მასალები გამოაქვეყნა გამომცემლობა „მეცნიერებამ". ყოველივე ამის გამო მადლობის მეტი რა გვეთქმის.

კრებულში, ცალკე ბოხსენების (დავით მუსხელიშვილი) სახით, ლაპარაკია ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის მთავარ მომენტებზე, ბიოგრაფიაზე (იური სახარული) და მის რააზრეკზე საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების შესახებ (გიორგი მელიქიშვილის, ალრი ბოგვერაძის, დერმიშა გიგოლაძის, მიხეილ გაფრინდაშვილის, გერონტი გასვიანის, როლანდ თოფჩიშვილის, თამაზ პაპუაშვილის, დევი ბერძენიშვილის და სხვათა მოხსენებებში), რაც კარგად წარმოაჩენს ნიკო ბერძენიშვილის ფართო სამეცნიერო ინტერესებსა და დიდ erუდიციას.

კრებულის ავტორებს ცალ (ცალკე) აღებული საკითხებისათვის, რა-

თქმა უნდა, თავი კარგად გაურთმევიათ. მაგრამ მაინც რჩება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ნიკო ბერძენიშვილის პიროვნება და აზროვნება უფრო ფართო და ღრმა გააზრებას საჭიროებს. მით უფრო ახლა, როცა ჩვენი საზოგადოება სოციალური, ეკონომიკური და ა. შ. თვალსაზრისით გარდამტეხ ფაზაში იმყოფება და როცა ისტორიკოსთა ერთობლიობა ასე ნიველირებულია.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ფაქტორი, რაც ნიკო ბერძენიშვილს სხვათაგან გამოარჩევდა. მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა. ამის შემდგომ კვლავ გასააზრებელი რჩება, თუ კონკრეტულად რაში გამოვლინდა მისეული ნიჭი.

კრებულის წინასიტყვაობაში როინ მეტრეველი აღნიშნავს: „ნ. ბერძენიშვილს ჰქონდა წერისა და მეტყველების მეტად გამორჩეული, ორიგინალური სტილი, რითაც იგი გაიძულებდათ, მისი გამოკვლევები ურთულეს პრობლემებზე სიამოვნებით წაგეკითხათ“ (გვ. 5). 92-ე გვერდზე მიბეილ გაფრინდაშვილი აღნიშნავს მეცნიერული ნაშრომის წერის ნიკო ბერძენიშვილისეულ უნიკალურ, პირდაპირ მწერლურ ნიჭსა და კულტურას. სხვაგან (დევი ბერძენიშვილი) ხაზგასმულია ნიუთების (წარსულის) ენის ცოდნა, მათი ამეტყველების უნარი. იგივე ავტორი აცხადებს: „საწუხაროდ, მე ახლაც მგონია, რომ ჯერჯერობით ვერავინ შეძლო ნ. ბერძენიშვილზე უკეთ (ამას ვინ ჩივის, მის დონეზე თუ მაინც? – გ. ყ) ამეტყველებინა ველზე ნანახი ძეგლები. მას საამისო საფუძვლად დიდი ცოდნა ჰქონდა და, რაც მთავარია, შემოქმედებითი წარმოსახვის საოცარი ნიჭი“ (გვ. 136). იმავე ავტორის მიხედვით, „ვინც მას შეხვედრია, ბევრს ახსოვს ალბათ, დროდადრო როგორ აენთებოდა და, წარმტაცი აზრის აბრიალებით, როგორ შეეძლო მსმენელის აყოლიება, დარწმუნება“ (იქვე).

ასე რომ, ერთი მხრივ ნიკო ბერძენიშვილს ჰქონდა „აზროვნების სიმახვილე და სიღრმე, ფაქტების, მოვლენების სრულად გახსნისა, ლოგიკური მსჯელობის უნარით, ბუნებისგან უხვად იყო მომადლებული“ (ანრი ბოგვერაძე, გვ. 61). მეორე მხრივ, ხაზგასმულია გამოჩენილი ისტორიკოსის მწერლური ნიჭიერება და, კერძოდ, შემოქმედებითი წარმოსახვის უნარი. ამ [illegible] სწორად არის დანახული ნიკო ბერძენიშვილის [illegible] გამორჩეულობის საიდუმლოება. მაგრამ, ჯერჯერობით, მხოლოდ ამის აღნიშვნა როდია საკმარისი. ამის შემდგომ

საჭირო იყო საკითხის მეტი ჩაღრმავებულობით წარმოჩენა და ნათელყოფა, რასაც კრებულში ვერ ვხედავთ. მეტსაც ვიტყოდით, დღემდე აღნიშნული ვითარება არავის ნათელუყვია. საერთოდაც, დღევანდელი ქართველი ისტორიკოსები მხოლოდ ისტორიოგრაფიით, როგორც მეცნიერების იდეით არიან გატაცებულნი, ხოლო ისტორია მუზის საუფლო ხელოვნებასაც, კერძოდ ლიტერატურას, რომ მოიცავს ამაზე ძალზე სუსტი წარმოდგენა აქვთ. სხვათა შორის, თვითონ ნიკო ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ ისტორიოგრაფია ჩვენს დროში საბოლოოდ გამოეთიშა პოეზიას და, საერთოდ, მხატვრული შემოქმედების სფეროს და მეცნიერებად იქცაო. პარადოქსია, ამას აცხადებდა ისტორიკოსი, რომლის ისტორიოგრაფიული შემოქმედება აშკარად ამყარავნებს მხატვრულ შემოქმედებასთან წილნაყარობას და, აბა, რა უნდა ითქვას სხვებზე, რომლებიც მსგავს ნიჭს სავსებით მოკლებულნი არიან. ამდენად აღძრული საკითხი კვლავ ელის სათანადო დამუშავებას, რის გამოც ნიკო ბერძენიშვილის ფენომენი მთელი სიგრძე-სიგანით ვერ გვეცოდინება.

ასევე სასურველია, რომ უფრო მეტად ყოფილიყო გამოკვეთილი ნიკო ბერძენიშვილის პიროვნება, რომელიც ძირითადად სხვა პერიოდსა და საბჭოურ ეპოქაში ჩამოყალიბდა, და რამაც განსაზღვრა ისტორიკოსის ინდივიდუალურობა. ამ მხრივაც, მისდა საბედნიეროდ, მასწავლებლად ჰყავდა დიდი ივანე ჯავახიშვილი, რამაც აგრეთვე, ხელი შეუწყო მის ქართველ პატრიოტად და ქვეყნის მოქალაქედ ჩამოყალიბებას. ამან, თავის მხრივ, განაპირობა ისტორიკოსის სოციალური როლის სათანადო აღსრულებაც საზოგადოების წინაშე, აქედან გამომდინარე – ეროვნული პოლიტიკური პოზიცია.

ჩვენ, რასაკვირველია, შორს ვდგავართ ნიკო ბერძენიშვილის, როგორც პიროვნებისა და ისტორიკოსის, ყოველმხრივი იდეალიზაციისაგან. სამწუხაროდ, მასაც მოუხდა კომპრომისებზე წასვლა, ხარკის გაღება დოგმატიზმისადმი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვიმეორებთ, მან შეინარჩუნა ინდივიდუალური იერსახე და შესაძლებლობის (საერთო) პირობებში ცდილობდა ისტორიოგრაფიის, როგორც მეცნიერების ორგანიზაციას და საკუთარი სამეცნიერო სკოლის შექმნას, რაშიც მას საქმის ღირსეული გამგრძელებელი აღარ ჰყოლია. მაგალითად, დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს: ნიკო ბერძენიშვილი ღირსეულად

ფაქტობრივად, ოკუპაციას ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან. წლების მანძილზე, განუწყვეტელი თავდასხმებისას, გვერდით ედგა თავის დიდ მასწავლებელს. მისი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტობის დროს (1951 წლიდან) მტკიცედ აღუდგა წინ წინადადებას საქართველოს რუსეთთან „შეერთების“ 150 წლისთავის ფართო აღნიშვნის თაობაზე. ყოველივე ამის ჩვენებით საიუბილეო კრებული უთუოდ დიდად მოიგებდა...

1996 წ.

ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი

სარგის კაკაბაძე დაიბადა ქუთაისის მაზრის სოფელ კუხში (ახლანდელ ხონის რაიონში) ღარიბი გლეხკაცის ოჯახში (მამამისი – ნესტორი ერთხანს მებორნედაც მუშაობდა). მომავალმა ისტორიკოსმა დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო (კლასიკური) გიმნაზია, სადაც წესით გლეხის შვილს ფეხის შედგმის უფლება კი არა ჰქონდა; მაგრამ თვითონ „რუსთ ხელმწიფის“ მითითებით შეიძლებოდა ამ წესიდან გამონაკლისიც დაეშვათ განსაკუთრებით ნიჭიერ ყმაწვილთათვის. ბატონმა სარგისმა სიყმაწვილიდანვე არაჩვეულებრივი ნიჭი გამოავლინა, კერძოდ, მათემატიკასა და ისტორიოგრაფიაში. ასე რომ, თვითონ პატარა სარგისის დამსახურება იყო მისი მოხვედრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 13 წლისა იყო ივი, როდესაც დაწერა „იმერეთის ისტორია 1462–1810 წლებში“. მალე, 16-17 წლის ასაკში, დაიწყო სტატიების გამოქვეყნება „ივერიაში“. გიმნაზიაში სწავლისას რეპეტიტორობას ეწეოდა და ამ გზით დაგროვილი ფულით გაემგზავრა ავსტრიის იმპერიის სატახტო ქალაქ ვენაში, სადაც ჩაირიცხა უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ისტორიის განხრით.

აქ იგი მეცადინეობდა ცნობილი, მსოფლიო სახელის მქონე ალფონს დოფშის საისტორიო სემინარში, მაგრამ მატერიალური ხელმოკლეობის გამო იძულებული გახდა, მიეტოვებინა ვენის უნივერსიტეტი და 1907 წელს სასწავლებლად გადმოსულიყო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხურ-ირანულ განყოფილებაზე, სადაც თავის დროზე სწავლობდა და შემდეგ ასწავლიდა დიდი ივანე ჯავახიშვილი. სამი წლის შემდეგ მან დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტი და საქართველოში დაბრუნდა. 1911-1919 წლებში კითხულობდა საქართველოს ისტორიის კურსს თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე. 1918–1932 წლებში ს. კაკაბაძე რუსეთის (შემდეგ საბჭოთა კავშირის) მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის საისტორიო-არქეოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელია. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მისი [illegible]

მუშაობდა 1921–26 წლებში. კარგად არის ცნობილი ბატონ სარგისის ღვაწლი ჩრდილოეთ კავკასიიდან 1915 წელს ჩვენგან წაღებული საარქივო დოკუმენტებისა და სამუზეუმო ექსპონატების დასაბრუნებლად. 1924–1934 წლებში ის ხელმძღვანელობდა საისტორიო ძეგლთა დაცვას. ასევე ცნობილია ბატონი სარგისის დამსახურება საისტორიო და კულტურის ძეგლთა გადასარჩენად, განსაკუთრებით 1923–26 წლების ანტირელიგიური კამპანიის დროს. იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა (1952 წლამდე) თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში. 1945–1961 წლებში კვლავ განაგრძო მუშაობა საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ძველი აქტების განყოფილების გამგედ და მეცნიერ თანამშრომლად, ერთხანს რედაქტორობდა „საისტორიო მოამბესა“ და „საისტორიო ძიებებს“.

ბატონ სარგის კაკაბაძისათვის საისტორიო მეცნიერება უპირველესად მოწოდება იყო და არა ცხოვრების საშუალება. ამიტომაც იყო, რომ იგი დიდად არ დაგიდევდათ სამეცნიერო ხარისხებისა და ტიტულების ძიებასა და მოპოვებას. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა მხოლოდ 1937 წელს მიანიჭა ღვაწლმოსილ მეცნიერს პროფესორის წოდება, რომელიც საბოლოოდ თორმეტი წლის მერე გაუფორმდა. სწორედ მეცნიერებისადმი ასეთი უანგარო სიყვარულით აიხსნება ს. კაკაბაძის არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა და ნაყოფიერება. მას ეკუთვნის სამასზე მეტი ნაშრომი, მათ შორის მრავალი მონოგრაფია. მისი სახელმძღვანელოები საქართველოს ისტორიის შესახებ ერთ დროს საუკეთესოდ ითვლებოდა.

საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, რომ ბატონი სარგისი ხშირი ოპონენტი იყო ივანე ჯავახიშვილისა, თუმცა ამ საკითხზე აქ არ შევჩერდებით. მაგრამ, მაგალითად, თუ ივანე ჯავახიშვილი ჰიპერკრიტიკულად იყო განწყობილი „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის მიმართ, ს. კაკაბაძეს მიაჩნდა, რომ რაღაც ნაწილში აღნიშნული საისტორიო წყარო გარკვეულ ნდობას იმსახურებდა – კერძოდ ფარნავაზი და, საერთოდ ფარნავაზიანთა დინასტია ისტორიულ რეალობებს წარმოადგენდნენ, რაც დადასტურებულია ერთი სომხური წყაროთი. ახლა ვხედავთ, რომ ამ საკითხში ჭეშმარიტება სწორედ ს. კაკაბაძის მხარეზე იყო.

ბატონმა სარგისმა ორჯერ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ (1913 და 1927 წლებში), ხოლო 1966 წელს – ვრცელი მონოგრაფია „შოთა

რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი". გამოცემული აქვს აგრეთვე „აბდულმესიანი", „თამარიანი ჩახრუხაძისა" და „ამირან-დარეჯანიანი მოსე ხონელისა". 1925 წელს გამოსცა ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია.

სარგის კაკაბაძეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ისტორიული პროცესის მთლიანი სურათის გადმოცემა ყველა ისტორიკოსს როდი ხელეწიფება, რომ იგი არ ძალუძს საშუალო ნიჭის მქონე ისტორიკოსთა დიდ კოლექტივსაც. ისევე, როგორც მშენებლობისას საშენი მასალის მოპოვება და დამზადება ბევრის საქმეა, თვით შენობის აგება კი ერთეულების ხვედრია, ასევეა საისტორიო-განმაზოგადებელი ნაშრომის შექმნაც. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი საქართველოს ისტორიის მრავალტომეულის დაწერა და, როგორც ცნობილია, ოთხტომეულის სახით ალასრულა კიდეც ჩანაფიქრი. პირველი ტომი 1959 წელს უნდა გამოსულიყო, აიწყო კიდეც (ათას ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობით), მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონ სარგისის „კეთილისმყოფელებმა" ამ და მომდევნო ტომების გამოცემა ჩაშალეს.

ს. კაკაბაძეს ბევრი მტრობდა. რასაკვირველია, ზოგჯერ კონფლიქტების მიზეზი თვითონ მისგან, მისი ხასიათის ნიშან-თვისებებიდან გამომდინარეობდა. მაგრამ ხშირად მსგავსი რამ იმიტომ ხდებოდა, რომ ბატონი სარგისი შეურიგებელი იყო ფარისეველობისა და ფლუგერობისადმი, რაც იყო და ახლაც არანაკლებ არის დამახასიათებელი ქართულ მეცნიერებაში გაბატონებული სიტუაციისათვის. ეს ხდებოდა იმის გამოც, რომ ბატონი სარგისი, როგორც ითქვა, ძალზე მრავალმხრივი და პროდუქტიული ისტორიკოსი იყო. ასეთ რამეს კი, მოგეხსენებათ, მით უმეტეს საქართველოში, ვერ იტანენ, თუმცა ადვილად ეგუებიან ადამიანთა მრავალ მანკიერებას!

ზემოაღნიშნულის გამო ს. კაკაბაძე 1952 წლიდან ჩამოაშორეს პედაგოგიურ საქმიანობას უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრობა კი არა, არამედ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებაც კი არ აღირსეს. საზოგადოებრიობამ ისიც უნდა იცოდეს, რომ ბატონ სარგისის გარეშე ნიჭიერ ისტორიკოსს საერთოდ საქართველო... არ მიეცა ვასალური სამეცნიერო ასპარეზზე და მას ლენინგრადში მოუხდა მოღვაწეობა.

საგის კაკაბაძე გარდაიცვალა 1967 წელს. იგი დაკრძალულია ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

როგორც დავინახეთ, ბატონ სარგისს მრავალი ცხოვრებისეული უკუღმართობის გადატანა მოუხდა. ძველი თაობის წარმომადგენელთაგან განსხვავებით იქნებ ჩვენ მაინც აღვასრულოთ ჩვენი ვალი და ახლა მაინც ვიზრუნოთ მისი ნაშრომების შესწავლასა და გამოცემაზე. დიდი პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველ ისტორიკოსებს დღემდე ვერ მოგვიხერხებია ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიის დაწერა (ერთადერთი გამონაკლისია ივანე ჯავახიშვილის „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა", რომელიც პირველად 1916 წელს გამოიცა და სადაც თხრობა შესაბამისი საგნის თაობაზე XVIII საუკუნის ბოლომდეა მოტანილი). ასე რომ, ჩვენ არ ვიცით ქართული ისტორიოგრაფიის, მით უმეტეს ახალი და უახლესი პერიოდებისა, თავგადასავალი, და, როცა ასეთი რამ დაიწერება, ეჭვი არაა, მასში ბატონ სარგის კაკაბაძის როლი და ადგილი სათანადოდ იქნება წარმოჩენილი.

1996 წ.

მოკლვარი და გადაუხდელი ვალი

(პროფესორ ალექსანდრე წერეთლის დაბადებიდან 110 წლისთავის გამო)

მიუხედავად საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის წნეხისა, თბილისის უნივერსიტეტი, ძველი „ფორმაციის" მეცნიერთა წყალობით, მაინც ინარჩუნებდა თავის განსაკუთრებულ ხიბლს. კერძოდ, ასეთი პიროვნებანი აშშვენებდნენ ისტორიის ფაკულტეტს და მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეკავა პროფესორ ალექსანდრე წერეთელს, რომელიც ფიზიკურ მოსპობას კი გადაურჩა, მაგრამ მთელი ოცი წლის განმავლობაში გადასახლებული იყო, ცხოვრობდა შუა აზიაში...

წერეთლიანთ უნიჭიერესი საგვარეულოს წარმომადგენელი, ბატონი ალექსანდრე 1889 წლის ნოემბერში დაიბადა ზემო იმერეთის მშვენიერ სოფელ ცხრუკვეთში. უმაღლესი განათლება, საისტორიო-ფილოლოგიური განხრით, მიიღო ხარკოვის უნივერსიტეტში. სამეცნიერო წრთობას გადიოდა ცნობილი ისტორიკოსების: ვლადისლავ ბუზესკულის (1858–1931) და ივანე ნეტუშილის (1850–1928) ხელმძღვანელობით. მოგეხსენებათ, რას ნიშნავს მომავალი მოწოდებით მეცნიერისთვის კარგი სამეცნიერო სკოლის გავლა. ამ თვალსაზრისით ბატონ ალექსანდრეს სამღურაო ნამდვილად არ ეთქმის. შესანიშნავად გვახსოვს, რა მოწიწებით მოიხსენიებდა ხოლმე ჩვენი მოძღვარი თავისი გამორჩეული მასწავლებლების სახელებს...

1918 წელს ბ-ნი ალექსანდრე ახლად დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის ძველი ისტორიის კათედრის ასისტენტი გახდა, ხოლო 1927 წლიდან – ამ კათედრის გამგე. დაპატიმრებამდე მან გამოაქვეყნა ნაშრომთა მთელი რიგი: „მსოფლიო ისტორია" – დაწყებითი კურსი, ნაწილი პირველი (1920), „კულტურის ისტორია" (1923), „სკოლა და განათლება ძველ საბერძნეთში" (1924), „ხელოვნების საზოგადოება" (ტფილისის უნივერსიტეტის მაცნე, IV, 1924), „სოლონის ლეგისლაცია" (1925), „ლუკიანე სამოსატელი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა" (1926), „ხეთელები და მათი სამყარო. ძველი ისტორიული კულტურული

ძიძოხილვა" (1931), „ძველი აღმოსავლეთის ისტორია" (ორ ნაწილად, 1925–35), „ებრაელთა ძველი ისტორია" (1935) და სხვანი.

1935 წელს ბ-ნი ალექსანდრე დააპატიმრეს და, როგორც ითქვა, მას ორი ათეული წლის განმავლობაში მოუხდა გადასახლებაში ცხოვრება. მისი ბედ-იღბალი გაიზიარა მეუღლემ მარიამმა (ქალიშვილობაში ჩუბინაშვილი), იგი არ მოშორებია რეპრესირებულ მეუღლეს. პარადოქსია, მაგრამ ბედს უნდა ვუმადლოდეთ, რომ იგი 1935 წელს დააპატიმრეს, და არა „დიდი ტერორის" პერიოდში – 1937–38 წლებში, როდესაც მას ფიზიკური გადარჩენის შანსი აღარ ექნებოდა. ჩვენი გაუტეხელი წინაპრების მსგავსად, ბ-ნი ალექსანდრე არ შემდრკალა ბედის უკუღმართობის წინაშე, მხნედ იტანდა გადასახლების უმძიმეს პირობებს. ცხადია, მას წაერთვა შესაძლებლობა მეცნიერების შემდგომი დაუფლებისა. ერთადერთი, რაც შეძლო ამ ხნის მანძილზე, იყო ცნობილი პოლონელი მწერლის ბოლესლავ პრუსის „ფარაონის" თარგმნა (გამოიცა 1958 და 1976 წლებში).

რასაკვირველია, საბჭოურ რეჟიმს ჰქონდა „საფუძველი" ბ-ნ ალექსანდრეს რეპრესირებისა. ერთ დროს ის ხომ წევრი იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისა, რომლის მთავარი პოლიტიკური მიზანი საქართველოს ავტონომია (განახლებული რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში) იყო, მაგრამ მსგავსი პოლიტიკური იდეალი მთლად როდი განხორციელებულა სსრ კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკად ყოფნისას. სხვათა შორის, განსვენებულ პროფესორს ეკუთვნის მოცულობით მცირე, მაგრამ მნიშვნელობით დიდად ფასეული ნაშრომი „ავსტრალიის ფედერაცია" (1917), სადაც გაცხადებულია ავტორისა და, საერთოდ, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ძირითადი პოლიტიკური მრწამსი. როგორც ვხედავთ, ბ-ნი ალექსანდრე სულაც არ ჰგავდა იმ ისტორიკოსებს, რომლებიც მხოლოდ სამეცნიერო კვლევა-ძიებით ანდა პედაგოგიური საქმიანობით იფარგლებიან, იგი აქტიურად იყო ჩაბმული თანადროული საჭირბოროტო საკითხების მოგვარებისთვის ბრძოლაში. ეს აქტიური საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე გამოირჩეოდა ორატორული ნიჭითაც, რაც ამ პერიოდის ქართველობას (დღევანდელ თაობათაგან განსხვავებით!) ჭარბად მოსდგამდა.

თუმცა საქართველოს განთავისუფლების შემდგომ ბ-ნი ალექსანდრე სოციალისტ-ფედერალისტთა მეშვიდენე ფრთაზე დადგა, მაგრამ,

პარტიის მაუან რენეგატთაგან განსხვავებით, ბოლშევიკ-კომუნისტი არ გაშხდარა და სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა მძლავრ ეროვნულ სულისკვეთებას. ბ-ნი ალექსანდრე გადასახლებიდან 1955 წელს, ნ. ხრუშჩოვისეული „დათბობის“ წყალობით დაბრუნდა. საბჭოთა ხელისუფლებამ თითქოს მოინდომა ძველი წყენის: განკარვება და ამავე წელს მიანიჭეს პროფესორისა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებები. ცხადია, მან მოღვაწეობა მშობლიური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე განაგრძო.

ადვილი წარმოსადგენია, ჩვეულებრივ მოკვდავს როგორ დათრგუნავდა და სერიოზულ სამეცნიერო მოღვაწეობაზე ბელს ააღებინებდა გადასახლების თითქმის ოცი წელი, მაგრამ იგი სულ სხვა წრთობის ადამიანი იყო. გადასახლებიდან დაბრუნებისთანავე გამოაქვეყნა სამეცნიერო ნარკვევი „ძველი აღმოსავლეთი. სირია“. მომდევნო წელს გამოსცა სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის „ძველი საბერძნეთი“ (I ნაწილი), რომელიც შევსებულ-შესწორებული სახით კიდევ ორჯერ დაიბეჭდა (1958, 1966), 1957 და 1961 წლებში გამოვიდა მისი „ძველი რომის“ ორტომეული, 1959 წელს – „მარკუს ტულიუს ციცერონი“, ხოლო 1963 წელს „ძველი საბერძნეთის ისტორიის წყაროთმცოდნეობის“ მოკლე კურსი.

თავისი ცხოვრებით არაერთი ზნეობრივი გაკვეთილი ჩაგვიტარა ბ-ნმა ალექსანდრემ. მათ შორის მთავარია სულით გაუტეხლობა – „ჭირსა შიგან გამაგრება.“ იგი სიკვდილამდე შეურიგებელი რჩებოდა საბჭოური სინამდვილისადმი და ოცნებობდა იმ დროზე, როცა საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა და საქართველო კვლავ ჭეშმარიტად სუვერენული სახელმწიფო გახდებოდა. ცხადია, ამის თაობაზე აშკარად, მრავალი სტუდენტის თანდასწრებით არ ლაპარაკობდა, მაგრამ მცირერიცხოვან წრეში ამაზე გეესაუბრებოდა...

ბ-ნი ალექსანდრე გარდაიცვალა 1967 წლის მარტში, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში, სადაც ბევრი მისი გამოჩენილი თანამებრძოლი და, საერთოდ, ცნობილი ქართველი გაისვენებს...

ჩემი თაობის ბევრი ახალგაზრდის მსგავსად მეც ძალიან ადრე დავიწყე ფიქრი ჩემი ქვეყნის ბედზე, ჩემი ერის ისტორიაზე, ჩემი ენის ფესვებზე. ამ მცირე წერილს ასეთი სურვილით დავამთავრებდი: რა თქმა უნდა, კარგია ჩვენი ღირსეული წინაპრის გახსენება სხვადასხვა ფორმით (მოსაგონარი წერილების დაბეჭდვა, საფლავზე გასვლა და მისთანანი). მაგრამ მაინც უმთავრესია საქმე. კერძოდ, ბ-ნ ალექსანდრეს ერთ

ერთი შეგონება ასეთია: ჩვენ მაშინ გვექნება ნამდვილი უნივერსიტეტი, როცა გვექნება ჩვენი, ქართველი ავტორების კარგი სახელმძღვანელოები. როგორც დავინახეთ, ამ მხრივ, თვითონ მხოლოდ ლიტონი სიტყვებით არ შემოფარგლულა. მით უმეტეს, ახლა, საბჭოური რეჟიმისა და იდეოლოგიის ისტორიის არენიდან გადაშენების ჟამს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ძველი ისტორიის კათედრას, რომელთანაც დაკავშირებული იყო ბ-ნი ალექსანდრე წერეთლის სამეცნიერო ცხოვრება, ნამდვილად მართებს იზრუნოს შესაბამისი ახალი სახელმძღვანელოების (ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის შესახებ) შექმნაზე. ხოლო ჩვენ, ძვირფასი მოძღვრის ნამოწაფარ-ნაშეგირდალნი, ვიზრუნებთ წიგნზე, სადაც გაშუქებული იქნება ბ-ნი ალექსანდრეს სამეცნიერო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობა. ვფიქრობთ, ამ ამოცანების აღსრულება ჩვენი ჯერჯერობით გადაუხდელი ვალია ჩვენი სასიქადულო წინაპრის ხსოვნის წინაშე.

1999 წ.

მოძღვრის გახსენება

(პროფესორ გიორგი გოზალიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)

ცნობილი ისტორიკოსი გიორგი გოზალიშვილი (1900–1988) ძირითადად თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე მოღვაწეობდა. იგი გახლდათ ძველი მსოფლიოსა და ბიზანტიის ისტორიის სპეციალისტი. მალალ პროფესიონალიზმთან ერთად ბატონი გიორგი განასახიერებდა ჭეშმარიტ პატრიოტიზმს (მოკრძალებული რომაა და არა მოჩვენებითი, მკვირალა!). იგი არ ყოფილა კომუნისტური პარტიის წევრი და, საერთოდ, შორს იდგა საბჭოურ-კომუნისტური მსოფლმხედველობისაგან. იგი ბოლომდე დარჩა შინაგანად თავისუფალ პიროვნებად. ვინ იცის, იქნებ ამგვარ ხასიათში გამოვლინდა მისი წარმოშობა თავისუფალი, უბატონო ქიზიყიდან. თუ პარტიულობა-დასელობაზე მიდგება საქმე, ვიტყვით, რომ იგი ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის პარტიის, დასის წევრი იყო. ისე, ასეთი თავისუფლებისათვის იგი დაისაჯა კიდეც – ომის შემდგომ თვეების განმავლობაში მოუხდა ციხეში „ბინადრობა“

მეცნიერის სამეცნიერო ინტერესები საკმაოდ ფართო იყო. მე აქ არ შეუძლებლობა მათ ჩამოთვლასა და დახასიათებას, ნამოღვაწარის შეფასებას, მაგრამ განსაკუთრებით გამოვყოფ ბატონ გიორგის გატაცებას ჩვენი ისტორიის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხით, იმავდროულად მისი პიროვნების არაორდინარულობას რომ ახასიათებს. ეს გახლავთ ცხოველი ინტერესი 1832 წლის შეთქმულებისადმი (სამწუხაროდ, აჯანყებაში რომ ვერ გადაიზარდა). მისი ახალგაზრდობის ჟამს ალნიშნული თემა ტაბუდადებული იყო, რამეთუ მისი გამომხელურება-შესწავლა საბჭოურ იმპერიალიზმსა და მარიონეტულ ქართულ ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა. ჩვენთვის, ქართველთათვის დიდად საამაყო ამ მოვლენის შესახებ საისტორიო მასალების პირველი ტომი იუბილარმა გამოსცა 1935 წელს. რიდესაც 1832 წლის შეთქმულების საკითხზე მას მოხსენება წაუკითხავს (არ ვიცით,

პირველი ტომის გამოსვლამდე თუ გამოსვლის შემდეგ) დიდ იყანე კაკაბაძეს ასე განუცხადებია: „აი, ახლა, ბატონებო, ნამდვილად იწყება ჩვენი დიდი ხარეზის შევსება – საქართველოს ისტორიის ახალი პერიოდის შესწავლაო". მაგრამ მომდევნო ორი ტომის გამოქვეყნება ბ-ნ გიორგის ძალზე გაუჭირდა ტექნიკურად და მხოლოდ 1970 და 1976 წლებში მოახერხა მათი დაბეჭდვა.

ჩემი უნივერსიტეტში სწავლისას (1957–1962) ბ-ნი გიორგი გვიკითხავდა ბიზანტიის ისტორიასა და სპეცკურსს ელინიზმის ისტორიაში. განსაკუთრებით ცხოველად ჩამებეჭდა მეხსიერებაში მისი ბოლო ლექცია ბიზანტიის ისტორიაში. ცხადია, იგი ეხებოდა ქვეყნის არსებობის ბოლო პერიოდს, კერძოდ, კონსტანტინეპოლის აღებას თურქთაგან (1453 წელს). ბ-ნი გიორგი იმდენად განიცდიდა შესაბამის ისტორიულ პროცესს, რომ ცრემლები ახრჩობდა და ლაპარაკი უჭირდა. სტუდენტებს არ გაგეკვირვებია: ამ მოვლენამ ხომ დიდად ტრაგიკული ზემოქმედება იქონია საქართველოს შემდგომ ბედ-ილბალზე.

ბ-ნ გიორგისთან საკმაოდ ახლო ურთიერთობანი მაკავშირებდა. მასში მხიბლავდა ჭეშმარიტი ინტელიგენტურობა, შეურიგებლობა საბჭოური სინამდვილისადმი, დემოკრატიზმი (უბრალოება) ადამიანებთან ურთიერთობებში. მისთვის განურჩეველი იყო სტუდენტის თბილისელობა თუ ჩამოსულობა, ცნობილ პირებთან ნათესაობა თუ უბრალო სოციალური წარმომავლობა. მთავარს წარმოადგენდა სტუდენტის ნიჭიერება, პატიოსნება და შრომისმოყვარეობა. ბ-ნი გიორგი არა მხოლოდ ხშირად მღებულობდა თავის ბინაზე, ვერაზე, არამედ წვეულებაც მახსოვსებდა და მშუქნიდა ხოლმე კიდეც. ყოველივე ამისთვის ბატონ გიორგის დიდი, დიდი მადლობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გავიხსენო შემდეგი: თუ ბ-ნი გიორგი სალექციოდ შინ, თავის საწერ მაგიდასთან არ დამხვედრებოდა, მას ეერის ბაღში ენახულობდი მეგობრებისა და სასიყვარულო ვაწრო წრეში. ესენი, ათი-თხუთმეტიოდე კაცი, დანარჩენ სამყაროსგან განცალკევებულნი, სიძულვილით ლაპარაკობდნენ საბჭოურ სინამდვილეზე და ისტორიაზე. ასე რომ, მათ გარემოში მშვენიერი ანტისაბჭოური სკოლის გავლა შეიძლებოდა. არასოდეს დამკლებია მათი ინტელექტუალური საუბარი და ქცევა. დიდი მადლობა ბ-ნ გიორგის მეგობრებსაც ყოველივე ამისათვის. სწორედ მათთან ერთად გაეცანი ბიერე, თუ როგორი ინტელიგენცია ჰყავდა ძველ საქართველოს.

სიცოცხლის ბოლო პერიოდში ბ-ნი გიორგი ძალიან განიცდიდა ე. წ. სოციალისტური სისტემის ექსპანსიას სხვადასხვა კონტინენტზე. გულისტკივილს გამოთქვამდა, რომ დასავლეთის მმართველი წრეები ამის საწინააღმდეგოდ არაკმარისად ირკვებოდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა ბ-ნ გიორგის მაინც სჯეროდა, რომ ხაბჭოთა კავშირი დაშლებოდა და საქართველოს მიეცემოდა შანსი დამოუკიდებლობის მოპოვებისა.

ბ-ნი გიორგი პოეტური ბუნებისაც გახლდათ. შეტიც, იგი ლექსებსაც კი წერდა. ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი მისეული პოეტური შემოქმედებისა, რასაკვირველია, პატრიოტიზმი იყო. მოვიტან ნაწყვეტს 1939 წელს დაწერილი მისი ერთი ლექსიდან:

საქართველო ნაღვურდება,
მტკვრის აუხდა ჩემი ნატვრა.
ღმერთო, მისპე, იყვრიის
ამოგდება ვინც ინატრა.

60-იან წლებში დაწერილ ლექსში კი ბ-ნი გიორგი წერდა:

ლაშარის ჯვარო,
მოგემადლე ძალი
ყველაგი მტრების შესამუსრავად...
და გამარჯვების მთხრობელი ხმალი
შენ ფერხთ დაგიდო შესაწირავად.
აველვარე ქართლის სახელი,
ნურც მოეშალოს
ძლევის გვირგვინი,
კლავაც ისმოდეს ბრძოლის ძახილი,
ვახტანგ გორგასლის რაშის ჭიხვინი!..

მიმაჩნია, რომ ბ-ნ გიორგის ნატვრა ყველაზე სანახევროდ თუ არის აღსრულებული. ვისურვოთ, რომ ისტორიის გონსა და ჩვენც, ქართველობას, ბოლომდე მიგვეცანოს ბ-ნ გიორგისა და ყველა ქართველი პატრიოტის ეს სანუკვარი საქმე.

2000 წ.

გამოჩენილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე

(სიმონ ჯანაშიას დაბადებიდან 100 წლისთავის გამო)

სიმონ ჯანაშია დაიბადა 1900 წლის 13(26) იულისს სოფელ მაკვანეთში (ახლანდელ ოზურგეთის რაიონში), სადაც მაშინ მოღვაწეობდა მამამისი – ნიკო ჯანაშია, საკმაოდ ცნობილი და მრავალმხრივი ჭიროვნება – პედაგოგი, ეთნოგრაფოსი და ფოლკლორისტი. წარმოშობით იგი იყო აფხაზეთის სოფელ აძიუბეადან, სადაც მისი წინაპარი სამეგრელოდან გადაიხდა. მას დამთავრებული ჰქონდა გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარია, გურიის გარდა მასწავლებლობდა აფხაზეთსა და სამეგრელოში. ფრიად საინტერესო პიროვნება იყო დედამისიც (სოფელ მაკვანეთის მკვიდრი, გვარად მუჯირი). ასე რომ, მომავალ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს მშვენიერი ქართული ტრადიციული ოჯახი ჰქონდა.

სიმონ ჯანაშია სწავლობდა სოხუმის რეალურ სასწავლებელში, სადაც დიდი მუყაითობა და მრავალმხრივი ნიჭი გამოაქლინა. ისტორიისადმი ინტერესი, ცხადია, მას იმთავითვე ჰქონდა. სოხუმის ქალთა გიმნაზიის ერთ-ერთი მოსწავლის მოგონებით, მისთვის VII კლასში სწავლისას მიუციათ თემა „რომელი ისტორიული პირი მოგწონთ?“ ამ უკანასკნელს ნაპოლეონი შეურჩევია და თემის დაწერაში დახმარება ყმაწვილ სიმონისათვის უთხოვია. მოხდა ისე, რომ თემა თვითონ სიმონმა დაწერა. ნაშრომს დიდი სენსაცია გამოუწვევია სასწავლებელში. ცნობილ მოსკოველ ლექტორს სტრაჟესკის განუცხადებია: „ამის დამწერი დიდი ნიჭისა და მომავლის მქონეა“-ო. მიუხედავად ოჯახის ხელმოკლეობისა (რასაც დაემატა მამის უდროო გარდაცვალება), სიმონ ჯანაშიას გადაუწყვეტია სწავლა გაეგრძელებინა რუსეთის რომელიმე უნივერსიტეტში. მაგრამ მთელი ქართველობისა და პირადად მისდა საბედნიეროდ, ივანე ჯავახიშვილისა და მისი ბრწყინვალე დასის ძალისხმევით იმხანად დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი, რომელსაც მიაშურა სიმონ ჯანაშიამ. აქ იგი

დახელოვნდა ისტორიისა და ენათმეცნიერების განხრით. სიმონ ჯანაშიას საპროფესოროდ მოსამზადებლად (დღევანდელი გაგებით, ასპირანტურაში მისაღებად) უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა თავად დიდმა ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც ახალგაზრდა სიმონზე წერდა: „ოთხი წლის განმავლობაში დაკვირვებამ საისტორიო სემინარიაში დამარწმუნა, რომ მას ცოდნაც, დაკვირვების უნარიც და სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის საჭირო ნიჭიც და მიდრეკილებაც აქვს". მისივე ინიციატივით სიმონ ჯანაშიას სწავლების ვადა კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივეს. 1923 წელს დაწერილ დახასიათებაში ოსტატი (მოძღვარი) შეგირდის შესახებ ასე წერდა: „სიმონ ჯანაშია ყველა თავის ტოლ ამხანაგებში თავისი ნიჭით, მკვირცხლი გონებით და შრომისმოყვარეობით ირჩეოდა".

სიმონ ჯანაშიას სამეცნიერო კარიერა ასეთი იყო: 1930 წელს თსუ-ის საბჭომ იგი დოცენტად აირჩია, ხუთ წლის შემდეგ კი არჩეულ იქნა საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ და პროფესორად. 1936 წელს დაარსებულ ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ენიმკი-ში) იგი ჯერ დირექტორის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო მალე, ამავე წლიდან (1941 წლამდე) ქართველოლოგიის ამ უმსხვილესი დაწესებულების დირექტორი იყო. 1938 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო როცა აღნიშნული ინსტიტუტი ორად (ისტორიისა და ენათმეცნიერებისა) გაიყო 1941 წელს, იგი ასრულებდა ორივე მათგანის დირექტორის ფუნქციას. სიმონ ჯანაშია იყო 1941 წელს დაარსებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრთაგანი და ვიცე-პრეზიდენტი. 1943 წელს იგი არჩეულ იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრად. იყო სსრკ-ის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს – სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი, მიღებული ჰქონდა ორდენები, მედლები.

სიმონ ჯანაშიას სამეცნიერო კარიერა თავბრუდამხვევი იყო, ასევე მისი წარმატება საზოგადოებრივ ასპარეზზეც. სამწუხაროდ, იგი ამ პერიოდში 47 წლისა აღესრულა. ამგვარ აღზევებაში კი გარკვეული წილი მოუძლოდა ლავრენტი ბერიასთან სიახლოვეს, რაც მოწაფეობის დროიდან მოდიოდა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამის გამო ცნობილ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს კომპრომისებზე (მათ შორის ზნეობრივი ხასიათის) წასვლა უხდებოდა. საერთოდ, ტოტალიტარული

რეჟიმის პირობებში ადამიანებს აქვთ არჩევანი: ან ებრძოლო მას, ან განზე გაიდგნეს (შინაგან ემიგრაციაში იცხოვრონ), ან ნაწილობრივ მაინც ითანამშრომლონ მასთან და ა. შ. სიმონ ჯანაშიამ ეს უკანასკნელი გზა აირჩია, რაც, უნდა ითქვას, ქვეყნისა და საზოგადოების სასიკეთოდაც გამოიყენა (ცნობილი ფაქტია, რომ მან რამდენიმე, პოლიტიკური აზრით სასიკეთილოდ განწირული პიროვნება დაღუპვას გადაარჩინა).

ვფიქრობ, არ არის უპრიანი, თუნდაც საიუბილეო წერილი მთლად ტრადიციულ ქართულ სადღეგრძელოს დაემსგავსოს. კერძოდ, ამ შემთხვევაშიც გამართლებული უნდა იყოს ილიასეული სიტყვები: „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი – ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თვითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება“.

სწორედ ასეთი პოზიციიდან გამომდინარე უნდა დანახულ იქნეს სიმონ ჯანაშიას მეცნიერული მემკვიდრეობა.

ამ თემაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ იმ ეპოქის პოლიტიკური და იდეური სიტუაცია. ეს იყო საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმისა და იდეოლოგიის აღზევებისა და ბატონობის ხანა, როცა თავისუფალი, შემოქმედებითი აზროვნება გამოირიცხებოდა. მოაზროვნე ადამიანებს სულს უხუთავდა, არა მხოლოდ თავისთავად რეჟიმი და იდეოლოგია, არამედ მრავალრიცხოვან უნიჭოთა, homo sovieticus-ების აღზევება, რომლებიც საერთო რეჟიმზე არანაკლებ ახშობდნენ თავისუფალ აზროვნებას. ამ სიტუაციის გაუთვალისწინებლად, ეიმპორებ, ვერ გაიგებთ სიმონ ჯანაშიას სამეცნიერო შემოქმედებას. აშკარაა, რომ მისეულ სამეცნიერო აზროვნებას, მსოფლმხედველობას გარკვეული უარყოფითი კვალი დაამჩნია ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმმა. დასავლეთში დიდი ხანია იციან, რომ ამგვარი იდეური ნაზავი არაბუნებრივი და არაორგანულია, ასეთ შემთხვევაში მარქსიზმი – დასავლეთ ევროპის ინტელექტუალური პროდუქტი აღმოჩნდებოდა მოწინააღმდეგე ქვეყნისა და საზოგადოების პირობებისათვის. თავის მხრივ, ამგვარმა სიმბიოზმა განაპირობა განსაკუთრებით

ჰუმანიტარული აზროვნების სიბერწე. მაგრამ მიუხედავად ამისა, ის რაც გააკეთა სიმონ ჯანაშიამ, უთუოდ მისასალმებელია. ისე, შეგრიშაეთ, რომ სიმონ ჯანაშია ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე ეცნობოდა ფრ. ენგელისის, ა. ბებელის, გ. პლეხანოვის, ი. სტალინის და სხვ. ნაშრომებს და, როგორც ჩანს, ყოველ შემთხვევაში ახალგაზრდობის წლებში, გულწრფელად იზიარებდა კიდეც სოციალიზმის იდეას.

სიმონ ჯანაშია დახელოვნდა საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდისა და ე. წ. ადრე შუა საუკუნეების (XI საუკუნემდე) შესწავლით. მაგრამ მრავალი დღევანდელი ისტორიკოსისაგან განსხვავებით, მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროში ასე თუ ისე შედიოდა საქართველოს ისტორიის შემდგომი პერიოდებიც. მუშაობდა საისტორიო მეცნიერების ცალკეულ დისციპლინებშიც – საისტორიო წყაროთმცოდნეობაში, ისტორიოგრაფიის ისტორიაში, საისტორიო გეოგრაფიაში, გენეალოგიაში და მისთ. გარდა ყოველივე აღნიშნულისა, იგი იყო ენათმეცნიერიც (კერძოდ აფხაზური და ადიღეურ-ჩერქეზული ენების დარგში).

სიმონ ჯანაშიამ მკვეთრად გამოყო და ნათლად დაასაბუთა გვაროვნული წყობილების არსებობა საქართველოში. შეგახსენებთ, რომ ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში გაურკვეველობა შეინიშნება, რაც თავის დროზე აღნიშნა კიდეც ცნობილმა ქართველმა მოაზროვნემ არჩილ ჯორჯაძემ. მართლაც გვაროვნული წყობილებისა და სახელმწიფოს თანაარსებობა, როგორც ამას ამტკიცებდა ივ. ჯავახიშვილი, გამორიცხულია. სახელმწიფო წარმოიშობა საზოგადოების ეკონომიკის სხვა, შემდგომ საფეხურზე. სიმონ ჯანაშიამ აჩვენა აგრეთვე გვაროვნული წყობილების გადმონაშთები ქართველ მთიელებში.

დიდ სიძნელეს წარმოადგენს სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი საკუთრივ მარქსიზმის პოზიციიდან. სიმონ ჯანაშიას დროს და შემდგომაც, ათეული წლების განმავლობაში, საბჭოთა კავშირში გაბატონებული იყო ვ. ლენინისა და ი. სტალინის უაღრესად პრიმიტიული წარმოდგენები საკითხის თაობაზე. მათ მიხედვით არსებობდა შესაბამისი სოციალური ინსტიტუტების წარმოქმნის ერთადერთი, სახელდობრ კლასიკური საბერძნეთისა და რომის მიერ განვლილი, გზა და სწორედ ამ თვალთახედვით უნდა განხილულიყო კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ყველა საზოგადოებაში. გარდა ამისა ასევე პრიმიტიულად იყო წარმოდგენილი

პირველი კლასობრივი საზოგადოების (ვითომდა მონათმფლობელურის) ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურები. მაგრამ სიმონ ჯანაშიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავი აარიდა მარქსიზმ-ლენინიზმის გვიანდელი ორი „კლასიკოსის" ბრიყვულ წარმოდგენებს. 30-იან წლებში მან სწორად გაიაზრა, რომ მონათმფლობელობა როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფორმაცია არ იყო უნივერსალური ხასიათისა და იგი არ გაუვლია კერძოდ საქართველოს. მთლიანი, ასე ვთქვათ უნიფიცირებული, მონათმფლობელური წარმოების წესის ნაცვლად ცნობილი ისტორიკოსი იმჟამინდელ ქართულ საზოგადოებას იაზრებდა შერეული ეკონომიკური და სოციალური წყობების ერთობლიობით (ეკონომიკური წყობის ცნება მასთან, თუმცა იმპლიციტურად შეიმჩნევა, მაგრამ საკმაოდ აშკარად — არა).

თუ მაგანნი (გ. სოსელია, ი. ტალახაძე, საქართველოში იმხანად მცხოვრები ა. ბოლტუნოვა და სხვ.) სტრაბონის ხანის (ძვ. წ. I ს.) ქართლში (იბერიაში) კვლავ გვაროვნულ წყობილებას ხედავდნენ და ამგვარი შეხედულების მტკიცებისას თითქოს მხარს უბამდნენ ივ. ჯავახიშვილს, სიმონ ჯანაშიას აზრით კი ამ დროს კლასობრივი საზოგადოება და შესაბამისად — სახელმწიფო არსებობდა. როგორც ვიცით, შემდგომი ხანის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ეჭვმიუტანლად დაადასტურეს გამოჩენილი ისტორიკოსის ეს დებულება. ამის თაობაზე კი დღეს, თვით რუს ისტორიკოსთა შორის, არავინ არ დაობს. მაგრამ იყო დრო, როცა მსგავსი თვალსაზრისისათვის სიმონ ჯანაშიას ათასნაირ ბრალდებებს, მათ შორის „ანტისაზოგადოებრივს", უყენებდნენ. ხოლო როცა იგი შეეცადა საქართველოში სოციალური კლასების წარმოშობა გაეაზრებინა შრომის სოციალური დანაწილების ბაზაზე (სხვათა შორის, მსგავსი იდეა ჰქონდათ თვითონ კ. მარქსსა და ფრ. ენგელსს), ამის გამო ისეთი აჟიოტაჟი ატყდა, რომ ს. ჯანაშია იძულებული გახდა უკან დაეხია.

სიმონ ჯანაშიამ მოგვცა საქართველოს ისტორიის საკმაოდ გამართული პერიოდიზაცია. ცხადია, იგი საჭიროებს გარკვეულ შესწორებებს, მაგრამ ფაქტია, რომ დღესდღეობით არავის არ შემოუთავაზებია მეცნიერულად გამართული ალტერნატიული თვალსაზრისი.

მოგეხსენებათ, იმხანად და შემდგომაც ი. სტალინის წარმოდგენები ერის წარმოშობის შესახებ ითვლებოდა შეურყეველ, აბსოლუტურ

ჭეშმარიტებად. სწამდათ სტალინის იმ აზრისაც, რომ თითქოს ერების წარმოშობა იწყებოდა კაპიტალიზმის გენეზისთან ერთად. როცა საბჭოთა კავშირის ისტორიის მრავალტომეული იწერებოდა, ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა მილიცა ნეჩკინამ ქართველი ერის წარმოშობა-ჩამოყალიბების გააზრება სწორედ ამგვარად სცადა. ამის საპასუხოდ სიმონ ჯანაშიამ 1940 წელს კრიტიკული წერილი გაუგზავნა მრავალტომეულის სარედაქციო კოლეგიას. რეაქციამ არ დააყოვნა და საკითხის თაობაზე ძალზე სერიოზული დისკუსია დაიწყო („ჟურნ. „Вопросы истории"-ის ფურცლებზე). 1944 წელს ქართველი ერის წარმოშობის თაობაზე სიმონ ჯანაშია რამდენჯერმე გამოვიდა მოხსენებით იმდროინდელი საქართველოს სხვადასხვა ინტელექტუალურ დაწესებულებებში — მეცნიერებათა აკადემიაში, მწერალთა კავშირში. აღნიშნული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ იგი ამტკიცებდა, რომ ქართველობა ერად ერთბაშად, თუნდაც კაპიტალიზმიდან პოყოლებული, არ ჩამოყალიბებულა, რომ მისმა ნიშან-თვისებებმა თავი იჩინა ჯერ კიდევ გარდასულ საუკუნეთა სიღრმეში, ხოლო შესაბამისი პროცესი დასრულდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ეკონომიკური ცხოვრების ერთობის წარმოქმნასთან ერთად. მეტსაც ვიტყოდი, ჯერ კიდევ 1940 წელს (მაკეტის სახით) და შემდეგ 1943 და 1946 წლებში გამოქვეყნებულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს იმ ნაწილში, რომელიც ივ. ჯავახიშვილის კალამს ეკუთვნის, სიმონ ჯანაშიამ — წიგნის რედაქტორმა დატოვა ადგილები, სადაც აღნიშნულია ქართველებისა და სომხების ერებად ყოფნა. ამისი აღიარება კი მოხდა საქართველოს ისტორიის ე. წ. შუა საუკუნეების პერიოდში და, ჩანს, სიმონ ჯანაშია გარკვეულწილად იზიარებდა ასეთ თვალსაზრისს.

სიმონ ჯანაშიამ მკაცრად გაილაშქრა (1947 წელს) რუსი არქიტექტურის ისტორიკოსის ნ. ტოკარსკის წინააღმდეგ, რომელიც დამახინჯებულად წარმოადგენდა ჩვენი არქიტექტურის ისტორიას. ამით, იგი მხარში ამოუდგა გიორგი ჩუბინაშვილს.

აღარ შევჩერდები სიმონ ჯანაშიას როგორც ისტორიკოსის ნამოღვაწარის ჩამოთვლაზე. დავასახელებ მხოლოდ მისი ვითარცა რედაქტორის ღვაწლს საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნაში (ამასთანავე იგი იყო წიგნის ერთი ნაწილის ავტორიც). მთელი გულახდილობით, ობიექტურობით ვიტყვი, რომ

ამგვარი სასკოლო სახელმძღვანელო სსრ კავშირის არც ერთ მოკავშირე რესპუბლიკაში არ შექმნილა; ეს წიგნი თავისი დიდი ფასეულობით ერთ რიგში დგება „ქართლის ცხოვრებასა“ და ივ. ჯავახიშვილის „ქართველის ერის ისტორიასთან“. დიდად სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიის მსგავსი სახელმძღვანელო (ღირსებით) ქართველ ისტორიკოსებს მას შემდგომ აღარ შეუქმნიათ.

იმასაც აღვნიშნავ, რომ სიმონ ჯანაშიამ გარკვეული ხარკი მიუზღო ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის დოგმებსაც. რასაკვირველია, კურიოზი, მთლად გაუგებრობა იყო მონათა აჯანყების მტკიცებით ფეოდალიზმის შემდგომი განვითარების ახსნა, რასაც ი. სტალინი იძლეოდა. ამის სანაცვლოდ მეცნიერი ამტკიცებდა ფეოდალურ რევოლუციას (პირდაპირი, სოციალურ-პოლიტიკური აზრით), რასაც იმ ხანის საქართველოში თითქოსდა სამგან (ქართლში, ეგრის-ლაზიკაში და აფხაზეთში) ჰქონდა ადგილი. ასეთივე, იდეოლოგიიდან გადმოსული შტამპს წარმოადგენდა სიმონ ჯანაშიას მიერ ფეოდალიზმის წარმოშობის მტკიცება ვითომდაც საწარმოო ძალების ზრდის შედეგად. საქართველოს უძველესი პერიოდის გააზრება ხეთურ-სუბარული ხალხების ერთიანობის თვალსაზრისით ოდენ ჰიპოთეზა აღმოჩნდა, რაც ნათლად გაცხადდა ჟურნალის „Вопросы языкознания“ ფურცლებზე 1954-55 წლებში გამართული დისკუსიის შედეგად.

დაბოლოს, დაესძენ, რომ სიმონ ჯანაშიას ისტორიოგრაფიული ღვაწლის სათანადო გაცნობიერების გარეშე ქართული ისტორიოგრაფიის მიერ განვლილი მაგისტრალური გზა ვერ გაიგება. სანამ ასეთი ისტორია დაიწერებოდეს, მანამდე ქართველ ისტორიკოსთა უპირველესი მოვალეობაა სიმონ ჯანაშიას შესახებ ახალი, უფრო ვრცელი, მონოგრაფიის შექმნა (აქამდე ეს გააკეთა პროფ. შოთა მესხიამ, რაც თავისი დროისათვის საკმაოდ საფასური იყო) და მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომების გამოცემა.

2000 წ.

დანართი

ქართული ისტორიოგრაფია XXI საუკუნის კარიბჭესთან

1. რა ვამჯობინოთ? ქართული ისტორიოგრაფია ჩვენი ცოდნის უძველესი დარგი გახლავთ. გუაქვს საფუძველი ვიამაყოთ, რომ იგი გაჩნდა ჩვენში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნასთან ერთად, ე. ი. ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში მაინც. საუკუნეების მანძილზე ჩვენს ისტორიოგრაფიას მატიანესებური თხრობის ფორმა პქონდა, შემდეგ კი – XII-XIII საუკუნეებში მან სახე იცვალა. ძველ (ფართო გაგებით) ქართულ ისტორიოგრაფიას ამშვენებს სახელები დავითის ისტორიკოსის, „ისტორიანისა და აზმანის" ავტორის, ჯამბაზმწერლის, ვახუშტი ბატონიშვილისა და პაპუნა ორბელიანისა. XIX საუკუნეში ქართული ისტორიოგრაფიის ახლებურად გამართვას შეეცადნენ თეიმურაზ ბატონიშვილი, მარი ბროსე და სულხან ბარათაშვილი. კიდევ უფრო მალალი საფეხურის დაფუძნებას ცდილობდნენ ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ბაქრაძე. ამგვარ მცდელობათა დაგვირგვინებას წარმოადგენდა ივანე ჯავახიშვილის ისტორიოგრაფიული შემოქმედება – ჭეშმარიტად ახალი ეტაპი ჩვენი ისტორიოგრაფიის განვითარებაში, რომელიც აშკარად გამოიკვეთა ჯერ კიდევ „ქართველი ერის ისტორიის" ორტომეულის შექმნით (1913–14 წლებში).

ჩვენდა საუბედუროდ, შემდგომი სოციალური და პოლიტიკური განვითარება ალმავალი, პროგრესული ხაზით არ წარმართულა. გარეშე ძალის – რუსული ბოლშევიზმ-კომუნიზმის იდეოლოგიის ზეგავლენით და წითელი არმიის შემოსევებით საქართველო ასცდა ნორმალური ისტორიული ევოლუციის გზას, რასაც, რასაკვირველია, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაზეც. ისტორიოგრაფია, ისევე როგორც ხელოვნება, მეტად ნაზი [illegible] და ვერ უძლებს ტოტალიტარიზმის სუნთქვას. თუ 1921–30 წლებში წინანდელი ისტორიოგრაფიული ტრადიციები ასე თუ იქ გრძელდებოდა,

უკვე 1930-იანი წლებიდან ბოლო მოელო პლურალიზმს საისტორიო აზროვნებაში და ჩვენი ისტორიოგრაფია საბჭოური რეჟიმისა და იდეოლოგიის მარწუხებში მოექცა. ცხადია, ამის აღნიშვნით იმისი თქმა რადა გვინდა, რომ ქართული ისტორიოგრაფია საბჭოური პერიოდის განმავლობაში მილად უსაფუძვლო, ბერწი გახდა. პირიქით, ადგილი ჰქონდა წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებას, მნიშვნელოვან არქეოლოგიურ აღმოჩენებს, ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებების გაფართოებას. ემპირიული, ფაქტობრივი საფუძვლის გაფართოებასთან ერთად იქმნებოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაშრომები. მაგრამ აღნიშნულ წარმატებათა აღნუსხვა შორს წაგვიყვანდა (ისე, სხვათა შორის, კარგა ხანია, დროა, შეიქმნას ისტორიოგრაფიული ნაშრომი, რომელშიც გაშუქებული იქნებოდა ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავალი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, ე. ი. 1921–90 წლებში). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას შემოქმედება.

ხშირად მკაცრი ისტორიკოსები ვითარებას ისე წარმოადგენენ, თითქოს ქართული ისტორიოგრაფია საბჭოთა პერიოდის განმავლობაში მხოლოდ აღმაკალი ხაზით ვითარდებოდა და მასზე საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმი და იდეოლოგია უარყოფითად ვერ ზემოქმედებდა. მსგავსი თვალსაზრისი რომ ზერელეა და მცდარი, ეს უკვე a priori — ნათელია. მით უფრო ცხადი შეიქმნება სურათი, თუ ობიექტურად, კრიტიკული აზროვნების მოხმობით მიეყუდებით შესაბამისი სინამდვილის გაცნობიერებას, და ეს მხოლოდ თავისთავად რიდი გეჭირდება, არამედ იმისათვის, რომ შესაფერისი დასკვნები გავაკეთოთ ჩვენი მომავალი საქმიანობისათვის ცოდნისა და საზოგადოებრივი აქტიურობის აღნიშნულ სფეროში. კვლავ და კვლავ მოვიხმობთ ილიასეულ ბრძნულ შეგონებას: „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი — ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება“.

ამდენად ჩვენი პასუხი კითხვაზე, თუ როგორ უნდა შევხედოთ ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელ მდგომარეობას, ასეთია: რა

თქმა უნდა, კრიტიკულად, და იგი ვარდისფერი სათვალის ნაცვლად ადეკვატურად, ობიექტურად უნდა აღვიქვათ.

2. მოკლედ ქართული ისტორიოგრაფიის შუქჩრდილების შესახებ საჭოთა პერიოდის მანძილზე. ვიმეორებთ, მავანთა შეხედულებით, მთელი საბჭოური პერიოდის 70 წლის განმავლობაში ქართული ისტორიოგრაფია უხვრცოდ ეთარდებოდა. ამის თაობაზე კი ისტორიკოსები ხელისუფლებას ერცლად უპატაკებდნენ ხოლმე „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა“ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მორიგ მრგვალ წლისთავებზე. ამჟამად მსგავს შეხედულებაში მცირე კორექტივს აქვს ადგილი: მხოლოდ იმას აღიარებენ, რომ დამახინჯდა საბჭოთა პერიოდის შემსწავლელი ისტორიოგრაფია, უწინდელი პერიოდების საისტორიო შემეცნება კი სავსებით დაზღვეული იყო საბჭოური იდეოლოგიური მიდგომებისაგან, მათ შორის ლენინ'კული კლასობრივი და პარტიული პრინციპების მიყენებისაგან. „ნეტარ არიან მორწმუნენი!“, ჩვენ კი სულ სხვაგვარად ვფიქრობთ.

თითქოს საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდი იმდენადაა დაშორებული 1921 წლის შემდგომი დროისაგან, რომ ისტორიკოსებს შეძლოთ თავისუფლად ეაზროვნათ აღნიშნული პერიოდის შესწავლა-შემეცნებისას. მაგრამ როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის პირობებში, რომელიც აუცილებელს ხდიდა შესაბამისი მსოფლმხედველობრივი დებულებების ისტორიული პროცესისათვის თავსმოხვევას? თავის დროზე, 1932 წლიდან მოყოლებული, სიმონ ჯანაშიამ ახალი სიტყვა თქვა (იგივე ჯავახიშვილთან შედარებით) საქართველოში გვაროვნული წყობილების, პირველი კლასობრივი საზოგადოების ტიპისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. კერძოდ, სწორად დააყენა საკითხი ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მრავალწყობიანობის თაობაზე, რომელიც შემდგომ ფეოდალიზმმა შეცვალა. მაგრამ 1938 წელს, როგორც ვიცით, გამოვიდა ი. სტალინის „ფილოსოფიური“ ნარკვევი — „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, რომელშიც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციები სულ სხვანაირად ფიგურირებენ, ვიდრე კ. მარქსთან და ფრ. ენგელსთან იყო წარმოდგენილი. სახელდობრ, მონათმფლობელობა გამოცხადებულ იყო ყველა ძველი ისტორიის მქონე ხალხის ისტორიის აუცილებელ ეტაპად. სხვანაირად რომ ვთქვათ, აღმოჩენილ იქნა „ზოგად-ისტორიული კანონზომიერება“,

რომლის თანახმადაც მონობა ექსპლუატაციის პირველ ფორმად (თანაც საზოგადოების ცხოვრების საფუძვლად) გამოცხადდა. თუ მსგავსი შეხედულება მანამდეც ბოგინობდა და იგი ჩამოაყალიბა ცნობილმა საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნემ ვ. სტრუვემ (სხვათაშორის, მანამდე იგი ძველ აღმოსავლეთში ფეოდალიზმს ან აზიური წარმოების წესს ხედავდა), 1938 წლის შემდგომ კი მსგავსი თავისუფალი აზროვნება გამორიცხული გახლდათ. ამიტომაც სიმონ ჯანაშია იძულებული გახდა შეეცვალა თავისი უწინდელი, სავსებით სწორი, წარმოდგენა და ელიარებინა ძველ საქართველოში მონათმფლობელობის არსებობა სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის სახით. მიუკერძოებელი, ობიექტური მკითხველისა და მკვლევრისათვის ეს გარემოება სავსებით უეჭველია.

უფრო უწინ ი. სტალინმა „დამკვრელ კოლმეურნეთა“ თავყრილობაზე განაცხადა, რომ მონობა ანტიკურ სამყაროში მონათა აჯანყების გზით დაემხო. აღნიშნული დებულების ამგვარი სახით მიყენება ქართული ისტორიული პროცესისადმი კი უაზრობას წარმოადგენდა. სანაცვლოდ სიმონ ჯანაშია შეეცადა დაემტკიცებინა ფეოდალური რევოლუციის (სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობით) მოხდენის ფაქტი საქართველოში (ქართლსა, ლაზიკასა და აფხაზეთში). შეენიშნათ იმასაც, რომ ამის შემდგომაც, ნიკო ბერძენიშვილს მტკიცედ სწამდა ძველ საქართველოში მონათმფლობელური ფორმაციის არსებობა. აღნიშნულს დავუმატებდით იმასაც, რომ ამ გადასვლას სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი უკავშირებდნენ ახალი საწარმოო ძალების გაჩენას და მათს კონფლიქტს ძველ წარმოებით ურთიერთობებთან, რაც აშკარად არასწორია.

მოგეხსენებათ, X–XI საუკუნეების საქართველოში თავი იჩინა ქვეყნის გაერთიანების ახალმა ძლაერმა ტენდენციამ. კერძოდ, სიმონ ჯანაშიამ ეს პროცესი უმთავრესად ეკონომიკის აღმავლობას დაუკავშირა, რაც მართალაც გამომდინარეობდა მარქსიზმ-ლენინიზმის აპრიორული დებულებიდან. მაგრამ თუ ობიექტურნი ვიქნებით, საქართველოში ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოშობის გზა განსხვავებული შემდეგში სახის დასაწყებთ ევროპის რიგ ქვეყნებში შესაბამისი პროცესისაგან ასევე უპერსპექტივოა ეკონომიკის აღმავლობასთან იქნეს დაკავშირებული გიორგი V ბრწყინვალის მიერ საქართველოს ხელახალი გაერთიანება.

რა თქმა უნდა, ისტორიაში რომ ადგილი ჰქონდა კლასთა ბრძოლას, მსგავსი თვალსაზრისი რიდი წარმოადგენს სპეციფიკურ-მარქსისტულს. ჩვენთვის აღნიშნული დებულება უეჭველია. მაგრამ იყო განსხვავებული ისტორიული სიტუაციები, როცა კლასობრივ საზოგადოებაში სოციალური წინააღმდეგობანი კი ისახებოდა (ჩნდებოდა), მაგრამ, პერმანენტული საგარეო საფრთხის მიზეზით, ვერ ვითარდებოდა, ვერ ღრმავდებოდა. კერძოდ საქართველოს ისტორია ამის ნათელ დადასტურებას იძლევა. მაგრამ ამ შეხედულებისაგან განსხვავებით, ნიკო ბერძენიშვილს მტკიცედ სჯეროდა, რომ საქართველოს ისტორიაც კლასობრივი ბრძოლის მძლავრად გაშლის არენას წარმოადგენდა. იგივე ითქმის მისეული სკოლის ბევრი წარმომადგენლის მიმართაც.

საბედნიეროდ, როგორც ცნობილია, ქართველობა ადრეულად რიდი შეგუებია მეფის რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ანექსიას; ამ პერიოდიდან მოყოლებული გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ფაქტია, რომ ნიკო ბერძენიშვილი ამგვარ მოძრაობას მხოლოდ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, ე. ი. კაპიტალისტური ეკონომიკური წყობის გაჩენიდან, იაზრებდა. არ შევეწერებით აღნიშნულ აუცილებლობათა ხასიათის საბჭოურ ფალსიფიკაციაზე, განსაკუთრებით გიორგი ბაქრაძისა და მისეული „სკოლის“ მიერ.

ჩვენი ისტორიკოსებისა და ფილოლოგოსების მხრივ იყო ცდები ე. წ. მცირე აღორძინება (განსაკუთრებით XVII-XVIII სს.) ახალი ეკონომიკური და სოციალური ძვრებისათვის დაეკავშირებინათ, რაც ასევე არასწორია.

ურყევ მარქსისტულ-ლენინური დებულებად იქცა წარმოდგენა ერის გაჩენაზე მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმის პირობებში. ამდენად, თვით XI-XII საუკუნეების მიმართაც კი ქართველობის ერად ჩამოყალიბების შესახებ მსჯელობა ქართულ ისტორიოგრაფიაში აბსოლუტურად გამორიცხული იყო.

დამახინჯებულად წარმოიდგინებოდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობანი, კერძოდ, უკანასკნელის უარყოფითი როლი. ქართველ ისტორიკოსთათვის ტაბუდადებული იყო აფხაზეთის ისტორიის ძირეული საკითხის კვლევა-ძიება.

მსგავსი მაგალითების ჩამოთვლას აღარ გაეკარებით. ცნობილია, რომ განსაკუთრებით ი. სტალინის ბრალდებიდან გამომდინარე, უარყოფითად განიხილებოდა საზოგადოების განვითარების ფაქტორები; თითქმის გამორიცხებოდა გეოგრაფიული გარემოს როლი, სათანადოდ

ვერ გაიაზრებოდა ისტორიული გარემოს (ერთეული, ცალკეული საზოგადოებების გარემომცველ საზოგადოებათა სახით) მნიშვნელობა, დემოგრაფიული ფაქტორის როლი და მისთ.

მაგანი ისტორიკოსი ახლა აცხადებს, რომ ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმს თითქოს მხოლოდ „ჯარისრის" სახით იყენებდნენ, მაგრამ ეს ზეგავლენა, ცხადია, შინაარსსაც ეხებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ზოგი რამ შემდეგში, 1960-იანი წლებიდან მოკიდებული, ნაწილობრივ გადალახა (კერძოდ ნიკო ბერძენიშვილისა და გიორგი მელიქიშვილის ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობაში), მაგრამ სასურველობამდე მაინც შორი მანძილი რჩებოდა, და ასე გრძელდებოდა საბჭოური პერიოდის დასასრულამდე (1990 წლამდე).

3. კვლავ ქართული ისტორიოგრაფიის შემაფერხებელი მიზეზების შესახებ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის დიდად ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენდა საბჭოური რეჟიმი და იდეოლოგია. ცხადია, ეს ობიექტური ხასიათის რეალობები იყო და მათი გადალახვა ლეგალური გზით ისტორიკოსებს არ შეეძლოთ. მაგრამ თუ შესაბამის სინამდვილეზე თვალს არ დავხუჭავთ, დავინახავთ, რომ ჩვენში ამ მიმართულებით სუბიექტურმა ფაქტორმაც იჩინა თავი. 1963–64 წლებიდან მოკიდებული საბჭოური ისტორიოგრაფიის მესვეურნიც კი მიხვდნენ, რომ დარგის განვითარებისათვის აუცილებელი გახდა თეორიის, კერძოდ მეთოდოლოგიის განახლება, რასაც მოჰყვა საკმაოდ თვალსაჩინო პრაქტიკული ქმედებანი. ფართოდ გაიშალა სათანადო თეორიული კვლევა-ძიებანი, და არა მხოლოდ მოსკოვში, არამედ ლენინგრადში, ყაზანში, სარატოვში, ომსკში, ტომსკში და სხვაგან. უფრო უწინ და შემდეგაც ადგილი ჰქონდა წინა ეპოქის გამოჩენილ რუს ისტორიკოსთა შემოქმედების ახლებურ გააზრებას. ვნახოთ, თუ როგორ შეხვდნენ ქართველი ისტორიკოსები დროის გამოწვევას, როგორ გამოიყენეს შანსი, რაც 1931 წლიდან (როცა გამოვიდა გრიგოლ ნათაძის ცნობილი თეორიული ნაშრომი „საზოგადოებამცოდნეობის ძეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხები", ნაკვეთი I) მოყოლებული აღარ ჰქონიათ?

როგორც აღინიშნა, გარკვეულ ცელილებებს ჰქონდა ადგილი ნიკო ბერძენიშვილის საისტორიო აზროვნებაში. მისივე მცდელობით ისტორიის ინსტიტუტში დაარსდა საისტორიო გეოგრაფიისა და

ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ისტორიოგრაფიის ისტორიის შემსწავლელი განყოფილებანი, აგრეთვე მეთოდოლოგიური სემინარი. გიორგი მელიქიშვილმა მართებულად გადასინჯა საქართველოში მონათმფლობელური წყობილების (ფორმაციის) არსებობის საკითხი, ფაქტობრივად დაუბრუნდა რა სიმონ ჯანაშიასეულ ძველ თვალსაზრისს. სხვათა შორის, აღსანიშნავია პროფ. გივი კილურაძის მცდელობა აღნიშნული მიმართებით უნივერსიტეტში, მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, მსგავსი მცდელობანი აღარ გაგრძელებულა. პირიქით, ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ისტორიოგრაფიის შემსწავლელი განყოფილება გაუქმდა, ხოლო ისტორიის თეორიული სემინარი ფაქტობრივად შეწყდა, შემდეგ კი მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. მით უფრო აღარც თეორიული, მეთოდოლოგიური ხასიათის კვლევა-ძიებანი ასახულა ცალკეულ კრებულებში. ხოლო თუ ინსტიტუტში ვინმეს მსგავსი სურვილი ჰქონდა, მას არათუ მხარდაჭერა, არამედ ხელისშეშლა ელოდა. . შედეგიც აშკარაა: ვაწყდებით ისტორიის თეორიული აზროვნებისა და ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიის შესწავლის საკმაოდ დაბალ დონეს.

ცხადია, თეორიულ აზროვნებას ყველა ისტორიკოსს, თუნდაც მათს უმრავლესობას ვერ მოსთხოვ. მაგრამ როცა ჩვენი გამოთვლით დღევანდელ საქართველოში თითქმის ათასამდე პროფესიონალი ისტორიკოსია, და ამათგან ათიოდესაც კი არ გააჩნია ისტორიის თეორიის კვლევა-ძიების უნარი და მონდომება, ეს მართლაც ფრიად საგანგაშო მოვლენაა. აქ ხაზგასმით აღვნიშნავთ: ამჟამად ქართველ ისტორიკოსთა შორის პროფესიონალურ დონეზე ბევრი მეცნიერია დაუფლებული წყაროთმცოდნეობას, ფაქტოგრაფიას და ამ საფუძველზე შეუძლიათ ცალკეული ნაშრომების შექმნა, მაგრამ თეორიული თვალსაზრისით ისინი უმწეონი არიან. აქამდე თეორიული სურვილის საბით მათ ჰქონდათ ე. წ. მარქსისტ-ლენინიზმი, რომლისგანაც ახლა თითქოს იოლად განთავისუფლდნენ, მაგრამ სანაცვლოდ რაიმე მიმართულებისა თუ სკოლისათვის არ მიუმართავთ. ისე გამოდის, თითქოს ისტორიკოსებს ადვილად შეუძლიათ ფონს გასცლა თეორიის, მეთოდოლოგიის გარეშე. მაგრამ ისტორიოგრაფიისათვის მსგავსი გამონაკლისი არ არსებობს. დღევანდელ ისტორიკოსთა სირაქლემას პოზაში დგომამ კი ძალზე ცუდი შედეგები გამოიღო...

მეძნელება თქმა, მაგრამ სად გავექცეთ მწარე სიმართლეს: თვით

მათემატიკოსებს, ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს და ა. შ. აქვთ წიგნები, რომლებშიც გადმოცემულია შესაბამის მეცნიერებათა ისტორია, მაგრამ ასეთი წიგნი არ გაგაჩნია ქართველ ისტორიკოსებს. თუმცა მსგავსი ხარვეზი მნიშვნელოვანწილად შეესებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის მიერ 1916 წელს დაწერილი ნაშრომით „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, სადაც თხრობა მოტანილია 1801 წლამდე. 19 წლის შემდეგ კი დიდმა ისტორიკოსმა გამოსცა წიგნი სომხურ ისტორიოგრაფიაზე. აპირებდა ნაშრომისა თუ ნაშრომების დაწერას მსოფლიო ისტორიოგრაფიის ისტორიაზე. ჩვენ კი საუკუნის, ათასწლეულის მიწურულს, ამ მხრივ კვლავ უმწეო მდგომარეობაში ვიმყოფებით და დიდი წინაპრის ნამოღვაწარს თითქმის ვერ გავცილებიართ.

ერთ მაგალითსაც მოგახსენებთ. ისტორიის ფაკულტეტზე სტუდენტები ეუფლებიან ისტორიის ეპოქების შემსწავლელ დისციპლინებს, მაგრამ შესაბამისი საისტორიო კურსების გავლის შემდგომ მათ წარმოდგენა არა აქვთ მსოფლიო ისტორიულ პროცესზე როგორც მთლიანობაზე. ანალოგიურ მდგომარეობაში არიან დღევანდელი ქართველი აკადემიკოსები, პროფესორები და მისთ. ცხადია, ქართველ ისტორიკოსებს ვერ მოვთხოვთ შესაბამისი პროცესის ორიგინალურ გააზრებებს, მაგრამ სხვათაგან გააზრებულის ცოდნა თუ არა, ყოველ შემთხვევაში შესაბამისი მცდელობანი მაინც ხომ უნდა გვქონდეს.

4. რა უნდა ვაკეთოთ პროფესიონალმა ისტორიკოსებმა. ოქს არ უნდა, რომ პოსტსაბჭოური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული, დადებითი ხასიათის ცვლილებები შეინიშნება. მაგრამ ესენი ძირითადად რაოდენობრივი ხასიათისა გახლავთ. თვისებრივი ძვრების მოხდება კი, ცხადია, უფრო ძნელია. მაინც როგორი ძალისხმევა გვმართებს დღევანდელ ისტორიკოსებს?

უპირველეს ყოვლისა, ადგილი უნდა ჰქონდეს ქართული ისტორიოგრაფიის თვითცნობიერებას, არა ოდენ უშორესი და ახლო წარსულის, არამედ დღევანდელობის მიმართაც. სათანადოდ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ისტორიოგრაფიის ჩამდვილად მეცნიერული პარადიგმა უფრო ძნელად მისაღწევია. მოული სიგრძე-სიგანით უნდა გავაცნობიეროთ უბრალო ჭეშმარიტება, რომ ისტორიის შემეცნება არაა ისე ადვილი, როგორც საბჭოთა პერიოდში ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის ზედაპირული არჩევანი. ისტორიული პროცესის ნაწილ-ნაწილ შემეცნება (ანალიზი) არაა ძნელი, მაგრამ ძნელი, უძნელესი გახლავთ მთელის,

მთლიანობის შემეცნება (სინთეზი). ჯერ კიდევ არისტოტელემ მშვენივრად გააცნობიერა, რომ ორგანული მთელი არაა ოდენ შემადგენელი ნაწილების მექანიკური შეერთება. კერძოდ, ისტორიის შემეცნებისას აღნიშნული გარემოება კარგად უწყოდა ძველმა ბერძენმა ისტორიკოსმა პოლიბიოსმა. მოვიგონოთ ილიასეული შეგონებაც: „შემოქმედობის ძალის ღონიერობა ერთი და იგივე არ არის, როცა ერთი (ე. ი. კაცი — გ. ყ) მთელს გადასწვდება ხოლმე და მეორე კი — მარტო ნაწილსა“. ძველი, საბჭოური სტერეოტიპიდან გამომდინარე, ისტორიკოსებმა წარმოიდგინეს, რომ გააერთიანებდნენ მრავალი (88 ავტორის!) ძალისხმევას და დაწერდნენ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულს. მაგრამ ხომ აშკარაა, რომ შედეგად მივიღეთ უდღეური, უსუსური ნაშრომი, რომელსაც არავითარი ახალი ეტაპი არ შეუქმნია ქართულ ისტორიოგრაფიაში და რომელიც აღარასოდეს აღარ გამოიცემა.

ვიმეორებთ, ნუ გვგონია, რომ მხოლოდ წყაროთმცოდნეობითი კვლევა-ძიებებით, ფაქტოგრაფიითა და ცალკეული საკითხების დამუშავებით შეეძლებათ მაღალი პროფესიონალიზმის დაუფლებას. მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენლები, ფილოსოფოსები, სოციოლოგოსები და მისთ. ადვილად დაგვეთანხმებიან, რომ ასეთ დონეზე ასვლას შესაბამისი თეორიული დონეც ესაჭიროება. ისტორიკოსებმა კი ამ მხრივ თითქოს ნამდვილი თავისუფლება იგრძნეს: განთავისუფლდნენ სუროგატული თეორიისაგან, მაგრამ ისე, რომ ასე ვთქვათ, თეორიული არსენალი არ განუახლებიათ (მსგავს ქცევაში ხომ არ გამოჩნდა ჩვენი ეროვნული ხასიათის ნიშან-თვისება, ანარქიას რომ უწყობს ხელს?).

პირადად ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის უცნაური სიმბიოზისა არასოდეს მჯეროდა, მაგრამ მწამს, რომ ავთენტურ მარქსიზმს ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი სარგებლობის მოტანა შეუძლია (ნუ დავიიწყებთ, რომ მარქსისტები იყვნენ სიმონ ხუნდაძე, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია, კიტა მეგრელიძე, არნოლდ ჩიქობავა და ა. შ.). თუმცა ამასთანავე იგი შეესებულ უნდა იქნეს სოციალური ფსიქოლოგიით, ელიტებისა და მასის თეორიით, სოციალური დარვინიზმის რიგი დებულებებით და მისთ სხვა ისტორიკოსებს შეუძლიათ მათთვის სასურველი არჩევანი გააკეთონ. ასე რომ, უნდა დამკვიდრდეს თეორიული, მეთოდოლოგიური პლურალიზმი, რაც უთუოდ წაადგება ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი აღმავლობის საქმეს.

ბაგოან ბუ ვიფიქროთ, რომ თითოეული ქართველი ისტორიკოსი თვითონაა თეორიული აზროვნების ცენტრი და მას ყველაფერი ხელეწიფება. მან კეთილინებოს და ბოლოსდაბოლოს შეისწავლოს შესაბამისი წარსული თუ თანამედროვე თეორიული მემკვიდრეობა.

რაკი ეროვნული ხასიათი ვახსენეთ, იმასაც დავსძენთ, რომ ჩვენი ბედოვლათობიდან გამომდინარე, შესაძლოა ხელისუფლებამ და მავანმა ისტორიკოსებმა იფიქრონ, თითქოს უნდა მივყვეთ სტიქიურ დინებას. უცხოეთში გაიზრდებიან ისტორიკოსთა ახალი კადრები და ისინი გამოასწორებენ საქმეს. ამრიგად თითქოს ისლა დაგვრჩენია, სასურველ პროცესს გულხელდაკრეფილნი ველოდოთ. მაგრამ ასეთი პოზიცია ყოვლად მიუღებელია; ჯერ ერთი, სასურველი პროცესი დიდხანს გაიწელება და მეორე, ნუთუ ჩვენ, საქართველოში მცხოვრებმა ისტორიკოსებმა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი არაფერი არ უნდა ვილონოთ?

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების ისტორიის ფაკულტეტებზე ნამდვილად (და არა ფორმალურად) უნდა ამოქმედდეს თეორიული სემინარები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ისტორიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლებას. სათანადო ძალისხმევა უნდა გამოვლინდეს თეორიული კრებულების გამოცემითაც.

ისტორიოგრაფიული პროვინციალიზმის (ეს ავტორიტეტულ საერთაშორისო საისტორიო ჟურნალში აღნიშნა გერმანელმა ქართველოლოგოსმა ოლივერ რაიზნერმა) დასაძლევად სრულიადაც არა კმარა ცალკეულ უცხოელ ისტორიკოსთა ნაშრომების დამოწმება. უნდა ვიცოდეთ კერძოდ ახალი და უახლესი ისტორიოგრაფიის მიმართულებანი და სკოლები. ამ მხრივ ჩვენი ისტორიოგრაფია ივანე ჯავახიშვილის შემდგომ უნუგეშოდ ჩამორჩა. თუ ფილოსოფოსები ცდილობენ, უახლოესი ხანის უცხოელ ფილოსოფოსთა ნაშრომთა დაბეჭდვას, ვანა ჩვენც არ უნდა ვეცადოთ ზოგიერთი უცხოელი ისტორიკოსის ნაშრომების გამოცემა?

ისტორიკოსები ქმედით დახმარებას ველით ფილოსოფოსთა, სოციოლოგოსთა, პოლიტეკონომისტთა (თუ ეკონომიკის თეორეტიკოსთა) მხრივ. ცხადია, ყველა ფილოსოფოსს, სოციოლოგოსს და ა. შ. ვერ მოეთხოვებათ ისტორიის (პროცესის) მეცნიერულ დონეზე ცოდნა, მაგრამ მაო რიგებში ხომ უნდა ვხედავდეთ ზოგიერთებს, რომელთაც

ეს ხელეწიფებათ. სხვას რომ თავი დავანებოთ, მათი შესაბამისი დარგების (ვთქვათ ფილოსოფიის ისტორიის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის და მისთ.) ცოდნა ხომ ისტორიის ცოდნის გარეშე ფრიად ნაკლოვანი იქნება.

ისტორიკოსთათვის დისკუსიები, კარგა ხანია, უცხო ხილი გახდა. დროა, ამ მხრივაც დაიძლიოს სოციალური აპათია და საზოგადოებრიობა მომსწრე გახდეს ისტორიკოსთა შორის გაცხოველებული დისკუსიებისა.

კარგია, რომ უკვე გვაქვს სასკოლო საისტორიო სახელმძღვანელოები. მაგრამ გაცილებით ძნელია უმაღლესი სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოთა შექმნა, რაც ძალიან ცოტა გაგვაჩნია.

რაც შეეხება საქართველოს ისტორიის მრავალტომეულს, ყველაზე უფრო სასურველია, იგი ერთმა პიროვნებამ შექმნას. მაგრამ რაკი ასეთი დონის ისტორიკოსი არა გყავს, ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ 7–8 ტომი (ცხადია, არა „ნარკვევების" მოცულობისა) დაწეროს 7–8 ავტორმა (ცალკეული ისტორიული ეპოქების მიხედვით). ამ მიზნის აღსრულებაც მომავალი ისტორიკოსების საქმედ მიგვაჩნია. გადაუდებელი გახლავთ ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიის დაწერა. თავის დროზე ივანე ჯავახიშვილი წერდა: „თითოეული ხალხის ისტორიის შესწავლაზეა დამოკიდებული ბევრის მხრივ ის მეცნიერება, რომელსაც ისტორიის ფილოსოფიას ეძახიან, რომელიც შეადგენს ჩვენი მეცნიერების უზენაეს მიზანს", ამ თვალთახედვით საქართველოს ისტორიის გააზრება მას აუცილებელ საქმედ მიაჩნდა. დადგა დრო, დიდი ისტორიკოსის ამ „ანდერძის" აღსრულებაზეც ვიზრუნოთ.

5. **რა უნდა ვაკეთოთ მომავალ ისტორიკოსთა სწავლების დონის ასამაღლებლად.** ყოველივე ზემოთქმული ქართული ისტორიოგრაფიის მიმართ (საბჭოთა პერიოდის მანძილზე) ბევრ რამეს გვიხსნის შესაბამისი დარგის სწავლებაზეც. უპირველესად, შეეხებით ისტორიოგრაფიის სწავლების თეორიულ-მეთოდოლოგიურ მხარეს. აქამდე ითვლებოდა, რომ თუ მომავალი ისტორიკოსები მექანიკურად დაიზეპირებდნენ პრიმიტიულად გადმოცემული დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დებულებებს, ეს საკმარისი იქნებოდა საისტორიო მეცნიერებისათვის. [illegible] დაუმატებდით იმასაც, რომ ხშირად აღნიშნულ დარგებს ასწავლიდნენ ფილოსოფოსები, რომელთა მიერ ისტორიის ცოდნა საშუალო სკოლის სახელმძღვანელოების დონეზე თუ იდგა (ისიც უკვე [illegible])

ცხადია, ასეთ პირობებში ფილოსოფია არც მომაკვალი ისტორიკოსებისათვის, და საერთოდაც, თითქმის არაფერს იძლეოდა. ამიტომაც სავსებით კანონზომიერია, რომ მრავალ ისტორიკოსს გაუჩნდა აზრი შესაბამისი დარგისათვის ფილოსოფიის ზედმეტობაზე.

მისასალმებელია, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ტარდება სტრუქტურული ხასიათის რეფორმა, კერძოდ, ურთიერთისაგან გაიმიჯნა ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. მაგრამ თავის მხრივ ეს ამაღლებს მოთხოვნებს ისტორიის სწავლების მიმართაც უკვე მაგისტრანტების მომზადების დონეზე. აქ სერიოზულად უნდა ხდებოდეს ისტორიის ფილოსოფიისა და მეთოდოლოგიის სწავლება (სხვათა შორის, აღნიშნულ თემაზე ივანე ჯავახიშვილი ამირებდა სპეციალური ნაშრომის დაწერას). ყოველ შემთხვევაში, ამ საფეხურზე მაინც საჭიროა ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიის უფრო ვრცელი კურსის წაკითხვა. ზემოთქმული მით უფრო ეხება მაგისტრატურას და ასპირანტურას.

ისტორიოგრაფიაში მუშაობა წარმოუდგენელია პოლიტეკონომიური (თუ ეკონომიკურ-თეორიული) მოშზადების გარეშე. ეს უცილობელი გახლავთ თვით პირველყოფილი, პრიმიტიული საზოგადოების მიმართაც კი, მით უმეტეს ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლისას.

ფრიად სასურველია რიგ პუმანიტარულ ფაკულტეტებზე ისწავლებოდეს მსოფლიო ისტორიის კურსი. რასაკვირველია, ოდენ ცალკეულ ეპოქათა მექანიკური შეერთებით კი არა, არამედ ორგანული სისტემის სახით, რაზედაც უკვე მოგახსენებდით.

ყველაფრის თავიდათავი პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ენთუზიაზმის ხარჯზე ვერ მოხერხდება. ამიტომაც საჭიროა მათში მატერიალური სტიმულების აღძვრა.

6. რა უნდა აკეთოს ხელისუფლებამ საქართველოს ისტორიის შესწავლისა და სწავლების ასამაღლებლად. ცნობილია, რომ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის დიდად იღვწოდა საქართველოს ძველი ხელისუფლება. სწორედ ასეთი ზრუნვის გამოხატულება გახლდათ „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენა და მისი გადაქცევა ეროვნული იდეოლოგიის ერთ-ერთ ქვაკუთხედად. როდესაც ჟამთააღმწერლის დიდებული საისტორიო თხზულების დაწერის შემდგომ მნიშვნელოვანი ნაწარმოები აღარ შეიქმნა (მთელი 400 წლის მანძილზე) ვახტანგ VI-ის ინიციატივით შედგა „სწავლულ

კაცთა კომისია“ ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით, რომელსაც დაევალა აღნიშნული ხარვეზის შევსება. საბჭოთა პერიოდში საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო რომ მაღალი ღირსებისა ყოფილიყო, ამისათვის ზრუნავდნენ ლ. ბერია, კ. ჩარკვიანი და, ჩანს, ი. სტალინიც. ხელისუფლება აგრეთვე დიდად ზრუნავდა არქეოლოგიური გათხრების სათანადო დონეზე საწარმოებლად. საქართველოს ისტორიის 1943 და 1958 წელს გამოსული სახელმძღვანელოებიც ხელისუფლების ინიციატივის შედეგი იყო. ასე რომ, დღევანდელ საქართველოს ხელისუფლებას მიასაბაძი მაგალითები მრავალი აქვს!

1989 წელს, საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის გადაშენება-გადაგების წინადღეს, ოფიციალურ დონეზე, — ცხადია, ოდენ ეროვნული დემაგოგიის მოტივით, — შემუშავდა საქართველოს ისტორიის შესწავლისა და სწავლე'ის პროგრამა. ამჟამად კი ექსკომუნისტებს, კვლავ რომ ხელისუფლების სათავეში დგანან, ჩვენი ისტორიოგრაფიის ბედ-იღბალი ნაკლებად ადარდებთ.

ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი სიტუაცია. ამისათვის კი მან ყურად უნდა იღოს კრიტიკულად განწყობილ და მოაზროვნე ისტორიკოსთა აზრებიც. მაგრამ დღემდე, როგორც პირადად ჩემი გამოცდილებაც ამტკიცებს, არც პარლამენტის მეცნიერების, უმაღლესი განათლებისა და კულტურის კომიტეტში, არც პრეზიდენტის კანცელარიის შესაბამის განყოფილებაში, არც მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტში და, ბოლოს, არც განათლების სამინისტროში აღძრულ საკითხზე სერიოზულად ვერავის ვერ ჩააფიქრებ. მაქსიმუმი, რის მიღწევაც ამ მიმართებით შეიძლება, ესაა გარეგნულად ზრდილობიანი მოსმენა.

ისტორიის სწავლების აშკარა დაბალი დონე სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში, საერთოდ მოსახლეობის ფართო ფენების საისტორიო ცნობიერების გაღრმავება, მხოლოდ ისტორიკოსთა პრიორიტეტული მოვალეობა როდია. გადაუჭარბებლად ვიტყვით, რომ ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა და აქედან გამომდინარე, მის გადაწყვეტას სახელმწიფოს ძალისხმევა სჭირდება.

ვიმედოვნებთ, რომ ქართველი საზოგადოებრიობის აქტიურობით აღნიშნული მოუკიდებელი წრე გაირღვევა და ხელისუფლება შეისმენს ჩვენს გულისნადებს.

იქნებ ამას შესაფერისი ქმედებანიც მოჰყვეს?!

2001 წ.

ისტორია ასე არ დაიწერება

საბჭოური წყობილების დროს ირწმუნეს, რომ კოლექტივი და კოოპერაცია უდიდესი ძალაა შემოქმედების სფეროშიც. 1920-იან წლებში ცდილობდნენ ამ გზით შეექმნათ მხატვრული (ლიტერატურული) ნაწარმოებები. მსგავსი ცდები, ცხადია, მარცხით დამთავრდა...

მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა, კერძოდ, ისტორიკოსებს, რომ კოოპერაციის მეშვეობით შეჭიდებოდნენ დიდ (ვრცელი ხასიათის) ნაშრომებს. თავის დროზე ასე იქნა ჩაფიქრებული „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ რვა უზარმაზარ ტომად. „ნარკვევები“, მართლაც, შეიქმნა და დაიბეჭდა 1970–80-იან წლებში. ავტორთა კოლექტივი 88 წევრს მოითვლიდა, ე. ი. საშუალოდ, ერთ ტომზე – 11 ავტორი. ისე არ გაგვიგოთ, თითქოს წინააღმდეგი ვიყოთ მეცნიერებაში კოლექტივების საჭიროებისა. რასაკვირველია, სულიერი შემოქმედების ამ დარგში ისინი უნდა არსებობდნენ, დიახაც, საჭიროა შრომის დანაწილება. მაგრამ როდესაც საქმე მიდგება მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაზე, ანდა მონოგრაფიების, მით უმეტეს, მრავალტომეულების შექმნაზე, მაშინ კოლექტივები უძლურნი არიან და სარბიელი უნდა დაეთმოს ცალკეულ შემოქმედ პიროვნებებს! საბჭოთა ისტორიოგრაფიამ, კერძოდ ქართულმა, დიდი გამოცდილება მოგვცა „კოლექტიური ნაშრომების ფოლიანტების“ (რუსი ისტორიკოსის იური აფანასიევის სიტყვებია) დაწერისა. მაგრამ დროის ამჟამინდელი გადასახედიდან, მით უფრო სოციალურ-ეკონომიკური პირობების მკვეთრი ცვლილებების ჟამს, როცა კრიტიკული აზროვნება უნდა შეგეძლოს, ნათელია აღნიშნული გზით სვლის უნაყოფობა.

მაგალითად, თუ „ნარკვევების“ რვატომეულს კრიტიკული თვალით განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში მის გამოჩენას არავითარი სერიოზული ტეხილი არ მოჰყოლია. ეს, არსებითად, ამ ავტორთა მიერ უწინ გამოქვეყნებული ნაშრომების მექანიკური შეჯამება იყო. ამას, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ხვდებოდნენ გამოცემის მესვეურნიც, რაც იქიდანაც ჩანს, რომ რვატომეულს „ნარკვევები“ და არა „ისტორია“ უწოდეს.

მოხდა ისე, რომ თავის დროზე „ნარკვევები“ არათუ მთლიანობაში, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, ცალკეული ტომების დონეზეც კი კრიტიკულად (ამასთანავე ობიექტურად) არ განხილულა. ამიტომაც დაიჯერეს (მმართველმა კომუნისტურმა ბიუროკრატიამ და ფართო საზოგადოებრიობამ), რომ ამ რვატომეულის გამოსვლა ქართული კლიოს (ისტორიის მუზის) ტრიუმფი იყო.

ევროპის მოწინავე ქვეყნებში მსოფლიო, დასავლეთ ევროპისა თუ თითოეული ქვეყნის ისტორიას მრავალი ისტორიკოსი როდი წერს. არის ბედნიერი შემთხვევები, როცა ისტორიის მრავალტომეულს წერენ ცალკეული ისტორიკოსები (მსოფლიო ისტორია თავისებურად გაიაზრა და დაწერა არნოლდ ტოინბიმ. საქართველოში ამის მაგალითია ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ ხუთტომეული). სხვა შემთხვევაში ისტორიას შესაბამისი ეპოქების მიხედვით წერენ ცალკეული ისტორიკოსები. ასე რომ, თუმცა ნაშრომი მაინც კოლექტიური ხასიათისა გამოდის, მაგრამ მთლად ისეთი არა, როგორც საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში შეიქმნა.

თითქოს შესაბამისმა მსოფლიო და საკუთარმა მწარე გამოცდილებამ ჭკუა უნდა გვასწავლოს, მაგრამ, ჩანს, ჯერჯერობით, ასე არ მოშხდარა. გამოდის, რომ ისტორიისაგან ჭკუის სასწავლ გაკვეთილებს არათუ ხალხები, თავად ისტორიკოსებიც კი ვერ სწავლობენ: „ნარკვევების“ რვატომეულის ფიასკომ ვერაფერი გვასწავლა ქართული ისტორიოგრაფიისა და საზოგადოებრივი აზროვნების სამ- თუ ოთხტომეულის შექმნისას, თბილისის ისტორიის სამტომეულის, ეთნოგრაფიული ატლასისა და ნარკვევების დაწერისას!

მხედველობაში გვაქვს შემდეგი გარემოება: 1994 თუ 1995 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გაიღო გრანტი (17.000 ლარი, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი ფულის მაშინდელი კურსი დღევანდელზე ბევრად მეტი იყო) საქართველოს ისტორიის ორტომეულის შესაქმნელად. გადის ამდენი ხანი და ზემოხსენებული ნაშრომი არათუ არ გამოქვეყნებულა, იგი ხელნაწერის სახითაც კი არ უნახავთ პრეზიდიუმის წევრებსაც კი. ჭკუტიც გადაწყვიტეს, რომ აღნიშნული გამოცემა კიდევ ორი ტომით შეივსოს და თხრობა მოიტანონ დღემდე.

წინასწარვე ვაცხადებთ, რომ ეს წამოწყება კრახისათვის არის განწირული, რადგან ჩანაფიქრი სურთ აღასრულონ ისე, როგორც

„ნარკვევების“ გამოცემის შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით მოვიშველიებ ცნობილი ქართველი მოაზროვნის გერონტი ქიქოძის აზრს: „ჩვენმა მკვლევრებმა – ვახუშტი ბატონიშვილმა, მარი ბროსემ, დიმიტრი ბაქრაძემ, თედო ჟორდანიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა, ივანე ჯავახიშვილმა, კორნელი კეკელიძემ და სხვებმა არსებითად უკვე დაასრულეს ისტორიული მასალების ძიების და კრიტიკული შემოწმების საქმე. ახლა საჭიროა ისტორიკოსი, რომელიც საქართველოს ისტორიას ზოგადი ფილოსოფიური თვალსაზრისით შეხედავს და ერთ მონუმენტურ მხატვრულ სურათს დახატავს“.

გამოგიტყდებით, მე მაქვს ჩაფიქრებული მუშაობა აღნიშნულის მიმართულებით. თავიდან მეგონა, რომ საქართველოს ისტორიის პირველ ტომს, რომელშიც ძველი პერიოდი იქნებოდა გადმოცემული, მაქსიმუმ ორ წელიწადში დავწერდი. ვფიქრობდი, ბევრი რამ ქართველი ისტორიკოსებისა და არქეოლოგოსების მიერ უკვე გაკეთებულია და მე მომიწევდა მხოლოდ მათი ნაშრომების განზოგადება, სინთეზი. მაგრამ ასე როდი აღმოჩნდა. გავიცნობიერე, რომ გასააზრებელია ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემა, დიაოხისა და სასპერების ეთნიკური კუთვნილების საკითხი, იბერებისა და ქართების ურთიერთმიმართება. აღარას ვამბობ საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე, რომლის თაობაზეც გაშლილმა ფართო დისკუსიამ, ჩემი მტკიცე შეხედულებით, ცხადყო ღღევანდელი ქართული ისტორიოგრაფიის უმწეობა.

ასე რომ, დღის წესრიგში დგას სპეციალური დისკუსიების აუცილებლობა საქართველოს ძველი ისტორიის მრავალი პრობლემის ირგვლივ. თითქმის იგივე ითქმის სხვა ისტორიულ პერიოდებთან დაკავშირებითაც. მაგრამ, სამწუხაროდ, სამეცნიერო დისკუსიები, თანაც ისეთი, დადებითი შედეგებით რომ მთავრდებოდეს, ჩვენში იშვიათი ხილია. მაშ, როგორ უნდა დავწეროთ, ახლებურად, ჩვენი ისტორია? ახალი ძალებიც არ ჩანან, რომლებიც შეეცდებიან ამ ამოცანის აღსრულებას.

ცნობილია, რომ მეცნიერება ვერ განვითარდება, სათანადოდ ვერ დადგება ფეხზე თეორიის გარეშე. ამის თაობაზე მისი მრავალი დარგის წარმომადგენლები არ დაობენ. მაგრამ მოხდა პარადოქსი: დღევანდელ ქართველ ისტორიკოსებს ვერ გაუცნობიერებიათ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება. წინა თაობის ისტორიკოსები და

დღევანდელი ისტორიკოს-გეროლტოკრატებიც არ დაეჭვებულან საკითხში. მათთვის უმთავრეს ამოსავალ თეორიულ საფუძვლად რჩებოდა ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმი. ბევრი მათგანი გულწრფელად ფიქრობდა, რომ ამ „თეორიის" წყალობით ქართულმა ისტორიოგრაფიამ ივანე ჯავახიშვილის შემდგომ დიდი, რევოლუციური ნაბიჯები გადადგა წინ. მაგრამ საერთო, ტოტალური კრიზისის ჟამს, ამ მხრივაც უნდა ავიხილოთ თვალი. ახლა გაურბიან არათუ ლენინისა და სტალინის, არამედ თვითონ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის აზრებზე დაყრდნობასაც კი. ჩანს, დღევანდელმა ქართველმა ისტორიკოსებმა ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის კრახის საფუძველზე ირწმუნეს, საერთოდ, ყოველგვარი თეორიის ზედმეტობა. ამიტომაცაა რომ გადის თავისუფლების, ცენზურის არარსებობის 12-13 წელი და აღნიშნული მიმართულებით ქართველი ისტორიკოსები ოდნავადაც კი ვერ მიიწევენ წინ. ჯერ კიდევ 1930-იანი წლების დასაწყისში, ცნობილი ისტორიკოსი გრიგოლ ნათაძე წერდა: „ქართული ისტორიული სინთეტიური აზროვნება იქამდის განუვითარებელია, იქამდის ჩამორჩენილი, რომ ვერც ერთ მეთოდოლოგიურ საკითხს იგი მკითხველს ვერ გაურკვევს. ქართველი ისტორიკოსების შრომები, რომლებშიც კვლევა-ძიების, ასე ვთქვათ, ტექნიკური მხარე, მიმართული ისტორიული ფაქტების დადასტურების მიზნისადმი, ამ ბოლო დროს დიდ სიმაღლეზე დგას და, ამ მხრივ, ზოგჯერ თანამედროვე ევროპულ მეცნიერების თანაბრად არის, ისტორიული სინთეტიური აზროვნების და ცოდნის სისტემატიზაციის მხრივ კი სრულიად დაბალ საფეხურზე დგას". ეს კრიტიკული გააზრება-შეფასება, სამწუხაროდ, ფრიად აქტუალურია დღესაც.

ისტორიოგრაფია, როგორც მეცნიერება თეორიის, კერძოდ, მეთოდოლოგიის გარეშე — ეს ხომ ყოველად წარმოუდგენელია! ფარნავაზ მეფის (პირველის) დროს, და შემდგომ, ჩვენი წინაპრები ახერხებდნენ ასე წერას. მაგრამ აქედან გამომდინარე, ისინი მატიანის, ქრონიკის დონეს ვერ სცილდებოდნენ. ქრისტიანი ქართველი ისტორიკოსები კი ცდილობდნენ, ისტორია დაეწერათ გარკვეული თეორიის მეშვეობითაც (პროვიდენციალიზმი) და არა ოდენ ფაქტების აღნუსხვის (ფაქტოგრაფიის) საფუძველზე. აღარას ვამბობთ მარი ბროსეზე, სულხან ბარათაშვილზე, დიმიტრი ბაქრაძეზე, ილიაზე, რომლებიც, ცდილობდნენ რა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის დაფუძნებას, მშვენივრად

აცხადიერებდნენ თეორიის დიდ მნიშვნელობას ისტორიული პროცესის შემეცნების საქმეში. ამჯერად მხოლოდ ვაჟა-ფშაველას ერთი აქტუალური აზრის მოტანით დავკმაყოფილდებით: „ცხადია ყველასათვის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეთოდს სამეცნიერო მოვლენათა გასაგებ-შესაგნებლად. მეთოდი სასწორი, საზომია, რომლითაც უნდა აიწონოს და გაიზომოს ასაწონი და გასაზომი... რამდენს უშლიდა ძველს მეცნიერებას და მწიგნობრებს ამ ნამდვილი მეცნიერული მეთოდის უქონლობა“.

საყოველთაოდ ცნობილია, როგორი დოგმატიზმი, აზროვნების გახევებულობა-გაქვავებულობა დაამკვიდრა ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმმა. მაგრამ მიუხედავად ამისა, სიმონ ხუნდაძემ, ნიკო ბერძენიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ, გრიგოლ ნათაძემ და სხვ. მაინც შეძლეს ფასეული ისტორიოგრაფიული ნაშრომების შექმნა. ერთ-ერთი მიზეზი ამისა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი მხოლოდ ისტორიკოს-მკვლევრები (ემპირიზმის დონისა) კი არა, არამედ ისტორიკოს-მოაზროვნეებიც (თეორიის დონის) იყვნენ. იმ პირქუშ, მკაცრ დროშიც კი ისინი ცდილობდნენ ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის არტახებიდან გათავისუფლებას. მაშ, რა ემართებათ დღევანდელ ქართველ ისტორიკოსებს?

და სანამ ასე იქნება, ჩვენი ისტორიკოსები ვერ შეძლებენ ისტორიის ახლებურ გააზრებას (ნაწილობრივ, ამას მხოლოდ XX საუკუნის მიმართ თუ ახერხებენ). ამის შესატყვისად, ჩვენთან კარგა ხნის განმავლობაში ვერც განმაზოგადებელი საისტორიო ნაშრომი (მრავალტომეული) დაიწერება. ამიტომაც არა მჯერა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ ჩაფიქრებული საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის პერსპექტივისა. ხოლო თუ მავანნი მაინც ცდილობენ საზოგადოების თვალებში ნაცრის შეყრას, ჩვენი ხელისუფლების დარად, ნუ ფიქრობენ, რომ დღევანდელი ქართველი საზოგადოებრიობა ისეთივეა, როგორიც იყო საბჭოთა პერიოდში...

ვნახოთ, როგორ უპასუხებენ ქართველი ისტორიკოსები დროის ახალ გამოწვევას.

2002 წ.

სარჩევი

წინასიტყვა 3

ნაწილი პირველი
ქართველთა ეთნიკური ისტორიის საკითხები 7
ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხი 7
§ 1 შესავლის მაგიერ 7
§ 2 ქართველთა ეთნოგენეზისის მოკლე ისტორიოგრაფია 10
§ 3 საკითხის პოზიტიური გააზრების ჩვენეული ცდა 20
დიაუხ/დიაოხის ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის 24
სასპერების ეთნიკური ვინაობის საკითხი 41
კასკების (ქაშქების) ეთნიკური წარმომაელობის საკითხისათვის 66
ქართველთა ეთნიკური ისტორიის ერთი საკითხის შესახებ
(„იბერებისა“ და “ქართების“ ურთიერთმიმართების პრობლემა) 74
საიდან მოდის “გეორგია“? 87
ერთი “თეორიის“ კრახი 89
საიდან მოვდივართ ქართველები? (დისკუსია ჩვენი ისტორიის
ურთულეს პრობლემაზე) 98

ნაწილი მეორე
ძართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის პრობლემები 103
საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს
წარმოშობის ისტორიოგრაფიიდან (ივ. ჯავახიშვილისა
და ს. ჯანაშიას ნაშრომების განხილვა) 103
საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი 130
§1 საკითხის ისტორიოგრაფიიდან 130
§2 დღევანდელი წარმოდგენები საკითხის შესახებ 133
§3 ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისისადმი თეორიული
მიდგომის თაობაზე 138
§4 სახელმწიფოებრიობის საკითხი თრიალეთურ კულტურაში 142
§5 არგონაეტების მითი და ქართული (კოლხური)
სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის საკით 144
§6 დიაოხი (დიაენი) და ქართული სახელმწიფოებრიობის
წარმოქმნის პრობლემა 148
§7 ძველი მესხები (მუშქები) და სახელმწიფოს წარმოქმნის
საკითხი 150
§8 კოლხა და ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხი 152

§9 სასჯერები და სახელმწიფოებრიობის საკითხი 160
§10 ანტიკური ხანის კოლხური გაერთიანების ისტორიიდან 161
§11 ქართველური ტომების ნაწილში სახელმწიფოებრიობის საკითხი ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს (ქსენოფონტეს „ანაბასისის“ მიხედვით) 172
§12 ძველ ქართლში წინარეერთიან-სახელმწიფოებრივამდელი გაერთიანების შესახებ 175
§13 სახელმწიფოს წარმოშობა ქართლში 177
ბოლოთქმა 187
ძველ კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არსებობის საკითხი 191
სიმონ ჯანაშიას შეხედულებანი საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ (საკითხის კიდევ ერთხელ გააზრების ცდა) 225
გიორგი სოსელია საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ 244
„კოლხური თეორის“ სადაურობის საკითხისათვის 254
ისტორიული პიროვნება იყო თუ არა ქუჯი? 262

ნაწილი მესამე

რეცენზიები და გამოხმაურებები

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომის შესახებ 274
საქართველოს ისტორია ძველი აღმოსავლეთის საისტორიო კურსებში 288
ნაგვიანევი რეცენზია 301
კიდევ ერთი ნაგვიანევი რეცენზია 307
საინტერესო ნაშრომი 316
ისტორიის ახალი სახელმძღვანელო მრავალი ხარვეზით 320
ქართველოს ძველი ისტორიის პრობლემები სასკოლო საისტორიო სახელმძღვანელოებში 338
ისტორიის სახელმძღვანელო თეორიული აზროვნების დეფიციტით 346
კომენტარები ერთ სამეცნიერო კრებულზე 353
წიგნი, რომელიც მრავალ კითხვას ბადებს 362
დებულება დასაბუთებას მოითხოვს 366
საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობაზე მსჯელობისას მეტი საფუძვლიანობა გვმართებს (ბატონ თამაზ გამყრელიძისა და ბატონ რისმაგ გორდეზიანის სასასუხოდ) 368
ამბავი აიეტისა და მინოსის მოყვრობისა ანუ საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი 376
ისტორიაზე „ფობიასა“ და „ფილიას“ გარეშე 381
ქართული სახელმწიფოებრიობა მაინც 2300 წლისაა! 387

ემპირიული ისტორიოგრაფიის უმწეობის ნიმუში 394
სად გაქრნენ სასაერები? 399
ვისთვის პარადიგმა ქართული სახელმწიფოებრიობა იდეოლოგია? 401
საქართველო: აღმოსავლეთი თუ დასავლეთი 409
სერიოზული საფიქრალი 415

ნაწილი მეორე

ხსენება 422
სწავლული კაცებზე აღმატებული (ვახუშტი ბაგრატიონის დაბადებიდან 300 წლისთავის გამო) 422
არდასაიწყებელი პიროვნება (ალექსანდრე სვანიძის დაბადებიდან 110 წლისთავის გამო) 427
მოაზროვნე ისტორიკოსი (ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო) 432
დიდი მასწავლებლის ღირსეული მოწაფე (ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო) 437
ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი 441
მოძღვარი და გადაუხდელი ვალი (პროფესორ ალექსანდრე წერეთლის დაბადებიდან 110 წლისთავის გამო) 445
მოძღვრის გახსენება (პროფესორ გიორგი გოზალიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო) 449
გამოჩენილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე (სიმონ ჯანაშიას დაბადებიდან 100 წლისთავის გამო) 452

დანართი

ქართული ისტორიოგრაფია XXI საუკუნის კარიბჭესთან 459
ისტორია ასე არ დაიწერება 472